საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

Georgian Technical University
Georgian Academy of Engineering

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

QUARTERLY REFEREED AND REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL

1-2
2018

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

უაკ (**UDC**) 338.22+62

ბ-666

N1-2. 2018 წელი

მთავარი რედაქტორი: ა. სიჭინავა
მთავარი რედაქტორის მოადგილე: შ. ვეშაპიძე
პასუხისმგებელი რედაქტორი: დ. სეხნიაშვილი
ელექტრონული ვერსიის ტექნიკური რედაქტორი: ა. ქუთათელაძე

სარედაქციო კოლეგია:

ნ. აბესაძე, გ. აბაშიძე გ. აბდუშელიშვილი, გ. აბრამიშვილი, ე. ბარათაშვილი, თ. ბაციკაძე, ხ. ბერიშვილი, ვ. ბოჯარი (პოლონეთი), ზ. გასიტაშვილი, ი. გაბისონია, ჯ. გახოკიძე, ა. გლუშეცკი (რუსეთი), რ. გინევიჩუსი (ლიეტუვა), ივ. გორგიძე, ი. გუჯაბიძე, ც. დურული, მ. ეფიმჩენკო (რუსეთი), რ. ვინთერი (შვეიცარია), დ. თავხელიძე, დ. იაკობიძე, ლ. იმნაიშვილი, კ. ისაევა (ყაზახეთი), რ. შენგელია, ი. კაკუბავა, ი. კვესელავა, ლ. კლიმიაშვილი, ჯ. ლანცი (პოლონეთი) ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშვილი, ი. ლომიძე, თ. მერკულოვა (უკრაინა), ტ. კასიანენკო (რუსეთი), ვ. მინასიანი (რუსეთი), ვ. ნავიცკასი (ლიეტუვა), ი. ნაზარკო (პოლონეთი) რ. ოთინაშვილი, მ. ოსინსკა (პოლონეთი), მ. პისანიუკი (მოლდოვა), მ. რაუდიარვ (ესტონეთი), გ. სალუქვაძე, დ. სეხნიაშვილი, რ. სტურუა, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, რ. ქუთათელაძე, გ. ღავთაძე, მ. ჩიქავა, ნ. ჩიხლაძე, ჯ. ჯანაშია, დ. ჯაფარიძე, გ. ჯოლია.

EDITOR : A. Sichinava
DEPUTY OF CHIEF EDITOR: Sh. Veshapidze
RESPONSIBLE EDITOR: D. Sekhniashvili
TECHNICAL EDITOR: A. Kutateladze

EDITOR STAFF:

N. Abesadze, G. Abashidze g. Abdushelishvili, c. Abramishvili, E. Baratashvili, h. Batsikadze, Kh. Berishvili, V. Bojari (Poland), Z. Gasitashvili, I. Gabisonia, J. Gakhokidze, A. Glucetsky (Russia), R. Ginevičius (Lietuva), Iv. Gorgidze, I. Gujabidze, Ts. Duruli, M. Ephemchenko (Russia), R. Winther (Switzerland), D. Tavkhelidze, L. Imnaishvili, K. Isaeva (Kazakhstan), R. Shengelia, I. Kakubava, I. Kveselava, L. Klimiashvili, J. Lance (Poland), E. Lobanova (Russian), Sh. Lominashvili, I. Lomidze, T. Merkulova (Ukraine), T. Kasyanenko (Russia), V. Minasian (Russia), V. Navickas (Lietuva), I. Nazarko (Poland), R. Otinashvili, M. Osinska (Poland), M. Pisaniuk (Moldova), M. Raudjärv (Estonia), G. Salukvadze, D. Sekhniashvili, R. Sturua, A. Frangishvili, L. Karchava, R. Kutateladze, G. Gavtadze, M. Chikava, N. Chikhladze, J. Janashia, D. Japaridze, G. Jolia.

ტექნიკური რედაქტორები: თამარ აბუაშვილი, ნატო გეგენავა **TECHNICAL EDITORS:** Tamar Abuashvili, Nato Gegenava

სტატიაში მოყვანილი ფაქტების და მონაცემების სიზუსტსა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი

The author is responsible for accuracy and plagiarism of facts and data in the article.

მისამართი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 615ბ.
ტელ.: 595 71-91-77; 599 51-80-84;
555 36-61-01; 595 22-11-25; 032 236-53-91;

www.Business-Engineering. bpengi.com
ელ-ფოსტა: **info@bpengi.com**

EDITORIAL OFFICE ADDRESS:
Georgian Technical University
Tbilisi, Kostava str. 77. 615 b.
Tel.: 595 71-91-77; 599 51-80-84;
555 36-61-01; 595 22-11-25; 032 236-53-91;

www.Business-Engineering. bpengi.com
E-mail: **info@bpengi.com**

ISSN 1512-0538

ISSN 1512-0538

სარჩევი

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მიმართულებები

შოთა ყიზილაშვილი, კონსტანტინე ყიზილაშვილი
რეგიონის ცნების რაობა ---------- 6
ნაზი ჭიკაიძე, თეკლე ხელაძე
უძრავი ქონების შეფასების თავისებურებები საქართველოში ---------- 9
აბილ ასლანოვი
აბრეშუმის გზა ---------- 13
ალექსანდრე ვაჭარაძე
საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილებათა „საგზაო რუკა“ ---------- 17
ნანა ბენიძე, ჯამბულ ბიწაძე
საპენსიო რეფორმა საქართველოში ---------- 26
თეონა ბაქანიძე, მაგდა ბაქანიძე
ინფლაციის არსი და ანტიინფლაციური ეკონომიკური პოლიტიკა ---------- 29
ირაკლი ჯანგავაძე
საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის ინდიკატორების დინამიკური ანალიზი ---------- 31
გია ზოიძე
ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ურთიერთქმედების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები ---------- 37
დავით მახვილაძე
უცხოური ინვესტიციების რეგულირების პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში ---------- 40
ია ყოლბაია
დაგროვების ახალი პარადიგმა - ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში ---------- 43
თამაზ შამათავა
მეტროს მშენებლობის ესპანური მეთოდის უპირატესობები ---------- 47
გია ზოიძე
რელიგიური ფაქტორი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში ---------- 49
ია ყოლბაია
ტრანსნაციონალური კორპორაციების თანამედროვე კონცეფციები ---------- 53
ნინო ქიტუაშვილი
კორუფცია სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ---------- 57
შოთა გურული
სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები ---------- 60

ბიზნესის განვითარების მიმართულებები

გიორგი ჯოლია
დამოუკიდებელი დირექტორების როლი თანამედროვე კორპორაციულ მართვაში ---------- 64
გიორგი ავალიანი
საქართველოს საფონდო ბაზრების ინფრასტრუქტურა და კომერციული ბანკების გავლენა მასზე ---------- 72
თამარ ჩიქავა
საქართველოს ღვინის დარგის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი ---------- 81
კახაბერ ციმინტია
ფირმის მოგების მაქსიმიზაციის განსაზღვრის მეთოდები: არსებული მიდგომები და მიმართულებები ---------- 83
ნიკოლოზ ბაკაშვილი
კომპანიის ფინანსური სიმყარის რეიტინგის განსაზღვრა ქულობრივი მეთოდით ---------- 86
ნანა ბენიძე, ჯამბულ ბიწაძე
აქტუარი, როგორც სტაბილურობის მაკონტროლებელი ---------- 91

თამარ მიქელაძე
რეკლამა და მანიპულირების ტექნოლოგია ---------- 94
მერაბ გეჯუა
ფირმათა შორის წარმოქმნილი ურთიერთობების რეგულირების საკითხისათვის ---------- 96
მაია გრძელიძე
საჯარო ფინანსების რეფორმა და სახელმწიფო სატრანსფერო პოლიტიკა თვითმმართველ ქალაქებში ------- 99
მარიამ ხაბურზანია
ინოვაცია – საბანკო სფეროს განუყოფელი ნაწილი ---------- 104
მერაბ გეჯუა
მართვის სისტემის მიზნები, საშუალებები და ამოცანები ---------- 107
ნატო თუშიშვილი
ორგანიზაციის ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის ფუნქციონირების ასპექტები ------- 111
ფიქრია კირკიტაძე
პერსონალის მართვის სისტემა მცირე ბიზნესში ---------- 115
სალომე ოდიშარია
კომპანიების ეკონომიკური უსაფრთხოების (ეკუ) სისტემის
უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა თანამედროვე პირობებში ---------- 119
მერაბ გეჯუა
ადამიანური რესურსების მართვის განვითარების ისტორია ---------- 124
მარინე ხუციშვილი
საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების პრობლემები ---------- 127
თამარ ჩიქავა
ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ანალიზი დელფის მეთოდის გამოყენებით ---------- 130

ბიზნეს-ინჟინერინგი ტურიზმში

ირაკლი ჯანგავაძე
საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციები
და საქართველოს სტატისტიკური მაჩვენებლები ---------- 133

ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში

დავით ბალავაძე
ჰესების მშენებლობა და საზოგადოება ---------- 138
დავით ჯაფარიძე, ვახტანგ კახაძე
ხელოვნური განათების თანამედროვე სისტემების ეფექტიანობის
შეფასება და დანერგვის პერსპექტივები საქართველოში ---------- 142
ზურაბ ჩინჩალაძე
პიროვნების ეკონომიკური თავისუფლება მეწარმეობის განვითარების ქვაკუთხედი ---------- 150
მაია ლომსაძე-კუჭავა, მარიამ მაჭავარიანი,
საქართველო და მისი განახლებადი ენერგიის პოტენციალი
„ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანების შედეგად ---------- 156
მარიამ კუჭავა
დასავლეთ საქართველოს ჰიდროენერგორესურსები ---------- 162
მაყვალა ზარიძე
ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერგიის
წარმოების მოცულობის განსაზღვრის მათემატიკური მოდელი ---------- 166
დავით დათაშვილი
ქარის ელექტროსადგურზე სიმძლავრის გენერაციისა და ქარის ცვლილების ხასიათის ანალიზი -------- 173

ბიზნეს-ინჟინერინგი ინფორმატიკაში

რევაზ კაკუბავა, დავით წამალაშვილი
რიგების მოდელი რთული სისტემების საიმედოობის განსაზღვრის ამოცანაში ---------- 175

ბიზნეს-ინჟინერინგი არქიტექტურაში

ლიანა ოქროპირიძე
ქალაქ თბილისისა და კურორტ ბიჭვინთის დაგეგმარება
და განაშენიანება XX საუკუნის მეორე ნახევარში ---------- 178

განათლება, სოციოლოგია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია

ოთარ ზუმბურიძე, ბორის გითოლენდია
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული გეგმის
შედგენის პრაქტიკა - დასავლეთის უნივერსიტეტების გამოცდილების მაგალითზე ---------- 184
ოთარ კუპრაშვილი
„ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის ტერორიზმის ანატომია ---------- 191
როზა გაფრინდაშვილი
ბიზნესმენის პროფესიონალიზმი და მორალურ-ფსიქიკური თვისებები ---------- 195
შალვა ლაზარიაშვილი
პროფესიული ეთიკის კოდექსები და მათი მნიშვნელობა ---------- 198
ლია მეტრეველი, მაგდა ფერაძე
ლუდომანია – ადამიანის ფსიქოლოგიური ნარკოტიკი ---------- 203

იუბილე

თამაზ ნუცუბიძე ---------- 207
გიორგი ნანუაშვილი ---------- 208
კონსტანტინე კამკამიძე ---------- 209
პარმენ ლემონჯავა ---------- 210

ბიზნეს-ინჟინერინგი მედიცინაში

თამაზ ბაციკაძე
იდუმალმცოდნეობა და მედიცინა ---------- 211

ხსოვნა

ლეო ჩიქავა ---------- 216
ვალერი ქირია ---------- 218

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მიმართულებები

რეგიონის ცნების რაობა

შოთა ყიზილაშვილი
სტუ-ს ემერიტუსი პროფესორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
კონსტანტინე ყიზილაშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

წარმოადგენილ სტატიაში „რეგიონის ცნების რაობა" განხილულია რეგიონის ცნების შესახებ მეცნიერთა მოსაზრებები და სტატიის ავტორთა შეხედულებები.

რეგიონულ ეკონომიკაში მომუშავე მეცნიერთა კვლევის ობიექტია რეგიონი. ამიტომ რეგიონის ცნების სწორად გაგებას და განმარტებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ვინაიდან არასწორად გაგებული და განმარტებული რეგიონის ცნების პირობებში ჩატარებული ნებისმიერი მეცნიერული კვლევა და მისი შედეგები, ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონული ეკონომიკის ნებისმიერი პრობლემის სწორად გადაწყვეტაში. სტატიის ავტორთა აზრით, შედარებით სრულყოფილად მიაჩნიათ რეგიონის ცნების შემდეგნაირი განმარტება: რეგიონი არის ქვეყნის ტერიტორიის, დადგენილ საზღვრებში მოქცეული მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიშნების მქონე ნაწილი.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული ეკონომიკა, რეგიონი, ცნება, კვლევის ობიექტი, ტერიტორია, საზღვრების ფაქტორი, უგულებელყოფა, სტრუქტურა, რანგი, იერარქიული, სივრცე, რაიონი, აკვატორია, ტაქსონომიური ერთეული, სოციალური ინფრასტრუქტურა.

РЕЗЮМЕ

В предтавленной статье «Сушность понятия региона» рассмотрены мнения ученых и взгляды авторов данной статьи о понятии региона.

Объектом исследования ученых, работающих в региональной экономике, является регион. Поэтому важное значение имеет правильное понимание и восприятие понятия региона, так как проведенное в условиях неправильного восприятия этого понятия любое научное исследование и его результаты отрицательно влияют на верное решение любой проблемы региональной экономики.

По мнению авторов статьи, самой верной трактовкой понятия «регион» можно считать следующую: Регион – это часть территории страны, которая находится в пределах установленной границы и имеет присущие только ей, особые приметы.

رეგიონულ ეკონომიკაში მომუშავე მეცნიერთა კვლევის ობიექტია რეგიონი. ამიტომ რეგიონის ცნების სწორად გაგებას და განმარტებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ვინაიდან არასწორად გაგებული, აღქმული და განმარტებული რეგიონის ცნების პირობებში ჩატარებული ნებისმიერი მეცნიერული კვლევა და მისი შედეგები, ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონული ეკონომიკის ნებისმიერი პრობლემის სწორად გადაწყვეტაში.

მართალია რეგიონული ეკონომიკის მეცნიერების ფორმირებას დიდი ხნის ისტორია (XX საუკუნის 50 - იანი წლები) არა აქვს, მაგრამ ამ დარგში მომუშავე მეცნიერთა შორის: უ. აიზარდი, ა. გრანბერგი, ვ. დოლიატოვსკი, ნ. ნეკრასოვი, გ. ჩერკაშინი, ჩ. ალამზიევი, ნ. ბარანოვსკი, ლ. კოგანი, ვ. მელქაძე, ი. მიქელაძე, დ. მოურავიძე, ე. ხარაიშვილი, პ. ჯეიმსი, დ. მარტინი, ვ. გრასი, რ. პლატი, ს. თეზელაშვილი და სხვებს ჯერ კიდევ არ არის რეგიონის ცნების განმარტების თაობაზე ერთიანი აზრი ჩამოყალიბებული.

აქედან გამომდინარე ეს იმას ნიშნავს, რომ დღემდე არ არსებობს რეგიონის ცნების სრულყოფილი განმარტება. ამიტომ აუცილებელია რეგიონის ცნების შედარებით ზუსტი და სრულყოფილი განმარტების ცნების შემოტანა. რაც საშუალებას მოგვცემს იმისა, რომ სწორად გავერკვეთ ამ დარგში მომუშავე მეცნიერთა მიერ რეგიონის ცნების განმარტებების სრულყოფილებაში.

რეგიონულ ეკონომიკაში მომუშავე მეცნიერთა შეხედულებები, რეგიონის ცნების განმარტების შესახებ ასეთია: ა. გრანბერგი რეგიონს ასე განმარტავს: „რეგიონი არის განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც სხვა ტერიტორიებისგან გამოირჩევა განსხვავებული ნიშნებით, გააჩნია გარკვეული მთლიანობა და კავშირურთიერთობა შემადგენელ ელემენტებს შორის" (1,-16).

ჩვენი აზრით ა. გრანბერგის მიერ რეგიონის განმარტებაში ბევრი უზუსტობაა. განმარტებაში არ ჩანს რეგიონი რის განსაზღვრული ტერიტორიაა; ავტორი რეგიონს და ტერიტორიას აიგივებს, რეგიონის და ტერიტორიის გაიგივება არ შეიძლება იმიტომ, რომ რეგიონი არის ტერიტორიის ნაწილი და არა პირიქით. ასევე რეგიონის განმარტებაში უგულებელყოფილია საზღვრები; მით უმეტეს სა-

ზღვრები არის რეგიონის ტერიტორიის სიდიდის, ფართობის დადგენის ერთადერთი საშუალება. ნ. ნეკრასოვი რეგიონის განმარტებისას წერს: „რეგიონში იგულისხმება ქვეყნის მსხვილი ტერიტორია, მეტნაკლებად ერთგვაროვანი ბენებრივი პირობებით, ძირითადად საწარმოო ძალების განვითარების დამახასიათებელი მიმართულებით, ბენებრივი რესურსების კომპლექსის და პერსპექტიული, სოციალური ინფრასტრუქტურის საფუძველზე“ (2, - 29).

ნ. ნეკრასოვი, საერთოდ უგულებელყოფს რეგიონის საზღვრების ფაქტორს, გაიგივებულია ქვეყნის და რეგიონის ტერიტორიები. გ. ჩერკაშინის გაგებით რეგიონის განმარტება ასეთია - „რეგიონი სოციალურ - ტერიტორიული ერთიანობაა, გამოხატავს საზოგადოებრივი სისტემის მთლიანობას, გააჩნია ადმინისტრაციული, სამეურნეო - ეკონომიკური, სოციალურ - კულტურული დამოუკიდებლობა, სპეციფიკური საცხოვრებლის, კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების განვითარებით“ (3, - 4). გ. ჩერკაშინის მიერ რეგიონის წარმოდგენილი განმარტება თავიდან ბოლომდე გაუგებარია. მაგალითად, ძალზე ძნელია გაგება იმისა თუ რას გულისხმობს იგი როცა წერს: „რეგიონი სოციალურ - ტერიტორიული ერთიანობა, გამოხატავს საზოგადოებრივი სისტემის მთლიანობას“, ... „სპეციფიკური საცხოვრებლის, კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების განვითარებით“. იგი, ასევე უგულებელყოფს რეგიონის საზღვრების ფაქტორს. არ ჩანს რის ნაწილია რეგიონი.

ვ. დოლიატოვსკი რეგიონს ასე განმარტავს: „რეგიონი, თანამედროვე გაგებით არის რთული ტერიტორიულ - ეკონომიკური კომპლექსი, რომელსაც აქვს განსაზღვრული შინაგანი რესურსები, წარმოების საკუთარი სტრუქტურა, განსაზღვრული მოთხოვნები გარემოსთან დაკავშირებით“. (4, - 20).

რეგიონის ძალზე გაუგებარ განმარტებას იძლევა ლ. კოგანი. იგი რეგიონს ასე განმარტავს: „უფრო ფართოდ გავრცელებული სოციოლოგიური თვალსაზრისით, სიტყვა „რეგიონში“ იგულისხმება ნებისმიერი ტერიტორიის დამოუკიდებელი სამეურნეო - ეკონომიკური და ადმინისტრაციული ურთიერთობა, დაწყებული სოფლიდან, რაიონიდან, დამთავრებული მსხვილი სახალხო მეურნეობრივი ტერიტორიული კომპლექსებით“ (5, - 25). აქ სხვადასხვა შინაარსითაა გამოყენებული სიტყვები რეგიონი და რაიონი, როცა ისინი იდენტურები არიან. ასევე უარყოფილია რეგიონის საზღვრების ფაქტორი. არ ჩანს რის ნაწილია რეგიონი.

რეგიონის საინტერესო, მაგრამ არასრულყოფილ განმარტებას იძლევიან პ. ჯეიმსი და დ. მარტინი. ისინი რეგიონს ასე განმარტავენ: „ჩვეულებრივ სიტყვა „რეგიონის“ ქვეშ იგულისხმება ერთიანი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც გამოირჩევა ზოგიერთი ერთგვაროვნებით, მაგრამ არ ფლობს მკაფიო საზღვრებს. უფრო მეტიც, ეს სიტყვა ხშირად იხმარება დიდი ტერიტორიების აღსანიშნავადაც. პროფესიულ ენაზე ტერმინები „რეგიონი“ ან „რაიონი“ ხასიათდება ერთგვაროვნებით“ (6, - 517). ჩვენი აზრით, ამ განმარტებაში ყველაზე დიდი შეცდომაა, რეგიონის საზღვრების ფაქტორის უარყოფა. არ ჩანს რეგიონი რომელი ტერიტორიის ნაწილია.

რეგიონის თავისებურ განმარტებას იძლევა დ. მოურავიძე. იგი რეგიონს ასე განმარტავს: „რეგიონი არის ქვეყნის სხვადასხვა რანგის, ე.ი. სიდიდის იერარქიული ტერიტორიული ნაწილი რაიმე პრაქტიკული ან შემეცნებითი მიზნებით გამოცალკევებული ტერიტორიული სივრცე“(7,- 5). ჩვენი აზრით აღნიშნულ განმარტებაში ზედმეტად მიგვაჩნია სიტყვების - რანგის, იერარქიულის, სივრცის ხმარება; უარყოფილია რეგიონის საზღვრების ფაქტორი.

ვ. გრასი რაიონს (რეგიონს) ასე განმარტავს: „რაიონი“, რა თქმა უნდა არ არის არც პოლიტიკური და ადმინისტრაციული ერთეული. იგი წარმოადგენს ტერიტორიას, რომელიც გამოირჩევა დამახასიათებელი ნიშნებით იმისათვს, რომ გამოიყოს (გამოირჩეს) მეზობლებისაგან“ (8,-21). ავტორს უგულებელყოფილი აქვს საზღვრების ფაქტორი, რაც არასწორია. ასევე იგი რაიონს და ტერიტორიას აიგივებს. არ ჩანს რის ნაწილია რეგიონი.

რ. პლატის განმარტებით „რაიონი“ - ეს არის ტერიტორია, გამოყოფილი მიწის ერთგვაროვნებით მისი ერთგვაროვანი გამოყენების საფუძველზე“ (9, - 24). ეს განმარტება მთლიანად გაუგებარია, ავტორი ჯერ ერთი რაიონს და ტერიტორიას აიგივებს, ხოლო მეორე მხრივ ძალზე გაუგებარია „მიწის ერთგვაროვნებით მისი ერთგვაროვანი გამოყენების საფუძველზე“. ავტორი ასევე უგულუბელყოფს საზღვრების ფაქტორს.

ვ. ხარაიშვილი რეგიონს ასე განმარტავს: „რეგიონი შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ბუნებრივი რესურსებისა და მოსახლეობის, წარმოებისა და მოხმარების, მომსახურების სფეროს ერთიანობა, არამედ როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებული ეკონომიკური ინტერესების მქონე სუბიექტი; ამ თვალსაზრისით, რეგიონი მრავალფუნქციური და მრავალასპექტრიანი სისტემაა“. (10,-13)

რეგიონის განმარტებაში არ ჩანს, რეგიონი ქვეყნის ტერიტორიაა თუ მისი ნაწილი. უგელებელყოფილია საზღვრების ფაქტორი. გაუგებარია გამოთქმა “რეგიონი მრავალფუნქციური და მრავალასპექტიანი სისტემაა“. რეგიონის გაიგივება სისტემასთან არა სწორია. იმიტომ, რომ სისტემა ერთი მთლიანობაა, რომელიც ცალკეული ნაწილებისგანაა შედგენილი, ხოლო რეგიონი სისტემის ერთი ნაწილია.

უცხო ენათა ლექსიკონში რეგიონი ასეა განმარტებული: „რეგიონი (ლათ. Regio (regionis ოლქი) 1) იგივეა, რაც რაიონი (1;) ტერიტორია (აკვატორია) ხშირად ძალიან მნიშვნელოვანი თავისი ზომებით (მაგრამ აუცილებელი არ არის ტაქსონომიურ ერთეულს წარმოადგენდეს), გაერთიანებული ეკონომიკურ - გეოგრაფიული ან სხვა თავისებურებე-

ბით, მაგ. ღვინისპირა რ. მოიცავს ყველა რაიონს დას. ან ჩრდ. ღვინის აუზში" (11, - 685). რეგიონის განმარტებაში არ ჩანს, რეგიონი ქვეყნის ტერიტორიაა თუ ტერიტორიის ნაწილი, ასევე უგულებელყოფილია საზღვრების ფაქტორი.

ზემოთ დასახელებული და სხვა მეცნიერთა მიერ რეგიონის განმარტების ანალიზიდან გამომდინარე, შედარებით სრულყოფილად მიგვაჩნია რეგიონის ცნების შემდეგნაირი განმარტება: რეგიონი არის ქვეყნის ტერიტორიის, დადგენილ საზღვრებში მოქცეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიშნების მქონე ნაწილი.

ვფიქრობთ, რეგიონის აღნიშნული განმარტება დიდად შეუწყობს ხელს რეგიონული ეკონომიკის ნებისმიერი პრობლემის სწორად გადაწყვეტაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Гранберг А; Основы региональной экономики, М; 2001
2. Некрасов Н; Региональная экономика;М 1975
3. Черкашин Г; Региональные проблемы социональные проблемы социональной политики, Свердловск; 1991
4. Долиатовский В; Зарубежный опыт комплекского развития регионов – Регионализация. 1994
5. Коган Л. Словарь прикладной социологии, минск; 1984
6. Джеймс П, Мартин Д; Все возможные миры, М; 1988
7. მოურავიძე დ; მოსაზრებები ქართული რეგიონული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესახებ; ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა"; №3, 2004
8. Грасы В; Региональная экономика, М; „Инфра" 2002
9. Платы Р, Региональная экеномика; М; „Инфра" 2002
10. ხარაიშვილი ე; რეგიონული ეკონომიკა; თბ; 2004
11. თეზელაშვილი ს; უცხო ენათა ლექსიკონი; თბ; 2005

უძრავი ქონების შეფასება და შემფასებლები საქართველოში

ნაზი ჭიკაიძე
სტუ-ს პროფესორი
ხელაძე თეკლე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომი, „უძრავი ქონების შეფასება და შემფასებლები საქართველოში“, ეხება მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული გავლენის მოხდენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. თანამედროვე პირობებში უძრავი ქონების როლის ზრდამ გამოიწვია ინტერესის ზრდა მისი შეფასების საკითხში. თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი მიდგომა უძრავი ქონების შეფასებაში. ეს გარკვეულ ქაოსს იწვევს. ამან განაპირობა ისეთი სისტემის შემოღების აუცილებლობა, რომელიც მისაღები იქნებოდა თითოეული ქვეყნისათვის. შეფასების ერთიანმა, საერთაშორისო სისტემამ, შესაძლებელი გახადა უძრავი ქონების შეფასება საერთაშორისო დონეზე. შეფასების პროცესი მოიცავს კონკრეტულ ეტაპებს. კერძოდ, ეტაპების რაოდენობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა შეფასების გამოყენების მიზნობრიობა, ქონების ხასიათი, შეფასებისთის აუცილებელი სამუშაოების მასშტაბი, ასევე მონაცემთა ხელმისაწვდომობა. ქვემოთ წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ საკითხებს შეეხება.

გარდა საერთაშორისო სტანდარტებისა, უძრავი ქონების შეფასებისას, მნიშვნელოვანია პროფესიონალი შემფასებლების არსებობა. პროფესიონალი შემფასებლების არსებობის საკითხი საქართველოში უფრო მწვავეა, ვიდრე საერთაშორისო სტანდარტების არარსებობა, ვინაიდან საქართველოში არსებული „შემფასებლები“, ხშირ შემთხვევაში, საქართველოში გავრცელებულ სტანდარტებსა და მეთოდებსაც კი არ იყენებენ.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონება, უძრავი ქონების შეფასება, ღირებულება, ფასი, სტანდარტი.

REAL ESTATE APPRAISAL AND APPRAISERS IN GEORGIA

Nazi Chikaidze
Professor of GTU – Georgian TeChnical University
Tekle Kheladze
PhD student of GTU – Georgian Technical University

ABSTRACT

The thesis of this work, “ International Valuation Standards Of Real Estate And Problems Of Their Use In Georgia “, is dedicated to the discussion of the important issues, which may have some influence on the country’s economy. In modern conditions real estate takes importante part in the country’s economy . so it’s creates interest in assessment of the real estate. Each country has its own approach to the assessment of real estate. This leads to a certain chaos. Therefore it was necessary to introduce such a system, which would be acceptable for the countries. The evaluation process includes specific steps. In particular, the number of stages depends on factors such as the assessment of the purposeful use, the character of the property, review of the scale of the works, as well as database access. International system of the unified assessment, makes possible assesment the real estate on international level. This is the subject of the work below. Theme of this work reviews standards of valuation witch adopted by the International Council for assessment. The standards discussed in this theme , are based on international standards and are most often used in Georgia.

Besides international standards, real estate assessment is important for professional evaluators. The question of existence of professional appraisers is more acute than in the absence of international standards, because the “assessors” in Georgia often do not even use standards and methods wich are spread in Georgia.

key words: Real estate, Real Estate Appraisal,cost, price, standard.

შესავალი

უძრავი ქონება ეს არის მიწა, მიწაზე არსებული შენობა-ნაგებობები, ხეები და მიწისქვეშა წიაღისეული. უძრავი ქონება, თანამედროვეობაში, წარმოადგენს მოსახლეობის საკუთრებაში არსებული ქონების უმეტეს ნაწილს.

უძრავი ქონება ეკონომიკისთვის საინტერესო მაშინაა, თუ იგი წარმოდგენილია ღირებულებით ფორმაში. სწორედ ამიტომ, უძრავი ქონების შეფასებას, 21_ე საუკუნეში, დიდი ყურადღება ეთმობა.

უძრავი ქონების ბაზრის კვლევა თანამედროვე საქართველოში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მსოფლიო დონეზე უძრავი ქონების ბაზრის განვითარება უძრავი ქონების შეფასების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას მოითხოვს. უძრავი ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია უძრავი ქონების ბაზრის ეფექტური განვითარება.

უძრავი ქონების შეფასება, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პარალელურად, საერთაშორისო ხასიათის მატარებელი გახდა და შესაბამისად აუცილებელი გახდა შემოღებულიყო შეფასების ერთიანი, საერთაშორისო სისტემა, რომელიც გაითვალისწინებდა ყველა დაინტერესებული პირის ინტერესებს. სწორედ ამ საკითხის წამოჭრით, საფუძველი ჩაეყარა შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს (IVS), რომელიც შემუშავებული იქნა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საკონსულოს მიერ (IVSC).

სტანდარტების დამკვიდრების პარალელურად, მოთხოვნა წარმოიშვა პროფესიონალ და გამოცდილ შემფასებლებზე. სწორედ ამ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული მოცემულ სტატიაში.

ძირითადი ნაწილი

როდესაც ვსაუბრობთ უძრავი ქონების შეფასებაზე, მნიშვნელოვანია მრავალი ნიუანსის გათვალისწინება. მათ შორის უმნიშვნელოვანესია უძრავი ქონების კლასიფიკაცია, ვინაიდან მათი შეფასება სწორედ კლასიფიკაციაზეა დამოკიდებული. ყველა სახის ქონებას გააჩნია თავისი სპეციფიკა და შესაბამისად, შეფასების დროს საჭიროა მათი გათვალისწინება.

უძრავი ქონების ხასიათის განსხვავებულობიდან გამომდინარე, განსხვავებულია მისი შეფასების მეთოდები და სანდარტები. ქონების ზუსტი შეფასება მნიშვნელოვანია მისი ღირებულების დადგენისთვის.

მსოფლიოში კერძო საკუთრების, კორპორატიული და საზოგადოებრივი სიმდიდრის დიდ ნაწილს, უძრავი ქონება წარმოადგენს. შესაბამისად, წარმოიშობა უძრავი ქონების შეფასების სტანდარტებისა და შემფასებლების აუცილებლობა. უძრავი ქონების შემფასებლები არიან პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნებს უძრავი ქონების ფლობისა და განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით.[1]

შეფასება არის შემფასებლის მეთოდური დასკვნა უძრავი ქონების ფასის შესახებ.[2] შესაფასებელი ობიექტის შეფასების საფუძველს წარმოადგენს შემკვეთსა და შემფასებელს შორის დადებული შეფასების ხელშეკრულება, რომელიც კანონს შეესაბამება.

უძრავი ქონების შეფასება მნიშვნელოვანია:

- ყიდვა-გაყიდვის ან გაქირავების, დაგირავების შემთხვევაში;
- აქციონერული საქმიანობისა და ქონების წილის გაყოფის შემთხვევაში;
- ახალი მეწილეების მოზიდვისა და დამატებითი აქციების ემისიის დროს;
- გადასახადის დადგენის მიზნისთ ქონების ობიექტების (შენობების და მიწის ნაკვეთების) შეფასება;
- უძრავი ქონების ობიექტების დაზღვევისთვის;
- უძრავი ქონების დაგირავნება საკრადიტო ანაზღაურებისთვის;
- უძრავი ქონების გამოყენება, როგორც წარმოების საწყისი კაპიტალი;
- საინვესტიციო პროექტების შემუშავებისა და ინვესტორების მოზიდვის დროს;
- უძრავი ქონების ობიექტების ლიკვიდაციის დროს;
- მემკვიდრული უფლებების აღსრულების დროს, სასამართლო გადაწყვეტილების დროს, ქონებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისას;
- უძრავ ქონებაზე საკუთრების ულებების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.[3]

შეფასების საერთაშორისო სტანდარტები შემუშავებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IVSC) მიერ. იგი დაარსდა 1980 წლის დასაწყისში უძრავი ქონების შემფასებლების მიერ. 90_იანი წლებიდან მოიცავს ბიზნესის შეფასების საკითხებსაც. შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IVSC) (შსსს) არის დამოუკიდებელი, არაკომერციული, კერძო სექტორის ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია, ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს.

როდესაც შეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ შეფასება განხორციელდა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, იგულისხმება, რომ დაცულია ყველა შესაფერისი ცალკეული სტანდარტის მოთხოვნა.

შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მოწოდებული სტანდარტები ითვალისწინებს, როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების შეფასების სტანდარტებს. შეფასების საერთაშორისო საბჭოს მიერ შემუშავებული ზოგადი სტანდარტე-

1 Understanding the Appraisal, Copyright © 2013 Appraisal Institute.

2 International Valuation Standards, 2011

3 Оценка недвижимости, Грязнова А.Г., Федотова М.А. 2010

ბია:[4]

- შსს 101- „სამუშაოს მასშტაბები“;
- შსს 102- „შეფასების განხორციელება“;
- შსს 103- „ანგარიშის მომზადება“.

აღნიშნული ზოგადი სტანდარტებისა, 2017 წლიდან მათ რიცხვს დაემატა სტანდარტები 104 და 105:

- შსს 104- „ღირებულების საფუძვლები - დასკვნის საფუძვლები“
- შსს 105- „ შეფასების მიდგომები და მეთოდები - დასკვნის საფუძვლები“

შსს 104 სტანდარტი მოიცავს IVS თანახმად დადგენილ ღირებულებას, გარდა ამისა სხვა ორგანიზაციების მიერ დადგენილ ღირებულებას. ამ სტანდარტის მიზანია შექმნას ინფორმაციული ბაზა, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია შესაფასებელი ობიექტის შესახებ და მისი ღირებულების ყველა შესაძლო ვარიანტი, ღირებულების დადგენის სხვადასხვა ვარიანტები, რათა მომხმარებლისთვის მარტივი იყოს ინფორმაციის მიღება.

შსს 105 მოიცავს შეფასების სრულფასოვან მეთოდებსა და მიდგომებს, რომლების გამოიყენება ყველა შეფასების პროცესში და იგი წარმოადგენს გენერალური სტანდარტების ნაწილს.

2017 წლიდან შეიცვალა სტანდარტი 230 და გახდა შსს 400 – „ინტერესი უძრავ ქონებაში“. უძრავ ქონებაში არსებული ინტერესების შეფასებასთან მიმართებით ზოგად სტანდარტებში მოცემული პრინციპები გამოიყენება. წინამდებარე სტანდარტი მოიცავს მხოლოდ ამ პრინციპების სახეცვლილებებს, დამატებით მოთხოვნებს ან კონკრეტულ მაგალითებს, თუ როგორ გამოიყენება ზოგადი სტანდარტები ისეთ შეფასებებში, რომლებსაც ეს სტანდარტი ეხება.

ასევე შეიცვალა სტანდარტი 233 –„მშენებარე საინვესტიციო ქონება“ და 2017 წლის მონაცემებით ეს არის სტანდარტი 410, რომელიც მოიცავს ზოგად სტანდარტებს და შსს 400 – „ინტერესი უძრავ ქონებაში“. წინამდებარე სტანდარტი მოიცავს მხოლოდ ამ პრინციპების სახეცვლილებებს.

შსს 310 უძრავ ქონებაში არსებული ინტერესების შეფასება სესხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის მოიცავს საკითხებს, რომლებიც შეეხება სესხის უზრუნველყოფას უძრავი ქონებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის მიზანია ქართული ბაზრი გახდეს საერთაშორისო ბაზრის მონაწილე, ჯერ კიდევ უამრავი ცვლილებაა განსახორციელებელი. ყველაზე მწვავედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უძრავი ქონების ბაზრის საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კომპანიები, რომელთა საქმიანობის სფეროს სწორედ უძრავი ქონების შეფასება წარმოადგენს, ეს სფერო საწყის ეტაპზეა. ეს გამოწვეულია რიგი ფაქტორებით.

მიუხედავად ამისა, საქართველოში არსებობს სტანდარტები, რომლებიც დაფუძნებულია შეფასების საერთაშორისო საბჭოს მიერ შემუშავებულ სტანდარტებზე. ეს სტანდარტებია:

1. შეფასება საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით;
2. შეფასება არასაბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით;
3. შეფასების ანგარიში.[5]

შეფაების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პრობლემის იდენტიფიკაცია; კლიენტი; შეფასების დასკვნის მომხმარებლები; შეფასების დასკვნის გამოყენების მიზნობრიობა; ღირებულების სახე და მისი განსაზღვრა; შეფასების თარიღი; ქონების იმ მახასიათებლების იდენტიფიკაცია, რომლებიც მნიშვნელოვანია შესაფასებელი ღირებულებისა და შეფასების დასკვნის გამოყენების თვალსაზრისით; შეფასების პირობები.

რაც შეეხება მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება საქართველოში, ესენია:

- გაყიდვების შედარების მეთოდი;
- შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდი;
- დანახარჯების მეთოდი.[6]

კონკრეტულად მიწის შეფასების დროს გამოიყენებენ შემდეგ მეთოდებს:[7]

- **გაყიდვების შედარება;**
- მიწის ნაკვეთისა და შენობის ღირებულებას შორის წილობრივი გადანაწილება;
- ღირებულების გამოყოფა;
- ნაკვეთებად დაყოფა;
- ნაშთის ტექნიკა (ნარჩენი ღირებულება);
- მიწის საიჯარო შემოსავლის კაპიტალიზაცია (ზედმეტი ღირებულების ან ქონების ფულად კაპიტალად გადაქცევა);

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები იყენებენ ეგრეთ წოდებულ URAR(Uniform Residential Appraisal Report) საცხოვრებლის უნივერსალური შეფასების ანგარიშსს, რომელშიც დეტალურადაა ჩამოთვლილი უძრავი ქონებისა და მასზე შესადარებელი ობიექტების ყველა ანგარიშგასაწევი პარამეტრი. URAR-ის მიხედვით უძრავი ქონების შეფასების მექანიზმი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და კომპლექსურად ითვალისწინებს ობიექტის ლოკაციას, ურბანული განვითარების დონეს, მიმდებარე ტერიტორიის განვითარების ტემპს, ფასების ზრდისა თუ ვარდნის ტენდეციას ობიექტის სიახლოვეს, მოთხოვნა-მიწოდების ბალანსს მიმდებარე ტერიტორიაზე, ანგარიშსწორების ფორმას, ხმაურის და აქტივობის დონეს, საკანალიზაციო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ორგანიზებას, ობიექტის ექსპლუატაციის ვადას, შენობის ფუნდამენტის ტიპს და მდგრადობას, გადახურვის ტიპს, გამოყენებულ და ექსტერიერის მოსაპირკეთებელ მასალებს, ობიექტის ცვეთის დონე, სამე-

4 International Valuation Standards, 2017

5 http://asset-ge.org/standards-2/

6 ანგარიში უძრავი ქონების შეფასების შესახებ, http://www.railway.ge/files/Proeqtebi/bypass/ang.pdf

7 უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთის შეფასება, http://www.aura.ge/menu/2-istoriebi/133-palitra/1062-udzravi-qoneba--mitsis-nakvetis-shefaseba.html

ზობლოს სოციალურ სტატუსს, შენობის ენერგო ეფექტურობას, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას, ობიექტის ინოვაციურ-ტექნოლოგიურ სერვისს და სხვა მრავალ ფაქტორს.

აღნიშნული შეფასების მეთოდის გამოყენება საქართველოში შეუძლებელია, ვინაიდან საქართველოში არ არის გათვალისწინებული არცერთი ანგარიშგასაწევი პარამეტრი, რომელზედაც საუბარია აღნიშნულ შეფასების ანგარიშში.

საქართველოში უძრავი ქონების შეფასება მრავალი ფაქტორის უგულებელყოფით ხდება. სწორედ ამიტომ, საჭიროა ქვეყანაში არსებობდეს ობიექტური და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა. ამ საკითხის მიმართ, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ინტერესი დღითიდღე იზრდება. თუმცა მხოლოდ ინტერესის ზრდა სფეროს განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს, საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების გატარება და რაც მთავარია, მოხდეს კანონმდებლობის გადახედვა.

დასკვნა

საქართველოში დღეისათვის, როგორც უკვე არაერთხელ იქნა აღნიშნული, ინტერესი უძრავი ქონების ბაზრის განვითარების მიმართ იზრდება, ვინაიდან მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის დიდ ნაწილს სწორედ ეს სფერო მოიცავს. მიუხედავად მზარდი ინტერესისა, საქართველოში შემფასებლების დაბალი დონეა. ჩვენი პრაქტიკისთვის დამახასიათებელი არაა უძრავი ქონების შეფასება სხვადასხვა მიზნისთვის. უძრავ ქონებაზე ფასები ძირითადად პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობს და ღირებულების დადგენის დროს არ არის გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ ხსენებული სტანდარტი. საქართველოში არსებულ შემფასებლებს არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკა უძრავი ქონების შეფასებისას საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებისა. ამავე დროს ჩვენი კანონმდებლობით არ მოეთხოვებათ არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ შეფასება მოხდა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ შეფასების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებისთვის უნდა არსებობდეს ობიექტი, რომელიც აგებულია რომელიმე საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით. ქართული რეალობიდან გამომდინარე, არსებული პრობლემის დანახვა შესაძლებელია შეუიარაღებელი თვალითაც კი, ამ შემთხვევაში საუბარია შენობა-ნაგებობებზე, რომელთა რიცხვიც გამუდმებით იზრდება. აღნიშნული პრობლემა სხვა მრავალი პრობლემის გამომწვევი მიზეზი ხდება. შესაბამისად აუცილებელია ამ საკითხისადმი სათანადო ყურადღების დათმობა. აუცილებელია შესაბამისი კანონმდებლობის შემოღება და საქართველოში არსებული მცირე რაოდენობის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა, რომელთა ფუნნქციონირების სფერო ამ საკითხებს მოიცავს.

კომპეტენტური შეფასების ორგანოებისა და შემფასებლების არსებობა, სფეროს განვითარებას ხელს შეუწყობს და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას საშუალებას მისცემს განვითარდეს საერთაშორისო დონეზე ამ მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიჭინავა ა., კოღუაშვილი პ., ეგიაშვილი დ., მესხიშვილი ა. „უძრავი ქონება“, თბილისი, 2012
2. The Appraisal of Real Estate, 847 pages, 14th Edition , (2013)
3. Understanding the Appraisal, Copyright © 2013 Appraisal Institute.
4. Оценка недвижимости, Грязнова А.Г., Федотова М.А. 2010
5. International Valuation Standards, 2013
6. International Valuation Standards, 2017
7. ანგარიში უძრავი ქონების შესახებ, http://www.railway.ge/files/Proeqtebi/bypass/ang.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია 10/04/2018
8. http://asset-ge.org/standards/ უკანასკნელად გადამოწმებულია 10/04/2018
9. https://www.ivsc.org/news/article/ivsc-launches-new-global-standards-for-valuation-profession უკანასკნელად გადამოწმებულია 10/04/2018
10 უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთის შეფასება,http://www.aura.ge/menu/2-istoriebi/133-palitra/1062-udzravi-qoneba--mitsis-nakvetis-shefaseba.html უკანასკნელად გადამოწმებულია 10/04/2018

აბრეშუმის გზა

აბილ ასლანოვი,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

2017 წლის 30 ოქტომბერს ბაქოში ოფიციალურად გაიხსნა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. გახსნის საზეიმო ცერემონიაში 5 ქვეყნის ლიდერმა მიიღო მონაწილეობა. რკინიგზა, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას ევროპასთან აკავშირებს, განიხილება როგორც „რკინის აბრეშუმის გზა". მას ეკონომიკურ წინსვლასა და რეგიონის სტაბილურობის ხელშეწყობაზე მიმართულ პროექტად მიიჩნევენ..

ყარსისა და ახალქალაქის შორის აშენდა 105 კილომეტრი სიგრძის ახალი ხაზი, რომლის 76 კმ-მა გადაკვეთა თურქულ მხარე, ხოლო 29 კმ-მა ქართულ მხარე. ახალქალაქიდან მარაბდამდე არსებული სარკინიგზო ხაზი და თბილისი-ბაქოს ხაზი იქნა მოდერნიზებული.

ხაზის საერთო სიგრძე - 826 კილომეტრი და საწყის ეტაპზე მისი საშუალებით შესაძლებელი იქნა 1 მილიონი მგზავრის გადაყვანა და 6,5 მილიონი ტონა ტვირთბრუნვა. ხოლო შემდეგ ეს მოცულობა გაიზრდება 3 მილიონ მგზავრამდე და 15 მილიონ ტონა ტვირთბრუნვამდე.

2014 წლის ივნისში აზერბაიჯანის რკინიგზამ გამოაცხადა, რომ ხელი მოაწერა "Stadler Rail" შვეიცარულ ფირმასთან 120 მილიონი დოლარი (115 მილიონი ევრო) ღირებულების ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც საძინებელი ვაგონებით და მოსრიალე ბორბლების წყვილებით 3 მატარებელი გადაეცა 2016 წლის შუიდან 2017 წლის შუამდე.

BAKU–TBILISI–KARS RAILWAY

Abil Aslanovi,
GTU phd student

SUMMARY

The Baku-Tbilisi-Kars project is intended to complete a transport corridor linking Azerbaijan to Turkey (and therefore Central Asia and China to Europe) by rail.

In total 105 kilometers of new line will be built between Kars and Akhalkalaki, with 76 kilometers within Turkey and 29 kilometers in Georgia. The existing railway line from Akhalkalaki to Marabda and on to Tbilisi and Baku will be modernized.

Its total length will be 826 kilometers and it will be able to transport 1 million passengers and 6.5 million tons of freight at the first stage. This capacity will then reach 3 million passengers and over 15 million tons of freight.

In June 2014, Azerbaijan Railways announced that they had signed a SFr 120 million (EUR 115 million) contract with the Swiss firm Stadler Rail AG to supply 3 ten-car variable-gauge sleeper trains, to be delivered between mid-2016 and mid-2017.

ათასობით წლის წინ, „დიდი აბრეშუმის გზა" აკავშირებდა ერთმანეთთან ევრაზიის სხვადასხვა ნაწილში მდებარე უდიდეს ცივილიზაციებს. იმ უძველეს ეპოქაშიც, კომუნიკაცია არა მხოლოდ პრუდუქციის, არამედ ტექნოლოგიების, იდეების, აღმოჩენების გაცვლის, იდეალთა და ღირებულებათა გავრცელების საშუალება იყო. 1998 წელს, სენატორ ბრაუნბეკის ინიციატივით, ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მიიღო რეზოლუცია „ახალი აბრეშუმის გზის" მხარდაჭერის შესახებ.

ისევე როგორც უძველეს ეპოქაში, ამ პროექტის მიზანია აზიის სწრაფად მზარდ ბაზრებთან დამაკავშირებელი უმოკლესი და უსწრაფესი ალტერნატიული გზების ძიება, კომუნიკაციათა დივერსიფიცირება, ტექნოლოგიების გავრცელება და ენერგომატარებელთა სტაბილური მიწოდება.

„ახალი აბრეშუმის გზის" ფარგლებში უკვე მოქმედებენ ტრასეკას, აგრეთვე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის „დიდი ნავთობსადენისა" და ბაქო-თბილისი-ერზრუმის „დიდი გაზსადენის" მაგისტრალები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალეს ეკონომიკური რეალობა კასპია - შავი-ზღვის რეგიონში, შექმნეს განვითარების ახალი პირობები და გააძლიერეს არა მხოლოდ ამ რეგიონის ქვეყნების, არამედ ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოება.

რკინის აბრეშუმის გზა ამოქმედდა 2017 წლის 30 ოქტომბერს და ეს გახდა ისტორიული მოვლენა მსოფლიო ეკონომიკისათვის, რომელსაც სულ მალე იგრძნობს ჩვეულებრივი ადამიანი თუ ბიზნესმენი, ვისაც მიეცემა საშუალება ბევრად სწრაფად და იაფად მიაწოდოს პროდუქცია მომხმარებელს, გააფორმოს ხელსაყრელი კონტრაქტები და აითვისოს ახალი ბაზრები. მაგისტრალის ამოქმედებისთანავე ჩინეთი, ყაზახეთი, ინდოეთი, მთელი ცენტრალური აზია, ისევე, როგორც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები ევროპისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება და პირიქით, ევროპის ქვეყნები აზიისთვის.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნის ცერემონიაში აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი, თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოანი, ყაზახეთის პრემიერ-მინისტრი ბაკიტჟან საგინტაევი და უზბეკეთის პრემიერ-მინისტრი აბდულა არიპოვი მონაწილეობდნენ. მათ სიმბოლურად გადაიყვანეს ისრები, გახსნეს მემორიალური დაფა და იმგზავრეს მატარებლით, რომელმაც ახლად გახსნილ სარკინიგზო მაგისტრალზე გაიარა.

რკინის აბრეშუმის გზა გლობალური მნიშვნელობის ას საუკეთესო პროექტს შორის მოხვდა.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი ითვალისწინებს ევროპული ლიანდის (1435 მმ) ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას სადგურ ახალქალაქიდან სადგურ ყარსამდე საერთო სიგრძით 98 კმ. საიდანაც საქართველოს მხარეს არის 30-კილომეტრიანი სარკინიგზო მაგისტრალი ახალქალაქი – კარწახის (თურქეთის საზღვარი) მიმართულებით, ხოლო თურქეთის მხარესაა კარწახიდან ყარსამდე 68 კმ სიგრძის მონაკვეთი.

საქართველოს მხარეს განლაგებული ევროპული ლიანდის რკინიგზის მუშა პროექტი დამუშავებულია შპს "საქტრანსპროექტის" მიერ. პროექტი ითვალისწინებს ევროსტანდარტების I კატეგორიის რკინიგზის პარამეტრებით ახალი ხაზისა და სასაზღვრო სადგური კარწახის მშენებლობას.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი არის ახალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც გააერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს.

ამ პროექტის განხორციელების შედეგად, თურქეთის გავლით, გაიხსნა სარკინიგზო დერეფანი კასპიის ზღვიდან ევროპისკენ, რომელიც საბოლოოდ გამორიცხავს საზღვაო გზით გადაზიდვის საჭიროებას მას მერე, რაც სტამბულში, ბოსფორის სრუტეში გამავალი რკინიგზის გვირაბის მშენებლობა დასრულდება. ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტით ასევე შესაძლებელი იქნება დერეფნის გახსნა, რომელიც რუსეთს თურქეთთან დააკავშირებს. ამ ხაზით მოხდება როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო გადაყვანები და ის მოიაზრება როგორც ალტერნატიული სატვირთო ტრანსპორტირების გზა ირანიდან მომავალი არსებული სატრანზიტო გზების ნაცვლად. კომპანიის მენეჯმენტი ფიქრობს, რომ ახალი სარკინიგზო ხაზი გაზრდის ტვირთბრუნვის, კერძოდ კონტეინერებით გადაზიდვადი ტვირთის მოცულობას, თუმცა იმის გამო, რომ სარკინიგზო გზა ახალია, მენეჯმენტის აზრით, მნიშვნელოვანი მოცულობის მიზიდვას დრო დასჭირდება. ამჟამინდელი ტვირთბრუნვის მიხედვით და სარკინიგზო ხაზის დაგეგმილ დროს გახსნის შემთხვევაში, მენეჯმენტი ფიქრობს, რომ 2015 წლისთვის კომპანიას შეეძლება შეცვალოს ამჟამად არსებული მინიმუმ 2 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვის მარშრუტი (უმთავრესად მშრალი ტვირთის, რომელის გადაზიდვაც ამჟამად სატვირთო მანქანებით ხდება) თურქეთის, კავკასიის, რუსეთისა და ცენტრალური აზიას შორის.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება 2007 წელს დაიწყო, მშენებლობა კი 2008 წელს და იგი ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიაზე მარაბდა – ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას და ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე.

მენეჯმენტის აზრით, თურქეთსა და ცენტრალურ აზიას შორის გაზრდილი ვაჭრობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან შესაძლებლობას სავაჭრო ნაკადის მისაპოვებლად, კერძოდ ცენტრალური აზიიდან თურქეთში იმპორტირებული ნედლეულისა და თურქეთიდან ექპორტირებული პროდუქციის. თურქულ-რუსული ვაჭრობის გათვალისწინებით, მენეჯმენტის აზრით, არსებობს დამატებით მოცულობის მოპოვების შესაძლებლობა, კერძოდ მშრალი ტვირთის, რომლის გადაზიდვაც ამჟამად ირანის, ან რუსულ-შავი ზღვის გზით ხდება.

ეს არის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი, რომლის საშუალებით აზია და ევროპა უერთდება ერთმანეთს. ჩვენ გვჯერა, რომ ეს პროექტი დააინტერესებს შუააზიის ქვეყნებს, ავღანეთს. ვფიქრობ, ამ პროექტმა უნდა მოიტანოს სტაბილურობა და სიმშვიდე.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი

„ბაქო-თბილისი-ყარსის" სარკინიგზო მაგისტრალი არა მხოლოდ სარკინიგზო პროექტია, არამედ მისი მნიშვნელობა ბევრად მეტია. Eეს არის გეოპოლიტიკური ინიციატივა და ნაბიჯი.

პროექტის მიზანს წარმოადგენს ახალი სატრანსპორტო კორიდორის ათვისება, რომელიც ერთმანეთთან არა მხოლოდ აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო სისტემებს დააკავშირებს, არამედ შექმნის საფუძველს შორეული აღმოსავლეთიდან ევროპის (და პირიქით) მიმართულებით ტვირთების ტრანსპორტირებისათვის. პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე, რკინიგზის მეშვეობით შესაძლებელი გახდება დაახლოებით 6,5 მილიონი ტონა ტვირტის გატარება, მომავალში დაგეგმილია გამტანუნარიანობის 17 მილიონ ტომანდე გაზრდა.

გარდა ამისა, 2015 წელს რკინიგზის მეშვეობით სატესტო სატვირთო მატარებელმა გაიარა, რომელმაც სამხრეთ კორეიდან ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით ევროპაში ჩასვლას მხოლოდ 15 დღე მოანდომა. ეს დრო კი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საზღვაო გზის მეშვეობით ტვირთების აზიიდან ევროპაში ტრანსპორტირებისათვის.

რკინიგზის ფუნქციონირების პერიოდში დაახლოებით 2500 ადამიანი იქნა დასაქმებული.

პროექტის ფარგლებში ტვირთების გადაადგილების საკითხთან ერთად, არსებობს მნიშვნელოვანი მოლოდინები მგზავრთა გადაადგილებასთან დაკავშირებითაც. ექსპერტთა გაანგარიშებით, რკინიგზის ფუნქციონირების საწყის ეტაპზე, ნავარაუდევია დაახლოებით 1 მილიონი მგზავრის გადაადგილება, ხოლო აზრბაიჯანის რკინიგზას უკვე გააჩნია ხელშეკრულება შვეიცარიულ კომპანია "სტადლერთან" "შტადლერ" სამგზავრო ვაგონების წარმოებასთან დაკავშირებით. გრძელვადიან პერსპექტივაში, მგზავრთა რაოდენობამ შესაძლოა სამ მილლიონ ადამიანს მიაღწიოს წელიწადში.

მომავალი რკინიგზის ექსპლუატაციაში შეყვანა მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს სატრანზიტო პოტენციალს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ევროპიდან აზიის მიმართულებით და პირიქით ტვირთების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის, ჩვენი ქვეყნის მიმართ მსოფლიოს წამყვანი გეოპოლიტიკური მოთამაშეების, მათ შორის ჩინეთის, იაპონიის, აგრეთვე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან გეოპოლიტიკური ინტერესი კიდევ უფრო გაიზრდება. Uუფრო მეტი ქვეყანა უფრო მეტად იქნება დაინტერესებული საქართველოს სტრატეგიული ობიექტების დაცვითა და ქვეყანაში სტაბილურობის განმტკიცებით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში უცხოური ინცესტიციების დაბანდებით;

ევრო-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ფარგლებში საქართველოს როლის ამაღლება ხელს შეუწყობს ქვეყნის შემდგომ ინტეგრაციას ევროპულ სტრუქტურებში;

პროექტის წარმატებით განხორციელება და სავაჭრო ბრუნვის ზრდა, კიდევ უფრო გაამყარებს ურთიერთობებს სამ სტრატეგიულ პარტნიორს – აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ პერიოდში რამდენჯერმე გაიმართა სამი ქვეყნის თავდაცვის მინისტრების შეხვედრა. აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობა პირველ რიგში შეიძლება უკავშირდებოდეს სტრატეგიული ობიექტების ერთობლივ დაცვას, მაგალითად, ბაქო - თბილისი-ახალქალაქი - ყარსი მომავალი რკინიგზის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

აუცილებელია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ როგორც თურქეთის ტერიტორიაზე, ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში (მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში) სხვადასხვა ტერორისტული და დივერსიული დაჯგუფებები მოქმედებს. არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი რათა განვაცხადოთ, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა რუსეთის შესაბამისი სამსახურების მიერ ხორციელდება. ოფიციალური მოსკოვი ყველაფერს გააკეთებს, რათა კანონსაწინააღდეგო ქმედებების საშუალებით ზიანი მიაყენოს პირველ რიგში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, რომელთაც სატრანზიტო ფუნქცია გააჩნიათ. ტერორისტული და დივერსიული აქტების განხორციელება თავის მხრივ შელახავს საქართველოს - როგორც სატრანზიტო ქვეყნის იმიჯს და ეს ფაქტორი აგრეთვე ნეგატიურად აისახება აზერბაიჯანის, როგორც ენერგეტიკული რესურსების ექსპორტიორი, ასევე თურქეთის, როგორც ენერგეტიკული რესურსების იმპორტიორ, სატრანზიტო და დისტრიბუტორ ქვეყანაზე. აქედან გამომდინარე, საერთო საფრთხის არსებობამ შესაძლებელია გააძლიეროს სამ ქვეყანას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რკინიგზის ფუნციონირება ხელს შეუწყობს ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება საქართველოს აღნიშნული რეგიონის სომხური მოსახლეობის საქართველოში ინტეგრაციის შემდგომ პროცესზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ბაქო-თბილისი-ყარსის დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობის საქმეში დიდი პროგრესია.

განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო დიდი პროგრესი ბაქო-თბილისი-ყარსის დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობის საქმეში. ეს პროექტი უკვე დასასრულს მიუახლოვდა და ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ, რომ მან უახლოეს მომავალში დაიწყოს ფუნქციონირება. ეს პროექტი ასევე მნიშვნელოვანი განსახიერება გახლავთ იმ სამმხრივი თანამშრომლობისა, აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთს შორის, რომელსაც ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ.

ასევე, ჩვენ ვაგრძელებთ მჭიდრო ურთიერთობას, სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის რეალიზაციისა და კასპიის ენერგორესურსების დასავლეთისაკენ ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად საქართველოს გავლით.

რკინის აბრეშუმის გზა არის ისტორიული მოვლენა მსოფლიო ეკონომიკისათვის, რომელსაც სულ მალე იგრძნობს ჩვეულებრივი ადამიანი თუ ბიზნესმენი, ვისაც მიეცემა საშუალება ბევრად სწრაფად და იაფად მიაწოდოს პროდუქცია მომხმარებელს, გააფორმოს ხელსაყრელი კონტრაქტები და აითვისოს ახალი ბაზრები. მაგისტრალის ამოქმედებისთანავე ჩინეთი, ყაზახეთი, ინდოეთი, მთელი ცენტრალური აზია, ისევე, როგორც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები ევროპისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება და პირიქით, ევროპის ქვეყნები აზიისთვის. რკინის აბრეშუმის გზა გლობალური მნიშვნელობის ას საუკეთესო პროექტს შორის მოხვდა.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ პროექტის წარმატებით განხორციელება წარმოადგენს იმის ნათელ მაგალითს, თუ როგორ იქნება შესაძლებელი მრავალმხრივი თანამშრომლობა "ტრასეკას" (ევროპა-ცენტრალური აზია-კავკასია-ევროპის სატრანსპორტო დერეფანი) პროექტის ფარგლებში მონაწილე ქვეყნებს შორის, აგრეთვე, რკინიგზა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს გლობალურ პროექტებში კიდევ უფრო მეტად ინტეგრაციის პროცესზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://tr.wikipedia.org/wiki/Bak%C3%BC-Tiflis-Kars_demiryolu_hatt%C4%B1
2. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90
3. http://www.economy.ge/ge/media/news/baqosi-baqo-tbilisi-yarsis-sarkinigzo-proeqtis-sakoordinacio-sabwos-sxdoma-gaimarta
4. http://www.radiotavisupleba.ge/a/25383093.html
5. http://news.ge/ge/news/story/55911-ivanishvili-baqo-tbilisi-yarsis-sarkinigzo-khazis-forsirebul-mshenebloba-vtsdilobt
6. http://www.economy.ge/

საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილებათა „საგზაო რუკა“

ალექსანდრე ვაჭარაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის,
ეკონომიკის მიმართულების დოქტორანტი

რეზიუმე

სამეცნიერო ნაშრომში მოცემულია საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ინვესტიციათა ნაკადების გავრცელების მიმართულებები გლობალური კრიზისის შემდგომ პერიოდში. საინვესტიციო პოლიტიკის ტენდენციათა დახასიათებისას აქცენტირებულია საკუთრების კრიტერიუმზე დამყარებული პოლიტიკის ინსტრუმენტთა ეფექტიანობის საკითხები.

ნაშრომში განხილულია ინვესტორთა ,,მოქალაქეობის" საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკის პრობლემები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეჟიმის რეფორმა, რომელიც მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვაზეა ორიენტირებული გამოცხადებულია საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკის საფუძვლად. განხილული რეფორმის პირველ ეტაპზე ქვეყნების მიერ მიღწეულ იქნა კონსენსუსი ზოგადად რეფორმის გატარების შესახებ. მეორე და მესამე ეტაპებზე განხორციელდა ახალი ტიპური შეთანხმებები. დაიწყეს მოლაპარაკებათა წარმოება ახალ საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებათა შესახებ. ნაშრომში ხაზგასმულია UNICTAD-ის მიერ შემუშავებული საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებათა ,,საგზაო რუკაზე" ორიენტირების აუცილებლობა. ამ დამოკიდებულების მნიშვნელობა განსაკუთრებით მზარდია განვითარებადი ქვეყნებისთვის.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილებათა ,,საგზაო რუკა", პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეჟიმის რეფორმა.

ROADMAP FOR CHANGES IN THE INTERNATIONAL INVESTMENT POLICY

Summary

The scientific paper discusses the investment policies and the trends of international investment flows in the post-global crisis era. While studying the investment policy trends, the effectiveness of property criteria is emphasized.

The paper studies the investors' "citizenship" issue-related policy problems. FDI regime reform, which is focused to defend the sustainable development principles, has been declared as the basic principles of international investment policies. During the first stage of the reform, the general consensus about the needs of changes were reached by the countries. While the second and third phases of the policy implementation, the new typical agreements have been made. Furthermore, started the negotiation for making a new international investment agreements. The paper highlights the importance of the international investment agreements, created by UNCTAD, on the "road map". This issue is especially vital for developing countries.

Key words: foreign direct investment, "Roadmap" changes in investment policy, reform of foreign direct investment.

შესავალი

საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ ინვესტიციები ემსახურებოდეს მდგრადი განვითარების ინტერესებს, მაქსიმალურად გამოიყენოს მისი უპირატესობები და მინიმუმამდე დაიყვანოს მისივე ნეგატიური შედეგები. საკუთრების რთული სტრუქტურები ეჭვქვეშ აყენებს პოლიტიკის იმ ინსტრუმენტების ეფექტიანობას, რომლებიც ემყარება საკუთრების კრიტერიუმს და ფართოდ გამოიყენება ამ მიზნისთვის როგორც ქვეყნების დონეზე, ისე – საერთაშორისო დონეზე. ეს მოითხოვს ამ ინსტრუმენტების, როგორც საერთო მიზნის მისაღწევი საშუალებების გადაფასებას.

ამის მისაღწევად უნდა განხორციელდეს შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულება:

• უნდა დადგინდეს და გაანალიზდეს რეგულირების (საკუთრების ნიშანზე დამყარებული) ნორმების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობები;

• პოლიტიკის ინსტრუმენტების მართებული ურთიერთშეხამების გამოვლენა, რომელიც შედეგიანი და თანაზომიერი უნდა იყოს;

• საერთაშორისო ინვესტიციების ნაკადების ტენდენციათა დახასიათება;

• საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკის ტენდენციათა გაანალიზება;

ნაშრომი ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების 2014, 2015 და 2016 წლების მოხსენებებს მსოფლიო ინვესტიციების შესახებ. უცხოელ და ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებსა და დასკვნებს.

ნაშრომის შესრულების პროცესში გამოყენებულია სტატისტიკურ მონაცემთა გაანალიზების შედეგები, აბსტრაქციისა და არაემპირიული კვლევისა და ლოგიკური ანალიზის მეთოდები. ახალმა მონაცემე-

ბის ანალიზმა და პოლიტიკურმა ღონისძიებებმა, შეიძლება ბიძგი მისცეს შემდგომ გამოკვლევებს უფრო დასაბუთებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ისინი, ასევე, მკაფიოდ მიუთითებენ საერთშორისო კონსენსუსის შემდგომი ფორმირების აუცილებლობაზე. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD) კვლავაც მხარს დაუჭერს ამ მცდელობებს.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ქმედებათა გლობალური ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს ინვესტიციათა პროცედურების გამარტივებას, ემყარება "გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის 2012 წლის პოლიტიკის საფუძვლებს" და მის მდიდარ გამოცდილებას უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მთელ მსოფლიოში ინვესტიციათა წახალისებასა და გამარტივების პროცედურებთან დაკავშირებით. მისი დანიშნულებაა ამ სისტემური ხარვეზის აღმოფხვრა საინვესტივიო პოლიტიკაში. ის მოიცავს საქმიანობის 10 მიმართულებას, რომლებიც ითვალისწინებენ 40-ზე მეტ გადაწყვეტილებას საინვესტიციო პოლიტიკისთვის, შესაძლებელია მათი გამოყენება და ადაპტირება ეროვნული და საერთაშორისო ამოცანების გათვალისწინებით:

საინვესტიციო ნაკადები გლობალური მსოფლიოს რეგიონებში

გლობალური კრიზისის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა საეთაშორისო საინვესტიციო ნაკადების მიმართულებები და მათი ტენდენციები. აღსანიშნავია, რომ არა მარტო ქვეყნებმა განიცადეს საერთაშორისო საინვესტიციო სახსრების უკმარისობა არამედ აღინიშნა მათი არათანაბარზომიერი განაწილება მსოფლიოს რეგიონების მიხედვით.

აფრიკაში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოდინება 2015 წელს 54 მილიარდ დოლარამდე დაეცა, რამაც გამოიწვია 7%-ით შეკვეცა წინა წელთან შედარებით. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ზრდა ჩრდილო აფრიკაში მთლიანად გადაფარა მათი მოდინების შემცირებამ საჰარიდან სამხრეთით, განსაკუთრებით – დასავლეთსა და ცენტრალურ აფრიკაში. ნედლეულის დაბალი ფასები ამცირებდნენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ნაკადებს იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკა ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციას ემყარება. მოსალოდნელი იყო, რომ 2016 წელს პირდაპირ უცხოურ ინვვესტიციათა შედინება აფრიკაში ზომიერად გაიზარდა ლიბერალიზაციის ღონისძიებებისა და სახელმწიფო საწარმოთა დაგეგმილი პრივატიზაციის შედეგად.

აზიის განვითარებად ქვეყნებში გლობალური კრიზისის შემდეგ შეინიშნება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ზრდა 16%-ით, 541 მილიარდ დოლარამდე, რაც ახალი, სარეკორდოდ მაღალი დონეა. ეს მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობა აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის ქვეყნების მაღალმა მაჩვენებლებმა. ამავე დროს 2016 წელს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოდინება შენელდა და დაუბრუნდა 2014 წლის დონეს. რეგიონიდან გატანა შეიკვეცა დაახლოებით 17 %-ით, 332 მილიარდ დოლარამდე, რაც 2012 წლის შემდეგ პირველი შემცირებაა.(1)

სამხრეთ ამერიკასა და კარიბის აუზში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოდინება – თუ არ ჩავთვლით ოფშორულ ფინანსურ ცენტრებს – 2015 წელს ძველ ნიშნულზე (2012 წლის) – 168 მილიარდ დოლარზე რჩებოდა. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ზრდის შეჩერების მიზეზი იყო (ძირითადად, სამხრეთ ამერიკაში) შიდა მოთხოვნის ზრდის შენელება და "სავაჭრო პირობების" გაუარესება, რაც ნედლეულის ფასების დაცემამ განაპირობა. და პირიქით, ცენტრალურ ამერიკაში 2015 წელს შეინიშნებოდა დადებითი დინამიკა დამამუშავებელ მრეწველობაში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ზრდის წყალობით. 2016 წელს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოდინება რეგიონში კვლავ შენელდა კვლავწარმოების რთული მაკროეკონომიკური პირობების ზეგავლენით.(2)

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოდინება მცირდებოდა და მიაღწია თითქმის ათი წლის წინანდელ დონეს ნედლეულის დაბალი ფასების, შიდა ბაზრებზე კონიუნქტურის დაცემისა და შემზღუდველი ღონისძიებების/გეოპოლიტიკური დაძაბულობის ზეგავლენით. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა გატანა ამ რეგიონიდან ასევე შენელდა კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გამო. მოსალოდნელია, რომ 2015 წლის შემდეგ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოდინება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ზომიერად გაიზრდება.

მას შემდეგ, რაც ზედიზედ სამი წლის 2011, 2012 და 2013 წლების განმავლობაში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შედინება განვითარებულ ქვეყნებში მცირდებოდა, 2014 წელს ის მკვეთრად გაიზარდა და 2007 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია. ამის მთავარი ფაქტორი გახლდათ საერთაშორისო შდშ-ს (შესყიდვები და შერწყმები) გარიგებათა არნახულად მაღალი თანხები განვითარებულ ქვეყნებში. გამოცხადებული ინვესტიციები ახალ პროექტებში კვლავ მაღალი რჩებოდა. ამ ჯგუფის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა გატანა მკვეთრად გაიზარდა. თუ არ გავითვალისწინებთ შდშ-ს საერთაშორისო გარიგებათა კიდევ ერთი ტალღისა და კორპორაციათა კონფიგურაციის შეცვლის შესაძლებლობას, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა გაზიდვის გამოცოცხლება 2016 წელს, ალბათ, აღარ გაგრძელდა, 2015 წლის ბოლოსთვის ზოგიერთ მსხვილ განვითარებულ ქვეყანაში ზრდის დინამიკის შენელების გამო.

2015 წელს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოდინებამ სტრუქტურულად სუსტი და მოწყვლადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში აჩვენა ზომიერი ზრდა 2%-ით და 56 მილიარდ დოლარს მიაღწია. განვითარებადი ქვეყნები ამჟამად წარმოადგენს ინვესტიციათა ძირითად წყაროს ამ ქვეყნების ყველა კატეგორიაში. ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში მოდ-

ინება მესამედით გაიზარდა და 35 მილიარდ დოლარს მიაღწია, ხოლო ზღვისკენ გასასვლელის არმქონე ქვეყნებში და მცირე კუნძულოვან განვითარებად სახელმწიფოებში შეინიშნებოდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოდინების შემცირება, შესაბამისად, 18% და 32%-ით. განსხვავებული ტენდენციები ასახულია პირდაპირ ინვესტიციათა პროგნოზებშიც ამ ქვეყნების მიმართ, 2016 წლისათვის. თუ ზღვაზე გასასვლელის არმქონე განვითარებად ქვეყნებში, როგორც მოსალოდნელია, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ნაკადი გაიზრდება, ერთად აღებულ ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსა და კუნძულოვან მცირე განვითარებად სახელმწიფოებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა პროგნოზირებული მოცულობები კვლავ მცირე იქნება.(3)

მსოფლიოში არსებული საივესტიციო ნაკადების გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია ზოგადად ჩამოვაყალიბოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მიმართულებებისა და მახასიათებლების ტენდენციები:

- დაბალი ფასები აკავებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა განხორციელების პროცესს აფრიკაში;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინებამ აზიაში ახალ სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია;
- სამხრეთ ამერიკასა და კარიბის აუზში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინება ძველ დონეზე რჩება;
- 2015 წელს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში უკვე შეინიშნებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეტანის შემდგომი შემცირება;
- მკვეთრად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეტანა განვითარებულ ქვეყნებში;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სტრუქტურულად სუსტი და მოწყლვადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კვლავ კონცენტრირებულია მომპოვებელ მრეწველობაში.

კვლავ მნიშვნელოვანი საინვესტიციო ნაკადები მიედინება ოფშორულ ფინანსურ ცენტრებში. ოფშორული ფინანსური ნაკადების შენელების მიუხედავად, იმ ინვესტიციებისგან მიღებული შემოსავლების წილი, რომლებიც ასახულია დაბალგადასახადიან, ზოგჯერ კი – ოფშორულ იურისდიქციებში, მაღალია. წყვეტა შემოსავლის მიღების ადგილსა და საწარმოო ინვესტიციებს შორის, რომელიც საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს, სერიოზულად აშფოთებს ნაციონალურ დირექტიულ ორგანოებს.

ოფშორულ ფინანსურ ცენტრებში გამავალი ფინანსური ნაკადების შენარჩუნება და პოტენციური საგადასახადო დანაკარგები, რომლებიც გამოწვეულია წყვეტით შემოსავლის მიღებასა და საწარმოო ინვესტიციებს შორის, კიდევ ერთხელ მიუთითებს საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის მეტი შეთანხმებულობის მწვავე საჭიროებაზე (გლობალურ დონეზე). მათი ურთიერთქმედების ამაღლება ხელს შეუწყობს მათსავე შეთანხმებულობასა და ურთიერთშევსებადობას. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციამ შეიმუშავა შეთანხმებული საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის რიგი სახელმძღვანელო პრინციპები.

საინვესტიციო პოლიტიკის საერთაშორისო ტენდენციები

საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკის მიზნები და ინსტრუმენტები შეიმუშავა გაეროს ვაჭრობისა და განვითარების ორგანიზაციამ (რაც დაამტკიცეს ვაჭრობისა და განვითარების საბჭოს 31-ე სპეციალურ სესსიაზე).(4)

ნაშრომი ეფუძნება პროგრესს, რომელიც მიღწეული იქნა საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა (სსხ) რეჟიმის რეფორმირების საქმეში. აღნიშნული საერთაშორისო აქტივობის მიზანს წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა.

სსხ-ს რეჟიმის რეფორმა მიმდინარე პერიოდში (2015 წლიდან) შევიდა საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკა 2-ის ჩამოყალიბების პროცესში (პროცესის მთავარ სტადიაზე).

რეფორმის პირველ ეტაპზე (2012წ) ქვეყნებს შორის კონსენსუსი იქნა მიღწეული რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით. ქვეყნებმა გამოავლინეს რეფორმისადმი მიდგომისა და მოქმედების სფეროები. მათ განიხილეს სსხ-ს საკუთარი ქსელები, შეიმუშავეს ახალი ტიპური ხელშეკრულებები და დაიწყეს მოლაპარაკებათა წარმოება ახალი უფრო თანამედროვე სსხ-ბების დადებასთან დაკავშირებით. ახალი სსხ-ების უმრავლესობა მიჰყვება UNCTAD-ის მიერ შემუშავებული საინვესტიციო რეჟიმის რეფორმის „საგზაო რუკას". (5)

ყოვლისმომცველი რეფორმა მოითხოვს ორმხრივ მიდგომას - არა მხოლოდ ახალ ხელშეკრულებათა დადების მიმართულებით, არამედ მომქმედი ხელშეკრულებების მოდერნიზებასაც. მისი მნიშვნელობა შემდეგი სამი მიზეზითაა განპირობებული:

ა) ჯერ კიდევ ძალზე მაღალია პირველი თაობის ხელშეკრულებათა რაოდენობა; მოქმედ ხელშეკრულებათა 95% (2500 მეტი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება-სსხ) 2010 წლამდე პერიოდშია დადებული ამასთან ერთად 700 ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში;

ბ) პირველი თაობის ხელშეკრულებები ძალზე „ხისტია". მიმდინარე პერიოდის ინვესტორებსა და სახელმწიფოს შორის დავების დარეგულირების უმრავლეს შემთხვევებში ხელშეკრულებები 2010 წლამდეა დადებული. ამავე დროს უმრავლეს მათგანი შეიცავს მრავალმნიშვნელოვანსა და ბუნდოვან ფორმულირებებს.

გ) პირველი თაობის ხელშეკრულებები ამყარებენ შეუსაბამობებს. მათი მოქმედების გაგრძელება შექმნის სახელშეკრულებო ურთიერთობათა დუბლირებასა და ფრაგმენტაციას, აგრეთვე ურთიერთქმედებათა პრობლემებს.

რეფორმის მეორე ეტაპის 10 ვარიანტი.

მოქმედ ხელშეკრულებათა შეცვლის მსურველი ქვეყნებისთვის არსებობს პოლიტიკის მინიმუმ 10 ვარიანტი. აღნიშნული ვარიანტები სახელმწიფოთა ახალ პოლიტიკურ მიზნებთან შესაბამისობის საშუალებას იძლევა. ეს ვარიანტები ურთიერთგამომრიცხავი არ არის და ავსებს ერთმანეთს. (6). ისინი განსხვავდებიან რამდენიმე მხრივ, მათ შორის:

• აერთიანებენ და შეიცავენ ზომებს, რომლებსაც გააჩნიათ სპეციალური (ხელშეკრულებათა ნორმების განმარტება ან ცვლილება) ან პოლიტიკური (მონაწილეობა მრავალმხრივ საფუძველზე) ხასიათი საკითხებზე;

• ორიენტირება პროცედურულ საკითხებზე (ხელშეკრულებათა ცვლილება ან ახლის დადება);

• მოლაპარაკებათა შინაარსობრივი (საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური დაკავშირება) ხასიათის ცვლილება;

• სსხ-თა რეჟიმთან ურთიერთკავშირის გათვალისწინება (მაგალითად, ხელშეკრულებათა ცვლილება, სრულიად შეცვლა, ან ურთიერთქმედება მრავალმხრივ საფუძველზე);

• მოლაპარაკების შეწყვეტა ან ხელშეკრულებიდან გამოსვლა (მაგალითად, შეწყვეტა ცვლილებათა შეტანის სანაცვლოდ ან მრავალმხრივი ხელშეკრულებიდან გამოსვლა).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის 10 ვარიანტი წარმოადგენს სსხ-თა რეჟიმში ცვლილებათა შეტანის პირობებს და არა ხელშეკრულებათა შინაარსის შემუშავებას. მიმდინარე რეფორმის პოლიტიკის 10 ვარიანტის ზომები და მათი შედეგენი მდგომარეობს შემდეგში:

1. ხელშეკრულების დებულებებისთვის განმარტებათა ერთობლივად შემუშავება. ასეთი მიდგომა არა მარტო განმარტავს ხელშეკრულების დებულებათა (პუნქტების) შინაარსს, არამედ ზღუდავს სასამართლოებში განსახილველ სადაო საკითხთა მოცულობას;

2. ხელშეკრულებათა დებულებების ცვლილება. იგი გულისხმობს: მიმდინარე პერიოდში მომქმედ ხელშეკრულებათა შინაარსში ცვლილებათა შეტანა ახალი დებულებების გაზიარების გზით, მოქმედი ხელშეკრულებების ზოგიერთ დებულებაში ცვლილებათა შეტანა, ან არსებულ დებულებათა და პუნქტების გაუქმება;

3. მოძველებულ ხელშეკრულებათა შეცვლა. პირველი თაობის ხელშეკრულებათა ჩანაცვლება ახალი შეთანხმებით;

4. სსხ-ბათა ქსელის კონსოლიდაცია. ორმხრივი ან მეტი მხრის მონაწილეობის საფუძველზე არსებული პირველი თაობის საინვესტიციო ხელშეკრულებების გაუქმება და მათი ჩანაცვლება პლურალისტური სსხ-ებით;

5. არსებულ ხელშეკრულებათა შორის მიმდინარე ურთიერთქმედებათა რეგულირება. ნორმათა დადგენა, რომლებიც განსაზღვრავს მოცემულ პერიოდში სსხ- ებში მათ გამოყენებას;

6. გლობალურ სტანდარტებთან კავშირის დამყარება. სსხ-სა და საერთაშორისო სამართლის მხარეთა შორის არსებული ურთიერთქმედებისა და შეთანხმებულობის ხელშეწყობა და პოლიტიკის შემუშავება;

7. მონაწილეობა მრავალმხრივ თანამშრომლობაში. ბევრ მონაწილე ქვეყნებს შორის მოქმედი ახალი წესებისა და მათი განმარტებების შემუშავება. მოცემული სიახლეები უნდა გულისხმობდნენ მექანიზმსაც რომელიც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას;

8. პირველი თაობის უსაფუძვლო ხელშეკრულებათა უარყოფა. ქვეყნის განზრახვის რეალიზება, რომ არ გახდეს უკვე არსებული, მაგრამ ჯერ კიდევ არარატიფიცირებული ხელშეკრულების მონაწილე;

9. პირველი თაობის ხელშეკრულებათა მოქმედების შეწყვეტა მონაწილე მხარეებს ანთავისუფლებს ვალდებულებათა შესრულებისგან;

10. მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან მონაწილე რომელიმე ან რამდენიმე მხარის გასვლა ტოლფასია მათთვის შეთანხმების შეწყვეტისა, მაგრამ იგივე მდგომარეობა ძალაში ტოვებს ხელშეკრულებას სხვა მონაწილე მხარეთათვის (ანუ მისი ანულირება არ ხდება).(7)

იმისთვის რომ სწორი არჩევანი გავაკეთოთ და განვსაზღვროთ სსხ-ბათა რეფორმის პოლიტიკის რომელი ვარიანტი უნდა აირჩიოს ქვეყანამ კონკრეტულ სიტუაციაში უნდა ჩატარდეს (ამავე დროს ეს პერმანენტული პროცესი უნდა იყოს) ფართო ამოცანების განხორციელებაზე განკუთვნილი ხარჯებისა და სარგებელის საფუძვლიანი და ფაქტობრივი ანალიზი. მიმდინარე რეფორმის სტრატეგიულ ამოცანებში ჩართულია ერთიანი და დაბალანსებული შედეგების მიღწევა. იგი მოკლებულია რეფორმატორთა გადაჭარბებულ ამბიციურობას რაც სსხ-ს რეჟიმს აშორებს ინვესტიციათა წახალისებისა და დაცვის რეალური მიზნებისაგან. ამ მიმართულებით სისტემური პრობლემები ჩნდება ხარვეზებისგან, პარალელიზმისა და ფრაგმენტაციისგან რომლებიც ქმნის არასრულყოფილი შეთანხმებისა და ურთიერთკავშირის პრობლემებს. კოორდინაციის ამოცანები რეფორმის გატარებაში ითხოვს: პრიორიტეტულ მოქმედებათა ჩამოყალიბებას, ხელშეკრულებათა განხორციელებისა და უზრუნველყოფისთვის შესაფერისი პარტნიორების მოძიებას, პოლიტიკის შემუშავების სხვადასხვა დონეზე რეფორმის მოთხოვნებთან შეთანხმებას.

კვალიფიციური კადრების დეფიციტის პრობლემა განვითარებად ქვეყნებში ართულებს პირველი თაობის სსხ-ბათა ხარვეზების ლიკვიდირებას. აუცილებელია არჩევანის გაკეთება პოლიტიკის 10 ვარიანტიდან პარამეტრთა საუკეთესო კომბინაციის განსაზღვრისათვის. ვარიანტებიდან შერჩეული კომბინაცია საბოლოოდ უნდა ასახავდეს ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკის მიმართულებებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ეროვნუ-

ლი სტრატეგიასთან შესაბამისობაში. უფრო მეტიც, განვითარების პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს პარამეტრების კუმულაციურ გავლენასაც. ვარიანტების ზოგიერთმა კომბინაციამ შეიძლება გამოიწვიოს ის ფაქტი, რომ სახელშეკრულებო რეჟიმი მნიშვნელოვან წილად დაკარგავს ინვესტიციათა დაცვის ტრადიციულ დასაბუთებებს, რამაც შესაძლებელია სსხ-ბათა რეჟიმიდან სრული გასვლა გამოიწვიოს.

განსაკუთრებით ყოვლისმომცველი ხასიათის მქონე რეფორმირების ძალისხმევამ, უნდა გამოიყენოს სარგებელი, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნეს კანონის უზენაესობით, ინვესტორთა პროგნოზირებად მოლოდინზე რეაგირებით, გამჭვირვალობითა და სტაბილურობით პოლიტიკის შემუშავებაში. რეფორმის ვარიანტების შერჩევისას, პოლიტიკოსებმა უნდა განიხილონ და გაითვალისწინონ სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემები. სპეციალურ სამართლებრივ პრობლემებს შორის ყურადღებას იმსახურებს შემდეგი სამი სფერო: მომატებული კეთილგანწყობის რეჟიმის დებულებები, ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელებაზე არსებული და მიღებული დებულებები და ძველი ხელშეკრულებებიდან ახალზე გადასვლის რეჟიმის დებულებები. პოლიტიკის შემმუშავებლებმა და გამტარებელმა ორგანოებმა აუცილებელია მხედველობაში მიიღონ და თავიანთი მოქმედების გეგმებში სრულყოფილად გაითვალისწინონ ბევრი პრაქტიკული და პოლიტიკური პრობლემების წარმოშობის შესაძლებლობები.

გლობალურ მსოფლიოში სსხ-ბათა არჩეული პოლიტიკის ახალ ღონისძიებათა უმრავლესობა კვლავ ითვალისწინებს ინვესტიციათა წახალისებასა და ლიბერალიზაციას. ამ ღონისძიებათა 85% ინვესტორთათვის 2015 წელს ხელსაყრელი იყო. განვითარებადი ბაზრების მქონე აზიის ქვეყნები ყველაზე მეტად აქტიურობდნენ სხვადასხვა დარგებში მოსაზიდ ინვესტიციათა პირობების ლიბერალიზაციის პროცესებში. ამავე დროს ახალი ტიპის საინვესტიციო შეზღუდვებისა და/ან კანონების შემოღება, ძირითადად, სტრატეგიულ დარგებში უცხოური საკუთრების წილის ზრდამ გამოიწვია. შემოღებულ ცვლილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ხასიათდება ახალი საინვესტიციო კანონმდებლობის მიღებით ან არსებულის საფუძვლიანი გადახედვით. აღნიშნული პროცესი ძირითადად ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში უკვე მიმდინარეობდა.

ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა სულ უფრო მეტად გადაიქცა ეროვნული და საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორად. ქვეყნები ხელმძღვანელობენ ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვაგვარი კონცეფციებით, როდესაც ცდილობენ ინვესტიციათა მოზიდვის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ ეკონომიკური ინტერესები. სახელმწიფოთა მიერ ნაციონალური ეკონომიკური ინტერესების დაცვის წესების შემუშავებისას განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების დაცვის წესების ჩამოყალიბება. მათი გამოყენებისას უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებულ უნდა იქნას ინვესტორთათვის პროცედურათა გამჭვირვალობა და პროგნოზირებადობა.

აღსანიშნავია რომ კვლავ იზრდება საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა სივრცე. 2015 წლის დასაწყისში დაიდო 31 ახალი საინვესტიციო ხელშეკრულება და წლის ბოლოსთვის მათმა საერთო რაოდენობამ 3304-ს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად დადებულ ხელშეკრულებათა რაოდენობა კვლავ მცირდება, ზოგიერთ მათგანი მონაწილეთა დიდ რაოდენობაზე ვრცელდება და მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონა აქვს. ბოლო პერიოდის საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები ფორმდება სხვადასხვაგვარი მოდელების მიხედვით, ხოლო რეგიონაული ხელშეკრულებები ხშირად ძალაში ტოვებენ ამჟამად მოქმედ ორმხრივ მოლაპარაკებებს მონაწილეთა შორის (რაც მზარდ სირთულეებს იწვევს). 2016 წლის მაისის ბოლომდე თითქმის 150 ქვეყანა აწარმოებდა მოლაპარაკებებს, სულ ცოტა, 57 ახალი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების დადების შესახებ.(8)

2015 წელს, ამგვარი ხელშეკრულებების შესაბამისად, ინვესტორთა და სახელმწიფოს შორის უთანხმოებასთან დაკავშირებით აღიძრა 70 ახალი საარბიტრაჟო საქმე (ეს იყო ახალი წლიური რეკორდი). ბოლოდროინდელი ტენდენციის შესაბამისად, მაღალი იყო იმ საქმეთა წილი (40%), რომლებიც აღიძრა განვითარებული ქვეყნების წინააღმდეგ. საჯაროდ ხელმისაწვდომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს 2015 წელს მოჰყვა განსხვავებული შედეგები:

• საქმისწარმოების საიურისდიქციო სტადიაზე ხშირად ჭარბობდა გადაწყვეტილებები სახელმწიფოს სასარგებლოდ;

• გადაწყვეტილებები იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებმაც მიაღწიეს საფუძვლიანი (არსებრივი) განხილვის სტადიას, ხშირად ინვესტორთა სასარგებლოდ იყო მიღებული.

საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა რეფორმა ფართოვდება და პირველი კონკრეტული შედეგები მოაქვს. იქმნება საინვესტიციო ხელშეკრულებების ახალი თაობა. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) საინვესტიციო პოლიტიკის საფუძვლები და მისი "საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების „საგზაო რუკა" განსაზღვრავენ რეფორმის საკვანძო მიმართულებებს პოლიტიკის ფორმირების ყველა დონეზე. დაახლოებით 100-მა ქვეყანამ გამოიყენა პოლიტიკის ეს ინსტრუმენტები საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა საკუთარი სისტემის განსახილველად და დაახლოებით 60-მა გამოიყენა ისინი ხელშეკრულებათა დებულებების შესამუშავებლად. საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების რეფორმის ამ პირველი ეტაპზე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

• ქვეყნებმა მიაღწიეს კონსენსუსს რეფორმის აუცილებლობის შესახებ;

• მათ განსაზღვრეს მისი გატარების სფეროები და მეთოდები;

• განიხილეს საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა საკუთარი სისტემები;

• შეიმუშავეს ახალი ტიპური ხელშეკრულებები; და

• დაიწყეს მოლაპარაკებები ახალი, უფრო თანამედროვე (წესების თვალსაზრისით) საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა შესახებ.

მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი. საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა რეფორმის მეორე ეტაპზე ქვეყნებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ უკვე დადებული ხელშეკრულებების სისტემას. საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების რეფორმის პირველი ეტაპისგან განსხვავებით, როდესაც მუშაობა მიმდინარეობდა, ძირითადად, ქვეყნების დონეზე, რეფორმის მეორე ეტაპი მოითხოვს პარტნიორთა თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაფართოვებას, რათა თავიდან იქნას აცილებული სისტემური რისკები და შეუსაბამობა რომლებიც ბევრ ძველ ხელშეკრულებას ახასიათებს. 2016 წლის მსოფლიო საინვესტიციო ფორუმზე შესაძლებელი გახდა იმის განხილვა, თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო სსხ-ბათა რეფორმის მეორე ეტაპი.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა განხორციელების პროცედურათა გამარტივება. ამ მიმართულებით ხარვეზები პოლიტიკაში უნდა აღმოიფხვრას. ინვესტიციათა პროცედურების წახალისებასა და გამარტივებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განვითარების მომდევნო პერიოდში. ეროვნულ დონეზე მრავალმა ქვეყანამ შექმნა ინვესტიციათა პროცედურების წახალისებისა და გამარტივების სისტემები, მაგრამ მცდელობათა უმრავლესობა მიზნად ისახავს ინვესტიციათა წახალისებას (მათი განთავსების ადგილის გაფართოებისა და შეღავათების მეშვეობით) და არა მათი პროცედურების გამარტივებას (რაც აადვილებს ინვესტირების პროცესს). ძალზე იშვიათად ხდება საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში იმ კონკრეტული ღონისძიებათა ჩართვა, რომელთა დანიშნულებაც საინვესტიციო პროცედურების გამარტივებაა.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ქმედებათა გლობალური ერთობლიობა, რომლის მიზანია ინვესტირების პროცედურათა გამარტივება, გვთავაზობს პოლიტიკის ვარიანტებს რომლებიც უზრუნველყოფს:

• გამჭვირვალობისა და ინვესტორების ხელთ არსებული ინფორმაციის გაზრდას;

• ადმინისტრაციული პროცედურების ეფექტიანობისა და ქმედითობის უზრუნველყოფას; და

• პოლიტიკური ვითარების პროგნოზირებადობის ამაღლებას.

ქმედებათა ერთობლიობა შედგება საქმიანობის 10 მიმართულებისგან და 40-ზე მეტი გადაწყვეტილებისგან. ის მოიცავს ღონისძიებებს, რომელთა რეალიზებაც ქვეყნებს შეუძლიათ ცალმხრივი წესით. ამასთან ერთად იმ გადაწყვეტილებებს, რომელთაც შეუძლიათ საერთაშორისო თანამშრომლობის წარმართვა ან რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნან საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში.

ინვესტორთა „მოქალაქეობის" საკითხთან დაკავშირებული: პოლიტიკის გამოწვევები

უცხოური ფილიალების მქონე უდიდესი ტნკ-ის 40%-ზე მეტს მთელს მსოფლიოში რამდენიმე პასპორტი აქვს: ეს ფილიალები წარმოადგენს მფლობელობის რთული სქემების ნაწილს, რომელსაც მრავალი საერთაშორისო კავშირი აქვს და რომელშიც, საშუალოდ, მინიმუმ სამი იურისდიქცია მონაწილეობს. უცხოური ფილიალების მესაკუთრეთა და ინვესტორთა "მოქალაქეობის" საკითხი თანდათანობით სულ უფრო ბუნდოვანი ხდება.

"რამდენიმე პასპორტის მქონე ფილიალები" – ესაა საწარმოს საკუთრებაში არაპირდაპირი (ირიბი) უცხოური მონაწილეობის, მესამე ქვეყნებში ინვესტიციათა ტრანზიტისა და ადგილობრივი ინვესტიციების დაბრუნების შედეგი, როდესაც ადგილობრივ ინვესტიციებს გარეგნულად უცხოურის ფორმა აქვთ. უცხოური ფილიალების დაახლოებით 30% ეკუთვნის უცხოელ მესაკუთრეს არა უშუალოდ, არამედ — ადგილობრივი სტრუქტურის მეშვეობით; ფილიალების არა უმეტეს 10%-ის საკუთრება გაფორმებულია მესამე ქვეყანაში არსებული შუალედური სტრუქტურების მონაწილეობით; მათგან 1%, საბოლოო ანგარიშში, ადგილობრივ ინვესტორს ეკუთვნის. ამ ტიპების ფილიალები ბევრად უფრო გავრცელებულია უმსხვილეს მრავალეროვნულ საწარმოებში: მათი უცხოური ფილიალების 60%-ს აქვს მრავალრგოლიანი საერთაშორისო კავშირები მათსავე მესაკუთრესთან – დედა კომპანიასთან.

რაც უფრო დიდია მრავალეროვნული საწარმო, მით უფრო რთულია მისი საკუთრების შიდა სტრუქტურა. 100 მრავალეროვნული საწარმოდან თითოეულს – გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ტრანსნაციონალობის ინდექსის ზედა ნაწილში – აქვს მათი საკუთრების სტრუქტურის 7 დონე (ესე იგი, კავშირები მესაკუთრესა და ფილიალს შორის შეიძლება გადაკვეთოს 6-მა საზღვარმა), დაახლოებით 20 ჰოლდინგური კომპანია, რომლებიც ფლობენ ფილიალებს სხვადასხვა იურისდიქციაში, და თითქმის 70 სტრუქტურა ოფშორულ საინვესტიციო ცენტრებში.

უცხოური საკუთრების რეგულირების ნორმები საყოველთაოდაა მიღებული: ქვეყნების 80% ზღუდავს მაჟორიტარულ უცხოურ საკუთრებას, სულ ცოტა, ერთ დარგში მაინც. უცხოური საკუთრების რეგულირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების სფეროში შეიმჩნევა ლიბერალიზაციის ტენდენცია,

რაც მიიღწევა შეზღუდვათა გაუქმების, უცხოური სააქციონერო კაპიტალის ნებადართული წილის გაზრდის გზით ან იმის მეშვეობით, რომ უცხოელი ინვესტორებს უფრო მარტივად ეძლევათ ნებართვა და დაშვების უფლება. ამასთან, საკუთრების მრავალი შეზღუდვა ჯერ კიდევ ძალაშია როგორც განვითარებად, ისე – განვითარებულ ქვეყნებში.(8)

ინვესტორთა სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხის გაბუნდოვანებამ გააძნელა უცხოური საკუთრების რეგულირების ნორმათა გამოყენება. ზოგიერთ ქვეყანაში დირექტიულმა ორგანოებმა შეიმუშავეს უცხოური საკუთრების რეგულირების ნორმათა ეფექტიანობის უზრუნველსაყოფი მექანიზმები, მათ შორის – კანონები ცრუმაგიერი კომპანიების წინააღმდეგ, ზოგადი ნორმები ბოროტად გამოყენების აკრძალვის შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული უცხოური კონტროლი და, აგრეთვე დააწესეს ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები.

არაპირდაპირი საკუთრების სტრუქტურებსა და კომპანიებს – საფოსტო ყუთებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააფართოონ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების მასშტაბი. დაახლოებით ერთი მესამედი საქმეებისა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის უთანხმოების დარეგულირების შესახებ აღიძრება იმ სტრუქტურების მიერ, რომლებიც, საბოლოო ანგარიშში, მიეკუთვნება დედა კომპანიას (ის არაა იმ ხელშეკრულების მონაწილე, რომლის გამოც წარდგენილია სარჩელი) მესამე ქვეყანაში. ზოგიერთი ბოლოდროინდელი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება ცდილობს გადაჭრას ის პრობლემები, რომლებსაც წარმოქმნის საკუთრების გართულებული სტრუქტურები, და შემოაქვთ უფრო შემზღუდველი განსაზღვრები. ხელშეკრულებებში შეაქვთ შენიშვნები უფლებების უარყოფის შესახებ და არსებითი საქმიანი აქტივობის მოთხოვნები, მაგრამ ამჟამად არსებული ხელშეკრულებების უმრავლესობა ამგვარ მექანიზმებს არ ითვალისწინებს.

დირექტიულ ორგანოებს უნდა ესმოდეთ, რა შედეგები მოჰყვება საკუთრების რთულ სტრუქტურებს, რომლებიც იწვევენ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების დე-ფაქტო მრავალმხრივ ხასიათს. მაგალითად, დაახლოებით მესამედი გარეგნულად შიდა რეგიონალური უცხოური ფილიალებისა მსხვილ (ქმნადობის პროცესში მყოფ) მეგარეგიონალურ სახელშეკრულებო ზონებში, მაგალითად, ტრანსწყნარი ოკეანის სააგენტო, ტრანსატლანტიკური სავაჭრო-საინვესტიციო პარტნიორობა და რეგიონალური ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობა, საბოლოო ანგარიშში, მიეკუთვნება დედა ფირმებს რეგიონის საზღვრებს გარეთ, და წამოჭრის საკითხს იმის შესახებ, ვინ იღებს მოგებას ამ ხელშეკრულებებისა და მოლაპარაკებების შედეგად. დირექტიული ორგანოების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბუნდოვანების თავიდან აცილება როგორც ინვესტორების, ისე – სახელმწიფოებისთვის განკუთვნილ საერთაშორისო ინვესტიციათა რეჟიმის მასშტაბებთან (მოცვის სფეროსთან) დაკავშირებით.

იმგვარი საინვესტიციო პოლიტიკის გადააზრება, რომელიც ემყარება საკუთრების საწყისს, ნიშნავს საკუთრების რეგულირების ნორმათა ეფექტიანობის შენარჩუნებას და ალტერნატივათა განხილვას. ერთი მხრივ, დირექტიულმა ორგანოებმა უნდა შეამოწმონ საკუთრების რეგულირების ნორმების "გამოსადეგობა" იმ მექანიზმებთან შედარებით, რომლებიც გამოიყენება საინვესტიციო პოლიტიკასთან დაკავშირებულ სფეროებში, ისეთებში, როგორებიცაა კონკურენცია, გადასახადები და სამრეწველო განვითარება. მეორე მხრივ, დირექტიულ ორგანოებს შეუძლიათ განამტკიცონ მფლობელობის ჯაჭვებისა და საბოლოო საკუთრების შეფასება და სრულყონ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები. მაგრამ მათ უნდა გაითვალისწინონ ის ადმინისტრაციული ტვირთი, რომელიც ამის შედეგად შეიძლება დააწვეს სახელმწიფო ორგანოებსაც და ინვესტორებსაც.

მთლიანობაში, საერთაშორისო მდგრადი განვითარებისკენ სწრაფვის მიზნით ინვესტიციათა წახალისებისათვის მნიშვნელოვანია ბალანსის პოვნა ლიბერალიზაციასა და რეგულირებას შორის.

ინვესტირების პროცედურათა გამარტივებას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს 2015 წლის შემდგომ პერიოდში. ინვესტირების პროცედურათა გამარტივება განსხვავდება ინვესტიციათა წახალისებისგან. ინვესტიციათა წახალისება უკავშირდება ინვესტიციათა დანიშნულების ადგილის შეცვლას და ამიტომ ხშირად დაკავშირებულია ერთ კონკრეტულ ქვეყანასთან, ისე, რომ კონკურენტული ხასიათი აქვს. ინვესტირების პროცედურათა გამარტივება ნიშნავს ინვესტორებისთვის თავიანთი ინვესტიციების განთავსების ან გაფართოების და, აგრეთვე, ყოველდღიური მუშაობის გაიოლებას.

ინვესტირების პროცედურათა გაიოლება შეიძლება მოიცავდეს გამჭვირვალობისა და ინვესტორებისთვის არსებული ინფორმაციის გაზრდას; მუშაობას ინვესტორებისთვის განკუთვნილი ადმინისტრაციული პროცედურების ეფექტიანიბისა და ქმედითობის გაზრდას; პოლიტიკური გარემოს თანმიმდევრულობისა და პროგნოზირებადობის ამაღლებას კონსულტაციათა პროცედურების მეშვეობით; ასევე, ინვესტიციური კამათების დაძლევას ომბუდსმენების მოხმობის წყალობით.

სადღეისოდ ეროვნული და საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკა ინვესტირების პროცედურათა გამარტივებას შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს, ინვესტიციათა წახალისებისა და გამარტივებისთვის განკუთვნილი 170 ახალი ზომიდან, რომლებიც შემოტანილ იქნა მთელს მსოფლიოში 2010-2015 წლებში, ინვესტირების პროცედურათა გასამარტივებელი ღონისძიებები მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. საერთაშორისო დონეზე ამჟამად მოქმედი 3304 საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების დიდ უმრავლესობაში კონკრეტული ინვესტიციათა წამახალისებელი და გამამარტივებე-

ლი საინვესტიციო ღონისძიებები არაა გათვალისწინებული, ან – სუსტია.(9)

რეფორმა, რომლის მიზანია საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა რეჟიმის მისადაგება მდგრადი განვითარების დღევანდელი იმპერატივებისადმი, თანდათან ვითარდება. ჩნდება საინვესტიციო ხელშეკრულებების ახალი თაობა. 2015 წელს გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ მომზადებულ მოხსენებაში მსოფლიო ინვესტიციების შესახებ წარმოდგენილი იყო საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა რეფორმის საგზაო რუკა. მასში ჩამოყალიბებულია ექვსი სახლმძღვანელო პრინციპი, რომლებშიც განხილულია რეფორმის ხუთი სფერო და მონიშნულია ქმედებათა ვარიანტები პოლიტიკის ფორმირების ოთხ დონეზე. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის საინვესტიციო პოლიტიკის საფუძვლები და მის საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა რეფორმის საგზაო რუკები განსაზღვრავენ საკვანძო ღონისძიებებს რეფორმის გასატარებლად.

ეროვნულ დონეზე ბევრი ქვეყანა ხელახლა განიხილავს საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა საკუთარ სისტემას და/ან ქმნის ხელშეკრულებათა ახალ მოდელს. დაახლოებით 100-მა ქვეყანამ (იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებშიც ჩატარებულ იქნა შეფასება ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციის ჩარჩოებში) გამოიყენა "გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის საინვესტიციო პოლიტიკის საფუძვლები" საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა საკუთარი სისტემის გადასასინჯად. მათგან დაახლოებით 60-მა გამოიყენა "საფუძვლები" ხელშეკრულების დებულებათა შესამუშავებლად.

ორმხრივ დონეზე რეფორმის წინსვლითი მოძრაობა შესამჩნევად აისახება მოლაპარაკებებზე ახალ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ბოლო დროს დადებული ხელშეკრულებების უმრავლესობა შეიცავს რიგ დებულებებს მდგრადი განვითარების ხელშეწყობის შესახებ.

რეგიონალურ დონეზე საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა რეფორმის გატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოიცავს ხელშეკრულების მოქმედების კოლექტიურ განხილვას და შესაბამის ქმედებათა გეგმებს, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ამ ხელშეკრულებათა ზოგადი მოდელები, ერთობლივი განმარტებები, ხელშეკრულებათა გადასინჯვა ან კონსოლიდაცია. მეგარეგიონალურ ხელშეკრულებებს შეუძლიათ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა რეჟიმის კონსოლიდირება და რაციონალიზება და ამ ხელშეკრულებათა რეჟიმის სისტემური შეთანხმებულობის ამაღლება, იმ პირობით, რომ ისინი შეენაცვლებიან წინამორბედ ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებს მონაწილეთა შორის ("მოხსენება მსოფლიო ინვესტიციების შესახებ – 2014").

საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა რეფორმირება მრავალმხრივ დონეზე – ყველაზე რთული გზა გახლავთ. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების საგზაო რუკა განსაზღვრავს მრავალმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშელრულებების რეფორმირების რამდენიმე ვარიანტს ინტენსიობის სხვადასხვაგვარი დონეებით. მრავალმხრივი კონსულტაციების არსებითი მნიშვნელობა მდგრადი განვითარების ამჟამინდელი დღის წესრიგის რეალიზაციისათვის აღიარებულ იქნა ქმედებათა ადისაბების პროგრამაში – გაეროს განვითარების დაფინანსების მესამე კონფერენციის (რომელიც 2015 წლის ივლისში ჩატარდა) შემაჯამებელ დოკუმენტში. ამ პროგრამაში წევრმა სახელმწიფოებმა სთხოვეს გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციას, "გაეგრძელებინა თავისი პროგრამის განხორციელება, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს წევრ სახელმწიფოებთან შეხვედრები და კონსულტაციები საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით".

საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა რეფორმის ამ პირველი ეტაპის დროს ქვეყნებმა მიაღწიეს კონსენსუსს რეფორმის აუცილებლობის შესახებ, განსაზღვრეს რეფორმის სფეროები და მისი გატარების ხერხები, განიხილეს საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა საკუთარი სისტემები, შეიმუშავეს ახალი ტიპური ხელშეკრულებები და დაიწყეს მოლაპარაკებები ახალ, უფრო თანამედროვე საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

ჯერ ერთი, ყოვლისმომცველი რეფორმა მოითხოვს ორმაგ მიდგომას: მოლაპარაკებებს ახალ, უფრო თანამედროვე საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით და, იმავდროულად, ხელშეკრულებათა ამჟამად მოქმედი სისტემის მოდერნიზაციას. მეორეც, რეფორმამ უნდა გადაწყვიტოს მზარდი ფრაგმენტაციის პრობლემა: მხოლოდ ზოგადი მიდგომა უზრუნველყოფს საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა იმგვარი რეჟიმის ეფექტიანსა და ქმედით რეალიზაციას, რომელშიც სტაბილურობა, სიცხადე და პროგნოზირებადობა ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარის მიზანთა მიღწევას. საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების რეფორმის პირველი ეტაპისგან განსხვავებით, როდესაც ღონისძიებების უმრავლესობა ეროვნულ დონეზე ტარდებოდა, რეფორმის მეორე ეტაპი მოითხოვს ქვეყნებისგან ხელშეკრულების მონაწილე პარტნიორთა თანამშრომლობისა და ურთიერთკოორდინაციის აქტივიზებას, რათა თავიდან იქნას აცილებული სისტემური რისკები და შეუსაბამობები ძველ ხელშეკრულებათა დიდ მასივში. 2016 წლის მსოფლიო საინვესტიციო ფორუმი საშუალებას იძლევა, განხილულ იქნას მიდგომები საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების გატარებასთან დაკავშირებით მომდევნო ეტაპზე.

მოქმედებათა ერთობლიობა მოიცავს ღონისძიე-

ბებს, რომელთა განხორციელებაც ქვეყნებს შეუძლიათ ცალმხრივად, თავიანთი არჩევანის შესაბამისად, და გადაწყვეტილებებს, რომელთაც შეუძლიათ წარმართონ საერთაშორისო თანამშრომლობა ან შეიძლება ჩართულ იქნან საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში.

ინვესტირების პროცედურათა გასამარტივებლად განკუთვნილი ნებისმიერი ინიციატივა განხილულ უნდა იქნას მდგრადი განვითარების უფრო ფართო დღის წესრიგთან მჭიდრო კავშირში, ეს მნიშვნელოვანია ინვესტირების პროცედურათა გასამარტივებელი მექანიზმების ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, იქ, სადაც ისინი არსებობენ განვითარებად ქვეყნებში. ინვესტირების მცდელობათა გასამარტივებელი ქმედითი მცდელობები უნდა იქცეს საინვესტიციო პოლიტიკის ზოგადი სისტემის განუყოფელ ნაწილად (რეგულირების, ლიბერალიზაციის, დაცვისა და წახალისების ჩათვლით), რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება ინვესტიციებისგან და ნებისმიერი უარყოფითი გვერდითი ეფექტის ან გარეშე ფაქტორის მინიმუმამდე დაყვანა.

დასკვნები

საერთაშორისო და ნაციონალური საინვესტიციო პოლიტიკის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს ბალანსის პოვნა ლიბერალიზაციასა და რეგულირებას შორის, უმაღლესი ამოცანის – მდგრადი განვითარების მიზნით ინვესტიციათა წახალისების – მისაღწევად. ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნათა და ინვესტიციების საბოლოო მესაკუთრის გამოვლენის პროცედურათა სრულყოფის გზით.

საკუთრების კრიტერიუმზე დამყარებული რეგლამენტაციების შეცვლა (სადაც ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია) შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პოლიტიკითაც, მაგალითად, კონკურენციის, საგადასახადო სისტემის, სამრეწველო განვითარების, სოციალური მომსახურების ან კულტურის განვითარების პოლიტიკით. მნიშვნელოვანია დადგინდეს არაპირდაპირი კავშირი საერთაშორისო საინვესტიციო ნაკადების მიმართულებებსა და ინვესტირების ეფექტიან პოლიტიკას შორის რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებს ტენდენციათა გაანალიზების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. UNCTAD - ის მონაცემთა ბაზა; www.unctad.org/fdistatistics

2. UNCTAD - ის მონაცემთა ბაზა; www.unctad.org/fdistatistics

3. მოხსენება მსლოფლიოს ინვესტიციების შესახებ; www.worldinvestmentreport.org

4. სიჭინავა ა.გოგორიშვილი ი.საერთაშორისო ინვესტიციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი. 2011;

5. Investment Policy Monitor. investmentpolicyhub.unctad.org

6. UNCTAD. "The Impact of International Investment Agreements on Foreign Direct Investment: An Overview of Empirical Studies 1998-2014", IIA Issues Note - working draft. New York and Geneva: United Nations. (2014a);

7. WIR14. World Investment Report 2014: Investing in the SDGs: An Action Plan. New York and Geneva: United Nations.2014;

8. WORLD INVESTMENT REPORT 2017 http://worldinvestmentreport.unctad.org/

9. www.worldinvestmentreport.org

საპენსიო რეფორმა საქართველოში

ნანა ბენიძე
აწსუ ასოც.პროფესორო
ჯამბულ ბიწაძე
აწსუ ასოც პროფესორი

ანოტაცია

საქართველო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლას იწყებს. კანონპროექტის მიხედვით, ყოველთვიური შენატანი განისაზღვრება შემდეგნაირად: თითოეული დასაქმებულის ხელფასის დაუბეგრავი მოცულობის 2%-ს დაემატება დამსაქმებლის მიერ დარიცხული 2%. სახელმწიფო კი დასაბეგრი შემოსავლის 2%-ს. რაც შეეხება თვითდასაქმებულებს ისინი საპენსიო ფონდში თავისი ხელფასის 4%-ს შეიტანენ.

გამოვყოფდი რამდენიმე ფაქტორის:

1. მთავრობა დამსაქმებელს ავალდებულებს, გადაიხადოს 2%, ეს ფაქტი ზრდის საშიშროებას, რომ ხარჯების შემცირების მიზნით დამსაქმებელმა შეამციროს ხელფასი ან სამუშაო ადგილის რაოდენობა.

2. ამ სისტემით მთავრობას უწევს დამატებით 2%-ის გადახდა, რაც ირიბად ნიშნავს გადასახადების გაზრდას.

3. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო არაა ეკონომიკურად სტაბილური ქვეყანა, რომ მას მოსახლეობამ საკუთარი ფული 20 ან 30 წლით ანდოს.

4. იმისათვის, რომ დაგროვითმა პენსიამ იმუშაოს აუცილებელია გაჩნდეს გრძელვადიანი რესურსი ლარში, რომ მოხდეს ინვესტირება ეკონომიკაში,ეს კი მოქნილი საკანონმდებლო პოლიტიკით და დაგროვებითი საპენსიო რეფორმით არის შესაძლებელი.

5. ეკონომიკურ ფაქტორთან ერთად, აუცილებლად დავამატებდი მენტალურ ფაქტორს.

საკვანძო სიტყვები: დაგროვებითი პენსია, დასაქმებული მოსახლეობა, დამსაქმებლები, სახელმწიფო.

PENSION REFORM IN GEORGIA

Nana Benidze - ATSU associated professor
Jambul Bitsadze - ATSU associated professor

ANNOTATION

Georgia is going to Accumulative pension system. According to the Law,the montly contribution is defined as follows: 2% of the untaxed volume on each employee's salary will be added 2% accrued by the employer. The state on taxable income's 2% . As for self - employed, they will be required to pay 4% of their salaries in the pension fund.

I will separate some factors :

1. The government obliges the employer, to pay 2%, this fact increases the danger, in order to reduce costs, the employer will reduce the salary or the number of jobs.

2. Accorrding to this system the government has to pay an additional 2%, which indirectly means tax increases.

3. It should be considered, That Georgia is not an economically stable country, that the population to trust his own money for 20 or 30 years

4. For Accumulated pension working it is important to have a long-term resource in lari , for investing in economy, this is possible with flexible legislative policy and accumulated pension reform

5. Along with the economic factors, I would definitely add a mental factor.

* * * *

საქართველო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლას იწყებს. საპენსიო რეფორმა შემუშავებულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არსებული საპენსიო რეფორმების სამსახურის ექსპერტების, საერთაშორისო ორგანიზაციების - მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებისა და სამთავრობო უწყებების მოსაზრებების გათვალისწინებით. ამ კანონის მიზანია, უზრუნველყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში საპენსიო აქტივების მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად მართვა. კანონის მოქმედება ვრცელდება: ა) დამსაქმებლებზე; ბ) საქართველოს მოქალაქეებზე , გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირებისა; გ) საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ან/და მოქალაქეობის არმქონე პირებზე , გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირებისა; დ) აქტივების მმართველი კომპანიების, სპეციალიზებული დეპოზიტარების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და სხვა პირების საქმიანობაზე იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ასეთი საქმიანობა უკავშირდება დაგროვებით პენსიას.ამ პროექტში გაწევრიანება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში, ხოლო ნებაყოფლობითია ყველა თვითდასაქმებულისათვის თვითდასაქმებულის შემოსავლის ნაწილში.

პროექტის თანახმად,დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებული და თვითდასაქმებული პირებისთვის საპენსიო შენატანების დაფინანსება განხორციელდება დასაქმებულის, დამსაქმებლის და სახელმწიფოს მიერ ამ კანონით განსაზღვრული

ოდენობითა და წესით. სქემის მონაწილე დასაქმებულის შენატანების დაფინანსება განხორციელდება შემდეგი სახით:

ა) თითოეული დამსაქმებელი ხელფასის გაცემისას დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე თითოეული დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხავს მასზე გასაცემი ხელფასის 2% დასაბეგრი ხელფასის იმ მოცულობაზე, რომელიც არ აღემატება ამ დასაქმებულისათვის წლიურად ხელფასის სახით გაცემულ სამოცი ათას (60 000) ლარს. დამსაქმებელი არ განახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულის სასარგებლოდ წლიურად დასაბეგრი ხელფასის სახით გაცემულ იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება სამოცი ათას (60 000) ლარს;

ბ) დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე თითოეული დასაქმებულის სახელით დამსაქმებელი დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხავს დასაქმებულზე გასაცემი ხელფასის 2% დასაბეგრი ხელფასის იმ მოცულობაზე, რომელიც არ აღემატება ამ დასაქმებულისათვის წლიურად ხელფასის სახით გაცემულ სამოცი ათას (60 000) ლარს. დამსაქმებელი დასაქმებულის სახელით არ განახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულის სასარგებლოდ წლიურად დასაბეგრი ხელფასის სახით გაცემულ იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება სამოცი ათას (60 000) ლარს;

გ) დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე თვითდასაქმებული განახორციელებს შენატანს თავისი შემოსავლის 4% ოდენობით წელიწადში სამოცი ათასი (60 000) ლარის მოცულობის შემოსავალზე. თვითდასაქმებული არ განახორციელებს საპენსიო შენატანს წლიურად მიღებული დასაბეგრი შემოსავლის სახით მიღებულ იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება სამოცი ათას (60 000) ლარს;

დ) დაგროვებითი საპენსიო სქემის თითოეული მონაწილის სასარგებლოდ სახელმწიფო მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხავს 2% ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც ჯამურად არ აღემატება მონაწილის მიერ წლიური ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულოცდაოთხი ათას (24 000) ლარს, ხოლო 1% მონაწილის მიერ ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულ თანხაზე ოცდაოთხი ათასი (24 000) ლარიდან სამოცი ათას (60 000) ლარამდე. სახელმწიფო განახორციელებს აღნიშნულ შენატანს მას შემდეგ, რაც საპენსიო სააგენტოს შეტყობინებით დადასტურდება, რომ მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აისახა ამ პუნქტის „ა" და „ბ" ან/და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შენატანები. სახელმწიფო არ განახორციელებს საპენსიო შენატანს მონაწილის მიერ წლიურად ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულ იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება სამოცი ათას (60 000) ლარს.

დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე პასუხისმგებელია საპენსიო სააგენტო,როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურდიული პირი.ის პასუხს აგებს საპენსიო სქემის მართვასა და ადმინისტრირებაზე.

კანონის ამოქმედების შემდეგ თითოეული დასაქმებული ხდება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე პირველი ხელფასის მიღებისთანავე. დასაქმებულს უფლება აქვს, უარი თქვას დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე ამ კანონის შესაბამისად. თითოეული თვითდასაქმებული ნებაყოფლობით ხდება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე კანონის ამოქმედებიდან მის მიერ პირველი საპენსიო შენატანის განხორციელებისთანავე.

საპენსიო სქემის მონაწილეს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს მის მიერ არჩეული საინვესტიციო პორტფელი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საინვესტიციო საბჭოსთან შეთანხმებით დადგენილი პერიოდულობით. ეს პერიოდი არ უნდა იყოს თორმეტ (12) თვეზე ნაკლები.მნიშვნელოვანია, რომ მომავალში პენსიონერი მიიღებს ორი სახის პენსიას: სოციალურ პენსიას დაემატება დაგროვებითი პენსია.

ამჟამად არსებული საპენსიო სისტემა ფინანსდება ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დასაქმებული მოქალაქეების მიერ ყოველთვიურად გადახდილი საშემოსავლო გადასახადი. აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, დასაქმებული მოქალაქეები იხდიან კონკრეტულ სოციალურ გადასახადს, რომელიც ირიცხება სახელმწიფო საპენსიო ფონდში და ხმარდება არსებულ საპენსიო ვალდებულებებს. 2008 წლამდე მსგავსი მოდელი არსებობდა საქართველოში, თუმცა სოციალური გადასახადი გაერთიანდა საშემოსავლო გადასახადის სტრუქტურაში. საგადასახადო რეფორმის შედეგად, საპენსიო ფონდის ნაცვლად, საპენსიო ვალდებულებების დაფინანსება დაეკისრა ცენტრალურ ბიუჯეტს.

დღეს არსებული საპენსიო სისტემაში თანაფარდობა შრომისუნარიან მოსახლეობასა და პენსიონერებს შორის დღითი დღე იცვლება. იზრდება პენსიონერების რაოდენობა და, გაეროს პროგნოზების გათვალისწინებით, საქართველოში ეს რიცხვი 2030 წლისთვის დაახლოებით მილიონს მიაღწევს, 2050 წლისთვის კი მოსახლეობის მეოთხედს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ არსებული მოდელით პენსიონერთა უზრუნველყოფა მთავრობას ძალიან გაუჭირდება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პენსიის ზრდა არათუ კეთილდღეობის ზრდისთვის, არამედ მისი შენარჩუნებისთვისაც კი აუცილებელია – მზარდი ინფლაციის (ფულის გაუფასურების) პარალელურად, საჭიროა მსყიდველუნარიანობის შენარჩუნებაზე ზრუნვა. დაგროვებითი სისტემის სარგებლის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ყოველთვიური შენატანების პროცენტული მაჩვენებელი ხელფასთან მიმართებაში. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, საპენსიო ფონდში

ყოველთვიური შენატანების ოდენობა განისაზღვრა 6%-ით. რეკომენდირებულია, რომ შენატანების კოეფიციენტმა საშუალო ვადიანი პერიოდში 8%-ს მიაღწიოს. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, არ არსებობს სტანდარტული ფორმულა საპენსიო სისტემაში შენატანების კოეფიციენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მსგავსი საპენსიო მოდელები დაინერგა შენატანების კოეფიციენტი მერყეობს 3%-იდან 9%-მდე, თუმცა ლათინური ამერიკის ქვეყნებში იგივე კოეფიციენტი 10%- იდან 16%-ის ფარგლებშია.

თუმცა მნიშვნელოვანია,რომ წინა მოდელისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში შრომისუნარიანი ადამიანი, რომელიც იბეგრება, აცნობიერებს, რომ მას წვლილი შეაქვს საკუთარი უზრუნველი სიბერის დაგეგმვაში. შესაბამისად, მას პენსია განესაზღვრება იმის მიხედვით, თუ ცხოვრების განმავლობაში რამდენი იმუშავა, რამხელა იყო მისი ანაზღაურება და ამ ანაზღაურების რა წილი შეჰქონდა საპენსიო ფონდში.ერთი შეხედვით, ჩანს, რომ აღნიშნული მოდელი ბევრად უფრო სამართლიანია, რადგან ის ითვალისწინებს ინდივიდუალურ ფაქტორებს – წვლილს, რომელიც ადამიანმა შეიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. რაც მთავარია, ამ შემთხვევაში ადამიანის სიბერე ნაკლებად არის დამოკიდებული კონკრეტული მთავრობის ხედვასა და შეფასებაზე პენსიის ოდენობასთან დაკავშირებით. ოპტიმალურად შეიძლება მივიჩნიოთ საპენსიო უზრუნველყოფის შერეული მოდელი, რომელიც გულისხმობს პენსიის უზრუნველყოფას როგორც საბიუჯეტო სახსრებიდან, ასევე დაგროვებითი მექანიზმებით.

მთავრობის წარმომადგენლების თქმით, რეფორმის მნიშვნელოვანი სარგებელი იქნება, რომ ის ხელს შეუწყობს დანაზოგების მოცულობის ზრდას ქვეყანაში და შექმნის დამატებით წყაროს ინვესტირებისათვის, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად აისახება.

გამოვყოფდი რამდენიმე ფაქტორის,რომელიც უარყოფითად იმოქმედებს ამ პროექტზე:

1. მთავრობა დამსაქმებელს ავალდებულებს, გადაიხადოს 2%, ეს ფაქტი ზრდის საშიშროებას, რომ ხარჯების შემცირების მიზნით დამსაქმებელმა შეამციროს ხელფასები ან სამუშაო ადგილების რაოდენობა.

2. ამ სისტემით მთავრობას უწევს დამატებით 2%-ის გადახდა, რაც ირიბად ნიშნავს გადასახადების გაზრდას.

3. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო არაა ეკონომიკურად სტაბილური ქვეყანა, რომ მას მოსახლეობამ საკუთარი ფული 20 ან 30 წლით ანდოს.

4. იმისათვის, რომ დაგროვითმა პენსიამ იმუშაოს აუცილებელია გაჩნდეს გრძელვადიანი რესურსი ლარში, რომ მოხდეს ინვესტირება ეკონომიკაში,ეს კი მოქნილი საკანონმდებლო პოლიტიკით და დაგროვებითი საპენსიო რეფორმით არის შესაძლებელი.

5. ეკონომიკურ ფაქტორთან ერთად, აუცილებლად დავამატებდი მენტალურ ფაქტორს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http//www.economy.ge
2. www.parliament.ge
3. www.statistics.ge
4. www.worldbank.org
5. http://insurance.gov.ge/Page2.htm
6. http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/eurostat/home/

ინფლაციის არსი და ანტიინფლაციური ეკონომიკური პოლიტიკა

თეონა ბაქანიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
მაგდა ბაქანიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასისტენტ პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მაჩვენებლი ინფლაცია. მისი არსი და სახეები. ნათლაადა წარმოდგენილი ანტიინფლაციური ეკონომიკური პოლიტიკა. ინფლაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას. ინფლაციის ეკონომიკური სახეებიდან გამომდინარე ერთმანეთს შედარებულია ზომიერი და ჭენებითი ხასიათის ინფლაცია და ჰიპერინფლაცია. წარმოდგენილია ინფლაციის განმსაზღვრელი ძირითადი მიზეზები.

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია, ინფლაციის სახეები, ინფლაციის მიზეზები, ანტიინფლაციური პოლიტიკა.

INFLATION AND ANTI-INFLATION ECONOMIC POLICY

Teona Bakanidze - Doctor of Business Administration, Associate Professor
Magda Bakanidze - Doctor of Business Administration, Assistant professor

ABSTRACT

Inflation, which is one of the most important indicators of macroeconomic instability, is reviewed in the article. Its essence and faces are presented here also. An anti-inflationary economic policy is presented extensively. Inflation is one of the most acute socio-economic problems. Depending on the economic conditions of the inflation, the normal inflation and hyper-inflation are comparable with each other. The main reasons for inflation are represented in the article.

* * * *

მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად გევვლინება ინფლაცია. ტერმინი „ინფლაცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა, რაც გაბერვას ნიშნავს ანუ ინფლაციის პირობებში ხდება მიმოქცევის არხებში ჭარბი ქაღალდის ფულისა და დაუხურდავებელი ბანკნოტების დაგროვება, რაც შედეგად იწვევს მათ გაუფასურებასა და ქვეყანაში ფასების საერთო დონის ზრდას. ინფლაცია მთელს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს ეხება და უპირველესად, როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ იგი ვლინდება ეკონომიკაში არსებული ფასების დონის ზრდითა და ფულის, როგორც გაცვლის საშუალების ღირებულების შემცირებით. ჩვენი აზრით ინფლაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას და ინფლაციისგან არცერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული. იგი ეხება, როგორც მაღალ განვითარებულ ასევე დაბალგანვითარებულ ქვეყნებს. ქვეყანაში დაწყებული ინფლაციის პროცესთან ერთად ფულს უძნელდება თავისი ფუნქციების ნორმალურად შესრულება.

ეკონომიკური ხასიათის ლიტერატურაში ვხვდებით ინფლაციის შემდეგ სახეებს:

1. მოთხოვნის გადიდებით გამოწვეული ინფლაცია; 2. წარმოების მოცულობის შემცირებით განპირობებული მიწოდების ინფლაცია; 3. ზომიერი ინფლაცია; 4. ჭენებითი ხასიათის ინფლაცია; 5. ჰიპერინფლაცია; 6. ღია და დათრგუნული სახის ინფლაცია.

ინფლაციის ეკონომიკური სახეებიდან გამომდინარე ერთმანეთს თუ შევადარებთ მათ, მაგალითისათვის ზომიერ და ჭენებითი ხასიათის ინფლაციასა და ჰიპერინფლაციას, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზომიერი ინფლაციის არსებობა საზოგადოებისთვის ნაკლებად შესამჩნევია. ზომიერი ინფლაციის პირობებში საქონელსა და მომსახურებაზე ფასები დაახლოებით წელიწადში 10%- ით იზრდება რაც უნდა აღინიშნოს რომ შეუმჩნელად მიმდინარეობს და შედეგებიც ნაკლებად მტკივნეულია. რაც შეეხება ჭენებითი ხასიათის ინფლაციას ასეთ დროს საქონელსა და მომსახურებაზე ფასები დაახლოებით წელიწადში 20%- იდან 200%- მდე იზრდება. იგი დიდი წინააღმდეგობით მიმდინარეობს და უდიდეს უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების დონეზე. უნდა აღინიშნოს რომ ხშირად დგება შედეგი როდესაც ზომიერი და ჭენებადი ხასიათის ინფლაცია გადაიზრდება ჰიპერინფლაციაში რა დროსაც ფასები საქონელსა და მომსახურებაზე შეიძლება ითქვას, რომ გეომეტრიული პროგრესით იზრდება და უდიეს სტრესს წარმოქმნის საზოგადოებაში. რაც დამანგრეველ გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. იგი იწვევს და აჩქარებს ფინანსურ კრიზისს, იწვევს დეპრესიასა და ართულებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას.

ინფლაციის განმსაზღვრელ ძირითად მიზეზად გვევლინება:

1. სახელმწიფოსა შემოსავლებსა და ხარჯებს

შორის დისბალანსი, რომელიც გამოიხატება ბიუჯეტის დეფიციტით. ზოგიერთ შემთხვევაში დეფიციტური ბიუჯეტის პირობებში სახელმწიფო მიმართავს ფულის გაძლიერბულ ემისიას, რაც საჭიროებასთან შედარებით მის მკვეთრად გაზრდასა და გაუფასურებას იწვევს;

2. ეკონომიკის მილიტარიზაციასთან დაკავშირებით მსხვილი ინვესტიციების დაფარვა ხდება ფულის ემისიით;

3. დისპროპორცია ფულად და საქონლურ მასას შორის. ასეთი დისბალანსი შესაძლოა გამოიწვიოს გადახდისუნარიან მოთხოვნილებასტან შედარებით, მოხმარების საგნების წარმოების წარმოჩენამ.

4. „იმპორტული“ ინფლაცია. ასეთ დროს ქვეყანასი ხორციელდება ისეთი საქონლის იმპორტი, რომელზეც ძალიან მარალი ფასებია დაწესებული, სემოტანის აუცილებლობის საფუძვლად კი ჰვევლინება ქვეყნის შიგნით მოცემული საქონლის მწვავე დეფიციტი.

5. ინფლაციის მოლოდინი. ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: ჯერ ერთი, მომხმარებლები ყიდულობენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქონელს და მომსახურებას მაღალ ფასებში და რადგან აღარ აქვთ იმედი ფასების შემცირებაზე, ყიდულობენ საქონელს იმაზე მეტს ვიდრე მათი მიმდინარე მოთხოვნაა, მეორე, პარალელურად იბრძვიან ხელფასის გაზრდისათვის, რაც განხორციელების შემთხვევაში ხელს შეუწყობს მიმდინარე სამომხმარებლო მოთხოვნის გადიდებას; მესამე, მწარმოებლები თავიანთ პროდუქციაზე აწესებენ სულ უფრო მაღალ ფასებს იმ მიზეზით, რომ უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის კიდევ უფრო გაძვირება. ამავე მიზეზით ისინი აფართოებენ წარმოების რესურსების შეძენას. ყოველივე ამის შედეგად ფასები იზრდება არა მარტო ადრე დაუკმაყოფილებელი მსყიდველობითუნარანი მოთხოვნის დონემდე, არამედ მოსალოდნელ ოფიციალურ სიდიდემდეც.

6. ბაზარზე ისეთი საქონლის მიწოდება გარკვეული რაოდენობით, რომელზეც მოთხოვნა არ არის. აღნიშნული გარემოება იწვევს ფულის გაუფასურებას.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ცხოვრების ღირებულების ცვლილებების ანალიზისათვის გამოიყენება. როდესაც სამომხმარებლო ფასების ინდექსი იზრდება საოჯახო მეურნეობებმა მეტი ფული უნდა დახარჯოს ცხოვრების იმავე დონის შესანარჩუნებლად. ეკონომისტები ტერმინ ‘ინფლაციას“ იყენებენ იმ კონკრეტული სიტუაციის აღსაწერად როდესაც ფასების საერთო დონე ინფლაციის დონე სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილებაა წინა წელთან შედარებით.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოყენება ინფლაციის დონის გამოთვლისათვის, რომელიც ფასების ინდექსის პროცენტულ ცვლილებას წარმოადგენს წინა პერიოდთან შედარებით ერთ- ერთი საფეხურია ინფლაციის დონის გამოთვლისათვის. მაგალითისთვის თუ სამომხმარებლო ფასების ინდექსი 65%-ით გაიზარდა 2013წ-დან - 2014წ-მდე და 42%-ით 2014წ-დან - 2015წ-მდე ამბობენ, რომ 2014 წელს ინფლაციის დონეა 65%, ხოლო 2015 წელს კი 42%. არ-ნიშნული მაგალითი მიხედავად იმისა, რომ გამარტივებული მოდელია, ის მაინც გვიჩვენებს თუ როგორ ითვლის სტატისტიკის დეპარტამენტი სამოხმარებლო ფასების ინდექსსა და ინფლაციის დონეს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინფლაციის მთლიანად ლიკვიდირება არარეალურია. მაქსიმუმ ღონისძიებათა კომპლექსის გონივრულმა გახორციელებამ შესაძლოა მოგვცეს მის ზომიერ ფარგლებში მოქცევა და ეკონომიკაზე გამანადგურებელი გავლენის თავიდან აცილება. ცნობილია ანტიინფლაციური პოლიტიკის ორი ვარიანტი: ინფლაციური პროცესებისადმი ადაპტირება და აშკარა ანტიინფლაციურ ღონისძიებათა განხორციელება. ადაპტაციური პოლიტიკის დროს საბაზრო ეკონომიკის სუბიექტები თავიდანვე ითვალისწინებენ ინფლაციის ნეგატიურ შედეგებს. საოჯახო მეურნეობები ინფლაციისადმი ადაპტირებას ცდილობენ შემოსავლის დამატებითი წყაროების მოძიებით, კონტრაქტების დადებისას ხელფასების ინფლაციური კორექტირებით. ფირმები ცვლიან თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკას, ასე მაგალითად ახდენენ მოკლევადიანი პროექტების რეალიზაციას და არა გრძელვადიანის, რათა მოკლე დროში მოახდინონ დაბანდებული თანხების დაბრუნება. აშკარა ანტიინფლაციური პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ და გატარებულ გრძელვადიან და მოკლევადიან ღონისძიებათა კომპლექსს.

გრძელვადიანი ანტიინფლაციური პოლიტიკა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს როგორიცაა: - სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, არა ფულის ემისიის გზით, არამედ გადასახადების გადიდებიტ და სახელმწიფო ხარჯების შემცირებით;

- ფულის მიმოქცევის რეგულიერბა, კერძოს, ფულის მასის ყოველწლიურ მატებაზე მკაცრი ლიმიტის დაწესება, აღნიშნული ხელს შეუწყობს ინფლაციის დონის კონტროლს ქვეყანაში;

- ინფლაციაზე გარე ფაქტორების გავლენის შესუსტება, რაც გულისხმობს დეფიციტური ბიუჯეტის დასაფარავად, სახელმწიფოს მიერ უცხოური კრედიტებისა და საგარეო ვალის აღებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ.ბერიძე., მ.ჭიპაშვილი., „ეკონომიკის საფუძვლები“., თბილისი 2015წ.

2. პ.ლემონჯავა., ა.აბრალავა., „ეკონომიკის პრინციპები“., გამომცემლობა „გრაალი“, თბილისი 2011წ.

3. მ.ვანიშვილი., „მიკრო- და მაკროეკონომიკის საფუძვლები“., გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“., თბილისი 2009წ.

4. გ. მენქიუ „ეკონომიკის პრინციპები“., გამომცემლობა ‘დიოგენე“.

5. http://for.ge/view.php?for_id=3204&cat=3

საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის ინდიკატორების დინამიკური ანალიზი

ირაკლი ჯანგავაძე
სტუ-ს დოქტორანტი
საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტი

რეზიუმე

საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ინოვაციური საქმიანობის დონე ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია და არ შეესაბამება გლობალურ სტანდარტებს. სამეწარმეო სფეროში ქვეყანას აქვს ინოვაციურობის დაბალი მაჩვენებელი, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა აღნიშნული მიმართულების გაძლიერება.

დაბალია, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევებსა და დამუშავებებზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებებსა და დირექტიულ მასალებში. ამასთანავე სუსტია ინოვაციური პოტენციალის რეალიზაციის ხარისხი. უმთავრეს პრობლემას საწარმოებში წარმოადგენს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და საწარმოო საშუალებების დაფინანსება როგორც ბიუჯეტური, ისე არასაბიუჯეტო სახსრებით. მნიშვნელოვანი პრობლემაა თანამედროვე სამეწარმეო უნარ-ჩვევების დეფიციტი და არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, რომელიც დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს.

ჩამოთვლილი პრობლემების თვალსაჩინოების მიზნით, ნაშრომში გახილულია საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის ინდიკატორული ანალიზი დინამიკაში და შედარებულია ჩვენი მეზობელი და ბალტიისპირეთის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ეკონომიკა, ინოვაციური პოტენციალი, ინოვაციური ინდიკატორები, ინოვაციური ინფრასტრუქტურა, ინოვაციური საქმიანობა, ინოვაციური მეწარმეობა, დინამიკური ანალიზი.

ძირითადი ტექსტი

ქვეყანათა ინოვაციური ეკონომიკის მახასიათებლები წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, ინოვაციურია თუ არა ქვეყნის ეკონომიკა, მაგრამ არ იძლევა პასუხს კითხვაზე, ინოვაციურობის რა დონეზე იმყოფება იგი. ეს დონე ცხადია განსხვავებულია კონტინენტების, ქვეყნების, წარმოების სფეროების, დარგების მიხედვით და ა.შ. ინოვაციურობის თვალსაზრისით თითოეული ქვეყნის მომწიფებულობის დონის დასადგენად იყენებენ მთელ რიგ მაჩვენებლებს (ინდიკატორებს)[1].

საქართველო **ეკონომიკის მოცულობით** მსოფლიოში 123 პოზიციას იკავებს, რომლის ხვედრითი წილი მსოფლიო ეკონომიკის საერთო მოცულობაში 0.0176%-ს შეადგენს. მშპ-ის აღნიშნული მაჩვენებლით ვუსწრებთ მხოლოდ სომხეთს (133 ადგილი), ხოლო მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით როგორც ბალტიისპირეთის, ასევე მეზობელ ქვეყნებს (იხ. ცხრ.1)

ცხრ. 1 საქართველო მსოფლიო ეკონომიკების რეიტინგში (მშპ).[2]

№	ქვეყანა	მშპ (მლრდ. $)	მსოფლიო ეკონომიკის წილი %
მსოფლ. მშპ		**77, 988**	
1	აშშ	19, 417. 144	24.9
2	ჩინეთი	11, 795. 297	15.1
3	იაპონია	4,841.221	6.21
4	გერმანია	3,423.287	4.39
5	დიდი ბრიტანეთი	2,496.757	3.20
11	რუსეთი	1,560.706	2.00
17	თურქეთი	793.698	1.02
87	ლიტვა	42.826	0.0549
94	აზერბაიჯანი	38.583	0.0495
100	ლატვია	27.795	0.0356
104	ესტონეთი	23.422	0.0300
123	**საქართველო**	**13.723**	**0.0176**
133	სომხეთი	10.741	0.0138

1 ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, „სიახლე“, თბ., 2006, გვ.54
2 http://statisticstimes.com/economy/countries-by-projected-gdp.php

აღსანიშნავია, რომ ინდუსტრიულთან შედარებით, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში დასაქმების სტრუქტურა ხარისხობრივად იცვლება: პირველ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შედარებით უმნიშვნელოა (საშუალოდ 5-10%), მეორე სექტორში — მნიშვნელოვნად მცირდება (საშუალოდ, 20-30%), ხოლო მესამე სექტორში საშუალოდ, 60-70% და მეტიც ერთვება.[3]

დასაქმებულთა სტრუქტურის ხარისხობრივი გადანაწილება ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის რეალიზაციის ხარისხს ნათლად ასახავს. სამწუხაროდ საქართველოში დასაქმებულთა უმრავლესობა (56%) აგრარულ სექტორშია თავმოყრილი, ხოლო მრეწველობასა და მომსახურებაში გაცილებით ნაკლები (შესაბამისად 9% და 35%). ინტელექტუალურ (მომსახურების) სექტორში დასაქმების მაჩვენებლით საქართველო ყველა მეზობელ და ბალტიისპირა ქვეყანას ჩამორჩება. ჩვენი ვარაუდით, მომსახურების სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილი 50%-ს მაინც უნდა აღემატებოდეს, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერება და ცოდნატევად დარგებზე მოთხოვნის ამაღლებას (იხ. ცხრ.2).

ცხრ. 2 დასაქმებულთა სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით.[4]

ქვეყანა	სოფლის მეურნ.	მრეწველობა	მომსახურება
ლიტვა	8%	20%	72%
ესტონეთი	4%	28%	68%
ლატვია	9%	24%	67%
რუსეთი	9%	28%	63%
თურქეთი	20%	28%	52%
აზერბაიჯანი	38%	12%	50%
სომხეთი	39%	17%	44%
საქართველო	**56%**	**9%**	**35%**

საერთაშორისო ორგანიზაცია საკუთრების უფლებათა ალიანსი ყოველწლიურად აქვეყნებს **საკუთრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინდექსის** მონაცემებს, რომელშიც უფლებათა დაცვის 3 ძირითადი მიმართულება განიხილება: სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო; ფიზიკური საკუთრების უფლება; ინტელექტუალური საკუთრების უფლება. საქართველოს მაჩვენებელი აღნიშნული ინდექსის მიხედვით საკმაოდ მოკრძალებულია (88 ადგილი; 4.707 ქულა), რასაც უმთავრესად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესამჩნევად დაბალი მაჩვენებელი განაპირობებს (2.965 ქულა), თუმცა დანარჩენი 2 მიმართულების დადებითი მაჩვენებლის წყალობით, მეზობელი ქვეყნებიდან მცირედით გვისწრებს თურქეთი (78 ადგილი; 4.924 ქულა), (იხ. ცხრ. 3).

ცხრ. 3 საკუთრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინდექსი (IPRI) 2017[5]

№	ქვეყანა	ინდექსი (0-10)	სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო	ფიზიკური საკუთრების უფლება	ინტელექტ. საკუთრების უფლება
25	ესტონეთი	7.199	7.339	7.647	6.610
50	ლიტვა	5.917	6.200	5.479	6.073
63	ლატვია	5.341	5.836	4.932	5.254
78	თურქეთი	4.924	3.932	5.378	5.462
88	**საქართველო**	**4.707**	**5.317**	**5.839**	**2.965**
107	სომხეთი	4.126	4.144	5.173	3.060
111	რუსეთი	4.043	3.464	3.722	4.943
115	აზერბაიჯანი	3.946	3.842	4.615	3.381

3 ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ., ცოდნის ეკონომიკა და მართვა, სტუ. თბ. 2015. გვ. 37

4 ვეშაპიძე შ., ყარალაშვილი შ., ესტონური ეკონომიკური მოდელის შემოღების საფრთხეები საქართველოში. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. №3, თბ., 2017, გვ. 36.

5 https://ipri2017.herokuapp.com/CountryResults.

რაც შეეხება უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის დინამიკას, საქართველო მსოფლიოს მასშტაბით 123 პოზიციას იკავებს, (რეგიონში 24-ს; დაახლოებით 3 ქულით) და ჩამორჩება როგორც ბალტიისპირეთის, ასევე მეზობელ ქვეყნებს, რაც 2010 წლის მაჩვენებელთან შედარებით -4 პოზიციით უარყოფითი შედეგია, მიუხედავად ინდექსის მიხედვით რეალური პროგრესისა (+1.2 ქულა). როგორც ჩანს, ქვეყნების უმრავლესობამ გააცნობიერა, რომ დღესდღეობით მსოფლიოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს, სწორედ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტები განაპირობებს (იხ. ცხრ. 4).

ცხრ. 4 ინტელექტ. საკუთრების უფლებათა დაცვის დინამიკა[6]

პოზიცია/ ქულა	2010			2013			2017			პოზიციის ცვლილება
	№ მსოფ.	№ რეგ.	ქულა	№ მსოფ.	№ რეგ.	ქულა	№ მსოფ.	№ რეგ.	ქულა	
ესტონეთი	42	8	5.6	39	6	6	32	3	6.6	+10 (+1)
ლიტვა	37	6	5.9	41	7	5.9	40	6	6	-3 (+0.1)
თურქეთი	56	11	5	54	10	5.5	56	10	5.5	0 (+0.5)
ლატვია	74	14	4.4	70	12	5	63	11	5.3	+ 11 (+0.9)
რუსეთი	70	12	4.6	73	13	4.9	74	13	5	-4 (+0.4)
აზერბაიჯანი	113	20	2.6	118	22	3.4	116	20	3.4	-3 (+0.8)
სომხეთი	118	24	1.9	120	23	3.1	122	23	3	- 4 (+1.1)
საქართველო	**119**	**25**	**1.8**	**123**	**25**	**2.3**	**123**	**24**	**3**	**-4 (+1.2)**

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე დანახარჯების დონე წარმოადგენს უმთავრეს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონეს. აღნიშნულ მონაცემებს ყოველწლიურად აქვეყნებს იუნესკო. დადგენილია, რომ **სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ეკონომიკური კანონის თანახმად მეცნიერების განვითარებაზე მშპ-ის 3 — 3..5% უნდა დაიხარჯოს**. უკანასკნელ წლებში უმნიშვნელოდ გავუსწარით მეზობელი ქვეყნებიდან სომხეთსა (0.3%) და აზერბაიჯანს (0.2%) (საქართველო — 0.32%), ხოლო საგრძნობლად ჩამოვრჩებით რუსეთს, თურქეთს და ბალტიისპირეთის ქვეყნებს (იხ. ცხრ. 5)

ცხრ. 5 კვლევებსა და დამუშავებებზე დანახარჯების დინამიკა[7]

დანახარჯების % მშპ-ში	2011	2012	2013	2014	2015	% ცვლილება
ესტონეთი	2.3%	2.1%	1.7%	1.5%	1.5%	-0.8%
რუსეთი	1.0%	1.0%	1.1%	1.1%	1.1%	+0.1%
თურქეთი	0.9%	0.9%	0.9%	1.01%		+0.2%
ლიტვა	0.9%	0.9%	1.0%	1.0%	1.0%	+0.1%
ლატვია	0.7%	0.7%	0.7%	0.7%	0.6%	-0.1%
საქართველო			**0.1%**	**0.2%**	**0.3%**	**+0.2%**
სომხეთი	0.3%	0.2%	0.2%	0.2%	0.3%	0
აზერბაიჯანი	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0

ინოვაციურად განვითარებული ქვეყნებისთვის ასევე დამახასიათებელია კვლევებსა და დამუშავებებზე დანახარჯების უდიდესი ხვედრითი წილი ბიზნეს სექტორის მიერ. ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული მაჩვენებელი 70-80%-საც კი აღწევს. საქართველოს **კერძო სექტორის დანახარჯები ინოვაციურ საქმიანობაზე**

6 შედგენილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით - https://ipri2017.herokuapp.com/map
7 შედგენილია ავტორის მიერ. წყარო - https://data.worldbank.org/indicator/GB.XPD.RSDV.GD.ZS

სამწუხაროდ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. უკანასკნელი მონაცემებით საქართველო 122 პოზიციაზე იმყოფება და კოლოსალურად ჩამორჩება როგორც ბალტიისპირა, ასევე მეზობელ ქვეყნებს (მინიმუმ 49-50 პოზიციით, იხ. ცხრ. 6).

ცხრ. 6 ბიზნეს სექტორის დანახარჯები კვლევებსა და დამუშავებებზე[8]

რეიტინგი/ქულა	2012	2015	2017	პოზიციის ცვლილება
აზერბაიჯანი	44 (3.4)	71 (3.2)	30 (4.4)	+14 (+1.0)
ლიტვა	64 (3.2)	46 (3.5)	37 (3.9)	+ 27 (+0.7)
ესტონეთი	42 (3.4)	34 (3.8)	38 (3.8)	+4 (+0.4)
რუსეთი	79 (3.0)	75 (3.2)	54 (3.5)	+25 (+0.5)
თურქეთი	56 (3.2)	79 (3.1)	69 (3.3)	-13 (+0.1)
სომხეთი	111 (2.7)	109 (2.8)	71 (3.2)	+40 (+0.5)
ლატვია	67 (3.1)	81 (3.1)	73 (3.2)	-6 (+0.1)
საქართველო	**125 (2.5)**	**127 (2.5)**	**122 (2.7)**	**+3 (+0.2)**

სახელმწიფოს მიერ ტალანტების შენარჩუნების უნარს განაპირობებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და ინოვაციური განვითარების დონე. ახალგაზრდა ნიჭიერ მეწარმეებს და მეცნიერ-მკვლევარებს სჭირდებათ ინოვაციური საქმიანობის მასტიმულირებელი გარემო. შესაბამისად, მცირე ზომის განვითარებადი ტიპის ქვეყნებს ძალიან უჭირთ კონკურენცია გაუწიონ ტალანტების მიზიდვის მსოფლიო ცენტრებს — აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, იაპონიას და სხვ.

აღნიშნული მიმართულებით საქართველოს მდგომარეობა უკანასკნელი მონაცემებით რანჟირების მიხედვით მცირედით გაუმჯობესდა (+5 ადგილით), თუმცა ხარისხობრივად უცვლელი დარჩა (ინდექსის პარამეტრით 0 ცვლილება). აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთიდან ვუსწრებთ ლიტვასა და ლატვიას, ხოლო ჩამოვრჩებით ესტონეთს და ყველა მეზობელ სახელმწიფოს. თანალტების მიზიდვის დინამიკით განსაკუთრებული პროგრესი შეინიშნება აზერბაიჯანსა (+44 ადგილი) და რუსეთში (+52 ადგილი), (იხ. ცხრ. 7).

ცხრ. 7 ტალანტების შენარჩუნების უნარი[9]

რეიტინგი/ქულა	2012	2015	2017	პოზიციის ცვლილება
აზერბაიჯანი	70 (3.4)	64 (3.5)	26 (4.5)	+44 (+1.1)
რუსეთი	111 (2.8)	99 (2.9)	59 (3.5)	+52 (+0.7)
ესტონეთი	78 (3.4)	93 (3.1)	69 (3.4)	+ 9 (0)
თურქეთი	75 (3.4)	84 (3.3)	83 (3.2)	-8 (-0.2)
სომხეთი	88 (3.2)	119 (2.6)	97 (3.0)	-9 (-0.2)
საქართველო	**104 (3.0)**	**102 (2.9)**	**99 (3.0)**	+5 (0)
ლიტვა	117 (2.7)	108 (2.8)	109 (2.7)	+ 8 (0)
ლატვია	95 (3.1)	104 (2.9)	118 (2.5)	-23 (-0.6)

არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია საპატენტო განაცხადების წარმატების ხარისხიც — ანუ, შემოსული განაცხადებიდან რამდენ პატენტზე გასცემენ რეგისტრაციას. საქართველოში საპატენტო განაცხადების რაოდენობრივი პარამეტრიც დინამიკაში აშკარად რეგრესს განიცდის (-31% კლება), ისევე როგორც წარმატების ხარისხის მაჩვენებელი (-28% კლება), (იხ.ცხრ. 8).

8 შედგენილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით - The Global Competitiveness Index 2012-2017 edition
9 შედგენილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით - The Global Competitiveness Index 2012-2017 edition

ცხრ. 8 შემოტანილი განაცხადების და რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა დინამიკაში (2011-2016წ)[10]

ობიექტი: გამოგონება	2011	2012	2013	2014	2015	2016	ცვლილება%
შემოსული განაცხადები	398	372	333	297	271	274	-31%
რეგისტრირებული პატენტები	237	346	286	208	206	177	-25%
წარმატების %	60%	93%	86%	70%	76%	65%	-28% (2012)

სამეცნიერო კადრების მოჩვენებითი სიჭარბის მიუხედავად საქართველოში მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით, მათი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია. 1990 წლის შემდეგ მეცნიერ-მკვლევარების რაოდენობა კატარსტროფული ტემპით შემცირდა — 2015 წელს, 1990 წელთან შედარებით მათი რაოდენობა -84%-ით შემცირდა (იხ.ცხრ.9).

ცხრ. 9. მეცნიერ-მკვლევართა რაოდენობრივი დინამიკა საქართველოში[11]

რაოდენობა	1990	1995	2000	2005	2015	% ცვლილება
საქართველო	29,350	18,063	14,929	9,186	4,765	-84%

საქართველოში ასევე მძიმე ვითარებაა ზოგიერთი სხვა ინოვაციური ინდიკატორის მიხედვითაც. გამონაკლისია სახელმწიფო მმართველობის ელექტრონული სერვისები, რომელიც საკმაოდ კარგად არის დღეს-დღეობით საქართველოში განვითარებული (იხ. ცხრ. 10).

ცხრ. 10 საქართველო ინოვაციური განვითარების ზოგიერთი ინდიკატორის მიხედვით 2017წ

ინოვაციური განვითარების ინდიკატორი	რეიტინგი
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი	127
უნივერსიტეტსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა	116
უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა	111
კომპანიების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების ათვისება	108
განათლების სისტემის ხარისხი	107
ინოვაციური საქმიანობის მოცულობა	99
ტექნოლოგიების ტრანსფერის დონე	94
ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობა	84
ვენჩურულ კაპიტალზე ხელმისაწვდომობა	80
ელექტრონული მმართველობის დონე	56

10 შედგენილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით — საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი. წლიური ანგარიში 2012-2016.

11 შედგენილია ავტორის მიერ შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით — აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ. საინოვაციო მენეჯმენტი, სტუ. 2009. გვ. 28; https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.SCIE.RD.P6?view=chart

დასკვნა

არსებული მდგომარეობის გაანალიზების შედეგად მნიშვნელოვანად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1) სამართლებრივი რეფორმა ინოვაციების სფეროში.

• ეფექტიანი კანონმდებლობის შექმნით რომელიც აღმოფხვრის დაბრკოლებებს და შექმნის სტიმულებს ინოვაციური რისკის გაწევისა და შემოქმედებითი პროცესების განვითარებისთვის. მათ შორის შეამსუბუქებს სამართლებრივ და მარეგულირებელ ჯარიმებს წარუმატებლობისთვის, ხელს შეუწყობს მეცნიერების და ბიზნესის ურთიერთქმედებას.;

• მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელი გახდეს კერძო სექტორის კომერციული საწარმოების სახელმწიფო სუბსიდირება, ევროკავშირის სამართლებრივი პრაქტიკის საფუძველზე;

• ინოვაციური პოლიტიკის გაძლიერება ინოვაციებზე ორიენტირებული სამთავრობო შესყიდვების და სპეციფიკური სტანდარტების მეშვეობით;

• დაფინანსებასთან წვდომის გაუმჯობესება ალტერნატიული (არასაბანკო) ინსტიტუტების განვითარებით;

• შემოწირულობებზე დამყარებული სახალხო დაფინანსების ხელშეწყობა ინოვაციების დასაფინანსებლად.

2) ინოვაციების მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის განვითარება.

• არსებული ინფრასტრუქტურის შეფასება, ანალიზი და მოდერნიზება.

• ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების ინტენსიური განხორციელება;

• კერძო სექტორის ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნაში ჩართვა;

3) განათლების სისტემის და „ადამიანი-კაპიტალი"-ს უნარ-ჩვევების გაძლიერება.

• სწავლების ყველა საფეხურზე ინოვაციური სწავლებისა და გამომგონებლური უნარების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების დანერგვა (დუალისტრური მეთოდის და სტუდენტური ვენჩურული ფონდების დაარსება);

• მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების დანერგვა;

• ელექტრონული განათლების დანერგვა და პოპულარიზაცია;

• კერძო სატრეინინგო მომსახურების განვითარების ხელშეწყობა;

• მენტორებისა და ცოდნის დონორების ინსტიტუტის დანერგვა;

4) კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა.

• ფუნდამენტური მეცნიერების განვითარება და რევოლუციური სამეცნიერო პროექტების ინიცირება, რაც საშუალებას მოგვცემს უცხოელ მეცნიერებს თავი მოვუყაროთ საქართველოში;

• გამოყენებითი მეცნიერების ხელშეწყობა თანადაფინანსების სისტემის შექმნის გზით, რაც საშუალებას მისცემს კერძო სექტორს ითანამშრომლოს ქართველ მეცნიერებთან, უნიკალური ქართული ინოვაციური პროდუქციის შესაქმნელად.

• ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმების გაძლიერება.

5) ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება.

• საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების განვითარება;

• მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-დაშვების გავრცელების ხელშეწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, „სიახლე", თბ., 2006, გვ.54
2. ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ., ცოდნის ეკონომიკა და მართვა, სტუ. თბ. 2015. გვ. 37
3. ვეშაპიძე შ., ყარალაშვილი შ., ესტონური ეკონომიკური მოდელის შემოღების საფრთხეები საქართველოში. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი". №3, თბ., 2017, გვ. 36.
4. The Global Competitiveness Index 2012-2017 edition;
5. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი. წლიური ანგარიში 2012-2016;
6. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ. საინოვაციო მენეჯმენტი, სტუ. 2009;
7. http://statisticstimes.com/economy/countries-by-projected-gdp.php
8. https://ipri2017.herokuapp.com/CountryResults.
9. https://ipri2017.herokuapp.com/map;
10. https://data.worldbank.org/indicator/GB.XPD.RSDV.GD.ZS
11. https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.SCIE.RD.P6?view=chart;

DYNAMIC ANALYSIS OF GEORGIAN INNOVATION ECONOMIC INDICATORS

Irakli Jangavadze
Doctoral at GTU
Assistant of UNIGEO

SUMMARY

The level of innovative activity in Georgia is unsatisfactory. In the field of entrepreneurship, the country has a low level of innovation. The government spending on research and development is very low, as business sector expenditures.

The quality of realization of innovation potential is weak. The main problem is access to finance, lack of entrepreneurial skills and unqualified workforce. The publication deals with the dynamic analysis of Georgia's innovative indicators and is comparable to other countries.

Keywords: innovation economics, innovation potential, innovation indicators, innovation infrastructure, innovation activity, innovation entrepreneurship, dynamic analysis.

ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ურთიერთქმედების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები

გია ზოიძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ინსტიტუციური განვითარება მნიშვნელოვანი საკითხია როგორც ეკონომიკური მეცნიერებისათვის, ასევე აქტუალური პრაქტიკული საკითხია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ეკონომიკური განვითარება მეტწილად განისაზღვრება იმ ინსტიტუციური ჩარჩოთი, რომლის შიგნითაც მიმდინარეობს ეკონომიკური პროცესები. ინსტიტუციური ჩარჩო კი მოიცავს უამრავ ინსტიტუციურ ერთეულს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან დანიშნულებით, სტრუქტურით თუ ბუნებით. შესაბამისად, ინსტიტუციური ანალიზი საჭიროებს განსხვავებული ინსტიტუტების დაჯგუფებას გარკვეული ნიშნების მიხედვით.

ცალკეულ ქვეყნების წარმატება იქ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკასა და ინსტიტუტების ეფექტიან მუშაობაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება საქართველოს და აქ მოქმედ ეკონომიკურ ინსტიტუტებს, საქართველოში ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული სტაბილური ინსტიტუციონალური გარემო და სტაბილური ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფენ.

საკვანძო სიტყვები: ინსტიტუტები, ფორმალური ინსტიტუტები, არაფორმალური ინსტიტუტები, კონკურენციის ინსტიტუციური საფუძვლები, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, „შემოქმედებითი განადგურება“.

"SOCIO-ECONOMIC EFFECTS OF INTERACTION BETWEEN FORMAL AND INFORMAL INSTITUTIONS"

Gia Zoidze
The student of Third PhD Course,
Georgian Technical University

RESUME

Institutional development is an important issue for both economical science and practical issues in all countries of the world.

Economic development is largely defined by the institutional framework within which economic processes are taking place. The institutional framework includes a number of institutional units that are different from each other, structured or by nature. Consequently, institutional analysis requires grouping of different institutions according to certain signs.

The success of individual countries depends on the economic policies and efficient work of the institutions. As for Georgia and the economic institutions here, there is no stable institutional environment and stable economic institutions in Georgia that provide sustainable economic development.

Key words: Institutions, formal institutions, informal institutions, institutional basis of competition, index of economic freedom, "creative destruction".

ძირითადი ტექსტი

საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთის მხარდამჭერი ინსტიტუტების რთულ სისტემას, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდა. **დუგლას ნორთის** მიხედვით, ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავება მათი ინსტიტუციური გარემოების განსხვავებულობით შეიძლება აიხსნას. ეკონომიკური განვითარებისთვის ინსტიტუციური ბაზის მნიშვნელობა განისაზღვერება ეკონომიური სუბიექტებისთვის სათანადო სტიმულირების სისტემის შექმნის უნარით, რაც გავლენას ახდენს მათ გადაწყვეტილებებზე ინვესტირებისა და ინოვაციების მიმართებით. თუმცა, ნეოკლასიკური ზრდის თეორია ეკონომიკურ ზრდაზე პასუხისმგებლად მხოლოდ ერთ ინსტიტუტს – ეფექტიან ბაზარს მიიჩნევს, ხოლო სხვა ინსტიტუტებს ამ მხრივ არ ანიჭებს რაიმე მნიშვნელობას.

დუგლას ნორთი ინსტიტუტებს განმარტავდა, როგორც "... ადამიანების მიერ განსაზღვრულ შეზღუდვებს, რომლებიც ჩადებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთქმედებებში...", რომელთა შემადგენლობაში შედის "... როგორც არაფორმალური შეზღუდვები (სანქციები, აკრძალვები, ჩვეულებები, ტრადიციები და ქცევის ნორმები), ასევე ოფიციალური წესები (კონსტიტუციები, კანონები, ქონებრივი უფლებები)". მართალია, ბაზრის შემავსებელი ინსტიტუტები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, მთლიანობაში მათი ურთიერთქმედება უზრუნველყოფს ბაზრის შესახებ ძირეული ინფორმაციის გავრცელებას, ქონებრივი უფლებების სამართლებლივ ამოქმედებას, კონტრაქტების შესრულებას და კონკურენციის განვითარებას, რაც ეკონომიკურ სუბიექტებს აძლევს სათანადო შესაძლებლობებსა და სტიმულს საბაზრო საქმიანობებში ნაყოფიერი მონაწილეობისთვის.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციურ სივრცეს ახასიათებს მუდმივი ცვალებადობა. ინსტიტუტები იცვლიან სტრუქტურას ან ნაცვლდებიან ახალი ინსტიტუტებით. გარკვეული ინსტიტუტების გაქრობა არის არა ვაკუუმის შემქმნელი, არამედ შედეგი საზოგადოების ღირებულებების და მიზნების გრძელვადიანი ცვლილების.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების და ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს **ეკონომიკურ საქმიანობაში კონკურენციის უზრუნველყოფას.** საქართველოსთვის ეს უფრო აქტუალური ხდება მისი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შემდეგ. ამასთან, ფრიად საყურადღებოა ქვეყნისთვის, როგორც შიგა კონკურენციის ცალკეული მექანიზმების სრულყოფა, ასევე კონკურენციის მთლიანი ინსტიტუციური გარემოს სისტემურობის უზრუნველყოფა.

საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა კონკურენციის სფეროს გარკვეული მოწესრიგება და ევროსტანდარტებთან მისი დაახლოება. არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უცხოელ ექსპერტებთან ერთად რამოდენიმე წელია ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები ამ მიმართულებით, განიხილება სხვადასხვა კანონპროექტები თუ რადიკალურ ცვლილებათა პროექტები მოქმედი საკონკურსო კანონების სრულყოფისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს რაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებისთვის.

მართლაც, ევროკავშირის შესაბამისი საკონკურენციო ორგანოების რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა სამოქმედოდ ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საკონკურენციო კანონმდებლობა, განხორციელდა ინსტიტუციური რეფორმა, რომელიც გააფართოებს და განამტკიცებს კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებებს, მნიშვნელოვნად სრულყოფს მის სტრუქტურას, ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

აუცილებელია შემუშავდეს ბაზრის თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიები, ისევე როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორია - **მონოპოლიების გამოვლენის მეთოდიკის შემუშავება და დახვეწა.** ამასთან, **ანტიმონოპოლიური სამსახური** უნდა იყოს ისეთი მარეგულირებელი სააგენტო, რომელიც დაარეგულირებს კომპანიების ქცევას ბაზარზე ისე, რომ საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობა იქნება უზრუნველყოფილი და არამც და არამც **იგი არ უნდა გაიგივდეს როგორც დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანოდ.** დანაშაულთან ბრძოლა მთავრობის ძალოვნების პრეროგატივაა და არა მარეგულირებლის (კონკურენციის მექანიზმის ეფექტიანობის სოციალური ორიენტაცია).

ამდენად, ქვეყნის შიგნით კონკურენციის მექანიზმების სრულყოფის კონტექსტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიმართებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსთვის საზოგადოების ცალკეული სფეროების და ინსტიტუციური გარემოს მკაფიო სისტემური წარმოდგენა, მათი სტრუქტურების დინამიკის მონიტორინგი და შესაბამისი პრობლემების სწორი გადაწყვეტა.

რაც შეეხება უშუალოდ ინსტიტუციურ სტრუქტურას, როგორც ქვეყნისშიგა და ინსტიტუციური კონკურენციის, ასევე მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობის უზრუნველმყოფი, ჩემი აზრით, მთავარი ფაქტორი **- მისი იდენტიფიცირება და მონიტორინგი** - შეიძლება განხორციელდეს მსოფლიოს ქვეყნების განვითარების სხვადასხვა ინდექსებით, მათ შორის, მაგალითად, **ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით.**[1]

ეკონომიკურ თავისუფლებათა ინდექსი მოწოდებულია ასახოს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მახასიათებლები. ეს ინდიკატორი ინტეგრირებული სახით მოიცავს რამოდენიმე ათეულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელს, თავის მხრივ გაერთიანებულს შემდეგ ჯგუფებში:

1. საკუთრების უფლებათა დაცვა;
2. სასამართლოს ეფექტიანობა;
3. მთავრობის კეთილსინდისიერება;
4. საგადასახადო ტვირთი;
5. მთავრობის ჩართულობა;
6. ფისკალური სიჯანსაღე;
7. ბიზნესის თავისუფლება;
8. შრომითი ურთიერთობების თავისუფლება;
9. მონეტარული თავისუფლება;
10. ვაჭრობის თავისუფლება;
11. ინვესტიციური თავისუფლება;
12. ფინანსური თავისუფლება.

აღნიშნული მაჩვენებლები წარმოდგენილია 4 გამსხვილებულ ჯგუფად:

- მართლწესრიგი და კანონის უზენაესობა (1;2;3),
- ხელისუფლების შეზღუდულობა (4; 5; 6),
- რეგულირების ეფექტიანობა (7; 8; 9),
- ბაზრის გახსნილობა (10; 11; 12).

აქვე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ტიპის ქვეყნისთვის მართლწესრიგის ინსტიტუტის არასაკმარისი განვითარებულობა არსებითად ხელშემშლელია ევროპული ტიპის კონკურენციული გარემოს შექმნისათვის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფისთვის და მის ტერიტორიაზე ბიზნესის ნორმალური მაღალეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეზისის დასადასტურებლად ჩატარებულია მთელი რიგი კვლევები. **მართლაც, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია და**

1 http://www.heritage.org/index/

თანამედროვე პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მთავარი დეტერმინანტი ამ მიმართებით არის საკუთრების ინსტიტუტი (საკუთრების უფლებათა გარანტია) და ხელისუფლების თვითნებობისაგან ადამიანების, ბიზნესის დაცვის ეფექტიანი მექანიზმი.

ამდენად, ცხადია, რომ **ზემოთ აღნიშნული ჩამორჩენის ეტაპობრივი დაძლევა უნდა წარმოადგენდეს საქართველოსთვის სისტემური ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას, რაც მოგვცემს საშუალებას უფრო სრულად გამოვიყენოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის თანამედროვე ევროპული ტიპის ინსტიტუციური სტრუქტურის და ევროკავშირის ბიზნესგარემოს პოტენციალი.**

ეკონომისტ **დარონ აჯემოღლუსა** (მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი) და პოლიტოლოგ **ჯეიმს ა. რობინსონის** (ჰარვარდის უნივერსიტეტი) ერთობლივ ნაშრომში[2] ისინი ჯოზეფ შუმპეტერის (1883-1950) იმ იდეას ეყრდნობიან, რომლის მიხედვითაც **ეკონომიკური პროგრესის მამოძრავებელი ძალა „შემოქმედებითი განადგურებაა“**. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ძველი ბიზნეს მოდელების, პროდუქტებისა და პროფესიების ახლით ჩანაცვლებას. იმის ნაცვლად, რომ ხაზი გაესვა მეწარმეების დადებითი და კონსტრუქციული როლისთვის (ბიზნესის აწყობა), ის ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ქვეყნის განვითარება, როგორც წესი, არსებული სექტორებისა და ინდუსტრიების ხარჯზე მიმდინარეობს. თუმცა, შუმპეტერის აზრით, ეს „განადგურება“ არის ეკონომიკური პროგრესის ბირთვი, რომლის გარეშეც სტაგნაცია გარდაუვალი იქნებოდა.

ფაქტია, რომ ვინც ეკონომიკას აკონტროლებს, პოლიტიკურადაც ძლიერია. თუ ეს ასეა, აჯემოღლუ და რობინსონი სვამენ კითხვას, რატომ უნდა დაუშვან შემოქმედებითი განადგურება ამ ეკონომიკურ-პოლიტიკურმა ლიდერებმა, თუ ეს მათი ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის საძირკველს შეარყევს? მართლაც, როგორც მათ აჩვენეს, შემოქმედებით განადგურებას ხშირად სწორედ ისინი უშლიან ხელს, ვისაც ძალაუფლება აქვს. **აჯემოღლუმ და რობინსონმა სცადეს დაემტკიცებინათ, რომ როდესაც კონსერვატიული ძალებია გაბატონებული, მაშინ გვაქვს სიღარიბე. ხოლო მაშინ, როცა შემოქმედებითი განადგურების ძალები ძლიერია, გვაქვს პროგრესი და განვითარება.**

აჯემოღლუსა და რობინსონისთვის ღია, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოება გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი კი არა, პირიქით, განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. **აქედან გამომდინარე, თუ ინსტიტუტები განსაზღვრავს გრძელვადიან ეკონომიკურ წარმატებას, მაშინ საქართველო ნამდვილად სწორ გზას ადგას.**

2 Daron Acemoglu, James A. Robinson,"Why Nations Fail: The Origins of Power, Prosperity, and Poverty", Crown Business 2012, 544 გვერდი

დასკვნა

ინსტიტუციური ანალიზი გვიჩვენებს კორელაციას სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტებს შორის. შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში ინსტიტუციურ განვითარებას აქვს გამოკვეთილი აღმავალი ტრენდი სხვადასხვა მიმართულებებით. ფორმალური შიდა ინსტიტუტები, საზოგადოებაში დამკვიდრებული ოფიციალური წესების სახით არიან ყველაზე ძლიერია როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ პოსტკომუნისტურ ეკონომიკებში.

სხვა ინსტიტუციურ ჯგუფებთან შედარებით, საქართველოში არცთუ წარმატებული მდგომარეობაა არაფორმალური შიდა ინსტიტუტების კუთხით, რადგან ბიზნესეთიკა ჯერაც ჩამოყალიბების საწყის სტადიაზეა და დროში დაგვიანებით პასუხობს ლეგალური ჩარჩო-პირობების შესაბამის განვითარებას. შესაბამისად, ყოველი დაგვიანებული ნაბიჯი ფორმალური ინსტიტუტების განვითარებასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო აფერხებს დროში რიგი საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმების ტრანსფორმაციას.

ტექნოლოგიური მახიდან თავის დასაღწევად, განათლების სისტემის განვითარებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობას, რადგანაც **ახალი ტექნოლოგიების ათვისება-გამოყენება ბევრად გაადვილებულია, როცა ქვეყანას აქვს ცოდნის შექმნის საკუთარი სისტემა**.

ამდენად, ცხადია, რომ **ზემოთ აღნიშნული ჩამორჩენის ეტაპობრივი დაძლევა უნდა წარმოადგენდეს საქართველოსთვის სისტემური ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას, რაც მოგვცემს საშუალებას უფრო სრულად გამოვიყენოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის თანამედროვე ევროპული ტიპის ინსტიტუციური სტრუქტურის და ევროკავშირის ბიზნესგარემოს პოტენციალი.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვლ. პაპავა - ექსპერტის აზრი, „ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა - გლობალური რეალობა და მსოფლიო ეკონომიკის მოსალოდნელი გამოწვევები“, 2016

2. Association Agenda between the European Union and Georgia.

http://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-georgia_association_agenda.pdf

3. Daron Acemoglu, James A. Robinson,"Why Nations Fail: The Origins of Power, Prosperity, and Poverty", Crown Business 2012.

4. Social-economic Development Strategy of Georgia, "GEORGIA 2020".

5. Voigt, S. (2009) The Effects of Competition Policy on Development: Cross-Country Evidence Using Four New Indicators. Journal of Development Studies 45 (8).

6. Motta, M. (2004) Competition Policy, Theory and Practice. Cambridge University Press.

7. http://www.heritage.org/index/

უცხოური ინვესტიციების რეგულირების პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში

დავით მახვილაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საინვესტიციო საქმიანობის რეგულირება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან გონივრულ და ზომიერ დანაწესებს იქ, სადაც აუცილებელია სახელმწიფოებრივი და ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაცვა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მსოფლიო ლიდერი სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება, რომელსაც აქვს ჩამოყალიბებული უ.პ.ი.-ის რეგულირების გამართული კონცეფცია. აშშ-ს საინვესტიციო პოლიტიკა და მისი რეგულირების პრაქტიკა, როგორი ინდივიდუალურობითაც არ უნდა გამოირჩეოდეს ის, ეფუძნება გარკვეულ ლოგიკურ ჯაჭვს და ემსახურება პირველ რიგში ეროვნულ ინტერესებს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში დღეს არსებული ეკონომიკური ინტერესის სფეროები და გამოკვეთილი თავისებურებები ყალიბდებობდა დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში და ფორმაციას განიცდიდა შესაბამისი პერიოდის საჭიროებებიდან გამომდინარე. ამ პროცესმა, შედეგად განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც უცხოური ინვესტიციების მიმღები და ასევე, ინვესტიციების განმახორციელებელი სახელმწიფოს უპირობო ლიდერობა მსოფლიოს მასშტაბით.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო საქმიანობის რეგულირება, საინვესტიციო პოლიტიკა, ეროვნული ეკონომიკის ინტერესი, მგრძნობიარე მრეწველობა, კრიტიკული ინფრასტრუქტურა.

FDI REGULATION PRACTICE IN USA

Davit Makhviladze
PhD student of GTU

RESUME

The Regulation of investment activities requires a reasonable and moderate provisions from Government, where it is necessary to defense national state and economic interest. From this point of view, the experience of the world leader - United States of America is very important, which has a well-established concept of FDIs regulations. The US investment policy and its regulation practice, regardless of its individuality, is based on a certain logical chain and serves primarily national interests. It should be noted that In USA the current economic interests and outlined particularities has being forming during a century and has being formalizing due to the needs of relevant period. This process has resulted an unconditional worldwide leadership of USA as a receiver and implementer of foreign investments.

Key words: The Regulation of investment activities, Interests of national economic, Investment policy, interest in the national economy, sensitive industry, critical infrastructure.

ძირითადი ტექსტი

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხელმწიფოებრივი მოწყობის გამო, უცხოური ინვესტიციების საკითხების რეგულირება ორ დონეზე მიმდინარეობს: ფედერალურ და ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის დონეზე. ზოგადი მოთხოვნები იქმნება ფედერალურ დონეზე. უცხოელ ინვესტორთა მონაწილეობის კონკრეტული დებულებები ადგილობრივი მთავრობების მიერ არის დადგენილი. ამრიგად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სამუშაო დამოუკიდებელია თითოეულ ტერიტორიულ ერთეულზე და ხორციელდება მათ მიერ გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგრამების საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ, შექმნილია ადგილობრივი მახასიათებლების, საჭიროებების და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. აშშ-ს ყველა ტერიტორიულ ერთეულს აქვს საკუთარი პროგრამები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რადგან, დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ფედერალური მთავრობა აქტიურ როლს არ თამაშობს ქვეყნის კონკრეტული რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიზნების განსაზღვრისას. ადგილობრივი ადმინისტრაცია დამოუკიდებლად განსაზღვრავს სამრეწველო განვითარების მიმართულებებს როგორც საბიუჯეტო, ისე მოზიდული სახსრების ხარჯზე.

ინვესტიციების საკითხების მომწესრიგებელ ჩარჩო დანაწესს წარმოადგენს აშშ-ის ცენტრალური მარეგულირებელი "უცხოური ინვესტიციისა და ეროვნული უსაფრთხოების 2007 წლის კანონი". ეს კანონი აძლიერებს კონტროლს და არეგულირებს ეროვნულ კაპიტალთან პოტენციურად დაკავშირებულ ინდუსტრიაში უცხოური კაპიტალის დაშვების პროცედურას. კანონი არეგულირებს გარიგებების ჩამონათვალს, რომელსაც აშშ-ს უცხოური ინვესტიციების კომიტეტი განიხილავს აქტივებისა და ობიექტების შეძენის პროცედურების ჩათვლით. ყურადღება მახვილდება "კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე", რომელიც ეხება "სისტემებსა და ქონებას, როგორც ხელშესახებს, ისე ვირტუალურს, რომელთა არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და ამ სისტემებისა და ქონების უუნაროობა ან განადგურება უარყოფითად აისახება ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

ფედერალურ დონეზე, ამ საკითხებს კურირებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საინვესტიციო კომიტეტი, რომელიც კოორდინაციას უწევს რეგულაციასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ეს კომიტეტი არის აშშ-ს პრეზიდენტის პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფი უწყებათაშორისი ორ-

განო.

აშშ-ში გატარებული საინვესტიციო პოლიტიკა უზრუნველყოფს უცხოური ინვესტორებისა და ეროვნული ინვესტორების თანაბარ პირობებს. უცხოელ ინვესტორებს შეუძლიათ თავისუფლად განახორციელონ თავიანთი სახსრების დაბანდება აშშ-ს ეკონომიკის უმეტეს ნაწილში. ამასთან, აშშ-ს ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში არსებობს გარკვეული შეზღუდვები იმ კომპანიების კაპიტალში უცხოური ინვესტიციების განხორციელებაზე, რომლებიც უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების ან "მგრძნობიარე მრეწველობისა" და "კრიტიკული ინფრასტრუქტურის" დაცვის მიზნებს. ხსენებული შეზღუდვებია:

1. ბირთვული ენერგეტიკა. რეგულირდება 1954 წლის ატომური ენერგიის აქტით და აკონტროლებს უცხოური კომპანიების მონაწილეობას პლუტონიუმის წარმოებისა და გადამუშავების პროექტებში, ბირთვული რეაქტორების ფუნქციონირებასა და ნარჩენების განადგურების პროექტში.

2. ტელევიზია და რადიო მაუწყებლობა. რეგულირდება 1934 წლის საკომუნიკაციო აქტით და ადგენს, რომ რადიოკომპანიაში უცხოური მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 20% -ს. მსგავსი შეზღუდვები ასევე დადგენილია 1962 წლის სატელიტური საკომუნიკაციო აქტით, რომლებიც ვრცელდება საწარმოებში სატელიტური საინფორმაციო გადაცემის სფეროში.

3. პროგრამები თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში. რეგულირდება 1991 წლის ამერიკული ტექნოლოგიის უპირატესობის აქტით, რომლის თანახმად, უცხოელი ინვესტორი ვალდებულია დაამტკიცოს, რომ კომპანია, რომელიც მან დააარსა, აწარმოებს პროდუქციას, რომელიც უზრუნველყოფს აშშ-ს ეკონომიკურ სარგებელს როგორც კვლევის, ისე წარმოებული პროდუქტის თვალსაზრისით.

4. სასოფლო-სამეურნეო წარმოება და თევზაობა. უცხოური მონაწილეობით კომპანიებს არ შეუძლიათ მიიღონ სპეციალური ფინანსური დახმარება და სუბსიდიები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების პროცესში. უცხოელ მოქალაქეებს არა აქვთ უფლება ფლობდნენ საკონტროლო პაკეტს ფირმებში, რომლებიც ფლობენ საკუთარი თევზჭერის გემებს.

5. საბანკო და საფონდო ბირჟების საქმიანობა. ძირითადი დილერების თაობაზე 1988 წლის კანონი ნებას რთავს აშშ-ს ფედერალურ სარეზერვო ბანკს, უარი უთხრას ნებისმიერ უცხოურ საფინანსო ინსტიტუტს აშშ-ს საფინანსო ან საფონდო ბაზარზე საქმიანობაზე, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სახელმწიფოს მთავრობა, რომელსაც ინვესტორი წარმოადგენს, არ ანიჭებს ადეკვატურ პირობებს აშშ-ს კომპანიებსა და ფირმებს.

6. აშშ-ს კანონმდებლობა ნაწილობრივ ზღუდავს უცხოური კაპიტალის მონაწილეობას საჰაერო და საზღვაო სატრანსპორტო სექტორში (Federal Aviation Act of 1958, Merchant Marine Act of 1920).

7. აშშ-ს კანონმდებლობა, როგორიცაა 1950 წლის თავდაცვის წარმოების აქტი, პრაქტიკულად მთლიანად ზღუდავს უცხოური კაპიტალის მონაწილეობას სამხედრო ტექნიკისა და იარაღის განვითარება/წარმოებაში.

8. საბაჟო მომსახურება. 1930 წლის ტარიფის კანონი ადგენს, რომ უცხოელ პირს შეუძლია ლიცენზიის მიღება საბაჟო ბროკერად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი პარტნიორი ამერიკის მოქალაქეა და უკვე აქვს ასეთი დოკუმენტი, რომელიც მას ამ სფეროში მუშაობის ნებართვას ანიჭებს.

9. სასარგებლო წიაღისეული მოპოვება. „1920 წლის აქტი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით მიწის იჯარით გაცემის თაობაზე" ადგენს, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით მიწის იჯარით გაცემა დასაშვებია მხოლოდ აშშ-ს მოქალაქეებზე, ასეთი მოქალაქეების ასოციაციებზე ან კორპორაციებზე. უცხოელი ინვესტორის წილობრივი თანამონაწილეობა გაზის, ნავთობისა და სხვა წიაღისეულის მოპოვების საქმიანობაში დასაშვებია





წყარო: UNCTAD, FDI/MNE database (www.unctad.org/fdistatistics)

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო, რომელსაც წარმოადგენს უცხოელი ინვესტორი, ანალოგიური დაშვების რეჟიმს მიანიჭებს ამერიკელებს.

შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საინვესტიციო პოლიტიკა და მისი რეგულირების პრაქტიკა, როგორი ინდივიდუალურობითაც არ უნდა გამოირჩეოდეს ის, ეფუძნება გარკვეულ ლოგიკურ ჯაჭვს და ემსახურება პირველ რიგში ეროვნულ ინტერესებს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში დღეს არსებული ეკონომიკური ინტერესის სფეროები და გამოკვეთილი თავისებურებები ყალიბდებობდა დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში და ფორმაციას განიცდიდა შესაბამისი პერიოდის საჭიროებებიდან გამომდინარე. ამ პროცესმა, შედეგად განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც უცხოური ინვესტიციების მიმღები და ასევე, ინვესტიციების განმახორციელებელი სახელმწიფოს უპირობო ლიდერობა მსოფლიოს მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Atomic Energy Act of 1954;
http://www.nrc.gov/reading-rm/doc-collections/nuregs/staff/sr0980/ml022200075-vol1.pdf
2. The Foreign Investment and National Security ACT of 2007;
https://www.congress.gov/110/plaws/publ49/PLAW-110publ49.pdf
3. Communication Satellite Act of 1962
http://www.presageinc.com/contents/experience/satellitereform/contents/briefingbook/technology/1962act.pdf
4. American Technology Preeminence Act of 1991;
https://www.govtrack.us/congress/bills/102/hr1989
5. The Commercial Fishing Industry Vessel Anti-Reflagging Act of 1987;
http://thomas.loc.gov/cgi-bin/bdquery/z?d100:HR02598:@@@L&summ2=m&
6. Federal Aviation Act of 1958;
http://libraryonline.erau.edu/online-full-text/books-online/Aviationlawpt1.pdf
7. Merchant Marine Act of 1920 https://agovernmentofthepeople.com/1920/06/01/merchant-marine-act-of-1920-the-jones-act/
8. Defense Production Act of 1950, Defense Conversion, Reinvestment, and Transition Assistance Act of 1992; http://uscode.house.gov/view.xhtml?path=/prelim@title10/subtitleA/part4/chapter148&edition=prelim
9. Tariff Act of 1930;
https://www.gpo.gov/fdsys/granule/USCODE-2010-title19/USCODE-2010-title19-chap4
10. Mineral Land Leasing Act of 1920;
ttps://www.ntc.blm.gov/krc/uploads/172/Mineral%20Leasing%20Act.pdf
11. World investment report 2017
http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2017_en.pdf

დაგროვების ახალი პარადიგმა - ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში

ია ყოლბაია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოში უცხოური ინვესტიციების სტიმულირება უნდა მოხდეს არა რომელიმე ცალკე დარგის, ქვედარგისა თუ ტერიტორიული ერთეულის თვალსაზრისით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ქართული ადამიანური კაპიტალის ეფექტიანი გამოყენების გათვალისწინებით. ქვეყანაში ყოველმხრივი მხარდაჭერა უნდა ჰპოვოს ისეთმა უცხოურმა ინვესტიციებმა, რომელიც არა უკვე ხმარებაში მყოფი, მეორადი ტექნოლოგიების შემოტანას გულისხმობს, არამედ - ინვესტიციებმა, რომლებიც ქართული ინტელექტუალური პოტენციალის ჩართვას მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში, ქართველი ხალხის მაღალ შემოსავლებს, ლეგალური ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლებასა და ქვეყნის კეთილდღეობის ზრდის მდგრად ტენდენციებს უზრუნველყოფს.

SUMMARY

The stimulation of foreign investment in Georgia should be done not from the point of view of some separate braches or territorial units, but first of all by taking into consideration the effective usage of Georgian human capital. All over the country there should be a thorough for the foreign investment that means not the inculcation of second technologies, but including Georgian intellectual potential into the world economic processes, the high income of Georgians, the increasing of the legal business effectiveness and providing the firm tendencies of country welfare.

* * * *

საქართველოს საწარმოების რესტრუქტურიზაცია, რომელიც მოწოდებულია რადიკალურად შეცვალოს მათი საწარმოო აპარატი, ორგანიზაცია და მართვა, ეკონომიკური მექანიზმი, წარმოადგენს ჭეშმარიტად ისტორიულ ამოცანას. თანამედროვე ეტაპზე, დიდი რაოდენობით არასიცოცხლისუნარიანი საწარმოების არსებობა განაპირობებს არა მარტო საბაზრო გარდაქმნების გაჭიანურებას, არამედ, არსებითად განსაზღვრავს ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ბუნდოვან პერსპექტივებს.

საქართველოში პოსტსაბჭოურმა რეფორმებმა ცხადყო, რომ მცდარია წარმოდგენა, საწარმოთა ავტომატური რესტრუქტურიზაციის შესახებ, ეკონომიკური სისტემის ცვლილების კვალობაზე. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პოსტპრივატიზაციის პერიოდში სტრატეგიული ინვესტორების მოძიებას მთლიანად კაპიტალის ბაზარი უზრუნველყოფდა, არ გამართლდა. მართვის პროგრესული მეთოდებისა და ფორმების გამოყენება თითოეულ საწარმოში დამოკიდებულია არა პრივატიზაციის ტემპებზე, არამედ მის ხარისხზე.

ეკონომიკის ფართომასშტაბიანი სტრუქტურული რეორგანიზაცია, სიღრმისეული მიკროეკონომიკური გარდაქმნები და ფუნდამენტური ინსტიტუციური რეფორმები წარმოადგენს არა მარტო საბაზრო გარემოს ფორმირების გადამწყვეტ პირობას, არამედ - მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და მთლიანად ეკონომიკის ცივილიზებული განვითარების ფაქტორს. გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდა ობიექტურად შეუძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, მეცნიერებატევადი და რესურსდამზოგველი წარმოებების, მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს ინტეგრაციის ახალი მექანიზმების შექმნის, მრავალნაირი პერსპექტიული კორპორაციული ორგანიზაციის ფორმებისა და მართვის მეთოდების ათვისების გარეშე.

წარმოების ინფორმაციული ხაზისა და მეცნიერულ-ტექნიკურ ცვლილებებთან მიმართებაში მართვის ხარისხობრივი გარდაქმნის ერთ-ერთ უახლეს გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ცოდნის ახალი ფუნქციისა და მართვის მექანიზმის წარმოქმნა. საუბარია ინტელექტუალური კაპიტალის აკუმულირებაზე საწარმოო და ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციური ცვლილებების პირობებში, ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენება და მზარდი პროფესიონალური კომპეტენცია უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ცხოველქმედებასა და წარმატებულ განვითარებას.

ადამიანური კაპიტალის თეორიის აღმოცენებამ, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში არანივთობრივი დაგროვების მზარდი როლი განაპირობა. ადამიანური კაპიტალის ქვეშ იგულისხმება ადამიანის ყველა მწარმოებლური უნარის ერთობლიობა, მაშასადამე ეს ცნება მოიცავს ცოდნისა და ჩვევების შეძენას, აგრეთვე - ეკონომიკური კეთილდღეობის საწარმოებლად გამოყენებულ ენერგიასა და მოტივაციას[1] (Нуреев Р., 2008, с. 144). ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ძირითად ფორმებს მიაკუთვნებენ: განათლებას, აღზრდას, ჯანდაცვას,

აგრეთვე დანახარჯების მთლიან კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის წარმოებაში ჩართვისათვის მოსამზადებლად. ფიზიკური კაპიტალის მსგავსად მისი ფორმირება მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს როგორც თვით ადამიანისგან, ასევე მთლიანად საზოგადოებისგან. ბუნებრივია, რომ ამგვარი დანახარჯები არ იქნებოდა გაწეული, თუ იგი ვერ უზრუნველყოფდა ადამიანის უფრო მაღალ შემოსავლებს. ამგვარად, ადამიანური კაპიტალი განიხილება როგორც მარაგი, რომელიც შეიძლება დაგროვდეს და მომავალში უფრო მაღალი შემოსავლების წყარო გახდეს[2] (Нуреев Р., 2008, с. 144).

თუ დღეს ეკონომიკური ზრდის პრობლემების მრავალრიცხოვანი კვლევების შედეგებს შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა მკვლევარი მაკროეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად განათლებას განიხილავს. ამ ფაქტორმა, თანამედროვე პირობებში, მეორე პლანზე გადაიყვანა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლადები, როგორიცაა დანაზოგები, ინვესტიციები და მოსახლეობის ზრდა. საგულისხმოა, რომ სხვა პარამეტრები - ინფლაცია, სამთავრობო ხარჯები, ფისკალური პოლიტიკა, მონეტარული პოლიტიკა და პოლიტიკური არასტაბილურობა - უმრავლეს მოდელში ეკონომიკური ზრდის უმნიშვნეოლვანესი მაკროეკონომიკური ფაქტორების სახით არ განიხილება.

21-ე საუკუნეში ეკონომიკური ზრდის უმთავრესი რესურსი და წყარო ადამიანური კაპიტალის და მასში ინვესტიციების ზრდაა. პოსტსაბჭოთა ქვეყნების (და არა მარტო მათი) მაგალითმა აჩვენა, რომ გლობალიზაციამ და ლიბერალურმა რეფორმებმა ყველაზე მეტად სწორედ ნაკლებადკვალიფიციური სამუშაო ძალა დააზარალა.

ეკონომიკური განვითარების წარმატებული მოდელების, ან უარეს შემთხვევაში, ამ მოდელების ცალკეული ფრაგმენტების იმიტირების სავალალო შედეგები ისტორიაში კარგადაა ცნობილი. გამონაკლისია მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომლებმაც განვითარების იაპონური მოდელის „ კონცეპტუალური“ იმიტირებით უმოკლეს დროში ეკონომიკური სასწაულები მოახდინეს.

განვითარების სამხრეთ-აზიურ მოდელში ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებად არა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, არამედ მსოფლიოში ფართოდ გამოყენებული უახლესი მაღალი ტექნოლოგიების შეთვისება და დანერგვაა განსაზღვრული. აზიის ქვეყნებში განათლებასა და სამუშაო ძალის მაღალ კვალიფიკაციაზე აქცენტის გადატანა განაპირობა იმპორტის შემცვლელი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკიდან ექსპორტის მასტიმულირებელ პოლიტიკაზე გადასვლამ.

მიუხედავად იმისა, რომ აზიის ქვეყნების უმრავლესობის შედარებით უპირატესობას იაფი სამუშაო ძალა წარმოადგენდა, მორჩილების თავიდან ასაცილებლად, მათ მაღალ ტექნოლოგიებზე, ინტელექტუალურ კაპიტალზე და მეცნიერტევადი და კაპიტალტევადი პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა აირჩიეს[3] (Richard R.N., 2007, p.57).

რა უპირატესობა ჰქონდა ექსპორტზე ორიენტირებულ პოლიტიკას იმპორტის შემცვლელ ინდუსტრიალიზაციასთან შედარებით? იმპორტის შემცვლელმა ინდუსტრიალიზაციამ, კაპიტალის ნაკლებობის (ან უბრალოდ, არარსებობის და შესაბამისი მენეჯერული ცოდნის ნაკლოვანებათა) შედეგად, უზარმაზარი ფინანსური ვალდებულებები დაუგროვა ქვეყნებს და საწარმოებს, რომელთა გადახდაც შეუძლებელი გახდა სუსტი, მცირე მოგების მქონე ახალგაზრდა დარგების და ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში. ასე რომ, იმპორტის შემცვლელი ინდუსტრიალიზაციის უზარმაზარი დანახარჯები ღირებულებით მაჩვენებლებში გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამ პოლიტიკისაგან მიღებული სარგებლობა. ამასთან, მოცემული სტრატეგია არც თუ ისე დამაიმედებლად გამოიყურებოდა მსოფლიოს წარმატებული ღია ეკონომიკების სწრაფი განვითარების ფონზე. სწორედ ამიტომ, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში (სამხრეთ ამერიკისაგან განსხვავებით, სადაც იმპორტის შემცვლელი ინდუსტიალიზაციის სტრატეგია ასევე მეტად პოპულარული და ასეთივე დოზით, წარუმატებლი იყო) მთავრობებმა კურსი ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკისაკენ აიღეს, რომლის განხორციელებაც სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მაღალი ტექნოლოგიების მოზიდვაზე იყო დამოკიდებული. ცხადია, ფინანსურად არც ახალი პოლიტიკა იყო იაფი, მაგრამ მისი წარმატება გარანტირებული იყო სამხრეთ-აღმოსალეთ აზიის ისედაც საკმაოდ განათლებული, შრომისმოყვარე მუშახელის პირობებში. ასე რომ, „მეორე ინდუსტრიულმა რევოლუციამ“[4] (Leinbach T.R., Ulck R., 2008, p.88) (ასე უწოდეს ამ პოლიტიკას ტაივანსა და სინგაპურში) რეალური შედეგები გამოიღო. ამასთან, აზიის ქვეყნებში, სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, 70-იანი წლების დასასრულს უკვე საკმაოდ მომძლავრდა შრომატევადი და კაპიტალტევადი პროდუქციის წარმოება. იაფი შრომითი რესურსით, ამ ქვეყნებმა თავიდანვე მოიზიდეს ინვესტიციები, რის გამოც, რეგიონში წარმოების საკმაო გამოცდილება დაგროვდა. ასეთ პირობებში, მაღალი ტექნოლოგიების მოზიდვა, მათი დანერგვა და ფართოდ გამოყენება შედარებით გამარტივდა, თუმცა, ამას ხელი შუწყო სახელმწიფოს ლიდერთა პოლიტიკურმა ნებამ და ძლიერმა სახელმწიფო კონტროლმა ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაზე.

აზიის ქვეყნების მიერ განათლებასა და მაღალ ტექნოლოგიებზე ორიენტირების სტრატეგიის ხორცშესხმის შედეგად, რეგიონის ქვეყნები ცნობილი არიან ე.წ. „პროცესის ინოვაციით“ [5] (Gilpin R., 2011, p. 28) ანუ უკვე არსებული პროდუქტების წარმოების პროცესის პერმანენტული დახვეწით, არსე-

ბული ტექნოლოგიებისთვის ახალი თვისებების მინიჭებით. სწორედ ამ პროცესებს მოჰყვა აზიის ახლად ინდუსტრიალიზებული ქვეყნების საკუთარი გამოგონებები, ახალი საბაზრო ნიშნების შექმნა და საექსპორტო პროდუქციის წარმოება, რომელიც უცხოური ვალუტისა და დადებით სალდოიანი საგადასახდელო ბალანსის მუდმივი წყარო გახდა.

რატომ არ ჰქონდა რადიკალურ ლიბერალურ რეფორმებს მსგავსი შედეგები პოსტსაბჭოურ ქვეყნებში?

პირველყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის, ასევე ეკონომიკური განვითარების არჩეული სტრატეგიის თვალსაზრისითაც ეს ორი რეგიონი მკვეთრად განსხვავდება ერთამენთისაგან: აზიის ქვეყნების უმრავლესობა არ იყო კომუნისტური; მათ ჰქონდათ იაპონიის განვითარების სქემა და ამავე დროს, მისი დიდი მხარდაჭერა; აზიის ქვეყნები (საკუთარი სურვილით) გაცილებით ნაკლებად იყვნენ მიჯაჭვულნი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე; მათი რეფორმები გრადუალისტური იყო და არა რადიკალური.

პოსტკომუნისტური საზოგადოება კი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა რადიკალურ რეფორმებს და დემოკრატიულ ინსტიტუტებს. სამართლებრივმა ქაოსმა და დაჩქარებულმა პრივატიზაციამ წარმოშვა კერძო მესაკუთრეთა ფენა, რომელიც თითქმის სახელმწიფო მოხელეთა ფენის იდენტური აღმოჩნდა. ამ უკანასკნელთა მოკლევადიანმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა იმძლავრა ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ ინტერესებზე და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების, ანუ განათლების, პოლიტიკურად საკმაოდ არა პოპულარული სფეროს, დაფინანსების პრობლემებმა თითქმის უკანასკნელ პლანზე გადაინაცვლა[6] (ახვლედიანი ა., 2001, გვ. 4) .

აზიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში განათლების მაღალი დონე სამომავლო წინსვლასა და ცხოვრების მაღალ დონესთან ტრადიციულად არასოდეს ასოცირდებოდა. ამდენად, აზიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში არ არსებობდა სტიმული განათლების, ტექნოლოგიური ცოდნის გაღრმავების სახელმწიფო პრიორიტეტად ქცევისათვის. პოლიტოკოსებს სჯეროდათ, რომ ეკონომიკური ზრდის რესურსები მხოლოდ ძირითადი კაპიტალის მარაგის ზრდაში, ანუ ფიზიკურ კაპიტალში ინვესტირებაშია. ამასთან, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, როდესაც უცხოური კაპიტალის ინვესტირების შედეგია მოგების ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადინება, უდიდესი განსხვავებაა შრომის ანაზღაურებაში უცხოელ და ადგილობრივ მუშახელს შორის, ადგილობრივი პოლიტილოსების უკმაყოფილება არ აყოვნებს და საზოგადოებაში ვრცელდება აზრი, რომ უცხოური ინვესტირება დამორჩილებას, ექსპლოატაციასა და ადგილობრივი ეკონომიკის განადგურებას ნიშნავს[7] (ახვლედიანი ა., 2001, გვ. 5-6).

საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა განათლების საერთო დონით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ფაქტობრივად ყველა სფეროში ქართველი მეცნიერები პრევალირებდნენ საბჭოთა კავშირის სივრცეში (და არა მარტო აქ). ბუნებრივია, რომ ქვეყანაში ეხლაც შემორჩენილია ათწლეულების მანძილზე აკუმულირებული ცოდნის მარაგი, რომელიც შემდგომ განახლებასა და განვითარებას საჭიროებს. მთავარი პრობლემა, რომელიც ამ თვალსაზრისით შეიძლება წამოიჭრას, ეს არის ფსიქოლოგიური მომენტი. ცოდნის შეძენა, აკუმულირება, განვითარება და გამოყენება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ამ პროცესში საინვესტიციო სახსრებით წარმართვის მიზანშეწონილობას. საქმე ისაა, რომ რაციონალური ინდივიდი (ან მთლიანად საზოგადოება) აფასებს დანახარჯებსა და სარგებელს, რაც ხშირად ხდება ისეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, რომელიც მხოლოდ მიმდინარე, მოკლევადიან მიზნებს ემსახურება.

ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ანაზღაურების შიდა ნორმის გამოთვლის მეთოდიკა იგივეა, რაც ფიზიკურ კაპიტალში დაბანდებების შემთხვევაში: ამისათვის საჭიროა ერთამენთს შეუფარდდეს დამატებითი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია განათლების მიღებასთან, დამატებით სარგებელს, რომელიც შეიძლება მივიღოთ განათლების შედეგად. დანახარჯებში აუცილებელია ჩავრთოთ განათლების ღირებულება, სწავლების პერიოდში დაკარგული შემოსავლები (ალტერნატიული ხარჯები) და სხვა დანახარჯები. რაც შეეხება სარგებელს, იგი უნდა გამოიხატოს მუდმივი შემოსავლის ზრდაში.

მართლაცდა, განათლება საშუალებას იძლევა ავითვისოთ არა მარტო ძველი, უკვე დაგროვილი ცოდნა, არამედ შრომის პროცესში ხელს უწყობს ახალი ცოდნის შეძენას, აგრეთვე უზრუნველყოფს პირობებს მათი მომავალში წარმოებისათვის. ამიტომ განათლება უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკის წინმსწრები ფაქტორი, რომელიც მომავალი პროგრესის წანამძღვრებს შექმნის.

ჯერ კიდევ 60-70-იან წლებში ადამიანური კაპიტალის აღიარებულმა მნიშვნელობამ განაპირობა მისი დაჩქარებული ფორმირების საინვესტიციო პროგრამების ფართო გავრცელება. განვითარებად ქვეყნებში ეს გამოიხატა ძირითადად დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემის განვითარებაში, რომელიც განიხილებოდა, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარი ფაქტორი. მართლაც, გაუნათლებლობის აღმოფხვრა წარმოადგენს ეროვნული შრომის ნაყოფიერების ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გათვლები აქვს ჩატარებული აკადემიკოსს ს. სტრუმილინს[8] (Струмилин С., 2004, с. 598), რომელიც თვლიდა, რომ განათლებულობა ამაღლებს

შრომის ნაყოფიერებას 24%-ით, ხოლო საშუალო განათლება 67%-ით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ინტელექტუალური და საკმაოდ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალით, მაგრამ, თანამედროვე ეტაპზე, სტიმულების არარსებობამ, მისი უდიდესი ნაწილის უცხოეთში გადინება განაპირობა. ზოგადად კი ეს პროცესი კიდევ უფრო აღრმავებს ეკონომიკურ კრიზისს და ნაკლებ საალბათოს ხდის ქვეყნის წარმატებულ მომამავლს.

ამდენად, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც) სწორედ ადამიანური რესურსები განსაზღვრავენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპებსა და ხასიათს. ქვეყანა, რომელსაც არა აქვს უნარი განავითაროს მისი მოქალაქეების ცოდნა და შესაძლებლობები, განწირულია კრახისთვის. კაპიტალი და მიწა, ეს მხოლოდ პასიური ფაქტორებია, ხოლო ხალხი (რომლებიც ფლობენ საერთო და სპეციალურ პროფესიონალურ ცოდნა) წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ყველაზე უფრო აქტიურ ფაქტორს. ამ ფორმით მათი ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება როგორც განათლების ფორმალური სისტემა. სრულყოფა, ასევე მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება. განათლება წარმოადგენს მხოლოდ პოტენციურ ფაქტორს, მომავალი ეკონომიკური ზრდის წანამძღვარს. იგი განვითარების წყარო ხდება მაშინ, როცა შესაძლებელია მისი დამოუკიდებლად გამოყენება, ანუ როცა შექმნილია მისი პრაქტიკული რეალიზაციის წანამძღვრები. ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან დღეისათვის განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების ხარჯების დიდი ნაწილი სწორედ განათლებაზე მოდის.

ჩემი აზრით, სწორედ ზემოაღნიშნული პარადოქსული სიტუაცია შეიმჩნევა საქართველოში. უზარმაზარი თანხები იხარჯება საშუალო და უმაღლეს განათლებაზე, თუმცა ვისთვის ამზადებს ქვეყანა მომავალ პროფესიონალებს მეტად გაუგებარია. საჭიროა კი ქვეყანაში ამდენი უმაღლესგანათლებული, თუ ბაზრის მხრიდან არ იქნება შესაბამისი მოთხოვნა? და თუ იქნება, ალბათ ეს ქართული ბაზარი კი არა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, უცხოური, შრომის მაღალი ანაზღაურებით გამორჩეული ქვეყნების ბაზრები იქნებიან. ბუნებრივია იბადება კითხვა: მაშინ ვინ დარჩება საქართველოში? ალბათ ის ვინც უცხოელ ინვესტორს იაფი სამუშაო ძალით დააინტერესებს. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის დამღუპველი ქვეყნისათვის. საქართველოში მოშლილია ადამიანური კაპიტალის აღწარმოების პროცესი, ანუ პროცესი, რომელიც ცოდნის აკუმულირებას არა როგორც კაპიტალისტური წარმოების შედეგს, არამედ როგორც მის ამოსავალ პუნქტს განიხილავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Нуреев Р., Теория развития : новие модели экономического роста, 2008, с. 144;
2. Richard R.Nelson, Thr Asian Miracle and Modern Growth Theory – The World bank Paper, 2007, p.57;
3. Leinbach T.R., Ulck R., The South-East Asia – Diversity and development, 2008, p.88;
4. Giplin R., The Challenge of Global Capitalism – World Economic in the 21 century, 2011, p. 28);
5. ახვლედიანი ა., ეკონომიკური ზრდის აზიური მოდელი და ლიბერალური რეფორმები პოსტკომუნისტურ სივრცეში: შედეგები, გაკვეთლები. ჟ. „ეკონომიკა“ 2001, გვ. 4-5-6;
6. Струмилин С., Проблеми экономики, 2004, с. 598;
7. Kapstein B., Winners and Losers in the Global Economy, Internationaal Organization, 54-2, 2014, p. 359-384.

მეტროს მშენებლობის ესპანური მეთოდის უპირატესობები

თამაზ შამათავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მსოფლიოში მეტროს მშენებლობის ორი მეთოდი არსებობს. პირველი - ეს არის ეგრეთწოდებული ძველი მეთოდი რომლის დროსაც გვირაბების გათხრა მიმდინარეობს ორი ფარით, ხოლო მეორე არის ევროპაში ძალიან გავრცელებული, ესპანური მეთოდი, რომელსაც ასევე ატიურად იყენებენ რუსეთშიც. ესპანური მეთოდის დროს მეტროს მშენებლობა მიმდინარეობს ორი გზით და მისი პლატფორმები არის განთავსებული გვერდებზე. ამ მეთოდით მშენებლობის დრო გაცილებით უფრო ნაკლებია, რადგან გვირაბების გაყვანა ხდება ერთი დიდი დიამეტრის ფარით და არა ორი, როგორც ეს კეთდება ძველი მეთოდით.

ამ მეთოდს აქვს კიდევ რამოდენიმე უპირატესობა:

• ახალი ხაზების მშენებლობა ორგზივი გვირაბებითა და სადგურებით რომელსაც პლატფორმები გვერდებზე აქვს განლაგებული დაახლოებით 20-30% -ამდე უფრო ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს.

• ექსპლუატაციის დროს მოითხოვს 30-50%-ამდე ნაკლებ ხარჯებს.

• ფორს მაჟორული სიტუაციების დროს ევაკუაცია ხდება უფრო სწრაფად და ეფექტურად ვიდრე ორი ერთ გზიანი გვირაბიანი მეტროს შემთვევაში.

საკვანძო სიტყვები: ესპანური მეთოდი, გვირაბი, საბურღი ფარი, პლატფორმა

SUMMARY

Tamaz Shamatava
PhD student of GTU

There are two methods of building subway throughout the world. The first one is so called old method, which means tunnels are drilled with two shields, second one is Spanish method, which is very spread among European countries and is also used in Russia very actively. During the Spanish method subway is constructed with two ways and platforms are placed on sides. Time that is needed to construct such subway is much less, than the old method, because tunnels are drilled by using two shields, which are of the same diameter. This method has more advantages:

• The costs of constructing subway lines, with dual ways and stations that are placed on sides, are approximately 20 -30% less

• Exploitation costs are 30-50% less.

• In case of Force Majeure, evacuation is faster and more effective, than in two one sided tunnel subways.

Keywords: Spanish method, tunnel, drilling shield, platform.

მშენებლობის ხარჯები

იქიდან გამომდინარე, რომ ერთგზიანი გვირაბის დიამეტრი 6.3მ-ია ხოლო ორგზიანის 10მ, გაჩნდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ესპანური მეთოდით მეტროს მშენებლობის დროს მიწის სამუშაოებს ხარჯები უფრო მეტია ვიდრე ერთგზიანი მეტროს შემთხვევაში. სინამდვილეში ასეთი გვირაბების მშენებლობა 20-30 %-ით უფრო იაფია. ეს გამოწვეულია იქიდან, რომ გრუნტის სამუშაოების ხარჯის მოცულობა მთლიანი ხარჯების მხოლოდ 6% -ს შეადგენს, ხარჯთაღრიცხვაში ყველაზე დიდი ადგილი უკავია საბურღი ფარის ამორტიზაციას და მომსახურე პერსონალის სახელფასო ხარჯს. ორი გვირაბის მშენელობის შემთხვევაში საჭიროა ორი სამუშაო ბრიგადა, დაახლოებით 200 ადამიანი, ხოლო ორგზიანი გვირაბის გასათხრელად მუშაობს ერთი ფარი, რის მომსახურებასაც სჭირდება არაუმეეტს 130 ადამიანისა, რაც სამჯერ ნაკლებია ვიდრე წინა შემთხვევაში. შემდგომი მშენებლობისას მაგალითად სამონტაჟო კატლავანის მოწყობის და კომუნიკაციების გაყვანის დროს ხარჯები ბევრად უფრო მცირეა, ასევე არ არსებობს დამაკავშირებელი გვირაბების მშენებლობის აუცილებლობა. შესაბამისად ესპანური მეთოდი 20-30%-ით უფრო იაფია ვიდრე აქამდე გამოყენებული მეთოდი.

მშენებლობის დრო

მეტრო ესპანური მეთოდით შენდება 20-30%-ით უფრო ჩქარა. საბურღი ფარის მუშაობის საშუალო სიჩქარე ორგზიანი გვირაბში არის 450 მეტრი/თვეში. ორი ერთგზიანი გვირაბის მშენებლობისას არ შეიძლება ორი ფარის პარალელურ რეჟიმში მუშაობა. ასევე ფარის დიდი დიამეტრის დამსახურებით, გვირაბის გათხრისას უკან ტოვებს ფაქტიურად გამზადებულ სადგურს, ამიტომაც არ არი საჭირო მისი დაშლა და ანყობა ყველა ჯერზე როდესაც ის აღწევს სადგურის კომპლექსს. აქედან გამომდინარე ფარის მიერ გვირაბის გავლა ხდება შეუჩერებლად, ხოლო შუალედური სადგურები ექსპლუატაციაში შედიან უფრო სწრაფად. ესპანური მეთოდის დროს კატლავანის სამუშაოების ეტაპზე არ გამოიყენება არანაირი დროებითი ნაგებობები. ფარის დასაყენებლად მიწაში შენდება კედელი რომელიც შემდგომში რჩება სადგურის კედლად. შემდეგ ზედაპირზე კეთდება ბეტონის გადახურვა, ამ გზით მთლიანი კონსტრუქცია ძალიან მალე ზემოდან იფარება ფილით და სხვა ყველა სამშენებლო სამუშაო გამვლელებისგან აბსოლიტურად და-

ფარულია, შესაბამისად მოსახლეობას არ ექმნება დისკომფორტი. ამასთან, 3-6 თვეში უკვე შესაძლებელია ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენა და ტერიტორიისათვის პირვანდელი სახის დაბრუნება.

ევაკუაცია

ერთგზიან გვირაბში მგზავრების სრული ევაკუაციის დრო 9-16 წუთია, ორგზიანი გვირაბის, ერთგზიანი გვირაბის შემთხვევაში ეს შეიძლება 38წუთი გაგრძელდეს. პირველ რიგში ეს ხდება დიდი ფართის ხარჯზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ხანძრის დროს, როდესაც კვამლი ადის მაღლა. მაგალითად მოსკოვში მგზავრებს ვაგონიდან აქვთ მხოლდო ორი საევაკუაციო გასასვლელი: ვაგონის თავში და ბოლოში, ორივე შემთხვევაში მგზავრები გამოდიან სახიფათო ზონაში, ძალიან ახლოს, კონტაქტურ რელსთან. მის სრულიად გამოსართავად საჭიროა 30 წუთი. ორგზიანი გვირაბის სიდიდე იძლევა ვაგონების კიბეებით აღჭურვის შესაძლებლობას, რომელიც შემადგენლობის ყველა კარიდან გადმოიშლება საჭირო დროს. ამ გზით მგზავრები სწრაფად აღმოჩნდებიან გზებს შორის და პანიკისა და ჭყლეტვის გარეშე შეუძლიათ გაემართონ გასასვლელისაკენ. სერიოზული უბედური შემთხვევის დროს, როდესაც მატარებელი გამოსულია მწყობრიდან და მგზავრები დაშავებულები არიან, ყოველთვის შეიძლება მეორე გზით სამაშველო შემადგენლობის ადგილზე მიყვანა. მგზავრების ევაკუაცია სადგურის პლატფორმებიდან ასევე უფრო სწრაფად ხდება, თითოეულ პლატფორმას აქვს ორი გასასვლელი. ორგზიანი გვირაბები უკვე 100 წელია არსებობს და ჯერ არ ყოფილა მატარებლების ფრონტალური შეჯახების არცერთი შემთხვევა.

საექსპლოატაციო ხარჯები

საექსპლოატაციო ხარჯები 30-50%-ით უფრო ნაკლებია ორგზიანი გვირაბის შემთხვევაში, ვინაიდან განათების, კომუნიკაციის და ძალოვანი კაბელების უფრო ნაკლები სისტემებია საჭირო. მომსახურებისას უფრო მცირე პერსონალია საჭირო. ამის გარდა შესაძლებელია საისრო დანადგარების ნებისმეერ ადგილზე მონტაჟი, რაიმე დამატებითი სამშენებლო სამუშაოების გარეშე, რაც საშუალებას იძლევა ნებისმიერი შემთხვევის დროს საჭიროებისამებრ შეიცვალოს მატარებლების მოძრაობის სქემა.

კომფორტი

მგზავრებისათვის კომფორტული მიკროკლიმატი მიწისქვეშა სადგურში, არ წარმოიშვება დგუშის ეფექტით არამედ დამოკიდებულია სავენტილაციო სისტემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ შეუჩერებელ და ეფექტურ ჰაერცვლას მეტროპლიტენსა და ატმოსფეროს შორის, ასევე არეგულირებენ ტემპერატურას, ტენიანობას და ჰაერის გამჭვირვალობას დათქმული ნორმების მიხედვით. არსებობს მოსაზრება, რომ ორგზიანი გვირაბის შემთხვევაში მატარებლების ურთიერთავლის დროს წარმოიშვება დიდი ხმა. თანამედროვე ტექნოლოგიები კი იძლევა საშუალებას მატარებლების მოძრაობის დროს წარმოშობილი ვიბრაცია და ხმაური ჩაიხშოს სპეციალური მასალით, რომლებიც თავსდება რელსებსა და გვირაბის საფუძველს შორის. მსგავსი ტიპის სისტემები გამოიყენება მოსკოვის სადგურში «Деловой центр». ესპანური მეთოდი ბევრ ქვეყანაში გამოიყენება და აღიარებულია როგორც ოპტიმალური მშენებლობის ტექნოლოგია არაღრმა სადგურებისათვის. ორგზიანი გვირაბები გვხვდება პარიზის, მადრიდის, რომის და ბერლინის სხვადასხვა სადგურებში. ორ პლატფორმიანი სადგურები მგზავრებისთვის უფრო მეტად კომფორტულია. გვერდით პლატფორმებიან სადგურებში მგზავრმა უკვე ვესტიბიულის დონეზე იცის თუ რომელი კიბით უნდა ჩავიდეს, რომ მოხვდეს საჭირო პლატფორმაზე. სადგურები იღჭურვება ინტუიტიური ნავიგაციით - დიდი რაოდენობით ნიშნები და ისრები ეხმარებიან მზგავრებს მიწისქვეშა სივრცეში ადვილად ორიენტირებაში. და ბოლოს სადგურების დიდი ფართობი აძლევს არქიტექტორებს მრავალი დიზაინრული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, რაც საშუალებას იძლება ყველა სადგური გაფორმდეს ინდივიდუალურ და უნიკალურ სტილში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gary B. Hemphill - Practical Tunnel Construction 1st Edition.
2. A. Schulter, H. Wagner - Tunnel Boring Machines 1st Edition
3. Попов С.А. - Мосты и тоннели.
4. Картозия Б.А. - Шахтное и подземное строительство. Том 1 и Том 2.
5. Конюхов Д.С. - Использование подземного пространства.
6. Булычев Н.С. - Механика подземных сооружений в примерах и задачах.

რელიგიური ფაქტორი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში

გია ზოიძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ეკონომიკურ პოლიტიკაში, მისი ფორმირების და რეალიზაციის პროცესში მთავარი ორიენტირი არის ადამიანი; სწორედ ადამიანისეულ კაპიტალზე სრულად მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა არის სიცოცხლისუნარიანი და წარმატებული. და რამდენადაც ამ სახის კაპიტალში ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური ასპექტების გვერდით თავის ადგილს იჭერს რელიგიური ასპექტი, ამდენად რელიგია ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძალზე ღირებულ „არამატერიალურ" საყრდენს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: რელიგია, მსოფლიო რელიგიები, რელიგიური ფაქტორები, ცივილიზაცია, გლობალიზაცია, გლობალური კონკურენტუნარიანობა.

RELIGIOUS FACTOR IN THE FORMATION OF ECONOMIC POLICY

Gia Zoidze
The student of Third PhD Course,
Georgian Technical University

RESUME

In economic policy, the main focus of its formation and realization is the man; The economic policy that is fully adapted to human capital is viable and successful. And as far as the economic aspect of its place is found in economic, social and psychological aspects in this type of capital, so religion is one of the most valuable "non-material" pillars of economic policy.

Key words: Religion, World Religions, Religious Factors, Civilization, Globalization, Global Competitiveness.

ძირითადი ტექსტი

„უღმერთობა საკაცობრიო დანაშაულია, ხოლო ტალანტი მრწამსის გარეშე ქმნის არამზადებს".

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი ძირეული თავისებურება არის ის გარემოება, რომ დღეს ყველა მოქმედი რელიგია (ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი, ბუდიზმი) ადამიანის ზნეობრივი სახისა და მოქმედების ყველა შესაძლო არეალიდან საზოგადოების, სახელმწიფოს არა მხოლოდ იდეურ-პოლიტიკური სახის განმსაზღვრელი გახდა. უფრო მეტიც, რელიგიამ სახელმწიფოსა და საზოგადოების, თვით ადამიანის ცხოვრების ისეთ ძირეულ საწყისში შეაღწია როგორიც არის ეკონომიკა.

ამდენად, ფაქტიური რეალობა არის ის, რომ რელიგია იმ განსაკუთრებული იდეოლოგიური ინსტიტუტის რანგში გამოდის, რომელიც საზოგადოების სოციალურ- ეკონომიკური განვითარების შემოქმედებით ძალად გარდაიქმნა და არსებობს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში ორმა უდიდესმა ძალამ - რელიგიამ და ეკონომიკამ არსებითი როლი შეასრულა; რელიგია თავისთავად ადამიანის ქმედების აქტივიზაციის მოცემულობა და ზნეობრიობის რეალიზაციის ნოყიერი ნიადაგია; აღნიშნული მოცემულობა კი ეკონომიკის შემოქმედის - ადამიანის შრომითი საქმიანობის ფონზე ძალზე საინტერესო იდეურ-ეკონომიკური თუ ზნეობრივ-ეკონომიკური ინსტიტუციალის სახეს ჰქმნის.

ამ ფონზე ერთმანეთის პირისპირ დგას **ერთი,** ძალიან მარტივად "წმინდა" მატერიალისტური და ყოფიერი მოცემულობა, **მეორე,** კი, ამდენივე ძალისხმევის მქონე სულიერი და ზეციური არეალი. ამ თითქოს-და შეუთავსებელ ძალთა ერთიანობაში ნათლად ჩანს მათი ღირებულებითი მნიშვნელობა. დღეს, ამ ორივე ძალის მარგი ქმედების კოეფიციენტი კიდევ უფრო ძლიერდება და სულ უფრო აღქმადი ხდება.

ეკონომიკური პოლიტიკა უბრალოდ ვერ იტანს და მისთვის უბრალოდ უცხო სხეულია საქმიანი ურთიერთობების დამაკნინებელი მოცემულობები, რაც საბოლოო ჯამში თავის მხრივ ძირეული რელიგიური მოთხოვნებიდან გადახვევის ტოლფასია. კერძოდ, მაგალითად ბიუჯეტის შემოსულობების კლება და ხარჯვითი ნაწილის დაუსაბუთებელი ზრდა, სახელფასო ან საპენსიო ხასიათის საკითხების დაურეგულირებლობა, მონოპოლიზმი წარმოებისა და მომსახურების სფეროში და ფასებით მანიპულირება, სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით თაღლითობა და ფინანსური მაქინაციები, არაკეთილსინდისიერი რეკლამა და სხვ.

მსგავსი სახის ქმედებები ნათლად აჩენს არა მარტო ეკონომიკური პოლიტიკის არაეფექტურობას, არამედ მის რელიგიურ უზნეობასაც. ეკონომიკური პოლიტიკა სულიერად სამართლიანია მხოლოდ მაშინ, როცა იგი ეკონომიკურ სამართალს იცავს და სიმართლეს "ყოველთა ჟამსა" მთელის არეალით მოითხოვს. დღეს, ყველა განვითარებული საზოგადოება, ორიენტირებულია წარმატებისთვის გამიზ-

ნული საერთო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებით და მისი ხორცშესხმით. აღნიშნული პროცესი მთლიანობაში მარტივი სრულებით არ არის, და, იგი რთული და ამავე დროს მძიმეც კი არის. ეს გარემოება ძალიან მტკივნეულად აღიქმება ჩვენი ქვეყნის - საქართველოს მაგალითზე, სადაც პოსტკომუნისტურობის ნიშნულები და „ბრმა ემოციები" ჯერ კიდევ არ არის დაძლეული. ამიტომაც არის რომ დღეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური რეალობა არც თუ ისე მისაღებია, როგორც საზოგადოების თითოეული წევრისათვის, ისე მთლიანად საზოგადოებისათვის.

აღნიშნული აზრის დამადასტურებელია ისრაელის სახელმწიფო, სადაც რელიგიის მიმართ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების მოცემულობა და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ რელიგიური დამოკიდებულების სიმძიმე ერის ღირსებად წარმოჩინდება. აქ არსებული ბიზნესი იდეურ-რელიგიურ ფესვებზე მჭიდროდ არის დაყრდნობილი, ადექვატურად ეკონომიკაც მსგავს მოცემულობაშია, და საბოლოო ჯამში შედეგიც სავსებით კანონზომიერია. რელიგიური ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში მორალურ-ზნეობრივი ხერხემლის რანგში გამოდის.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სინამდვილე და რეალობა იმ საფეხურზეა, რომ იგი ნებსით თუ უნებლიედ გვერდს უვლის, ან უბრალოდ, ვერ ხედავს ან ვერ აცნობიერებს რელიგიის „წონადობას". ყოველივე ეს იმ ფონზე ხორციელდება, როცა ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ საზოგადოების სრული კეთილდღეობის მიზანდასახულობა, უბრალოდ ვერ ამჩნევს, ან არ ხედავს ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოების ეკონომიკური ზნეობის ერთ-ერთ მგრძნობიარე და მასტიმულირებელი ფაქტორის - რელიგიის ქმედითუნარიანობას, აღმშენებლურ პოტენციას და შემოქმედობითობას.

აღნიშნული შეხედულების რეალური ხორცშესხმის აუცილებლობას ეკონომიკურ პოლიტიკაში, პრაქტიულად რელიგიისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების მაგალითზე ვხვდებით, სწორედ ამ მოცემულობაში წარმოჩინდება რელიგიის ადგილი და მნიშვნელობა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

ცივილიზაციური იდეოლოგიის ძირითად ელემენტს არსებული ცივილიზაციების უმეტესობისათვის წარმოადგენენ რელიგიური სისტემები. ცივილიზაცია არ არის გაქვავებული კონსტრუქცია და მას გააჩნია უნარი ისესხოს სხვა ცივილიზაციური სისტემებისგან იდეოლოგიის ინსტიტუტები და ელემენტები, რომლებიც მათ აძლევს კონკრეტულ უპირატესობას ევოლუციურ ბრძოლაში. ამ ელემენტების შემოტანით ჩვენს ცივილიზაციაში და მათი გონივრული შეხამების პოვნით ჩვენს კულტურასა და წეს-ჩვეულებებთან, შეიძლება გავზარდოთ საკუთარი კონკურენტუნარიანობა და შევეცადოთ მოვიგოთ ბრძოლა ეკონომიკური ლიდერობისათვის. სწორედ ამიტომ, სასარგებლოა, და აუცილებელიც კი, იცნობდე შენს პარტნიორს. ხოლო იმისათვის, რომ უკეთ გაიგო და ქცევის რეაქციის პროგნოზირება მოახდინო, უნდა იცოდე მისი ფასეულობათა სისტემა და მსოფლმხედველობის საფუძვლები, რომლებიც ეროვნულ კულტურაში, ცივილიზაციურ იდეოლოგიასა და რელიგიაში დევს.

თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში ეს ცოდნა შეიძლება გამოვიყენოთ საქმიანი მოლაპარაკებების წარმართვის დროს, მარკეტინგული კვლევების პირველ ეტაპზე, საქონლის წინ წასაწევად საზღვარგარეთულ ბაზრებზე და სხვა მრავალი ამოცანის გადაწყვეტის დროს. მსოფლიო ეკონომიკა ხდება, აგრეთვე, პრაქტიკული მეცნიერებაც. ჩვენ მუდმივად მივმართავთ მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობებს ბიზნესში.

ფაქტია, რომ რელიგიამ საზოგადოების მორალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში უდიდესი როლი იტვირთა; იგი საზოგადოების ზნეობრივი ინსტიტუტის რანგში საზოგადოების განვითარების შემოქმედებით ძალად წარმოჩინდა. საზოგადოებრივი ცნობიერების რანგში რელიგია სოციალური ერთობის გამომხატველიც კი გახდა; აღნიშნულის ფონზე საკმაოდ საინტერესოა პრაქტიკის გადასახედიდან ეკონომიკის ძირითადი პრინციპებისა და რელიგიური მორალის შეთანაწყობის საკითხი. აღნიშნული გარემოება ნათლად ჩანს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში, როცა რელიგიური ფაქტორის გათვალისწინების ფონზე და მისი გადასახედიდან ხდება პრობლემის გაანალიზება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მკვლევარები თავიანთ ანგარიშებში მიუთითებენ, რომ „განსხვავებებს ეროვნულ ფასეულობებში, კულტურაში, ეკონომიკის სტრუქტურაში, არსებულ ორგანიზაციებსა და ისტორიულ განვითარებაში - შეაქვს წვლილი წარმატებული კონკურენციული უპირატესობების მოსაპოვებლად".[1]

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი პროფ. გ. მენქიუ წერს: „ჩვენი პოზიტიური შეხედულებები სამყაროს მოწყობის შესახებ ჩვენსავე ნორმატიულ შეხედულებებზე მოქმედებს. ნორმატიული დებულებების შესაფასებლად არა მხოლოდ ფაქტებია საჭირო, არამედ, გარკვეული ფასეულობითი ორიენტირებიც".[2] ამგვარად, ეროვნულ ფასეულობებს, რელიგიასა და კულტურას მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ დიდი მეცნიერები ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური კურსისა და შედეგად, მისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ის, რომ მრავალ სახელმწიფოში რელიგიის როლი მნიშვნელოვნად დიდია როგორც დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებაში, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით ეს

1 ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი მ. პორტერი - „ერების კონკურენციული უპირატესობები".

2 მენქიუ გ., - „ეკონომიკის პრინციპები", 2008წ., გვ. 29

ნათელია. თუმცა ამას გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში რელიგია არ უწყობს ხელს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სფეროების განვითარებას. ამის კარგი მაგალითია ჩვენი ქვეყანა. რა თქმა უნდა, რელიგიას საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის, თუმცა საყურადღებოა მისი უარყოფითი მხარეებიც, ამისთვის უნდა მოვიშველიოთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, რომელიც მუდამ უცხო დამპყრობლებისგან სარწმუნოებისა და ტერიტორიების დაცვაზე მოგვითხრობს.

ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არაერთხელ გახდა ქრისტიანობა პოლიტიკური ორიენტირის განმსაზღვრელი თუ პოლიტიკით განსაზღვრული, რამაც საბოლოოდ კარგი შედეგი არ მოუტანა ქვეყანას. რუსიფიკაციის პროცესი, ეს გახლდათ დახმარების სანაცვლო ანექსია, რომელმაც ცუდად იმოქმედა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სხვა კუთხით განვითარების პროცესზე. საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და იდენტობა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სრულიად დამოკიდებული გახდა რუსეთის იმპერიაზე. ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ რა უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს რელიგიამ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია ჩინური და იაპონური გამოცდილების უკეთ შესწავლა, რომლებმაც მოახერხეს და სწრაფი ტემპებით მიაღწიეს ეკონომიკურ აღმავლობას, თანაც ისე, რომ ეროვნული ტრადიციები არ დაუკნინებიათ, პირიქით, შეავსეს იგი თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილებითა და გამოწვევებით.

ჩინური მსოფლმხედველობის ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს მრავალი რელიგიური შეხედულების რთული გადახლართვა. ჩინელთა უმეტესობა მისდევს კუნ ფუ ცზის აღთქმებს, ამასთან სჯერათ დაოსი და იცავენ ბუდისტურ რიტუალებს. ძირითადად ამ 3 რელიგიაზე დაფუძნებულია თანამედროვე ჩინური ცივილიზაცია. თუმცა, ამისათვის უცხო არ არის სხვა რელიგიებიც. ჩინურ ტაძრებში კონფუცის სტელების გვერდით, გაღმერთებული ლაო ცზის გამოსახულებებთან და ბუდის სტატუებთან ერთად შეიძლება შევხვდეთ ქრისტიანულ ჯვარცმას და მუსულმანურ სიმბოლიკას. ჩინეთი უზარმაზარი და მრავალსახოვანია. იგი სიამოვნებით და ორგანულად ითვისებს უცხო კულტურის ელემენტებს. ამაშია მისი, თუ გნებავთ, კონკურენტული უპირატესობა. მის საუკუნეებით შემონმებულ კონფუციანულ ინსტიტუტებს შეიძლება ენდოთ და დასავლეთის ინვესტორებიც სწორედ მათ ენდნენ, ჩადეს რა უზარმაზარი საშუალებები ჩინურ ეკონომიკაში.

სწორედ აღნიშნული ქვეყნები უნდა წარმოადგენდნენ კარგ მაგალითს სამომავლოდ ჩვენი ქვეყნის სწრაფი წინსვლისა და განვითარებისათვის. მიმაჩნია, რომ საქართველოც უფრო მეტად უნდა გახდეს ტოლერანტი ერი, ვიდრე აქამდე ყოფილა, რათა ქვეყანაში მოხდეს მრავალფეროვანი და მრავალეროვნული ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის დასაჩქარებლად და საერთაშორისო გამოცდილების ჩვენთვის სასიკეთოდ გამოსაყენებლად. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ეროვნული ტრადიციების და კულტურის უგულებელყოფას, პირიქით, ეროვნული ღირებულებების, თვითშეგნების და კულტურის შენარჩუნების კვალდაკვალ უნდა მოხდეს თანამედროვე, ინოვაციური და დახვეწილი პროგრესის მორგება ჩვენს კულტურულ ფასეულობებთან, რასაც შეუძლია სინერგიული ეფექტის მოხდენა და, ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის დაჩქარება.

დასკვნა

რელიგიური ფაქტორები არ შემოიფარლება მხოლოდ პირდაპირი გავლენით გადაწყვეტილებების მიღებასა თუ საერთაშორისო მოვლენების განვითარებაზე, პარალელურად ისინი ახდენენ უფრო სტრუქტურირებულ გავლენას და ეს გავლენა მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც უფრო მყარია მათი ბუნება, ვიდრე ცვალებადი საზოგადოებრივი აზრის რევოლუცია.

რელიგიასა და პოლიტიკას შორის დღეს არსებულ ურთიერთმიმართებასა და ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ განვითარებაში მისი ფუნქციის შესახებ საუბარი შეუძლებელია **გლობალიზაციის** ცნების გამოყენების გარეშე. გლობალიზაცია ერთიანი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა სისტემის შექმნას გულისხმობს, რომლის საფუძველშიც დგას დამოუკიდებელი ინდივიდი, რაც, თავის მხრივ, არ ემთხვევა ცალკე აღებული რელიგიების განწყობებს, რომელთათვისაც მორწმუნეთა კოლექტიური ინტერესებია პრიორიტეტული. რელიგიური პოზიციიდან გლობალიზაციის პროცესის კრიტიკოსები მას ბრალს სდებენ სეკულარიზაციასა და რელიგიური ღირებულებების ნგრევაში.

გლობალური ღირებულებები თავიანთ გზას უფრო ადვილად მაშინ იკვლევენ, როდესაც ტრადიციული კულტურა და რელიგია კრიზისს განიცდის. საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, რელიგიის ფაქტორის შესუსტების კვალდაკვალ, გლობალიზაცია თავის გამოხატულებას ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნასა და სხვა მატერიალურ ფაქტორებში ჰპოვებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დავის კიდევ სხვა სფეროა.

უმთავრესია, ის, რომ რელიგიას ოდითგანვე მნიშვნელოვანი ფუნქცია და როლი ეკისრა ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით, რაც დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და გვევლინება დემოკრატიის, პოლიტიკური განვითარების, ეკონომიკური სტაბილურობისა და

ქვეყნის ინტერესებისა და იდენტობის შენარჩუნების ხელშემწყობ არსებით მექანიზმად.

ეკონომიკურ პოლიტიკასა და რელიგიას შორის არ არსებობს მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობა, აქ გარკვეული აზრით სახეზეა "ურთიერთშემხვედრი" დინება. როცა საზოგადოების რელიგიური სიმწიფე რეალურად ხელშესახებია, სწორედ მაშინ, აქ ფორმირებული ეკონომიკური პოლიტიკა ადექვატურად მოტივირებული, ცხოველმყოფელი და წარმატებულია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი მ. პორტერი - „ერების კონკურენციული უპირატესობები".

2. მენქიუ გ., - „ეკონომიკის პრინციპები", 2008წ., გვ. 29

3. მაქს ვებერი - „ნარკვევები რელიგიის სოციოლოგიის შესახებ", მთარგმნელები ნინო ფირცხალავა და ემზარ ჯგერენაია, თბილისი საგამომცემლო სახლი „მარსი", 2004 წ

4. ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე. - „რელიგიის თავისუფლება", თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი 2004

5. მოვსესიანი ა.გ., ოგნივცევი ს.ბ. – „მსოფლიო ეკონომიკა", თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, თბილისი 2003

6. Sriya Iyer – „The New Economics of Religion", University of Cambridge and IZA, August 2015

7. Filipe Campante, David Yanagizawa-Drott – „Does Religion Affect Economic Growth and Happiness? Evidence from Ramadan", Harvard Kennedy School, September 2013

8. Robert J. Barro and Rachel M. McCleary – "Religion and Economic Growth", Harvard University, April 8, 2003

ტრანსნაციონალური კორპორაციების თანამედროვე კონცეფციები

ია ყოლბაია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ მსოფლიო მეურნეობის ლიდერებს. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შექმნის მიხედვით, სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ. ამ ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები ეს არის სააქციო კომპანია, რომელმაც მრავალ ქვეყანაში ჩამოაყალიბა ფილიალი ან შვილობილი კომპანია და თავი მოუყარა ამ ქვეყნების ფირმების დიდი ნაწილის კაპიტალს, მოახდინა მათი კოორდინაცია და ინტეგრაცია. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირებას მიმღები ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში დადებით მომენტებთან ერთად უარყოფითი ელემენტებიც შეიძლება ახასიათებდეს.

SUMMARY

Transnational corporations represent world leaders. Transnational corporations are created according to different formats. On the basis of this mutual agreement, transnational corporations are a joint venture company that has established a branch or subsidiary in many countries and has brought together a large portion of these companies firms to coordinate and integrate them. The functioning of transnational corporations can be accompanied by negative elements in the national farm of the receiving country with positive moments.

* * * *

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების პროცესში, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობს საზღვარგარეთის ფირმებთან კავშირების ჩამოყალიბება - განვითარება განსაკუთრებით საყურადღებოა ამ უკანასკნელთა კვლავწარმოების პროცესის საერთაშორისო ორგანიზაციის გამოცდილება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების საკითხები.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ მსოფლიო მეურნეობის ლიდერებს. საგულისხმოა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების მოქმედების საკანონმდებლო მოწესრიგების მცდელობა დაიწყო 1977 წელს გაეროს ეგიდით ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობის კოდექსის შექმნით. აღსანიშნავია, რომ განვითარებადი ქვეყნები უარყოფითად მოეკიდნენ კოდექსის ზოგიერთ ასპექტს, კერძოდ, ტრანსეროვნული კორპორაციების მოქმედებას ამ ქვეყნებში.

დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები ტრანსნაციონალური კორპორაციების შესახებ. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ტრანსნაციონალური კორპორაციები არის „იმპერიალიზმის მონსტრები", რვაფეხები, რომლებსაც შემოხლართული ჰყავთ მთელი მსოფლიო თავიანთი საცეცებით. მეორე ნაწილს ისინი კაცობრიობის გადამრჩენად, ყველა ადამიანისათვის კეთილდღეობის საწინდრად მიაჩნია [1] (Азроянц Э. А., 2012, с. 32-33).

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შექმნის მიხედვით, სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ. ამ განსაზღვრებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები ეს არის სააქციო კომპანია, რომელმაც მრავალ ქვეყანაში ჩამოაყალიბა ფილიალი ან შვილობილი კომპანია და თავი მოუყარა ამ ქვეყნების დიდი ნაწილის კაპიტალს, მოახდინა მათი კოორდინაცია და ინტეგრაცია.

ტრანსნაციონალურ კომპანიებს მიეკუთვნება მხოლოდ ის კომპანია, რომელსაც გააჩნია შემდეგი ხუთი ნიშანთვისება: [2] (Мателкина Б. А., 2014, с. 120)

1. ფირმა უნდა მოქმედებდეს ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში;
2. ფირმის საზღავრგარეთულ ფილიალებს უნდა შეეძლოთ რეკონსტრუქციისა და განვითარების საკითხების გადაჭრა, მათ უნდა ჰქონდეთ სამრეწველო, სავაჭრო და სამომსახურებო საწარმოები;
3. ფილიალების ხელმძღვანელი პირები უნდა იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებიც კარგად იცნობენ მდგომარეობას ადგილზე;
4. სათაო ფირმის ხელმძღვანელობა უნდა იყოს მრავალეროვანი;
5. კომპანიის საკუთრება უნდა ეკუთვნოდეს მრავალი ქვეყნის მოქალაქეებს.

აღსანიშნავია, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოქმნის მიზეზს მრავალი მკვლევარი იკვლევს. მნიშვნელოვანი წვლილი, ამ მიმართულებით კვლევაში, შეიტანა ს. ჰაიმერმა, რომელმაც პორტფელური და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმასხვავებელი ნიშანთვისებები ერთობ ზედმიწევნით წარმოადგინა [3] (Humer S., 1980, pp. 15-17). პორტფელური ინვესტიციები უზრუნველყოფს საზღვარგარეთული საწარმოების მოგების მხოლოდ ნაწილს და არ იძლევა მათი მოქმედებების

გაკონტროლობის საშუალებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში აქციათა საკონტროლო პაკეტი რჩება სათაო კომპანიის ხელში და აქ პრინციპულად მნიშვნელოვანი ფაქტორია არა საკუთრება, არამედ კონტროლი.

მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით ფირმას შეუძლია მოახდინოს პირდაპირი ინვესტირება თუ არსებობს ორი პირობა: ფირმის სპეციფიკური უპირატესობა (მაგალითად ტექნოლოგიაში) და მეორე, სხვა ქვეყნის იგივე საწარმოო სფეროში დიდი მოგების მიღება, ანუ როცა წარმოების ოპტიმალური ზომები უფრო დიდია, რომლის საშუალებასაც შიდა ბაზრის მოცულობა არ იძლევა.

პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები გარდა ტრანსნაციონალური კორპორაციების გაფართოების სხვა საშუალებაცაა პარტნიორი ფირმების შერწყმა ერთიან წარმოებაში და კონკურენტების ჩამოშორება. საგულისხმოა, რომ ევროპის ლიდერი ქვეყნებიდან აშშ-ში განხორციელებული ინვესტიციები სწორედ ამ ფორმით ფუნქციონირებს. მსგავს ოპერაციებს განსაკუთრებით აქტიურად ახორციელებენ საერთაშორისო მასშტაბებში ნვრილი და საშუალო საწარმოები, რომლებიც აქტიურად გამოდიან საერთაშორისო არენაზე.

ტრანსნაციონალური კორპორაციების გიგანტური ზომები და მათი მოქმედების მასშტაბები ქმნის შთაბეჭდილებას მათი მონოპოლიზმის შესახებ. თუმცა, ასეთი მოსაზრება მთლად მართებული არ არის, ვინაიდან დიდი ზომები ჯერ კიდევ არ აძლევს ფირმას მონოპოლიად გარდაქმნის საშუალებას. ტრანსნაციონალური კომპანია - წარმოადგენს მოგების განსაკუთრებულ ფორმას, რომელიც აჯამებს მონოპოლიზმისა და მისი უარყოფის დიალექტიკურ ერთიანობას[4] (Kotler T., Armstrong G., 2012, p.34). აღნიშნულის უკეთ გასაგებად საჭიროა ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების პირველ ნაბიჯებს დავუბრუნდეთ. უწინარეს ყოვლისა, უნდა დაზუსტდეს ტრანსეროვნული მონოპოლიისა და კერძოდ, კორპორაციის ცნებების შინაარსი, მით უმეტეს, რომ ხშირად მათ ერთმანეთში ურევენ. ტრანსნაციონალური კორპორაცია - ეს არის სააქციო საზოგადოება, რომელსაც აქვს საზღვარგარეთული აქტივები და რომლის საკონტროლო პაკეტს ფლობს ერთი და იგივე ქვეყნის კაპიტალისტი. ყოველი ამგვარი კორპორაცია როდია მონოპოლიური. მონოპოლიურს განეკუთვნება მხოლოდ ის ტრანსეროვნული სააქციო საზოგადოება, რომელიც გაბატონებულია მსოფლიო მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგში თუ სფეროში, აქედან გამომდინარე, შესწევს ძალა აქტიურად იმოქმედოს წარმოების პროცესზე, მსოფლიო ბაზარზე და მიითვალოს მონოპოლიური გაგება. ასეთ მოთხოვნებს აკმაყოფილებს კორპორაციათა არც თუ ისე დიდი ნაწილი. თავის მხრივ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ტრანსეროვნული კონცერნი მონოპოლიაა მსოფლიო მეურნეობის არა ერთ, არამედ რამდენიმე დარგში ან სფეროში. მაგალითად, ამერიკულ ტრანსნაციონალურ კორპორაციას „ჰანიუელ ინკ“-ს წამყვანი პოზიცია უკავია ისეთი დარგების მსოფლიო წარმოებაში, როგორიცაა აეროკოსმოსური, რობოტოტექნიკა, ინფორმატიკა, ბუნების დაცვის სპეციალური მოწყობილობა და სხვა. აღნიშნული დარგების წარმოებასა და რეალიზაციას ახორციელებს 200-მდე ფილიალი, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხეში არიან განლაგებული, თითოეულ დარგში კორპორაციას ყოველწლიურად მილიარდ დოლარზე მეტი მოცულობის საქონელბრუნვა აქვს [5] (Bremmer I., 2016, p. 92).

ტრანსეროვნული კონცერნისაგან უნდა გამოვყოთ ტრანსეროვნული ტრესტი, რომელსაც აქვს გარკვეული ინტერესები საბაზრო დარგის ფარგლებს გარეთ, თუმცა ეს ინტერესები ვერ უზრუნველყოფენ მის მონოპოლისტურ პოზიციებს მომიჯნავე დარგებსა თუ სფეროებში. ამგვარ ტრესტებს შეიძლება ეწოდოს დივერსიფიცირებული. მაგალითად „ინტენეშენალ ბიზნეს მეშინს“, - ინფორმატიკის დარგის ერთ-ერთი უმსხვილესი მონოპოლისტია.

ტრანსნაციონალური კორპორაციების სპეციფიკა გარკვეულწილად აისახება მათ შიდა საფირმო ურთიერთობათა ორგანიზაციაშიც, რომლისთვისაც დამახასიათებელია ე.წ. ვერტიკალური სტრუქტურა. საზღვარგარეთული ფილიალების მართვა ასეთ შემთხვევაში ხდება პროდუქტული პრინციპით. კორპორაციის სათაო კომპანიაში ფუნქციონალური სამსახურების გვერდით იქმნება სპეციალური დარგობრივი განყოფილებები, რომელთაც ევალებათ ერთი და იგივე პროფილის ფილიალების მართვა, როგორც კონცერნის წარმომავლობის ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. დარგობრივ განყოფილებებს აქვთ „მოგებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ცენტრის“ სტატუსი, ე.ი. აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიში. მათ ფუნქციებში შედის ტრანსეროვნული მონოპოლიის ფილიალებს შორის შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და კოოპერაციის გაღრმავება, ფილიალების საწარმოო საქმიანობის მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფა, მათ შორის ფინანსური რესურსების გადანაწილება, პროდუქციაზე ფასების დაწესება და სხვა.

მართალია, საზღვარგარეთული ფილიალების მართვის პროდუქტული პრინციპი ზღუდავს პირველადი საწარმოო რგოლების ინიციატივას, თუმცა ისინი სარგებლობენ მნიშვნელოვანი ოპერატიული ავტონომიით და არიან იურიდიულად დამოუკიდებელი სააქციო საზოგადოებები, რაც საშუალებას აძლევთ წარმართონ თავიანთი საქმიანობა დისლოკაციის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით. აქ იგულისხმება წარმოებული პროდუქტის ადაპტაცია, მარკეტინგი, რეკლამა, საგადასახადო მანევრირება, ფინანსური რესურსების მობილიზება ადგილობრივი წყაროებიდან, ნაციონალურ მთავრობებთან

და პროფკავშირებთან სათანადო ურთიერთობათა დამყარება და სხვა.

ბუნებრივია ისმის კითხვა, რომელიც სავსებით სამართლიანად დაისმის ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეების მიერ, რომელთაც აინტერესებთ, თუ რა გავლენას ახდენენ ტრანსნაციონალური კორპორაციები მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. საგულისხმოა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეფასებისას ერთიანი ზოგადი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, ვინაიდან მხედველობაშია მისაღები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში მთვარობათა მიერ წარმოებული პოლიტიკა და მოცემული ქვეყნის, დარგისა თუ ფირმის სპეციფიკური თავისებურებანი.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელზეც მიმღებ ქვეყანაში მოქმედებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, არის ტექნოლოგია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტექნოლოგიური პროგრესის ხელშემწყობ ფაქტორად განხილვისას მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ შემდეგი სამი გარემოება:

პირველი, ამა თუ იმ ქვეყანას არ ძალუძს ფლობდეს მაღალტექნოლოგიურ წარმოებას ეკონომიკის ყველა სექტორში. ამიტომ საჭიროა, რომ მოხდეს ინვესტიციებისათვის შესაბამისი ხელის შეწყობა.

მეორე, იმისათვის, რომ მოცემულმა ქვეყანამ ეფექტიანად გამოიყენოს უცხოური ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ დაგროვილი ტექნოლოგიური გამოცდილება, მიმღებმა ქვეყანამ უნდა მიმართოს უფრო პოზიტიურ და კარგად განსაზღვრულ სტრატეგიას, რომელიც არა მხოლოდ ინვესტიციებს შეუწყობს ხელს, არამედ უზრუნველყოფს სამეცნიერო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნას ქვეყანაში.

მესამე, ზოგიერთ შემთხვევაში ქვეყნებს შეიძლება გააჩნდეთ შეზღუდული უნარი, რათა რაიმე ზემოქმედება მოახდინონ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მიერ შემოთავაზებულ პირობებზე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას სტრატეგიული ალიანსი რამდენიმე ქვეყნის მონაწილეობით, რომელთაც თანხვდენილი მიზნები ექნებათ.

თავისი საქმიანობით ტრანსნაციონალური კორპორაციები და მათი ფილიალები პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენენ სამუშაო ძალის ხარისხზე, მის ზრდაზე, სტაბილურობასა და ანაზღაურების მოცულობაზე.

პირდაპირი ზეგავლენა გულისხმობს ტრანსნაციონალური კორპორაციების ფილიალებს შორის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, ხოლო ირიბი კი ტრანსნაციონალურ კორპორაციათა საქმიანობის შედეგად მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კვალობაზე დასაქმების ზრდას. ტრანსნაციონალურ კორპორაციათა საქმიანობით გამოწვეული ირიბი დასაქმება შესაძლებელია განხორციელდეს სამი გზით: მაკროეკინომიკური, ჰორიზონტალური და ვერტიკალური.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაკროეკონომიკური ზეგავლენა გულისხმობს დასაქმებას, გამოწვეულს მაკროეკონომიკური ცვლილებების (მაგ. მონეტარული ან ფისკალური პოლიტიკის, გაცვლითი კურსის) კვალობაზე.

ჰორიზონტალური ზეგავლენა გულისხმობს უცხოური ფილიალების კონკურენტთა და აგრეთვე იმ ფირმების დასაქმების ცვლილებას, რომლებიც კონკურენციას უწევენ ფილიალებს შრომის ბაზარზე.

ვერტიკალური ზეგავლენა გულისხმობს დამატებული ღირებულების წარმოების თითოეულ სტადიაზე მყოფ ფილიალებს შორის ურთიერთკავშირს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით გამოწვეული ირიბი ეფექტები დასაქმებაზე მეტწილად დამოკიდებულია უცხოური ფილიალების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე, მათ სურვილზე შუალედური პროდუქციის და ნედლეულის მომწოდებლად აირჩიონ ადგილობრივი მწარმოებლები და მათ მიერ ტექნოლოგიების ხაზის არჩევაზე.

შედარებით რთულია იმის განსაზღვრა თუ რა ზეგავლენას იქონიებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმღები ქვეყნის კონკურენტი ფირმების დასაქმებაზე. ერთის მხრივ, თუ ტრანსნაციონალური კორპორაციები მოახდენენ ადგილობრივი ან უცხოური ბაზრის ათვისებას კონკურენტთა ხარჯზე, ან აიძულებენ მათ გადავიდნენ შრომა-დამზოგველ საწარმოო პროცესზე, მაშინ ეს ზეგავლენა უარყოფით ხასიათს ატარებს. მეორეს მხრივ, თუ ტრანსნაციონალური კორპორაციები ხელს შეუწყობს მოთხოვნის გაზრდას და სტიმულს მისცემს კონკურენტებს იყვნენ უფრო ეფექტურნი და ინოვაციურნი, დასაქმებაზე ზეგავლენა შეიძლება დადებითი იყოს. აღსანიშნავია, რომ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება სამუშაო ძალის ბაზრის სტრუქტურაზე მოცემულ ქვეყანაში ტრანსნაციონალური კორპორაციების შესვლამდე.

ხშირად უცხოელ ინვესტორებსა და მათ ფილიალებს ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი ნაკლებად სტაბილურნი არიან სამუშაო ძალის დასაქმების საკითხში, ვიდრე ადგილობრივი ფირმები. რეცესიის პირობებში პირველ რიგში ხდება უცხოეთში განლაგებული საწარმოო ფილიალების დახურვა, ხოლო შემდეგ მშობელი საწარმოებისა. მაგალითად, გამოკვლევებმა ცხადყო, რომ იაპონური ფილიალები უფრო მეტად უზრუნველყოფენ დასაქმებულთა ადგილების სტაბილურობას, ვიდრე მათი მშობელი კომპანიები[6] (Аоки М., 2014б с. 42). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დასაქმებაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მომენტია უცხოურ ფილიალებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება. როგორც გამოკვლევები ადასტურებს, უმრავლეს ქვეყნებში უცხოური ინვესტიციებთი შექმნილ ფილიალებში დასაქმებულთა ანაზღაურება უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივ საწარმოებში, თუმცა, აღნიშნუ-

ლი განსხვავება არც თუ ისე დიდია და დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაზე, დარგზე თუ ფირმაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკაზე და შესაბამისად საგადასახდელო ბალანსზე.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საგარეო ტრანსაქციები მოიცავენ კაპიტალებისა და გადასახდელთა მოძრაობას, რომელიც აისახება საგადასახდელო ბალანსში. აღნიშნული ტრანსაქციების მონაწილე მხარეებად გამოდიან უშუალოდ ტრანსნაციონალური კორპორაციები და მათი ფილიალები და ასევე ადგილობრივი საწარმოები, რომლებიც უცხოურ ფილიალებთან ურთიერთობენ.

რაც შეეხება გადასახდელთა მოძრაობას, უცხოური ფილიალის ფუნქციონირებამ ინვესტორი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე შეიძლება სამი გზით მოახდინოს ზეგავლენა:

1. ფილიალმა შეიძლება მოახდინოს შუალედური პროდუქციის იმპორტი მისი მშობლიური კომპანიიდან ან მის ქვეყანაში განლაგებული სხვა საწარმოებიდან;

2. ფილიალმა შეიძლება მოახდინოს მზა პროდუქციის იმპორტი დისტრიბუციისთვის ან ხელახლა გაყიდვისათვის;

3. სავარაუდოა, რომ მშობლიური კომპანია უზრუნველყოფს მის უცხოურ ფილიალებს მთელი რიგი შუალედური მომსახურებით, რისთვისაც მოითხოვს როიალტისა და სხვა სახის ანაზღაურებას.

უშუალო ზემოქმედების გარდა, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეიძლება მოახდინონ ასევე არაპირდაპირი ზეგავლენა ინვესტორი ქვეყნის ეკონომიკაზე. კერძოდ, ინვესტორი ქვეყნიდან შეიძლება გატანილ იქნეს მნიშვნელოვანი მოცულობის კაპიტალი.

ტრანსნაციონალური კორპორაციები ხშირად წინააღმდეგობაში მოდიან ეროვნულ ეკონომიკასთან, ეს უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ ჯერ - ერთი ტრანსნაციონალური კორპორაციები კაპიტალის მოცულობით, ეკონომიკური სიძლიერით, აქტიურობით ხშირად აღემატებიან განვითარებული ქვეყნების ეროვნული კაპიტალის მთლიან მოცულობას. ამ მიზეზის გამო ტრანსეროვნულ კორპორაციებს გააჩნიათ შესაძლებლობები, რათა წინ აღუდგნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და მათ გადაწყვეტილებებს მაშინ როდესაც ეს მათ არ აწყობთ.

ტრანსნაციონალური კორპორაციები შეზღუდულნი არ არიან რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებში, მათ გააჩნიათ ფართო მასშტაბით მანევრის თავისუფლება, მაშინ როცა ეროვნული სახელმწიფოს ძალაუფლება არ სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს, ამიტომ ტრანსეროვნულ კორპორაციებს ქვთ მატერიალური შესაძლებლობები დაუპირისპირდეს ეროვნულ სახელმწიფოებს და იგნორირება გაუკეთონ მათ გადაწყვეტილებებს, ზოგჯერ იმოქმედონ მათი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ.

ჩემი აზრით, სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებაა ფრიად ყურადსაღები საქართველოში ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების თვალსაზრისით. უცხოურ კომპანიას შეიძლება კომერციულ ინტერესებთან ერთად პოლიტიკური მოტივებიც ამოძრავებდეს. ისეთი ეკონომიკური სფეროების ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის ქვეშ მოქცევამ, როგორიცაა, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვა.

ამგვარად, დადებით მომეტებთან ერთად, ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირებას, მიმღები ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში, შეიძლება უარყოფითი ელემენტებიც ახასიათებდეთ. საქართველოში, სწორედ ეროვნული ეკონომიკისთვის საზიანო ზემოქმედებების აღმოფხვრას უნდა მიექცეს ყურადღება. ხოლო, რაც შეეხება ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლას და ფუნქციონირებას საქართველოს ეკონომიკაში, ეს პროცესი უნდა წარიმართოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ინტერესების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Азроянц Э. А., Холдинговые комрании: особенности, опыт, проблемы, перспективы. 2012, с. 32-33;

2. Мателкина Б. А., Мировое хозяйство и его регулирование, 2014, с. 120;

3. Humer S., Duration: Its Development and Use in Bond Portfolio Manajement, Financial Analysis Journal, 39. No 4 (Juny/August 1980), pp. 15-17;

4. Kotler T., Armstrong G., Principles of Marketing, 2012, p.34;

5. Bremmer I., The Financial Times, 2016, p. 92;

6. Аоки М., Фирма в Японсой экономике, 2014, с. 42.

კორუფცია სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში

ნინო ქიტუაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

ანოტაცია

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციების დახასიათებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კორუფციის გავრცელების მასშტაბს, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უშიშროებას, ხელისუფლების ნორმალურ ფუნქციონირებას, კანონის უზენაესობას, დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, სოციალურ სამართლიანობას და, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, ქვეყნის ეკონომიკურ საფუძვლებს.

ქვეყნის ეფექტური ეკონომიკური მართვის ამოცანა სახელმწიფოსათვის აუცილებელი საქონლის მიწოდება, სამუშაოების შესრულება და მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შესაბამისი პირობების ჩამოყალიბებაა. განსახილველ საკითხთა მიზანს სახელმწიფო და მუნიციპალური საჭიროებისათვის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის წარმოებულ თანამედროვე სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არსებული კორუფციული შემადგენლების მოკლე ანალიზი და ამ სფეროში კორუფციის შემცირების გზების გამოძებნა წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვა; კორუფცია; სახელშეკრულებო სისტემა; კონკურენცია;

SUMMARY

For the characteristic of a socio-political and economic situation of the country special attention should be paid to scales of distribution of corruption which threatens state security, normal functioning of the government, rule of law, democracy, human rights, social justice and that the most important – to economic bases of the state.

Problem of effective management of national economy is creation of appropriate conditions for development of the competition in the market of suppliers of goods necessary for the state, contractors or services. However the scope of corruption manifestations, shortcomings of work of law enforcement agencies create conditions for mass abuses of unfair public officials of the organizations customers and their accomplices — affiliated businessmen.

Keywords: government procurement; corruption; contract system; competition.

ძირითადი ტექსტი

ტერმინი ,,კორუფცია" წარმოდგება ლათინური სიტყვიდან ,,correi" (თანადგომა) და ,,rumpere" (დამსხვრევა, დაზიანება). შედეგად წარმოიქმნა დამოუკიდებელი ტერმინი ,,corrumpere", რაც რაიმე საფუძვლების კოლექტიურ მსხვრევას გულისხმობს.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ტერმინის ,,კორუფცია" საყოველთაოდ გავრცელებულ ცნება, არ არსებობს, მაგრამ ექსპერტთა დიდი ჯგუფი თანხმდება, რომ კორუფციის შედარებით უნივერსალური განმარტებაა: ,,სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენება პირადი გამორჩენის მიზნით".

ქვეყნის ეფექტური ეკონომიკური მართვის ამოცანას სახელმწიფოსათვის აუცილებელი საქონლის მიწოდების, სამუშაოების შესრულებისა და მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შესაბამისი პირობების ჩამოყალიბება წარმოადგენს. ზუსტად ეს უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებას, თავიდან გვაცილებს უმუშევრობით და კორუფციის გახშირებული შემთხვევებით გამოწვეულ სოციალურ დაძაბულობას.

სახელმწიფო შესყიდვების კანონიერების ნებისმიერი კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ ეფექტური კანონმდებლობის ფუნქციონირების პირობებში, რომელიც მოითხოვს შესყიდვების მთავარი პრინციპის დაცვას ობიექტურობას და სამართლიანობას.

საბიუჯეტო სახსრების განაწილების დროს კორუფციული ხასიათის პრობლემები უმეტესად საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში წარმოიქმნება, სადაც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დახარჯვა შეუზღუდავადაა შესაძლებელი. შესაბამისად, დანახარჯების ეფექტურობის ზრდისათვის სახელმწიფო დაინტერესებულია ჰქონდეს მაქსიმალურად გამჭვირვალე კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ყველასათვის გასაგები წესების მოქმედებას. პარალელურად, უნდა დაწესდეს სახელმწიფო შესყიდვის მარეგულირებელი ურთიერთობების მონაწილეების და მათი თანამშრომლების მიერ ფულადი სახსრების ხარჯვის მონიტორინგის სისტემა.

კორუფციული რისკების წყაროებიდან შეგვიძლია გამოვყოთ სახელმწიფო შესყიდვების სფეროსთან დაკავშირებული მისი ორი ფორმა: პოლიტიკური ანუ ელიტური და ადმინისტრაციული ანუ ბიუროკრატული. პოლიტიკური კორუფცია ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში წარმოიშვება, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება, როდესაც მუშავდება პერსპექტიული გეგმები და პროგრამები. ბიუჯეტის შესრულების, ესე იგი შესყიდვების განხორციელების დროს კი ადმინისტრაციული კორუფცია ვლინდება.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ხელმყოფი

კორუფციული დანაშაულების ჩადენის ძირითადი მიზეზებიდან შეგვიძლია გამოვყოთ: შესყიდვების სისტემაში მოქმედი კანონმდებლობის არასრულყოფილება; დასაქმებული სპეციალისტების დაბალი კვალიფიკაცია, საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების უცოდინარობა; საკონკურსო შესყიდვების სისტემის, პატიოსანი კონკურენციის შესაძლებლობის, შემსყიდველების მიუკერძოებლობის მიმართ შესყიდვების მონაწილეთა უნდობლობა; სამინისტროებისა და სხვა რწმუნებული სახელმწიფო სამსახურების არასაკმარისი მონაწილეობა შესყიდვების სფეროს კონტროლის უზრუნველსაყოფად; შესყიდვების პროცედურების მიმდინარეობისას გადაწყვეტილების მიმღები ცალკეული ჩინოვნიკების მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: სახელისუფლებო შტოებისაგან მოსახლეობის დიდი ნაწილის გაუცხოება, კერძოდ, სახელმწიფო ქონების მართვის, საკანონმდებლო და სააღსრულებო სფეროებში; ხალხის თვალში კომპრომეტირებული სახელმწიფო და მუნიციპალური მოსამსახურეების უფლებამოსილების მყისიერი შეწყვეტის მექანიზმის არარსებობა; სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დანაშაულთა გამოვლენის და გამოძიების დაბალი დონე.

კორუფციასთან ბრძოლა მნიშვნელოვანია, მაგრამ სახელმწიფო შესყიდვების კომპლექსურობიდან გამომდინარე, ძალზედ ძნელია, რადგან რთული და არაერთგვაროვანია შესყიდვის საგანი. ამავე დროს, კორუფცია შეიძლება იყოს როგორც აშკარა, ასევე ფარული, ლატენტური. საუბარია არა მექრთამეობის შემცირებაზე, არამედ დანაშაულის უფრო საგულდაგულოდ მომზადებაზე, კორპორატიულ სოლიდარობაზე, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სხვა სქემებზე.

აშკარა კორუფციულ გამოვლინებებს შესაძლოა მივაკუთვნოთ შემდეგი ქმედებები:

დაპირებები ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების კონკურსებში დახმარების შესახებ;

თაღლითური სქემების გამოყენება მშენებლობებში: პროექტებში გაწერილის ნაცვლად ბევრად იაფი სამშენებლო მასალის შეძენა და განსხვავების განაწილება გარიგების მონაწილეებს შორის;

სასურველი კანდიდატისათვის კონკურსების ჩატარებამდე სხვა მონაწილეების განაცხადებების შესახებ ინფორმაციების მიწოდება და სხვ.;

საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესყიდვაზე მაღალი ფასების დაწესება.

ხელშეკრულების დაწყებითი ფასის ხელოვნური აწევა ჯერ კიდევ ბიუჯეტის პროექტის შედგენის ბიუჯეტის ფორმირების (ასიგნირების), პროცესშია შესაძლებელი. ვინაიდან შესაბამისი მუხლების ხარჯვითი ნაწილის ფორმირება, თანხების განმკარგავი ორგანიზაციების ინიციატივით ხორციელდება, შემდგომში, როგორც წესი, შეკვეთებსაც ისინი განათავსებენ. კერძოდ, მათ სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში შეჰყავთ დაუსაბუთებელი გათვლები, მაღალი კოეფიციენტები, არასაკმარისად კონკრეტიზირდება შესაძენი საქონლის მახასიათებლები, ბაზრის კვლევის დროს ფასები გამოითხოვება ნაცნობი მომწოდებლებისაგან, რომლებიც შემკვეთისათვის ხელსაყრელ ფასებს უთითებენ. აღნიშნული მოქმედებები, უმრავლეს შემთხვევებში, მომავალში უზრუნველყოფენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების შემსყიდველი ორგანიზაციების თანამდებობის პირებთან დაბრუნებას ეგრეთწოდებული ,,ატკატის" სახით.

განსაკუთრებით ძნელი გასახსნელი და დასამტკიცებელია ფარული (ლატენტური) კორუფციის ფართოდ გავრცელებული ისეთი ხერხები, როგორიცაა სხვადასხვაგვარი სტრატეგიების, პერსპექტიული განვითარებების, სხვადასხვა სცენარების მოდელირების და ა. შ. ,,მეცნიერული" გამოკვლევები, რადგან მონაწილე მხარეები ორმხრივად არიან დაინტერესებულები არ გახმაურდეს კორუფციის ფაქტი. იმ მეწარმეებსაც კი, რომლებმაც უარი განაცხადეს შემსყიდველების მიერ შეთავაზებულ გარიგებაში მონაწილეობაზე, ურჩევნიათ არ განაცხადონ აღნიშნულის შესახებ [1].

კორუფციული სქემის განსახორციელებლად საჭიროა სახელმწიფო შესყიდვების კონკურსის მოსაგებად განსაზღვრული კომპანიისათვის ხელშეწყობა, რისთვისაც წესდება კონკურენციის შეზღუდვის სხვადასხვა ვარიანტები. ეს შეიძლება იყოს არასაკმარისად სრული ტექნიკური დავალება, ან, მაგალითად, რომელიმე ძნელადმოსაპოვებელი ლიცენზიის მოთხოვნა, შესასყიდი საგნის აღ-წერილობის კონკრეტულ მწარმოებელზე, მომწოდებელზე მორგება, ხელშეკრულების შესრულების არარეალური ვადები დაწესება და სხვ.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გავრცელდა ელექტრონული ფორმის ,,შეთანხმებული" ტენდერები: ტენდერის მიმდინარეობის პროცესში მასში მონაწილე რამდენიმე კომპანია ფასს მინიმუმამდე სწევს, ხოლო მეორე ეტაპზე ირკვევა, რომ მათ განაცხადებს აკლია ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაცია. შედეგად, ხელშეკრულება იდება ერთადერთ დარჩენილ მონაწილესთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესყიდვების თანამედროვე სისტემაში კორუფციული სქემის მრავალფეროვანი სახეობებია წარმოდგენილი.

ერთი მხრივ, კორუფციის მიზეზები შესაძლებელია აღმოიფხვრას პოლიტიკური და ეკონომიკური კონკურენციის განვითარების პირობებში: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ჭეშმარიტი თავისუფლების მინიჭებით, სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრით, საბიუჯეტო სახსრების კონტროლის მექანიზმებთან საზოგადოების დაშვებით. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული ხანგრძლივი, სტრატეგიული მიზანია.

მეორეს მხრივ, შესაძლებელია საკანონმდებლო ტაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, რომ-

ლებსაც მოკლე პერიოდში შეუძლიათ კორუფციული სქემების შესაძლებლობების შეზღუდვა, კერძოდ:

- კორუფციის პრევენცია შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი მოხელეების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებით და მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებით. ამ საკითხებით დაკავებულები უნდა იყვნენ მხოლოდ ის სპეციალისტები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს შესყიდვების ორგანიზების კურსები. აუცილებელია შემუშავდეს ამ სფეროს სპეციალისტთა მომზადების სტანდარტი;

- კონკურსების პროცედურების სრულყოფის და კორუფციული შემადგენელის შემცირების მიზნით საჭიროა მონაწილეთა განაცხადებების შეფასებისა და შედარების ობიექტური კრიტერიუმების შემუშავება, რადგან დღეისათვის არსებული წესები განაცხადების სუბიექტური შეფასების სერიოზულ საშიშროებას შეიცავს;

ტენდერების პროცედურების სრულყოფის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია შემსყიდველს მიეცეს შესაძლებლობა დამატებით გაეცნოს ტენდერში მონაწილეთა შესაძლებლობებს და კვალიფიკაციას.

შესასყიდი პროცედურების გამოყენების პრაქტიკის განზოგადების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელშეკრულებო სისტემის ისეთ დარღვევებს, როგორებიცაა:

- კანონიერი საფუძვლების გარეშე ერთადერთ მომწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმება;

შეუსრულებელი სამუშაოების ანაზღაურება;

ხელშეკრულებებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების ანაზღაურება;

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების კონტროლის სისტემის არარსებობა და ა. შ. [2, 185-186].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Доклад:** Криминологическая характеристика незаконной передачи части денежных средств, получаемых за исполнение государственного и муниципального заказа, исполнителем заказа должностному лицу государственного или муниципального органа (учреждения) за представление указанного заказа (откатов); М.: Академия Ген. прокуратуры РФ, 2014. С. 3.
2. **Тимошенко А.А.** Коррупция в сфере закупок для государственных нужд как следствие неэффективного приминения профильного законодательства. Российский журнал правовых исследований 2016, №1, с. 185-186.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

შოთა გურული
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში „სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები“ აღნიშნულია, რომ სისტემამ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე დიდი და რთული გზა განვლო, სანამ დღევანდელი სახეს მიიღებდა. 1991-2003 წლამდე ქვეყანაში ეკონომიკური გამოცოცხლების პერიოდი იყო, როცა ვერ მოხერხდა სწრაფი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა. 2004 წლის შემდგომი პერიოდში გატარდა რადიკალური ლიბერალური რეფორმები.

განსაზღვრულია, რომ თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების პირველმა ეტაპმა ქვეყანას სწარფი ცვლილებების გატარების შესაძლებლობა მისცა. სტაბილური სოციალური მდგომარეობის და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, სასიცოცხლოდ აუცილებელია ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპის ხანგრძლივად შენარჩუნება.

დადგენილია, რომ მოსახლეობის სოციალური დაცვა ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ბოლო ათწლეულების ეკონომიკური, თუ დემოგრაფიული ტენდენციებიდან გამომდინარე აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დროულად მოხდეს საჭირო სოციალური რეფორმების გატარება, რომლებიც ადეკვატურად უპასუხებენ არსებულ სიტუაციას.

საკვანძო სიტყვები: სოციალური უზრუნველყოფა, საყოველთაო დაზღვევა, საპენსიო რეფორმა, სახელმწიფო ბიუჯეტი.

MAIN DIRECTIONS OF IMPROVEMENT OF SOCIAL SECURITY SYSTEM

Shota Guruli
PhD student of GTU

SUMMARY

In the article “The main directions of the improvement of social security system” indicate that the system has gone through a long and difficult road until today’s form. From the time of independence of Georgia, it has gone through a difficult path that covers several stages. It is noted that before 2003 the economic recovery period in the country was not able to achieve rapid and stable economic growth. As well as the post-2004 period when radical liberal reforms were undertaken.

It is noteworthy that the first stage of free market-oriented reforms allowed the country to make corrective changes. To maintain a stable social situation and independence, it is vitally necessary to maintain a high rate of economic development.

It is established that social protection of the population is the main task of social policy of any state. Depending on the economic and demographic trends of the last decade, it is necessary to take the necessary social reforms in a timely manner that will adequately respond to the current situation.

Keywords: Social security, universal insurance, pension reform, state budget.

შესავალი

ბოლო წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების სათავეში ექცევა ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, რომლის მთავარი მიზანიც ადამიანზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ამოქმედებაა.

ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც 2013 წელს ამოქმედდა და მას სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს. პროგრამის მიზანი იყო საქართველოს ყველა იმ მოქალაქის ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა, რომელიც 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით არ სარგებლობდა უკვე არსებული სახელმწიფო დაზღვევით და არ გააჩნდა კერძო დაზღვევა. მისი წვლილი დიდია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებით საქართველოს მოსახლეობას გაუჩნდა მნიშვნელოვანი სოციალური გარანტიები. თუმცა, პროგრამის მასშტაბებმა გააჩინა რისკები. მთავრობაში აქტიურად დაიწყეს მუშაობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ეგრეთ წოდებული „მეორე ტალღის“ რეფორმაზე.

სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, საპენსიო პოლიტიკის შემუშავება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიმდინარე დებატების ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს. არაერთი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა ჯერ კიდევ საპენსიო სისტემების მოდიფიცირების პროცესშია, რომლის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება.

დასახული მიზნების მისაღწევად, კი ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო რეფორმების გატარების აუცილებლობაც დგას, მათ შორის: საპენ-

სიო რეფორმა; კაპიტალის ბაზრის რეფორმა; საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის განვითარება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, შეიქმნა საპენსიო რეფორმის სამსახური, რომელმაც შეიმუშავა საპენსიო რეფორმის სტრატეგია რაც ითვალისწინებს სოციალური პენსიის ზრდის მექანიზმის შემუშავებას (ინდექსაციას) და დამატებითი საპენსიო სისტემის კომპონენტის - კერძო დაგროვებითი საპენსიო მოდელის დანერგვას. სტატიის მიზანია არსებული მდგომარეობის განხილვა.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში სოციალური დაცვის პოლიტიკა დაფუძნებულია მისამართულ დახმარებაზე. სადაც სოციალური პოლიტიკის მთავარ პრინციპად რჩება სახელმწიფოს მიერ რესურსების მიწოდება შეფასების სისტემის მიერ გამოვლენილი ყველაზე გაჭირვებული ადამიანებისათვის. ამავდორულად, სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა გააუმჯობესოს მისამართულობა და ამისათვის გამოიყენოს მრავალფეროვანი საშუალებები. ფულადი დახმარება და სამედიცინო დაზღვევის სქემის განვითარება. ესენია მთავარი საფუძველი, რომელსაც სოციალური ინტეგრაცია, სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა ეყრდნობა.

ბოლო ათწლეულის ეკონომიკურმა ზრდამ დადებითი გავლენა მოახდინა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიღარიბის რისკის შემცირებაში. 2005 წლის შემდეგ საქართველოში სიღარიბის დონე შემცირდა, ამის პარალელურად შემცირდა სიღარიბის სიღრმე და სიმწვავე. ამის მიზეზი იყო ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესება. ასევე მოხდა მიზნობრივი სახელმწიფო დახმარებების დანიშვნა. გაიზარდა სახელმწიფო პენსია და ხელფასები.

სახელმწიფო პენსიის ზრდამ და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღებამ, ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის მოცულობის ზრდა განაპირობა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის მესამედს გაუტოლდა. ის ყოველ წელს იზრდება, რასაც სისტემაში არსებული დანახარჯების ზრდა განაპირობებს. 2018 წლის ბიუჯეტის პირველადი პროექტის მიხედვით, ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 3.5 მილიარდი ლარი იქნება, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 112 მილიონით აღემატება. სამინისტროს ბიუჯეტის ზრდა საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტის ზრდას უკავშირება, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 44 მილიონი ლარით აღემატება. ასევე 1.7 მილიარდ ლარამდე იზრდება საპენსიო ფონდი, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 20 მილიონით აღემატება.

ჯანდაცვის სექტორი ის სფეროა, სადაც საქართველოს ხელისუფლებას ყველაზე მეტი მიღწევები გააჩნია - უნივერსალური სახელმწიფო დაზღვევის და ჩ ჰეპატიტის პროგრამებმა უამრავი ადამიანის გადარჩენა შეძლო და საზოგადოების თუ ექსპერტების მხრიდან, ძირითადად, მოწონებით სარგებლობს.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი რეფორმა იდეალური არასდროს არის. დროთა განმავლობაში კურსის და პროგრამების კორექტირება ყოველთვის დაუსრულებელი პროცესია. ამ ყველაფრის დასტურია, სამინისტროს ბიუჯეტის ზრდა. როგორც უკვე აღვნიშნე ამის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს - საყოველთაო დაზღვევის და საპენსიო ფონდის ხარჯების ზრდა.

პირველ რიგში განვიხილავ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც შესაძლებელია განაპირობებდეს არაგეგმიურ ხარჯებს:

ჯანდაცვაზე ხარჯების ზრდა - მსოფლიოში უკვე არსებული ტენდენციის მიხედვით, ჯანდაცვის ხარჯები მაღალი ტემპით იზრდება, რაც თავის მხრივ, განპირობებულია სექტორში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და ახალი მედიკამენტების შექმნით, ფასების ინფლაციით და სხვ.

უფასო მომსახურების ეფექტი - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ საქართველოს მოქალაქეებს საშუალება მისცა უფასოდ ესარგებლათ იმგვარი სამედიცინო მომსახურებით, რომლის მიღებაც მოსახლეობის უმრავლესობას საკუთარი სახსრებით არ შეეძლო ან თავს იკავებდა. შესაბამისად, პროგრამის ამოქმედებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ექიმებთან მიმართვიანობის რაოდენობა. მაგალითად, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წელს ექიმთან მიმართვების რიცხვი 2011 წელთან შედარებით 54%-ით გაიზარდა. დროთა განმავლობაში პროგრამის სიკეთეებზე მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობა, სავარაუდოდ გამოიწვევს ექიმთან მიმართვიანობის რიცხვის კიდევ უფრო მომატებას, რაც თავის მხრივ, გაზრდის პროგრამის ხარჯებს.

პროგრამის ეფექტური მართვა - პროგრამის ხარჯების ზრდის შეკავება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ პროგრამის ეფექტურ მართვაზე. პროგრამის მასშტაბები წარმოშობს სააგენტოს მიერ სამედიცინო დაწესებულებების სრულფასოვანი კონტროლის შეუძლებლობის რისკებს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების მკვეთრი მატება (CURATIO INTERNATIONAl FOUNDATION -ის 2015 წლის კვლევის მიხედვით, გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების შემთხვევების მატება 314%-ს შეადგენს) ბუნებრივად ბადებს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტურად უმკლავდება სააგენტო სამედიცინო დაწესებულებების მიერ, დამატებითი ანაზღაურების მიღების მიზნით, პაციენტის დიაგნოზის ხელოვნურად დამძიმების ან შეცვლის შემთხვევების მონიტორინგს .

დაზუსტებული ინფორმაციის არ არსებობა - პროგრამის ეფექტურ მართვას მნიშვნელოვნად ართულებს, აგრეთვე, კერძო სადაზღვევო კომპანიებში დაზღვეული მოქალაქეების შესახებ დაზუსტებუ-

ლი ინფორმაციის არ არსებობა. პროგრამის ამოქმედების შემდგომ კერძო სადაზღვევო კომპანიებმა პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით სოციალური მომსახურების სააგენტოს აღარ მიაწოდეს მათთან დაზღვეული მოქალაქეების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, დღეის მდგომარეობითაც, პროგრამის ბენეფიციარის განსაზღვრის ათვლის წერტილად კვლავ მიჩნეულია 2013 წლის 1 ივლისი. აქედან გამომდინარე, ის მოქალაქეები, რომლებსაც 2013 წლის პირველი ივლისის შემდგომ შეუწყდათ კერძო დაზღვევა, სარგებლობენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მინიმალური პაკეტით, ხოლო, ის მოქალაქეები რომლებიც 2013 წლის პირველი ივლისის შემდგომ ჩაერთვნენ კერძო დაზღვევაში, არ ეთიშებიან სახელმწიფო პროგრამას და სარგებლობენ ე.წ. ორმაგი დაზღვევით. ორმაგი დაზღვევა გულისხმობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და კერძო სადაზღვევო კომპანიების მომსახურებით ერთდროულად სარგებლობას, როცა კერძო სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ მხოლოდ იმ მომსახურების ანაზღაურებას, რომელსაც არ ითვალისწინებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვნად ზრდის პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობას და ხარჯებს.

მეორე საკითხი რასაც განვიხილავ, არის საპენსიო დანახარჯების მუდმივი ზრდის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები:

პენსიის რაოდენობრივი ზრდა - 2004 წლიდან 2016 წლამდე პენსიის მკვეთრი ზრდის ფონზე სოციალური პენსია საარსებო მინიმუმს მიუახლოვდა. 2015 წელს საპენსიო ხარჯებმა მშპ-ს 4.25 % შეადგინა, მაშინ როდესაც 2006 წელს, ის 1.05% იყო. 2014 წელს ყოველთვიური სოციალური პენსია შეადგენდა 150 ლარს და ოდნავ ჩამოუვარდებოდა საარსებო მინიმუმს, რომელიც იმ დროისთვის 159.4 ლარი იყო. აღსანიშნავია, რომ 2006 წელს სოციალური პენსია სარსებო მინიმუმის 50%-ზე ნაკლებს წარმოადგენდა. ამგვარად, 2006-დან 2013 წლამდე, სოციალური პენსია საარსებო მინიმუმს მიუახლოვდა. არსებულ საპენსიო სისტემას არ გააჩნია სამართლებრივი და გაწერილი კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში და რა ოდენობით გაიზრდება სოციალური პენსია. ეს თავის მხრივ განაპირობებს არასტაბილურ გარემოს ბიუჯეტის გაგეგმვისას. თუ პენსია არ გაიზრდება რეგულარულად, არსებობს პენსიის რეალური ღირებულებისა და მსყიდველუნარიანობის შემცირების საფრთხე, განსაკუთრებით მაღალი ინფლაციის შემთხვევაში.

ასაკით პენსიონერთა რაოდენობის ზრდა - პენსიონერთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. ზრდის ტენდენცია მაღალი ალბათობით შენარჩუნდება. დემოგრაფიულ ანალიზზე დაყრდნობით ნავარაუდებია, რომ მომავალი 15 წლის მანძილზე პენსიონერთა რაოდენობა 30%-ით გაიზრდება და 2030 წლისათვის 950 ათასს მიაღწევს (იხ. დიაგრამა 1), რაც ნიშნავს, რომ ასაკოვანი მოსახლეობის რაოდენობა მთლიანი მოსახლეობის ერთი მეოთხედი იქნება. აღნიშნული მატება, დროის მცირე მონაკვეთში, მნიშვნელოვან დემოგრაფიულ ცვლილებას წარმოადგენს. საქართველოს მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

დემოგრაფიული მდგომარეობა - საქართველოს დემოგრაფიული შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. ასაკოვანი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და შობადობის დონის შემცირება თვალსაჩინო ტენდენციაა, რამაც, თავის მხრივ, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება გამოიწვია. ასევე, მნიშვნელოვანი გავლენა სამუშაო ძალის შემცირე-



დიაგრამა 1: ასაკით სოციალური პენსიის მიმღებთა რაოდენობრივი ზრდის დინამიკა (2015-2060)

წყარო: საქართველოს კანონის პროექტი - დაგროვებითი პენსიის შესახებ, გვ 15.

ბაზე იქონია მზარდმა მიგრაციამ და სამუშაო ადგილების შემცირებამ. ამავე პერიოდში, სიცოცხლის ხანგრძლივობა საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე გაიზარდა. შედეგად, შემცირებული რაოდენობის სამუშაო ძალის მოსახლეობას უწევს მზარდ საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის არაპირდაპირი ფორმით დაფინანსება. ამავდროულად, მთავრობის საბიუჯეტო ვალდებულებები, სოციალური პენსიის კუთხით, ყოველწლიურად იზრდება, რაც კლებადი სამუშაო ძალის და მზარდი პენსიონერთა რაოდენობის ფონზე სირთულეს წარმოადგენს. ამრიგად, გრძელვადიან პერსპექტივაში არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტის შენარჩუნება გართულდება, რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩანაცვლების კოეფიციენტის გაზრდაზე.

დასკვნა

როგორც შესავალში აღვნიშნე, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში დადგა პროგრამის გარკვეული ფორმით შეცვლის აუცილებლობა.

დადებითად ვაფასებ იმ მოსაზრებას, რომ საყოველთაო პაკეტების ცვლილების შემდეგ, თითოეული მოქალაქე დაფინანსებას ქონებრივი მდგომარეობისა და შემოსავლების მიხედვით მიიღებს. შესაბამისად, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით ვეღარ ისარგებლებენ კერძო კომპანიებში დაზღვეული მოქალაქეები, ასევე შედარებით მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახები, ღარიბებისთვის კი კიდევ უფრო გაფართოვდება ის პაკეტი, რომელსაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ამ დროისათვის მოიცავს, მათ შორის, მედიკამენტების ხარჯზე.

თუმცა აუცილებელია მკაცრად განისაზღვროს, სად გაივლება ეგრეთ წოდებული ქონებრივი ზღვარი, მიიღებს თუ არა დაფინანსებაში მონაწილეობას დამსაქმებელი.

პროგრამის ეფექტურობას მნიშვნელოვნად გაზრდის შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

თუკი შემუშავდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სტრატეგია და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა. პროგრამის განვითარების გრძელვადიანი ხედვა მეტ სტაბილურობას მიანიჭებს, როგორც პროგრამას, ასევე კერძო სადაზღვევო სექტორს.

დაიხვეწოს პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების განკარგვის მონიტორინგის სისტემა, რომ მაქსიმალურად შემცირდეს სამედიცინო დაწესებულებების არაკეთილსინდისიერი საქმიანობის ალბათობა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომელიც, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მისცემს კერძო სადაზღვევო კომპანიებში დაზღვეულ პირთა იდენტიფიცირების საშუალებას.

რაც შეეხება საპენსიო დანახარჯებს, არსებული საპენსიო სისტემა ფინანსდება ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. არსებული სისტემის ანალიზმა კი გვიჩვენა, რომ მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლებელია არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტის შენარჩუნება. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „საქართველოს საპენსიო რეფორმა“. საპენსიო რეფორმის ეკონომიკის სამინისტროს მიერ ადმინისტრირება კრიტიკის საგანია იმ არგუმენტით, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიერ საპენსიო რეფორმის განხორციელებამ შესაძლოა კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის ფუნდამენტური მიზნები ინტერესთა კონფლიქტში მოაქციოს. თუნდაც იმიტომ, რომ საპენსიო ფონდები ყოველთვის მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას ახდენენ კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე — ამაზე ემპირიულ სამეცნიერო კვლევებში არსებობს აღიარებული მყარი კონსენსუსი.

ვინაიდან სახელმწიფო საპენსიო ფონდების მართვის დელეგირებას კერძო სექტორზე ახდენს, კორპორაციული მართვის სტანდარტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რადგან საპენსიო რეფორმის შემდეგ საპენსიო ფონდები უმსხვილესი ინსტიტუციონალური ინვესტორები ხდებიან. საპენსიო ფონდების ადმინისტრირებას ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმისათვის, რომ დანაზოგების ინვესტირება და კონცენტრაცია არ მოხდეს ეკონომიკის მხოლოდ ერთეულ სექტორებში.

მივესალმები კერძო დაგროვებითი სისტემების ჩამოყალიბებას და განვითარებას, მაგრამ არ ვეთანხმები იმ გარემოებას, რომ ის სახელმწოფოს და პარლამენტის დაქვემდებარებაში იყოს. აუცილებელია კერძო სექტორის მხრიდან აქტიური ჩართულობა და მათ მიერ ამ ბაზრის ჩამოყალიბება და გაძლიერება. რაც თავის მხრივ, გააძლიერებს ფინანსურ ბაზრებს, გააუმჯობესებს ფინანსებზე ხელმისაწვდობას და რაც მნიშველოვანია უზრუნველყოფს პენსიის ღირსეულ ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ვანიშვილი, ნ.ჭიკაიძე, ნ. ვანიშვილი. სოციალური ეკონომიკა. 2017 წ.

2. ჭიკაიძე ნ. შრომის ბაზრის აქტუალური პრობლემები საქართველოში; ჟურნ. „სეუ და მეცნიერება“. თბ. 2017წ., 6(6).

3. ჭიკაიძე ნ. დაგროვებითი პენსიის სოციალურ-ეკონომიკური პერსპექტივები. ჟურნ.ეკონომიკა, თბ. 2017, N3-4.

3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3839800

5. http://geostat.ge/

6. http://mof.ge/

7. https://idfi.ge/ge/challenges-of-universal-healthcare-program-and-ways-to-overcome-them

ბიზნესის განვითარების მიმართულებები

დამოუკიდებელი დირექტორების როლი თანამედროვე კორპორაციულ მართვაში

გიორგი ჯოლია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემაში წარმატებით დამკვიდრებულია დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტი, როგორც მიუკერძოებლობის მექანიზმი და პოტენციური ინვესტორების მოზიდვის გარანტი.

მოცემული საკითხის მოწესრიგებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ფინანსური და არასამთვრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებმა და საერთო სამართლის ტრადიციის მქონე ქვეყნების იურისდიქციაში მოქმედმა კანონმდებლობამ.

დამოუკიდებელი დირექტორების როლი მნიშვნელოვანია კორპორაციული მართვის ობიექტურად წარმართვაში, რადგან მათი მოქმედებები არ გამომდინარეობს რომელიმე მმართველობითი ორგანოს ინტერესებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მუდმივად ჩართული არ არიან კომპანიების საქმიანობაში, ზედამხედველობენ მათ საქმიანობას და მიუკერძოებლად აფასებენ აღმასრულებელი დირექტორების მიერ კაპიტალის გონივრულ გამოყენებას. თუმცა, მათთან მიმართებაში საყურადღებოა რამდენიმე გარემოება (პასუხისმგებლობა, მიუკერძოებლობა და ანგარიშვალდებულება), რომლებსაც შეუძლია შეცვალონ დამოუკიდებელი დირექტორების ეფექტიანობა.

დამოუკიდებელი დირექტორების ფუნქციონირების საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება სასარგებლო იქნება საქართველოს კომპანიებისთვისაც.

საკვანძო სიტყვები: კორპორაცია, მართვა, აქციონერი, დამოუკიდებელი დირექტორი, სტანდარტი, კონტროლი, ინვესტორი, იურისდიქცია, დირექტორთა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო.

THE ROLE OF NON-EXECUTIVE DIRECTORS IN MODERN CORPORATE GOVERNANCE

Giorgi Jolia
Ph.D Student at GTU

ABSTRACT

The concept of non-executive director has been successfully implemented in the modern understanding of corporate governance as a mechanism of endorsing impartiality and attracting potential investors.

Adopted recommendations of international financial and non-governmental organizations as well as legislative framework of common law jurisdictions have greatly contributed to the process of concept development.

As actions of non-executive directors are not derived from the interest of any governing body their scope of authority has a crucial importance in the healthy practice of corporate governance. Although, they are inactively engaged in the company's management by virtue of supervising executive directors' business decisions and impartially assess their judgment *vis-à-vis* the reasonable use of capital. However, there are additional aspects (e.g. liability, impartiality and accountability) that might influence and alter the efficiency of non-executive directors.

Furthermore, it may be advantageous for Georgian companies to consider existing international practice regarding the non-executive directors in due course of determining and developing their corporate governance structure.

Keywords: Corporation, governance, shareholder, non-executive director, standard, control, investor, jurisdiction, board of directors, supervisory board.

შესავალი

დამოუკიდებელი დირექტორი (Independent Director), ასევე ცნობილი როგორც არა-აღმასრულებელი დირექტორი (Non-executive Director), ეფექტური კორპორაციული მართვის სისტემაში წარმოადგენს შედარებით ახალ კონცეფციას. ფინანსური სკანდალებისა და წარმომადგენლობითი კონფლიქტების (Agency Conflicts) შესამცირებლად შემუშავებულ მრავალ ახალ მმართველობით სტანდარტთან ერთად, შეიქმნა დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტი, რომლის ძირითად უფლებამოსილებად განისაზღვრა სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება, კომპანიის ფინანსური შედეგების ობიექტური ანალიზი და აღმასრულებელი დირექტორ(ებ)ის საქმიანობის კონტროლი.

მოკლე ისტორიულ-კონცეფციური მიმოხილვა

დღეისათვის მოქმედი და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ძირითადი კორპორაციული მართვის კოდექსების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიდ ბრიტანეთში 1980-ანი

წლების ეკონომიკურ-სამართლებრივმა ტენდენციებმა.[1] სახელდობრ, 1992 წელს გამოქვეყნებულმა "ქედბერის ანგარიშმა" (Cadbury Report)[2] კორპორაციული მართვა განმარტა როგორც სისტემა, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობს კომპანიის მართვა და კონტროლი. ამასთან, აღინიშნა, რომ დირექტორთა საბჭო[3] ის მმართველობითი ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის სამოქმედო სტრატეგიის შექმნას, აღმასრულებელი დირექტორების ზედამხედველობასა და აქციონერების/პარტნიორების[4] პერიოდულ ინფორმირებას.[5]

90-იანი წლებიდან აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში აღმოცენებულმა ფინანსურმა სკანდალებმა საფუძველი დაუდო კორპორაციული მართვის მნიშვნელობის ამაღლებასა და მის ეტაპობრივ განვითარებას.[6] შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა კომპანიის შიდა სტრუქტურული მმართველობის სისტემატიზაცია, მმართველობითი უფლებამოსილების გადანაწილება და აღსრულებადი კონტროლის იმგვარად დაწესება, რომ ამ უკანასკნელს ზედმეტი ტვირთი არ გადაეტანა კომპანიის კომერციულ საქმიანობაზე.

ზოგადად, კორპორაციული მართვის სარეკომენდაციო სახის სტანდარტები განმარტებულია როგორც დამატებითი შემოსავლის მიღების მექანიზმი, რომელიც ისწრაფვის ორგანიზაციული მოდელის სრულყოფისაკენ და შესაბამისად ზრდის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის ხარისხს.[7] ამასთან, ხშირად ისმის კითხვა, თუ რა გავლენას ახდენს პოტენციური ინვესტორების გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ჯანსაღი მმართველობითი სისტემის არსებობა.

ამასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ ეფექტიანი და გამჭვირვალე კორპორაციული მოწყობა ზრდის კომპანიის კონკურენტუნარიანობის დონეს, რაც თავისთავად წარმოადგენს ინვესტორებისთვის გაზრდილი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.[8]

აღნიშნულის კვალობაზე, როდესაც აქციონერებს/პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აღმასრულებელ დირექტორებს შორის ხდება უფლებამოსილების სტრუქტურული გადანაწილება, ნიშანდობლივია, რომ ინვესტირებასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების დაბალანსების უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს შიდა და გარე კონტროლის სათანადო მექანიზმები. საკორპორაციო შიდა კონტროლი გულისხმობს დირექტორთა საბჭოს მხრიდან აღმასრულებელი დირექტორების მიერ შესრულებული სამუშაოს პერიოდულ ზედამხედველობას, ხოლო გარე კონტროლი კი მიმართულია უშუალოდ აქციონერების/პარტნიორებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის უტყუარობის დასადასტურებლად, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს შესახებ.[9]

მმართველობითი მოდელები

მრავალი მიზეზის გამო, კომპანიის აქციონერები/პარტნიორები კომპანიის ყოველდღიურ ბიზნეს-საქმიანობაში აქტიურად არ არიან ჩართული. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება დელეგირებულია აღმასრულებელ დირექტორებზე, რომლებიც ცენტრალურ როლს ასრულებენ კომპანიის საქმიანობის წარმართვაში. როგორც წესი, მათ მინიჭებული აქვთ ფართო უფლებამოსილება, რათა ძირითად ეკონომიკურ თუ მმართველობით საკითხებზე, კომპანიის სახელით ეფექტიანად წარმართონ კომერციული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი.[10]

შესაბამისად, როცა პოტენციური ინვესტორები კომპანიაში გრძელვადიანი ინვესტირების საკითხს განიხილავენ, ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია მმართველობით სისტემაში უკვე დამკვიდრებული პრაქტიკა. კერძოდ, თუ რა მექანიზმებით ხდება გადაწყვეტილების ფორმირება, მისი აღსრულება და ზედამხედველობა ამა თუ იმ ორგანიზაციაში.[11]

კორპორაციული მართვის გადმოსახედიდან,

1 P. Loose, M. Griffiths and D. Impey, The Company Director, Powers, Duties and Liabilities (2011) 11th ed Jordan Publishing Limited, p 692.

2 1991 წელს დიდ ბრიტანეთში სერ ადრიან ქედბერის თავმჯდომარეობით კორპორაციული მართვის ფინანსურმა კომიტეტმა მუშაობა დაიწყო ე. წ. „ქედბერის ანგარიშზე", რომელიც მიზნად ისახავდა ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და კომპანიის საქმიანობისადმი ინვესტორების ნდობის ამაღლებას. შესაბამისად, 1992 წლის 1 დეკემბერს გამოქვეყნდა ანგარიში, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა პირველი კორპორაციული მართვის კოდექსი (იხ. The Cadbury Report (1992) http://www.ecgi.org/codes/documents/cadbury.pdf, უკანასკნელად გადამოწმებული: 19.04.2018).

3 კომპანიის ორგანიზაციული ფორმის გათვალისწინებით, მმართველობითი სტრუქტურა, ფუნქცია და დასახელება შესაძლოა განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყნის იურისდიქციული მოწყობის მაგალითზე.

4 კომპანიის ორგანიზაციული ფორმის შესაბამისად.

5 იხ. ქედბერის ანგარიში, op cit supra (n 2) პარაგრაფი 2.5.

6 დ. დოლიძე, კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, შედარებით-სამართლებრივი კვლევა (2017) იურისტების სამყარო, გვ 25-27.

7 გ. მახარობლიშვილი, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი (2015) იურისტების სამყარო, გვ 134.

8 R. Smerdon, A practical Guide to Corporate Governance (2010) 4th ed Sweet & Maxwell, p 34.

9 I. Adelopo, Auditor Independence: Auditing, Corporate Governance and Market Confidence: Corporate Social Responsibility Series (2012) 1st ed Gower Publisher Limited, pp 1-2.

10 A. Kawamura, Corporate Governance: Jurisdictional Comparisons (2015) 2nd ed Sweet & Maxwell, p 439.

11 ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) (2016) იურისტების სამყარო, გვ 73.

მმართველობითი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი დირექტორების არსებობა, ვინაიდან მათი უმთავრესი დანიშნულებაა ზედამხედველობის პროცესში, საკუთარ ცოდნასა და პროფესიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აღმასრულებელი დირექტორებისთვის მიუკერძოებელი შეფასებების მიწოდება.[12]

მსოფლიოში არსებული კორპორაციული მართვის სისტემები ერთმანეთისგან ფუნქციურად განსხვავდება, თუმცა, მმართველობითი სტრუქტურის კლასიფიკაციისას, ძირითად, ერთსაფეხურიან (უნიტარულ) და ორსაფეხურიან (დუალისტურ) მოდელებს გამოყოფენ.

ერთსაფეხურიანი მოდელისათვის დამახასიათებელია ერთი საბჭოს _ დირექტორთა საბჭოს (ასევე, ცნობილია, როგორც დირექტორთა ბორდი (Board of Directors)) არსებობა, რომელიც ერთპიროვნულად უძღვება კომპანიის ბიზნეს-საქმიანობას და ანგარიშვალდებულია კომპანიის აქციონერების/პარტნიორების წინაშე. მის შემადგენლობაში ძირითადად შედიან როგორც აღმასრულებელი, ასევე დამოუკიდებელი დირექტორები.

ხშირად, დირექტორთა საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოსთან აიგივებენ. მსგავსი მმართველობითი მოდელი დამახასიათებელია ისეთი კომპანიებისათვის, რომლებიც საქმიანობას ეწევიან საერთო სამართლის ტრადიციის მქონე ქვეყნების იურისდიქციაში (მაგალითად, აშშ-ში, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში და სხვ.).[13]

ერთსაფეხურიანი მოდელის საპირისპიროდ, დუალისტურ მოდელში, სადაც აქციონერებსა/პარტნიორებსა და აღმასრულებელ დირექტორებს შორის სამეთვალყურეო საბჭოს სახით შექმნილია დამატებითი ზედამხედველობითი ორგანო, დამოუკიდებელი დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ინიშნება.[14]

კორპორაციული მართვის პრაქტიკით რეკომენდებულია, რომ აქციონერების/პარტნიორების მიერ საბჭოს თავმჯდომარედ ისეთი პირი შეირჩეს, რომელიც ქვედა რგოლის მმართველობის სისტემაში სხვა უფლებამოსილებას არ ფლობს.[15]

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა საბჭოს თავმჯდომარედ, არსებობს იმის ალბათობა, რომ კონტროლისა და მართვის ფუნქციების ერთმანეთში აღრევით მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღების წახალისება მოხდეს.[16]

რასაკვირველია, აღნიშნული მმართველობითი მოდელი კომპანიის საქმიანობაზე ზედამხედველობას მნიშვნელოვნად შეასუსტებს და, დროთა განმავლობაში, მასზე აქციონერების/პარტნიორების გავლენასაც შეაფერხებს.[17]

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ რეკომენდაციას ითვალისწინებს მრავალი საფონდო ბირჟის დეკლარირებული გზამკვლევი. მაგ., ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე იმ კომპანიებს, რომლებსაც ბირჟაზე აქციების განთავსება სურთ, აქვთ ვალდებულება, რომ დამოუკიდებელი დირექტორები წარმოადგენდნენ საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობას. აღნიშნული რეგულაცია ასევე ვრცელდება სხვადასხვა კომიტეტის შემადგენლობაზეც, მაგ., აუდიტის, ანაზღაურებისა და ნომინაციის კომიტეტები მხოლოდ დამოუკიდებელი დირექტორებით უნდა დაკომპლექტდეს.[18]

ფუნქციები და ეფექტიანობა

დირექტორთა საბჭოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილია საბჭოს შიდა და გარე პირებით (დამოუკიდებელი დირექტორებით) დაბალანსება. იმისათვის, რომ საბჭომ შეძლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება და არ იქნეს რომელიმე მმართველობითი ორგანოს ინტერესების ფორმალური გამტარებელი, დამოუკიდებლობის გარდა, საბჭოში დანიშნულმა პირებმა აქტიურად უნდა გამოხატონ სურვილი და გამოყონ შესაბამისი დრო აღმასრულებელი დირექტორების ზედამხედველობისათვის.[19]

დამოუკიდებელ დირექტორზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ზოგადად, მიჩნეულია, რომ დირექტორთა საბჭოს უნდა გააჩნდეს სათანადო შესაძლებლობა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად წარმართოს მმართველობითი საკითხები.[20] აღნიშნულ პროცესში დირექტორი აუცილებელია მონაწილეობდეს აქციონერების/პარტნიორების წნეხისგან თავისუფლად და შინაგანი რწმენით უძღვებოდეს კომპანიის საქმიანობას. სწორედ ამგვარ მოცემულობაში გვევლინებიან დამოუკიდებელი დირექტორები მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების გარა-

12 I. Adelopo, op cit supra (n 9), p 37.

13 საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია (IFC), "კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო" (2010), 1-ლი გამოცემა, გვ 37 (იხ. https://www.ifc.org/wps/wcm/connect/eb167580433e85ea9e5efe384c61d9f7/CG+Manual+Georgian.pdf?MOD=AJPERES, უკანასკნელად გადამოწმებული 19.04.2018).

14 H. R. Cheeseman, Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues (2013) 8th ed Pearson, p 625.

15 OECD (2015), G20/OECD Principles of Corporate Governance, OECD Publishing, IV (E), p 57. (იხ. http://dx.doi.org/10.1787/9789264236882-en, უკანასკნელად გადამოწმებული 19.04.2018).

16 J. Zinkin, Challenges In Implementing Corporate Governance – Whose Business Is It Anyway? (2010) 1st ed John Wiley & Sons (Asia), p 60.

17 I. Adelopo, op cit supra (n 9), p 14.

18 საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია (IFC), op cit supra (n 13), გვ 73.

19 S. Anand, Essentials of Corporate Governance (2007) 11th ed John Wiley & Sons, p 49.

20 OECD (2015), op cit supra (n 15), VI (E), p 51.

ნტად, ვინაიდან მათი მოქმედებები არ გამომდინარეობს კონკრეტულად რომელიმე მმართველობითი ორგანოს ინტერესებიდან.[21]

ნიშანდობლივია, რომ ორგანიზაციაში დამოუკიდებელი დირექტორების არსებობა მხოლოდ ინვესტორების ინტერესებს არ წარმოადგენს. სწორედ იმ ფაქტმა, რომ მმართველობით მოდელში აღმასრულებელი დირექტორების კომპეტენციას მიკუთვნებული გარკვეული საკითხები შესაბამის ზედამხედველობას ექვემდებარება, შესაძლოა შეამციროს აღმასრულებელი დირექტორების პასუხისმგებლობის ფარგლები და მისცეს მათ ერთგვარი გარანტი სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღებისას.[22]

აქედან გამომდინარე, კორპორაციული მართვის არაერთი კოდექსი ითვალისწინებს რეკომენდაციას, რომ დირექტორთა საბჭოს თუ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში დამოუკიდებელი დირექტორის არსებობა გადაწყვეტილების მიღების პროცესს შემატებს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ხარისხს.[23]

როგორც წესი, დამოუკიდებელი დირექტორის პოზიციაზე გვევლინება პირი, რომელსაც აქვს კონკრეტული მიმართულებით პროფესიული გამოცდილება და ექსპერტიზა, რითაც შეუძლია კომპანიის საქმიანობას შემატოს ობიექტური პოზიცია ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე. თუმცა, აღმასრულებელი დირექტორისაგან განსხვავებით, დამოუკიდებელი დირექტორი ორგანიზაციის საქმიანობის პროცესში გვევლინება როგორც პასიური დამკვირვებელი, რომელიც მუდმივად არ არის ჩართული მის ყოველდღიურ საქმიანობაში, მაგრამ ზედამხედველობს ორგანიზაციის საქმიანობას და ობიექტურად აფასებს აღმასრულებელი დირექტორების მიერ კაპიტალის გონივრულ გამოყენებას.

სწორედ ამგვარი მექანიზმის არსებობა წარმოადგენს კომპანიის ერთგვარ შეთავაზებას პოტენციური ინვესტორებისათვის, რომ მათი ინვესტიციის დაცულობა განპირობებულია არა მხოლოდ უშუალოდ დაკავშირებული პირების საქმიანობით, არამედ, ასევე უზრუნველყოფილია იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც საკორპორაციო ზედამხედველობის გარდა არ გააჩნიათ რაიმე სხვა ფინანსური მოტივაცია თუ პირადი ინტერესი.[24]

რადგან დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტი კორპორაციული მართვის თანამედროვე სტანდარტის ერთ-ერთ მთავარი ღერძია, მისი ძირითადი ფუნქცია-უნარიანობა ორი მიმართულებით შემოიფარგლება: 1) დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობას შემატოს სათანადო კომპეტენცია; 2) საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დააბალანსოს აღმასრულებელი დირექტორისა და მასზე ზემდგომი მმართველობითი ორგანოს ინტერესები.[25]

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიაში დამოუკიდებელი დირექტორის ყოფნის მთავარ იდეას წარმოადგენს კომერციული საქმიანობის პროცესში სრულიად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შეფასების არსებობის შესაძლებლობა, ყურადსაღებია რამდენიმე გარემოება, რომლებსაც პრაქტიკაში შეუძლიათ შეცვალონ დამოუკიდებელი დირექტორის ეფექტიანობა:

• პასუხისმგებლობა _ ისინი პასუხისმგებლობას იმ მასშტაბით იზიარებენ, რაც კანონით დაწესებულია აღმასრულებელი დირექტორების საქმიანობაზე;

• მიუკერძოებლობა _ იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებელი დირექტორის მიუკერძოებლობის ხარისხი სათანადოდ არ არის დაცული, არსებობს რისკი იმისა, რომ მათივე კოლეგა აღმასრულებელი დირექტორების საქმიანობის ზედამხედველობა შესაბამისად არ განახორციელონ და მხოლოდ ნომინალური სტატუსი დაიტოვონ;

• ანგარიშვალდებულება, _ როდესაც კომპანიის მმართველობითი სტრუქტურა მკაცრად არ მიჯნავს მთავარი მონაწილეების უფლებამოსილებას, საფრთხე ექმნება ანგარიშვალდებულების სტანდარტს, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს ეფექტიანი ზედამხედველობის პროცესზე. აქედან გამომდინარე, როდესაც დამოუკიდებელ დირექტორს უწევს იმ პირის საქმიანობის შეფასება, რომელმაც მას მიანიჭა ხსენებული უფლებამოსილება, საქმიანობის ეფექტიანობის ხარისხიც, შესაბამისად, დაბალია.[26]

საბჭოში დამოუკიდებელი დირექტორის მიღების საჭიროება/ვალდებულება ძირითადად საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების დღის წესრიგში დგება, თუმცა, უკანასკნელი ათწლეულის გათვალისწინებით, კერძო კომპანიებმაც დაიწყეს აღნიშნული პრაქტიკის იმპლემენტაცია.[27] განსაკუთრებით აღსანიშნავია ინოვაციური ტექნოლოგიური კომპანიების მაგალითები, რომლებიც კაპიტალის მოზიდვის მიზნით, საბჭოში სხვადასხვა გამოცდილების მქონე დამოუკიდებელ დირექტორებს ხშირად იწვევენ.

ამგვარი მიდგომა, ერთი მხრივ, კომპანიას ეხმარება სტრატეგიული ბიზნეს-გადაწყვეტილების მიღებაში, ხოლო მეორე მხრივ, დადებით სიგნალს უგზავნის ვენჩურულ ინვესტორებს (Venture Investors, ასევე, ცნობილი, როგორც Venture Firms (VCs)) და მათში კომპანიის სანდოობისა და რეპუტაციის ხარისხს ზრდის. როდესაც კაპიტალის მოზიდვის

21 ibid, pp 51-52.

22 D. C. Clarke, "Three Concepts of the Independent Director" (2007) 32 (1) Delaware Journal of Corporate Law, pp 73-111. (იხ. https://ssrn.com/abstract=975111, უკანასკნელად გადამოწმებული 19.04.2018).

23 R. Smerdon, op cit supra (n 8), p 63.

24 I. Filatotchev and M. Wright (eds), "Corporate Governance in the New Global Economy" in The Life Cycle of Corporate Governance (2005) 1st ed Edward Elgar Publishing, p 39.

25 P. Loose, M. Griffiths and D. Impey, op cit supra (n 1), p 702.

26 ibid, p 703.

27 ibid, p 693.

მიუხედავად, კომპანიის კომერციული საქმიანობის მდგრადობა კვლავინდებურად რისკის ქვეშ იმყოფება, ვენჩურული ინვესტორები თავად ცდილობენ დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანონ ისეთი პირები, რომლებსაც ექნებათ სათანადო კომპეტენცია და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, რომ ზედამხედველობა გაუწიონ აღმასრულებელი რგოლის საქმიანობას. ამ ვითარებაში, სწორედ დამოუკიდებელი დირექტორის არსებობით, ინვესტორები ცდილობენ იმ ბიზნეს-რისკების დაბალანსებას, რომლებიც გამომდინარეობს ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობიდან.[28]

დამოუკიდებლობის კრიტერიუმები

იმის გათვალისწინებით, რომ დირექტორის დამოუკიდებლობის ხარისხი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა წარმატებული ბიზნეს-საქმიანობის განსახორციელებლად,[29] აუცილებელია დამოუკიდებელი დირექტორის კანდიდატურის სწორი შეფასება, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული, როგორც არაეფექტური ზედამხედველობა, ასევე უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და ინტერესთა შესაძლო კონფლიქტი.

ძირითადი კრიტერიუმები, რითაც ნეგატიურად ფასდება დამოუკიდებელი დირექტორის დამოუკიდებლობის ხარისხი შემდეგია:

- კომპანიასთან არსებული სხვა შრომითი ურთიერთობა (წარსულში ან მიმდინარე);
- კომპანიიდან რაიმე სახის სხვა ანაზღაურების მიღება, დამოუკიდებელი დირექტორის პოზიციისთვის განკუთვნილი სახელფასო განაკვეთის გარდა;
- კომერციულად აფილირებული მდგომარეობა (იგულისხმება აქციების/წილის ფლობა ან სხვა ტრანზაქციული ინტერესი);
- ახლო ნათესაური კავშირი საზედამხედველო პირებთან;
- კომპანიასთან არსებული საკონსულტაციო ურთიერთობები (მაგ., აუდიტორული ან სამართლებრივი მომსახურება);
- სხვა კომპანიის ინტერესების წარმომადგენლობა.[30]

დამოუკიდებლობაზე საუბრისას საინტერესოა დიდი ბრიტანეთის კორპორაციული კოდექსის მიდგომა, რომლის მიხედვითაც, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გადაწყვეტს დამოუკიდებელი დირექტორის თანამდებობაზე მაინც დანიშნოს ისეთი პირი, რომელსაც აქვს რაიმე სახის კომერციული ინტერესი, თუ პირადი კავშირი ორგანიზაციასთან, იგი ვალდებულია საჯაროდ წარმოადგინოს განმარტება[31] კანდიდატის მიუკერძოებლობის შესახებ.[32]

რაც შეეხება დამოუკიდებელი დირექტორის პირად უნარ-ჩვევებს, აღსანიშნავია ითქვას, რომ საუბარია ისეთ სოციალური ხასიათის უნარზე, რომლის მეშვეობითაც იგი ეფექტიანად ახორციელებს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზებას, კოორდინაციასა და ზედამხედველობას.[33] შესაბამისად, დამოუკიდებელი დირექტორისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფლობდეს ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორიცაა პრინციპულობა, კომუნიკაბელურობა, დეტალებზე ორიენტირება, სხარტი აზროვნება და სხვ., რაც საბოლოო ჯამში მას დაეხმარება მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებაში, კომპანიაში სათანადო ინტეგრაციასა და სხვადასხვა მმართველობითი ორგანოსა თუ დაინტერესებული პირების ინტერესების დაბალანსებაში.[34]

საქართველოს მაგალითი

საქართველოში კორპორაციული მართვის, როგორც საკანონმდებლო, ისე სარეკომენდაციო ხასიათის ქცევის წესები ჯერჯერობით სრულყოფილად სისტემატიზებული და დადგენილი არ არის. ორგანიზაციული მმართველობის მნიშვნელოვან საკითხებს, ძირითადად, იხილავს სხვადასხვა საკანონმდებლო წყაროები, კერძოდ, მეწარმეთა შესახებ კანონი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონი და სხვ.[35]

თუმცა, 2009 წელს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერით, საქართველოს ბანკების ასოციაციამ შექმნა კორპორაციული მართვის სარეკომენდაციო ხასიათის სტანდარტები, კონკრეტულად, კომერციული ბანკების საქმიანობისათვის.[36]

აღნიშნულმა კოდექსმა ძირითად მიზნად დასახა თანამედროვე კორპორაციული სტანდარტების ქართულ ბაზარზე დანერგვა, მართვის ახლებური მექანიზმების შემოღება, ორგანიზაციაში არსებული ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრა, მმართველობით ორგანოებს შორის ინტერესთა დაბალანსე-

28 R. Pearce and S. Barnes, Raising Venture Capital (2006) 1st ed John Wiley & Sons, p 141.

29 OECD (2015), op cit supra (n 15), VI (E), p 57.

30 The UK Corporate Governance Code (2016), Section B.1.1. p. 10. (ob. https://www.frc.org.uk/getattachment/ca7e94c4-b9a9-49e2-a824-ad76a322873c/UK-Corporate-Governance-Code-April-2016.pdf, უკანასკნელად გადამოწმებული 19.04.2018).

31 ე. წ. „დაემორჩილე" ან „განმარტე" პრინციპის (Comply or explain principle) გათვალისწინებით.

32 J. J. Plessis, A. Hargovan and M. Bagaric, Principles of Contemporary Corporate Governance (2010) 2nd ed Cambridge University Press, p 113.

33 დ. დოლიძე, op cit supra (n 6), გვ 100.

34 J. Zinkin, op cit supra (n 16), p 60.

35 L. Chanturia and G. Jugeli, "Georgia: Corporate Governance of Business Corporations" in A. M. Fleickner, K.J. Hopt (eds), Comparative Corporate Governance, A Functional and International Analysis (2013) 1st ed Cambridge University Press, p 505.

36 გ. მახარობლიშვილი, op cit supra (n 7), გვ 206.

ბა და საჯარო ინტერესების ეფექტური დაცვა.[37]

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კოდექსი არსებით აქცენტს აკეთებს უშუალოდ საბანკო საქმიანობაში მონაწილე პირებზე, მისი ანალოგიის სახით ადაპტაცია და გამოყენება შესაძლებელია სხვა ნებისმიერი კაპიტალური ტიპის საზოგადოების მიერ, რათა საჭიროებისამებრ, უზრუნველყოს მართვის სწორი მექანიზმების შემუშავება.[38]

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების ორგანიზაციული ფორმა არის სააქციო საზოგადოების ტიპი,[39] კოდექსი დამოუკიდებელ წევრებში მოიაზრებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს (როგორც ორსაფეხურიან მმართველობით სისტემაში მაკონტროლებელ ორგანოს). მიუხედავად ამისა, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის დამოუკიდებელი დირექტორების სტანდარტის დასადგენად მნიშვნელოვანია კოდექსისეული განმარტების ანალიზი.

კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის განმარტავს, რომ რეკომენდებულია სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრებიც წარმოადგენდნენ. ამასთან, კოდექსი ადგენს, რომ რომელიმე ჯგუფის მიერ გარკვეულ საკითხებზე მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების თავიდან ასაცილებლად, სამეთვალყურეო საბჭოში დაცული უნდა იყოს აქციონერთა წარმომადგენლებსა და დამოუკიდებელ წევრებს შორის ბალანსი.[40]

კორპორაციული მართვის კოდექსი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის საკითხს და ცდილობს კომერციულ ბანკებს შესთავაზოს ისეთი სახის მოდელი, რომელიც მიმართულია მაკონტროლებელი ორგანოს მიუკერძოებლობისა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისკენ.[41]

შესაბამისად, კოდექსი შემდეგნაირად წარმოადგენს დამოუკიდებლობის განმარტებას: „ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ ჩაითვლება დამოუკიდებლად, თუ ის ან მისი პირველი ან მეორე რიგის მემკვიდრე:

(1) ბოლო 5 წლის მანძილზე იყო ბანკის, მისი შვილობილი, დედობილი ან დობილი ორგანიზაციის დირექტორატის წევრი, ან ეკავა სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა;

(2) იღებს ბანკისაგან ან მისი შვილობილი, დედობილი ან დობილი ორგანიზაციისაგან ანაზღაურებას ნებისმიერი ფორმით, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა და აქციონერების კუთვნილი დივიდენდისა;

(3) გააჩნია მნიშვნელოვანი პირადი კომერციული ურთიერთობები ბანკთან;

(4) არის იმ იურიდიული პირის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი კომერციული ურთიერთობები ბანკთან;

(5) არის დირექტორი იმ კომპანიისა, რომელშიც ბანკის ერთ-ერთი დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს წევრია;

(6) ეკუთვნის ბანკის კაპიტალის 5 პროცენტი ან მეტი;

(7) არის დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან წარმომადგენელი იმ კომპანიისა, რომელსაც ეკუთვნის ბანკის კაპიტალის 5 პროცენტი ან მეტი.“[42].

დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და განვითარების გამგრძელებლად შესაძლოა მივიჩნიოთ 2016 წელს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, ისეთი კომპანიები, რომელთა ფასიანი ქაღალდებიც განთავსებულია საფონდო ბირჟაზე, ვალდებულნი გახდნენ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა დამოუკიდებელი წევრებით დააკომპლექტონ.

ცვლილების თანახმად, ყველა საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ)[43] მმართველობის სტრუქტურაში სავალდებულო გახდა ისეთი აუდიტის კომიტეტის ჩამოყალიბება, რომელიც შედგება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ჩანაწერით, აუდიტის კომიტეტში პირდაპირ შეიზღუდა აღმასრულებელი დირექტორების მონაწილეობა და დადგინდა, რომ „აუდიტის კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ის წევრი, რომელიც დირექტორის უფლებამოსილებას ახორციელებს.“[44] თუმცა, ვინაიდან ყველა სდპ-ს არ აქვს ვალდებულება მმართველობით სისტემაში ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო, მისი არარსებობის შემთხვევაში, იქმნება დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი, რომლის დამოუკიდებელი წევრების შემადგენლობასაც განსაზღვრული ვადით ამტკიცებს საერთო კრება.[45]

ასევე, საინტერესოა დამოუკიდებელი პირის კა-

37 საქართველოს ბანკების ასოციაცია, „კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის“ (2009), გვ 2.

38 გ. მახარობლიშვილი, op cit supra (n 7) გვ 208.

39 „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კომერციული ბანკი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით.

40 საქართველოს ბანკების ასოციაცია, op cit supra (n 38), მუხლი 4.ა.3, გვ 12.

41 დ. დოლიძე, op cit supra (n 6), გვ 50.

42 საქართველოს ბანკების ასოციაცია, op cit supra (n 38), მუხლი 2. ე, გვ 7.

43 „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ყ“ ქვეპუნქტით განისაზღვრა საზოგადოებრივი დაინტერესების პირის განმარტება.

44 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-131 მუხლის მე-3 ნაწილი.

45 განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (იხ. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/118958, უკანასკნელად გადამოწმებული 19.04.2018).

ნონმდებლისეული განმარტება, რომლის მიხედვითაც „დამოუკიდებელ პირად მიიჩნევა პირი, რომელიც სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად დაკავშირებული არ არის საწარმოსთან, მათ შორის, არ ფლობს ამ საწარმოს აქციებს/წილებს და არ იღებს აღნიშნული საწარმოდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის ან/და აუდიტის კომიტეტის წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა."[46]

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ცვლილებებმა დამატებით განსაზღვრა როგორც აუდიტის კომიტეტის მინიმალური კომპეტენცია, ასევე ის ძირითადი საკითხები, რაზეც კომიტეტს აკისრია ზედამხედველობის, რეკომენდაციების გაცემისა და საქმიანობის ანგარიშის წარდგენის ვალდებულება.[47]

აუდიტის კომიტეტის ფუნქციაა ზედამხედველობა გაუწიოს:

„ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;

ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;

გ) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;

დ) აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის დამოუკიდებლობას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად."[48]

ნიშანდობლივია, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი კომპანიის აქციონერებს/პარტნიორებს საკმაოდ დიდ თავისუფლებას ანიჭებს შიდა ორგანიზაციული მოწყობის თვალსაზრისით. მათ საკუთარი კომერციული საჭიროებისამებრ შეუძლიათ შექმნან უნიტარული ან დუალისტური მმართველობითი მოდელი (გარდა კანონით პირდაპირ იმპერატიულად განსაზღვრული შემთხვევებისა), გადაანაწილონ კომპეტენციები და სურვილისამებრ დააკომპლექტონ მმართველობითი ორგანოები. თუმცა, კანონი მოქმედების ეფექტიანობას კარგავს მაშინ, როცა შემდგომ აღარ არეგულირებს მმართველობით სტანდარტს. განსხვავებით მთელი რიგი კორპორაციული მართვის რეკომენდაციებისა, კანონი დამატებით ყურადღებას არ უთმობს ინტერესთა კონფლიქტის არიდების მექანიზმებს და კომპეტენციათა აღრევის პრობლემას.[49]

დასკვნა

კომპანიაში დამატებითი კაპიტალის ან ახალი ბიზნეს-პარტნიორის მოსაზიდად დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტი დადებით სიგნალს უგზავნის პოტენციურ ინვესტორებსა თუ დაინტერესებულ მხარეებს. დამოუკიდებელი დირექტორი ფუნქციურად მიმართულია იმისკენ, რომ გააჯანსაღოს აღმასრულებელი დირექტორების ზედამხედველობა და მონაწილეობა მიიღოს კომპანიის მნიშვნელოვან სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში. შესაბამისად, ის კომპანიები, რომლებიც ეცდებიან დახარჯონ გონივრული დრო და რესურსი, როგორც მათი ორგანიზაციული მმართველობითი მოდელის დასახვეწად, ასევე, ანგარიშვალდებულებისა და ინფორმაციის გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად, მაღალი ალბათობით, იქნებიან ბაზარზე მეტად კონკურენტულები და ფინანსურად სტაბილურები.

შესაბამისად, ამ მოცემულობით, დამოუკიდებელი დირექტორის პოზიციაზე სასურველია დაინიშნოს ისეთი პირი, რომელიც გამოირჩევა სათანადო გამოცდილებით, პრინციპულობით, ობიექტურობითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუდმივად დაიცავს დაინტერესებული პირების ინტერესთა გონივრულ ბალანსს. იქიდან გამომდინარე, რომ დამოუკიდებელი დირექტორები ყოველდღიურად არ მოღვაწეობენ კომპანიის საქმიანობაში, მათ შესაძლოა ჰქონდეთ საკუთარი მიმდინარე ბიზნესი და შემოსავლის სხვა წყარო. თუმცა, ამ შემთხვევაში, საფრთხე არ უნდა შეექმნას მათი მიუკერძოებლობის საკითხს.

მეორე მხრივ, მხოლოდ დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტის კომპანიაში დანერგვა ცალმხრივად ვერ უზრუნველყოფს ყველა მმართველობითი ხარვეზის აღმოფხვრას. რიგ შემთხვევებში, თავად დამოუკიდებელი დირექტორ(ებ)იც კი შესაძლოა უძლურნი გახდნენ ისეთი კომპლექსური და სისტემური პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებსაც სიღრმისეული კვლევა და ცვლილება სჭირდება. თუმცა, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში გაბატონებული მოსაზრებების თანახმად, რომლებსაც აქტიურად იზიარებენ საერთაშორისო ფინანსური თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, კომპანიაში დამოუკიდებელი დირექტორის არსებობა ნამდვილად წარმოადგენს ერთ-ერთ სასარგებლო ელემენტს საუკეთესო მმართველობითი სისტემის დასანერგად და დამატებით კაპიტალზე წვდომის გასაიოლებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. მახარობლიშვილი, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი (2015) „იურისტების სამყარო";

2. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე";

3. დ. დოლიძე, კორპორაციული მართვის სამა-

46 „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-131 მუხლის მე-2 ნაწილი.

47 განმარტებითი ბარათი, op cit supra (n 45).

48 „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-131 მუხლის მე-6 ნაწილი.

49 ლ. ცერცვაძე, op cit supra (n 11), გვ. 58.

რთლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, შედარებით-სამართლებრივი კვლევა (2017) „იურისტების სამყარო“;

4. ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) (2016) „იურისტების სამყარო“;

5. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია (IFC), "კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო" (2010);

6. საქართველოს ბანკების ასოციაცია, „კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის“ (2009);

7. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;

8. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

9. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“;

10. A. Kawamura, Corporate Governance - Jurisdictional Comparisons (2015) 2nd ed Sweet & Maxwell;

11. D. C. Clarke, "Three Concepts of the Independent Director" (2007) 32 (1) Delaware Journal of Corporate Law;

12. H. R. Cheeseman, Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues (2013) 8th ed Pearson;

13. I. Adelopo, Auditor Independence: Auditing, Corporate Governance and Market Confidence: Corporate Social Responsibility Series (2012) 1st ed Gower Publisher Limited;

14. I. Filatotchev and M. Wright (eds), "Corporate Governance in the New Global Economy" in The Life Cycle of Corporate Governance (2005) 1st ed Edward Elgar Publishing;

15. J. Zinkin, Challenges In Implementing Corporate Governance – Whose Business Is It Anyway? (2010) 1st ed John Wiley & Sons (Asia);

16. J. J. Plessis, A. Hargovan and M. Bagaric, Principles of Contemporary Corporate Governance (2010) 2nd ed Cambridge University Press;

17. L. Chanturia and G. Jugeli, "Georgia: Corporate Governance of Business Corporations" in A. M. Fleickner, K.J. Hopt (eds), Comparative Corporate Governance, A Functional and International Analysis (2013)1st ed Cambridge University Press;

18. OECD (2015), G20/OECD Principles of Corporate Governance, OECD Publishing;

19. P. Loose, M. Griffiths and D. Impey, The Company Director, Powers, Duties and Liabilities (2011) 11th ed Jordan Publishing Limited;

20. R. Pearce and S. Barnes, Raising Venture Capital (2006) 1st ed John Wiley & Sons;

21. R. Smerdon, A practical Guide to Corporate Governance (2010) 4th ed Sweet & Maxwell;

22. S.Anand, Essentials of Corporate Governance (2007) 11th ed John Wiley & Sons;

23. The Cadbury Report (1992);

24. The UK Corporate Governance Code (2016).

საქართველოს საფონდო ბაზრების ინფრასტრუქტურა და კომერციული ბანკების გავლენა მასზე

გიორგი ავალიანი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს უმთავრეს ამოცანას მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია გაუმჯობესდეს საინვესტიციო გარემო, რათა ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს საშუალება მიეცეთ მინიმალური რისკის პირობებში გააფართოვონ საქმიანობა ან განახორციელეონ ინვესტიციები წარმოებისა და მომსახურების სფეროში.

ფინანსური ბაზრების რეფორმირება და ლიბერალიზება გათვლილი იყო საქართველოს ფინანსური და საბანკო სისტემების გაუმჯობესებაზე. დერეგულირებამ და ლიბერალიზებამ, რომელსაც თან სდევს ტექნოლოგიური განვითარება, მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს ფინანსური სერვისების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის სტრუქტურა.

კომერციული ბანკები ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების (საბაზრო სისტემის) ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლად გადაქცნენ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სისტემის განვითარება სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

წარმატებულ და განვითარებულ ქვეყნებში ფულის მოზიდვის ორი მექანიზმი – საბანკო სესხი და საფონდო ბაზარი ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულებას ავლენს, ხოლო საქართველოში ფულადი რესურსის მოზიდვის მხოლოდ ერთი მექანიზმი – საბანკო სესხი და მთლიანობაში კომერციული საბანკო სისტემა არსებობს, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს არ მისცეს გასაქანი ფულის რესურსის მოზიდვის მეორე მექანიზმს (რომელიც მთავარ კონკურენტად მიაჩნია) – საფონდო ინდუსტრიას.

დღეს-დღეობით დროებით თავისუფალი სახსრები მიდის პირდაპირ ბანკებში და ბანკებიდან ხდება ინვესტირება, რაც საკმაოდ აძვირებს კრედიტს და განუვითარებელს ტოვებს როგორც ეკონომიკას, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზარს, რადგან ბანკები ფაქტიურად პირდაპირი მიყიდვის გზით ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს, სააქციო საზოგადოებები კი აზრს ვერ ხედავენ გამოუშვან აქციები, რაც დამატებით ხარჯთანაა დაკავშირებული თუკი ბანკების გარდა მათი მყიდველი ისედაც არავინ აღმოჩნდება და ამის გამო იძულებულნი არიან დაკრედიტებისთვის ისევ ბანკებს მიმართონ და ისარგებლონ ძვირი კრედიტით. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საქართველოს საფონდო ბირჟის განუვითარებლობის რამდენიმე ძირითადი მიზეზი არსებობს, რომლებიც ერთმანეთთან უშუალო კავშირში არიან და ამ მიზეზებზე დეტალურ ჩაღრმავებას ისევ ბანკების საქმიანობასთან მივყავართ.

საქვანძო სიტყვები: კომერციული ბანკი, საფონდო ბირჟა, საინვესტიციო პოლიტიკა, ფულის მოზიდვა.

GEORGIA'S STOCK MARKET INFRASTRUCTURE AND THE INFLUENCE OF COMMERCIAL BANKS ON IT

Giorgi Avaliani
GTU Doctoral Student

RESUME

The main task of Georgia is to create favorable conditions for entrepreneurship development. In our country, it is necessary to improve the investment environment in order to enable local and foreign investors to expand their activities in the minimum risk environment or to invest in the production and services.

Reforming and liberalization of financial markets was aimed at improving Georgia's financial and banking systems. Deregulation and liberalization, which is accompanied by technological development, has significantly changed the structure of the competitiveness of the Georgian financial services industry.

Commercial banks have turned into one of the central banks of the country's economic functioning (market system). It should also be noted that development of the banking system is one of the foundations of the state economy.

Two mechanisms of attracting money in successful and developed countries - the bank loan and the stock market have a mutually beneficial synergy, while there is only one mechanism for attracting money in Georgia - bank loan and a commercial banking system that does not try to maximize the second mechanism for attracting money resources The main competitor) - the stock industry.

Today, temporarily free funds go directly to the banks, which makes it more expensive to credit and develop the economy as well as the securities market because banks are actually buying securities through direct sale and stock companies do not see any stock It costs In their banks linkage if the buyer already and no one will be forced to do because of the lend-

ing banks to apply for and use credit more expensive. There are several main reasons for the development of the securities market and Georgian stock market in Georgia, which are in direct contact with each other and lead to further banking activities.

key-words: Commercial bank, Stock exchange, Investment policy, Attract money

ძირითადი ტექსტი

დღესდღეობით საქართველოს საბანკო სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ უძლიერეს სექტორს/დარგს ქართულ ეკონომიკაში. შესაბამისად, საბანკო სისტემის გამართულად და ეფექტიანად ფუნქციონირება, ბანკების მხრიდან ბიზნესის დაკრედიტების ზრდა პირდაპირპროპორციულად აისახება ქართულ ეკონომიკაზე და მის განვითარებაზე.

ამჟამად, საქართველოს უმთავრეს ამოცანას მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია გაუმჯობესდეს საინვესტიციო გარემო, რათა ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს საშუალება მიეცეთ მინიმალური რისკის პირობებში გააფართოვონ საქმიანობა ან განახორციელეონ ინვესტიციები წარმოებისა და მომსახურების სფეროში.

90-იან წლების დასაწყისიდან საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბები მკვეთრად შემცირდა. მწირი ფინანსური რესურსების პირობებში ქვეყანამ ვერ შესძლო სოლიდური ინვესტიციების განხორციელება ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში. ვიანაიდან ამავე პერიოდში ყალიბდებოდა საქრთველოს საბანკო სისტემა და ადგილობრივ მეწარმეებს არ ქონდათ საკრედიტო მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა (რათა განეხორციელებინათ ინვესტირება თავინათ საწარმოში). ამიტომ ამ პერიოდის მიღწევად საინვესტიციო სფეროში შეიძლება ჩაითვალოს უცხოური ინვესტიციების მოცულობის საგრძნობი ზრდა. საქართველოს აქტიურ ჩაბმას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიეთობებში მოყვა უცხოური ქვეყნების გააქტიურება ჩვენს საინვესტიციო ბაზარზე. თუ თავდაპირველად უცხოური ფირმები ინვესტიციებს მხოლოდ სტრატეგიულ მნიშვნელობის სფეროებსა და დარგებში აბანდებდნენ, ამჟამად მნიშვნელოვანი სოლიდური ინვესტიციები ჩაიდო საქართველოს ეროვნული მეურნეობის ისეთ დარგებშიც კი, როგორებიცაა კვების მრეწველობა და ა.შ. საქართველოს ჩაბმამ მსოფლიო და რეგიონალური მაშტაბების პროექტებში კიდევ უფრო გაზარდა უცხოელთა ინტერესი ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პროექტების მიმართ.

თანამედროვე საბანკო საქმე დინამიური ბიზნესია, როგორც მთლიანად მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც. საბანკო ბიზნესი, თავისი მოცულობით მთლიანობაში ძალიან ახალგაზრდაა მიუხედავად ამისა მან უკვე მოასწრო საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი განვითარების ყველა ძირითადი ფაზების გავლა.

ბანკები დღესდღეობით პროდუქტის ფართო ასორტიმენტით და მომსახურების მაღალი ხარისხით აკმაყოფილებენ ევროპულ სტანდარტებს და ლიდერობენ საქართველოს ბიზნეს სფეროში. ბანკები ახალისებენ მომხმარებლებს ახალი პროდუქტებით და მომსახურების თანამედროვე ფორმებით. თითოეული ბანკი ცდილობს თავისი მომსახურებით იყოს პირველი.

ბანკი არის განსაკუთრებული ეკონომიკური ინსტიტუტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია: ფულადი სახსრების თავმოყრა, კრედიტების გაცემა, ფულადი ანგარიშსწორებები, საბანკო/ფულად ტრანზაქციებთან დაკავშირებული მომსახურებები, მიმოქცევაში განსაზღვრული სახეობისა და რაოდენობის ფულის გაშვება, ფასიანი ქაღალდების ემისია და სხვა. ბანკი საბაზრო სტრუქტურის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. ბანკს, როგორც ნებისმიერ სხვა საწარმოს თავისი პროდუქცია გააჩნია.

ბანკების როლი ეკონომიკის განვითარებაში ძალიან მაღალია. მათ ბიზნეს ურთიერთობა აქვთ როგორც კონკურენტ ბანკებთან ისე სხვადასხვა კრედიტის მსურველ ორგანიზაციებთა. ბანკების როლი ეკონომიკაში კომპლექსურ ხასიათს ატარებს და მისი საქმიანობა, შეიძლება ითქვას, დაკავშირებულია ეკონომიკის კვლავწარმოებისა და განვითარების პროცესებთან.

თანამედროვე პირობებში ქვეყანაში, მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გარკვეული წარმატების მიუხედავად, ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა კვლავ მძიმეა. საწარმოო და სამეურნეო სისტემაში სტაგნაციის და რღვევის პროცესი გრძელდება, უმრავლეს სამრეწველო საწარმოში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად გაცვეთილია, ტექნიკური პროგრესი, ინოვაციური პროცესი შეჩერებულია, დღითიდღე იზრდება საგარეო-ეკონომიკური დავალიანება, დიდია უარყოფითი სავაჭრო ბალანსის სალდო, ვალუტის დევალვაცია ინფლაციური პროცესების გაუარესებას ინვევს, მაღალია უმუშევრობის დონე, არ არის საწარმოო პოტენციალის ამაღლების საკმარისი ფინანსური რესურსები. ქვეყანაში შექმნილმა კრიზისმა საბანკო დაკრედიტების სერვისი შეამცირა და სისტემა გადავიდა ახლი თამაშის წესებზე, გაიზარდა დაკრეტიდების საგარანტიო ვალდებულებები, გაიზარდა დაკრეტიდების საპროცენტო განაკვეთები; გაძვირდა საკრედიტო მომსახურება. გაიზარდა როგორც კრედიტის საგარანტიო ვალდებულებები ისე სესხის პროცენტი, გამკაცრდა პროცედრუები. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ ერთ მნიშნვნელოვან ფაქტორს სწორი სიანვესტიციო პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენს, რაც ბიზნეს გარემოსთვის სტაბილურ,

მდგრად და მიმზიდველი პირობების შემოღებაში გამოიხატება. პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული იმ ფორმით, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ბიზნესის კეთების და შესაბამისად კრედიტის გაცემის რისკები. მიმზიდველი და რისკებისაგან მაქსიმალურად დაცული ბიზნეს გარემო საშუალებას მისცემს, სროგორც უცხოურ ასევე ადგილობრივ მეწარმეებს და შესაბამისად ბანკებს მეტი სითამამით მოახდინონ ინვესტირება, რაც განპირობებული იქნება სწორი, მიზანმიმართული და მომგებიანი საინვესტიციო პროექტების შემუშავების საფუძველზე.

ვინაიდან საბაზრო ეკონომიკაში მოცემულ ეტაპზე რეალურად არ არის ჩამოყალიბებული ქართველ ინვესტორთა მძლავრი ფენა, რომელიც მოახდენს მსხვილმასშტაბიანი საინვესტიციო პოლიტიკის წარმოებას, საქართველოში უდიდესი როლი ენიჭბა ადგილობრივ კომერციულ ბანკებს. ბანკებმა უნდა შეეძლონ როგორც ინვესტიციური პორექტების დაკრეტიდება, ასევე საკუთარი ინვესტიციების განხორციელება. ამისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური პირობები საკანომდებლო დონეზე. მკაფიოდ უნდა გაიწეროს მხარეთა ვალდებულებები და სხვა მასში შემავალი საკითხები. ეს მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი ინვესტორებთათვის ასევე, უცხოური ინვესტორებთათვის. ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის შერწყმა და მათი ეფექტური განთავსების ორგანზიაცია, რაც დიდად შეუწყობს ხელს საქართველოში ეკონომიკური ურთიერთობების დაბალანსებას, მრეწველობის დარგის აღორძინებას და განვითარებას, სოციალური მდგომარეობის გაუმჯოებსებას და ეკონომიკურ ზრდას.

`სიანვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" 1996 წლის 12 ნოემბრის კანონის თანახმად ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებლ სამეწარმეო საქმიანობაში.

საქართველომ მოხდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკონომიკური სისტემიდან ქვეყანა გადავიდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე, საქართველომ განახორციელა ფართო მასშტაბიანი ეკონომიკური და ფინანსური რეფორმები ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისა და მამოძრავებელი საბაზრო ძალების ჩამოყალიბების მიზნით.

ფინანსური ბაზრების რეფორმირება და ლიბერალიზება გათვლილი იყო საქართველოს ფინანსური და საბანკო სისტემების გაუმჯობესებაზე. დერეგულირებამ და ლიბერალიზებამ, რომელსაც თან სდევს ტექნოლოგიური განვითარება, მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს ფინანსური სერვისების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის სტრუქტურა.

კომერციული ბანკები ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების (საბაზრო სისტემის) ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლად გადაქცნენ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სისტემის განვითარება სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნის პროცესის ერთ-ერთ ნაწილს საბანკო სისტემის რეფორმა წარმოადგენდა, რომელიც თავის განვითარებას და მოდერნიზებას თანამედროვე პირობებშიც აგრძელებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყნის განვითარება, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და, საერთო ჯამში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, პირდაპირ კავშირშია კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან. ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ერთ–ერთი რეალური ბერკეტია ინვესტიციების მოზიდვა, რომლის ყველაზე მიღებული და პრაქტიკული ფორმაა ფასიან ქაღალდებში ინვესტირება საფონდო ბაზრის მეშვეობით. განვითარებული მსოფლიოსთვის (დასავლეთი ევროპა, აშშ, კანადა, იაპონია, ჩინეთი და სხვა მძლავრი საფონდო ინდუსტრიის მქონე ქვეყნები) ნათელია რამდენად მნიშვნელოვანია ორგანიზებული საფონდო ბაზარი (ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა ევრონექსტი, Nasdaq OMX, ლონდონის საფონდო ბირჟა და მრავალი სხვა საფონდო მოედანი) და მისი მთავარი რგოლი – საშუამავლო ბიზნესი ანუ საბროკერო კომპანიები – საინვესტიციო ფირმები („მერილ ლინჩი", „მორგან სტენლი", „გოლდმან საქსი", „ჯეი პი მორგანი", „ბარკლაის ქეპიტალ" და მრავალი სხვა საინვესტიციო ბან-კი). საქართველოში საფონდო ბირჟა აშშ-ს განვითარების სააგენტოსა და ბარენც ჯგუფის ხელშეწყობით და დაფინანსებით 2000 წელს შეიქმნა. მაშინვე მომზადდა კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ". 2004 – 2008 წლებში ქვეყანაში 42 საბროკერო კომპანია არსებობდა, რაც საქართველოს კანონმდებლობით, საინვესტიციო ბანკის ექვივალენტური ინსტიტუტია. თუმცა, 2008 წლიდან ამოქმედებული გამკაცრებული წესების გამო, მათი რიცხვი, ფაქტობრივად, განახევრდა და დღეს უკვე 7-ია, აქედან დამოუკიდებელი ერთეულია 3, ხოლო 4 – კომერციული ბანკის ფილიალია.

ჩვენს ქვეყანაში საფონდო ბირჟის განვითარება გარკვეულ ეტაპზე შეფერხდა, რაც გამოწვეული იყო ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით.

წარმატებულ და განვითარებულ ქვეყნებში ფულის მოზიდვის ორი მექანიზმი – საბანკო სესხი და საფონდო ბაზარი ურთიერთსასარგებლო სინერჯიას ავლენს, ხოლო საქართველოში ფულადი რესურსის მოზიდვის მხოლოდ ერთი მექანიზმი – საბანკო სესხი და მთლიანობაში კომერციული საბანკო სისტემა არსებობს, რომელიც მაქსიმალურად

ცდილობს არ მისცეს გასაქანი ფულის რესურსის მოზიდვის მეორე მექანიზმს (რომელიც მთავარ კონკურენტად მიაჩნია) – საფონდო ინდუსტრიას.

საქართველოს საფონდო ბირჟის მესაკუთრეთა სტრუქტურის ანალიზით (წყარო: რეესტრის მწარმოებელი სს „კავკასრეესტრი“) დგინდება, რომ 2014 წლის მდგომარეობით, საფონდო ბირჟის აქციათა 56 პროცენტი უკვე ამ სტრუქტურის კონკურენტის – ქართული კომერციული ბანკების საკუთრებაშია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული კომერციული ბანკები არ დაუშვებენ საქართველოში მათი კონკურენტის – საფონდო ბაზრის რეალურ განვითარებას, რადგან ეს ეწინააღმდეგება მათ არსებულ პრეფერენციულ და წარმატებულ ფინანსურ მდგომარეობას.

ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა ორ ძირითად სეგმენტზე - ფასიანი ქაღალდების ბაზარსა და საბანკო სისტემაზეა დამოკიდებული. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი და შესაბამისად საქართველოს საფონდო ბირჟა (სსბ) სავალალო მდგომარეობაშია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და მის განვითარებას. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი და სსბ ქვეყნის დამოუკიდებლობიდან მალევე ჩამოყალიბდა და ახალ ეკონომიკურ, ფინანსურ და სავალუტო ვითარებაში დაიწყო რთული, მაგრამ მეტად საჭირო გზის ძიება, რომელიც მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკასთან შედარებით განვითარების ნაცვლად დეგრადირდა და რეგიონში ყველაზე ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც ასახვას რათქმაუნდა დღესაც ჰპოვებს საფინანსო-სავალუტო სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საფონდო ბირჟის საქმიანობა და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ქართველ ეკონომიკურ აგენტთა ტრადიციულ საქმიანობას ნამდვილად არ წარმოადგენს იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკის ზრდისთვის, უმუშევრობის შემცირებისთვის, სავალუტო სტაბილურობისა და უცხოური ვენჩურული ინვესტიციებისგან თავის დაცვისთვის.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟა“ (სსბ) დაფუძნდა 1999 წლის 12 იანვარს წამყვანი საბროკერო კომპანიების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების ინიციატივით. სსბ-ის წესები, პროცედურები და სისტემები შემუშავდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით, წამყვანი ამერიკელი სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე. 2000 წლის 14 იანვარს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელმა ორგანომ განახორციელა სსბ-ის ლიცენზირება და იმავდროულად მიანიჭა მას საქართველოში პირველი თვითრეგულირებადი ორგანიზაციის სტატუსი. 2000 წლის 23 მარტიდან სსბ-ზე მიმდინარეობს რეგულარული საბირჟო ვაჭრობები. 2000 წლის 15 სექტემბერიდან არის ევრაზიის საფონდო ბირჟების ფედერაციის (FEAS) ნამდვილი წევრი. 2018 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით 106 კომპანიის ფასიანი ქაღალდია დაშვებული სსბ-ის სავაჭრო სისტემაში, რომელთა სრულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ მიაღწია 1,372 მილიარდ დოლარს, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 22 175 ლარს.

ქვეყნის ფინანსური სტრუქტურა ორ ძირითად საფუძველზე დგას: ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბანკო სფერო. საბანკო სფერო დღეს-დღეობით საქართველოში საკმაოდ განვითარებულია, თუმცა სამწუხაროდ სავალალო მდგომარეობაშია ფასიანი ქაღალდების ბაზარი და შესაბამისად საქართველოს საფონდო ბირჟა. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის ერთგვარი პულსის მზომია, სადაც პირველ რიგში აისახება ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერი ცვლილება და რყევა. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ქვეყანაში უზრუნველყოფს ეროვნული ინვესტირების ზრდას უცხოურთან შედარებით და ეს დადებითი მოვლენაა გამომდინარე იქედან, რომ ქვეყნის ეკონომიკა მეტნაკლებად დაცულია სხვა ქვეყანაში არსებული კრიზისის გადადებისგან. საქართველოს საფონდო ბირჟაზე განსაკუთრებული აქტივობა დაიწყო 2004 წლიდან, როდესაც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ შეიცვალა პრივატიზებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და დაიწყო ეკონომიკური გამოცოცხლება, თუმცა აღმასვლის ტენდენცია მხოლოდ 2007 წლამდე გაგრძელდა, 2007 წლიდან კი ბირჟის ფუნქციონირება ერთდროულად რამოდენიმე ფაქტორმა შეაფერხა. პირველი უმთავრესი ფაქტორი 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი და აგვისტოს ომი გახდა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე და შესაბამისად საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობაზე მკვეთრად აისახა. მეორე მოვლენა, რომელმაც ხელი შეუშალა საქართველოს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობის ზრდას, იყო კანონმდებლობაში შესული ცვლილება, რომლის შედეგადაც გაუქმდა ბირჟის თვითრეგულირებადი სისტემა და მისი მაკონტროლებელი ორგანო გახდა საქართველოს ეროვნული ბანკი. კანონმდებლობაში არსებობდა ფუნდამენტური ჩანაწერი, რომელიც იყო ფასიანი ქაღალდების ბირჟის განვითარების მყარი გარანტი: “ფასიანი ქაღალდი, რომელიც დაშვებულია საჯაროდ მხოლოდ სავაჭრო ბირჟაზე”. 2007 წელს რატომღაც გაჩნდა ასეთი ჩანაწერი: “საფონდო ბირჟაზე ან მის გარეთ”. შედეგად მივიღეთ ის, რომ ბირჟის გარეთ დღესაც იდება გარიგებები, მოგება რჩება ცალკეულ ინსტიტუტებს, მაგრამ არა საფონდო ბირჟას, რაც ხელს უშლის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. ეროვნული ბანკის კონტროლის ქვეშ საფონდო ბირჟის მოქცევამ განაპირობა ასევე ის, რომ 2007 წლიდან საფონდო ბირჟა მმართველობაში აიღო ბანკების ჯგუფმა რომლებიც დღეს-დღეობით ფლობენ საფონდო ბირჟის აქციების 58%-ს, მათგან ყველაზე დიდი პაკეტი აქვს საქართველოს ბანკს 46 %. მიუხედავად იმ

ფაქტისა, რომ ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა ორ სფეროზე: საბანკო სექტორსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დგას, ეს ორი სფერო არსებითად ერთმანეთის კონკურენტია და შესაბამისად, საბანკო სექტორის მიერ საფონდო ბირჟის მმართველობაში აღება ხელს უშლის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. როგორც საბანკო სექტორი ასევე, ფასიანი ქაღალდების ბაზარი ცდილობს მიიზიდოს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები შემდგომი ინვესტირების მიზნით.

დღეს-დღეობით დროებით თავისუფალი სახსრები მიდის პირდაპირ ბანკებში და ბანკებიდან ხდება ინვესტირება, რაც საკმაოდ აძვირებს კრედიტს და განუვითარებელს ტოვებს როგორც ეკონომიკას, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზარს, რადგან ბანკები ფაქტიურად პირდაპირი მიყიდვის გზით ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს, სააქციო საზოგადოებები კი აზრს ვერ ხედავენ გამოუშვან აქციები, რაც დამატებით ხარჯთანაა დაკავშირებული თუკი ბანკების გარდა მათი მყიდველი ისედაც არავინ აღმოჩნდება და ამის გამო იძულებულნი არიან დაკრედიტებისთვის ისევ ბანკებს მიმართონ და ისარგებლონ ძვირი კრედიტით. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საქართველოს საფონდო ბირჟის განუვითარებლობის რამდენიმე ძირითადი მიზეზი არსებობს, რომლებიც ერთმანეთთან უშუალო კავშირში არიან და ამ მიზეზებზე დეტალურ ჩაღრმავებას ისევ ბანკების საქმიანობასთან მივყავართ.

ჩვენს ქვეყანაში მაღალი დოლარიზაციისა და ლარის მიმართ მოსახლეობის დაბალი ნდობის გამო, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ბოლო ორი წლის მანძილზე ლარის კურსის კატასტროფულ გაუარესებას, მოსახლეობას ურჩევნია დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები მიზერული პროცენტის სანაცვლოდ საბანკო დეპოზიტზე განათავსოს უცხოურ ვალუტაში და რისკისგან იყოს დაზღვეული, ვიდრე არასტაბილური ეკონომიკის პირობებში სწრაფად გაუფასურებადი ლარით იყიდოს იმ სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ისევ და ისევ ლარის კურსისა და არასტაბილური ეკონომიკური სიტუაციის გამო არავინ იცის რა ბედი ეწევა. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა არასაკმარისი კორპორატიული კულტურა, მენტალიტეტი, ცოდნა და სააქციო საზოგადოებების მეწილეობასთან დაკავშირებულ სარგებელზე არასაკმარისი ინფორმაცია საზოგადოებაში. მაგალითად თუკი ა.შ.შ.-ში ფასიან ქაღალდს უბრალო დიასახლისიც ყიდულობს და ამით თავისი დანაზოგის გაზრდას ცდილობს, საქართველოში ყველა დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები ბანკების დეპოზიტებზე ილექება, რაც მკვდარ აქტივებს წარმოადგენს ან უცხოური აქციების ყიდვას ხმარდება, რაც ლარის ქვეყნიდან გადინების დამატებითი წყაროა და ასახვას ისევ ლარის კურსზე პოვებს. დამატებითი მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ქართველ მეწარმეებს ჯერ კიდევ ეშინიათ საკუთარი ქონების წილობრივი გასხვისება. ე.წ. "საკუთარ საქმეში სხვისი შეყვანა". ეს შეიძლება მენტალიტეტის პრობლემა იყოს ან უფრო პოლიტიკური და ღრმა ეკონომიკური საფუძველები აქვს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრი

პირდაპირი ინვესტიციების გარდა, არსებობს ბიზნესის და მთლიანად ეკონომიკის დაფინანსების ორი ალტერნატიული გზა - საბანკო სესხი და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. პირველი მექანიზმი გულისხმობს ინვესტორების თანხის შესვლას დეპოზიტის სახით ბანკებში (გარკვეულ პროცენტად) და შემდეგ ბანკების მიერ ამ თანხების გაცემას კრედიტის სახით (უფრო მაღალ პროცენტად). ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემთხვევაში კი ფულადი სახსრები უშუალოდ მიედინება ინვესტორისგან ეკონომიკაში, კომპანიების ან სხვა სუბიექტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ.

საბაზრო ეკონომიკის არსებობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის, ანუ საფონდო ბაზრის გარეშე წარმოუდგენელია. მოგეხსენებათ, ფასიანი ქაღალდი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას ან სასესხო დამოკიდებულებას დოკუმენტის გამომშვებ პირსა და მის მფლობელს შორის. ფასიანი ქაღალდის მიმოქცევაში გაშვებას ემისია, ხოლო ფასიანი ქაღალდის გამომშვებ ორგანოს თუ ორგანიზაციას ემიტენტი ჰქვია. ფასიანი ქაღალდი შეიძლება არსებობდეს მატერიალური სახით, ანდა – საანგარიშსწორებო დოკუმენტში ჩანაწერის ფორმით. ფასიანი ქაღალდებია: კორპორაციის აქციები, კორპორაციის ობლიგაციები, სახელმწიფო სასესხო ვალდებულებები, დეპოზიტური სერტიფიკატები, თამასუქები, ჩეკები ბაზარს, სადაც ემიტენტების ახლადგამოშვებული ფასიანი ქაღალდები იყიდება, პირველადი ბაზარი ჰქვია. ამ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების გაყიდვა წარმოებს უშუალოდ ემიტენტების ან ემიტენტების რწმუნებულების მიერ. ვინც ყიდულობს ფასიან ქაღალდებს, ანუ ახორციელებს ინვესტიციებს ფასიან ქაღალდებში, არის ინვესტორი.

ინვესტორების მიერ შეძენილი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა მეორად ბაზარზე ხორციელდება, რომელიც თავის მხრივ შედგება ორი ნაწილისაგან – საფონდო ბირჟისა და არასაბირჟო ბაზრისაგან. საფონდო ბირჟა წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ორგანიზებულ ბაზარს, სადაც მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს უშუალოდ არ ხვდებიან, ვაჭრობა შუამავლების მეშვეობით მიმდინარეობს. არასაბირჟო ბაზარზე (ანუ ბირჟის გარეთ ბაზარზე) მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს მესამე პირების გარეშე უკავშირდებიან.

საერთოდ, ბირჟაზე ვაჭრობა მიმდინარეობს სწორედ მოცემულ ბირჟაზე დამტკიცებული წესების დაცვით, დადგენილ დროსა და ადგილზე (სავაჭ-

რო დარბაზში), საჯაროდ, შუამავალთა ინსტიტუტის მეშვეობით, ფასიანი ქაღალდების კოტირებით (ანუ ფასიან ქაღალდზე მყიდველისა და გამყიდველის ფასების შეჯერებით). აქ გარიგების სწრაფად დადება-შესრულება და თავისუფალი კონკურენცია გარანტირებულია. ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე თავისებური ორმაგი აუქციონია იმ თვალსაზრისით, რომ თუ ჩვეულებრივ აუქციონზე წარმოდგენილია ერთი გამყიდველი და მას რამდენიმე პოტენციური მყიდველი სთავაზობს გარიგების საკუთარ პირობებს, ბირჟაზე გამყიდველები იძლევიან განაცხადებს გაყიდვაზე და მყიდველები – განაცხადებს ყიდვაზე. სავაჭრო დარბაზში შეკვეთებს ყიდვა-გაყიდვაზე ასრულებენ ბროკერები, რომლებიც დამკვეთთათვის ერთდროულად შუამავლებიც არიან და კონსულტანტებიც. ბროკერი რომელიმე საბროკერო კომპანიის წარმომადგენელია, ხოლო საბროკერო კომპანია არის მოცემული ბირჟის წევრი. სხვადასხვა ბირჟაზე ბირჟის წევრთა რაოდენობა სხვადასხვაა.

მსოფლიოს უმსხვილეს საფონდო ბირჟებს მიეკუთვნება ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, ამერიკის საფონდო ბირჟა, ლონდონის საფონდო ბირჟა, ტოკიოს საფონდო ბირჟადა არასაბირჟო ბაზარი საფონდო ბირჟის ალტერნატივა და მისი კონკურენტია. ამერიკის საფონდო ბაზარზე ძალიან მძლავრ ძალას წარმოადგენს სისტემა NASDAQ ,რომელიც 1971 წლიდან მოქმედებს. ამჟამად საქართველოში შემდეგი ფასიანი ქაღალდები არსებობს: კორპორაციათა (სააქციო საზოგადოებათა) აქციები, კორპორაციათა ობლიგაციები, ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები (სადეპოზიტო სერტიფიკატები) და სახელმწიფო ობლიგაციები. სახელმწიფო ობლიგაციები, რომლებსაც ფინანსთა სამინისტრო 1997 წლის აგვისტოდან უშვებდა, 2006 წლის ზაფხულის შემდეგ მიმოქცევაში აღარ არის, ვინაიდან ემიტენტმა (ფინანსთა სამინისტრომ) მათი ემისია გაურკვეველი ვადით შეაჩერა.

ჩვენს ქვეყანაში ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ურთიერთობებს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები აწესრიგებს. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. თითოეული ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეესტრს აწარმოებს თავად ემიტენტი ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი. რეესტრში აღნიშნულია რეგისტრირებული მფლობელების და მათ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, კლასი და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია. მთელი ეს ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით თავს იყრის ცენტრალურ დეპოზიტარში. რაც შეეხება საფონდო ბირჟას, ეს ინსტიტუტი ჩვენში ერთადერთია და გახლავთ "საქართველოს საფონდო ბირჟა". საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები და საბროკერო კომპანიები წარმოადგენენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს. მათზე ლიცენზიებს გასცემს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. საერთოდ კი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები არიან ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები, ემიტენტები, ინვესტორები და აუდიტორები.

რამდენიმე წლის წინ, ვაჭრობაში შეზღუდული ვალდებულებით სახაზინო ვალდებულებებიც მონაწილეობდა, თუმცა ეს მცირე ხანს გაგრძელდა, რადგან ამ ინსტრუმენტის ვაჭრობას ბირჟაზე დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. ეს იმით აიხსნება, რომ ბანკები ადვილად ახერხებენ ერთმანეთთან დაკავშირებას და არ სჭირდებათ დამატებითი შუამავალი საბროკერო კომპანიების სახით, ხოლო თვითონ კლიენტები მიბმულები არიან ბანკებთან. ამდენად ყველა გარიგება, ტრანზაქცია ბანკების მეშვეობით ხორციელდებოდა.

საზოგადოდ, განვითარებულ ქვეყნებში საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდების სიას ლისტინგი ჰქვია. მაგრამ ჩვენთან, როგორც განვითარებად ქვეყანაში, საფონდო ბირჟაზე დაშვების 2 საფეხური არსებობს (ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, მოლდავეთში 3 საფეხურიც კი იყო): პირველი საფეხურია ბირჟის სავაჭრო სისტემა და მეორე საფეხურია ლისტინგი, რომელიც ემიტენტს უფრო მეტი პირობის შესრულებას ავალდებულებს. კერძოდ, ფასიანი ქაღალდის ლისტინგში მოსახვედრად საჭიროა ემიტენტის საკუთარი კაპიტალის ოდენობა იყოს არანაკლებ 100 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი, ემიტენტის საქმიანობის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 3 წელი, ზარალის გარეშე მუშაობის ხანგრძლივობა ბოლო 3 წლიდან უნდა იყოს არანაკლებ 2 წელი, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა 50 ათასზე ნაკლები არ უნდა იყოს და ემიტენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება უნდა ხდებოდეს საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, ბირჟის სავაჭრო სისტემაში ფასიანი ქაღალდის მოსახვედრად ემიტენტი არაფერს იხდის, მაგრამ სავაჭრო სისტემიდან ფასიანმა ქაღალდმა ლისტინგში რომ გადაინაცვლოს, ემიტენტისთვის გარკვეული მოსაკრებელია დაწესებული. ესაა საწყისი შენატანი (1000 ლარი) და ყოველკვარტალური გადასახადი, რომელიც განისაზღვრება გამოშვებული და დაფარული ფასიანი ქაღალდების საერთო ნომინალური ღირებულებით. მაგალითად, "საქართველოს ბანკის" ყოველკვარტალური სალისტინგო გადასახადი 2000 ლარის ფარგლებშია.

საერთოდ, ლისტინგს გარკვეული უპირატესობები გააჩნია. უცხოელი ინვესტორი ამა თუ იმ კომპანიის წარმატებულობას საზღვრავს იმის მიხედვით, არის თუ არა ლისტინგში დაშვებული მისი აქციები. ყველაზე ცნობილი ბირჟის – "ნიუ-იორკის

საფონდო ბირჟის" მაგალითი რომ ავიღოთ, კომპანიები თვითონ მიისწრაფიან მათი აქციების ბირჟის ლისტინგში მოსახვედრად, მიუხედავად იმისა, რომ ბირჟა ძალიან მკაცრ პირობებს უყენებს და ამავე დროს, გადასახადიც ძალიან დიდია.

იგივე "საქართველოს ბანკი" ორიენტირებულია უცხოელ ინვესტორებზე და მისი აქციები დაშვებულია არა მხოლოდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე, არამედ ლონდონის საფონდო ბირჟაზეც. მისი აქციების განთავსება ლონდონის ბირჟის ლისტინგში, რაც 2006 წლის ნოემბერში მოხდა, პირველ პრეცედენტს წარმოადგენს ქართული ეკონომიკაში. "საქართველოს ბანკს" გამოშვებული აქვს კორპორაციული ობლიგაციები როგორც საქართველოში, ასევე გამოშვებული აქვს დოლარებში ნომინირებული საერთაშორისო ობლიგაციები.

"საქართველოს ბანკის" გარდა საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებულია "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" და "საქართველოს სახალხო ბანკის" აქციები. დანარჩენი ბანკები, რომელთა აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია, არ გამოთქვამენ სურვილს, რომ მათი აქციები საფონდო ბირჟაზე იყიდებოდეს.

რაც შეეხება მიმოქცევაში არსებულ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, არც სადეპოზიტო სერტიფიკატები და არც სახელმწიფო ობლიგაციები საფონდო ბირჟაზე ვაჭრობაში არ მონაწილეობს. საქმე ისაა, რომ სადეპოზიტო სერტიფიკატების მფლობელები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ბანკები, რომლებსაც ერთმანეთთან დაკავშირება საბროკერო კომპანიების გარეშეც შეუძლიათ. სახელმწიფო ობლიგაციების შემთხვევაში კი, ჯერჯერობით, საბროკერო კომპანიებს არ შეუძლიათ საქართველოს ეროვნული ბანკის განხორციელებულ პირველად განთავსებაში მონაწილეობა;

დღეისათვის საქართველოს ფინანსური სექტორის უდიდესი ნაწილი მოდის კომერციულ ბანკებზე. კაპიტალის ბაზრების როლი მოკრძალებულია. კაპიტალის ბაზარი საბანკო დაკრედიტების პარალელურად განიხილება ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტიან საშუალებად. განვითარებული კაპიტალის ბაზარი ქმნის კონკურენტულ გარემოს, ხელს უწყობს დანაზოგების უფრო ეფექტიან გადანაწილებას, როდესაც საბანკო დაკრედიტება იზღუდება, ობლიგაციების ბაზარი შესაძლოა ასრულებდეს დამბალანსებელ როლს.

კონკურენტული კაპიტალის ადგილობრივი ბაზრების არსებობისა და არარეზიდენტი ინვესტორების მოზიდვისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კაპიტალის ბაზარს გააჩნდეს მინიმუმ იგივე გამჭირვალობა და სანდოობა, რაც გააჩნია განვითარებულ კაპიტალის ბაზრებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ როგორც რეზიდენტებისათვის, ისე არარეზიდენტებისათვის ადვილად გასაგები და მისაღები იყოს ადგილობრივი ბაზრის რეგულირება და ბიზნეს პრაქტიკა. ამ კუთხით ადგილობრივი რეგულირების ჰარმონიზაციას ევრო დირექტივებთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი გარკვეულად ლიკვიდურია, თუმცა მინიმალურად არსებობს ბანკთაშორისი სეგმენტის გარეთ. აღნიშნულის მიზეზია საბანკო დეპოზიტების უფრო მაღალი განაკვეთები ვიდრე ფულად ბაზარზე. საფინანსო სექტორის განვითარებასთან ერთად ეტაპობრივად მოხდება დეპოზიტებისა და ფულადი ბაზრის განაკვეთების დაახლოება, რაც გააჩენს არასაბანკო მოთამაშეების მხრიდან მოთხოვნას ლიკვიდობის მართვის მიზნით ფულად ბაზარზე ინვესტირების კუთხით.

დასკვნა

ბანკის საქმიანობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მისი რესურსების უმეტესი ნაწილის ფორმირება არა საკუთარი, არამედ მოზიდული სახსრების ხარჯზე ხორციელდება. ბანკის მიერ სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირდება და იგი ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდეზეა და მის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზეა დამოკიდებული.

დღესდღეობით საბანკო რესურსების საერთო მოცულობაში საერთო სახელმწიფოებრივი ფონდების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამიტომ, ბანკები, კომერციული დამოუკიდებლობისა და კონკურენციის პირობებში, საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული რესურსების ფორმირების საკითხებს დიდ ძალისხმევას და დროს უთმობენ. კომერციული ბანკის რესურსები ჩვეულებრივად განისაზღვრება როგორც ბანკის განკარგულებაში არსებული საკუთარი და მოზიდული სახსრების ერთობლიობა და მის მიერ მათი აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის გამოყენების შესაძლებლობა.

საკუთარი სახსრები არის ბანკის საწესდებო ფონდისა და მისი სხვა ფონდების ერთობლიობა, რომელიც ფინანსური მდგომარეობის, კომერციული და სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ბანკის მიერ მიმდინარე წელს და გასულ წლებში მიღებული მოგების ხარჯზე იქმნება.

საკუთარი სახსრების შემადგენლობაში შედის: საწესდებო, სარეზერვო, სპეციალური, ეკონომიკური სტიმულირების ფონდები; საკრედიო რისკებისა და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების გადასაფარავი რეზერვები: საწარმოო და სპეციალური განვითარების სახსრები; მიმდინარე წლის მოგება და გასული წლების გაუნაწილებელი მოგება.

საწესდებო ფონდი – ბანკის ეკონომიკური მდგომარეობის გარანტიას წარმოადგენს.

განვითარებული საბანკო სისტემის გარეშე ქვეყანაში ვერ იარსებებს საბაზრო ეკონომიკა. მან უნდა შეუწყოს ხელი ეკონომიკური რეფორმების განვითარებას. კომერციული ბანკები არის სამეურნეო ცხოვრების ის სტრუქტურები, რომელთაც

შეუძლიათ დააკრედიტონ ეკონომიკის ესა თუ ის სფერო, მოახდინონ გრძელვადიანი ინვესტირება, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მათ განვითარებას. თანამედროვე ეტაპზე ინვესტირების შემდეგი მეთოდებია:

იმ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანებიდან, რომელიც საქართველოს უახლოეს მომავალში აქვს გადასაწყვეტი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის სტაბილურობის მიღწევა, რომლის საფუძველსაც სწორი ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი სახელმწიფოებისათვის ფისკალურ გადაწყვეტილებებს აქვთ განსხვავებული მიზანი: სამრეწველო განვითარებულ ქვეყნებში ეს პოლიტიკა მიზანმიმართულია უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის ტემპები დინამიკაში, განვითარებულ ქვეყნებში - მიღწეული ეკონომიკური სტაბილურობიდან ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა, ხოლო ისეთ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში როგორიცაა საქართველო ფისკალური პოლიტიკა მოწოდებულია პასუხობდეს საბაზრო ეკონომიკაზე სრულყოფილი გადასვლისათვის და ეკონომიკური სტაბილურობისათვის პირობების მომზადებას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების რეგულირებაში ფისკალური პოლიტიკა გადამწყეტ როლს თამაშობდა და თამაშობს. ამასთან, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთლიანად მაკროეკონომიკური და განსაკუთრებით სამრეწველო პოლიტიკის მიზნებთან, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა ფისკალური პოლიტიკა იქცეს ისეთ ინსტრუმენტალურ პოლიტიკად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება სწრაფად და სრულად მიღწეული იქნას გრძელვადიანი მაკროეკონომიკური მიზნობრივი მაჩვენებლები. ამისათვის საჭიროა დასახული იქნას ისეთი ფისკალური მაჩვენებლები, რომლების მიღწევის შემთხვევაში ერთდროულად დავაკმაყოფილებთ მრეწველობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მოთხოვნებს. ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეკონომიკის სახელმწიფო-ანტიმონოპოლიური რეგულირების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და იგი თავისთავად მიმოქცევაში ფულადი მასის, კრედიტების მოცულობის, საპროცენტო განაკვეთების დონის, ფულადი მიმოქცევისა და კრედიტის (ერთობლივი ფულადი ბრუნვის) ცვლილებებზე მიმართულ ერთობლიობას წარმოადგენს.

მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი მეტწილად განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას, რის გამოც იმსახურებს მნიშვნელოვან ყურადღებასა და ფოკუსირებას. „კრედიტინფო საქართველომ“ მოახდინა მნიშვნელოვანი ინვესტირება სპეციფიური ინსტრუმენტის შექმნაში, რომელიც ეხმარება კომპანიებს მიიღონ ეფექტური გადაწყვეტილებები მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების თვალსაზრისით და ხელი შეუწყონ ამ სექტორისთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობას. მაგალითისთვის, ევროპის ქვეყნებში კომპანიების 99% წარმოადგენს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომელთაც სტატისტიკურად შეაქვთ 58 ცენტი თითოეული ევროს გამომუშავებაში. ეს საკითხი დიდი ხნის განმავლობაში იქცევს ყურადღებას მსოფლიო მასშტაბით.

ჩატარებული კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები და წინადადებები:

1. ბანკების როლი ეკონომიკის განვითარებაში ძალიან მაღალია. საქმიანობის პროცესში ისინი ურთიერთობებში შედიან როგორც სხვა ბანკებთან და საკუთრების სხვადასხვა ფორმის კლიენტებთან, ასევე ქვეყნის სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებთანაც. ამასთან დაკავშირებით ბანკის საქმიანობის განხილვის საფუძველში კომპლექსური მიდგომა არის ჩადებული, რომელიც ბანკების საქმიანობის ეკონომიკის კვლავწარმოებისა და განვითარების პროცესებთან დაკავშირების შესაძლებლობას იძლევა.

2. დღევანდელი გადასახედიდან, ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის გზების სრულყოფის მიზნით, საჭიროა ქვეყანამ ინვესტიციების სფეროში გონივრული პოლიტიკა განახორციელოს, რადგანაც პირველ რიგში, სათანადო საინვესტიციო პოლიტიკის გარეშე ქვეყნის ეკონომიკა აღმოჩნდება დახურული და ანტილიბერალური, რაც საფუძველი იქნება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერის დაკარგვის და მეორეც, უცხოური ინვესტიციების გარეშე შეუძლებელი იქნება ეროვნული მეურნეობის შემდგომი განვითარება. დღეს ფაქტია, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის, საქართველოშიც მეტად მწვავედ დგას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა. საინვესტიციო სახსრების დეფიციტი გარდაუვალს ხდის უცხოურ ფინანსურ წყაროებთან დაკავშირების საკითხს.

3. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება წარმოუდგენელია საფონდო ბირჟის გარეშე. მოქმედი ლიცენზირებული საფონდო ბირჟა კი საქართველოში საქართველოს საფონდო ბირჟაა, საქართველოს აუცილებლად სჭირდება განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი და შესაბამისად წარმატებული საფონდო ბირჟა. საჭიროა ქვეყნის ხელისუფლებამ საკანონმდებლო დონეზე გაატაროს ძირეული ცვლილებები. ფასიანი ქაღალდების ბაზრის წასახალისებლად დივიდენდების ნაცვლად უნდა დაიბეგროს დაგროვება. საფონდო ბირჟა უნდა გახდეს ისევ თვითრეგულირებადი და აიკრძალოს ბირჟის გარეთ გარიგების დადება. საჭიროა აქტიური სარეკლამო კამპანია, მოსახლეობის ცნობიერებამდე აქციების ყიდვის სიკეთის დაყვანის მიზნით და სახელმწიფოსგან ხელი უნდა შე-

ეწყოს საქართველოს საფონდო ბირჟის საქმინობას.

4. საფონდო ბირჟის საქმიანობა ქართველ ეკონომიკურ აგენტთა ტრადიციულ საქმიანობას ნამდვილად არ წარმოადგენს, მაგრამ ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, განიცდიან საკუთარი სახსრების არარსებობას, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალება კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავებაა. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა კი ორგანიზებული საფონდო ბაზრის და მისი ინფრასტრუქტურის (საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი) მდგრადი ფუნქციონირებაა. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში სახელმწიფოს დიდი როლი ეკისრება. ფასიანი ქაღალდების ბაზარი გლობალური ეკონომიკის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ასათიანი ვ., ცაავა გ.* კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). - თბილისი, 2014. – 500 გვ.

2. *კოვზანაძე ი., კონტრიძე გ.* თანამედროვე საბანკო საქმე. სახელმძღვანელო. - თბილისი, 2014. – 567 გვ.

3. *ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ.* საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები. სახელმძღვანელო. - თბილისი, 2009. – 400 გვ.

4. *ინგოროყვა ა., ფიჩხაია ზ., ფიჩხაია ი.* საბანკო ოპერაციები. ლექციების კურსი. - თბილისი, 2009. – 470 გვ.

5. *ლეჟავა პ.* ფასწარმოქმნა სესხებზე და კონკურენცია საქართველოს საბანკო სექტორში. - ეკონომიკა და საბანკო საქმე, 2013. ტომი I, N1, გვ. 31-40.

6. *ხარაზიშვილი მ.* საბანკო კრედიტებზე მაღალი პროცენტები ინფლაციის ბრალია: ქვეყანაში ბანკებს შორის კონკურენტული გარემო ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული /http://abg. org.ge/docs/rezonanse-interest_rate.pdf.

7. *ცაავა გ., ხანთაძე გ.* საბანკო მენეჯმენტი. სახელმძღვანელო. - თბილისი, 2014. – 800 გვ.

ცაავა გ., ხანთაძე გ. საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). სახელმძღვანელო. - თბილისი, 2014. – 600 გვ.

8. ვებ - გვერდები:

- საქართველოს პარლამენტი/http://www.parliament.ge;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge;
- საქართველოს ეროვნული ბანკი/ www. nbg.gov.ge;
- http://tbcleasing.ge
- www.Agl.ge
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ http://www.economy.ge;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ http://www.statistics.ge;
- საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი «საქართველოს ეკონომიკა»;
- საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი «ეკონომიკა»;
- საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი «ბიზნეს-ინჟინერინგი».

საქართველოს ღვინის დარგის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი

თამარ ჩიქავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის კლასტერული მიდგომა და ის ფაქტორები, რომლის საშუალებითაც ის ზემოქმედებს ფირმების კონკურენტუნარიანობაზე. ავტორის აზრით, კლასტერული მიდგომის გამოყენება გაზრდის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ეფექტიანობას. აგრეთვე, მეღვინეობის დარგის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: ფირმის კონკურენტუნარიანობა, ქართული ღვინის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა, კლასტერი.

ANALYSIS OF FACTORS AFFECTING THE COMPETITIVENESS OF THE GEORGIAN WINE INDUSTRY

Tamar Chikava
PhD student of GTU

RESUME

In the article the author considered a cluster approach to the definition of competitiveness and the factors influencing the competitiveness of firms are formulated. The article describes the clustering approach to determination of competitiveness and the factors through which it affects on the competitiveness of firms. According to the author, the cluster approach is applied to increase the efficiency of viticulture and winemaking. Also, it will increase the competitiveness of the wine industry on the world market.

Keywords: Competitiveness of the Firm, Competitiveness of the Georgian wine industry, Cluster.

* * * *

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურენტულ უპირატესობას, ანუ იმას, თუ როგორ და რამდენად ეფექტურად იყენებენ კომპანიები სხვადასხვა რესურსს, რომლებიც მუდმივ ინოვაციებს მოითხოვს. ერთ-ერთი მათგანია კლასტერი, რომლებშიც კომპანიები ერთმანეთს კონკურენციას უწევს და, ამავდროულად, თანამშრომლობს კიდეც.

არსებობს გეოგრაფიული, სექტორული, ჰორიზონტალური და ვერტიკალური კლასტერი. მათ კონკურენციაზე სამი გზით შეუძლიათ ზემოქმედება: 1. კლასტერის შემადგენელი კომპანიების პროდუქტიულობის გაზრდა; 2. დარგში ინოვაციების სტიმულირება; 3. დარგში ახალი ბიზნესების სტიმულირება [1].

კლასტერის შემადგენელ ფირმებს უფრო ნათლად და სწრაფად შეუძლიათ მომხმარებლების საჭიროებების აღქმა და იმის გაცნობიერება, თუ რა კუთხით არის შესაძლებელი მომხმარებლისთვის ინოვაციების შეთავაზება. საჭირო ინოვაციების აღმოჩენის შემდეგ, ასევე მნიშვნელოვანია შესაძლებლობა გქონდეს ამ ინოვაციის სწრაფად განხორციელებისა. კლასტერის შემადგენლობაში მყოფი ფირმისთვის შესაძლებელია მცირე დროით მონაკვეთში ინოვაციებისთვის საჭირო მასალების, მომსახურების, აღჭურვილობის და სხვა აუცილებელი ელემენტების მოპოვება. ადგილობრივი მომწოდებლები და პარტნიორები ხშირად ძალიან ახლოდან არიან ჩართული ინოვაციის პროცესში, რის გამოც მათ მიერ მიწოდებული მასალები ხშირად საუკეთესოდ ესადაგება ფირმის მოთხოვნილებებს.

არსებული კლასტერის შემადგენლობაში ხშირად ყალიბდება ახალი ბიზნესი, რაც რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ კლასტერში უკეთესი ინფორმაციაა ბიზნეს- შესაძლებლობების შესახებ. ადამიანები, რომლებიც მუშაობენ კლასტერში ან კლასტერის სიახლოვეს, ადვილად ამჩნევენ იმ თავისუფალ სივრცეს საქონლის, მომსახურებისა, თუ მომწოდებლების კუთხით, რომლის დაკავებაც შესაძლებელია. ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ კლასტერში შესვლის ბარიერები არის გაცილებით ნაკლები, ვიდრე სხვაგან. საჭირო აქტივები, უნარები და ადამიანური რესურსები თავიდანვე ხელმისაწვდომია კლასტერში. მეწარმეს დამყარებული აქვს კარგი ურთიერთობები კლასტერის მონაწილეებთან და ამიტომ ხშირად ურჩევნია დარჩეს იმავე საზოგადოებაში. ხელმისაწვდომია ასევე ბაზარი ბევრ პოტენციურ მომხმარებლებთან ერთად. ყოველივე ეს ამცირებს ბაზარზე შესვლის რისკს. აღსანიშნავია ასევე ის, რომ ბაზრის დატოვების ბარიერიც უფრო ნაკლები იქნება, რადგან მეწარმეს არ უწევს თავიდან დიდი დანახარჯების გაწევა და სპეციალიზებული ინვესტიციების განხორციელება.

ღვინის კლასტერი წარმოადგენს ქსელს, რომელშიც გაერთიანებული არიან შემდეგი ობიექტები: ღვინის ქარხნები, ყურძნის მომყვანები, სასუქების, პესტიციდებისა და ჰებიციდების მწარმოებლები, ყურძნის მოსავლის აღების მოწყობილობა, ღვინის ჩამოსხმის ტექნოლოგიური ხაზი, ირიგაციის სისტემების მომწოდებლები, ბოთლების, საცობე-

ბის, ბოცების, ეტიკეტების მწარმოებლები, მეცნიერული კვლევების ინსტიტუტები, საგანმანათლებო დაწესებულებები, ბიზნეს საკონსულტაციო ფირმები, სპეციალური გამომცემლობები და სხვ. [2].

ღვინის კლასტერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორია ტერუარი. ტერუარი არის ერთგვაროვანი ტერიტორია, რომელსაც აქვს თავისი ძლიერი განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. მისი მახასიათებლებია ბუნებრივი რესურსები (ნიადაგი, კლიმატი), ასევე კულტურული (ისტორიული და სოციალური) რესურსები. ტერუარი ასევე განისაზღვრება იმ პროცესებითა და მეთოდებით, რომლებიც გამოიყენება ყურძნის მოყვანისას და ღვინის წარმოებაში. მაგალითად, ჯიშების არჩევა, რიგების განთავსება, სასუქების, პესტიციდებისა და საირიგაციო სისტემების გამოყენება, მოსავლის აღების ტექნიკა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ღვინის წარმოების ტექნიკის გათვალისწინება: როგორ ხდება ყურძნის დაჭყლეტვა და წვენის მიღება, რამდენად კარგად ხდება მისი გაფილტვრა, რა დანამატებს უკეთებენ, როგორი ტიპის ბოცებში ხდება ღვინის დამწიფება და სხვ. [3,4,5, 6].

ჩვენი აზრით, კლასტერული მიდგომის გამოყენება ბევრად გაზრდის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ეფექტიანობას. კომპანიებს საშუალება ექნებათ მოახდინონ სპეციალიზაცია და ასევე, შეამცირონ დანახარჯები იმ მასალებსა თუ მომსახურებაზე, რომლის შეძენაც ამჟამად სხვა ქვეყნებიდან უწევთ, რაც ბუნებრივია ზრდის მათ წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Porter M.E., Clusters and Competition, in Gordon E.Clark, eds, Oxford Handbook of Economic Geography. Oxford: Oxfrod University Press, 1998.
2. Berulava G., The Impacts of the Free Trade Agreement with the European Union on the Georgian Wine Industry: the Competitiveness Analysis, 2008.
3. Mueller R.A.E. and Sumner D.A., Clusters of Grapes and Wine, Presented at the third International Wine Business Research Conference, Montpellier, France, 2006.
4. Cross, Robin, Andrew, J. Plantinga, Robert, N. Stavins, 2011. What is the value of terroir?. Am. Econ. Rev. 101 (3).
5. Guy, Kolleen M., 2011. Silence and Savoir-Faire in the marketing of products of the Terroir.

ფირმის მოგების მაქსიმიზაციის განსაზღვრის მეთოდები: არსებული მიდგომები და მიმართულებები

კახაბერ ციმინტია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე პირობებში, როდესაც მიმდინარეობს ეკონომიკურ თეორიაში ჩამოყალიბებული ტრადიციული რიგი საკითხების ახლებური წარმოდგენა, თეორიისა და პრაქტიკის უფრო მეტად დაახლოების პროცესი, მნიშვნელოვანია მიკროეკონომიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხის – მოგების მაქსიმიზაციისადმი არსებული მიდგომების განხილვა, მისი გამოთვლის მიმართულებების წარმოდგენა და აღნიშნულის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა.

ფირმების მოგების მაქსიმიზაციის პირობების განხილვისას, არსებული საანგარიშო ბაზიდან გამომდინარე, გათვლები შესაძლებელია მინიმუმ ორი მიმართულებით განვახორციელოთ. პირველი. ტრადიციულად ზღვრული დანახარჯისა და ზღვრული შემოსავლის განსაზღვრა და მათი ტოლობის პირობებში პროდუქციის გამოშვების მოცულობის დადგენა. მეორე. ნულოვანი ზღვრული მოგების პირობებში პროდუქციის გამოშვების რაოდენობის განსაზღვრა, რადგანაც ზღვრული მოგების ნულთან ტოლობის დროს მთლიანი მოგება მაქსიმალურია.

საკვანძო სიტყვები: მთლიანი შემოსავალი. მთლიანი დანახარჯები. მოგება. მოგების მაქსიმიზაცია.

METHODS FOR DETERMINING MAXIMIZATION OF PROFIT OF THE FIRM: CURRENT APPROACHES AND DIRECTIONS

Kakhaber Tsimintia
Associated Professor of Sokhumi State University

RESUME

In modern conditions, when a new concept of traditional issues is being formulated in economic theory, when there is a process of approaching between theory and practice, One of the key issues of microeconomics is important _ discussion of the approaches to maximization of profits, Identify its calculation directions and define the possibilities of using it in practice.

In considering terms of maximization of profit of firms, based on the existing reporting base, calculations can be done in at least two directions. First. traditionally limiting the marginal cost and marginal income and determining the volume of production of the product in the conditions of their equality. Second. Determining the release of product numbers when in the conditions of zero marginal benefit, because marginal profit equals zero at the maximum profit.

* * * *

პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა განვითარების ფაქტორებისადმი არსებულმა მიდგომებმა. განსაკუთრებული აქცენტირება მოხდა ინფორმაციაზე, ინტელექტზე, ცოდნაზე, როგორც განვითარების მთავარი ფაქტორებისა და კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელზე. ანალოგიურად მიმდინარეობს შეხედულებათა შემდგომი სრულყოფა ეკონომიკურ სივრცეზე, ეკონომიკურ აგენტებსა და მათ ურთიერთკავშირზე . ვითარდება და ფართოვდება წარმოდგენები ეკონომიკური სუბიექტების ქცევასა და მათ როლზე საზოგადოებაში. კერძოდ, იცვლება რაციონალურობისადმი აქამდე არსებული მიდგომები, როდესაც ფირმების თეორიაში წარმმართველად მოგების მაქსიმიზაცია, ხოლო მოხმარების თეორიაში – სარგებლიანობა გვევლინებოდა. სუსტდება რესურსების აბსოლუტური იშვიათობისადმი კლასიკური მიდგომები და გადასვლა ხდება უკვე განახლებადი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე. ბაზრების ფუნქციონირების მექანიზმების განხილვისას, კონკურენციასთან ერთად, სულ უფრო ხშირად განიხილება პარტნიორობა. ახალ ეკონომიკურ პარადიგმებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინსტიტუტები, ინტეგრაციული სტრუქტურები, შეხედულებები.

მიკროეკონომიკა, როგორც ფირმის, შინამეურნეობების, მომხმარებლებისა და ბაზრების შემსწავლელი დისციპლინა, დღეისთვის წარმოადგენს მაღალ თეორიულ საფუძვლებზე ჩამოყალიბებულ და ლოგიკურად დასრულებულ სისტემას. ის საკითხები, რომელიც ნეოკლასიკურმა ეკონომიკურმა თეორიამ დასახა, ამავე თეორიის ფარგლებში შემუშავებული მეთოდების საშუალებით წარმატებით იქნა გადაწყვეტილი. გამონაკლისს წარმოადგენს ამოცანათა გარკვეული ჯგუფი, რომელიც დღეისთვისაც პრობლემურია. კერძოდ, ითვლება, რომ რიგი არსებული მოდელებისა (სრულყოფილი კონკურენციის, ეკონომიკური ადამიანის, აბსოლუტური რაციონალურობის) ძლიერ სცილდება რეალობას ანუ არარეალისტურია. აქედან გამომდინარე მიკროეკონომიკის

სწავლების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თეორიასა და პრაქტიკას შორის სინერგიის პრობლემას.

მიკროეკონომიკის კურსში ასევე პრობლემურად ითვლება ერთპროდუქტიანი მოდელების გამოყენებაც. ცხადია, რომ მხოლოდ ერთი პროდუქციის მწარმოებელი ფირმა რეალობაში იშვიათობაა, რადგანაც ფირმათა უმრავლესობა რამდენიმე საქონლისა და მომსახურების წარმოებაზეა ორიენტირებული. ფირმის მიერ მხოლოდ ერთი პროდუქტის წარმოების დაშვების ნაცვლად ორი (ან მეტი) პროდუქციის წარმოების განხილვისას აუცილებელი ხდება მუდმივი ხარჯების განაწილების მექანიზმის, თითოეული პროდუქციისთვის ცვალებადი და ზღვრული ხარჯების განსაზღვრის, ცალკეული პროდუქციისთვის ამონაგების, ზღვრული ამონაგების განსაზღვრის და მსგავსი სხვა პრობლემების გადაწყვეტა.

მიკროეკონომიკური თეორიისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შეხედულებათა ცვლილება მიკროეკონომიკურ სუბიექტებზე. სულ უფრო ფართოვდება იმ მეცნიერთა წრე, რომლებიც მიკროეკონომიკურ სუბიექტებს (ფირმებს) უკვე განიხილავენ არა როგორც ისეთ აგენტებს ,რომლებიც მოგების მაქსიმიზაციის მიზნით რეაგირებენ საბაზრო პირობების ცვლილებაზე, არამედ მათი განხილვის დროს უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ეკონომიკურ პროცესებში ისეთი მნიშვმნელოვანი მონაწილეების რანგში მათ დახასიათებას, რომლებსაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ საბაზრო კონიუნქტურაზე. აღნიშნული კი დღის წესრიგში აყენებს მიკროეკონომიკის დისციპლინის სწავლებისას ახალი რეალიების გათვალისწინებას.

ფირმების თეორიაში რიგი საბაზისო მიდგომების გვერდით აუცილებელია ახალი მიდგომების განხილვაც. კერძოდ, აქცენტი უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ფირმების წარმატებები დაკავშირებულია მის შიდა ერთიანობასა და გარემოსთან ჰარმონიულ ურთიერთკავშირზე, რაც კონკურენციასა და პარტნიორობას გულისხმობს. ამასთან, ფირმის განხილვა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ეკონომიკის ატომის ჭრილში, არამედ უნდა იქნას განხილული მისი რთული სტრუქტურა, რომელიც საქონლისა და მომსახურების წარმოების გარდა, აყალიბებს ცოდნას, მენტალიტეტს, ინსტიტუტებს და ნერგავს მას ეკონომიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მიკროეკონომიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხის – მოგების მაქსიმიზაციისადმი არსებული მიდგომების განხილვა, მისი გამოთვლის მიმართულებების წარმოდგენა და აღნიშნულის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა.

თანამედროვე მიკროეკონომიკის საბაზო (ბაკალავრიატის) დონის სახემძღვანელოებში ფირმის მოგების მაქსიმიზაციის პირობა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

ფირმა მაქსიმალურ მოგებას ღებულობს მაშინ, როცა ადგილი აქვს მთლიან ამონაგებსა **(TR)** და მთლიან დანახარჯებს **(TC)** შორის დადებითი სხვაობის მაქსიმიზაცია. თანამედროვე ეკონომიკური თეორია ამტკიცებს, რომ მოგების მაქსიმიზაცია ან დანახარჯების მინიმიზაცია მიიღწევა მაშინ, როდესაც ზღვრული ამონაგები უტოლდება ზღვრულ დანახარჯებს ე. ი. სრულდება პირობა: სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე მყოფი ფირმა მოგების მაქსიმიზაციას ახდენს მაშინ, როდესაც ირჩევს წარმოების ისეთ მოცულობას, რომლის დროსაც ზღვრული ამონაგები ზღვრული დანახარჯებისა და მიმდინარე საბაზრო ფასის ტოლია: MR=MC=P. (1; გვ.212).

ამონაგებსა და დანახარჯებს შორის სხვაობას, როგორც ცნობილია, ეკონომიკურ მოგებას (π) უწოდებენ. რადგანაც ამონაგები და დანახარჯები დამოკიდებულია გამოშვებული საქონლის რაოდენობაზე, ეკონომიკური მოგებაც მასზე იქნება დამოკიდებული.

$$\pi(q) = p(q) \cdot q - C(q) = R(q) - C(q)$$

აქედან გამომდინარე, მიღებულია რომ მოგების მაქსიმიზაციისთვის შესაბამისი გამოშვების მოცულობის არჩევისას აუცილებელი პირობაა წარმოდგენილი სხვაობის წარმოებული ნულის ტოლი იყოს:

$$\frac{d\pi}{dq} = \pi^{/}(q) = \frac{dR}{dq} - \frac{dC}{dq} = 0$$

ამრიგად: $\frac{dR}{dq} = \frac{dC}{dq}$ (მოგების მაქსიმიზაციის პირველი რიგის ტოლობა), ანუ ფირმის მოგების მაქსიმიზაციის პირობაა ,,ზღვრული ამონაგებისა" და ,,ზღვრული დანახარჯების" ტოლობა:

$$MR = \frac{dr}{dq} = \frac{dc}{dq} = MC$$ (2; გვ.528-529)

რადგანაც პირველი რიგის ტოლობა ორ შემთხვევაში სრულდება (მოგებისა და ზარალის მაქსიმიზაციის დროს), აუცილებელი ხდება მისი შემდგომი დაზუსტება, რაც მეორე რიგის ტოლობით ხდება. კერძოდ, პირველი რიგის ტოლობასთან ერთად აუცილებელია სრულდებოდეს შემდეგი პირობაც:

$$\frac{d^2(TR)}{dQ^2} < \frac{d^2(TC)}{dQ^2}$$ (1; გვ.214)

ჩვენი აზრით, ფირმის მოგების მაქსიმიზაციის ამ მიღებულ ახსნასთან ერთად, სასურველია აღვნიშნოთ შემდეგი; როგორც ცნობილია, **იქ სადაც ზღვრული სიდიდე ნულის ტოლია, მთლიანი სიდიდე მაქსიმალურია. ე.ი. როცა π = max Mπ=0** . რადგანაც MR-MC=Mπ. მოგების მმაქსიმიზირებელი მოცულობის განსაზღვრისთვის უნდა სრულდებოდეს პირობა:

MR-MC=0. რადგანაც:

$$MR = \frac{dTR}{dq}, \quad MC = \frac{dTC}{dq}, \quad M\pi = \frac{d\pi}{dq}$$

საბოლოოდ მივიღებთ

$$\frac{dTR}{dq} = \frac{dTC}{dq} = \frac{d\pi}{dq} = 0$$

$$\frac{dTR}{dq} - \frac{dTC}{dq} = 0$$

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფირმების მოგების მაქსიმიზაციის პირობების განხილვისას, არსებული საანგარიშო ბაზიდან გამომდინარე, გათვლები შესაძლებელია მინიმუმ ორი მიმართულებით განვახორციელოთ. პირველი. ტრადიციულად ზღვრული დანახარჯისა და ზღვრული შემოსავლის განსაზღვრა და მათი ტოლობის პირობებში პროდუქციის გამოშვების მოცულობის დადგენა. მეორე. ნულოვანი ზღვრული მოგების პირობებში პროდუქციის გამოშვების რაოდენობის განსაზღვრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ. მიკროეკონომიკა. მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი, 2014.

2. ნიკოლსონი ვ., სნაიდერი ქ. მიკროეკონომიკის თეორია: ძირითადი პრინციპები და განვრცობა. მე-10 გამოცემა. 2011.

3. პოლ კრუგმანი. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება .ჟურ. ,,საქართველოს ეკონომიკა". 2009, №10.

4. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. გამ. ,,დიოგენე".

კომპანიის ფინანსური სიმყარის რეიტინგის განსაზღვრა ქულობრივი მეთოდით

ნიკოლოზ ბაკაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, შპს აუდიტორული ფირმა
„ბაკაშვილი და კომპანიას“ დირექტორი

რეზიუმე

სტატიაში „კომპანიის ფინანსური სიმყარის რეიტინგის განსაზღვრა ქულობრივი მეთოდით“ განხილულია ამჟამად გამოყენებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი (თვისობრივი) მეთოდები და მათ ნაკლად მიჩნეულია მათი შეჯერება-შეჯამების შეუძლებლობა. ამ ნაკლის დასაძლევად შემოთავაზებულია რაოდენობრივი მაჩვენებლების ქულებით შეფასება. ამ გზით ყველა რაოდენობრივი მაჩვენებელი გაერთმნიშვნელიანდება. ამ მეთოდის დანერგვის სიძნელის გადასალახად დასმულია საკითხი კომპანიების (დარგების მიხედვით) ფინანსური მაჩვენებლების ნორმატივების შემუშავების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური სიმყარე; რეიტინგი; ქულა; ქულობრივი მეთოდი; რეიტინგული კლასი; რანჟირება; ნორმატივი.

THE SCORING (MARKING) METHOD OF DEFINING COMPANY FINANCIAL FIRMING RATING

Nikoloz Bakashvili
(Doctor of Economical sciences,
Professor, director of LTD
“Bakashvili and Company”)

SUMMARY

In the article _“The Scoring (marking) method of defining company financial firming rating” is discussed the current methods of amount and quality and the fault of this is the impossibility of their summarizing to each other. The best way to solve this problem is the assessment of amount index scoring. In this way it would be possible to reduce all the indexes to a common denominator. To avoid the difficulties it is raised the question to form of company (according to the fields) financial index normative.

Key words: financial firming, Rating, Score (marking), Scoring method, Rating grade, Ranking, Normative.

შესავალი

კომპანიის ფინანსური სიმყარე (ფინანსური სტაბილურობა) მისი გადახდისუნარიანობის, კრედიტუნარიანობის საფუძველია. მსოფლიოში, ალბათ, ცოტაა ისეთი ფირმა, რომელსაც საქმიანობის განსახორციელებლად საკუთარი სახსრები ყოფნის. დანარჩენი ფირმები ან ბანკებს აკითხავენ კრედიტის ასაღებად, ან - ინვესტორებს ინვესტიციების მისაღებად. ორივე შემთხვევაში კომპანიისგან გარანტად მის ფინანსურ სიმყარეს მოითხოვენ და კომპანიის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებამდე, მას ამოწმებენ.

გარდა აღნიშნულისა, 2017 წლის 23 დეკემბერს №1935 კანონით საქართველოს ,,საგადასახადო კოდექსში'' ცვლილებები შევიდა და 224-ე მუხლით განისაზღვრა ,,ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი'', რომელიც საბაჟო კონტროლის დროს, სხვა გადასახადის გადამხდელთან შედარებით, ხელშემწყობი პირობებით სარგებლობს, რაც, ასევე, გულისხმობს მისი დოკუმენტებისა და მონაცემების შემოწმების და საქონლის, სატრანსპორტო საშუალებებისა და ტერიტორიის დათვალიერების ნაკლები სიხშირით განხორციელებას.

პირს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი რომ მიენიჭოს, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, იგი გადახდისუნარიანი და ფინანსურად მდგრადი იყოს.

ეს შემოწმება სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება, რადგან არ არსებობს კომპანიის ფინანსური სიმყარის განსაზღვრის ერთიანი მეთოდიკა.

წინამდებარე სტატიაში მოცემულია კომპანიის ფინანსური სიმყარის, ანუ გადახდისუნარიანობის განსაზღვრის სრულყოფის გარკვეული მცდელობა.

ძირითადი ნაწილი

1. კომპანიის ფინანსური სიმყარის განსაზღვრის არსებული პრაქტიკის შეფასება.

კომპანიის ფინანსური სიმყარე რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასებით ხორციელდება. რაოდენობრივი მაჩვენებლები 5 ჯგუფად იყოფა, ხარისხობრივი კი – ოთხ ჯგუფად.

რაოდენობრივ მაჩვენებელთა ჯგუფებია [1, გვ. 334]:

1. ლიკვიდობის კოეფიციენტები (მიმდინარე (საერთო), სწრაფი და აბსოლუტური);
2. საქმიანი აქტივობის კოეფიციენტები (აქტივების ბრუნვადობა, მარაგების ბრუნვადობა, დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა, საბრუნავი აქტივების ბრუნვადობა და სხვ.);
3. კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტები (ნასესხები სახსრებით უზრუნველყოფის, ავტონომიის და მანევრირების კოეფიციენტები);

4. მომგებიანობის (რენტაბელობის) კოეფიციენტები (აქტივების რენტაბელობა (ROA), საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE), რეალიზაციის რენტაბელობა (ROR));

5. საბაზრო აქტივობის კოეფიციენტები (მოგება ერთ აქციაზე, დივიდენდის დაფარვის კოეფიციენტი, აქციის კოტირების კოეფიციენტი, აქციის საბაზრო შეფასების კოეფიციენტი, ტობინის კოეფიციენტი და სხვ.).

ხარისხობრივ მაჩვენებელთა ჯგუფებია [2, გვ. 100]:

1. საკრედიტო ისტორიის შეფასების მაჩვენებელი;
2. მენეჯმენტის ხარისხის შეფასების მაჩვენებელი;
3. სესხის (ინვესტიციის) უზრუნველყოფის შეფასების მაჩვენებელი;
4. კომპანიის (ანუ მსესხებლის) საქმიანობის დარგის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებელი.

მოცემულ სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ ფინანსური სიმყარის განმსაზღვრელ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, შესაბამისად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი წინადადებაც მხოლოდ მათ შეეხებათ.

რაოდენობრივ მაჩვენებელთა 5 ჯგუფში 20 მაჩვენებელზე მეტია გაერთიანებული. მათი სიმრავლის გამო, ყველა ამ მაჩვენებელს არ ანგარიშობენ [3, გვ. 392] და მათ შორის ირჩევენ საკუთარი შეხედულებისამებრ, ყველაზე მისაღებს. კომპანიის ანალიტიკოსმა ამ მხრივ შეიძლება აირჩიოს კოეფიციენტების ერთ-ერთი ჯგუფი, ხოლო კომერციული ბანკის ან ინვესტორის ანალიტიკოსმა – სულ სხვა. ჩვენთვის ცნობილია, რომ კომერციული ბანკები კომპანიის კრედიტუნარიანობის დასადგენად ფულადი სახსრების მოძრაობასაც აანალიზებენ და გაყიდვების უდიდესი და უმცირესი მოცულობების სცენარებით საწარმოს გადახდისუნარიანობას საზღვრავენ [4, გვ. 150]. ასეთ რთულ სამუშაოებს კომპანიების ანალიტიკოსები არ ახორციელებენ. ამის შედეგად, დიდია ალბათობა იმისა, რომ ერთი და იგივე კომპანიის ფინანსურ სიმყარეზე გაკეთებული ბანკის და კომპანიის დასკვნები ერთმანეთს არ დაემთხვეს.

გარდა სიმრავლის ფაქტორისა, რაც საჭირო შემთხვევაში შეუძლებელს ხდის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშებას, არსებობს მათი შეჯამება-შეჯერების პრობლემაც. საქმიანი აქტივობის, ანუ ბრუნვადობის მაჩვენებლები დღეების რაოდენობაში ან ჯერებში იზომება, ლიკვიდობის მაჩვენებლები - კოეფიციენტებში ან პროცენტებში, კაპიტალის სტრუქტურის და რენტაბელობის მაჩვენებლებიც - პროცენტებში, საბაზრო აქტივობის მაჩვენებლების ნაწილი კი - ლარებში, ნაწილი - კოეფიციენტებში. განზომილებათა ერთეულების ასეთი განსხვავებულობის გამო, მათი არც შედარება შეიძლება და არც შეჯამება. ამასთან, ზოგიერთი მაჩვენებლის ზრდა დინამიკაში დადებითად ფასდება (მაგალითად, რენტაბელობის, ლიკვიდობის), ზოგიერთის კი – უარყოფითად (მაგალითად, დღეებში გამოხატული საქმიანი აქტივობის მაჩვენებლების). ასე რომ, ამ მაჩვენებლებს ერთიანი მეთოდით ვერ შევაფასებთ. არადა, ფინანსური მონიტორინგის ჩატარება კომპანიის დირექციას სჭირდება იმისთვის, რომ გაარკვიოს, იზრდება და ფინანსურად მყარდება მისი საწარმო თუ დაცემას და გაკოტრებას განიცდის.

როცა საწარმო ინვესტორს ეძებს, ანდა ბანკიდან სესხის აღება სჭირდება, მან ორივეს ცალსახად არაორაზროვანი და გასაგები ანგარიშგება უნდა წარუდგინოს. გარდა ამოსავალი (საწყისი) ინფორმაციისა და ფინანსური კოეფიციენტებისა, მასში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შემფასებელი ზოგადი ინტეგრირებული მაჩვენებელი. სამწუხაროდ, ასეთი მაჩვენებელი საქართველოში არ გვაქვს.

ისიც მნიშვნელოვანია, რომ 2016 წლის 8 ივნისს მიღებული №5386 კანონით ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" სავალდებულო გახდა აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროება/გამოქვეყნება 2018 წლის 1 იანვრიდან 1-ლი და მე-2 კატეგორიის საწარმოებისათვის, ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან - მე-3 და მე-4 კატეგორიის საწარმოებისათვის.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ გასაჯაროებული ინფორმაცია ფინანსური მდგრადობის/სიმყარის გათვლებს ეფუძნება, მაგრამ ზემოაღნიშნული შესაძლო ინვესტორისა თუ ბანკისთვის ის გადასახადის გადამხდელების ფინანსური მდგომარეობის შესახებ აუცილებელ გასაცნობ დოკუმენტად მოიაზრება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ამსახველი სხვადასხვა მაჩვენებლის დაჯამება მათი განსხვავებული ზომის ერთეულების გამო არ შეიძლება. არადა ბანკიც და კერძო ინვესტორიც საწარმოს ინვესტიციური მიმზიდველობის და კრედიტუნარიანობის შესაფასებლად მოითხოვს ერთ განზოგადებულ ფინანსურ მაჩვენებელს, ანუ არა რენტაბელობას, ლიკვიდობას, საქმიან აქტივობას და ა. შ., არამედ მათ გამაერთმნიშვნელებელ მაჩვენებელს.

ასე რომ, ჩვენ მიერ დასმული საკითხი ეხება მოქმედი საწარმოების ფინანსური სიმყარის შეფასებას არა ხუთი ან 10 მაჩვენებლით, არამედ ერთი მაჩვენებლით. საზღვარგარეთ ამ საკითხზე დიდი ხანია, მუშაობენ, არსებობს გარკვეული შემოთავაზებებიც. ამერიკაში მეცნიერმა ე. ალტმანმა საწარმოს გაკოტრების საპროგნოზოდ ერთი მაჩვენებლის – Z-ანგარიშის ფორმულა შეიმუშავა [5, გვ. 223]:

პირველი ვარიანტი:

$$Z = 1{,}2 \cdot x_1 + 1{,}4 \cdot x_2 + 3{,}3 \cdot x_3 + 0{,}6 \cdot x_4 + 1{,}0 \cdot x_5$$

მეორე ვარიანტი:

$$Z = 0{,}717 \cdot x_1 + 0{,}847 \cdot x_2 + 3{,}10 \cdot x_3 + 0{,}42 \cdot x_4 + 0{,}995 \cdot x_5$$

პირველი ფორმულა შემუშავებულია სააქციო საზოგადოებისთვის, მეორე კი - ყველა დანარჩენი სახის საწარმოსთვის. მაგრამ ეს ფორმულები იძლე-

ვა პროგნოზს და არა არსებულ მდგომარეობას. საგულისხმოა, რომ, მათი სიზუსტე წლების მიხედვით კლებულობს, თანაც, Z-ის სიდიდეს, რომელიც მერყეობს 1,81-დან 2,675-ის დიაპაზონში, ალტმანმა „ჭაობი“ უწოდა, რაც ნიშნავს საწარმოს გადარჩენას ან, პირიქით, არგადარჩენას - „ჭაობში ჩახრჩობას“.

თუ საწარმო „ჭაობის“ მდგომარეობაშია, რით შეუძლია ინვესტორს ან ბანკს დაუსაბუთოს, რომ მათ მიერ დაფინანსების შემთხვევაში გადარჩება? ეს დიდი პრობლემაა.

ცნობილია, რომ კომპანიის ფინანსურ სიმყარეს სხვადასხვა მოდელით ანგარიშობენ, მათ შორისაა: რუსული მოდელი, მეცნიერ ბივერის მოდელი, მაკ-კინზის მეთოდიკა და სხვები [გვ. 6, 384], მაგრამ ისინი მრავალ ფინანსურ მაჩვენებელს მოიცავენ, რის გამოც ძნელდება ერთი შემაჯამებელი დასკვნის გაკეთება.

ეს პრობლემა მთელი მსოფლიოს ფინანსისტების წინაშე დგას. ზოგიერთმა ქვეყანამ იგი ნაწილობრივ გადაწყვიტა.

მთელ მსოფლიოში საწარმოთა რეიტინგის დასადგენად სამი მეთოდი გამოიყენება: [7, გვ. 171]:

- ნომრული მეთოდი;
- ქულობრივი მეთოდი;
- ინდექსური მეთოდი.

ნომრული სისტემა გამოიყენება ნაკლები ფაქტორების გავლენის ქვეშ მყოფი დარგის საწარმოებისთვის, ქულობრივი და ინდექსური კი – რთულ დარგებში. ჩამოთვლილი მეთოდებიდან საქართველოში არც ერთი არ გამოიყენება. საერთოდ ჩვენთან საწარმოთა რანჟირება ფინანსური მდგომარეობის მიხედვით არ ხორციელდება. საწარმოები ამას არც თავისთვის აკეთებენ და არც ინვესტორებისთვის. ამის ძირითადი მიზეზია, ალბათ, ის, რომ ამ კომპეტენციის მქონე კადრები მათ არ ჰყავთ.

რადგან საწარმოთა რეიტინგულ რანჟირებაზე მუშაობის საწყის ეტაპზე ვიმყოფებით, ჩვენი აზრით, უფრო უპრიანი იქნება საწარმოთა რანჟირება ქულობრივი სისტემით, რადგან ნაწილობრივ არსებობს ფინანსური კოეფიციენტების ნორმატივებიც, რეიტინგის კლასებიც (სულ 5 კლასი) და მათი შესაბამისი ქულობრივი შეფასებებიც. უმაღლეს კლასში მოხვედრილ ფინანსურ მაჩვენებელს 4 ქულა ეძლევა, პირველში მოხვედრილს – 3 ქულა, მეორეში – 2 ქულა, მესამეში – 1 ქულა, მეოთხეში – 0 ქულა. ფინანსურ კოეფიციენტს ქულა მიენიჭება ნორმატივის შესაბამისად. მაგალითად, მიმდინარე (საერთო) ლიკვიდურობის ნორმაა 2,0, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოს საბრუნავი აქტივები არანაკლებ 2-ჯერ მეტი უნდა იყოს მის მოკლევადიან ვალდებულებაზე. თუ საწარმოს საქმიანობის ანალიზისას ეს მაჩვენებელი მართლაც 2 ან მასზე მეტიც აღმოჩნდა, მას მიენიჭება უმაღლესი 4 ქულა ანუ მოხვდება რეიტინგის უმაღლეს კლასში, მაგრამ თუ ეს მაჩვენებელი 1-ის ტოლია, მაშინ მას მიეცემა 2 ქულა (4-ის ნახევარი) და ა. შ. ასე მოხდება სხვა მაჩვენებლების მიმართაც.

საბოლოოდ, ქულები დაჯამდება და განისაზღვრება საწარმოს ფინანსური რეიტინგული კლასი, რომელიც იქნება [8]: 57-68 ქულაზე – უმაღლესი; 47-56 ქულაზე – პირველი; 39-46 ქულაზე – მეორე; 25-38 ქულაზე – მესამე; 20-24 ქულაზე – მეოთხე.

უმაღლესი რეიტინგული კლასის მქონე საწარმო შეძლებული, ფინანსურად მყარი კრედიტუნარიანი საწარმოა. პირველი კლასის საწარმოს ფინანსურად უჭირს – რისკის ზონაშია, მეორე კლასის საწარმო კრიზისშია, მესამე - გადახდისუუნაროა, მეოთხე კი - გაკოტრების პირასაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ანალიზი და საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის რეიტინგების განსაზღვრა საქართველოში არ ხდება. არადა ამ მეთოდით გააანალიზების შემდეგ დგინდება საწარმო „ცოცხალია“ თუ „მკვდარი”, ან „უფრო ცოცხალი“ თუ „უფრო მკვდარი“.

იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოს კომპანიების ფინანსური სიმყარის ზუსტად განსაზღვრისთვის ამ მეთოდის გამოყენება მართლაც მიზანშეწონილია, კომპანია „X“-ის მაგალითზე წარმოვადგენ მის გაანგარიშებას (ცხრილი 1. ცხრილში მოცემული მაჩვენებლების მნიშვნელობები და აგრეთვე ზოგიერთი ნორმატივი პირობითია).

ცხრილში ფინანსურ კოეფიციენტებზე მინიჭებულ ქულათა საერთო რაოდენობაა 43. ამ ქულებით მოცემული „X“ კომპანია ხვდება მეორე რეიტინგულ კლასში (39-46 ქულების კლასი), ანუ მას კრიზისი ეწყება. ცხადია, ასეთ კომპანიას არც ბანკი მისცემს სესხს და არც ინვესტორი – ინვესტიციას.

როგორც ვხედავთ, ამ მეთოდით კომპანიის ფინანსური სიმყარის გამოანგარიშება მეტად ადვილია. მისი ათვისება არც ერთ ანალიტიკოსს არ გაუჭირდება, მაგრამ მის დანერგვამდე, უპირველესად, საჭიროა, საქართველოში შევიმუშაოთ ფინანსური კოეფიციენტების დარგობრივი ნორმატივები. ის, რაც დღეს არსებობს, უცხოურია, შესაბამისად, იმათი პირობების გათვალისწინებითაა შედგენილი და, ამდენად, საქართველოს კომპანიებს ნაკლებად ესადაგება. მაგალითად, ავტონომიის უცხოური ნორმატივია 0,5. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიას მთელი თავისი საქმიანობისთვის საჭირო სახსრების ნახევარი საკუთარი უნდა ჰქონდეს. სხვა შემთხვევაში მას არც ბანკი მისცემს სესხს და არც ინვესტორი – ინვესტიციას. საქართველოში, რომელიც ახლა დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას, ასეთ საწარმოთა რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელია. თუ ამ ნორმატივს დავამკვიდრებთ, მაშინ რა ქნან სხვა კომპანიებმა, რომელთაც საკუთარი სახსრები არ აქვთ, მათ როგორ იმუშაონ?

ამის გარდა, ჩვენთვის ფინანსური კოეფიციენტების ყველა უცხოური ნორმატივიც არ არის ცნობილი. ასეთებია: სამეურნეო აქტივობის კოეფიციენტები და საბაზრო აქტივობის კოეფიციენტები (გარდა ტობინის კოეფიციენტისა). ამიტომ, ცხრილში მათი პირობითი ნორმატივები გამოვიყენეთ.

ცხრილი 1
კომპანია „X“-ის ფინანსური სიმყარის რეიტინგი ქულების მიხედვით

	ფინანსური მდგომარეობა	პირობითი ნორმატივი	მინიჭებული ქულა
I. ლიკვიდობის კოეფიციენტები			
1. მიმდინარე, ანუ საერთო	2,0	2,0	4
2. სწრაფი ლიკვიდობის	0,4	0,2	4
3. აბსოლუტური ლიკვიდობის	0,015	0,	2
II. კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტები			
1. ნასესხები სახსრებით უზრუნველყოფის	0,7	0,5	1
2. ავტონომიის	0,3	0,5	2
3. მანევრირების	1,0	0,5	4
III. რენტაბელობის კოეფიციენტები			
1. აქტივების რენტაბელობის	0,17	0,55	1
2. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის	0,21	0,10-0,30	3
3. რეალიზაციის რენტაბელობის	0,08	0,15	1
IV. საქმიანი აქტივობის კოეფიციენტები (ჯერებში)			
1. საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის	8	10	3
2. აქტივების ბრუნვადობის	4	1,5	2
3. მარაგების ბრუნვადობის	1	3	2
4. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის	1	1	4
V. საბაზრო აქტივობის კოეფიციენტები			
1. დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტი	0,5	1,0	2
2. აქციების კოტირების კოეფიციენტი	3	1,5	4
3. აქციის საბაზრო შეფასების კოეფიციენტი	0,8	2	3
4. ტობინის კოეფიციენტი	0,7	>1	1
სულ			43 ქულა

ასე რომ, რადგან ჩვენ გარდამავალი ეკონომიკის და, იმავდროულად, განსხვავებული სამუშაო პირობების მქონე ქვეყანას წარმოვადგენთ, ჩვენი ნორმატივები გვჭირდება, რისი მოგვარებაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციაში შედის.

დასკვნა

კომპანიების ფინანსური სიმყარის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა მეთოდის შეფასებით, სტატიაში იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭიროა, არსებობდეს მათი გამაერთმნიშვნელებელი რაიმე მექანიზმი, რომლის ათვისებაც ადვილი იქნება და გამოყენებაც. ასეთად მივიჩნიეთ ჯერ კიდევ 70-იან წლებნში აშშ-ში შემუშავებული ქულობრივი მეთოდი. მისი გამოყენებით კომპანიებიც და მათი დამფინანსებლებიც (ბანკები, ინვესტორები) „ერთ ენაზე" ილაპარაკებენ. ამ მეთოდის დასანერგად საჭიროა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დარგების მიხედვით შეიმუშაოს ფინანსური კოეფიციენტების ნორმატივები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ღუდუშაური ზ., ფინანსური მენეჯმენტი, გამომცემლობა „საჩინო", თბ., 2015.
2. პაპასკირი რ., ლექციების კურსი საბანკო მენეჯმენტსა და კორპორაციულ ფინანსებში, გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2012.
3. Ковалев В., Финансовый менеджмент. М., Проспект, 2007.
4. გოგოხია მ., საბანკო საქმე, თბ., 2008.
5. Петров А., Петрова В., Комплексный анализ финансовой деятельности банка, Финансы и статистика, М., 2007.
6. ბაკაშვილი ნ., ფინანსები, ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი, გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2015.
7. Оптнер С. Системный анализ для решения деловых и промышленных проблем, М., 1969.
8. Чангин Д. Об определении рейтинга предприятии малого бизнеса, М., 1998.

BIBLIOGRAPHY:

1. Gudushauri Z., Financial Management, "Sachino" publishing, Tb. 2015.
2. Papaskiri R., The course of lectures in Banking management and corporate finances," Universali" publishing, Tb. 2012.
3. Kovalev V., Financial Management, M., Prospect, 2007.
4. Gogokhia M., Banking, Tb, 2008.
5. Petrov A. ,Petrova V., the complex analyze of bank financial business, finances and statistics,M., 2007.
6. Bakashvili N., Finance, Financial accounting and Audit, "Universal" publishing, Tb.2015.
7. Optner S., The system analyze for solving business and industrial problems, M., 1969.
8. Changin D., About defining the rating of industrial small business, M., 1998.

აქტუარი, როგორც სტაბილურობის მაკონტროლებელი

ნანა ბენიძე
აწსუ ასოც. პროფესორო
ჯამბულ ბიწაძე
აწსუ ასოც პროფესორი

ანოტაცია

სადაზღვევო სფეროში საკანონმდებლო ინიციატივები წარმოქმნიან აქტუარის არსებობის ობიექტურ საჭიროებას. მათი არსებობა აუცილებელია სადაზღვევო კომპანიის სტაბილური განვითარებისათვის.სწორედ აქტუარია პასუხისმგებელი შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაზე.კომპანიის მართვის მთავარი მიზანი, თუ არ არის მუდმივი მონიტორინგი, მისი ფინანსური მდგრადობა განწირულია. ის არის სპეციალისტი,რომელიც კომპანიის მდგრადობას მუდმივად აკონტროლებს და ანალიზს უკეთებს.საქართველოში დღემდე არ არის აღნიშნული პროფესიის კომპეტენციების მქონე პირების გადამზადების ცენტრები და ამასთან, არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ამახვილებს ყურადღებას სპეციალური პროგრამების შესაქმენალდ. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

• ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებულ ბიზნესის ადმინისტრირების (02) მიმართულებას დაემატოს აქტუარის კომპეტენციების მქონე მაგისტრანტის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი კოდი;

• საქართველოში შეიქმნას სადაზღვევო ბაზრის მონაწილეების დამოუკიდებელი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს აქტუარების გადამზადებას;

• სადაზღვევო ბაზრის მარეგულირებელმა ორგანომ დაიწყოს აქტუარის პროფესიის დამადასტურებელი სერთიფიკატების გაცემა შესაბამისი უნარების ტესტირების დადებითი შედეგებით დადასტურების შემთხვევაში;

საკვანძო სიტყვები: აქტუარი, სადაზღვევო ზედამხედველობა. სადაზღვევო რეზერვები.

ACTUAR, AS STABILE CONTROLLING

Nana Benidze - ATSU associated professor
Jambul Bitsadze - ATSU associated professor

ANNOTATION

Legislative initiatives in the insurance sector generate an objective necessity of Actuar. Their existence is essential for the stable development of the insurance company . Actuar is Responsible for the establishment of internal control system. The main goal of management of the company, if is not permanent monitoring it's financial stability is doomed. He is specialist ,who is controlling Company sustainability all the time and makes an analysis. In Georgia there are no training centers for same professions competence people and also at the same time, none of the higher education institutions do not focus on creating special programs. Therefore, we consider it appropriate:

• Actuar competence magistrative degree code to be added on national qualificational frame provided business administrative (02) faculty;

• In Georgia to create an independent center of insurance market participants which provides Actuars trainings;

• The regulatory organ of the insurance market to start certifying certificates of Actuars profession in the cases when they will confirm appropriate skill tests with positive results

* * * *

სადაზღვევო სფეროში არსებული მთელი რიგი საკანონმდებლო ინიციატივები წარმოქმნიან აქტუარის არსებობის ობიექტურ საჭიროებას. მათი არსებობა აუცილებელია სადაზღვევო კომპანიის სტაბილური განვითარებისათვის. სწორედ აქტუარია პასუხისმგებელი შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაზე.კომპანიის მართვის მთავარი მიზანი, თუ არ არის მუდმივი მონიტორინგი, მისი ფინანსური მდგრადობა განწირულია. სწორედ აქტუარი არის სპეცილალისტი,რომელიც კომპანიის მდგრადობას მუდმივად აკონტროლებს და ანალიზს უკეთებს.

ყველა რისკი, რომელიც კომპანიის ფინანსურ მდგრადობას ემუქრება, შეიძლება სამ ჯგუფში გავაერთიანოთ, სადაც თითოეული მათგანის მართვა შეიძლება დავავალოთ სხვადასხვა სპეციალისტს პასუხისმგებლობის ზონებად. პასუხისმგებლობის ზონების განსაზღვრის შემდეგ ისინი ერთად ქმნიან შიდა კონტროლის სისტემას **(იხ. ნახაზი).**

შიდა კონტროლის სისტემა კი არის ერთგვარად კომპანიის უსაფრთხოების სამსახური, აქტუარი კი მისი მთავარი ინტელექტუალური ცენტრია.

სადაზღვევო ზედამხედველობის საერთაშრისო ასოციაციის განმარტების თანახმად - აქტუარი არის სპეციალისტი დაზღვევის სტოქასტური ბუნებით, რომელიც აფასებს გაწეული რისკების შესაძლო ფინანსურ შედეგს. აქტუარი არის პროფესიონალი,რომელიც იმყოფება ფინანსური ანგარიშების შიდა აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვისა და პერსონალის მართვის გზაჯვარედინზე. აქტუარის პროფესიის უნიკალობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ერთადერთი სპეციალისტია კომპანიაში, რომელსაც ძალუძს ანგარიშების დასმა ბუღალტრული აღრიცხვის პა-



სივში, მითუმეტეს, რომ აქტუარის გარეშე ბალანსის შედგენა და ჩაბარება ვერ მოხდება.

თავის მხრივ პარადოქსია ის,რომ დღესდღეობით აქტუარები სადაზღვევო კომპანიაში არ სჭირდებათ, მთავარი აქტუარული მაჩვენებელი - სადაზღვევო რეზერვების მოცულობა, დღესდღეობით განისაზღვრება შაბლობის გამოყენებით. ამის ფონზე ცხადია, რომ შაბლონით მიღებული შედეგი ძალიან შორსაა სადაზღვევო ვალდებულებათა ზუსტი ოდენობისგან, არადა პასუხისმგებლობა ეკისრება დამფუძნებლებსა და აქციონერებს. აქტუარის უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებათა მონიტორინგი, რათა უზრუნველყოს მისი გადახდისუნარიანობის აუცილებელი ნორმა და ფინანსური მდგრადობა.

აქტუარები ასევე უნდა ეხმარებიან, ფინანსურ ანალიტიკოსებს, პერსონალზე გაწეული დანახარჯების შეფასებაში. ამის გარდა აქტუარი თამაშობს მნიშვნელოვან როლს სადაზღვევო კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკაში;მისი კომპენტეტური რჩევის გარეშე წარმოუდგენელია ფასიანი ქაღალდის პორტფელის მომავალი ღირებულებისა და შესასრულებელი მომავალი ფინანსური ვალდებულების განსაზღვრა, საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას.

გასაგებია, რომ აქტუარის პროფესიოგრამის შედგენა და მისი ვალდებულებათა ფორმურილება არც თუ ისე მარტივი საქმეა. ერთი რამ ცხადია, რომ აქტუარის მოღვაწეობა მაინც დაკავშირებულია რისკების ექსპერტიზასა და იმ ეკონომიკურ და სოციალურ განუსაზღვრელობასთან, რომელშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ.

აქტუარის ასეთი შემოჭრა სადაზღვევო და საფინანსო სფეროში გამოწვეულია კომპეტენტური ექსპერტის საჭიროებით საფინანსო უსაფრთხოების საკითხებში. ყველა დაინტერესებული მხარე ეთანხმება იმ აზრს, რომ არაადექვატურ აქტუარულ დასკვნას შეიძლება მოყვეს მცდარი გადაწყვეტილება, მძიმე ეკონომიკური და სოციალური შედეგებით.

გასაგებია,რომ კვალიფიცირებული აქტუარის სწრაფად მომზადება,კვალიფიცირებული აგენტსა და ბროკერთან შედარებით ბევრად რთული და ხანგრძლივი პროცესია.თავის დროზე ამ საქმეს დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ გილდია აქტუარები. სასწავლო პროგრამის საფუძველი იყო ბრიტანეთის აქტუარების გამოცდილება. ასევე მოხდა რამდენიმე ინგლისური სახელმძღვანელოს რუსულად თარგმნა. მაგ. პროფესორმა მალინოვსკმა გასწია ტიტანური შრომა რუსულ ენაზე გადაეთარგმნა ბაუერსის ნაშრომები, რაც შემდგომში რუსი აქტუარებისათვის აღმოჩნდა უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი. თუმცა, ამ პროფესიის მიმართ დაბალი მოთხოვნის, სწავლების სერთიფიცირების, ასევე სადაზღვევო ბიზნესის მხრიდან დაფინანსების არარსებობამ მიგვიყვანა ამ პრობლემის აქტუალობის დაკარგვისაკენ.

აქტუართა ეროვნული საზოგადოების წევრები ერთხმად აცხადებენ, რომ მოქმედ სპეციალისტს უნდა გააჩნდეს მომზადების მაღალი დონე. მაგალითად თუ ბუღალერს ვკითხავთ რამდენია ორჯერ ორი? ის გვიპასუხებს - ოთხი, აი აქტუარი კი იტყვის - რამდენი უნდა იყოს? ეს წმინდა სადაზღვევო ფოლკლორია.

ნამდვილად, აქტუარი ფლობს უნარს მოახდინოს მანიპულირება ფინანსური მაჩვენებლებით, ეს კი მის მოღვაწეობას უფრო გამჭვირვალეს არ ხდის. მანამ, სანამ არ ჩამოყალიბდება ურთიერთანამშრომლობის მექანიზმი აქტუართა საზოგადეობასა და მზღვეველს შორის, აუცილებლად თავს იჩენს მთელი რიგი პრობლემები, ვფიქრობთ,ამ პრობლემათა მოგვარების უმთავრეს ინსტრუმენტებს წარმოადგენს „პროფესიული ეთიკის შესახებ კოდექსი". იმისათვის, რომ სპეციალისტს პასუხისმგებლობა შევძინოთ, მისი შეცდომებიც უნდა დავინახოთ. აქტუარული საზოგადოება PricewaterhouseCoopers - ხელმძღვანელი ყოფილ დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში ზავრიევი დარწმუნებულია,ნებისმიერ ბუღალტერს ძალუძს კომპანიის ანგარშების დამახინჯება. ამიტომ, აქტუარის ანგარიშების ობიექტური შეფასება უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტის მიერ. თუ აუდიტი აღმოაჩენს შეცდომას, მაშინ აქტუარს დაუწესდება სანქციები, აქტუართა საზოგადოების მხრიდან. მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტი კარგად უნდა ერკვეოს აქტუარულ ანგარიშებში - ეს კი შესაბამება თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკას. მსხვილ კომპანიებში დაახლოებით ათი აქტუარი მუშაობს, საშუალო კომპანიებში კი სამ აქტუარამდე, პატარა კომპანიებს აქტუარი შეიძლება საერთოდ არ ჰყა-

ვდეს. აქტუარული გამოთვლის ჩართვა კომპანიის ანგარიშებში მალე სავალდებულო უნდა გახდეს.

თუ სადაზღვევო ბაზარი იყენებს ჩვეულებრივ - უბრალო მეთოდებს ტარიფებისა და რეზერვების დასაანგარიშებლად, ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქტუარის მნიშვნელობა ჯერ სრულყოფილად გააზრებული არა აქვს. მოდელის შესარჩევად არანაკლებ მნიშვნელოვანია სადაზღვევო ბიზნესში მოქმედ კომპანიათა რაოდენობა. რაც უფრო მეტი სადაზღვევო კომპანიაა ბაზარზე, მით უფრო სარფიანია ზედამხედველობის სფეროში აქტუარის ჩართვა. ასევე ის დაეხმარება ზედამხედველობის ორგანოებს უფრო ეფექტურად გამოიყენოს მისი განსაზღვრული რესურსები. თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო ბაზარზე კომპანიების რაოდენობა ცოტაა, მაგრამ დაკომპლექტებულია მსხვილი და ძლიერი კომპანიებით, ზედამხედველობისათვის აქტუარის როლი აქაც უდიდესია, საპირისპირო ვითარებაა,მაშინ,როდესაც ბაზარი სუსტი კომპანიებითაა დაკომპლექტებული.

დაზღვევის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს ერთერთ უმთავრეს ვალდებულებას სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის კონტროლი წარმოადგენს.გამოცდილება აჩვენებს, რომ აქტუარი წარმოადგენს დაზღვევის სახელმწიფო რეგულირების სისტემის უმთავრეს რგოლს, იმისდა მიუხედავად ეს კანონმდებლობით რეგულირდება თუ არა. ბევრ ქვეყანაში არსებობს ე. წ. „დანიშნული აქტუარის" სისტემა, მაგ. დიდ ბრიტანეთში კანონმდებლობით განსაზღვრულია „დანიშნული აქტუარის" უფლება- მოვალეობანი, რომელიც ამ უკანასკნელისაგან მოითხოვს მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობას, თუმცა „დანიშნული აქტუარების" უმრავლესობა წარმოადგენს კომპანიის საშტატო თანამშშრომელს, მისი ყოველწლიური ანგარიში, რომელიც მარეგულირებელ ორგანოებს უნდა წარუდგინოს, უნდა ეფუძნებოდეს სიტუაციის ინდივიდუალურ შეფასებას და არ უნდა იყოს დამოკიდებული დამქირავებელზე.

სადაზღევო ზედამხედველობისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ აქტუარული შეფასების შედეგები, მიღებული იყოს მაღალი დონის პროფესიონალის მიერ. მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამის მიღწევა შეიძლება აქტუართა პროფესიონალური საზოგადოების დახმარებით,რომელიც აწესებს ისეთ სტანდარტებს, როგორიცაა საგანმანათლებლო, პროფესიული კომპეტენტურობა და გამოცდილება. კონკურენციის ზრდის ფონზე რისკების ადეკვატური შეფასება. აქტუარის პროფესიის განვითარება მიგვიყვანს სადაზღვევო ზედამხედველობის სრულყოფისაკენ.

საქართველოში დღემდე არ არის აღნიშნული პროფესიის კომპეტენციების მქონე პირების გადამზადების ცენტრები და ამასთან, არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ამახვილებს ყურადღებას სპეციალური პროგრამების შესაქმენალდ. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

• ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებულ ბიზნესის ადმინისტრირების (02) მიმართულებას დაემატოს აქტუარის კომპეტენციების მქონე მაგისტრანტის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი კოდი;

• საქართველოში შეიქმნას სადაზღვევო ბაზრის მონაწილეების დამოუკიდებელი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ანდერრაიტერებისა და აქტუარების გადამზადებას;

• სადაზღვევო ბაზრის მარეგულირებელმა ორგანომ დაიწყოს აქტუარის პროფესიის დამადასტურებელი სერთიფიკატების გაცემა შესაბამისი უნარების ტესტირების დადებითი შედეგებით დადასტურების შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.actuary.com;
2. www.aport.ru;
3. www.ceclass.com;
4. www.ins-union.ru;
5. www.insurancenetworking.com;
6. www.healtinsurance.ru
7. www.parlament.ge
8. www.strahovka.info
9. ასიე ცინცაძე, ნინო სვანიძე სადაზღვევო მათემატიკის საფუძვლები 2013წ.

რეკლამა და მანიპულირების ტექნოლოგია

თამარ მიქელაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში „რეკლამა და მანიპულირების ტექნოლოგია" განხილულია რეკლამის ზემოქმედების ძირითადი ასპექტები. რეკლამის ეფექტურობის საიდუმლოს და ფსიქოლოგიას წარმოადგენს ადამიანთა ფსიქიკაზე მისი ზემოქმედების ხარისხი (ზემოქმედების ფსიქოლოგია). განსაკუთრებით დასამახსოვრებელი და ეფექტურია რეკლამა, თუ ის ადამიანის ქვეცნობიერზე ზემოქმედებს. ქვეზღურბლოვანის (სუბლიმირებულის) აღქმა ის ფენომენია, რომლის დროსაც ადამიანი ინფორმაციას იღებს და რეაგირებს, თუმცა ამ პროცესს ის ვერ აცნობიერებს. რეკლამა მიმართულია მასობრივ ცნობიერებაზე, იგი ძირითადად ზემოქმედებს ფსიქიკის ემოციურ კომპონენტებზე.

სტატიაში გაანალიზებულია ტრადიციული მედია რეკლამის როლი თანამედროვე ინტერაქციული (ინტერნეტ) რეკლამის ფონზე; ასევე მიმოხილულია ის ძირითადი მანიპულატორული ტექნოლოგიები და ფსიქოლოგიური მეთოდები, რასაც მარკეტოლოგები ხშირად მიმართავენ მომხმარებლის ზემოქმედება-დარწმუნების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: რეკლამის ფსიქოლოგია, მანიპულირება, ქვეცნობიერზე ზემოქმედება,რეკლამის ეფექტურობა, მედია რეკლამა, ინტერაქციული (ინტერნეტ) რეკლამა.

ADVERTISING AND MANIPULATION TECHNOLOGY

Mikeladze Tamar
PhD student of GTU

RESUME

In the article "Advertising and Manipulation Technology" is considered as the main aspects of the impact of advertising. The secrets and psychology of advertising efficiency are the quality of its impact on people's psyche (psychology of impact). Especially memorable and effective is advertising if it affects human subconscious. The perception of the suburb (sublimation) is a phenomenon whereby people get information and react, but he does not understand this process. Advertising is directed towards mass consciousness, which mainly affects the emotional components of the psyche.

The article analyzes the role of traditional media advertising on the backdrop of interactive (internet) advertising; It is also reviewed by the main manipulator technologies and psychological methods that marketers often use to influence the user's influence.

Keywords: psychology of advertising, manipulation, subconscious Impact, advertising effectiveness, media advertising , Interactive (internet) advertising.

* * * *

რეკლამა ჩვენი ყოველდღიური ყოფის განუყოფელ ატრიბუტად იქცა. რეკლამა, როგორც პიარის ქვესახეობა, ჩვენს დროში მხოლოდ ვაჭრობის მამოძრავებელი ძალა აღარ არის; ის იქცა კულტურის ახალ სახედ; ამასთან, უმძლავრეს იარაღად მათ ხელში, ვინც მას ორგანიზებას უწევს - მასობრივ იარაღად, რომელიც ადამიანის ფსიქიკაში შესაღწევად დახვეწილ მეთოდებს იყენებს. ამერიკელმა პუბლიცისტმა ვენს პაკარდმა რეკლამას ასე უწოდა: „ხელოვნება დაუმიზნო თავში და მოარტყა საფულეში".

რეკლამა უფრო და უფრო ხშირად ერევა ადამიანის ცხოვრებაში და მას ცნობიერ და ქვეცნობიერ დონეზე მართავს. რეკლამა ხშირ შემთხვევაში გვაღიზიანებს, უგულვებელყოფთ მას, მაგრამ ჩვენდაუნებურად მაინც ვუყურებთ ან ვუსმენთ.

რეკლამა ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს: განცხადება პლაკატი,რადიოგადაცემა და სხვ.მომხმარებლის, მაყურებლის მოსაზიდად. „რეკლამა განისაზღვრება, როგორც ორგანიზაციის, პროდუქტის მომსახურება ან იდეის შესახებ გარკვეული არაპერსონალური კომუნიკაციის ყველანაირი ფასიანი ფორმა სპონსორის მიერ დაფინანსებული".[1]

რეკლამა კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს მაყურებელთა, მკითხველთა, თუ მსმენელთა დარწმუნება, შეიძინოს რომელიმე ბრენდის (ფირმის) ნაწარმი ან ისარგებლოს ამა თუ იმ სერვისით. თანამედროვე რეკლამას საფუძველი ჩაეყარა მასობრივი პროდუქციის აღმოცენება-განვითარებასთან ერთად, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში. მომხმარებლამდე რეკლამის მისაწოდებლად იყენებენ სხვადასხვა სახის მედიასაშუალებას: ჟურნალ-გაზეთებს, რადიოს, ტელევიზიას, სოციალურ მედიას, აფიშებს, პოსტერებს, ელექტრონულ ფოსტას და სხვას. მარშალ მაკლუენმა რეკლამას მეოცე საუკუნის უდიდესი ხელოვნება უწოდა. რეკლამა მასკულტურის ფენომენია. რეკლამა უპირველესად იგება ადამიანის მისწრაფებაზე კეთილდღეობის, კომფორტის, სიამოვნებისა და სოციალური სტატუსის ამაღლებისაკენ. რეკლამა გარკვეულწილად აყალიბებს კიდეც ასეთ ადამიანს და შეუძლია მასობრივი სტანდარტებით მისი აზროვნების მიმართვა განსაზღვრული მიმართულებით.

რეკლამის ეფექტურობა მომხარებელზე მისი ზემოქმედების ხარისხით იზომება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რეკლამის ეფექტურობას

1 ბელჩი ჯ., ბელჩი მ. - „რეკლამა და პრომოცია" გვ.18

განსაზღვრავს: რეკლამის აღქმის სიზუსტე და სიმსუბუქე, მეხსიერებაში მისი შენახვის ხანგრძლივობა, სარეკლამო პროდუქტის შეძენის სურვილი და მომხმარებლის კმაყოფილების ხარისხი. რეკლამის ეფექტურობის გასაზრდელად, როგორც წესი, იყენებენ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მეთოდებს და მანიპულატორულ ტექნოლოგიებს. რეკლამა მიმართულია მასობრივ ცნობიერებაზე, იგი აიგება მოცემულ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებზე დაყრდნობით, ძირითადად ზემოქმედებს ფსიქიკის ემოციურ კომპენენტებზე, ინფორმაცია რეკლამაში გადმოცემულია ნათელ, მკაფიო, დასამახსოვრებელ ფორმაში, ხშირად იყენებენ მოულოდნელ, შთამბეჭდავ სიუჟეტებს და ა.შ.

რეკლამის ეფექტურობის საიდუმლოს და მის ფსიქოლოგიას წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს რეკლამა ადამიანთა ფსიქიკაზე (ზემოქმედების ფსიქოლოგია), ასევე მეორეს მხრივ,თუ როგორ აღიქმება რეკლამა მომხმარებელთა მხრიდან (მომხმარებელთა ფსიქოლოგია).

ფსიქოლოგიური ზემოქმედების თვალსაზრისით განასხვავევებენ სამი ტიპის რეკლამას: სინამდვილის სუბიექტურ მოდელზე ზემოქმედება, ქცევის მოტივაციასა და რეგულაციაზე ზემოქმედება და ფსიქიკის ფონურ მდგომარეობაზე ზემოქმედება.

სინამდვილის სუბიექტური მოდელი არის ცნობიერებაში არსებული სუბიექტური წარმოდგენები, რომელთა მეშვეობით იგი ცხოვრებისეულ პირობებზე ორიენტირებს. ზემოქმედების მეთოდებს ამ შემთხვევაში მიაკუთვნებენ ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა ყურადღების ფიქსაცია და ინფორმაციის მიწოდება. რეკლამაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა განწყობაზე ზემოქმედებას. ჩვენი განწყობები სამი ასპექტით გამოიხატება: რწმენა ანუ დაჯერება, ემოცია და ქცევა ანუ განწყობის მოქმედებაში გადასვლა. მაგ:, ადამიანი ირჩევს ყავა „იაკობს მონარქს“, რადგან დარწმუნებულია,რომ იგი სხვა ყველა მარკის ყავას სჯობს (რწმენა), მას „იაკობს მონარქი” უყვარს,რადგან მისი გემო მოსწონს (ემოცია), იგი ყიდულობს და სვამს ამ ყავას (ქცევა).

რეკლამის წარმატებისათვის აუცილებელია რეკლამის ფსიქოლოგიური ამოცანების გაანალიზება. ცნობილია რეკლამის მოდელირების რამდენიმე ვარიანტი. ყველაზე პოპულარულია ლევინსის და ლანდაუს ფორმულა (AIDA) (Attention -ყურადღება, Interest-დაინტერესება, Desiza- სურვილი, Action-ქმედება), მისი მოდიფიკაციაა AIDMA , სადაც M-არის (Motivation) მოტივაცია.

რეკლამის მიმართ უნდობლობის დასაძლევად სხვადასხვა ხერხის ძიებამ სპეციალისტები იმ ვარაუდამდე მიიყვანა, რომ ამ ბარიერის გადალახვა არაცნობიერზე ზემოქმედებითაა შესაძლებელი. ქვეზღურბლოვანის (სუბლიმირებულის) აღქმა ის ფენომენია, რომლის დროსაც ადამიანი ინფორმაციას იღებს და კიდეც რეაგირებს, თუმცა ამ პროცესს ის ვერ აცნობიერებს.

ცნობილია ე.წ. „ოცდამეხუთე კადრის“ ეფექტი. კინოლენტაზე დაფიქსირებული წარწერა „დალიეთ კოკა-კოლა“ , მაყურებელს 1/24 წამის განმავლობაში მიეწოდებოდა (ესაა კინოში კადრის გაელვების სიჩქარე). მართალია მას მაყურებლები ვერ ამჩნევდნენ და ვერ აცნობიერებდნენ, მაგრამ მაინც რეაგირებდნენ. ექსპერიმენტი „ოცდამეხუთე კადრზე“ პირველად 1957 წელს ჯონ ვაიკერმა ჩიკაგოს კინოთეატრში ჩაატარა. მან მეორე კინოპროექტორი დააყენა, რითაც ყოველ ხუთ წამში ხდებოდა დემონსტრირება „დალიეთ კოკა-კოლა“ ან „მიირთვით პოპკორნი“. სეანსის ბოლოს აღმოჩნდა, რომ „კოკა-კოლას“ და „პოპკორნის“ გაყიდვა ოციდან სამოც პროცენტამდე გაიზარდა.

რეკლამა ერთის მხრივ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის შემადგენელი ნაწილია, მეორეს მხრივ - კი მედიის, მასკულტურის ერთ-ერთ ძირითად ფენომენს წარმოადგენს. რაც უფრო მიმზიდველი და კრეატიულია რეკლამა, მით უფრო გვიჭირს ამოვიცნოთ მისი ქვეტექსტი და მანიპულატორული ბუნება, რისი მეშვეობით რეკლამა ასე ძლიერად აღწევს ჩვენს ცნობიერსა თუ ქვეცნობიერში. რეკლამის ეფექტურობაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ მომხმარებელზე მისი ზემოქმედების ხარისხით იზომება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბელჩი ჯორჯ .ი. ბელჩი მაიკლ. ე. - რეკლამა და პრომოცია ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ხედვა; გამომცემლობა „დიოგენე“ 2013. (მთარგმნელთა ჯგუფი) ;

2. გაფრინდაშვილი რ., ბანძელაძე მ. რეკლამის ფსიქოლოგია, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ. 2008 ;

3. თეზელიშვილი ს. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ.2005 . გვ.663

4. მაცაბერიძე მ. პოლიტიკური კომუნიკაცია: პოლიტიკური მარკეტინგი და პოლიტიკური რეკლამა; თემა VI, თბ. 2014;

5. საქართველოს სარეკლამო ბაზარი 2016. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ;

6. Мокшанцев Р.И. Психология рекламы: Учеб. пособие. М.: ИНФРА-М; Новосибирск; 2007. — 230 с.

7. ელ.რესურსი:
http://achulio.de/wie-wir-durch-fernsehen-und-werbung-manipuliert werden/

8. ელ.რესურსი: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe? საქართველოს პარლამენტის ეროვ. ბიბლიოთეკა.

ფირმათა შორის წარმოქმნილი ურთიერთობების რეგულირების საკითხისათვის

მერაბ გეჯუა
ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განიხილება ვერტიკალური და ჰორიზონტალური კონკურენციის სახეები და აღნიშნულია, რომ კონურენცია წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის განუყოფელ მოვლენას, რომელსაც ავტორები განმარტავენ, როგორც მეწარმე სუბიექტების შეჯიბრებითობას, რომლის პროცესში თითოეული მათგანის დამოუკიდებელი ქმედება ეფექტურად ზღუდავს სხვათა შესაძლებლობას, ცალმხრივი ზემოქმედება მოახდინონ შესაბამის ბაზრებზე. ავტორები მიიჩნევენ კონკურენციას ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურ კოორდინატორად და თვლიან, რომ ის დადებითად მოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობის თითქმის ყველა მხარეზე და აიძულებს მას რაციონალურად გამოიყენოს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები; გაზარდოს საკუთარი საქმიანობის ეკონომიკური და სოციალური ეფექტურობა; განახორციელოს კაპიტალის კონცენტრაცია; განავითაროს ინოვაციური პროცესები, შექმნას და აწარმოოს ახალი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

დასასრულ ავტორები ასკვნიან, რომ ფირმათშორისი ურთიერთობების გონივრულად განხორციელებული სახელმწიფო რეგულირება საშუალებას იძლევა, მოხდეს მოსახლეობისა და ეკონომიკური სუბიექტების ინტერესების მნიშვნელოვანი ტაოდენობის შეთანხმება.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, რაციონალურობა, სახელმწიფო რეგულირება, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, მსოფლიო თანამეგობრობის გამოცდილება.

FOR THE ISSUE OF REGULATING RELATIONS BETWEEN FIRMS

RESUME

The issues of horizontal and vertical faces competition, and notes that the market economy is an integral konurentsia event, the authors explain, as the compatibility of business entities, which effectively restricts the possibility of independent action of each of them, one-sided influence accordingly by Markets. The authors consider competition as an effective coordinator of economic activity and think that it positively affects almost every aspect of the organization's activities and makes it rational to use material, labor and financial resources; Enhance its economic and social effectiveness; Conduct capital concentration; Develop innovative processes, create and produce new high quality products.

შესავალი

კონკურენცია წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის განუყოფელ ელემენტს, რომელსაც განმარტავენ, როგორც მეწარმე სუბიექტების შეჯიბრებითობას, რომლის პროცესში თითოეული მათგანის დამოუკიდებელი ქმედება ეფექტურად ზღუდავს სხვათა შესაძლებლობას, ცალმხრივი ზემოქმედება მოახდინონ შესაბამისი ბაზრების საქონლისა და მომსახურების მიმოქცევაზე.

კონკურენცია წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურ კოორდინატორს. ის დადებითად მოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობის თითქმის ყველა მხარეზე და აიძულებს მას:

- რაციონალურად გამოიყენოს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები;
- გაზარდოს საკუთარი საქმიანობის ეკონომიკური და სოციალური ეფექტურობა;
- განახორციელოს კაპიტალის კონცენტრაცია;
- განავითაროს ინოვაციური პროცესები, შექმნას და აწარმოოს ახალი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ამასთან დაკავშირებით სახელმწიფომ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყონ კონკურენტული გარემოს შექმნას. კონკურენტული გარემო ვითარდება და ჯანსაღდება, თუ სახელმწიფო ხელს უწყობს ახალი, მათ შორის პატარა ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, კონკურენტული სტრუქტურების შექმნას, განსაკუთრებით დენაციონალიზაციის, სახელმწიფო ქონების კომერციალიზაცისა და პრივატიზაციის პროცესში.

ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკაში საკმაოდ არის გავრცელებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევები. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც მეწარმე სუბიექტების ნებისმიერი ქმედება, რომელიც სამეწარმეო საქმიანობაში პრიორიტეტების შეძენაზეა მიმართული და ეწინააღმდეგება არსებულ სამართლებრივ დებულებებს, საქმიანი ბრუნვის წესებს, კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, გონიერებას, სამართლიანობას და შეუძლია მიაყენოს (ან უკვე მიაყენა) ზარალი სხვა მეწარმე სუბიექტებს - კონკურენტებს, ან მათ საქმიან რეპუტაციას.

ზოგიერთი მეწარმე სუბიექტი ამა თუ იმ საქონლის ბაზარზე წარმოადგენს მონოპოლიას, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იკავებს დომინანტურ პოზიციას. მსოფლიო პრაქტიკამ შეიმუშავა ფორმალური მიდგომა შესაბამის ბაზარზე ორგანიზაციის მონოპოლიის, დომინანტური პოზიციის განსასაზღვრად, ანუ მისი მისი კრიტერიუმები. მონოპოლიად ძირითადად აღიქმება სიტუაცია, როდესაც:

• ერთი მწარმოებლის წილი შეადგენს 50%-ს ან მეტს, ორის - 75%-ს და მეტს;

• ახალი მწარმოებლებისათვის რთულია ინდუსტრიაში შეღწევა;

• ხდება ფასების მკვეთრი ზრდა გარკვეული მწარმოებლის (მწარმოებლების) პროდუქციაზე, რომელიც არ შეესაბამება ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობას;

• ფასების შემცირება ხდება თვითღირებულების შემცირების გზით, რომელიც არაპროპორციულად დაბალია სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის შედეგებთან შდარებით;

• გარკვეული მწარმოებლის შემოსავლის ნორმა, მისი ხარჯები, ინდუსტრიაში არსებულ დონეზე გაცილებით მაღალია.

დღეს, მსოფლიო პრაქტიკამ დააგროვა საკმაოდ მდიდარი გამოცდილება სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ საქმიანობაში და ეგრეთ წოდებული „შეზღუდული ბიზნესის პრაქტიკის (შბპ)“ მეწარმე სუბიექტების რეგულირებაში.

კანონმდებლობა, რომელიც დაკავშირებულია შბპ-თან, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად მოიხსენიება. აშშ-ში ეს არის ანტიტრასტული კანონმდებლობა, იაპონიაში - ანტიმონოპოლიური, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობაში - შემაკავებელი პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლა, გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში - ანტიკარტელური კანონმდებლობა და სხვა.

კანონის ყველა ეროვნულ სისტემაში, შბპ-თან მიმართებაში გამოიყენება განსხვავებული პრინციპების კომბინაცია: ჩვეულებრივ, იქმნება საერთო პრინციპი, რომელსაც ემატება შბპ-ს ზოგიერთი სხვა სპეციალურად განსაზღვრული აქტი. დღემდე ჩამოყალიბდა შბპ-ს მარეგულირებელი ორი სისტემა:

• ამერიკული, რომელიც მოქმედებს აშშ-ში, გერმანიაში და რამოდენიმე სხვა ქვეყანაში და გამომდინარეობს აკრძალვის პრინციპიდან, ანუ მონოპოლიის, როგორც ასეთის, ფორმალური და იურიდიული აკრძალვიდან; ჰორიზონტალური ანდა ვერტიკალური შეთანხმების, როგორც უკანონობის, აღიარება, კონკრეტული შედეგების შეფასებისა და საბაზრო ეკონომიკაზე მათი ზემოქმედების ეფექტის მიუხედავად;

• ევროპული (მიღებულია ევროკავშირში, იაპონიასა და რიგ სხვა ქვეყნებში), რომელსაც საფუძვლად უდევს კონტროლისა და რეგულირების პრინციპი. აქ მონოპოლიური ქმედება, რომელიც გამოიხატება ჰორიზონტალური ანდა ვერტიკალური შეთანხმებით, პრინციპში არ გამოირიცხება, მაგრამ დაშვებულია მანამ, სანამ არ არღვევს კანონით დადგენილ პირობებს.

მსოფლიო ეკონომიკამ ასევე დააგროვა ანტიმონოპოლიური კანონის დაცვის სახელმწიფო კონტროლის მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად ხორციელდება.

აშშ-ში, იაპონიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიასა და კანადაში კანონმდებლობის დარღვევის შესახებ კითხვა ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება საჩივრის შეტანა დაინტერესებული ფირმის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ.

სკანდინავიურ ქვეყნებში, ავსტრიაში, ესპანეთში და ევროკავშირის ქვეყნებში ზემოთ ხსენებული პროცედურების გარდა, მოქმედებს თვით მხარეების მიერ დადებული შეთანხმებების ან პირობების შემზღუდველი კონტრაქტების სავალდებულო შეტყობინების (ნოტიფიკაციის) პროცედურა; მეტიც, აუცილებელია მსგავსი შეთანხმებების რეგისტრაცია სპეციალურ შეთანხმებების ან კარტელის რეესტრში. თუმცა, ეს ვალდებულებები ყოველთვის არ სრულდება.

შბპ -ს კანონმდებლობის თანახმად, სანქციების სიას მიეკუთვნებიან:

• შემაკავებელი პრაქტიკის გარკვეული ფორმების განხორციელების აკრძალვა;

• რეკომენდაცია თავისუფალი კონკურენციის აღდგენის (ფასების გაზრდის, ლიცენზიების წარმოდგენის) ზომების შესახებ;

• დადებული შეთანხმების ან ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მთლიანად ანდა ნაწილობრივ იურიდიულად ბათილად ცნობა;

• კერძო საჩივრის მიხედვით ზიანის ანაზღაურება, კომპენსაცია;

• ჯარიმის ამოღება (აშშ-ში - 1 მლნ. დოლარი, იაპონიაში - 5 მლნ. იენი და ა.შ.)

• სისხლის სამართლის სანქციები კრიმინალური პროცედურის გახსნისას.

ქვეყნებში, სადაც არსებობს სასამართლო პროცედურები და ადმინისტრაციული ორგანოები, კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას რეკომენდებულია გარკვეული ზომების მიღება, რომელთა დარღვევის შემთხვევაში საქმე აღიძვრება სასამართლოში ან პირდაპირ ხდება სარჩელის შეტანა.

უცხოური გამოცდილების საქართველოში დანერგვისათვის, აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

• კომერციულ ორგანიზაციებთან ასოციაციების შექმნა, შერწყმა ანდა მიერთება;

• კომერციული ორგანიზაციების შერწყმა და მიერთება, თუ ბოლო ბალანსის მიხედვით მათი აქტივების ჯამი აჭარბებს 100 000 საარსებო მინიმუმს;

• სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების ლიკვიდაცია ანდა გაყოფა, თუ მათი აქტივები აჭარბებს 50 000 საარსებო მინიმუმს, ან თუ ამას ტან სდევს ისეთი სამეწარმეო სუბიექტის გამოჩენა, რომლის წილიც შესაბამის სასაქონლო ბაზარზე ჭარბობს 35%-ს;

• ძირითადი საშუალებების მწარმოებელი ერთი მეწარმე სუბიექტის (პირთა ჯგუფის) არამატერიალური აქტივების საკუთრებაში მიღება ან გამოყენება, თუ საკუთრების (რომელიც გარიგების საგანს წარმოადგენს) საბალანსო ღირებულება აჭარბებს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების

ანდა მეწარმე სუბიექტის არამატერიალური აქტივების 10%-ს;

• პირის (პირთა ჯგუფის) მიერ უფლებების შეძენა, რომლის მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს მეწარმე სუბიექტის მართვის პირობები მის სამეწარმეო საქმიანობაში ან განხორციელდეს მისი აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციების შესრულება.

იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ პირთა აქტივების საბალანსო ღირებულება აჭარბებს 100000 საარსებო მინიმუმს, ან ერთერთი მათგანი წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს, რომელიც შეყვანილია მეწარმე სუბიექტების რეესტრში და გააჩნია გარკვეული საქონლის ბაზარზე 35%-ზე მეტი წილი, აუცილებელია გარიგების განხორციელებისათვის წინასწარი თანხმობა.

ჩვენი აზრით, კანონით ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული კომერციული ორგანიზაციების იძულებითი გაყოფა. ასე რომ, თუ ასეთი ორგანიზაციები იკავებენ დომინანტურ მდგომარეობას და ჩადენილი აქვთ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ორი ან მეტი დარღვევა, სახელმწიფო ატიმონოპოლიურ ირგანოს აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება მისი იძულებით გაყოფაზე რამოდენიმე ორგანიზაციად, თუ, რა თქმა უნდა, ეს ხელს შეუწყობს კონკურენციის განვითარებას.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მქონე ქვეყნებში ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, როდესაც არსებობს შემდეგი პირობების კომბინაცია:

• მისი სტრუქტურული ერთეულების ორგანიზაციული და ტერიტორიული იზოლაციის შესაძლებლობა;

• მის სტრუქტურულ ერთეულებს შორის მჭიდრო ტექნოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების არქონა (კერძოდ, თუკი იურიდიული პირის მიერ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულის მოხმარებული პროდუქციის (სამუშაო, მომსახურება) მოცულობა არ აღემატება ამ ერთეულის მიერ გამომუშავებული პროდუქციის (სამუშაო, მომსახურება) მთლიანი მოცულობის 30%-ს;

• რეორგანიზაციის შედეგად იურიდიული პირების შესაძლებლობები, დამოუკიდებლად იმუშაონ გარკვეული საქონლის ბაზარზე.

დასკვნა

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფირმათშორისი ურთიერთობების გონივრულად განხორციელებული სახელმწიფო რეგულირება საშუალებას იძლევა, მოხდეს მოსახლეობისა და ეკონომიკური სუბიექტების ინტერესების მნიშვნელოვანი რაოდენობის შეთანხმება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adelman Morris A. Monopoly and Concentration: Comparisons in Time and Space, in Richard F. Law, ed. The Economics of Antitrust: Competition and Monopoly. Englewood Cliffs, N. J.: Prentice Hall, 1968.
2. Antitrust Enforcement Guidelines for International Operations. U.S. Department of Justice. Antitrust Division. November 10.1988 // International Business Law Materials. Tokyo. IBL institute. 1988. Vol. XIV. № 3.
3. Bork Robert. The Antitrust Paradox: a policy at war with itself. The Free Press. A Division of Macmillan, Inc. New York, 1993.
4. Caves Richard. American Industry: Structure, Conduct Performance,2nd ed. Englewood Cliffs. -N. J.: Prentice Hall, 1967.
5. Chamberlin Edward H. The Theory of Monopolistic Competition. -Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1948.
6. Dewey Donald. Antitrust and Economic Theory. 87 Yale L.J, 1978.
7. DiLorenzo Thomas J. The Origins of Antitrust: An Interest-Group Perspective // Rev. Law &. Econ. 1985.
8. Freyer T. Regulating Big Business: Antitrust in Great Britain and America, 1880-1990-N.Y., 1992.
9. Schemer F. M. Industrial Market Structure and Economic Performance, 2nd ed. Chicago: Rand Mc Nelly Company, 1980.

საჯარო ფინანსების რეფორმა და სახელმწიფო სატრანსფერო პოლიტიკა თვითმმართველ ქალაქებში

მაია გრძელიძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

დღეისათვის საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები საკუთარი შემოსავლებით, რთულად უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებას, რის გამოც ისინი, მეტწილად ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერებზე არიან დამოკიდებულნი. შესაბამისად სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ქვეყანაში ეფექტიანი სატრანსფერო პოლიტიკის გატარება და ტრანსფერების გაანგარიშებაში უმთავრესი სამართლიანობის პრინციპის დაცვა წარმოადგენს. გამომდინარე აქედან, სტატიაში მოკლედ არის აღწერილი საჯარო ფინანსების რეფორმის მიმდინარეობა და სახელმწიფო სატრანსფერო პოლიტიკა თვითმმართველ ქალაქებში.

საკვანძო სიტყვები: საჯარო ფინანსები; სატრანსფერო პოლიტიკა; ტრანსფერები; გრანტები.

REFORM OF STATE FINANCES AND STATE SUBVENTION POLICY IN SELF GOVERNING CITIES

Maia Grdzelidze, Doctoral student,
Georgian Technical University

SUMMARY

Nowadays in Georgia it is quite hard to support local self government budget expenditures with local incomes, that's why these budgets dependent on Subventions, allocated by state budget. Thereby the main task for state government is to make efficient subvention policy and to protect principle of equitability when calculating subventions. The article briefly describes reform process of state finances and state subvention policy in self governing cities.

Key Words: State Finances; Subvention Policy, Subventions, Grants

* * * *

საჯარო ფინანსების რეფორმა, რომელიც საქართველოში 2004 წლიდან დაიწყო გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის ზოგად გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაცის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან GFSM 2001 ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლას.

საქართველოში ადგილობრივი ფინანსების კუთხით, ბოლო წლებში მრავალი ცვლილება განხორციელდა, რომლებიც სხვადასხვაგვარად აისახა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე და ფინანსურ დეცენტრალიზაციაზე:

2006 წლის 24 მაისს მიღებულ იქნა კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ", რომელიც ძალაში 2007 წლის 1 იანვრიდან შევიდა. კანონმა დაარეგულირა ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების პრინციპები;
- ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება, შესრულება, აუდიტი, ზედამხდველობა, ანგარიშგება, შეფასებისა და კონტროლის წესი;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებები.

აღნიშნული საკითხები კანონის მიღებამდე, სხვადასხვა კანონებსა და ნორმატიულ აქტებში იყო გაბნეული.

2010 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი", რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც სიახლეს წარმოადგენდა თვითმმართველობისათვის, ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური გამოთანაბრების პრინციპის გათვალისწინება იყო; ეს პრინციპი გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულით აისახა კანონში. ფორმულის გაანგარიშება სხვადასხვა მონაცემსა და პარამეტრზე დაყრდნობით ხდება. სწორედ ამ ფორმულით გაანგარიშდება, თუ რა მოცულობის თანხას გამოყოფს სახელმწიფო კონკრეტული ტერიტორიული ერთეულისთვის.

2011 წელს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც მიზნად ისახავდა საბიუჯეტო პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის შეძლებისდაგვარად ნათელი წარმოდგენის შექმნას, პროგრამული ბიუ-

ჯეტის შედგენისა და ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნული მეთოდოლოგია განახლდა 2012-2015 წლებში, სადაც უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ უშუალოდ მხარჯავ დაწესებულებებს შეიმუშაონ პროგრამები და ქვეპროგრამები, მოამზადონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, განსაზღვრონ მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები მათი საშუალოვადიანი გეგმებიდან, სექტორული სტრატეგიებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე. მართალია პროგრამული მეთოდოლოგიის განახლება ამ ეტაპზე შეეხო ცენტრალური ხელისუფლების მხარჯავ დაწესებულებებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარეობს მუშაობა თვითმმართველი ერთეულების პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მეთოლოგიის დახვეწა გაუმჯობესებისათვის.

2014 წლის ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს ახალი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება, მუნიციპალიტეტის „საკუთარ უფლებამოსილებას“ განეკუთვნება. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ შესაბამისი ფუნქციები და უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელების უმთავრესი ინსტრუმენტი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტია. მისი მეშვეობით ხდება, როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო პრიორიტეტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ასევე, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის გადაცემული უფლებამოსილებების შესრულება.

2015 წლის 1 იანვრიდან საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა ყველა დონის ბიუჯეტის და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტის სრულად მოქცევა ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში, როგორც დაგეგმვის, ისე აღსრულების ეტაპზე.

2016 წელს მომზადდა კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და მთელი რიგი რეგულაციები 2017 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. ცვლილებების თანახმად, 2017 წლიდან დაწესდა დამატებითი შეზღუდვები სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილთან მიმართებაში, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეკონომიკური თავისუფლების აქტით განსაზღვრული ფისკალური წესებისა და ლიმიტების დაცვა. ცვლილებების თანახმად, პარლამენტი უფლებამოსილია ხარჯვითი ნაწილის ძირითადი პარამეტრები შეზღუდოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისთვისაც. ასევე, დაწესდა ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებისა და ოპტიმიზაციის ვალდებულება როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლებებისათვის. გამკაცრდა რეგულაციები, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ ბიუჯეტების დაგეგმვისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საგადასახადო შემოსავლების პროგნოზებთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინების აუცილებლობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები იყოფა 2 ჯგუფად:

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები — ჯამში 64 მუნიციპალიტეტი;

თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტები — ჯამში 5 თვითმმართველი ქალაქი.

თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მინიჭებული აქვს შემდეგ თვითმმართველობებს[1]: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი.

თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭება რიგ შემთხვევებში პრივილეგიებს გულისხმობს. მაგალითად: მოსაკრებლების შემოღებაში პრივილეგია — არსებობს მოსაკრებლები (ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის მოსაკრებელი), რომლებიც მხოლოდ თვითმმართველ ქალაქში მოქმედებს.

გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულაში პრივილეგია — კანონით აღიარებულია, რომ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს შორის შემდეგნაირადაა განაწილებული[2]: 63% - 5 თვითმმართველი ქალაქი; 37% - 64 მუნიციპალიტეტი.

5 თვითმმართველი ქალაქიდან ორს აქვს სპეციალური სტატუსი: თბილისი — საქართველოს დედაქალაქი და ბათუმი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი. ამ სტატუსიდან გამომდინარე, აღნიშნულ თვითმმართველ ქალაქებს გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულაში გააჩნიათ მნიშვნელოვანი პრივილეგია.

---

1 ადგილობრივი თვითმმართველობი კოდექსი, მუხლი 151.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილების (2017 წლის 26 ივლისს №1251) შედეგად 7 თვითმმართველ ქალაქს (თელავი, ოზურგეთი, ზუგდიდი, გორი, ამბროლაური, მცხეთა და ახალციხე) გაუუქმდა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, შესაბამისად მუნიციპალიტეტების რაოდენობა 76-დან შემცირდა 64-მდე.

2 "გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანება.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია სხვა ადმინისტრაციული ერთეულების და ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტებისგან. კანონმდებლობაში გაწერილი კომპეტენციების შესასრულებლად, საკუთარი შემოსულობების გარდა, ადგილობრივი თვითმმართველობა ცენტრალური ხელისუფლებისაგან დაფინანსებას ტრანსფერების სახით იღებს.

გათანაბრებითი ტრანსფერი, საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათანაბრებითი ფორმულის შესაბამისად გამოყოფილი თანხებია, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომლის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა.

რაც შეეხება მიზნობრივ ტრანსფერს, იგი დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრებია.

სპეციალური ტრანსფერი კი ეს არის გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერების გარდა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები, ხოლო კაპიტალური ტრანსფერი თვითმმართველი ერთეულის ინიციატივის საფუძველზე ინფრასტრუქტურული პროექტების გასახორციელებლად სხვადასხვა ბიუჯეტებს შორის გამოყოფილი სახსრებია, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან.

აღსანიშნავია, რომ დღეს არსებული კანონმდებლობით ფინანსთა მინისტრს აქვს მინიჭებული ერთპიროვნული უფლებამოსილება დაამტკიცოს გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქცია (მათ შორის, გაანგარიშებისას გამოყენებული სტატუსისა და მხარდაჭერის კოეფიციენტები). ეს ნიშნავს, რომ ფინანსთა მინისტრს შეუძლია მის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის ფარგლებში, ფორმულაში გამოსაყენებელი სხვადასხვა კოეფიციენტების შემოღებითა და მათი მოცულობების ცვლილებით, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობაზე. შესაბამისად გათანაბრებითი ტრანსფერის სამართლიანი განაწილების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კვლავ რჩება მისი გაანგარიშების წესის შეზღუდული საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

2017 წელს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში[3] ავტონომიური რესპუბლიკებისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გათანაბრებითი ტრანსფერის სახით სულ გათვალისწინებულია

3 „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი“ საქართველოს კანონი, 2016წ.

ანალიზისთვის აღებულია 2015-2017 წლები, შესაბამისად თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა 2015-2017 წლებში იყო 12.

ცხრილი 1: გათანაბრებითი ტრანსფერი თვითმმართველი ქალაქებისათვის (ათასი ლარი)

დასახელება	**2015 წლის ფაქტი**	**2016 წლის ფაქტი**	**2017 წლის გეგმა**	**სხვაობა 2016 წელთან**	**%**
თბილისი	412 282,2	242 182,2	332 182,2	**90 000,0**	**37 %**
ბათუმი	52 542,3	33 642,3	37 342,3	**3 700,0**	**11 %**
ქუთაისი	31 898,0	21 278,0	19 578,0	**-1 700,0**	**-8 %**
რუსთავი	16 133,8	11 093,8	10 693,8	**-400,0**	**-4 %**
თელავი	7 061,7	6 280,4	6 820,1	**539,7**	**9 %**
მცხეთა	1 737,2	1 663,6	2 555,0	**891,4**	**54 %**
გორი	9 946,7	9 311,0	9 485,8	**174,8**	**2 %**
ახალციხე	5 303,2	4 351,6	4 531,0	**179,4**	**4 %**
ამბროლაური	3 579,3	3 902,9	3 994,1	**91,2**	**2 %**
ოზურგეთი	6 252,1	5 120,4	4 370,4	**-750,0**	**-15 %**
ზუგდიდი	11 729,9	11 005,2	10 405,2	**-600,0**	**-5 %**
ფოთი	4 116,8	0,0	0,0	**0,0**	

654 762,3 ათასი ლარი, რაც, წინა წლის მონაცემებთან შედარებით 55 430,3 ათასი ლარით მეტია (9 %-იანი ზრდა), ხოლო 2015 წლის მონაცემებთან შედარებით 179 470,7 ათასი ლარით ნაკლებია (21%-იანი შემცირება). გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის უდიდესი ნაწილი 67% ნაწილდება 12 თვითმმართველ ქალაქზე, ხოლო დარჩენილი 33% დანარჩენ 64 მუნიციპალიტეტზე (მაგ. 2014 წ. - 64%, 2015 წ. - 67%%, 2016 წ.- 58 %).

2016 წელს თვითმმართველ ქალაქებზე გადაცემული გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობაში ყველაზე დიდი წილი (69.2%) თბილისზე მოდის, ხოლო 30.8% კი, დანარჩენ 10 თვითმმართველ ქალაქზე ნაწილდება. ყველაზე მცირე წილი - 0.5 % - თვითმმართველ ქალაქ მცხეთაზე მოდის, ხოლო თვითმმართველი ქალაქი ფოთი საერთოდ არ იღებს ტრანსფერს. თბილისი თავისი სტატუსით (დედაქალაქი) გამოირჩევა სხვა თვითმმართველობებისგან და მიუხედავად ამისა, მსგავსი დისბალანსი სხვადასხვა დონის თვითმმართველობებს შორის დაუშვებელია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თბილისის თვითმმართველობა ტრანსფერებით მიღებული სახსრების ნაწილს შეიძლება სოციალური პროგრამების განხორციელებასაც ახმარდეს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებული გამოთანაბრების მოდელი თბილისს სხვა ქალაქებთან შედარებით უპირატეს პოზიციაში აყენებს.

გრაფიკი 1: თვითმმართველ ქალაქებზე 2016 წელს გაცემული გათანაბრებითი ტრანსფერი
(წილი თვითმმართველ ქალაქებზე გაცემული გათანაბრებითი ტრანსფერის საერთო მოცულობაში)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გრანტებს თვითმმართველი ქალაქების 2015-2017 წლების ბიუჯეტების შემოსულობის 20-70% უკავია ზოგ შემთხვევაში 90%-ს აღწევს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და ადგილობრივი ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულების მაღალ ხარისხზე მიანიშნებს. თვითმმართველობების მიერ მიღებული გრანტების უდიდესი ნაწილი სხვა დონის ხელისუფლებიდან მიღებული გრანტებისაგან შედგება.

გრაფიკი 2: თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების გრანტების მოცულობა და მისი წილი მთლიან შემოსულობებთან 2015-2017 წლების მიხედვით (ათასი ლარი)



	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
თვითმმართველი ქალაქების შემოსულობა	1 247 280,9	1 142 837,6	1 217 425,6
თვითმმართველი ქალაქების გრანტები	730 394,9	424 896,2	541 091,5

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად მცირდება თვითმმართველი ქალაქებისთვის გამოყოფილი გრანტების მოცულობა, შესაბამისად შემოსულობების შემცირებაც გრანტების შემცირებით არის განპირობებული. 2016 წელს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში საგრძნობლად შემცირდა გრანტების მოცულობა, ხოლო 2017 წელს - უმნიშვნელოდ მოიმატა ზოგიერთ თვითმმართველ ქალაქში. რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2016 წლიდან საშემოსავლო გადასახადის გარკვეული კატეგორიები შედის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში[4].

2016 წელს თვითმმართველ ქალაქებზე გადაცემული გრანტების მოცულობაში ყველაზე დიდი წილი (70.1%) ქ.თბილისზე მოდის, 28.9% კი, დანარჩენ 11 თვითმმართველ ქალაქზე ნაწილდება. ყველაზე მცირე წილი - 1.3% - თვითმმართველ ქალაქ მცხეთაზე მოდის (იხ. გრაფიკი 3).

მნიშვნელოვანი დისბალანსია ერთ სულ მოსახლეზე გაცემული გრანტების მოცულობაშიც. 2016 წელს აქ ყველაზე დიდი წილი მცხეთაზე, ამბროლაურზე და ოზურგეთზე მოდის, რაც, ძირითადად, მოსახლეობის სიმცირის და დიდი მოცულობის კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერის გადარიცხვის შედეგია. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვს ქ. ფოთს და ქ. რუსთავს. ეს ლოგიკურიცაა, რამდენადაც ქ. ფოთს მიღებული აქვს მხოლოდ მიზნობრივი, სპე-

4 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად 2016 წლის 1 იანვრიდან 100%-ით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტების შემოსავლებში ჩაირიცხება: საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან); საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.

გრაფიკი 3: თვითმმართველ ქალაქებზე 2016 წელს გაცემული გრანტები
(წილი თვითმმართველ ქალაქებზე გაცემული გრანტის საერთო მოცულობაში)



ციალური და კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც გამოიყენება კონკრეტული მიზნობრიობით, ხოლო ქ. რუსთავი პირველ ადგილზე მყოფ ქალაქებთან შედარებით ხასიათდება მოსახლეობის სიდიდით.

გრაფიკი 4: გრანტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 2016 წელს (ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მნიშვნელოვანი დისბალანსია ერთ სულ მოსახლეზე გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობაშიც. 2017 წელს, ყველაზე დიდი წილი კვლავ ქ. ამბროლაურზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე წილი — ქ. რუსთავზე. ქ. ფოთი ტრანსფერს არ იღებს (იხ. გრაფიკი 5).

სახელმწიფო სატრანსფერო პოლიტიკის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აბსოლუტურ მაჩვენებლებში თვითმმართველობებისთვის გადაცემული ტრანსფერების მოცულობა თვითმმართველი ქალაქების შემოსავლების თითქმის ნახევარს შეადგენს. პრობლემას წარმოადგენს უთანაბრობა თვითმმართველ ქალაქებს შორის, ასევე, თვითმმართველობების ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი.

მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში ეფექტიანი სატრანსფერო პოლიტიკის შემუშავებისას ფინანსური რესურსების გაანგარიშების სიმარტივესთან ერთად,

გრაფიკი 5: გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 2017 წელს (ლარი)



წყარო: თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტები; სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მათი განაწილებისას სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინება, რამაც უნდა უზრუნველყოს ცალკეულ რეგიონებს შორის ფინანსური რესურსების სამართლიანი გადანაწილება, კონკურენცია და შეჯიბრებითობა, თუმცა აღნიშნულმა პრინციპმა არ უნდა გამოიწვიოს ყველა ერთი დონის თვითმმართველი ერთეულებისათვის ტრანსფერის თანაბარი მოცულობით გაცემა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ქვეყანაში ეფექტიანი სატრანსფერო პოლიტიკის გატარება და ტრანსფერების გაანგარიშებაში უმთავრესი სამართლიანობის პრინციპის დაცვა წარმოადგენს. ღეგულარულად უნდა გადაისინჯოს გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე ტრანსფერის გამოსაანგარიშებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გათანაბრების სამართლიანი სისტემის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონი, 2014 წ.
2. „გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე”, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანება.
3. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი“ საქართველოს კანონი, 2016 წ.
4. “საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, საქართველოს კანონი, 2010 წ.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge.
6. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge.
8. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა www.treasury.gov.ge.

ინოვაცია - საბანკო სფეროს განუყოფელი ნაწილი

მარიამ ხაბურზანია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ინოვაცია არის მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილება პროდუქტის შეთავაზებაში, მომსახურებაში, ბიზნეს-მოდელსა და მოქმედებაში. მარტივად, ინოვაცია არის რაიმე სიახლის ან უკვე არსებულის ახლებურად გაკეთება. ეს სიტყვა გამოიყენება ძალიან დიდი ცვლილებების აღსაწერად, რომლებიც გამოიწვევს ფირმის მოღვაწეობის წარმატებულ განვითარებას. ეს ცვლილებები შეიძლება დაკავშირებული იყოს ახალ ან გაუმჯობესებულ პროდუქტთან, პროცესთან, მარკეტინგულ დანახარჯებთან ინვესტიციებთან, ინტელექტუალური საკუთრების შექმნასთან ან ტექნოლოგიების შესყიდვასთან.

INNOVATION IS AN IMPORTANT PART OF THE BANKING SECTOR

Mariam Khaburzania
PhD student of GTU

SUMMARY

Innovation is an important positive change in product offerings, services, business models, and activities. Simply, innovation is something new or making one to new one. This word is used to describe the vast changes that lead to successful development of the firm's work. These changes may be associated with new or improved products, processes, investments with marketing expenses, acquisition of intellectual property or purchasing technology.

* * * *

21-ე საუკუნეში ინოვაციური პროცესები კომპანიების განვითარებისა და წარმატებულობისთვის ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მართალია, ინოვაციებისთვის Amazon-ს და Apple-ს ბევრად უფრო ფართო სამოქმედო არეალი აქვთ, ვიდრე, მაგალითად საბანკო სექტორს, თუმცა ინოვაციურობის გარეშე წინსვლა აქაც ზუსტად ისევე შეუძლებელია, როგორც დანარჩენ სფეროებში.

ინოვაცია ეს არის ბაზარზე ახალი სერვისი ან მეთოდი, რომლებიც ქმნიან ღირებულებას მომხმარებლისა და კომპანიისთვის. ისტორიულად, ტრადიციული ბანკები და ფინანსური ორგანიზაციები, გამოირჩეოდნენ მათი კონსერვატიული მიდგომებით და შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ბოლო 10-15 წელია, რაც ამ ინდუსტრიაში შესამჩნევი ცვლილებები შეინიშნება. მაგალითად, სულ უფრო ხშირად ვხედავთ ახალ მოთამაშეებს, რომლებიც კარდინალურად განსხვავდებიან ტრადიციული ბანკებისგან. Apple, Facebook, Amazon - ეს რა თქმა უნდა არასრული ჩამონათვალია იმ კომპანიებისა, რომლებიც უკვე გამოჩნდნენ ფინანსური სერვისების ბაზარზე და ცდილობენ უკეთესი მომსახურება შესთავაზონ მომხმარებელს. გარდა ამისა, ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარება და მათი ხელმისაწვდომობა სულ უფრო მეტ საშუალებას აძლევს სტარტაპებს და ახალ მოთამაშეებს შექმნან ახალი ტიპის საბანკო სერვისები.

სიტყვა ნოვატორი პირველად 1540 წელს ჩაიწერა. ინოვაცია ათწლეულების მანძილზე არსებობდა და დღესდღეობით მსოფლიო ამით ცხოვრობს და ვითარდება. ფინანსურ ინსტიტუტებს სჭირდებათ „ინოვაცია", რათა მოიზიდონ და შეინარჩუნონ მომხმარებელი. საბანკო ბაზარზე ახალი პროდუქტისა თუ მომსახურების განვითარება ისევე რთულია, როგორც ბევრ ფინანსურ ბაზარზე. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებელთათვის შემოთავაზებული არსებული საბანკო პროდუქტების ახალი ფორმები.

მნიშვნელოვანია ელექტრონული საბანკო პროდუქტები, რომელიც დღითიდღე იზრდება. ეჭვგარეშეა, რომ ელექტრონული საბანკო მომსახურება დაბალი რისკის მქონეა. განვითარებად ქვეყნებში ელექტრონული საბანკო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა მომგებიანობაზე ახდენს გავლენას.

რამდენიმე კვლევა ჩატარდა მომხმარებლებზე, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ელექტრონულ საბანკო მომსახურებას, მთავარია მომხმარებელს ამ სერვისებზე გამოყენების უნარ-ჩვევები განუვითარდეს.

რა თვალსაზრისით გააუმჯობესებს მეტი ინოვაცია ბანკის პოზიციებს?

მეტი ინოვაცია საბოლოოდ ნიშნავს მეტ ეფექტურ, ახალ პროდუქტს და სერვისს, რომელიც უკეთესად პასუხობს მომხმარებელთა მოთხოვნებს, ამარტივებს და უფრო კომფორტულს ხდის ადამიანების ურთიერთობას ბანკთან. ინოვაციები ასევე ხელს უწყობს კომპანიას გააიაფოს და მეტად ხელმისაწვდომი გახადოს უკვე არსებული სერვისები. ყველა ბანკი ცდილობს მომხმარებელს შესთავაზოს უახლესი ინოვაციური სერვისები, რომლებიც გამოირჩევა სიმარტივით და კომფორტულობით, ამავე დროს მომხმარებელთა გამოცდილების გათვალისწინებით არის შექმნილი.

როგორც წესი, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას 4-5წელი სჭირდება, რომ მათში ჩადებული ინვესტიცია სრულად გაამართლოს. დასაწყისში ახალი ტექნოლოგიები არის ძვირი და დაუხვეწავი. დროთა განმავლობაში მათი ხარისხი და შესაძლებლობები იზრდება და ფასი კლებულობს. სწორედ მაშინ ხდება ასეთი ინოვაციური ტექნოლოგიები მომგებიანი და ქმნიან მეტ ღირებულებას მომხმარებლისთვისა და კომპანიისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციები ხშირად ხარჯიანია, როგორც წესი დიდ კომპანიებში მათი სიძვირე არ წარმოადგენს ხოლმე მთავარ დაბრკოლებას. კომპანიის მაღალი შემოსავალი, პირიქით, ხელის შემშლელი ფაქტორიცაა, რადგან ამ დროს ხშირად მენეჯმენტი კონცენტრირდება არსებულ შემოსავალზე და უგულებელყოფს იმ პოტენციალს, რომელსაც ინოვაციები მოუტანენ ხვალ.

ინოვაცია საყოველთაოდ ცნობილია, როგორც საშუალება კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებისა და მიღწევისთვის. ამავდროულად, აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების წარმატებით გამოტანა ბაზარზე, პოზიციების შენარჩუნება და გარე გარემოში ცვლილებების ადაპტირება. თუმცა დოკუმენტირებული მტკიცებულებები ვარაუდობს, რომ ახალი ტექნოლოგიის წარმატებით მიღება მენეჯერების უდიდესი გამოწვევაა.

საბანკო საქმეში ინოვაციური კულტურის განვითარება, განსაკუთრებით დიდ ორგანიზაციებში, შეიძლება რთული იყოს. ბანკებს სჭირდებათ ფოკუსირება რისკის მენეჯმენტზე და ამისთვის უნდა გაითვალისწინონ ბევრი რეგულაცია. ბანკები, რომლებმაც შეძლეს ინოვაციური კულტურის განვითარება, როგორც პირველი ეროვნული ბანკი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და თურქეთში, დროთა განმავლობაში უფროსი მენეჯმენტის მხარდაჭრით განხორციელდა. ამის მნიშვნელოვანი ნაწილი არის ის, რომ ინოვაციის პროცესში რაც შეიძლება მეტი პერსონალის ჩართვა მოხდეს. წარმატებული ინოვაციების აღნიშვნა და დაჯილდოება (მაგალითად ფინანსური სტიმულებით) იწვევს ცნობიერების ამაღლებას.

ინოვაციებს შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ორგანიზაციის კულტურის განვითარებაში. აუცილებელია ორგანიზაციული სწავლების პროცესების დანერგვა იმისთვის, რომ თანამშრომლებმა მუდმივად ცვლად და რთულ გარემოში შეძლონ მუშაობა და და ორგანიზაციის განვითარებაზე ზრუნვა.

ყველა ორგანიზაცია ცდილობს გარკვეული ყურადღება დაუთმოს თანამშრომლებს. ბევრი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ აუცილებელია მათზე დაკვირვება, რადგანაც ე.წ. ფრონტის თანამშრომლები ტოპ-მენეჯმენტისგან განსხვავებით უკეთ ხედავს მომხმარებლის მოთხოვნებს, თუ რა მოსწონს მათ, რას ანიჭებენ უპირატესობას და ა.შ. ეს ყველაფერი საჭიროა, იმისთვის, რომ ორგანიზაციამ უკეთ განსაზღვროს თითოეული მომხმარებლის მოთხოვნა და გაითვალისწინოს შემდგომ ეტაპზე.

ინოვაცია საბანკო სფეროს განუყოფელი ნაწილია, იმიტომ, რომ ნებისმიერ განვითარებად ქვეყნებში კონკურენცია მაღალია. რაც დრო გადის, მომხმარებელი ითხოვს მომსახურების გაუმჯობესებას. იმისათვის რომ შევინარჩუნოთ არსებული კლიენტები და მოვიზიდოთ ახალი მომხმარებელი აუცილებელია სიახლეების დანერგვა, განვითარება, მომსახურების გაუმჯოსება და მომხმარებლის დაინტერესება ამ სიახლით.

განსხვავებულია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა. ეს შედარებით უფრო რთული პროცესია, რადგან საყურადღებოა ის საკითხი, თუ როგორ მიიღბს მას მომხმარებელი, რა შედეგს გამოიღებს მისი დანერგვა, რა ქცევა დაფიქსირდება მისი გამოყენებისას და ა.შ. არსებობს უამრავი ფაქტორი იმისა, რომ საკმაოდ ძლიერი ტექნოლოგიის დანერგვით კომპანიამ შესაძლოა იზარალოს ფინანსურად, თუ მას არ მოერგება მომხმარებელი და უარეს შემთხვევაში კლიენტს დაკარგავს ორგანიზაცია.

რატომ არის კარგი იდეები ასეთი მნიშვნელოვანი? ინოვაცია მნიშვნელოვანია რიგი მიზეზების გამო და აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი გავლენა პროდუქტიულობასა და ბიზნესის შესრულებასა და წარმატებაზე. საბანკო საქმიანობაში არსებობს მოთხოვნა, რომ ინოვაციის დაფინანსება მოსალოდნელ შემოსავლებთან ერთად არის მომხმარებლზე დამოკიდებული.

არსებობს სხვადასხვა ტიპის ინოვაცია, რაც ბანკებს საშუალებას აძლევს თავიანთი საქმიანობის ფოკუსირება განახორციელონ პრიორიტეტულ მიმართულებებში. ინოვაცია შეიძლება განისაზღვროს სამ იერარქიულ დონეზე:

1. **ძირითადი ინოვაცია.** უმეტესწილად ბიზნესში ყველაზე მეტი ძალისხმევა (დაახლოებით 70%) დროისა და რესურსების თვალსაზრისით ინოვაციების ამ კატეგორიაშია. ეს, ჩვეულებრივ, პროდუქციისა და მომსახურების გაუმჯობესებას ახდენს, ახალი და არსებული მომხმარებლების გამოცდილების ოპტიმიზაციის მიზნით.

2. **მიმდებარე ინოვაცია.** მიმდებარე ინოვაცია შეიძლება არ იყოს შესაძლებელი ყველა კომპანიისთვის, რადგან ეს შეიძლება იყოს ძალიან რთული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეძებს ახალ პროდუქციას. კომპანიის მთლიანი ინოვაციური ძალისხმევის 20%, ჩვეულებრივ, მიეკუთვნება ამ ტიპის საქმიანობას.

3. **ტრანსფორმაციული ინოვაცია.** ყველა ინოვაცია შეიძლება არ იყოს ახალი, მაგრამ ტრანსფორმაციულ დონეზე მიზნესი ეძებს ახალ პროდუქტე-

ბს ან ბაზრებს. ეს უფრო მაღალრისკიანია, ვიდრე სხვა ინოვაციების დონეები

ნებისმიერი ბიზნესისთვის რთულია სამივე ინოვაციური ტიპზე იყოს დაფუძნებული. ეს ყველაფერი ცხადია, მაგრამ ბევრი კარგი იდეა კარგა ხანია შეუმჩნეველია, რადგან იდეა იკარგება თუნდაც შესვენებაზე ყავის დალევისას საუბრის დროს.

დასკვნა

საბოლოოდ კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ინოვაციური ტექნოლოგიები ფართოდაა გავრცელებული კომერციულ საბანკო სექტორში. ისიც ცხადია, რომ ინოვაციების გარეშე დღესდღეისობით საბანკო სექტორი ვერ იარსებებს, არ მიეცემა განვითარების საშუალება, რაც ორგანიზაციის კრახს გამოიწვევს, ამისათვის აუცილებელია დაინერგოს როგორც ახალი მომსახურება და პროდუქტი, ასევე ინოვაციური ტექნოლოგიები.

რაც უფრო მეტი ინოვაცია იქნება და რაც უფრო მეტი სტანდარტული პროცესი გამარტივდება მით მეტად დაზოგავენ დროს ადამიანები. დღეს ნებისმიერი ადამიანისთვის დროს თავისი ფასი აქვს, ამიტომ აუცილებელი გახდა რევოლუციური სიახლეების დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://forbes.ge/news/1569/TBC-banki-meti-inovaciis-ZiebaSi
2. https://www.finextra.com/blogposting/14603/innovation-a-new-world-for-banking-or-a-new-bank-for-the-world
3. ლაშა ჯინჭარაძე, Harvard Business Review
4. https://ac.els-cdn.com/S187704281503815X/1-s2.0-S187704281503815X-main.pdf?_tid=01ba78e0-060a-11e8-8c9f-00000aab0f26&acdnat=1517350248_75dfb76d03ff4dcf3ed0f-54797cd5f52
5. http://icehm.org/upload/6786ED1214048.pdf

მართვის სისტემის მიზნები, საშუალებები და ამოცანები

მერაბ გეჯუა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე პირობებში მუდმივად ხორციელდება მართვის სისტემების განვითარება. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი მართვის სისტემის მიზნების, საშუალებებისა და ამოცანების თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის დახვეწასა და პრაქტიკული გამოყენების პრობლემების გადაჭრას ენიჭება. ნებისმიერი მართვის სისტემა იმთავითვე წარმოადგენს მიზანმიმართულ სისტემას, რომელსაც გააჩნია იერარქიული წყობა და ორგანიზებულია იმ მიზნების მისაღწევად, რომლებსაც ეწოდება მართვის სისტემის ფუნქციონირების მიზნები. ორგანიზაციის ფუნქციონირების მიზნების და ამოცანების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს თითოეულ ხელმძღვანელს და შემსრულებელს. ამისათვის აუცილებელია სისტემის რეალური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი და სისტემის ფუნქციონირების მიზნებთან და ამოცანებთან შედარება. შესაბამისად, სისტემაში მიმდინარე ნებისმიერი ორგანიზაციული საქმიანობა გამართლებულია. მიზნისა და საშუალების ურთიერთქმედება მდგომარეობს იმაში, რომ მიზანი არა მხოლოდ განსაზღვრავს ამა თუ იმ საგანს ან ქმედებას, როგორც მისთვის მისაღებ საშუალებას, არამედ თავად ისახება როგორც მნიშვნელოვანი რამ, რომელიც კონკრეტულობას იძენს მხოლოდ საშუალებასთან მიმართებაში — ანუ, აღნიშნული ურთიერთქმედება ატარებს ორმხრივი წინასწარი განზრახვის ხასიათს.

საკვანძო სიტყვები: მართვა. მართვის სისტემა. მართვის მიზნები. მართვის ამოცანები.

OBJECTIVES, MEANS AND TASKS OF MANAGEMENT SYSTEM

Merab Gejua
Associated Professor of Sokhumi State University

SUMMARY

The system of management is being developed in modern conditions. The great attention is paid to refining theoretical-methodological base of objectives, means and tasks of management system and to the solution of problems of practical usage. Any kind of management system represents effectual system itself, which has an hierarchy and is organized to achieve the goals of management system functioning. Information about the objectives and tasks of system functioning must be given to every manager or worker. Therefor permanent control of real condition of the system and comparison of system goals and tasks with its function is necessary. Therefore any organizational activity in a system is approved. Goals define not only the action or object as the acceptable mean but is itself is regarded as the important mean – that is the interaction of object and mean of system regarded as a mutual preliminary intension.

* * * *

ფირმის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება ითვალისწინებს ფირმის საქმიანობის მიზნების და ამოცანების განსაზღვრას, გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში ფირმის განვითარების სტრატეგიას, რაც ეფუძნება ფირმის პოტენციური შესაძლებლობების შეფასებასა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფას. ნებისმიერი მართვის სისტემა იმთავითვე წარმოადგენს მიზანმიმართულ სისტემას, რომელსაც გააჩნია იერარქიული წყობა და ორგანიზებულია იმ მიზნების მისაღწევად, რომლებსაც ეწოდება მართვის სისტემის ფუნქციონირების მიზნები. ორგანიზაციის ფუნქციონირების მიზნების და ამოცანების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს თითოეულ ხელმძღვანელს და შემსრულებელს. ამისათვის აუცილებელია სისტემის რეალური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი და სისტემის ფუნქციონირების მიზნებთან და ამოცანებთან შედარება. შესაბამისად, სისტემაში მიმდინარე ნებისმიერი ორგანიზაციული საქმიანობა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს უწყობს მისი ფუნქციონირების საბოლოო მიზანს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერი ორგანიზაცია უნდა იყოს ჩამოყალიბებული ისე, რომ სისტემის საერთო საორგანიზაციო საქმიანობა ემსახურებოდეს მხოლოდ იმ მიზნების რეალიზებას, რომლებისთვისაც იგი შეიქმნა თავდაპირველად.

მიზნები არის ორგანიზაციის იმ ცალკეული მახასიათებლების კონკრეტული მდგომარეობა, რომელთა მიღწევაც სურს ორგანიზაციას და რომელთა მიღწევაზე მიმართულია მისი საქმიანობა. იგი დაგეგმვის ამოსავალი წერტილია და საფუძვლად უდევს ორგანიზაციული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მიზნებს ეფუძნება ორგანიზაციაში მოქმედი მოტივირების სისტემა. საბოლოო ჯამში, მიზნები წარმოადგენს ცალკეული მუშაკების, ქვედანაყოფების და ზოგადად ორგანიზაციის შრომის შედეგების კონტროლისა და შეფასების პროცესის ათვლის წერტილს.

თანამედროვე საზოგადოება — ორგანიზებუ-

ლი საზოგადოებაა. ორგანიზების იდეა ადამიანებში გაჩნდა იმის გაცნობიერებით, რომ ადამიანი ვერ შეძლებს მარტო დააკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილება და სურვილი. თვით ორგანიზაციის გაჩენა უკავშირდება ადამიანებში საერთო მიზნების არსებობას, რაც ორგანიზაციის მართვას მიზანმიმართულ საქმიანობად აქცევს. თუ ორგანიზაციას არ გააჩნია მიზნები, მაშინ არც მისი მართვა არსებობს.

მიზნების პრობლემის საწყისად მოიაზრება პიროვნებასა და ორგანიზაციას შორის ურთიერთობები. ადამიანები ორგანიზაციის საჭიროებას ხედავენ, რადგან სჯერათ, რომ ეს არის მიზნების მისაღწევად ყველაზე ეფექტური გზა. ინდივიდის მიზნები — ერთადერთი მიზნებია, რომლებიც ობიექტურ სამყაროში არსებობს, რადგან ისინი აგებულია მის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებებზე. ამიტომ ინდივიდის მიზნების გარდაქმნა ორგანიზაციის მიზნებად — მნიშვნელოვანი სამოტივაციო ძალაა.

მიზნების დასახვა და მათ მისაღწევად სტრატეგიის განსაზღვრა მართვის პროცესის ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტს წარმოადგენს. არსებობს მოსაზრება, რომ რაც უფრო ზუსტად არის ჩამოყალიბებული და განსაზღვრული ორგანიზაციის მიზნები, მით უფრო ადვილია მათი მიღწევის საშუალებების მოძიება. ამ შემთხვევაში, მიზნების მიღწევის საუკეთესო ალტერნატიული საშუალებების მოძიებისას, ორგანიზაციის მიზნები ასევე მთავარ კრიტერიუმად რჩება. ხოლო, თუ ორგანიზაციის მიზნები ზუსტად არ იქნა განსაზღვრული ან გაურკვეველია, ორგანიზაციის ქცევის მიმართულებაც გაურკვეველი ხდება. უფრო მეტიც, თუ მიზნები არ იქნა მკაფიოდ განსაზღვრული, ორგანიზაციაში შეიძლება წარმოიშვას დავები, ხოლო თუ მოდავე მხარეები სხვადასხვა მიზნებისკენ მიისწრაფვიან, ძალიან რთული იქნება მათთვის საერთო აზრის ჩამოყალიბება მიზნების მიღწევის საშუალებების მოძიების საკითხში. თუ ორგანიზაციის ამოცანები ბუნდოვანია, მისი წევრები, სავარაუდოდ, ორგანიზაციის მიზნებს საკუთარი მიზნებით ჩაანაცვლებენ. მიზნის შინაარსი მოიცავს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს. ერთი მხრივ, მიზნები ასახავს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების ობიექტურ კანონებს (დროის დაზოგვის კანონი, ღირებულების კანონი და ა.შ.), მეორე მხრივ, მიზნები წარმოადგენს ცნობიერების პროდუქტს და ადამიანების მიერ ისეთნაირად ჩამოყალიბდება, რომ ასახავს მათ ინტერესებს.

პრაქტიკულ საქმიანობაში მიზანი წარმოადგენს ადამიანის სხვადასხვა ქმედებების ინტეგრაციის საშუალებას, ორგანიზაციისთვის კი — სხვადასხვა ადამიანების ქმედებების ინტეგრაციის საშუალებას გარკვეული წესისა ან სისტემის მიხედვით. მიზანი არის საწყისი წერტილი, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობას სუბიექტსა და მართვის ობიექტს შორის. ორგანიზაციის სტრუქტურაში მათი ურთიერთქმედება ხასიათდება მიზნის, საშუალებისა და შედეგის დიალექტიკით.

მიზანი არის საქმიანობის შედეგების იდეალური აღწერა, ხოლო თვით საქმიანობა — მიზნის მიღწევის პროცესს წარმოადგენს. ისევე როგორც მიზნის შინაარსი განისაზღვრება მართვის ობიექტის ირგვლივ ობიექტურად არსებული პირობებით, მისი რეალიზება ხდება მართვის სუბიექტის ხელთ არსებული საშუალებებით. მიზნიდან შედეგზე გადასვლა არ ხდება უშუალოდ. არა ადამიანის მიერ ჩამოყალიბებულ მიზნებს მივყავართ კონკრეტულ შედეგამდე, არამედ მათი მიღწევის პროცესს გარკვეული მატერიალური საშუალებების დახმარებით.

ქართულ სამეცნიერო წრეებში, სამწუხაროდ, არასაკმარისი ყურადღება ექცევა მიზნისა და საშუალების ურთიერთქმედების პრობლემას. მიზნისა და საშუალების ურთიერთქმედება მდგომარეობს იმაში, რომ მიზანი არა მხოლოდ განსაზღვრავს ამა თუ იმ საგანს ან ქმედებას, როგორც მისთვის მისაღებ საშუალებას, არამედ თავად ისახება როგორც მნიშვნელოვანი რამ, რომელიც კონკრეტულობას იძენს მხოლოდ საშუალებასთან მიმართებაში — ანუ, აღნიშნული ურთიერთქმედება ატარებს ორმხრივი წინასწარი განზრახვის ხასიათს.

მმართველობით პრაქტიკაში, ძალზე მნიშვნელოვანია მიზნისა და საშუალების ერთმანეთისაგან გამოყოფა. ერთმანეთში ამ ორის შერევა, როგორც წესი, სასურველ შედეგს არ იძლევა. ჩვეულებრივ ის, რაც ორგანიზაციაში მართვის ობიექტისთვის (ქვემდგომი ქვედანაყოფისთვის) მიზანს წარმოადგენს, სუბიექტისთვის მიზნის მისაღწევი საშუალებაა.

მიზნები გადაიქცევა სტრატეგიული მართვის ინსტრუმენტად, როდესაც ისინი: განსაზღვრულია ან ფორმულირებულია, ცნობილია თანამშრომლებისთვის და მიღებულია მათ მიერ შესასრულებლად. მიზნების ფორმულირება — ძალიან რთული პროცესია. მიზნის ხარისხი განაპირობებს ორგანიზაციის ბედს, მის წარმატებას ან წარუმატებლობას. შესაბამისად, ამ პროცესისადმი გარკვეული მოთხოვნებია წაყენებული.

მიზნის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი მიღწევადობა, რეალურობა. მიუღწევადი, არარეალური მიზნები შემსრულებლებში მოტივაციას არ იწვევენ, და შეუძლიათ საერთოდ დაუკარგონ რაიმეს კეთების სურვილი მიზნის მისაღწევად. ადვილად მიღწევად მიზნებს სუსტი მოტივაცია ახასიათებს. თუ ტექნიკურად სუსტი საწარმო შეეცდება აწარმოოს ისეთი პროდუქცია, რომელსაც აქვს მსოფლიო დონის ხარისხი, ამან შეიძლება გამოიწვიოს ნიჭიერი და საღად მოაზროვნე ინჟინრების და მმართველების გადინება საწარმოდან.

მიზნები შემსრულებლისთვის გასაგები და მკაფიოდ ფორმულირებული უნდა იყოს. მიზნების შემსრულებელი გარკვეული უნდა იყოს იმაში, თუ რას ელიან მისგან. გასაგები მიზანი გვაძლევს საშუალებას დავინახოთ სწორედ ის, თუ რა უზრუნველყოფს ამ მიზნის განხორციელებას. ერთი მხრივ, მიზანი მაქსიმალურად ხარისხობრივი ტერმინებით (უკეთე-

სი, უფრო სრულყოფილი, უფრო ეფექტური, უფრო მოქნილი და ა.შ.) უნდა იყოს აღწერილი, მეორე მხრივ კი — მას საჭირო რაოდენობრივი გაფორმება უნდა ჰქონდეს. მიზანი გაზომვადი უნდა იყოს. თუ მართვა გსურთ, გაზომვა უნდა შეგეძლოთ. მიზნის „არაზომვადობა" უზღუდავს შემსრულებელს პროგრესის ხარისხის განსაზღვრის შესაძლებლობას მიზნის მიღწევის პროცესში. მიზანს უნდა ჰქონდეს შესრულების ვადები, რადგან ვადების გარეშე იგი მუდმივად დააბრუნებს შემსრულებელს მოქმედების საწყის წერტილთან. ხოლო თუ ვადის შიგნით არ არის განსაზღვრული ეტაპები, ნაბიჯები და ა.შ., შემსრულებელს არ ეცოდინება შემდეგ რა გააკეთოს. შედეგად, მივიღებთ დაბნეულობას, საწყისისკენ დაბრუნებას, გამეორებას.

მიზანი უნდა იყოს ფორმულირებადი და ფორმალიზებადი. ეს აძლიერებს მის გავლენას და ზრდის ვალდებულებებს მის მიმართ. მიზნების ზეპირი დასახვა აღარ ტოვებს კვალს და ადვილად დავიწყებადია. დოკუმენტურად ჩაწერილი და გამოთვლადი მიზანი უფრო ზუსტი ორიენტირებულობის საშუალებას იძლევა მისი შესრულებისა და შედეგიანობის მიღწევაში.

ინდივიდების, ჯგუფებისა და ორგანიზაციის მიზნები ერთობლიობაში თავსებადი უნდა იყოს. ეს ადამიანებსა და ქვედანაყოფებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილებას უწყობს ხელს. მიზნის მიუღებლობა იწვევს მის შეუსრულებლობას, გაჭიანურებას, წინააღმდეგობას. შედეგად კი, მიზნის ფორმულირებამ შეიძლება მოითხოვოს საკმაოდ დიდი ძალისხმევა შეთანხმების, მოლაპარაკებების და მხარეთა დარწმუნების დროს.

ძალიან მნიშვნელოვანია მიზნების შეთანხმების პროცედურა. ორგანიზაციის საერთო მიზნები, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს მოლაპარაკების მუდმივ პროცესს მის ერთეულებს (ქვედანაყოფებს) შორის შეთანხმების მიღწევის მიზნით. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს ორგანიზაციაში საკუთარი ინტერესები აქვთ და კომპრომისის ძიებისას ისინი საერთო საფუძველს პოულობენ, რომელიც აღმოფხვრავს მათ უთანხმოებებს. პრაქტიკაში არსებობს ორი ტიპის მსგავსი პროცესები: მიზნების შეთანხმება ჰორიზონტალის მიხედვით და მიზნების შეთანხმება ვერტიკალის მიხედვით. მიზნების შეთანხმება ჰორიზონტალის მიხედვით არის ორგანიზაციულ მიზნებთან დაკავშირებით მოლაპარაკების მიღწევა ფუნქციური, ტექნოლოგიური ან საწარმოო ჯაჭვის ქვედანაყოფებს შორის. წარმოების მუშაკთა საგონებელს წარმოადგენს მწარმოებლურობის ამაღლება, ხოლო მარკეტინგის განყოფილება მიზნად ისახავს კომპანიის საბაზრო წილის გაზრდას. ამავდროულად საწარმოს ხელმძღვანელის ამოცანას წარმოადგენს საწარმოს მომგებიანობის გაზრდა.

ამ პრობლემის გადაჭრის ორი მიდგომა არსებობს.

1. ხელმძღვანელს შეუძლია ავტორიტარული წესით დაადგინოს თითოეული ზემოხსენებული ქვედანაყოფის ადგილი და როლი საერთო მიზნის მიღწევაში. ამ შემთხვევაში, ის ეყრდნობა პროცესის ისეთ ნიშანთვისებას, როგორიცაა ქვედანაყოფის სურვილი ოღონდ შეინარჩუნოს საკუთარი სამუშაოს სტაბილურობა და არ შემოიღოს არსებითი ცვლილებები.

2. ხელმძღვანელს შეუძლია გამოიყენოს ჰორიზონტალური კავშირების (გამჭვირვალე პროექტები, სამიზნე ჯგუფები, საწარმოო პროგრამები, კომიტეტები, საბჭოები და ა.შ.) ეფექტური მექანიზმები, სადაც სხვადასხვა ქვედანაყოფების წარმომადგენლები ორგანიზაციულად ერთი მიზნით იქნებიან შეკრულნი.

მიზნების შეთანხმება ჰორიზონტალურად ყოველთვის ორგანიზაციის ფარგლებში ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვედანაყოფებს გააჩნიათ დამოუკიდებელი კავშირი გარე წრეებთან, მათ შორის პირდაპირი კონტაქტები უცხო პირების ჩარევის გარეშე ხდება.

ცოტათი სხვაგვარად გამოიყურება მიზნების შეთანხმება ვერტიკალის მიხედვით. აქ პროცესი მოიცავს მოლაპარაკებების ჩატარებას არა მხოლოდ ორგანიზაციის შიგნით, და უფრო ხშირად არა შიგნით, არამედ ორგანიზაციის გარეთ არსებული ძალებით. მიზნების შეთანხმება ვერტიკალურად მოიცავს ორგანიზაციის მიზნებთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევას სამ დონეს შორის: მის ხელმძღვანელსა ან მფლობელს, საზოგადოებრივ ინსტიტუტებს (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, პროფესიული საზოგადოებები და ა.შ.) და მუშაკებს შორის, რომლებიც ხშირად წარმოდგენილია მათი პროფკავშირებით. მუშაკები დასაქმებულნი არიან ორგანიზაციაში, ორგანიზაცია კი საზოგადოებაში თანაარსებობს.

საზოგადოების მიზნები საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია — თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნებით დაწყებული, გარემოს დაცვისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვით დამთავრებული. საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ამგვარი მრავალმხრივობა და მრავალფეროვნება არ აძლევს ორგანიზაციას საშუალებას მკაფიოდ და ნათლად განსაზღვროს, რა სურს საზოგადოებას. რეალურ ცხოვრებაში საზოგადოება წარმოდგენილია სხვადასხვა ინტერესების მქონე ჯგუფების მიერ, რომლებიც ზეწოლას ახდენენ ორგანიზაციაზე. მაგალითად, საქართველოში საყოველთაოდ არის ცნობილი საწარმოს მიზნებზე გავლენისათვის უფლების მოსაპოვებლად მუდმივი ბრძოლა ცენტრალურ და ადგილობრივ, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის. ასევე ცნობილია, რომ ისინი განსხვავებულად ხედავენ იმ საწარმოების მიზნებს, რომლებსაც აქვთ ზოგადეროვნული ან ადგილობრივი მნიშვნელობა.

საწარმოს მფლობელთა ან ხელმძღვანელთა მიზნები, მიუხედავად საკუთრებისადმი მათი განსხვავებული მიდგომისა, ხშირად ატარებენ ფინანსურ ხასიათს, რადგან იძლევიან საშუალებას გამოყენებულ იქნას ისეთი უნივერსალური მაჩვენებელი,

როგორიცაა მოგება, რათა დადგინდეს ზოგადად მათი მდგომარეობა საზოგადოებაში.

სხვადასხვა ორგანიზაციებში მიზნების დადგენის პროცესს თავისი თავისებურებები გააჩნია. ზოგიერთ ორგანიზაციაში მიზნების დასახვა სრულად ცენტრალიზებულია, სხვებში კი მოქმედებს მიზნების დასახვის დეცენტრალიზებული სქემა.

თითოეულ ზემოაღნიშნულ ვარიანტს აქვს საკუთარი უპირატესობები და უარყოფითი მხარეები, თავისი თავისებურებები განხორციელებისას. მიზნების დასახვაში სრული ცენტრალიზაციის შემთხვევაში, ისინი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე განისაზღვრება. ასეთი მიდგომის შემთხვევაში ყველა მიზანი ექვემდებარება ერთიან ორიენტაციას. ეს გარკვეულ უპირატესობას წარმოადგენს. ამ ვარიანტის მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ ორგანიზაციის ქვედა დონეებზე შეიძლება მოხდეს დადგენილი მიზნების უარყოფა და მათ მიმართ წინააღმდეგობაც კი.

დეცენტრალიზაციის შემთხვევაში, მიზნების დასახვის პროცესში ზედა დონესთან ერთად ორგანიზაციის ქვედა დონეებიც მონაწილეობენ. არსებობს მიზნის დეცენტრალიზებული დასახვის ორი სქემა. პირველ სქემაში, მიზნების დასახვის პროცესი ზემოდან ქვემოთ მიმდინარეობს. მიზნების დეკომპოზიცია შემდეგნაირად ხდება: ორგანიზაციის თითოეული ქვედა დონე განსაზღვრავს თავის მიზნებს იქიდან გამომდინარე, თუ რა მიზნებია დადგენილი უფრო მაღალ დონეზე. მეორე სქემა გულისხმობს, რომ მიზნების დასახვის პროცესი ქვემოდან ზემოთ მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ქვედა რგოლები ადგენენ მიზნებს, რომლებიც საფუძვლად ედება მომდევნო, უფრო მაღალ დონეზე მიზნების დასახვას.

მიზნებისა და ამოცანების გამიჯვნის პრობლემა საქართველოში მეტ-ნაკლებად წარმატებით არის შესწავლილი. განსხვავება მიზნებსა და ამოცანებს შორის ხდება იმ დონის მიხედვით, რომელზეც ისინი მოქმედებენ ორგანიზაციაში. ამოცანებს კავშირი აქვს ორგანიზაციის ან მისი ფილიალების ცალკეულ ქვედანაყოფებთანაც.

შესაძლებელია ასევე ამოცანების არსებობა მიზნებში, მაგრამ ქვედანაყოფების დონეზე, თუ ისინი ჩართულია მიზნების მიღწევის პროცესში. ამ შემთხვევაში, ამოცანები წარმოადგენს საერთო მიზნების გადაფორმულირებას მათი მიღწევის იმ ნაწილში, რომელიც ევალება ცალკეულ ქვედანაყოფებს (მაგალითად, კომპანიის მიზანი — მიიღოს გაყიდვების მოცულობის ზრდის გარკვეული პროცენტი, შეიძლება გადაფორმულირდეს როგორც საწარმოო ქვედანაყოფის, მარკეტინგის განყოფილების, სატრანსპორტო საამქროს, ფინანსური სამსახურის და ა.შ. კონკრეტული ამოცანა).

ამოცანები უფრო მოკლევადიან ხასიათს ატარებს, ვიდრე მიზნები, რადგან ისინი დაკავშირებულია მიმდინარე საქმიანობის დაგეგმვასთან. ეს ხშირად იწვევს იმას, რომ ამოცანები, მათი ბუნებიდან გამომდინარე, არის მრავლობითი, რადგან ოპერატიულ ხასიათს ატარებს და შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის საქმიანობის მიმართულების მიხედვით. შიდა საფირმო დაგეგმვა მოიცავს: იმ ამოცანების განსაზღვრას, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია მიზნების მისაღწევად, ამ ამოცანების გადაჭრის საშუალებების და გზების, საჭირო რესურსების, მათი წყაროების და განაწილების მეთოდების განსაზღვრას.

დაგეგმვის ამოცანები ფორმულირდება შემდეგნაირად:

1. საწარმოსა და ინდივიდუალურად თითოეული მისი ქვედანაყოფის ცალკეული მიზნების კონკრეტიზაცია დაგეგმილი პერიოდისათვის.

2. საწარმოს დასახული მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელი მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების განსაზღვრა და გამოვლენა.

3. პროდუქციის შემუშავების, წარმოებისა და გასაღების შესახებ სამეცნიერო კვლევების კოორდინირებულობის უზრუნველყოფა.

4. დაგეგმვის პროცესის ინტეგრაცია და შეთანხმება საწარმოს მარკეტინგულ საქმიანობასთან და მართვის სხვა ფუნქციებთან (ორგანიზება, კონტროლი, მოტივაცია), მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ამაღლების მიზნით.

შიდასაფირმო დაგეგმვა ეფუძნება სამომხმარებლო მოთხოვნის გამოვლენას და პროგნოზირებას, ანალიზს და არსებული რესურსებისა და საბაზრო კონიუნქტურის განვითარების პერსპექტივების შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Armstrong's Handbook of Human Resource Management Practice; https://otgo.tehran.ir/Portals/0/pdf/Armstrong's%20Handbook%20of%20Human%20Resource%20Management%20Practice_1.pdf

2. Torrington D., Hall L., Taylor S., Human Resource Management https://www.thehousekeepingdirector.com/uploads/6/8/2/6/6826042/18959996-human-resource-management-6th-edition.pdf

3. Guest D. Human Resource Management: the workers' verdict // Human Resource Management Journal. 2017, No 9(2). P. 5 – 25.

4. Storey, J. Human Resource Management: A Criticfl Text. London: Routledge Revivals, 2010. 399 p.

ორგანიზაციის ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის ფუნქციონირების ასპექტები

ნატო თუშიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ჩვენი აზრით, ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბება ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების მართვის სისტემის შეფასების ეფექტიანობის გაზრდას და უფრო ადეკვატური, რაციონალური და ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებას, რომლებიც მიმართულია მართვის სისტემის სრულყოფაზე. გარდა ამისა, შიდა აუდიტის შედეგები ორგანიზაციის თანამშრომლებს და დაინტერესებულ პირებს (ინვესტორი, სახელისუფლებო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ა.შ.), უფლებას აძლევს მიიღოს დამატებითი, უფრო დეტალური ინფორმაცია ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მდგომარეობის შესახებ.

ავტორის მიერ ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის ქვეშ იგულისხმება ორგანიზაციის ადამიანური რესურსების კომპლექსური მრავალმხრივი დიაგნოსტიკა და გამოყენების ეფექტიანობის შეფასება, რომელიც ხორციელდება ხელმძღვანელების და (ან) მესაკუთრის ინტერესებიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, აუთსორსინგი, კო-სორსინგი; ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული, იერარქიული.

ASPECTS OF THE ORGANIZATION'S HUMAN RESOURCES INTERNAL AUDIT SYSTEM FUNCTIONING

Nato Tushishvili
PhD student of GTU

RESUME

In our view, establishment of the internal audit system of human resources will help increase the efficiency of assessment of human resource management system and to develop more adequate, rational and effective measures, which are directed towards perfection of the management system. In addition, the internal audit results to the organization's employees and interested persons (Investor, government bodies, public organizations, etc.) ensure the additional, more detailed information about the organization's human resources management system. Under the internal audit of human resources by the author complex multilateral diagnostic of human resources of the organization and evaluation of the effectiveness of the use, which is carried out in the interests of the heads and (or) owner.

Keywords: Internal audit, Outsourcing, Co-sourcing, Centralized, Decentralized, Hierarchical.

შესავალი

თანამედროვე კონკურენციის პირობებში კომპანიებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება გაზარდონ მართვის ეფექტიანობა. აქტიურად მუშავდება სტრატეგიული მართვის ინოვაციური მექანიზმებისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი კომპლემენტარულ-ადაპტური საშუალებები, იხვეწება მეთოდები, ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები. უკანასკნელ პერიოდში გადაწყვეტილების მიმღები პირები დიდ ყურადღებას უთმობენ მონაცემების უფრო სასარგებლო ინფორმაციად და მათ ცოდნად გადაქცევის პროცესს. [1, გვ. 334]. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის და მათი კონტროლის მექანიზმების შესწავლა.

„ორგანიზაციის თანამშრომლის, როგორც ღირებული რესურსის აღქმა სრულიად ახლებურად აყალიბებს ამ სფეროს მართვის ამოცანების შესახებ წარმოდგენებს. ჩნდება სრულიად ახალი ფაქტორების აღრიცხვის აუცილებლობა, როგორიცაა: ადამიანური რესურსების შესაბამისობა ორგანიზაციის გრძელვადიან განვითარებასთან, ბაზრის ცვალებად მოთხოვნილებებთან და ბიზნეს-გარემოსთან მათი მოქნილად ადაპტირების უნარი“ [2, გვ. 36]. აქედან გამომდინარე, ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის ორგანიზაციის საკითხები მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემათა რიგში დგას თანამედროვე ორგანიზაციებისათვის.

ძირითადი ნაწილი

დღესდღეობით, არსებობს სამი ძირითადი მიდგომა კომპანიის შიდა აუდიტის ჩამოყალიბებისადმი და მისი რეალიზაციის სამი ძირითადი ასპექტი.

ორგანიზაციის ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის ასპექტებია: **სივრცობრივი**; **დროებითი**; **საინფორმაციო-ტექნოლოგიური.**

სივრცობრივი ასპექტი მოიცავს მიზანს, აუდიტის ობიექტსა და სუბიექტს. **დროებითი ასპექტი** წარმოადგენს ინფორმაციის დამუშავების და მიწოდების ვადებს. **საინფორმაციო-ტექნოლოგიური ასპექტი** მოიცავს ინფორმაციის წყაროს, მისი მიღების მეთოდებს, მიზნების მისაღწევ საშუალებებსა და ასევე ტექნიკურ საშუალებებს აუდიტის გაძღოლისთვის. სამივე ასპექტი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც არ გამორიცხავს მათ შეფარდებით დამოუკიდებლობას.

შიდა აუდიტის სისტემის აგებისთვის არსებობს სამი ძირითადი მიდგომა: **აუთსორსინგი**; **კო-სორ-**

სინგი; ორგანიზაციის აუდიტის საკუთარი სამსახურის ჩამოყალიბება.

ორგანიზაციას აუდიტის ჩასატარებლად **აუთსორსინგის** გამოყენება, ე.ი. შიდა აუდიტის ფუნქციების გადაცემა სპეციალიზირებული კომპანიისათვის ან გარე კონსულტანტისთვის. **აუთსორსინგის** არსი მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაცია ყველა რესურს თავს უყრის საქმიანობის იმ სახეობაში, რომელიც მისთვის ძირითადია, და დანარჩენ თანმდევ ფუნქციებს გადასცემს პროფესიონალ პარტნიორებს. ამრიგად, აუთსორსინგის ქვეშ იგულისხმება სახელშეკრულებლო საფუძველზე გარე შემსრულებლებისათვის ორგანიზაციის არაპროფილური ფუნქციების ხანგრძლივი ვადით გადაცემა, რომლებიც დახელოვნებულები არიან კონკრეტულ დარგში და გააჩნიათ ცოდნა, გამოცდილება და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა.

არ შეიძლება აუთსორსინგს მივაკუთვნოთ ნებისმიერი მომსახურების გამოყენება, რომელსაც ახორციელებენ გარე შემსრულებლები. აუთსორსინგის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ზუსტად ხანგრძლივი ვადით ორგანიზაციის რაიმე არაპროფილური საქმიანობის გადაცემა, რომელიც პრინციპში შეიძლება საკუთარი ძალებითაც განხორციელდეს.

აუდიტის დარგში აუთსორსინგის გამოყენების ძირითადი უპირატესობები მდგომარეობს შემდეგში:

• სხვადასხვა დარგში ექსპერტების მომსახურების გამოყენების შესაძლებლობა;

• წვდომა მაღალპროფესიული აუდიტორული კადრებისადმი;

• მოქნილობა აუდიტორული რესურსების მოზიდვის საკითხებში;

• წვდომა მოწინავე ტექნოლოგებზე და შიდა აუდიტის ჩატარების მეთოდიკებზე.

აუთსორსინგის ძირითად ნაკლოვანებებს შეიძლება მივაკუთნოთ ის, რომ გარე სპეციალისტებს საკმაოდ გაუჭირდებათ გაითვალისწინონ ორგანიზაციას საქმიანობის მთელი სპეციფიკა და თავისებურებები, ურთიერთკავშირები და ორგანიზაციის საორგანიზაციო კულტურა და სტრუქტურები. ჩვენი აზრით, ეს ასპექტები შეიძლება ნეგატიურად აისახოს აუდიტორული შემოწმების ეფექტიანობაზე. განსაკუთრებით, ეს დამახასიათებელია ადამიანური რესურსების მმართვის სისტემის შემოწმების დროს, რომელიც სპეციფიკურია თითოეული ორგანიზაციისთვის და რომელშიც აისახება არა მარტო რაოდენობრივი ასპექტები, არამედ საორგანიზაციო, მმართველობითი და ადამიანური ურთიერთკავშირები.

აუდიტის სფეროში აუთსორსინგის გამოყენების ნეგატიური შედეგების მნიშვნელოვანი ასპექტია შემოწმებების ჩასატარებლად გაწეული ხარჯების ზრდა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ აუდიტორული კომპანიების უმრავლესობა, რომლებიც ახორციელებენ თავის საქმიანობას საქართველოს ბაზარზე, გვთავაზობენ პერსონალის მმართვის სისტემის მდგომარეობის შემოწმების მხოლოდ ცალკეულ ელემენტებს. სისტემის დამატებითი ელემენტების ჩართვა იწვევს ხარჯების ზრდას, ხოლო რიგ შემთხვევაში აუდიტორებისგან მოითხოვს მათთვის ახალი შეფასების მეთოდიკების შემუშავებას.

აუდიტის სფეროში აუთსორსინგს მიმართავენ სხვადასხვა ორგანიზაციები - როგორც მცირე ფირმები, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსები შიდა აუდიტის საკუთარი სამსახურის შესაქმნელად, ასევე მსხვილი კომპანიებიც. როგორც წესი, ასეთი მომსახურება უკანასკნელებს სჭირდებათ რამე სპეციფიკური დარგის აუდიტისათვის ან ორგანიზაციას სოციალური პასუხისმგებლობის შესამოწმებლად. ამის გარდა, დამატებითი აუდიტორული რესურსები შეიძლება დასჭირდეთ შტატის აუდიტორებზე დატვირთვის გაზრდის პერიოდებში, ორგანიზაციაში აუდიტის საკუთარი სამსახურის არსებობის პირობებში.

კო-სორსინგის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაციის ფარგლებში, შეიქმნას შიდა აუდიტის სამსახური, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მოიწვიონ სპეციალიზირებული კომპანიის ექსპერტები ან გარეშე კონსულტანტები. ასეთი მიდგომის დროს არადაინტერესებული ექსპერტის მოსაზრება აამაღლებს ჩასატარებელი შემოწმების ეფექტიანობას.

მესამე ვარიანტია - ადამიანური რესურსების **შიდა აუდიტის სამსახურის** ჩამოყალიბება უცხო სპეციალისტებისა და კონსულტანტების მოწვევის გარეშე, და ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის მიკუთვნება მისთვის. სპეციალისტების აზრით, ამ ვარიანტს გააჩნია რიგი უპირატესობა:

• ორგანიზაციას თანამშრომლები კარგად იცნობენ მის შიდა კულტურას, სტრუქტურას და მმართვისა და ფუნქციონირების თავისებურებებს;

• როდესაც ადამიანური რესურსების შიდა აუდიტორული შემოწმება ხორციელდება ორგანიზაციას შტატის თანამშრომლების მიერ, მაშინ მიღებული უნარები და გამოცდილება რჩება ორგანიზაციაში;

• ორგანიზაციას ხელმძღვანელობას შეუძლია გამოიყენოს ადამიანური რესურსების შიდა აუდიტი როგორც მომავალი მმართველობითი კადრების პროფესიული ზრდის და კარიერული განვითარების ერთ-ერთი ელემენტი;

აუდიტის საკუთარი სამსახურის ჩამოყალიბების ვარიანტი დამახასიათებელია საშუალო და მსხვილი რიგი კომპანიებისათვის.

ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომის დროს ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის ორგანიზება შეიძლება მოხდეს არსებული ან ჩამოსაყალიბებელი შიდა აუდიტის სამსახურის ფარგლებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადი პრობლემა მდგომარეობს ადამიანური რესურსების მმართვის სისტემის შემოწმების ჩატარებისათვის შიდა აუდიტორების მომზადების არ არსებობაში. ამრიგად,

შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბების დროს აუდიტის შიდა სამსახურის ფარგლებში, საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში უნდა შეყვანილ იქნას ადამიანური რესურსების მმართვის განყოფილების სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ საკმაო კვალიფიკაცია აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად. ორგანიზაციას ადამიანური რესურსების მმართვის სისტემის მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და შეფასების გარდა, ამ მიდგომის დროს ხორციელდება, როგორც ადამიანური რესურსების მმართვის სპეციალისტების, ასევე თვით ადამიანური რესურსების მმართვის სამსახურის თვითშემოწმების ცალკეული ელემენტები.

ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომის დროს ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის ორგანიზება შეიძლება მოხდეს არსებული ან ჩამოსაყალიბებელი შიდა აუდიტის სამსახურის ფარგლებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადი პრობლემა მდგომარეობს ადამიანური რესურსების მმართვის სისტემის შემოწმების ჩატარებისათვის შიდა აუდიტორების მომზადების არ არსებობაში. ამრიგად, შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბების დროს აუდიტის შიდა სამსახურის ფარგლებში, საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში უნდა შეყვანილ იქნას ადამიანური რესურსების მმართვის განყოფილების სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ საკმაო კვალიფიკაცია აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად.

სპეციალისტთა აზრით, შიდა აუდიტის სფეროში არ არსებობს შიდა აუდიტის სამსახურის,მისი სტრუქტურების,შემადგენლობისა და რაოდენობის ჩამოყალიბების უნივერსალური ვარიანტი. არსებობს შიდა აუდიტის სამსახურის აგების სამი ძირითადი ვარიანტი: **ცენტრალიზებული**; **დეცენტრალიზებული**; **იერარქიული**

ცენტრალიზებულ სქემაში ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სამსახური, ფუნქციონირებს სათავო (მმართველობითი) კომპანიის დონეზე. ამასთანავე, სამსახურის თანამშრომლებს შეუძლიათ იმუშაონ უშუალოდ სათავო (მმართველობით კომპანიაში ან კიდევ იყვნენ ფილიალების, შვილობილი კომპანიების შტატში, მაგრამ ფუნქციურად ისინი ექვემდებარებიან სათავო (მმართველობითი) კომპანიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელს.

დეცენტრალიზებული სქემის შემთხვევაში შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები იმყოფებიან ფილიალებში (შვილობილ კომპანიებში) და ორგანიზაციას ფილიალების ფარგლებში დაქვემდებარებულები არიან, როგორც ადმინისტრაციულად, ასევე ფუნქციონალურად. შიდა აუდიტის სამასახური სათავო (მმართველობითი) კომპანიის დონეზე არ ყალიბდება.

იერარქიული სტრუქტურისათვის დამახასიათებელია შიდა აუდიტის კორპორატიული სამსახურის არსებობა სათავო (მმართველობითი) კომპანიის დონეზე და შიდა აუდიტის სამსახურების ფილიალების (შვილობილი კომპანიების) დონეზე. ამასთანავე, შიდა აუდიტის სამსახურები ადგილზე არ ექვემდებარებიან შიდა აუდიტის კორპორატიულ სამსახურს.

ამრიგად, მიდგომა შიდა აუდიტის სამსახურის შექმნისადმი უნდა განისაზღვრებოდეს თითოეული ვარიანტის პლუსებიდან და მინუსებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის სპეციფიკის ყურადღების გათვალისწინებით.

ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის დანერგვისა და ორგანიზაციის პროცესი, ისევე როგორც შიდა აუდიტის სისტემის, მოითხოვს მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომას ღონისძიებების ორგანიზაციის, შემუშავებისა და მათი განხორციელების დროს. ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის დანერგვის ორგანიზება უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულად, საპროექტო მოქმედებების და საორგანიზაციო გადაწყვეტილებების განხორციელების გზით. ჩვენი აზრით, ყველაზე მომზადებულები ამ დარგში არიან კადრების განყოფილების სპეციალისტები, ეს განისაზღვრება მათი მუშაობის სპეციფიკით და მათი ფუნქციონალური ვალდებულებებით.

ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის ასეთი მიმაგრება დაკავშირებულია იმასთან რომ, ასეთი სახის შემოწმებისათვის ყველაზე მომზადებულები არიან კადრების განყოფილების სპეციალისტები. ამასთანავე, აუდიტის ძირითადი პრინციპები დაცული იქნება სხვადასხვა რანგის და ორგანიზაციას ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მიერ საექსპერტო კომისიაში ჩართულობით, და ასევე გარეშე ექსპერტის ან ექსპერტების მოწვევით.

ადამიანური რესურსების მმართვის სისტემის სხვადასხვა ელემენტების მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგის უზრუნველყოფა წარმოადგენს ნებისმიერი ორგანიზაციას ნორმალური და ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ ელემენტს. ამასთანავე, ორგანიზაციას შრომითი რესურსების მდგომარეობის მონიტორინგი იმყოფება ადამიანური რესურსების და პერსონალის მმართვის განყოფილების განკარგულებაში. შესაბამისად, მდგომარეობის დიაგნოსტიკის ცალკეული ელემენტების მონიტორინგი უზრუნველყოფს რა ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემას აუცილებელი ინფორმაციით, უნდა ხორციელდებოდეს მუდმივად. ამასთან ერთად, ორგანიზაციას ადამიანური რესურსების მმართვის სისტემის ცალკეული მიმართულებების ან ცალკეული ელემენტების რეალიზაცია იმყოფება ცალკე თითოეული ხელმძღვანელის განკარგულებაში.

ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის დანერგვა ხელს უწყობს ორგანიზაციას ადამიანური რესურსების მმართვის პოლიტიკაში აღრიცხვას და ადეკვატური ზომების მიღებას, ასევე

ადამიანური რესურსების მმართვის ეფექტიანობის ამაღლებას.

მეორე მხრივ, ჩვენი აზრით ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ორმხრივ შემოწმებას. ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის ძირითადი მიზნის რეალიზაციასთან ერთად, ე.ი. ადამიანური რესურსების მმართვის სისტემის მდგომარეობის დიაგნოსტიკასთან და შეფასებასთან, ასეთი მიდგომა ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბების მიმართ შესაძლებლობას აძლევს გარეშე პირებს ჩაატარონ კადრების განყოფილების სპეციალისტების კვალიფიკაციისა და ეფექტიანი მუშაობის შეფასება.

დასკვნა

ჩვენს მიერ განხილული ნებისმიერი მიდგომიდან ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის ორგანიზაციის ძირითადი ასპექტებია:

- აუდიტორული სამსახურის აპარატის ან საექსპორტო კომისიის შრომის მეცნიერული ორგანიზაცია;
- შიდა აუდიტორების, კადრების განყოფილების სპეციალისტების და ხელმძღვანელების სწავლის ორგანიზება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- მათი სამუშაოს უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნიკური საშულებებით და პროგრამული პროდუქტებით;
- მუშაკების შრომის ღირსეული ანაზღაურება.

ორგანიზაციას ადამიანური რესურსების მმართვის სისტემა წარმოადგენს მუდმივ პროცესს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პროცესებს, ელემენტებს და ფუნქციებს მიმართულს ორგანიზაციას თანამშრომლების შრომითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაზე, მთლიანობაში ორგანიზაციას და ცალკეული მუშაკის შრომითი პოტენციალის განვითარებაზე.

გამოვლენილია ადამიანური რესურსების შიდა აუდიტის სისტემის ორგანიზაციისადმი ისეთი ძირითადი მიდგომების უპირატესობები და ხარვეზები, როგორიც არის აუთსორსინგი, კო-სორსინგი, ორგანიზაციას აუდიტის საკუთარი სამსახურის ორგანიზაცია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია კონტროლის, როგორც მმართვის ობიექტის საორგანიზაციო პრინციპებზე დაყრდნობა, როგორიცაა საკანონმდებლო, ნორმატიული, მეთოდური და ინსტრუქციული მასალები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სეხნიაშვილი დ., სიჭინავა ზ., მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის ინსტრუმენტულ-ტექნოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, № 3, 2016

2. სეხნიაშვილი დ., ორგანიზაციის ადამიანური რესურსების სწავლებისა და განვითარების საჭიროების განსაზღვრის აქტუალური მეთოდები, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, #4, 2014

3. ბარათაშვილი ე., მარიდაშვილი მ., მახარაშვილი ი., თანამედროვე მენეჯმენტის განვითარების ტენდენციები, ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, #4, თბილისი, 2013

4. ბერიძე რ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ. უნივერსალი, 2009

პერსონალის მართვის სისტემა მცირე ბიზნესში

ფიქრია კირკიტაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მცირე ბიზნესის წარმატებისათვის მეტად მნიშვნელოვანია პერსონალის დაგეგმარება, პერსონალის ოპტიმალური შემადგენლობის ფორმირება და შერჩევა, პერსონალის ეფექტური მართვის თავისებურებები, შრომის სტიმულირება და მოტივაცია, პერსონალის სოციალური განვითარება, პერსონალის შეფასება.

სტატიაში პერსონალის რაოდენობის, კვალიფიკაციის და წარმოებითი ღირებულების საფუძვლიანი ანალიზისათვის გამოყოფილია სამი ფუნქციური ქვესისტემა.

შემოთვაზებულია პერსონალის დაგეგმარების სქემა. რაც ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს მთელი ორგანიზაციის სამუშაო დააკორექტიროს და განსაზღვროს სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები მცირე ბიზნესისათვის.

მნიშვნელოვანია შეფასების მაჩვენებლების შემუშავება ორგანიზაციის განვითარების მოცემული მომენტისათვის. ავტორის მიერ შეაფასების სისტემაში შემოთავაზებული 5 ქულიანი შეფასება, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასების მთლიანი ფუნქციების რეალიზაცია მოხდეს.

პერსონალზე ხარჯების ანალიზის ფუნქციის შესაფასებლად გამოყოფილია მახასიათებლები, რომლებიც მცირე ბიზნესის ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ხელმძღვანელებს პერსონალის ხარჯების შეფასების საშუალებას აძლევს.

პერსონალის სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის ჩამოყალიბებულია თეზისები.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, პერსონალი, მართვა, პერსონალის დაგეგმარება, სტრატეგიული მართვა, ორგანიზაცია, ფირმა, შრომის ანაზღაურება, კარიერა, განვითარება.

RESUME

Planning Staff, Formation and selection of the optimal composition of staff, features of effective management of personnel, stimulating and motivating labor, social development of personnel and assessment of staff is very important for small business succes.

In the article, three functional subsystems are presented for a thorough analysis of the number of personnel, qualifications and valuation values. Theses are developed for the study.

It is introduced Schema planning construction. Which allows the head of the entire organization to fix and define strategic and tactical tasks for small businesses.

It is important to develop assessment indicators for the moment of development of the organization. The 5-point assessment offered by the author's assessment system allows the overall performance of the evaluation to be realized.

To evaluate the cost of analysis of the cost of staff, the characteristics of small business organizations and managers allow the personnel to evaluate the expenses. Theses are developed for the study of social issues related to personnel.

შესავალი

მცირე ბიზნესის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია პერსონალის მართვა და მართვის დაგეგმარება, რაც საკმაოდ აქტუალური პრობლემაა დღეს-დღეობით, ასევე პერსონალის შემადგენლობის ფორმირება წარმოადგენს ძირითად ასპექტს ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისთვის მისი ინოვაციური პოტენციალით. პერსონალის ეფექტური მართვის პირველ საფეხურზე, რომელიც ხორციელდება საწარმოოს ხელმძღვანელობის უმაღლესი რგოლის მიერ უნდა შემუშავდეს პერსონალის მართვის სტრატეგია და მოხდეს პერსონალის მართვის მოქმედი სტრატეგიის შეფასება.

ძირითადი ტექსტი

მცირე ბიზნესი, როგორც ეკონომიკური საქმიანობის პირველი საფეხური მეცნიერულად დასაბუთებულია და პრაქტიკულად დადასტურებული, რომ ადამიანთა საზოგადოების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

მეცნიერება და ტექნიკა დღეს თავისი განვითარების ისეთ ეტაპზეა, რომ არსებობს ადამიანის «მე»-ს შეცნობის ტექნიკური საშუალებები, რომლითაც იკვლევენ ადამიანის ბუნებას, მისი უნარ-ჩვევების პოტენციალს, იკვლევენ სანდო არის თუ არა პიროვნება, რომლის სამსახურში მიღებას ან დაწინაურებას აპირებენ, როგორ გაართმევს ის თავს დაკისრებულ მოვალეობას, თუმცა ეს არ არის საკმარისი პერსონალის სწორად შერჩევის თვალსაზრისით და საჭიროა გამოვყოთ შემდეგი ასპექტები:

პერსონალის დაგეგმარება. მცირე ბიზნესის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია პერსონალის მართვა და მართვის დაგეგმარება, რაც საკმაოდ აქტუალური პრობლემაა დღეს-დღეობით. პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და წარმოებითი



ნახ 1. პერსონალის დაგეგმარების სქემა

ღირებულება ყველაზე საყურადღებოა და ჭირდება საფუძვლიანი ანალიზი, რაც ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს დღევანდელ მოთხოვნებს მცირე ბიზნესში, თუმცაღა ეს პროცესი საკმაოდ რთულია და საჭიროა გამოვყოთ შემდეგი ფუნქციური ქვესისტემები: 1.პერსონალის მართვის დაგეგმარებისა და პოლიტიკის შემუშავება; 2.პერსონალის დაკომპლექტება; 3.პერსონალის ხარჯების ანალიზი.

პერსონალის მართვაში კონკრეტული გეგმების შემუშავება მისცემს საშუალებას ხელმძღვანელს მთელი ორგანიზაციის სამუშაო დააკორექტიროს და განსაზღვროს სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები მცირე ბიზნესისათვის. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარეობს ის, რომ მთავარია განხორციელდეს პერსონალის მართვის ფუნქციის რეალიზაციის დაგეგმარება. ამავ დროულად შემუშავდეს შეფასების მაჩვენებლის ფუნქციები მათი მნიშვნელობების მიუხედავად ორგანიზაციის განვითარების მოცემულ მომენტში. ჩემს მიერ შეაფასების სისტემაში შემოთავაზებული 5 ქულიანი შეფასება იძლევა შეფასების მთლიანი ფუნქციების რეალიზაციას.

ექსპერტები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მცირე ბიზნესის ორგანიზაციების წარმომადგენლები და ხელმძღვანელები პერსონალზე ხარჯების ანალიზის ფუნქციის შესაფასებლად გამოყოფენ შემდეგ მახასიათებლებს (იხ. ცხრილი 1).

პერსონალის ოპტიმალური შემადგენლობის ფორმირება და შერჩევა. პერსონალის შემადგენლობის ფორმირება წარმოადგენს ძირითად ასპექტს ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისთვის მისი ინოვაციური პოტენციალით. მოცემული ქვესისტემის მიზანია პერსონალის მართვა, რათა მიღწეულ იქნას პერსონალის პირადი თვისებების ჰარმონიზაცია.

პერსონალის ამორჩევის წყარო, წყაროს მნიშვნელობა (იხ. ცხრილი 2).

პერსონალის ეფექტური მართვის თავისებურებები. პერსონალის ეფექტური მართვის პირველ საფეხურზე, რომელიც ხორციელდება საწარმოოს ხელმძღვანელობის უმაღლესი რგოლის მიერ, მოყვანილია შრომითი ბაზრის სტრატეგიული ანალიზი:

ცხრილი 1. პერსონალის შეფასების კრიტერიუმები

მაჩვენებლები	მნიშვნელობის კოეფიციენტი	ქულების რაოდენობა
პერსონალზე ხარჯების ანალიზი	ძალიან მნიშვნელოვანი	0-5
ხარჯების ჩამოყალიბებული სტრუქტურის შედარება მისი კონკურენტების ხარჯებთან	მნიშვნელოვანი	0-4.5
შრომის ზრდის ანალიზი, გამოთავისუფლებვა პერსონალის რაოდენობის, და მათი შესაბამისობა შესაძლებელ ხარჯებთან	ნაკლებ მნიშვნელოვანი	0-3
გეგმის ქონა, რომელიც მიმართულია შრომის ზრდის ამაღლებაზე და პერსონალის რაოდენობის შემცირება	უმნიშვნელო	0-2

ცხრილი 2. პერსონალის შერჩევის წყარო

პერსონალის ამორჩევის წყარო	მნიშვნელობის კოეფიციენტი	ქულების რაოდენობა
ორგანიზაციის თანამშრომლებისაგან	1.7	4
სარეკლამო განცხადება	1.2	3
ნაცნობების რეკომენდაციები	1.2	2
დასაქმების სააგენტო	1.3	3
შემთხვევითი პრეტენდენტი	0.9	2

-უნდა შემუშავდეს პერსონალის მართვის სტრატეგია და მოხდეს პერსონალის მართვის მოქმედი სტრატეგიის შეფასება;

მეორე საფეხური -ესაა პერსონალის ეფექტური მართვა ხაზის მენეჯერის დონეზე. ის შეიცავს:- პერსონალის აყვანა და შერჩევას, კადრების პროფესიონალურ მომზადებას.

მესამე საფეხურზე ხორციელდება ვალდებულებათა გადაადგილება ამოცანების შესაბამისად; ასევე -კონტროლი ამოცანების შესრულებაზე და ა.შ. პერსონალის ეფექტური მართვის პროცესის რეალიზაციის მექანიზმს წარმოადგენს საკადრო სტრატეგია, რომელიც კონკრეტიზირებულია პერსონალის მართვის განსაკუთრებული მიზნების ქვეშ და რეალიზდება საკადრო პოლიტიკის მეშვეობით.

მეურნეობის საბაზრო პირობებში საკადრო სტრატეგიის ძირითად მიზანს წარმოადგენს: შრომითი მწარმოებლურობის, პროდუქციის რეალიზაციის ან მოცემული მოცულობითა და რიტმულობით მომსახურების ზრდა, პერსონალის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის მიღწევა, რომ განისაზღვროს რამდენად ეფექტურია ფირმის მართვის სიტემა აუცილებელია მოხდეს ხელთ არსებული ახალი მეთოდების ადაპტირება და შემუშავება.

შრომის სტიმულირება და მოტივაცია. ყოველ ორგანიზაციას, რომელსაც უნდა მიაღწიოს განსაზღვრულ ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებს, მაგრამ გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობები, ცდილობს თავისი პერსონალის მოტივირებას, რომ გადაწყვიტოს საზოგადოებრივი, საორგანიზაციო, ჯგუფური და ინდივიდუალური ამოცანები. სოციალური-ფსიქოლოგიური ანალიზის მეთოდები ფართოდაა დანერგილი მსოფლიო მასშტაბით მცირე ბიზნესში. გამოვყავით მხოლოდ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები: -შევქმნათ შრომის მატერიალურ-მასტიმულირებელი ეფექტური სისტემა; -შევქმნათ ხელსაყრელი შრომითი პირობები; -შევქმნათ სოციალური თანასწორობა ორგანიზაციაში, როგორიცაა გენდერული თანასწორობა, რასობრივი, დისკრიმინაციული.

პერსონალის სოციალური განვითარება. პერსონალის სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას გამოიყოფა შემდეგი თეზისები:

1. ნებისმიერი ორგანიზაციის მუშაობისთვის დამახასიათებელია ქონდეს შესაბამისი სოციალური გარემო, ამ გარემოს თვით პერსონალი ქმნის მისი განსხვავებული დემოგრაფიული, პროფესიულ-კვალიფიციური მახასიათებლებით;

2. სოციალური იმფრა სტრუქტურა მოიცავს ობიექტებს, რომლებიც განკუთვნილია ორგანიზაციის პერსონალის საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად.

3. საორგანიზაციო კულტურაში ჩვენ ვგულისხმობთ გაცილებით მთავარ პასუხისმგებლობებს, რომელსაც იღებენ ორგანიზაციის წევრები, რაც ასახვას პოვებს ორგანიზაციის ღირებულებების ფილოსოფიაში;

პერსონალის შეფასება. ყველა არსებული მეთოდოლოგია შეიძლება დაყოფილ იქნას სამ დიდ ჯგუფად შეფასების კრიტერიუმების გამოყენების მიხედვით: პირველ ჯგუფში ხელმძღვანელის პიროვნების შეფასება ხდება მისი პირადი და საქმიანი თვისებებიდან გამომდინარე, მეორე ჯგუფი ხელმძღვანელის შრომის შედეგები ფასდება, ასევე შრომის ხარჯები და სირთულე, ხოლო მესამე ჯგუფი მოისაზრება, როგორც ხელმძღვანელის პიროვნულობა და მისი საქმიანობა კონკრეტულ შრომით სამეწარმეო სიტუაციებში. პერსონალის შეფასების გამოცდილების ანალიზიდან გამომდინარეობს

დასკვნა

ამგვარად, ყოველ ორგანიზაციას, რომელსაც უნდა მიაღწიოს განსაზღვრულ ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებს, მაგრამ გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობები, ცდილობს თავისი პერსონალის მოტივირებას, რომ გადაწყვიტოს საზოგადოებრივი, საორგანიზაციო, ჯგუფური და ინდივიდუალური ამოცანები. პერსონალის მართვაში კონკრეტული გეგმების შემუშავება მისცემს საშუალებას ხელმძღვანელს მთელი ორგანიზაციის სამუშაო დააკორექტიროს და განსაზღვროს სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები მცირე ბიზნესისათვის. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარეობს ის, რომ მთავარია განხორციელდეს პერსონალის მართვის ფუნქციის რეალიზაციის დაგეგმარება და შემუშავდეს შეფასების მაჩვენებლის ფუნქციები მათი მნიშვნელობების მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, ნ.ბაკაშვილი, ნ.ფარესაშვილი, გ. გეჩბაია, დ.მესხიშვილი „თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები“.

2. Bargh, J. A., & Ferguson, M. J. (2000). Beyond behaviorism: On the automaticity of higher mental processes. Psychological Bulletin, 126, 925–945.

3. გ. შუბლაძე, მ.ნანიტაშვილი „ბიზნესის საფუძვლები“.

4. Prussia G.E., Anderson J.S., Manz C.C. Self-leadership and performance outcomes: The Mediating influence of self-efficacy. Journal of Organizational Behavior, 1998, Vol. 19, 523-538.

კომპანიების ეკონომიკური უსაფრთხოების (ეკუ) სისტემის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა თანამედროვე პირობებში

სალომე ოდიშარია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მიგვითითებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს ნაწილს ნაციონალური უშიშროებისა, მის ფუნდამენტს და მატერიალურ საფუძველს. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია გადაწყვეტა სახელმწიფოს წინაშე არსებული რომელიმე ამოცანის, როგორც შიდა სახელმწიფოებრივის, ასევე საერთაშორისო სახის.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც შედის ქვეყნის წამყვანი ფირმების და ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესებში. ასეთი სახელმწიფოები პატიოსნად კონკურირებენ მსოფლიო ბაზარზე და ამ დროს მაქსიმალურად იცავენ სახელმწიფოსა და ეკონომიკური მოღვაწეობის სუბიექტების – საწარმოების, ორგანიზაციების და ფიზიკური პირების ეკონომიკურ ინტერესებს. ამ სახელმწიფოებს შესანიშნავად აქვთ გააზრებული, რომ ქვეყნის საწარმოების განვითარება აძლიერებს ნაციონალურ კონკურენტუნარიანობას და მდგრად სოციალურ განვითარებას.

ცხადია, საქართველო, საქრთველოში მოღვაწე ნებისმიერი სახის საწარმოები, ორგანიზაციები იმყოფებიან სერიოზული გამოწვევების წინაშე, რომელთა დაძლევაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის და სახელმწიფოს არსებობა–მდგრადი განვითარება. ამიტომ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა იყოს, და მიგვაჩნია, რომ არის კიდევაც, ერთ–ერთი უმთავრესი პრიორიტეტი საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში.

საკვანძო სიტყვები: ეკუ, რისკების მართვა, საწარმო, მენეჯმენტი.

* * * *

IMPROVEMENT OF THE MECHANISMS OF ENTERPRISES' ECONOMICAL SECURITY SYSTEM IN THE MODERN CONDITIONS

Salome Odisharia
PhD student of GTU

RESUME

The experience of developed countries shows that economic security is a part of national security, its foundation and the basis of the material. Apparently it is impossible to make any solution of any domestic or international types of task faced by the government without the maintenance of the economic security.

Most of the developed countries implement the policy, which is entered in the countries' leading firms' and transnational corporations' interests. Such kind of governments honestly competes on the world market and at the same time they protect the economic interests of the state and the entities of the economic activities - enterprises, organizations and individuals. These countries are perfectly aware that the development of enterprises reinforces the national competitiveness and the sustainability of the social development.

Clearly, Georgia, any kind of enterprises working in Georgia and organizations are faced with serious challenges, which overcome depends on our country's national economy and the existence of the government-sustainable development. Therefore, it can be said without exaggeration that the economic security of enterprises should be, and we believe that it is one of the top priorities of the economic security system.

Key words: Enterprises' economical security, risk management, enterprise, management.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომპანიების ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასება მოითხოვს მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომას მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას, კომპანიაში რისკების მართვის სისტემის ანალიზის დროს შესაბამის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის ეკუ სისტემის უზრუნველყოფაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მენეჯმენტს, რაც გამარტივებული გაგებით – ესაა ცოდნა (ოსტატობა) საწარმოს წინაშე დასახული მიზნების მიღწევისა, შრომის, ინტელექტის, სხვა ადამიანების ქცევის მოტივების გამოყენებით. ქართულ რაობაში ესაა მართვა – ფუნქცია, ადამიანების ხელმძღვანელობის მოღვაწეობის სახეობა სხვადასხვა სახის ორგანიზაციებში. მენეჯმენტი, ეს ადამიანის ცოდნის ისეთი სფეროა, რომელიც გვეხმარება ამ ფუნქციის შესრულებაში. და ბოლოს, როგორც შემაჯამებელი ცნება „მანეჯერი" – ესაა განსაზღვრული კატეგორია ადამიანებისა, სოცია-

ლური ფენა იმათი, რომელიც ეწევა მართვაში მუშაობას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბიზნესმენი და მენეჯერი – ეს არ არის ერთი და იგივე. ბიზნესმენი – ეს არის ის, ვინც „აკეთებს ფულს", მფლობელი კაპიტალის, რომელიც ბრუნვაშია და მოაქვს შემოსავალი. ეს შეიძლება იყოს საქმიანი ადამიანი, რომლის დაქვემდებარებაში არავინაა, ან მსხვილი მესაკუთრე, რომელსაც არ უკავია არავითარი მუდმივი თანამდებობა ორგანიზაციაში, მაგრამ წარმოადგენს მფლობელს მისი აქციების და, შესაძლებელია, წარმოადგენს მისი მმართველობის წევრს. მენეჯერს კი აუცილებლად უკავია მუდმივი თანამდებობა, მის დაქვემდებარებაში იმყოფებიან ადამიანები. რამდენადმე უფრო კერძო შემთხვევა ბიზნესისა – ესაა მეწარმეობა. ეს სახეობა ბიზნესისა კიდევ უფრო ძლიერაა დაკავშირებული ადამიანთან – მეწარმესთან, რომელიც ახორციელებს ბიზნესს, წამომწყები ახალი საქმის, ახდენს რეალიზაციას გარკვეული სიახლეების, ფლობს საკუთარ საშუალებებს ახალ საწარმოში და იღებს საკუთარ თავზე რისკს. განსხვავებები მენეჯერსა და მეწარმეს შორის იქნება ძალზე არსებითი (დიდი), თუ მენეჯერი გადატვირთულია ბიუროკრატიული სტილით მუშაობაში, მაგრამ განსხვავებები იშლებიან, თუ ის მხარს უჭერს და ეწევა მართვის მეწარმეობით სტილს. აქვე უნდა წარმოვაჩინოთ ის შეხედულება, რომ ამ შეუსაბამობის–წინააღმდეგობის დაძლევას, თანამედროვე პირობებში, ახერხებენ საკმაოდ მცირე რაოდენობა მსხვილი ფირმებისა.

ფაქტია, რომ მენეჯერის, საწარმოს ხელმძღვანელის განათლება, გამოცდილება და მოტივირებულობა საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და წარმატებული საქმიანობის უმთავრესი ფაქტორებია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მეწარმეობა ეს არის საქმიანობა, როდესაც უნდა მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი ცოდნისა და უნარების გამოყენება, რომელიც მეწარმეს დაეხმარება მიიღოს მოგება, რაც კომპანიის ეკუ-ს ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს.

ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს მსოფლიოში უმაღლესი დონის მენეჯერთა მომზადების საკითხს. ამ მიმართულებით მსოფლიოში მოქმედებს ბიზნეს განათლების სისტემის აგების სამი ძირითადი მოდელი.

პირველი, ეს არის გერმანული მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კვალიფიცირებული ხელმძღვანელის მომზადების იდეაზე. ამ მოდელის ფარგლებში გამოიყოფა პირველი უმაღლესი პროფესიული განათლება, რომელიც იძლევა ბაზურ ცოდნას და სპეციალობას (საინჟინროსი, ეკონომიკურის, იურიდიულის ან საიჟინრო–ეკონომიკურის), რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს საწარმოს ტექნიკურ, ეკონომიკურ ან მმართველობით მოღვაწეობასთან, მეორე, ხელმძღვანელის კვალიფიკაციის ამაღლება, რომლის განხორციელება ხდება უკვე პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში, როგორც წესი, მოკლევადიანობის საფუძველზე.

მეორე მოდელი, ესაა ამერიკული, რომელიც დაფუძნებულია მენეჯერის ჩამოყალიბებაზე. ის გულისხმობს უმაღლესი პროფესიული განათლების მიღებას მენეჯერობის სფეროში უკვე არსებული დიპლომის ბაზაზე ბაკალავრიატის მოცულობით ნებისმიერი სპეციალობისა – იქნება ეს საინჟინრო, ჰუმანიტარული თუ სხვა.

ფაქტიურად მესამე მოდელი დაკავშირებულია იაპონიასთან. იაპონიაში, მაგლითად, არსებობს მხოლოდ ბიზნესის სამი სკოლა, პირველ რიგში, იმათ მოსამზადებლად, ვინც ვარაუდობს იმუშაოს საზღვარგარეთ. ხელმძღვანელებს ამზადებენ თვითონ ფირმები კონცეფციის „სწავლება გამოცდილების მეშვეობით" საფუძველზე, მათი გეგმიური გადანაცვლებით სხვადასხვა თანამდებობებზე. ეს საშუალებას იძლევა მოხდეს შემეცნება ბიზნესის სხვადასხვა ასპექტების და დეტალურად შესწავლილ იქნეს თავისი ფირმა. მხოლოდ 35 წლის ასაკში თანამშრომლებს აქვთ შანსი მიიღონ პირველი ხელმძღვანელის თანამდებობა. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ იაპონიაში სწავლობენ ყველანი – დაწყებული მუშიდან პრეზიდენტამდე, და მთავარი პასუხისმგებლობა ამაში ეკისრებათ ყოველი საწარმოს ხელმძღვანელს, უფროსები ასწავლიან უმცროსებს. პრაქტიკოსების გადაგზავნა სხვა სასწავლო ცენტრებში – არც ისე ხშირად ხდება.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თუ მანამდე კომპანიების მიერ დასაქმებული პერსონალი გაიგივებული იყო დანახარჯებთან, უკვე 90-იანი წლებიდან მსოფლიოს კომპანიების მესვეურების შეხედულება სრულიად შეიცვალა პერსონალის მიმართ და იგი განიხილება, როგორც სამეურნეო სუბიექტის ძირითადი რესურსი [3], რომელიც, პირველ რიგში, განსაზღვრავს კონკურენტუნარიანობას, რაც ფირმის განვითარებისა და ეკუ-ს უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს.

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში პრევალირებს მცირე და საშუალო საწარმოების წვლილი და აღნიშნულ ფირმებში ძირითადად დამფუძნებლები გამოდიან როგორც მეწარმეები ასევე მენეჯერები, კიდევ უფრო მნიშვნელოვანად იკვეთება იმ საჭირო უნარების, სპეციალური ცოდნის, გარკვეული პიროვნული მახასიათებლებისა და ქცევითი ჩვევების გამომუშავების აუცილებლობა, რაც მეწარმეს დაეხმარება იმუშაოს, შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და მიიღოს სწორი მენეჯერული გადაწყვეტილება, რაც თავის მხრივ კომპანიის ეკუ-ს უზრუნველსაყოფად საჭირო მიზნების განსაზღვრასა და კონკრეტულ საწარმოო სიტუაციაში მათი განხორციელების მეთოდების შერჩევას გულისხმობს, ისეთ საინფორმაციო ეპოქაში, გლობალური ინფორმაციის ქსელში, რაც დღევანდელ მსოფლიოში სუფევს.

რა ვითარებაა საქართველოში? საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2009

წელს ჩატარებული სოციალური კვლევის (მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში) შედეგად გამოიკვეთა სტატისტიკა, რომლის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმეები საქმიანობის გამოუცდელობითა და უსუსურობით ხასიათდებიან. აღნიშნული სტატისტიკის თანახმად მეწარმეების მხოლოდ 20% თუ იცნობს სრულყოფილად ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო კოდექსს, ხოლო უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კი მათი 75% არ გეგმავს გაფართოებას; საგარეო ბაზართან მხოლოდ 2,3%-ს აქვს უშუალო ურთიერთობა; მენეჯერთა დაახლოებით 70%-მა სწორად ვერ განმარტა შპს-ს არსი. რაც კიდევ უფრო ამყარებს ზემოთ გამოთქმულ აზრს არის ის, რომ მათ გარკვეულ ნაწილს სამწუხაროდ არ შესწევს უნარი მართოს ბიზნესი თანამედროვე ტექნოლოგიებით, არასრულყოფილი წარმოდგენა აქვთ მენეჯერულ თუ ფინანსურ აღრიცხვაზე. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნესის გონივრული მართვისთვის, რაც სამეურნეო სუბიქტის ეკუ-ს უზრუნველყოფის საწინდარია, საჭიროა პროფესიონალიზმი როგორც ბიზნესის მენეჯმენტში ასევე ადმინისტრირების სფეროში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესმენების და მენეჯერების ფუნდამენტალური მომზადებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისციპლინების ციკლს, რომლებიც მიმართული არიან ჩვევების განსავითარებლად მართვასა და ბიზნესის წარმართვაში. ისინი ითვალისწინებენ სწავლებას ეფექტური კომუნიკაციების ორგანიზაციაში, გამოსვლების ტექნიკაში, ხელოვნებაში საქმიანი მოლაპარაკებების წარმართვაში, პირადი დროის მართვაში, პირადი შრომის ორგანიზებაში, ასევე მეთოდებისა მმართველობითი გუნდის შექმნისა და მათში პრობლემების გადაწყვეტით. ყველაფერი ეს კი აუცილებელი ფატორებია ნებისმიერი ტიპის საწარმოს ეკონომიკურად უსაფრთხოდ მოღვაწეობისა.

პრაქტიკაში მთელი რიგი მიზეზების გამო მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც წარმოადგენენ ერთიან საწარმოო კომპლექსებს, ძალიან ხშირად ყოფენ რამოდენიმე იურიდიულ პირად. ეს კეთდება სხვადასხვა მიზნებით: მისი ცალკეული ნაწილების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მართვადობის ასამაღლებლად, რესტრუქტურიზაციისათვის უფრო მსხვილი სტრუქტურების ფარგლებში, მოღვაწეობის სახეების გამიჯვნისათვის, საგადასახადო ოპტიმიზაციისათვის და სხვა.

აქვე გამოვყოთ უსაფრთხოების სამი ობიექტი: პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო. განმარტებითი ლექსიკონის თანახმად საზოგადოების განმარტება ასეთია: ფართო გაგებით – ადამიანების ერთობლიობა ერთობლივი მოღვაწეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმებისა; ვიწრო გაგებით – ისტორიულად კონკრეტული ტიპი სოციალური სისტემისა, გარკვეული ფორმა სოციალური ურთიერთობებისა. ამრიგად, კონკრეტულად საზოგადოების განმარტებაში მისი ისეთი მდგენელი, როგორიცაა საწარმო, პირდაპირ არაა მითითებული. ამასთან ერთად გასაგებია, რომ საწარმო განსაზღვრული არსით წარმოადგენს საზოგადოების ნაწილის როგორც ობიექტს ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობებისა. სახელმწიფოს მისია შეიძლება განსაზღვრულ იქნას საზოგადოებისა და პიროვნებების უსაფრთხოდ არსებობისა და განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნით.

მსოფლიოს ტრანსფორმაცია მოითხოვს ეკონომიკური უსაფრთხოების ხელახალ განსაზღვრას და შეხედულებების ფორმირებას, რომლებიც შეიძლება გაზიარებულ იქნას უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროს სპეციალისტების უმეტესობის მიერ, რამდენადაც ერთიანობის არ არსებობა თავისთავად წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების არსებითი დაქვეითების ფაქტორს.

ყველაზე უფრო ზოგადი სახით ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მმართველობითი ციკლი შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც ოთხი ციკლის ორგანული ერთობლიობა: 1) სიტუაციის შეფასება ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების საფუძველზე; 2) გადაწყვეტილრბების მომზადება-მიღება; 3) შესრულების ორგანიზაცია და მოტივაცია; 4) კონტროლი და რეგულირება. პირველ ეტაპზე ხორციელდება სტრატეგიული ანალიზი, რომლის საფუძველზეც მუშავდება ხე მიზნებისა სახელმწიფოსი და ქვეყნის მთლიანობაში (მიზანდასახულობა). მეორე ეტაპი წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, რომელშიც ჩართულია სტრატეგიების რეალიზაციის მექანიზმების დამუშავება. მესამე ეტაპზე ხდება ფორმირება სტრატეგიებთან მიმართებაში ორგანიზაციის და მოტივაციის პირობების, მათ შორის თვითორგანიზაციისაც. მეოთხე ეტაპი - სტრატეგიების რეალიზაციის მონიტორინგი, შედეგიანობის და მიღწევის ძირითადი ინდიკატორების კონტროლი, სტრატეგიების რეალიზაციის პროცესების რეგულირება და კორექცია.

მიზნების ფორმულირება დამათი მიღწევის მექნიზმების დამუშავება ხორციელდება სტრატეგიული ანალიზის ეტაპის დასრულებისას. განისაზღვრებიან პრიორიტეტები და მიზნების (ხანგრძლივი და საშუალოვადიანი) მიღწევის ვადები, შემდეგ მოკლევადიანი მიზნები, რომლებიც პარამეტრირდებიან. მიზნების განსაზღვრის შემდეგ მუშავდება მათი მიღწევის მექანიზმები. მოცემულ მიზნებთან მიმართებაში განისაზღვრებიან დრაივერები და ბარიერები.

მიზნების სტრუქტურა სტრატეგიას აბამს მართვის ობიექტთან – ეკონომიკასთან, ასევე დარგებთან და საწარმოებთან, რომლებიც წარმოადგენენ მის ქვესისტემებს და სტრუქტურულ ელემენტებს. ფუნქციონალური მიდგომა აკავშირებს სტრატეგიას ფინანსურ ნაკადებთან, ინვესტიციებთან და ა.შ. – ეკონომიკის ფუნქციონალურ სფეროებთან. ინსტიტუტების შესაბამისი ჯგუფებისათვის სასარგებლოა შესაბამისი ფუნქციონალური სტრატეგიები: ფინანსური სტრატეგია, ინოვაციური სტრატეგია,

საინვესტიციო სტრატეგია და ა.შ., რომლებსაც შეესაბამებიან ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროები.

დღეს მაღალი სიჩქარის ცვლილებების პირობებში განხილულ უნდა იქნას მრავალკონტურიანი მართვა.

მრავალკონტურიანი მართვა გულისხმობს მართვის ნაწილობრივ დეცენტრალიზაციას განცალკავებული რეგულირებით გამოყოფილი მართვის კონტურების შიგნით, რომელიც თავის თავში მოიცავს გარეშე და შიდა სფეროებს.

გარეშე მართვა (სამი კონტური):

– გარემოზე ზემოქმედების ფაქტორების დიაგნოსტიკა, გამოვლენა ხელშემწყობი და ნეგატიური პროცესების აქტიურობის წერტილების და ფანჯრების;

– სტრატეგიების გამოწვევებთან შესატყვისობის ანალიზი, მისი აქტუელიზაციისა და კორექტირებაზე გადაწყვეტილების მიღება;

– სტრატეგიების რეალიზაციის მართვა, გადაწყვეტილებების მიღება რესურსების გადანაწილებაზე პროექტების და ვადების მიხედვით.

შიდა მართვა (სამი კონტური):

– პირობების შექმნა თანამშრომლის პიროვნების განვითარებისათვის, სპეციალისტის მომზადება მოთხოვნილებათა პროგნოზის შესაბამისად;

– ორგანიზაციის სტრუქტურის განვითარება, მისი მორგება გარეშე გარემოს ცვლილებებთან;

– გამოვლენა წინასწარ განწყობილებების, გუნდური როლის განსაზღვრა, შემოქმედებითი ჯგუფების ფორმირება.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველშია მსოფლიოს ბაზარზე გლობალური კონკურენტუნარიანობის მიღწევა. დიდი მნიშვნელობა ნაციონალური ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობისა ეჭვს გარეშეა. კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთდამოკიდებულ კატეგორიებს. სამწუხაროდ, პრაქტიკულ მოღვაწეობაში და მრავალ გამოკვლევებში ეს გარემოება არანაირად არ გამოიყენება.

გამომუშავება ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიული ზომებისა მიმართულია ეკონომიკის სფეროში პრევენციული უსაფრთხოების აღმოსაჩენად და ზომების მისაღებად და წარმოადგენს ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას.

აქვე გვინდა შევეხოთ კომპანიის შიდა მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და შეიძლება ითქვას საწარმოსთვის სასიცოცხლოდ საჭირო კრიტერიუმს როგორიც არის პირობების შექმნა თანამშრომლის პიროვნების განვითარებისათვის და სპეციალისტების მომზადება. თუ მოვიყვნათ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მერ 2017 წელს ჩატარებულ კვლევას, რომელიც შეეხება უნარებზე საწარმოთა მოთხოვნებს, დავინახავთ, რომ დამსაქმებელთა უმრავლესობა, რაც 42.6%-ს შეადგენს პროფესიულ უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად უმრავლეს შემთხვევაში არ ახორციელებს სპეციალურ ღონისძიებებს (მათ შორის ყველაზე მაღალია დამამუშავებელი მრეწველობის სექტორის წილი 61%). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიდია იმ საწარმოების ხვედრითი წილიც (35.6%), რომლებიც ატარებენ დამატებით ტრენინგებს. აღსანიშნავია, რომ პრობლემების დასაძლევად ახალი კვალიფიციური კადრის აყვანას ახორციელებს კომპანიების მხოლოდ 12.2%.

აღნიშნული კვლევიდან ნათლად ჩანს, რომ მეწარმეები არ არიან აქტიურად ჩართულნი თავიანთი სამუშაო ძალის განვითარებაში. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული საწარმოების მხოლოდ 5%-ის თანამშრომლებს აქვთ ბოლოს 12 თვის განმავლობაში



დიაგრამა 1: ძირითადი ღონისძიებები პროფესიული უნარ-ჩვევების პრობლემების დასაძლევად

პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობა მიღებული. ყოველივე ეს სამწუხაროდ მიუთითებს იმაზე, რომ მეწარმეების მხრიდან ადამიანური რესურსის განვითარებას არ ექცევა სათანადო ყურადღება და რაც მთავარია კომპანიების სტრატეგიული განვითარების სისუსტეზე მიუთითებს.

ეკონომიკური უსაფრთხოება უკვე აღარაა სტატიკური. ის მოითხოვს მიზნების ცოდნას და მათი მიღწევის მექანიზმების გათვალისწინებას, პროგნოზირებას მუქარების და რისკების შეფასებას, დამუშავებას მათი ნეიტრალიზაციის ან დაწევის მეთოდების. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა იყოს თანაფარდობაში სტრატეგიასთან. უფრო მეტიც, სისტემის მიზნების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სტრატეგიული უსაფრთხოების განსაზღვრაც კი.

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის ეკუ-ს ძირითად ფუნქციურ ელემენტებს წარმოადგენენ სამეწარმეო სუბიექტის შრომითი, მატერიალური, ფინანსური და ინფორმაციული რესურსები, შეიძლება გამოყოფილ იქნას, საკუთრივ, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები, რომლებსაც ასრულებენ შემდეგი ქვესისტემები:

– საწარმოს ქონებრივი კომპლექსის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქვესისტემა;

– ინტელექტუალური და შრომითი რესურსების გამოყენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქვესისტემა;

– სამეწარმეო სტრუქტურის ინფორმაციული რესურსების დაცვის უზრუნველყოფის ქვესისტემა.

აქედან გამომდინარე კომპანიის ეკუ, მისი სამეურნეო მოღვაწეობის უზარალობა, დამოუკიდებლობა, მდგრადობა ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იმუშავებს ის სამეურნეო რისკების გაურკვევლობისას.

უნდა შევნიშნოთ, რომ მთელი რიგი ქვეყნების ოფიციალურ დოკუმენტებში საერთოდ არ ფიგურირებს საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ცნება. ეს კი თავის მხრივ, გარკვეულ წილად ასახავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას მეწარმეობისადმი. მაგალითად, რუსეთის ოთხმოციანი წლების კანონში „უსაფრთხოების შესახებ“ მოცემულია შემდეგი განმარტებები: „უსაფრთხოება – დაცულობის მდგომარეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესებისა შიგა და გარეშე მუქარებისაგან“.

საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს – საწარმო ესაა სისტემა, რომლის პოტენციალი, შესაძლებლობები, პირველ რიგში, დამოკიდებულია მისი სტრუქტურული ელემენტების ურთიერთმოქმედების ხასიათზე ანუ სისტემის (საწარმოს) ორგანიზებულობის ხარისხზე. ამ ობიექტური კანონზომიერებიდან მომდინარეობს, რომ თუ ურთიერთმოქმედება A სისტემის სტრუქტურული ელემენტებისა მიზანმიმართულია და ურთიერთშეთანხმებულია, მაშინ სისტემა (საწარმო) შეიძლება ჩაითვალოს კარგად ორგანიზებულად. რაც უფრო მაღალია სისტემის (საწარმოს) ელემენტების (სამმართველოების, განყოფილებების, ცალკეული თანამშრომლების და ა.შ.) მიზანმიმართულობა და ურთიერთშეთანხმებულობა, მით უფრო მაღალია სისტემის (საწარმოს) ორგანიზებულობა.

დასასრულ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა – მუდმივი პროცესია, რომელიც მიმართულია სტრატეგიების რეალიზაციაზე შესაძლო ზარალისაგან თავდაცვის მიზნით და საწარმოს ეკუ-ს მაქსიმალური დონის მიღწევა დროის მიმდინარე მომენტსა და მომავალში. ამრიგად, საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება, მისი დამოუკიდებლობა და მისი დაშვების დაუშვებლობა კრიტიკული რისკის ზონაში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას, თუ იქნება შემუშავებული შესაბამისი ფუნქციური სტრატეგიები, აგებული იქნება სამეწარმეო რისკის შესაძლო საფრთხეების და მუქარების დროულად აღმოჩენისა და ლიკვიდაციის მკაფიო ლოგიკური სქემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აბრალავა, ზ. ჯორბენაძე. ეკონომიკური ანალიზი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2016, 364გვ.;

2. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მეწარმეობა, თბილისი 2015წ.;

3. ე.ბარათაშვილი, ლ.თაკალანკი, ნ.გრძელიშვილი, ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება (სახელმძღვანელო), თბილისი, 2010;

4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №676;

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოციალური გამოკითხვა, 2009;

6. უნარებზე საწარმოთა მოტხოვნის კვლევა 2017, ანგარიში;

7. Прангишвили И. В. Системный подход и обшесистемные закономерности. Серия „Системы н проблемы управления“. – М.: СИНТЕГ, 2000;

8. Мескон М. Х., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента. Пер. с англ. – М.: Дело, 1999. – 800с;

9. Гапоненко В Ф Беспалько А Л Власков А С Экономическая безопасность предпрятий Подходи и принципи – М Изд-во Ось-89 2007 - 208с;

10. Тараскина Ю. В. Показатели бизнес-процесов как основа оценки эяяективности дефтельности щрганизации. – Вестник АГТУ. Сер.: Экономика. 2015. №4

11. Ворожихин В. В. Об определении экономической безопасности в условиях клобализации. – ВЕЗОПАСНОСТЬ БИЗНЕСАЬ, №3/2014;

12. International Review of Management and Marketing, 2016, 6(S1) 172-178

ადამიანური რესურსების მართვის განვითარების ისტორია

მერაბ გეჯუა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ადამიანური რესურსების მართვის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანთა საზოგადოების განვითარებასთან. ამასთან, საზოგადოების განვითარების კვალობაზე იგი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდიდა. ადამიანური რესურსების მართვის დამფუძნებლის ვინაობის განსაზღვრა რთულია, რადგანაც პერსონალის მართვის პრობლემა გაჩნდა პირველი ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად, მის გადაწყვეტას პრაქტიკულად მთელი ისტორიის მანძილზე ცდილობდნენ. თუმცა, მართვის სიტუაცია თანამედროვე საზოგადოებაში პრინციპულად განსხვავდება, მაგალითად, მონათმფლობელობის დროინდელი მართვის სიტუაციისგან.

ადამიანური რესურსების მართვის კონცეფცია გამოყენებითი ხასიათისაა და ფუნდამენტური კვლევების შედეგს წარმოადგენს. მართვის მეცნიერებაში, ყველაზე გავრცელებული მიდგომით შემდეგი კონცეფციებია ჩამოყალიბებული, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში: მეცნიერული მართვა; ადმინისტრაციული მართვა; მართვა ფსიქოლოგიისა და ადამიანის ურთიერთობების თვალსაზრისით. გარდა ამისა, მართვის მიმართ არსებობს თანამედროვე სამეცნიერო მიდგომები, რომლებიც განვითარდა თანამედროვე პირობებში: მართვისადმი, როგორც პროცესისადმი მიდგომა; სისტემური მიდგომა; სიტუაციური მიდგომა.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი. ადამიანური რესურსები. მართვის კონცეფცია.

HISTORY OF DEVELOPMENT OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT

Merab Gejua
Associated Professor of Sokhumi State University

SUMMARY

History of development of human resource management is closely connected to the development of society. It had been transforming in accordance with the development of society. Hard to say who established human resource management, as the problem of staff management rose alongside with the establishment of the first organization. The ways to solve the problem had been looked for throughout the history. However the situation of staff management is essentially different from the situation of the period of slavery.

Conception of human resource management is applied and represents the result of fundamental researches. Some basic conceptions had been established in Management Science, which contributes to the development of modern theory and practice of Human Resource Management: Scientific Management, Bureaucratic Management, Administrative Management, Management in terms of psychology and human communications. There are modern scientific approaches towards the management, which have been developed in modern conditions: approach towards management as the process, systematic approach and situational approach.

* * * *

ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მეცნიერული აზრის განვითარების ისტორია არ შეიძლება განხილულ იქნას ადამიანური რესურსების მართვის საქმიანობის განხორციელების სიტუაციისა და ხალხის მიერ ამ სიტუაციის აღქმისგან დამოუკიდებლად. სიტუაციური თავისებურებანი და აღქმის თავისებურებანი განაპირობებენ ადამიანური რესურსების მართვის საქმიანობისადმი ამა თუ იმ მიდგომას. ის ფაქტი, რომ სამეცნიერო მიდგომა არის ადამიანების აღქმის განმსაზღვრელი თავისებურება, განაპირობებს მართვის, როგორც კვლევის ობიექტური სფეროსადმი მიდგომას. ამასთან, ისტორიული განვითარება გვიჩვენებს, რომ ადამიანების აღქმა დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ფაქტორისგან გამომდინარე ცვლილებებს განიცდის.

უკიდურესად რთულია ადამიანური რესურსების მართვის დამფუძნებლის ვინაობის განსაზღვრა. გამომდინარე იქიდან, რომ პერსონალის მართვის პრობლემა გაჩნდა პირველი ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად, მის გადაწყვეტას პრაქტიკულად მთელი ისტორიის მანძილზე ცდილობდნენ. თუმცა, მართვის სიტუაცია თანამედროვე საზოგადოებაში პრინციპულად განსხვავდება, მაგალითად, მონათმფლობელობის დროინდელი მართვის სიტუაციისგან. სწორედ სიტუაცია განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პრობლემურ სფეროებს, ხოლო ამ საკითხით დაინტერესებული მოაზროვნეები გვთავაზობენ მათი გადალახვის გზებს.

ადამიანური რესურსების მართვის კონცეფცია გამოყენებითი ხასიათისაა და ფუნდამენტური კვლევების შედეგს წარმოადგენს. მართვის მეცნიერებაში, ყველაზე გავრცელებული მიდგომით შემდეგი კონცეფციებია ჩამოყალიბებული, რომლებმაც მნიშ-

ვნელოვანი წვლილი შეიტანეს ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში:

- მეცნიერული მართვა;
- ადმინისტრაციული მართვა;
- მართვა ფსიქოლოგიისა და ადამიანის ურთიერთობების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, მართვის მიმართ არსებობს თანამედროვე სამეცნიერო მიდგომები, რომლებიც განვითარდა თანამედროვე პირობებში:

- მართვისადმი, როგორც პროცესისადმი მიდგომა;
- სისტემური მიდგომა;
- სიტუაციური მიდგომა.

პირველი, ვინც ხაზი გაუსვა მართვის პროცესის ჰუმანიზაციის მნიშვნელოვნებას, რ. ოუენი (1771-1858) იყო, რომელმაც განაცხადა, რომ „მისი მუშები – „ცოცხალი მანქანები“ — ისეთივე მნიშვნელოვანია ფაბრიკისთვის, როგორც „არაცოცხალი მანქანები“, და მათ ისევე ესაჭიროებათ ზრუნვა“.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა გ. მიუნსტერბერგმა თავის ნაშრომებში, რომლებიც გამოქვეყნდა XX საუკუნის დასაწყისში, გაანალიზა სამი, მისი აზრით, ყველაზე აქტუალური საკითხი ბიზნესში: როგორ მოვიძიოთ ადამიანები, რომლებიც მათი ინტელექტუალური თვისებების ხარჯზე ყველზე მეტად შესაფერისი იქნებიან შესასრულებელი სამუშაოსათვის (კადრების შერჩევა მეცნიერული მიდგომით); რა ფსიქოლოგიურ პირობებში შესაძლებელია საუკეთესო შედეგების მიღება თითოეული თანამშრომლისგან; როგორ მოვახდინოთ ზემოქმედება მუშაკებზე ბიზნესის ეფექტურობის თვალსაზრისით?

„მეცნიერული მართვის“ ფუძემდებლად ითვლება ფ. ტეილორი, რომელმაც ნამდვილი გადატრიალება მოახდინა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის საკითხში, როდესაც გამოაქვეყნა თავისი წიგნი „მეცნიერული მართვის პრინციპები“. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მენეჯმენტმა, როგორც მეცნიერული კვლევის დამოუკიდებელმა დარგმა მიიღო აღიარება. ფ. ტეილორი მენეჯმენტს ისეთ ზუსტ მეცნიერებად მიიჩნევდა, რომელიც აგებულია ზუსტი წესების, დაგეგმვისა და სამუშაოს ფაქტობრივი შესრულების განცალკევების პრინციპების საფუძველზე, და განიხილავდა მართვას როგორც მოვლენას, რომელიც მოითხოვს უწყვეტ ოპტიმიზაციას. ფ. ტეილორის მიერ შემოთავაზებული სისტემა ითვალისწინებდა მმართველობითი და შემსრულებლობითი ფუნქციების მკაცრ გამიჯვნას. ფ. ტეილორმა დაადგინა, რომ მმართველობითი სამუშაო — ეს გარკვეული სპეციალობაა; ორგანიზაცია მთლიანობაში მოგებული დარჩება, თუ მუშაკთა თითოეული ჯგუფი ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ რას აკეთებს ის უფრო წარმატებულად. ეს დასკვნა ხელს უწყობდა საწარმოო ურთიერთობებში ახალი მენტალიტეტის ჩამოყალიბებას, რომელიც დამახასიათებელი იყო მანქანური მსხვილი წარმოებისათვის. ძირითადი ობიექტი, რომლის მიმართაც ყალიბდება მართვის თეორიული მეთოდოლოგიური დებულებები ფ. ტეილორის სისტემაში, არის საწარმოო პერსონალი და მუშები. მენეჯერის უმთავრეს ამოცანად ფ. ტეილორი მიიჩნევდა კონკრეტული ხელმძღვანელის პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფი მუშების უმაღლესი შრომის პროდუქტიულობის მიღწევას. სწორეს მენეჯერებს ეკისრებოდა მთელი პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილ საწარმოო უბანში შრომის ორგანიზებაზე. მუშების ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული მხოლოდ წარმოების ამოცანების შესრულებაზე დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

XX საუკუნის დასაწყისში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების ფორმირებამ საფუძველი ჩაუდო პერსონალის ტექნოკრატიული მართვის დასაწყისს. ამ მიდგომის დამახასიათებელი თავისებურებებია:

- ორიენტირებულობა ინდივიდუალურ მუშაკზე ისევე, როგორც ტექნიკის შემთხვევაში ორიენტირებულობა კონკრეტულ დაზგაზე, როგორც საინვენტარო ნომერზე;
- მუშაკთა შერჩევა და მომზადება;
- შრომის განაწილება, მათ შორის მმართველობით საქმიანობაში, სპეციალიზებული საკადრო ქვედანაყოფების გამოყოფა.

ადმინისტრაციული მართვის კლასიკური სკოლის (1920-1950) წარმომადგენლებს, კერძოდ, ა. ფაიოლი, ლ. ურვიკი, ჯ. მუნი, გააჩნდათ უშუალოდ სამუშაო გამოცდილება მსხვილ ბიზნესში უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელმძღვანელების თანამდებობაზე. მათი მთავარი საზრუნავი იყო — მთლიანად ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობა. სკოლის მიზანი იყო მართვის უნივერსალური პრინციპების შექმნა, რომელთა დაცვა უდავოდ ხელს შეუწყობდა ორგანიზაციის წარმატებას. ეს პრინციპები ორ ასპექტთან იყო დაკავშირებული. ერთი მათგანი იყო რაციონალური ორგანიზაციული მართვის სისტემის შემუშავება. როდესაც ბიზნესის ძირითად ფუნქციებად „კლასიკოსები“ განსაზღვრავდნენ ფინანსებს, წარმოებას და მარკეტინგს, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ შეეძლოთ ორგანიზაციის ცალკეულ ქვედანაყოფებად ან ჯგუფებად დაყოფის საუკეთესო გზის მოძიება. ფაიოლი განიხილავდა მართვას, როგორც უნივერსალურ პროცესს, რომელიც შედგება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფუნქციისგან.

ბიუროკრატიული მართვის კონცეფციის მომხრენი აცხადებენ, რომ რაციონალური ბიუროკრატია მოქმედებს ობიექტური კრიტერიუმებიდან, და არა პირადი სიმპათიებისა და უპირატესობებიდან გამომდინარე. როგორც ვებერი წერს: „ბიუროკრატია მით უფრო მეტ განვითარებას იძენს, რაც უფრო „დეჰუმანიზირებულია“ იგი. მოხელე ექვემდებარება დისციპლინას, რომელიც გულისხმობს ბრძანებების თანმიმდევრულ და მეთოდურ შესრულებას, რომლის დროსაც დაუშვებელია ამ ბრძანებების შინაარსის

რაიმე კრიტიკა. ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, ფორმალიზმი — ეს არის ბიუროკრატიის მახასიათებლები, რომლებიც ჩადებულია იდეალურ მოდელში. მართვის სხვა ფორმებისგან განსხვავებით ბიუროკრატიის უპირატესობა, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ იგი არის იმ სპეციალური ცოდნის მატარებელი, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი მსხვილი ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

XX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა მართვის კონცეფცია. იგი ქცევის მეცნიერების თვალსაზრისით არის თანამედროვე თეორია, რომლის მთავარი კრედოა — ორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლება მისი ადამიანური რესურსების ეფექტიანობის ამაღლების ხარჯზე. აქედან გამომდინარეობს სოციალური ურთიერთქმედების სხვადასხვა ასპექტების, მოტივაციის, უფლებამოსილების ხასიათისა და ავტორიტეტის, ორგანიზაციული სტრუქტურის, ორგანიზაციებში კომუნიკაციის და ლიდერობის კვლევა, სამუშაო შინაარსის და შრომითი ცხოვრების ხარისხის შეცვლა. ამ კონცეფციის მთავარი მიზანია სწრაფვა იმისათვის, რომ მუშაკს დახმარება გაეწიოს საკუთარი შესაძლებლობების გამომჟღავნებისთვის, ორგანიზაციების შენებისა და მართვის პროცესში ქცევითი მეცნიერებების დებულებების გამოყენების საფუძველზე.

ისეთი მეცნიერების განვითარებამ, როგორიცაა ფსიქოლოგია და სოციოლოგია, ასევე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვლევის მეთოდების დახვეწამ, განსაკუთრებით მკაცრად მეცნიერული გახადა ქცევის შესწავლა სამუშაო ადგილზე.

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან მთელ მსოფლიოში მზარდ ინტერესს იძენს იაპონური მართვის მოდელი. მოდელის ფორმირება XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, მაგრამ მას ტრადიციულ იაპონურ კულტურაში ღრმად გადგმული ფესვები გააჩნია. მისი დამახასიათებელი ნიშანია — ცნობილი „სამუდამო დაქირავება“, რომლის დროსაც დასაქმებული, სასწავლო დაწესებულების დამთავრების შემდეგ ორგანიზაციაში მოსვლის მერე არ ტოვებს მას მთელი შრომითი ცხოვრების მანძილზე. ამ პრინციპს ექვემდებარება ადამიანური რესურსების მართვის მთელი სისტემა. მაგალითად, შრომის ანაზღაურების სისტემა აგებულია ისე, რომ მუშაკის შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებულია კომპანიაში მუშაობის სტაჟზე და ყოველწლიურად გარკვეული პროცენტით იზრდება. „იაპონური საწარმო — მეტწილად არის არა ტექნიკურ-ეკონომიკური სისტემა, რომელშიც მუშაკები გაერთიანებულნი არიან ერთობლივი შრომისათვის, არამედ სოციალური სისტემა, თანამოაზრეთა გაერთიანება, რომლებიც ურთიერთვალდებულებებით არიან ერთმანეთთან შეკრული ერთ „საწარმო ოჯახად“. „საფირმო ოჯახი“ — იაპონური მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ლოზუნგია, რომელიც პრაქტიკაში შემდეგნაირად ხორციელდება: დასაქმებულნი - „შვილები“ — მუდამ უნდა ამჟღავნებდნენ თავიანთ ერთგულებას და „მთლიანად უნდა გაიხარჯონ თავიანთი ოჯახისთვის”, შეუპოვრად იშრომონ და პირველ ადგილზე ფირმის კეთილდღეობა დააყენონ. ამის სანაცვლოდ, ადმინისტრატორი „მამების” ზრუნვის წყალობით, ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან სამსახურით, ცხოვრების კარგი პირობებით და მუდამ მზარდი შემოსავლით. ასეთი სისტემის მატერიალური საფუძვლის გათვალისწინებით, ყურადღება მივაქციოთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ საფუძველსაც. შრომითი მოტივაციის სისტემა ხელახალ ორიენტაციას განიცდის, პირველ ადგილზე მორალური ფაქტორები გამოდის: თქვენ ვერ იმუშავებთ ცუდად საკუთარი ოჯახისთვის (შესაბამისად, საკუთარი თავისთვის), ვერ შეძლებთ არ შეასრულოთ საკუთარი ვალდებულებები და არ გაამართლოთ ოჯახის წევრების მოლოდინი და ნდობა. თუ შრომის ასეთი მოტივაცია იმარჯვებს, მკაცრი რეგულირების და კონტროლის საჭიროება თავისთავად მოიხსნება. უფრო მეტიც, შესაძლებელია შემსრულებელს გადაეცეს მის მიერ შესასრულებელი შრომითი პროცესის ელემენტების გაუმჯობესების, რაციონალიზაციის და ეფექტურობის ამაღლების ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი. მართვის იაპონური გამოცდილების შესწავლის საფუძველზე წამოყენებული მართვის თეორიის ავტორია მეცნიერი უ. ოუჩი.

70-იან წლებში მოხდა ორგანიზების ტექნოკრატიული ფორმის, როგორც ერთგვარი „აბსოლუტური“ ფორმის, განხილვისგან გადახრა. უფრო და უფრო ნათლად იჩენდა თავს აზრი ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის გამომჟღავნების შესაძლებლობაზე, მისი მისწრაფებების ჰუმანისტურ ხასიათზე, სოციალური მართვის პოზიტიურ როლზე სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუციის ეპოქაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალების გადაფასება ხდებოდა — პირველ ადგილზე ადამიანურმა ფაქტორმა წამოიწია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Armstrong’s Handbook of Human Resource Management Practice; https://otgo.tehran.ir/Portals/0/pdf/Armstrong’s%20Handbook%20of%20Human%20Resource%20Management%20Practice_1.pdf

2. Torrington D., Hall L., Taylor S., Human Resource Management https://www.thehousekeepingdirector.com/uploads/6/8/2/6/6826042/18959996-human-resource-management-6th-edition.pdf

3. Guest D. Human Resource Management: the workers’ verdict // Human Resource Management Journal. 2017, No 9(2). P. 5 – 25.

4. Storey, J. Human Resource Management: A Criticfl Text. London: Routledge Revivals, 2010. 399 p.

5. Тейлор Ф.У. Принципы научного менеджмента. М., 1991.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების პრობლემები

ხუციშვილი მარინე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია თემის აქტუალურობა, რამეთუ ქვეყნის საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციასა და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირების სწორად მართვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაზღვევო სფეროს განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისათვის, შესაბამისად აქტუალური ხდება აღნიშნული სფეროში ინოვაციური პროდუქტების შექმნა და განვითარება.

ავტორი აღწერს სადაზღვევო ბაზრის და ბაზარზე არსებული პროდუქტების თეორიულ საფუძვლებს, ახდენს მათი არსისა და მნიშვნელობის ფუნდამენტურად განმარტებას. ასევე, ავტორის მიერ განხილულია სადაზღვევო ბაზრის განვითარების და ბაზარზე არსებული პროდუქტების წინ წაწევის მექანიზმები.აღნიშნულ სტატიაში დეტალურად არის აღწერილი სადაზღვევო ბაზრის ძირითადი წარმომადგენლები (გამყიდველები, მყიდველები, შუამავლები) და განხილულია მათი ფუნქციები სადაზღვევო სფეროში. ასევე, ავტორი ახდენს ბაზარზე არსებული ძირითადი სადაზღვევო პროდუქტების განხილვას და თავისებურებებს აღწერას.

ამავე თავში, გაანალიზებულია საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული ძირითადი პრობლემები, დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ტენდენციები, სადაზღვევო ბაზარი, მოტივაცია, ეკონომიკური სისტემა, ბაზრის ფუნქციონირება.

PROBLEMS OF DEVELOPMENT OF GEORGIAN INSURANCE MARKET

Marine khutsishvili
Phd Student at GTU

SUMMARY

The urgency of the topic is discussed in the introduction, because proper management of the insurance market functioning plays significant role in stabilization of the country's financial-economic situation and gradual transition to socialy oriented market economy. Based on the above mentioned, the development of the insurance sector is of great importance for the economic development of the state, therefore the creation and development of innovative products in the field it is becoming more and more urgent.

Author describes the theoretical basis of the insurance market and of the insurance products on the market, provides the fundamental definition of their essence and importance. Also, the author presents the mechanisms for the development of the insurance market and promotion of insurance products on the market.

The given article gives detailed description of the main representatives of the insurance market (sellers, buyers, intermediaries) and discusses their functions in the insurance sector. Also, the author makes a review of the main insurance products on the market and their peculiarities.

In the same article, the main problems, advantages and disadvantages of the Georgian insurance market are analyzed.

Keywords: Innovative trends, Insurance market, motivation, Economic system, Market functionality.

შესავალი

დაზღვევას დიდი როლი და მნიშვნელობა გააჩნია საზოგადოებრივი კვლავწარმოებითი პროცესის განვითარებაში. დაზღვევის მნიშვნელობა გამოიხატება ე.წ. სადაზღვევო მომსახურების არსებობაში, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური სუბიექტების კვლავწარმოებითი პროცესის გაფართოებას. სადაზღვევო ურთიერთობებმა განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა შეიძინა საბაზრო ურთიერთობის პირობებში, როდესაც იგი განვითარებული საქონელწარმოებისა და საქონელმიმოქცევის სფეროში რისკის ხარისხის შემცირების ძირითად მეთოდად მოგვევლინა.

დაზღვევას, როგორც საფინანსო ურთიერთობების ქვესახეობას განსაკუთრებული როლი აკისრია ბიზნესის განვითარებაში და როგორც ეკონომიკური კატეგორია, ის წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, რომლითაც ხდება ფულადი ფონდების ფორმირება და მათი გამოყენება დანაკარგების ასანაზღაურებლად სხვადასხვა არახელსაყრელი შემთხვევების დადგომისას.

სადაზღვევო ბაზრის განვითარების პრობლემები

სადაზღვევო ბიზნესი, როგორც ქვეყნის ფინანსური სისტემის ერთ-ერთი მძლავრი რგოლი უზრუნველყოფს ფინანსურ ბაზარს ფინანსური რესურსებით შემდგომი გადანაწილებისათვის ეკონომიკის სტაბილურობის შესანარჩუნებლად. დაზღვევა მიკრო დონეზე უზრუნველყოფს სადაზღვევო ბიზნესის განვითარებას, მოსახლეობის ქონების (მატერიალური ფულადი რესურსების) შენარჩუნებას.

ხოლო მაკრო დონეზე სახელმწიფო ფინანსების მობილიზებას. ეკონომიკური კეთილდღეობის თეორია გამართლებულად მიიჩნევს სახელმწიფოს ჩარევას, მაგრამ ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე ბაზარი.

თვით არეგულირებს ეკონომიკური ურთიერთობებს, თუმცა ეს მიღწევადია იდეალური ბაზრის პირობების შემთხვევაში. რისგანაც სადაზღვევო ბაზარი ჩვენ ვთვლით რომ, მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა შორს დგას. მიზეზი, თვით სადაზღვევო ურთიერთობების ალბათური ხასიათია. სახელმწიფო ჩარევა უნდა მოხდეს იმ დოზით, რომ არ დაირღვეს სრულყოფილი კონკურენცია. კონკურენცია უნდა განხორციელდეს ორი მიმართულებით: მომსახურების პირობების ხარისხით და ფასით. სადაზღვევო კომპანიებისათვის რთული დასადგენია სხვა კომპანიების მიერ გაწეული ხარჯები და შესაბამისად კონკურენციაც არაადეკვატურია. სრულყოფილი კონკურენციის თეორია სადაზღვევო ბაზარზე ვარაუდობს, რომ მყიდველი და გამყიდველი კარგად ათვითცნობიერებს კონტრაქტის პირობებს და ღებულობს გადაწყვეტილებას, რომლის საბოლოო შედეგით კმაყოფილი იქნება ორივე მხარე. მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს, რომ სადაზღვევო პროდუქტის პოტენციური მყიდველი სადაზღვევო პროდუქტს ადარებს სხვა სამომხმარებლო პროდუქტს და სარგებლიანობას ვერ ხედავს მასში. ერთადერთი ფაქტორი, რომლის გამოც ღებულობენ დადებით გადაწყვეტილებას არის ფასი. კონკურენციის ფორმებს შორის ფასის მიერი კონკურენცია ამართლებს, თუმცა საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ამ კუთხითაც ერთფეროვანია და მისი განვითარება ძირითადად სამედიცინო დაზღვევის ხარჯზე ხდება. არასიცოცხლის დაზღვევაში განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო ბაზარზე სამედიცინო დაზღვევის მეტი წილი კერძო დაზღვევას ეკუთვნის, ხოლო მასში დიდი ადგილი კორპორატიულ სამედიცინო დაზღვევას ეკუთვნის. განვითარებად ქვეყნებში სამედიცინო დაზღვევა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ნაწილია და შესაბამისად სახელმწიფო აფინანსებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენცია სადაზღვევო ბაზარზე სამედიცინო დაზღვევის პროდუქტის მიმართ ნაკლებია. ჯერ ერთი, ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების ფასი არაკონკურენტულია, მეორეც, სახელმწიფო სოციალური დაზღვევით დაზღვეულს არ აქვს არჩევანის დიდი შესაძლებლობა და მესამე, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ჯიბიდან გადახდას ანარმოებს, დიდ როლს ვერ თამაშობს კონკურენტული გარემოს ფორმირებაში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სადაზღვევო ბაზარზე კონკურენცია დაზღვევის ისეთ პროდუქტებზე არის დამოკიდებული, რომლებმაც მოსახლეობაში ჯერ კიდევ პოპულარობა ვერ მოიპოვეს. 2013 წლიდან საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის შემოღებამ სადაზღვევო კომპანიები რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. დღის წესრიგში დადგა არსებულ პროდუქტებზე კონკურენტული სახის მიცემა და ინოვაციური პროდუქტების შექმნა. ადამიანები გადაწყვეტილების მისაღებად ერთმანეთს ადარებენ პროდუქტის ფასსა და სარგებლიანობას. ფრანგი ეკონომისტის ჟ.ბ. სეის მტკიცებით: „აწარმოე პროდუქტი, რომელსაც აქვს სარგებლიანობა, ე. .ი. აწარმოებ სიმდიდრეს, რადგან სარგებლიანობა პროდუქტისა არის პირველი საფუძველი მისი ფასეულობისა, ხოლო ფასეულობა კი სიმდიდრისა“. ამგვარად, სარგებლიანობა სეის მტკიცებით არის პროდუქტის ფასეულობითი საფუძველი. მოტანილი მტკიცება ჩვენი აზრით, აბსოლიტურად შეესაბამება დაზღვევის რისკიანი და ურისკო პროდუქტების სარგებლიანობის პრინციპს, განსხვავება მათ შორის არის შემდეგი: მატერიალური სახის მატარებელი პროდუქტის სარგებლიანობას მომხმარებელი შეძენისთანავე აღიქვამს და გადაწყვეტილების მიღებაც მარტივია. სადაზღვევო პროდუქტის სარგებლიანობის აღქმა საჭიროებს გრძელვადიან პერიოდში რისკების გაზრებას და საკუთრებაში არსებული სიმდიდრის შენარჩუნების სახით სარგებლიანობის მიღებას. რაც შეეხება, სიცოცხლის დაგროვებად დაზღვევას, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში პოპულარობით სარგებლობს და ბაზარზე მაღალი წილით გამოირჩევა, სავსებით ჯდება ჟ. სეის სარგებლიანობის განმარტებაში.

სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციიდან სარგებლიანობა უმეტესად განიხილება სადაზღვევო კომპანიის სარგებლიანობის სახით. მათემატიკური კონცეფციები აგებულია ალტერნატიული ვარიანტების გადაწყვეტილებათა ალბათურ-მათემატიკურ გაანგარიშებებზე, რომელიც დაფუძნებულია შემთხვევათა დიდ რაოდენობებზე და თითოეული შემთხვევის დადგომის შესაბამის ალბათობაზე, რითაც მიიღწევა სადაზღვევო პროდუქტების ფასის დადგენა, აქტუარული ანგარიშების წარმოებისას შემთხვევათა დადგომის ალბათობა განსაზღვრავს მზღვეველის რისკს, გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება, ხოლო დამზღვევის რისკის შეფასება მხოლოდ ექსპერტულად არის შესაძლებელი. ამიტომაც პოტენციური კლიენტი ყოველთვის აქცენტს აკეთებს პროდუქტის დაბალ ღირებულებაზე და ის მზად არის გადაიხადოს მცირე ფასი დიდი სარგებლიანობის სანაცვლოდ. მოსალოდნელი სარგებლიანობის მოდელი, რომელიც გ.კრამერისა და დ. ბერნულის (Cramer 1778, Bernulli 1738) მიერ იქნა ახსნილი, პასუხი გაეცა კითხვას, თუ რატომ არიან ადამიანები მზად გადაიხადონ მცირე თანხა, მაშინ, როდესაც მათემატიკური ლოდინი მოსალოდნელი შედეგისა არის უსასრულოდ დიდი. ბერნული ამტკიცებს, რომ ადამიანები ორიენტირებული არიან მოსალოდნელ სარგებლიანობაზე. გამომდინარე აქედან, რთულია ქვეყანაში, სადაც დაბალ შემოსავლიანი მოსახლეობაა მიაწოდო პროდუქტი, რომელიც მოსალოდნელ სარგებლიანობას მატერიალურად ვერ გამოსახავს. საზოგადოებას უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნა უმეტეს შემთხვევაში აქვთ სახელმწიფოს მიმართ და თვლიან, რომ ყვე-

ლა საფრთხე, რომელიც მათ დაემუქრა და შედეგად დაკარგა ქონება სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს დაცული და ანაზღაურებული. ასე მაგალითად, იპოთეკით დატვირთული ბინების დაკარგვის, ბიზნესის დაკარგვის, შემოსავლის დაკარგვის რისკები. რეალობა ასეთია: სახელმწიფო ვერ მოახდენს ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების რისკების წინასწარ შეფასებას და მის აცილებას. საზოგადოებამ, რომელსაც სურს, რომ შეინარჩუნოს საკუთრებაში არსებული ქონება უნდა გაიღოს შემოსავლის ნაწილი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ანუ მოკლედ, რომ ვთქვათ, მოსალოდნელი სარგებლიანობა დაინახოს თითოეულ თეთრში, რასაც სადაზღვევო პროდუქტში გადაიხდის.

განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო ბიზნესი მოწოდებულია შექმნას ისეთი სადაზღვევო პროდუქტი, რომლითაც დააკმაყოფილებს მომხმარებელს და შესაბამისად ასეთ ქვეყნებში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარება რითაც ქმნის ცალკეული ადამიანის და სხვადასხვა ბიზნესის არსებობის უსაფრთხო გარემოს.

პრობლემათა წრე, რომელიც აფერხებს სადაზღვევო ბაზრის განვითარებას არის შემდეგი:

1. ცალკეული ადამიანების და ბიზნესის მფლობელების მხრიდან უსაფრთხოების მოთხოვნის გააზრება, სურვილის ჩამოყალიბება დაიკმაყოფილოს ეს მოთხოვნა და დაინახოს მოსალოდნელი სარგებელი. სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციით მინიჭებული პიროვნების თავისუფლება მათ საშუალებას აძლევს საფრთხეებისაგან მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფისათვის აირჩიოს სადაზღვევო კომპანია, სადაზღვევო პროდუქტი და პირობები. საქართველოში არჩევანის გაკეთება დაზღვევის შესახებ ხშირად ნათესავ-მეგობრების გამოცდილების საფუძველზე ხდება, ეს არის ერთ-ერთი ნიშანი დაზღვევის პროდუქტის გასაღების ხერხებში, მაგრამ ცხოვრების პირობების, ადგილმდებარეობის, კლიმატური პირობების, ქონებრივი მდგომარეობის განსხვავებულობა არასწორი გადაწყვეტილების მიღებას იწვევს და არსებული რისკებს არასწორი გადაწყვეტილების რისკებიც ემატება.

2. მეორე ჯგუფი პრობლემებისა არის სახელმწიფოს მხრიდან უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციის შესრულების დაბალი ხარისხი. სახელმწოფომ თავის თავზე უნდა აიღოს მოქალაქეების, ბიზნესის და მთლიანდ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ჩვენ არ ვთვლით, რომ დაზღვევა ყველა სუბიექტისათვის იყოს სახელმწოფოს მხრიდან დაფინანსებადი, მაგრამ სადაზღვევო კომპანიების განვითარებისათვის მიგვაჩნია, რომ მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის დაზღვევა უნდა იყოს სავალდებულო. შედეგად გაძლიერდება სადაზღვევო ბიზნესი და შესაძლებლობა მიეცემა დაზღვევის პროდუქტის ფასის მიერი კონკურენციის გაწევისა. ბიზნეს სუბიექტების დაზარალება სხვა და სხვა რისკების შედეგად გამოიწვევს არა მხოლოდ მესაკუთრეების არამედ, დასაქმებული მოქალაქეების უმუშევრობის რისკით დაზარალებას. გამომდინარე აქედან, რისკი, რომელიც ემუქრება ერთ პირს ის უნდა დაექვემდებაროს ნებაყოფლობით დაზღვევას, ხოლო, თუ რისკი იწვევს ადამიანთა ჯგუფის დაზარალებას, სავალდებულო დაზღვევის ობიექტი უნდა გახდეს.

3. პრობლემათა მესამე ჯგუფს მიეკუთვნება სადაზღვევო კომპანიების მიერ სწორად შერჩეული პროდუქტი და ბაზარზე მიწოდების სწორი გზა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/dazghveva/11dazgvevis_kanoni.pdf
2. http://www.insurance.org.ge/
3. http://insurance.gov.ge/
4. https://ibfconferences.com/
5. სინერჯის ბიზნეს გამომცემლობა – ვინ გაყიდის ხვალ, 2015.
6. გიორგი გიგოლაშვილი – სადაზღვევო საქმე, 2013.
7. ჯემალ შათირიშვილის - სადაზღვევო საქმე, 2008.
8. ნანა შონიასა და იაკობ მსხიას - სადაზღვევო საქმე, 2005.
9. ჰაიმი ალექსანდრ – მარკეტინგი მარტივად, 2016.
10. დევიდ ალენი – საქმესთან გამკლავების ხელოვნება, 2016.
11. Юлдашев Р.Т. Страховой бизнес: Словарь-справочник. М.: АНКИЛ, 2005.
12. Жилкина М.С., Нецветаев А.Г., Стрижов С.Г. // “Маркетинг”, 1998.
13. Зубец А.Н. Маркетинг на финансовых рынках. Поведение потребителей. М.: Приориздат, 2002
14. Котлер Ф. 300 ключевых вопросов маркетинга: отвечает Филипп Котлер. / Пер. с англ. М.: ЗАО «Олимп - Бизнес», 2006.
15. Шахов В.В. Страхование: Учебник для вузов. М.: Юнити, 2003.
16. Юлдашев Р.Т. Страховой бизнес. Словарь-справочник. М.: Анкил, 2005.
17. Gronroos, Ch. Service Management and Marketing. West Sussex, 2000.
18. Camp, L. Positioning and Communication Issues in Building Financial Services Brands // Journal of Brand Management, 1999.
19. Levitt, T. Marketing Success through Differentiation of Anything, Harvard Business Review, January-February 1980.
20. Meadows, M., Dibb, S. Assessing the Implementation of Market Segmentation in Retail Financial Services // International Journal of Service Industry Management, 1998.
21. Коваль, А. Человеческий капитал в страховании важнее финансового / А. Коваль // Управление персоналом. 2004.
22. European Insurance in Figures. Complete Data, 1998, - 2001.

ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ანალიზი დელფის მეთოდის გამოყენებით

თამარ ჩიქავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს ღვინის ინდუსტრიაში არსებული მდგომარეობა და გლობალურ ბაზრებზე სხვადასხვა მიდგომების გამოყენების აუცილებლობა. კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართული ღვინის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მისი შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება. სტატიაში წარმოდგენილია ღვინის ინდუსტრიის ექსპერტებთან ჩატარებული კვლევის შედეგები დელფის მეთოდის გამოყენებით. კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე რესპონდენტებმა ჩამოაყალიბეს შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც ქართული ღვინის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობას, მის შესაძლებლობებს და ბარიერებს ქმნის. მომდევნო ეტაპზე კი რესპონდენტებმა შეაფასეს ფაქტორების მნიშვნელობა და ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობა.

საკვანძო სიტყვები: ქართული ღვინის ინდუსტრია, დელფის მეთოდი, ქართული ღვინის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა.

AN ANALYSIS OF GEORGIAN WINE COMPETITIVENESS USING THE DELPHI METHOD

Tamar Chikava
PhD student of GTU

RESUME

The article discusses the current situation in the wine industry in Georgia and evaluates the necessity of using different approaches of penetration at global markets. The aim of the research was to determine the factors that affect competitiveness of the Georgian wine industry, also, to identify opportunities and threats for this industry. In the article are presented results of the research conducted among the wine industry experts using the Delphi method. The research was held in two stages. At the first stage, respondents were asked to formulate internal and external factors that drive the competitiveness of the wine industry, as well as opportunities and barriers for the development of the wine industry in Georgia. At the next stage, respondents assessed the importance and competitive position of the factors.

Keywords: Georgian wine industry, Delphi method, competitiveness of the Georgian wine industry.

* * * *

გლობალურ ბაზრებზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდისა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისთვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად კონკურენტუნარიანია ქართული ღვინო და რა ქმედებები უნდა განხორციელდეს კონკურენტუნარიანობის კიდევ უფრო გასაზრდელად. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის დადგენის საფუძველზე ამ სფეროში არსებული პრობლემების და იმ საკვანძო ფაქტორების გამოვლენა, რაც აძლიერებს ან ასუსტებს ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობას. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის კონკურენტუნარიანობის ანალიზისთვის ჩვენ გამოვიყენეთ დელფის მეთოდი, რომლის არსი მდგომარეობს გარკვეული სფეროს ექსპერტ-კონსულტანტების პრობლემატურ საკითხზე შეხედულებათა შედარებასა და შეჯერებაში. ეს არის სტრუქტურული კომუნიკაციის ხერხი, რომელიც ექსპერტული ცოდნის გამოყენებით ცდილობს საკითხის ირგვლივ საუკეთესო იდეები, მოსაზრებები და პროგნოზები შეიმუშავოს. თუ ორი ანალიტიკოსის მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა, ეს მნიშვნელოვნად ზრდის დასკვნის სანდოობას, უთანხმოების შემთხვევაში კი იხსნება ახალი სივრცე შემდგომი კვლევისთვის [1].

დელფის მეთოდის ძირითადი პრინციპები მდგომარეობს ექსპერტების ანონიმურ გამოკითხვაში მათი ურთიერთზეგავლენის მოხდენის გამორიცხვის მიზნით. უკუკავშირი ექსპერტების ჯგუფის მართვის პროცესის განსახორციელებლად წარმოებს მათი შეფასებების გადამუშავების შედეგად მიღებული ინფორმაციის ერთად განხილვის საშუალებით. პროცესს უნდა წარმართავდეს კონსულტანტ-ანალიტიკოსი. ამ მეთოდის მიზანს არ შეადგენს ექსპერტთა შეხედულების სრული დამთხვევა. მომდევნო ეტაპის გამოკითხვის შედეგების ანალიზი უჩვენებს მათი შეხედულებების დაახლოებაზე, მაგრამ, არა სრულ დამთხვევაზე, გამოკითხვა რამდენიმე ტურად მიმდინარეობს [2].

ზოგიერთი მკვლევარის რჩევით, „დელფის“ მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას თითქმის ნებისმიერი საკითხის შეფასებისა და პროგნოზირებისთვის.

„დელფის“ მეთოდს აქვს რამდენიმე უპირატესობა:

- გარე ექსპერტებს შეუძლიათ ჩაერთონ საკითხის განხილვის პროცესში საკუთარი ადგილსამყოფელიდან, რაც დროსა და მატერიალური ხარ-

ჯების დაზოგვას უზრუნველყოფს;

- მეთოდი საშუალებას გვაძლევს, ანალიტიკოსების ექსპერტიზა მიღწეული დასკვნის გადასამოწმებლად გამოვიყენოთ. თუკი, სხვადასხვა ანალიტიკოსის მიერ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მიღწეულ იქნა ერთი და იგივე დასკვნა, ეს ჩატარებული ანალიზის უტყუარობას გვიდასტურებს;
- „დელფის“ საშუალებით ხდება განსხვავებული ექსპერტული პოზიციების გამოვლენა. ანალიტიკოსს საშუალება ეძლევა გააანალიზოს, თუ რას ეფუძნება განსხვავებული მოსაზრება;
- მეთოდი ექსპერტებს საშუალებას აძლევს ახალი მტკიცებულებებისა და გარემოებების გათვალისწინებით, შეავსონ, განავრცონ ან შეცვალონ თავიანთი კვლევა;
- ექსპერტების ანონიმურობა დაცულია, ისე რომ არცერთს არ შეუძლია გამოიყენოს მისი ავტორიტეტი სხვებზე გავლენის მოსახდენად.

„დელფის“ პროექტის გამოყენებისას, მოდერატორი ექსპერტთა ჯგუფს, რომლებიც გეოგრაფიულად შესაძლოა სხვადასხვა ადგილას იყვნენ, კითხვარებს უგზავნის. ექსპერტები უკან აბრუნებენ პასუხებს თანდართული განმარტებებით. მოდერატორი კრებს ყველა დასკვნას, უგზავნის თითოეულ ექსპერტს ცალ-ცალკე, რის შემდეგაც მათ სთხოვს, მოახდინონ თავდაპირველი მოსაზრების რევიზია. კითხვარების შევსების ციკლი გრძელდება რამდენიმე რაუნდად იმავე ან მსგავსი კითხვების გამოყენებით. მიზანშეწონილია, ექსპერტის მიერ ანონიმურობის შენარჩუნება, რათა საუკეთესო ექსპერტების მოსაზრებებმა გავლენა არ იქონიონ ჯგუფის სხვა წევრებზე.

დელფის ძირითადი ღირებულებაა ის იდეები, რომელთა გამოვლენასაც ის უწყობს ხელს, მათ შორის ისინი, რომლებიც კონსენსუსის საგანი ვერ ხდება. განსხვავებული პოზიციების არგუმენტები დელფის მნიშვნელოვანი პროდუქტია [3, გვ.88].

კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ღვინის კონკურენტული პოზიციის განსაზღვრას, დარგში არსებული შესაძლებლობებისა და პრობლემების იდენტიფიკაციას, ჩავატარეთ დელფის მეთოდის გამოყენებით.

კვლევისათვის შეირჩა 15 რესპონდენტი, მათ შორის 10 ბიზნეს სექტორიდან, ხოლო დანარჩენი სამთავრობო და აკადემიური დაწესებულებებიდან. კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე რესპონდენტებს ვთხოვეთ განესაზღვრათ მეღვინეობის დარგში არსებული შესაძლებლობები და საფრთხეები, ასევე, ის შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეღვინეობის დარგის კონკურენტუნარიანობას გლობალურ ბაზრებზე. მიღებულ შედეგებს რესურსებზე დაფუძნებული ხედვიდან გამომდინარე დავუმატეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი და კვლევის მეორე ეტაპზე რესპონდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ ამ ფაქტორების მნიშვნელობა და კონკურენტული პოზიცია.

ქვემოთ მოცემული ცხრილების სახით გთავაზობთ ჩატარებული კვლევის შედეგებს.

ცხრილი. საბაზრო შესაძლებლობების ანალიზი

№	შესაძლებლობების ჩამონათვალი	მიმზიდველობის საშუალო შეფასება
1	ახალი ბაზრების ათვისება - მაგ. სკანდინავია, ევროკავშირის ის ქვეყნები სადაც ქართული ღვინო ჯერ არ არის შეღწეული	6,75
2	არსებულ ბაზრებზე ღრმა შეღწევა - მაგ. პოლონეთი, გერმანია, ბალტიის ქვეყნები, იაპონია, ჩინეთი, აშშ.	8,25
3	საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირება	8,25
4	ავთენტური და ნიშური სეგმენტების პოპულარიზაცია და ათვისება (მაგ. ქვევრის ღვინოები, ძირძველი ქართული ყურძნის ჯიშების მოყვანა და ღვინის წარმოება)	4,5
5	წარმოების თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების/ტექნოლოგიური პროცესების მოძიება და დანერგვა	4,5
6	გლობალური ბაზრებზე საქართველოს როგორც ღვინის სამშობლოს ფართო მასებისთვის გაცნობა და საერთაშორისო აღიარება	8,25
7	„ქოლგის“ ქართული ბრენდის შექმნა და პოპულარიზაცია გლობალურ ბაზრებზე	5,5
8	ინოვაციური პროდუქტების შექმნა და შეთავაზება გლობალურ ბაზარზე	3
9	საერთაშორისო სავაჭრო ბარიერების შემსუბუქება	4,5
10	გლობალურ ბაზრებზე ღვინოზე მოთხოვნის ზრდა	7

საშუალო ქულის დაანგარიშების შედეგად დადგინდა თუ რომელი შესაძლებლობები არის უფრო მიმზიდველი საქართველოს მეღვინეობის დარგის განვითარებისთვის გლობალურ ბაზრებზე. ის შესაძლებლობები, რომელთა საშუალო ქულა 5-ს აჭარბებს, უფრო მიმზიდველი და პრიორიტეტულია მეღვინეობის დარგისთვის.

ძალიან მნიშვნელოვანია იმ ბაზრებზე, რომლებზეც უკვე გატანილია ქართული ღვინო, თავის უფრო ღრმად დამკვიდრება. ასეთ ბაზრებს მიეკუთვნება ჩინეთი, აშშ, პოლონეთი და ა.შ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება და ახალი ბაზრების ათვისება. მნიშვნელოვანია, რომ ქართული ღვინო გაიყიდოს სკანდინავიაში ან ევროკავშირის იმ ქვეყნებში, რომელიც ჯერ არ არის ათვისებული ქართველი ექსპორტიორების მიერ. მართალია უცხოელი ექსპერტები მას უკვე იცნობენ, მაგრამ ქართული ღვინო ჯერ კიდევ არაა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს გლობალურ ბაზრებზე საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს ფართო მასებისთვის გაცნობა და საერთაშორისო აღიარების მოპოვება.

მნიშვნელოვან შესაძლებლობად გამოიკვეთა, ასევე, „ქოლგის" ქართული ბრენდის შექმნა და პოპულარიზაცია გლობალურ ბაზრებზე. ისეთ დიდ ბაზრებზე, როგორებიცაა ევროკავშირი, ჩინეთი, აშშ, ცალკე აღებული ვერცერთი კომპანია საკუთარი თავის წარმოჩენას ვერ შეძლებს. ამ ბაზრებზე შესვლა დიდ სარეკლამო დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამას ემატება ქვეყნის, ღვინის და ვაზის ჯიშების დაბალი ცნობადობაც. მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის ბრენდით გასვლა ცნობილი და აპრობირებული მეთოდია. სამხრეთ აფრიკა, ჩილე და ავსტრალია საერთაშორისო ბაზარზე თავის დროზე სწორედ ამ გზით გავიდნენ.

გამოკითხვის შედეგად ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ არსებული ქართული ბრენდების ფალსიფიცირება, ასევე, პოლიტიკური, მაკროეკონომიკური დესტაბილიზაცია და სავაჭრო კავშირების წყვეტა, პოტენციურად კონკურენტი ქვეყნების საერთაშორისო ასპარეზზე გააქტიურება, ლოჯისტიკური პრობლემების წარმოქმნა და დაბალი თვითღირებულების პროდუქტებთან კონკურენცია დასახელდა. ვფიქრობთ, რომ გლობალურ ბაზრებზე ღვინოზე მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში ქართულ ღვინოს ექნება უფრო მეტი შესაძლებლობა განვითარებისათვის და საექსპორტო ბაზრებზე დამკვიდრებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Linstone H. A., Turoff M., The Delphi Method, Techniques and Applications, 2002.
2. სურგულაძე გ., ვაჭარაძე ი., ექსპერტულ შეფასებათა პროცესების ავტომატიზაცია ობიექტ-ორიენტირებული მეთოდებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006.
3. მელაძე გ., ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჭიაურელი ს., საზოგადოებრივი მონაწილეობის ფორმები და მეთოდები, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2008.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციები და საქართველოს სტატისტიკური მაჩვენებლები

ირაკლი ჯანგავაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საერთაშორისო ტურიზმი ერთ-ერთი წამყვანი დარგია მსოფლიოში, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, ქვეყანაში ბიზნეს საქმიანობის განვითარებასა და შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესში. იგი ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. თანამედროვე ეტაპზე, ტურიზმი ეფუძნება დარგთაშორის საწარმოო კოოპერაციას, რომელიც მას სხვა დარგებთან (ტრანსპორტი, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, და სხვ.) აკავშირებს და ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკის ზრდას.

საქართველოში ტურიზმის განვითარებას კარგი პერსპექტივა აქვს და ის სახელმწიფო დონეზე სტრატეგიულ მიმართულებადაა აღიარებული, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. საქართველო ყოველთვის განიხილებოდა როგორც ტურიზმის მიმართულებით ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანა, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები, მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახით, კულტურული ძეგლების სიუხვით, მდიდარი ტრადიციებით, სტუმარ-მასპინძლობით.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ტურიზმი; მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია; ტურისტული ნაკადები; ტურისტული ბიზნესი; ვიზიტორი; საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები; საერთაშორისო ტურიზმის დანახარჯები.

INTERNATIONAL TOURISM DEVELOPMENT TRENDS AND STATISTICAL INDICATORS OF GEORGIA

Irakli Jangavadze
PhD student of GTU

SUMMARY

International tourism is one of the main sectors in the world that play an important role in the development of business activities in the country, creating new jobs and socio-economic development of the country. It helps to overcome poverty and raising the welfare of the population.

Development of tourism in Georgia has a great perspective and it is recognized as a strategic direction at the state level. Georgia has always been considered one of the attractive countries with its geographical location, climatic conditions, mineral waters, medicinal mud, cultural monuments, rich traditions.

Keywords: international tourism, world tourism organization, tourist arrivals, tourism business, visitor, international tourism receipts, international tourism expenditures.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ტურიზმი მსოფიოში ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი და განვითარებადი დარგია, რომლის წილი მსოფლიოს მთელი შემოსავლის 12%-ს უტოლდება. იგი მსოფლიოში ლიდერობს ნავთობისა და მანქანათმშენებლობის შემდეგ.[1]

საერთაშორისო ტურიზმის განვითარება დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- **პოლიტიკური ფაქტორები** — ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილურობა;
- **ეკონომიკური ფაქტორები** — ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარება, ვალუტის ხელსაყრელი გაცვლითი კურსი, სატრანსპორტო სისტემის სრულყოფა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა, საპენსიო უზრუნველყოფის შედარებით მაღალი დონე, ოჯახური შემოსავლებისა და დანახარჯების გაანგარიშება, შვებულების პერიოდის რაციონალურად გადანაწილება და გამოყენება;
- **სოციალური ფაქტორები** — ტრადიციები, ქცევები, ინფორმაცია და რეკლამა;
- **ბუნებრივი ფაქტორები** — კლიმატი, სამკურნალო წყალი და ტალახი, ფლორა და ფაუნა;
- **დემოგრაფიული ფაქტორები** — მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივი ცვლილება, ტერიტორია, დასახლება;
- **კულტურულ-ისტორიული ფაქტორები** — არქიტექტურული ძეგლები, მუზეუმები, ძველი ქალაქები, არქეოლოგიური აღმოჩენები, წარმოების განვითარების პირობები, მეცნიერულ-ტექნიკუ-

1 ბლიაძე მ., ბლიაძე ნ., საერთაშორისო ტურიზმი და საქართველოს საკურორტო მეურნეობა. ჩსუ. თბ., 2018. გვ. 52.

რი პროგრესი, შრომითი საქმიანობა, მოსახლეობის პროფესიული და კულტურული დონე;

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) გაეროს სპეციალიზებული ორგანოა, რომელიც არის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია ტურიზმის სფეროში. ორგანიზაცია დაფუძნდა 1974 წელს მადრიდში. იგი კონცენტრირებულია საერთაშორისო ტურიზმის შესახებ მონაცემების შეგროვებასა და შედარებაზე. აღნიშნული საშუალებას იძლევა გაკეთდეს მსოფლიო მასშტაბით ტურიზმის ზრდისა და შემცირების შედარებითი ანალიზი. საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა გამოცდილების გაზიარება განვითარებად ქვეყნებში, სადაც ახორციელებს სპეციალურ პროგრამებს მათი ადმინისტრაციების გასაძლიერებლად. 2017 წელს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ მდივნად არჩეულ იქნა, საქართველოს ეკონომიკის (ყოფილი) მინისტრი, ზურაბ პოლოლიკაშვილი.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით უკანასკნელ ათწლეულებში განსაკუთრებით იზრდება საერთაშორისო ტურიზმის მოცულობა. საშუალოდ მსოფლიო ტურისტული ბიზნესი ყოველწლიურად 4-5%-ით იზრდება, თუმცა პერიოდულად ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის გარკვეული კრიზისებიც. მთელს მსოფლიოში ტურისტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და 2000 წლიდან 2018 წლამდე 640 მილიონიდან 990 მილიონამდე მაჩვენებელს მიაღწია. ე.ი. მსოფლიო ტურიზმის ყოველწლიური ზრდა 4.8%-ს შეადგენდა.

საერთაშორისო ტურიზმისათვის მნიშვნელოვანია ტურისტული ნაკადების რაოდენობა და ამ მხრივ 2010 წლიდან დღემდე მსოფლიოში ლიდერია ევროპა, შემდეგ აზია-წყნარი ოკეანის აუზი, აშშ, აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი (იხ. ცხრ. 1)

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციების მიხედვით ევროპა მრავალი მაჩვენებლით, მათ შორის შემოსავლების რაოდენობით, მსოფლიოში ლიდერის პოზიციას იკავებს. ევროპის მიმზიდველობა და უპირატესობა სხვა ქვეყნების ტურისტებისათვის აისახება მრავალი ფაქტორით: 1) ევროპის უმეტეს ქვეყნებში მოსახლეობის 1 სულზე მაღალია შემოსავლები; 2) მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შვებულებას ატარებს ტერიოტორიულად ახლო მდებარე ქვეყნებში; 3) მოსახლეობის თავისუფალი გადააადგილება; 4) მდიდარი კულტურულ-ისტორიული და ღირსშესანიშნავი ძეგლები; 5) კარგად განვითარებული ტურისტული ინდუსტრია და ინფრასტრუქტურა; 6) სტუმარ-მასპინძლობის მდიდარი ტრადიციები, რაც საერთაშო-რისო ტურისტების მოთხოვნის მაღალ დონეზე დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. 2006 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ევროპაში საერთაშორისო ტურისტული შემოსავალი 5%-დან 12%-მდე გაიზარდა. გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ევროპაში შემოსული ტურისტების 90% ევროპელები არიან.[2]

საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით მსოფლიოში გამოკვეთილად ლიდერობენ აშშ და ჩინეთი. ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულებით ტოპ 10 ქვეყნიდან 5 ევროპის, 4 აზიის და 1 ჩრდ. ამერიკის რეგიონს ეკუთვნის (იხ. ცხრ. 2).

რაც შეეხება საერთაშორისო ტურიზმზე დანახარჯებს, ყველაზე დიდი რაოდენობით ფინანსები გაღებულ იქნა ჩინეთში ($292.2 მლრდ.), რომლის მაჩვენებელი დაახლოებით 3-ჯერ აღემატება აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებელს ($112.9 მლრდ), (იხ. ცხრ.3)

აღსანიშნავია, რომ საქართველო მოხვდა იმ 10 ქვეყანაში, სადაც ტურიზმი განსაკუთღებით განვითარდა ბოლო წლებში - განვითარების მაჩვენებელმა 22.7% შეადგინა (იხ. ცხრ. 4)

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მიმდინარე წლის იანვარში, 2017 წლის იანვართან შედარებით, საქართველოში შემოსულ ტურისტთა რაოდენობა 23%-ით გაიზარდა. 2017 წლის იანვარში 154 083 ტურისტი შემოვიდა, ხოლო 2018 წლის იანვარში 189 476.

2 ბლიაძე მ., ბლიაძე ნ., საერთაშორისო ტურიზმი და საქართველოს საკურორტო მეურნეობა. CIU. თბ., 2018. გვ. 57-58.

ცხრ. 1. მსოფლიოს 10 ყველაზე მონახულებადი სახელმწიფო

№	ქვეყანა	რეგიონი	საერთაშორისო ტურისტული ჩასვლები
1	საფრანგეთი	ევროპა	82.6 მლნ
2	აშშ	ჩრდ. ამერიკა	75.6 მლნ
3	ესპანეთი	ევროპა	75.6 მლნ
4	ჩინეთი	აზია	59.3 მლნ
5	იტალია	ევროპა	52.4 მლნ
6	დიდი ბრიტანეთი	ევროპა	35.8 მლნ
7	გერმანია	ევროპა	35.6 მლნ
8	მექსიკა	ჩრდ.ამერიკა	35.0 მლნ
9	ტაილანდი	აზია	32.6 მლნ
10	მალაიზია	აზია	26.8 მლნ

წყარო: 2016 Tourism Highlights. World Tourism Organization.

ცხრ. 2. საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები

№	ქვეყანა	რეგიონი	საერთაშორისო ტურიზმის შემოსავლები
1	აშშ	ჩრდ. ამერიკა	$204.5 მლრდ
2	ჩინეთი	აზია	$114.1 მლრდ
3	ესპანეთი	ევროპა	$56.5 მლრდ
4	საფრანგეთი	ევროპა	$45.9 მლრდ
5	დიდი ბრიტანეთი	ევროპა	$45.5 მლრდ
6	ტაილანდი	აზია	$44.6 მლრდ
7	იტალია	ევროპა	$39.4 მლრდ
8	გერმანია	ევროპა	$36.9 მლრდ
9	ჰონგ-კონგი	აზია	$36.2 მლრდ
10	მაკაუ	აზია	$31.3 მლრდ

წყარო: 2016 Tourism Highlights. World Tourism Organization.

ცხრ. 3. საერთაშორისო ტურიზმის დანახარჯები

№	ქვეყანა	რეგიონი	საერთაშორისო ტურიზმის დანახარჯები
1	ჩინეთი	აზია	$292.2 მლრდ
2	აშშ	ჩრდ. ამერიკა	$112.9 მლრდ
3	გერმანია	ევროპა	$77.5 მლრდ
4	დიდი ბრიტანეთი	ევროპა	$63.3 მლრდ
5	საფრანგეთი	ევროპა	$38.4 მლრდ
6	რუსეთი	ევრაზია	$34.9 მლრდ
7	კანადა	ჩრდ.ამერიკა	$29.4 მლრდ
8	კორეის რესპ.	აზია	$25.0 მლრდ
9	იტალია	ევროპა	$24.4 მლრდ
10	ავსტალია	ოკეანია	$23.5 მლრდ

წყარო: 2016 Tourism Highlights. World Tourism Organization.

ცხრ. 4. ქვეყნები ტურიზმის განვითარების განსაკუთრებული მაჩვენებლებით. 2010-2016 წ.

№	ქვეყანა	პროცენტულობა
1	მიანმარი	73.5 %
2	სუდანი	49.8 %
3	აზერბაიჯანი	36.4 %
4	ყატარი	34.1 %
5	შაო ტომე	30.1 %
6	შრი ლანკა	26.4 %
7	კამერუნი	25.5 %
8	**საქართველო**	**22.7 %**
9	ისლანდია	20.0 %
10	ყირგიზეთი	19.5 %

წყარო: Global Economic Impact & Issues 2017. World Travel & Tourism Council.

ცხრ. 5 10 ქვეყანა, საიდანაც 2018 წლის იანვარში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა.

ქვეყანა	2018 წ. იანვარი	% ზრდა წინა წელთან
აზერბაიჯანი	116 503	0.8%
თურქეთი	94 959	20.1%
სომხეთი	93 711	20.9%
რუსეთი	71 141	14.6%
ირანი	15 570	92.4%
უკრაინა	10 497	2.6%
ინდოეთი	3 792	47.8%
ისრაელი	3 006	76.5%
ყაზახეთი	2 447	7.7%
ფილიპინები	2 379	19.1%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

ვიზიტორების რაოდენობა, რომელიც ტურისტებთან ერთად ტრანზიტს და სხვა კატეგორიებს მოიცავს, იანვარში 14.8%-ით გაიზარდა და ჯამში 444 421 ვიზიტორი შემოვიდა. იანვარში ყველაზე მეტი (116 503) ვიზიტორი აზერბაიჯანიდან შემოვიდა. მეორე ადგილზეა თურქეთი — 94 959 ვიზიტორით, ხოლო მესამე ადგილზეა სომხეთი — 93 711 ვიზიტორით (იხ. ცხრ. 5)

დიაგრ. 1. ტურიზმის წილი მშპ-ში.



დიაგრ. 2. შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან



2016 წელს შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 2.17 მლრდ. დოლარს (ზრდა +11.9%). ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ ტურიზმზე 0.39 მლრდ. დოლარი (ზრდა +17.2%). შედეგად უცხოური ტურიზმის ბალანსი საქართველოში შეადგენდა 1.78 მლრდ. დოლარს (ზრდა +10.8%). ტურიზმის წილი ეკონომიკაში გაიზარდა და შეადგენდა 7.1% მშპ-ში (6.7%-ის ნაცვლად), რაც ტურიზმის დამატებული ღირებულების ზრდის შედეგია (იხ. დიაგრამა 1 და 2).

უცხოელი ვიზიტორების დანახარჯებს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს საქართველოს საგადასახდელო ბალანსზე. დაახლოებით 64.3% საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლებიდან ტურიზმზე მოდის (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრ. 3 ტურიზმის წილი სერვისის ექსპორტში (2016წ).



წყარო: საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2016.

დასკვნა

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პროგნოზი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ. მსოფლიო ქვეყნებში შემოსული ტურისტების რაოდენობამ 2010 წელს 1 მლრდ. მიაღწია, ხოლო მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროგნოზით 2020 წლისათვის 1.5 მლრდ. გადააჭარბებს, რაც ჩინეთის მოსახლეობის ექვივალენტი იქნება. ჩამოყალიბდება 3 ძირითადი მიმღები ზონა: ევროპა მიიღებს 738 მლნ. ტურისტს, აზია წყნარი ოკეანის რეგიონი 405 მლნ. ტურისტს, ამერიკა მიიღებს 255 მლნ. ტურისტს. ამათ მოყვება აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ აზია. ე.ი. 2020 წლისათვის მიმღები ქვეყნების საბაზრო წილი მნიშვნელოვნად შეიცვლება.გაიზრდება ასევე საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და მიაღწევს 2 ტრლ. დოლარს, რაც შესაბამისი იქნება ინგლისის, ან გერმანიის მშპ-ისა. ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული იქნება 350 მლნ. ადამიანი, რაც დღევანდელი აშშ-ს მოსახლეობის ექვივალენტური იქნება. პროგნოზით, ყოველი მე-10-ე ადამიანი ტურიზმის სფეროში იქნება დასაქმებული.

2020 წლისათვის ამ დარგში მოსალოდნელია 2.5 ტრლ. დოლარის ინვესტირება, ანუ მსოფლიო მეურნეობაში დაბანდებული მთლიანი ინვესტიციების 12%.[3]

საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში იარსებებს ხელისშემშლელი ფაქტორებიც, რომელთაგან აღსანიშნავია უსაფრთხოების პრობლემები, ინფლაციური ტენდენციები, რაც გამოიწვევს ფასების ზრდას, ეპიდემიური დაავადებების აფეთქება, ზოგიერთი ქვეყნის მიერ საემიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება. ამისათვის საჭიროა აღნიშნული პრობლემების დროულად გაანალიზება და გამოსწორება, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტურიზმის კიდევ უფრო განვითარებას.

3 ბლიაძე მ., ბლიაძე ნ., საერთაშორისო ტურიზმი და საქართველოს საკურორტო მეურნეობა. CIU. თბ., 2018. გვ. 59-60.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიშვილი ხ. საერთაშორისო ტურიზმის ბიზნესი. უნივერსალი. თბ. 2012;
2. ბლიაძე მ., ბლიაძე ნ., საერთაშორისო ტურიზმი და საქართველოს საკურორტო მეურნეობა. CIU. თბ., 2018;
3. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2016;
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - [https://gnta.ge/ge/];
5. 2018 weli turizmis zrdiT daiwyo. J. forbsi – [http://forbes.ge/news/3398/2018-weli-turizmis-zrdiT-daiwyo];
6. 2016 Tourism Highlights. World Tourism Organization;
7. Global Economic Impact & Issues 2017. World Travel & Tourism Council;
8. https://wikipedia.org.

ბიზნეს ინჟინერინგი ენერგეტიკაში

ჰესების მშენებლობა და საზოგადოება

(ხუდონი ჰესის მაგალითზე)

დავით ბალავაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ენერგეტიკის განვითარებაში საზოგადოების შეგნებული მონაწილეობის გარეშე, ნებისმიერ პროექტს, რაგინდ წარმატებულიც არ უნდა იყოს, ჩაშლა ემუქრება. ხუდონი ჰესი ისეთი მნიშვნელოვანი პროექტია, მისი აშენებით საქართველო ელექტროენერგიით დამოუკიდებელი გახდებოდა, თუმცა საზოგადოების წინააღმდეგობის გამო, პროექტის განხორციელება დღეისათვისაც ვერ ხერხდება. ნაშრომში განხილულია, წარსულში, აწმყოში და მომავალში, რა გავლენას მოახდენდა, ხუდონი ჰესის აშენება საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბალანსში. მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს აზრი, რომ ქვეყანას სჭირდება იმ ენერგორესურსის ოპტიმალურად ათვისება, რითაც მდიდარია. ხუდონი ჰესი თავის დროზე აშენებული, რომ ყოფილიყო, ათწლეულობის მანძილზე საქართველოში, ელექტროენერგიის წარმოება ყოველთვის, მნიშვნელოვნად გადააჭარბებდა მოხმარება.

საკვანძო სიტყვები: ხუდონი ჰესი, საზოგადოება, ელექტროენერგეტიკული ბალანსი.

CONSTRUCTION OF HPPS AND SOCIETY
(On the example of Khudoni HPP)

Davit Balavadze
PhD student of GTU

RESUME

Without the conscious participation of the public in the development of energy, any project can be disrupted, despite of how successful that project must not be. The project of Khudoni HPP is so important that by building it the country would become independent in electricity but due to the public resistance, the implementation of the project can not be achieved today. The work discusses how the construction of the Khudoni HPP in Georgia would effect the electricity balance in the past, present and future. It is important that society develop the idea that the country needs the optimal utilization of energy in which the country is rich. If the Khudoni HPP was built in his own time, for decades in Georgia, electricity production would have exceed to consumption.

Keywords: Khudoni HPP, Society, Electric power balance.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში და ზოგადად ნებისმიერ ქვეყანაში, ენერგეტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. ენერგეტიკაზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება და წინსვლა.XXI საუკუნეს, რომელიც ინოვაციის და ტექნიკის საუკუნეა, ენერგია ისე სჭირდება, როგორც ადამიანს საჭმელი საარსებოდ,მცენარეებს მიწა,მზე და წყალი. ენერგიის გარეშე დღევანდელი მსოფლიო წარმოუდგენელია. ქვეყანა თუ ენერგეტიკულად ძლიერია, ეს პირდაპირ ნიშნავს ეკონომიკურ სიძლიერეს. ენერგეტიკული სიძლიერე ნიშნავს, ქვეყანაში მაქსიმალურად ათვისებულია ენერგეტიკული რესურსები, გენერაცია ან მოპოვება აკმაყოფილებს მოხმარებას ქვეყანაში და ასევე არის საშუალება, ჭარბი ენერგიის იმპორტზე გატანის. მაგალითად: ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, აზერბაიჯანს და რუსეთს ჭარბად აქვთ ბუნებრივი გაზი, ანუ მოიპოვებენ იმდენს რომ დააკმაყოფილონ თავიანთი ქვეყნის მოთხოვნა, და ამავდროულად გაიტანონ იმპორტზე და მიყიდონ სხვა ქვეყანას. ასევეა აზიის ბევრ ქვეყანაში მოიპოვებენ ნავთობს, ყიდიან და აძლიერებენ თავიანთ ქვეყნებს. საქართველოს შემთხვევაში ნავთობი და ბუნებრივი გაზის დიდი საბადოები ჯერ ჯერიბით არ არის აღმოჩენილი, თუმცა მდიდრები ვართ ჰიდრორესურსით, შეგვიძლია ეს რესურსი გამოვიყენოთ, ვაწარმოოთ ელექტროენერგია ჭარბად, გავყიდოთ და ქვეყანას მივცეთ დამატებითი ფინანსური შემოსავალი.

2017 წლის მონაცემებით ელექტროენერგიის ფაქტიური ბალანსი შემდეგია:

- ელექტროენერგიის შიდა მოხმარება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7.7%-ით, ხოლო 2015 წელთან შედარებით – 14.4%-ით;
- საქართველოში ელექტროენერგიის შიდა მოხმარება, 2007-2017 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად საშუალოდ 4.4%-ით იზრდება;
- ელექტროენერგიის წარმოება (სალტეზე გაცემა) წინა წელთან შედარებით 0.4%-ით შემცირდა,
- 2007-2017 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება (სალტეზე გაცემა) საშუალოდ იზრდება 3.5%-ით;
- ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპა-

ნიების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია წინა წელთან შედარებით 7.1%-ით, ხოლო 2015 წელთან შედარებით 14.7%-ით არის გაზრდილი;

• პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებულ ელექტროენერგია წინა წელთან შედარებით 17.8%-ით, ხოლო 2015 წელთან შედარებით – 16.8%-ით გაიზარდა;

• აფხაზეთზე მიწოდებული ელექტროენერგია წინა წელთან შედარებით 3.9%-ით, ხოლო 2015 წელთან შედარებით 11.4%-ით არის გაზრდილი;

• ელექტროენერგიის იმპორტი 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, სამჯერ, ხოლო 2015 წელთან შედარები ორჯერ გაიზარდა. აგრეთვე, 2017 წელს ელექტროენერგიის იმპორტმა 2.2-ჯერ გადააჭარბა ექსპორტს;

• ელექტროსადგურების ჯამურმა დადგმულმა სიმძლავრემ შეადგინა 4,112.27 მგვტ (ჰიდრო –3165.17 მგვტ, თბო – 926.4 მგვტ, ქარი – 20.7 მგვტ), რაც 6.3%-ით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს;

დღეისათვის ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორში ეს მონაცემებია. საინტერესოა შედარება, თუ როგორ შეცვლიდა ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ ბალანს, ხუდონი ჰესის ელექტროენერგიის დადგმული სიმძლავრე და წლიური გამომუშავება 2000-2017 წლებში.

ხუდონი ჰესის აშენების იდეა 20-საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა,სამშენებლო სამუშაოებიც დაიწყო, თუმცა ეროვნული მოძრაობის, სტუდენტების პროტესტის და ადგილობრივ მცხოვრებთა ძალისხმევით პროექტი შეჩერდა. საზოგადოების პროტესტის შედეგად 1989 წელს ივნისში საბჭოთა საქართველოს მთავრობამ სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ ბრძანებულება გამოსცა. 2000-იან წლებში პროექტი ისევ აქტუალური გახდა და გამოჩნდა ინვესტორი შპს „ტრანს-ელექტრიკა“ რომელთანაც საქართველოს მთავრობამ 2007 წელს გააფორმა საწყისი ურთიერთგაგების მემორანდუმი. 2011 წელს შპს „ტრანს-ელექტრიკმა“ მშენებლობის უფლება მოიპოვა, თუმცა შეფერხების მიზეზი საზოგადოების აქტიურობა იყო. ენერგეტიკოსებისა და ეკონომისტების უმრავლესობა ფიქრობს რომ „ხუდონი ჰესის“ აშენება აუცილებელია, ასევე ქვეყნის ყველა მთავრობა დადებითად ფიქრობდა ამ თემაზე, თუმცა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების გამო, ხუდონი ჰესის აშენება ჯერაც არ არის დაწყებული.

საწყის ეტაპად ავიღოთ XXI საუკუნის დასაწყისი და წინა წლების მონაცემებზე დაყრდნობით განვსაზღვროთ თუ რა გავლენა ექნებოდა ხუდონი ჰესს ელექტროენერგეტიკულ ბალანსში.

ცხრილი1. ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში ელექტროენერგიის წარმოების შედარება 2000-2017 წლებში.

წლები	სულ იყო წარმოება მლნკვტ/სთ	ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში იქნებოდა მლნკვტ/სთ	ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში გაიზრდებოდა წარმოება %
2000	7446	8946	20
2001	6942	8442	22
2002	7045	8545	21
2003	7163	8663	21
2004	6706	8206	22
2005	7100	8600	21
2006	7419	8919	20
2007	8169	9669	18
2008	8279	9779	18
2009	8278	9778	18
2010	9919	11419	15
2011	9912	11412	15
2012	9471	10971	16
2013	9860	11360	15
2014	10369	11869	14
2015	10592	12092	14
2016	11364	12864	13
2017	11315	12815	13

ცხრილი2. ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში ელექტროენერგიის წარმოების და მოხმარების შედარება 2000-2017 წლებში.

წლები	ფაქტიური ბალანსი			ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში შესაძლო ბალანსი		
	წარმოება მლნკვტ/სთ	მოხმარება მლნკვტ/სთ	წარმოების და მოხმარების შედარება მლნკვტ/სთ +-	წარმოება ხუდონჰესის შემთხვევაში მლნკვტ/სთ	წარმოება და მოხმარების შედარება ხუდონჰესის შემთხვევაში მლნკვტ/სთ	წარმოების გადააჭარბება მოხმარებაზე %
2000	7446	7847	-401	8946	1099	14
2001	6942	6149	793	8442	2293	37
2002	7045	6369	676	8545	2176	34
2003	7163	6691	472	8663	1972	29
2004	6706	7404	-698	8206	802	11
2005	7100	7842	-742	8600	758	10
2006	7419	7879	-460	8919	1040	13
2007	8169	7812	357	9669	1857	24
2008	8279	8074	205	9779	1705	21
2009	8278	7640	638	9778	2138	28
2010	9919	8441	1478	11419	297 8	35
2011	9912	9256	656	11412	2156	23
2012	9471	9379	92	10971	1592	17
2013	9860	9690	170	11360	1670	17
2014	10369	10170	199	11869	1699	17
2015	10592	10381	211	12092	1711	16
2016	11364	11026	338	12864	1838	17
2017	11315	11875	-560	12815	940	8

2000-2017 წელებში ხუდონი ჰესის არაშენებით საშუალოდ ყოველ წელს დავკარგეთ 18% გაზრდილი წარმოებული ელექტროენერგია.

ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში 2000-2017 წლებში საშუალოდ 21%-ით გადააჭარბებდა ელექტროენერგიის წარმოება მოხმარებას.

2000 წელს რომ ხუდონი ჰესი აშენებული ყოფილიყო, ელექტროენერგიის წარმოების მაჩვენებელი გადააჭარბებდა 2008 წლის მაჩვენებელს.

ჰიდროელექტროსადგურებში, მათი სპეციპიკიდან გამომდინარე კლებადი ტარიფებია, ანუ ჰესის ექპლუატაციის დაწყებიდან, დაბანდებული ინვესტიიციის საფასურის მიუხედავად, ტარიფი ყოველ წელს იკლებს. ექნებოდა თუ არა ხუდონი ჰესს დღეისათვის, ელექტროენერგიის ტარიფის კლებაზე გავლენა, გამოვიყენებ ერთ-ერთი სადისერტაციო ნაშრომიდან მცირე ანგარიშს:

„ბოლო ინფორმაციით მშენებლობა სულ ცოტა 1 მილიარდი დოლარი დაჯდება. მშენებლობისათვის გათვალისწინებულია ვადა 6 წელი. გასაანგარიშებლად ურისკო შემოსავლის განაკვეთი ავიღოთ r0=0.07 (7% წლიური, საერთოდ დიდი მოცულობის კაპიტალისათვის (ასობით მილიონი დოლარი და ზევით) მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია 5-8%). თვალსაჩინოებისთვის ჩავთვალოთ, რომ ინვესტიციები ხორციელდება წლების მიხედვით თანაბრად, ე.ი. (ინვესტიციის წლიური ნაკადი) ICj =117 მილიონი დოლარი.

1 კვტ/სთ -ს სავარაუდო გასაყიდი ღირებულება იქნება 7 ცენტი, ვინაიდან ჰესების საექსპლუატაციო ხარჯები საკმაოდ მცირეა, შემოსავალი არანაკლებ 6 ცენტი იქნება, მაშინ, ჰესის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ყოველწლიური ამონაგები იქნება

Pk =1 500 000 000 კვტ.სთ × 0.06 $ = 90 000 000=90 მლნ. დოლარი.“[მ.ლომსაძე-კუჭავა, სადისერტაციო ნაშრომი „ენერგოობიექტზე მიმდინარე საინვესტიციო პროცესების მართვის სრულყოფის გზები“ ავტორეფერატი, გვ17]

ნაჩვენები გამოთვლებიდან ნათელია, რომ ხუდონი ჰესის აშენებაზე საზოგადოების მხრიდან ხელისშეშლა, რომ არ ყოფილიყო, დღესდღეობით ამ ჰესზე ტარიფი იქნებოდა მინიმალური, რაც გავლენას მოახდენდა ელექტროენერგიის ტარიფის კლებაზე.

ხუდონი ჰესის აშენების ძირითადი ხელისშემ-

შლელი ფაქტორია საზოგადოების წინააღმდეგოგა, მიუხედავად იმისა, რომ ხუდონი ჰესი ქვეყანას ელექტროენერგიით დამოუკიდებელს გახდიდა, საზოგადოება მაინც ვერ აღიქვამს მის მნიშვნელობას. ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ჰესების მშენებლობის მოწინააღმდეგეთა რიცხვი, რაც ვფიქრობთ დიდ ზიანს მიაყენებს ქვეყნის ენერგეტიკას.

განვითარებული ქვეყნების უმეტესობას ჰიდრორესურსი მინიმუმ 80% მაინც აქვთ ათვისებული, საქართველოში ეს მაჩვენებელი 20%-ია, აუცილებელია საზოგადოებამ გაითავისოს, რომ ქვეყანას სჭირდება იმ რესურსის ოპტიმალური ათვისება, რითაც მდიდარია.

მსოფლიოში ყველა ქვეყანა ცდილობს ჰიდრო რესურსის ოპტიმალურად ათვისებას, მაგალითად: ჩინეთში ჰესი „სამი ხეობის" აშენებისთვის 2 ქალაქი ჩაიძირა, 1000-ზე მეტი არქეოლოგიური ობიექტი განადგურდა და 1300000 ადამიანი იძულებით გადასახლდა, მიუხედავად ამ უარყოფითი თვისებებისა, ჰესის დადგმული სიმძლავრე 22500 მგვტ-ია რაც მთელი ჩინეთის ელექტროენერგიის 10% შეადგენს.

ენერგეტიკის სამინისტროს ვებ გვერდზე დადებულია ასაშენებელი პოტენციური ჰიდროელექტროსადგურების პროექტები (98 მცირე და საშუალო ზომის ჰესები), რაც გამზადებულია ინვესტორებისთვის, და სურვილის შემთხვევაში ყველას აქვს მისით დაინტერესების უფლება. ყველა პროექტის შესრულებით დადგმული სიმძლავრის ჯამი გაიზრდება 37%-ით (1519,4 მგვტ), ხოლო წლიური გამომუშავება 65%-ით (7368,46 მლნკვტ/სთ). საკმაოდ კარგი მონაცემებია, თუმცა ამ პროექტებს შესრულება სჭირდება. საყურადღებოა ის ფაქტორი, რომ წყალსაცავიანი ჰესების რაოდენობა არის 6 , ხოლო დანარჩენი ჰესები დამოკიდებული იქნება სეზონზე. დადგმული სიმძლავრე 13 მეგვტ-ზე მეტი, ჰესების რაოდენობაა 26, ანუ დანარჩენი ჰესები იქნება დერეგულირებული.

საქართველოს აქვს 98 ჰესის ასაშენებლად გამზადებული პროექტი და ელოდება ინვესტორს, დაახლოებით რომ განვსაზღვროთ თუ რა დრო დასჭირდება ამას, სანამ ინვესტორს მოვიძიებთ და სანამ ეს აშენდება შესაძლოა 20-მა წელმაც გაიაროს. ინვესტორისთვის ნაკლებად საინტერესოა პატარა ჰესები, რადგან შედარებით ძვირი ჯდება და მათზე ტარიფი უფრო დიდია, ანუ არის იმის საშიშროება რომ წარმოებული ელექტროენერგია ვერ გაყიდოს. ინვესტორებისთვის უფრო მიმზიდველია დიდი ჰესები. საქართველოს აქვს პოტენცია დიდი ჰესის აშენებისა, ეს არის ხუდონ ჰესი რომლის დადგმული სიმძლავრე 700 მგვტ-ია, ზემოთ ხსენებული ჰესების ჯამური დადგმული სიმძლავრის 46%, რომლის აშენება მოკლე დროში ამ ეტაპზე უფრო რეალურია, ვიდრე ზემოთ ხსენებული ჰესებისა.

მნიშვნელოვანია ქვეყანაში ჩამოყალიბდეს აზრი, რომ ხუდონი ჰესის აშენება აუცილებელია. 2015 წელს სოციალური მედიით ჩატარებულ გამოკითხვაში, თუ რას ფიქრობს საზოგადოება დიდი ზომის ჰესების მშენებლობაზე, 163 გამოკითხულიდან, 51,5% ეთანხმება, ხოლო 49,5% არა, რაც შეეხება ხუდონი ჰესს, 162 გამოკითხულიდან 48,8% ეთანხმება მის აშენებას, ხოლო 51,2 არა.

ხალხის ესეთი მიდგომა მნიშვნელოვანს ხდის ენერგეტიკაში საზოგადოების განათლებას, რადგან მისი არქონით, ახლაც ხდება ხელისშეშლა ისეთი პროექტის განხორციელებაში, რომელიც ქვეყანას ელექტროენერიით დამოუკიდებელს გახდიდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ.ბალავაძე „ენერგეტიკა და საზოგადოებრივი განათლება" სტუ, 2015წ სამაგისტრო ნაშრომი, ხელმძღვანელი დ. ჩომახიძე;
2. დ. ჩომახიძე „საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება" თბილისი 2003;
3. მ.ლომსაძე-კუჭავა, „ენერგოობიექტზე მიმდინარე საინვესტიციო პროცესების მართვის სრულყოფის გზები"სტუ, 2012წ, სადისერტაციო ნაშრომი, ავტორეფერატი, გვ17, ხელმძღვანელი ნ.სამსონია;
4. სემეკის წლიური ანგარიში 2017წ;
5. http://www.gnerc.org;
6. www.minenergy.gov.ge;

ხელოვნური განათების თანამედროვე სისტემების ეფექტიანობის შეფასება და დანერგვის პერსპექტივები საქართველოში

დავით ჯაფარიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა
და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორი

ვახტანგ კახაძე
სტუ-ს დოოქტორანტი

რეზიუმე

სტატიის ავტორების მიერ სიღრმისეულად არის შესწავლილი ხელოვნურ განათებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა და განსაზღვრულია მისი ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობა. გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი ხელოვნური განათების სისტემების ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა. გამოკვეთილია ამ მხრივ არსებული პრობლემები და დასაბუთებულია მათი ხელოვნური განათების თანამედროვე ეკონომიკური ტექნოლოგიებით ჩანაცვლების მნიშველოვანი უპირატესობა.

მსოფლიოში აპრობირებული ხელოვნური განათებაში თანამედროვე ტექნოლოგიური სისტემების ფუნქციონირების დადებითი გამოცდილების და ქვეყანაში ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობის მეცნიერული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დასაბუთებულია საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებში, საყოფაცხოვრებო მომსახურეობაში და გარე განათების სისტემაში ხელოვნური განათების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზანშეწონილობა და ნაჩვენებია მათი გამოყენების სფეროები.

ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ საქართველოში ხელოვნური განათების სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების საყოვეთაო დანერგვით შესაძლებელია ხელოვნური განათების სისტემების საიმედოობის მნიშვნელოვანი ამაღლება და ყოველწლიურად ერთ მილიარდ კვტ/სთ-ზე მეტი ელექტრენერგიის დაზოგვა.

საკვანძო სიტყვები: ენერგოეფექტურობა, თანამედროვე ხელოვნური განათების სისტემები, შუქდიოდური სანათები, სანათები, ინდუქციური სანათები, ლაზერული სანათები, ხელოვნური განათების პარამეტრები, ინოვაციები ხელოვნურ განათებაში, ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობა, დანერგვის პერსპექტვები.

SUMMARY

By the authors of the article have been deeply studied the practice of using modern technologies in the artificial light and defined its technical-economic efficiency.

Was analyzed the technical-economic condition of artificial lighting systems operating in Georgia. Problems in this regard are exemplified and the substantive advantage of replacing acting artificial light with modern economic technologies is substantiated.

Based on the positive experiences of the functioning of modern technologies of artificial lighting in the world and the results of the scientific study of the situation in country, is justified the expediency of introduction of modern technology of artificial lighting in the field of Georgian industry, household services and the outdoor lighting systems, and were shown the spheres of their use.

According to the studies, the introduction of modern technologies in the artificial lighting system in Georgia gives the possibility to increase the reliability of artificial lighting systems and save over one billion kwt/hr electricity per year.

Keywords: Energy efficiency, Modern artificial lighting systems, LED lighting, OLED lighting, Inductive lights, Laser lights, Artificial lighting parameters, Innovations in artificial lighting, Technical and economic efficiency, Introduction perspectives.

* * * *

ბოლო პერიოდში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევს ენერგოდაზოგვის მენეჯმენტის მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებას. განვითარებული და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში [2] საკანონმდებლო დონეზეა გადაწყვეტილი ენერგოდაზოგვის პოლიტიკა, ამ მიმართულებით მუშაობას მიცემული აქვს კომპლექსური ხასიათი, ენერგოდაზოგვის ღონისძიებები მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროს, წინა პლანზეა წამოწეული ელექტროგანათების სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენება. ენერგოდაზოგვის პრობლემის გადაწვეტისადმი ასეთი მიდგომით მიღწეულია ენერგორესურსების დაზოგვის ხელშესახები შედეგები.

საქართველოში ამ მიმართულებით მუშაობა არ არის აყვანილი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში. პრაქტიკულად არაფერია გაკეთებული ევროპული სტანდარტის EN 1601 დასანერგად. დღემდე არ არის მიღებული ისეთი ნორმატიული აქტები რომლებიც აიძულებენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და წარმოება დაწესებულებებს ფართოდ

დანერგონ ენერგოდაზოგვითი ღონისძიებები და ამ მუშაობას მისცენ გეგმიური ხასიათი. მითუმეტეს, რომ ამჟამად მსოფლიოში [2, 3, 4, 13, 16] შეინიშნება სწრაფვა ენერგორესურსების ხარჯვის სრული მონიტორინგის დაწესებაზე. ენერგოეფექტურობის პრობლემაზე ჩატარებული კვლევებით [2, 3, 6, 10] ირკვევა, რომ ენერგომოხმარების სტრუქტურაში ელექტროენერგიის ხარჯმა ხელოვნური განათების სისტემაზე 20%-ს გადააჭარბა, რაც მიუთითებს მისი ეკონომიის უდიდეს პოტენციალზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყანაში ხელოვნური განათების სისტემებში თანამედროვე ეკონომიკური ტექნოლოგიების დანერგვა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საქართველოშიც ხელოვნური განათების სისტემები დანერგილია ადამიანების საქმიანობის და ყოფაცხოვრების ყველა სფეროში.

ხელოვნურ განათებაზე ელექტროენერგიის დიდი ხარჯი განპირობებულია იმით, რომ ამჟამად ამ სფეროში გამოყენებულია მოძველებული და არაეკონომიური ტექნოლოგიები. შექმნილი მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს ხელოვნური განათების სისტემების სრული მოდერნიზაციის და ახალი თანამედროვე ეკონომიური ტექნოლოგიებით ჩანაცვლების აუცილებლობას, რაც დაკავშირებულია დიდ ფინანსურ დანახარჯებთან, ამიტომ საჭირო ხდება ამ ამოცანის გადაჭრის ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ღრმა მეცნიერული კვლევის შედეგების მიხედვით შეფასება და მის საფუძველზე ქმედითი ღონისძიებების დასახვა.

დასმული პრობლემის მეცნიერული კვლევის საფუძველზე გადაწყვეტის მიზნით სიღრმისეულად იქნა შესწავლილი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ხელოვნური განათების სისტემებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა [2, 4, 5, 6, 10, 13, 15, 16, 17, 18].

კვლევის შედეგების მიხედვით დადგენილია, რომ ხელოვნურ განათებაზე ელექტროენერგიის დაზოგვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია შუქდიოდური განათების სისტემის დანერგვა.

საგულისხმოა, რომ შუქდიოდურ განათებას ბევრი აღიქვამს როგორც მხოლოდ გამოგონებას, რომელიც გვაძლევს საშუალებას მოვიხმაროთ ნაკლები ელექტროენერგია განათებაზე, იმავდროულად შუქდიოდური სანათების კონსტრუქცია იძლევა საშუალებას არსებულ ძველი ტიპის განათებასთან შედარებით მათი პრინციპულად სხვაგვარად ინტეგრირებას ავტომატიზაციის და დისტანციური მართვის სისტემებში. თანამედროვე შუქდიოდური განათების მოწყობილობებს აქვს ყველა ატრიბუტი კომპიუტერული ინტერფეისით მართვისთვის. გარდა ამისა აქტიურად ვითარდება ბიპოლარული, სწრაფი ინტერნეტის გამავრცელებელი ტექნოლოგია Li-Fi [22]. ეს ტექნოლოგია ფართოდ გავრცელებულ Wi-Fi-ზე თითქმის 100-ჯერ სწრაფია.

მიუხედავად აღნიშნულისა LED შუქდიოდები არ არის ბოლო სიტყვა თანამედროვე ენერგოეფექტულ განათებაში [20, 21, 24]. 21-ე საუკუნის სრულიად ახალ, პერსპექტიულ და სამომავლო ტექნოლოგიად ასევე ითვლება OLED (organic light-emitting diode) შუქის გამომსხივებელი დიოდი. მატრიცები, რომელიც განათების სისტემისთვის, ადრე მიუღწეველ დონეზე გასვლის საშუალებას იძლევა.

ძირითადად OLED ტექნოლოგია გამოიყენებოდა დისპლეების წარმოებაში, თუმცა ბოლო დროს სხვადასხვა მწარმოებლებმა დაიწყეს ზემოთხსენებული ტექნოლოგიის განვითარება და ელექტოგანათების სისტემებში დანერგვა. OLED პანელების წარმოებაში მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა შეძლო კორეულმა კომპანიამ LG Chem. [27] ახალი თაობის განათების OLED პანელებმა 2017 წლის ბოლოსათვის 140 ლუმენი/ვატზე მიაღწია.

შუქდიოდებისგან განსხვავებით OLED განათების მნიშვნელოვან უპირატესობად ითვლება წერტილოვანი განათების არარსებობა. ასევე ის ერთგვაროვან რბილ შუქს გამოსცემს და მისი სიმკვეთრის რეგულირება, საფეხურების გარეშეა შესაძლებელი. მსგავსი განათების სისტემები არ ტოვებს ჩრდილს და არ საჭიროებს რეფლექტორებს, შუქის მიმმართველებს და სხვა ოპტიკურ კომპონენტებს.

ასეთი სანათები არის ეფექტური, მსუბუქი და საერთოდ არ საჭიროებს გაგრილებას. თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა შეიქმნას ესთეტიკურად გამართული ფორმების ულტრა თხელი მსუბუქი OLED პანელები, მათ შორის - მოქნილი და გამჭვირვალე. მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების აზრით [20] ახალი OLED ტექნოლოგია, საინჟინრო თვასაზრისითაც დახვეწილია, და უსაფრთხოების კუთხითაც წინ გადადგმული ნაბიჯია.

ამასთან ერთად, მსოფლიოს ანალიტიკური საა-გენტოები [8] ერთი ხმად პროგნოზირებენ LED/OLED ტექნოლოგიების და მათ წარმოებაზე დიდი მოცულობის ინვესტირებას უახლოეს მომავალში.ტრადიციული ნათურები წილთან შედარებით აღნიშნული ნათურების საბაზრო წილის ზრდის დინამიკა მოცემულია სურათი 1-ზე 2012-2020 წლებში.

ბოლო პერიოდში დიდი განვითარება ჰპოვა [11] კიდევ ერთმა პერსპექტიულმა ტექნოლოგიამ - Osram Laser Light (ლაზერული განათება შემოთავაზებული იქნა მისი გამოგონებისთანავე, მაგრამ პრაქტიკული რეალიზაცია მიიღო თანამედროვე დროში). Osram იყო პირველი კომპნია, რომელმაც ლაზერის მოდულებით აღჭურვილი ელექტროგანათების ტექნოლოგიები წამროადგინა — უფრო პატარა, ნათელი და მეტად ენერგოეფექტური, ვიდრე LED სანათები. Osram Laser Light ავტომობილების განათების სისტემის მთავარი მიმართულება იყო, თუმცა მწარმოებლებმა მოულოდნელი და საკმაოდ ძვირად ღირებული ნაბიჯი გადადგეს, როდესაც დაიწყეს შენობებისა და გზების LED განათების ბაზარზე შესვლა და ლაზერის ტექნოლოგიის დანერგვა.

სურათი 1. საერთო ბაზარზე 2012-2020 წლებში LED/OLED ნათურების წილის ცვალებადობის დინამიკა.



განსაკუთრებით ეფექტურია ლაზერული ტექნოლოგიების გამოყენება გარე განათების სისტემებში. ლაზერული გარე განათების პროტოტიპები რომლებშიც ლაზერული განათების სისტემა მოთავსებულია ქუჩის განათების სვეტის ძირში და სვეტის ზემოთ მოთავსებულ ლუმინოფორული სინათლის წყარომდე გადაეცემა სპეციალური შუქგამტარი ოპტიკური კაბელით, რაც გაცილებით ამარტივებს მათი ექსპლუატაციის მომსახურებას. Osram Laser Light ლაზერულ მოდულს ამჟამად არსებულ მოწინავე ქსენონის ან LED სანათებთან შედარებით შეუძლია 2-ჯერ მეტ მანძილზე გაანათოს გზა ნაკლები ენერგომოხმარებით [19].

ასევე ხელოვნურ განათებაში ბოლო პერიოდში გამოიყენება ინდუქციური ლუმინესცენტური ანუ უელექტროდო ნათურები. ისინი ზემაღალი სიხშირის (225 кГц) ძაბვიდან მუშაობენ, პლაზმის ნათება ხორციელდება მხოლოდ ელექტრომაგნიტური ველით, შესაბამისად ელექტროდების არარსებობის გამო 100 000 საათზე მეტი მუშაობის რესურსი აქვთ და ეკონომიურობით არ ჩამოუვარდებიან თანამედროვე შუქდიოდურ განათების სისტემებს, თუმცა მათაც ამჟამად გამოყენებული სანათებთან შედარებით მაღალი საწყისი ღირებულება გააჩნიათ. მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა ამ ტიპის განათების სისტემები არის რეალური ალტერნატივა ვერცხლისწყლის, ნატრიუმის, მეტალოჰალოგენის და თუნდაც შუქდიოდური განათების სისტემების. ყველა ზემოთაღნიღნიშნული სანათებისგან განსხვავებით ინდუქციური სანათები მუშაობის დროს არ გამოყოფენ დიდ ტემპერატურას. ინდუქციური განათების სისტემები საშუალებას იძლევა უზრუნველყოს ტერიტორიებისა და შენობების კომფორტული განათება მზის შუქთან მიახლოვებული სპექტრის და შუქის ნაკადის პულსაციის გარეშე. ამავე დროს, ის გამორჩევა მაღალი ენერგოეფექტურობით [29, 30, 31].

ინდუქციური განათების სისტემები გამოიყენება [29, 30, 31] - საავტომობილო გზების, საწყობების და სამრეწველო ნაგებობების, გვირაბების, სტადიონების, აეროპორტების, ბენზინგასამართ სადგურების, სარკინიგზო სადგურების, შენობების, ავტოსადგომების, სუპერმარკეტების, პავილიონების, საგამოფენო დარბაზების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებების ხელოვნურ განათებაში.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ბოლო პერიოდში ხელოვნური განათების სისტემაში გამოყენება დაიწყო - ჰიბრიდული LED-Solar (helio HSL) სანათების ავტომატური მართვის სისტემით [32, 33].

LED-Solar სისტემაში ინტეგრირებულია მზის ბუნებრივი და შუქდიოდური ხელოვნური განათება, დღის განმავლობაში მზის სინათლე სახურავიდან გადაეცემა სპეციალური შუქგამტარი ოპტიკური მილით, ხოლო ღამის საათებში განათების ფუნქციას ასრულებს შუდიოდები რომლებიც მარტივად შესაძლებელია ჩანაცვლებულ იქნეს OLED ან იდუქციური ნათურებით.

LED-Solar სისტემა ავსებს შენობებს კომფორტულ, უნაკლო სუფთა შუქის ნაკადით და ამავე დროს უზრუნველყოფს ელექტროენერგიის მაქსიმალურად ნაკლებ მოხმარებას, მისი ენერგოდაზოგვის პოტენციალი შეადგენს 70%-ს. მომავალში, განათებისთვის ამგვარი განათების სისტემების დანერგვა ყველაზე სასურველია სხვადასხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საწყობებში, ქარხნებში, სავაჭრო ობიექტებში, ოფისებში და საცხოვრებელ სახლებში.

ზემოთ წარმოდგენილი ხელოვნური ელექტროგანათების ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების მიზნით ჩატარდა თანამედროვე ელექტროგანათების ტექნოლოგიების და საქართველოში გამოყენებული ხელოვნური განათების სისტემების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი. ანალიზის შედეგი მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1. ამჟამად ექსპუატაციაში მყოფი და თანამედროვე ხელოვნური განათების სისტემების ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შედარებითი მაჩვენებლები.

შედარების პარამეტრი	**ვარვარა ნათურა ***	**ვერცხლის წყლის ორთქლის ნათურა ***	**ლუმინისცენტური ნათურა ***	**შუქდიოდური ნათურა**	**შუქდიოდური Filament ნათურა**	**OLED ნათურა**	**ინდუქციური ნათურა**	**ჰიბრიდული LED-Solar განათება**	**LASER ნათურა**
საწყისი ღირებულება	დაბალი	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	საკმაოდ მაღალი	მაღალი	მაღალი	საკმაოდ მაღალი
ეფექტურობა (მქკ)	დაბალი 0.1	საშუალო 0.85	საშუალო 0.85	მაღალი 0.95	მაღალი 0.95	მაღალი	მაღალი 0.98	მაღალი 0.99	მაღალი
ეფექტურობა (ლუმენ/ვატი)	4-6	20-24	26-29	95-123	95-123	80-110	80-110	150	160-170
დანახარჯები ექსპლუატაციის პერიოდში	მაღალი	მისაღები	მისაღები	ძალიან დაბალი	ძალიან დაბალი	ძალიან დაბალი	ძალიან დაბალი	ძალიან დაბალი	ძალიან დაბალი
რესურსი (სთ)	1000-მდე	8000-მდე	4000-8000 მდე	50 000-ზე მეტი	50 000-ზე მეტი	50 000-ზე მეტი	120,000	50 000-ზე მეტი	100 000 -ზე მეტი
შუქის ნაკადის პულსაცია	მინი მალური	საშუალო	საშუალო	არა	არა	არა	არა	არა	არა
დიმერის მხარდაჭერა	კი	არა	არა	ნაწი ლობრივ	ნაწი ლობრივ	კი	კი	ნაწი ლობრივ	კი
UV (ულტრაიისფერი) გამოსხივება	კი	კი	კი	კი	კი	არა	არა*	არა	არა*
ვერცხლისწყლის შემცველობა	არა	მაღალი > 400 mg	დაბალი	არა	არა	არა	ძალიან დაბალი < 6 mg	არა	არა
ფერის გადმოცემის ინდექსი Ra	80 Ra	28 Ra	60 Ra	70 Ra	70 Ra	80 Ra	> 80 Ra	70 Ra	80 Ra
მუშა პარამეტრებზე გასვლის დრო	1 წამი	2-5 წუთამდე	1-2 წუთამდე	1 წამზე ნაკლები	1 წამზე ნაკლები	0.5 წამზე ნაკლები	1-2 წამი	1 წამზე ნაკლები	0.1 წამზე ნაკლები
დამოკიდებულება ძაბვის ცვლილებაზე	არა-მდგრადი	არა-მდგრადი	არა-მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი
ტემპერატურის ცვლილებისადმი მდგრადობა	არა-მდგრადი	არა-მდგრადი	არა-მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი
ექსპლუატაციის ტემპერატურა	-50...+70	-40...+40	+10...+40	-50...+60	-50...+60	-40...+70	-40...+60	-40...+70	-40...+70
ექსპლუატაციის დროს გამოყოფილი ტემპერატურა	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	ძალიან დაბალი	ძალიან დაბალი	ძალიან დაბალი	ძალიან დაბალი
ქსელის გადატვირთვა	ჩართვისას	ჩართვისას	ჩართვისას	არა	არა	არა	არა	არა	არა
ვიბრაციისადმი მდგრადობა	არა-მდგრადი	არა-მდგრადი	არა-მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი
მუშაობის სტაბილურობა დაბალი ტემპერატურის დროს	საშუალო	დაბალი	დაბალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
ჩართვა-გამორთვის სიხშირეზე დამოკიდებულება	კი	კი	კი	არა	არა	არა	არა	არა	არა
სამუშაო ძაბვა (ვ)	220	220	220	120-280	120-280	120-280	90-280	120-280	120-280
შუქის ნაკადის რეგულირება	არა	არა	არა	კი	კი	კი	კი	კი	კი
შუქის ნაკადის კლება ექსპლუატაციის ვადის ბოლოს	40-60%	40-60%	40-50%	20-30%	20-30%	10-15%	10%	10-15% LED	0.05
სანათის ზომა	სტანდარტული	დიდი	დიდი	სტანდარტული	სტანდარტული	ძალიან თხელი 0.5-2 მმ	დიდი	დიდი	დეფლექტორი 30-მმ*
საჭირო მომსახურება 5 წლიანი ექსპლუატაციის პერიოდში	ნათურების შეცვლა	ნათურების და გამშვები მოწყობილობის შეცვლა	ნათურების და გამშვები მოწყობილობის შეცვლა	ტექნოლოგიური წმენდა	ტექნოლოგიური წმენდა	ტექნოლოგიური წმენდა	ტექნოლოგიური წმენდა	ტექნოლოგიური წმენდა	ტექნოლოგიური წმენდა

***ამჟამად საქართველოში ექსლუატაციაში მყოფი ხელოვნურ განათებაში გამოყენებული ნათურები.**

ხელოვნური განათების თანამედროვე ტექნოლოგიური სისტემების მაღალეფექტურობის თვალსაჩინოდ წარმოჩენის მიზნით ცხრილი 1-ში არსებული მონაცემების საფუძველზე გრაფიკების სახით (სურათი 2, 3, 4, 5) წარმოდგენილია ახალი ტექნოლოგიების არსებულთან შედარებითი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.

სურათი 2. განათების სისტემების ეფექტიანობის შეფასებითი მაჩვენებლები მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით.



სურათი 3. განათების სისტემების ეფექტიანობის შეფასებითი მაჩვენებლები ლუმენ/ვატის მიხედვით.



სურათი 4. განათების სისტემების ეფექტიანობის შეფასებითი მაჩვენებლები მუშაობის რესურსის მიხედვით.



სურათი 5. განათების სისტემების ეფექტიანობის შეფასებითი მაჩვენებლები მუშაობის რესურსის მიხედვით



ცხრილი 1-ში და სურათ 2,3,4,5 ასახული მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ხელოვნურ განათებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობა მნიშვნელოვნად მაღალია ამჟამად ექპლუატაციაში მყოფი ძირითადი ხელოვნური განათების სისტემებთან შედარებით.

მსოფლიოში აპრობირებული ხელოვნური განათების განათების თანამედროვე სისტემების [1,11,12,13,14 ,16,20,21,23,27,30,32,33] დადებითი გამოცდილებისა და ქვეყანაში ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობის კომპ-ლექსური მეცნიერული კვლევის შედეგების მიხედვით დასაბუთებულია საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და გარე განათების სისტემაში თანამედროვე ხელოვნური გა-ნათების ახალი ტექნოლოგიების საყოველთაო დანერგის ეფექტიანობა. ცხრილი 2-ში ნაჩვენებია მათი გამოყ-ენების სფეროები და არსებულთან შედარების უპირატესობები.

ცხრილი 2. საქართველოში განათების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების სფეროები და ეფექტიანობის მაჩვენებლები.

N	**გამოყენების სფერო**	**თანამედროვე ტექნოლოგიური განათების სესტემაში გამოყენებული სანათები (ნათურები)**	**თანამედროვე ტექნოლოგიური განათების სისტემების უპირატესობა არსებულთან შედარებით**
1	რკინიგზა	TRAIN LED 76-228 4000K SWORD.OPL LED 30-60 4000K HAMMER LED 30-60 SPIRIT.OPL LED 600-1500 AREA LED 55-140 AREA SOLAR-WIND LED 35 W 5000K AREA AP LED 110 RIGEL LED 55-140 ARGUS LED 240-960 BRIDGE LED TUNNEL LED 28 Osram Endura (LVD) Philips Master QL (LVD) JET ENDURA (LVD)	მაღალი ენერგოეფექტურობა, 50%-ზე მეტი ელექტროენერგიის ეკონომია და ენერგოსისტემაში პიკის საათებში სიმძლავრის დეფიციტის შემცირება; მუშაობის დიდი რესურსი არსებულ სანათებთან შედარებით 10-15ჯერ მეტი;
2	სამრეწველო სექტორი	LVD 0361-1 LVD 0361-2 LVD 0301 LVD 03-022 LVD-GC04001 НСП 55 Solatube® 160 DS Solatube® 290 DS Solatube® Smart LED Solatube SolaMaster® Solatube SkyVault	მიმართული შუქის ნაკადი, სტრობოსკოპური ეფექტის არარსებობა, ფერთა ტემპერატურების ფართო დიაპაზონი, მაღალი შუქგაცემა, ფერთა გადაცემა და კონტრასტულობა ობიექტების განათების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფით;
3	საავტომობილო გზები	ЛВД 0639М ЛВД 06-040 ЛВД LD2102 ИКУ 77-022 ИСУ 24-022 LVD 0612 LVD-ZD04000	მექანიკური ზემოქმედებისადმი მდგრადობა (ანტივანდალური დაცვა) და ვიბრომდგრადობა;

		Philips RoadFlair/Нокс Philips LumiStreet Philips StreetStar BGS212 - LED EconomyLine Laser Lightning	მუშა პარამეტრებზე მომენტალური გასვლა და ანთების ციკლების შეუზღუდავი რაოდენობა;
4	გარე განათება	ИКУ 77-022 ИСУ 24-022 LVD 0639 LVD 0612 ЛВД 0639М ЛВД 06-008 LVD-ZD10000 LVD-ZD04000 STREET LED 50, 100, 150W Laser Lightning	მდგრადობა ელექტროქსელებში ძაბვის ცვალებადობის მიმართ; დაბალ ძაბვაზე მუშაობის შესაძლებლობა;
5	საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები	LVD-ZX51000 LVD-ZX20000 LVD-ZX50000 LVD-ZQ1B LVD-ZQ1A Solatube® 160 DS Solatube® 290 DS Solatube® Smart LED Solatube SolaMaster® Solatube SkyVault Oled Lightning	მრავალფეროვანი არჩევანი შუქგაცემის ფერთა გამაში; სტაბილური შრომისუნარიანობა ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, მდგრადობა უკიდურესი, დაბალი და მაღალი ტემპერატურების მიმართ, მუშაობის ფართო ტემპერატურული დიაპაზონი -50-დან +60 გრადუსამდე;
6	საყოფაცხოვრებო სექტორი	LVD ITL-RT LVD ITL-ST LVD 03-708 LVD 03-714 LVD 0379 LVD 0362 (9,5”) LVD 0362 (12”) Osram Consumer LED lamps with classic bulbs Osram Consumer LED lamps with filament-style LED technology Osram LED tubes Philips Led Lights Opple Led Lights Oled Lightning	სინათლის გადაცემის მაღალი კოეფიციენტი; ეკოლოგიური უსაფრთხოება.

დასკვნა

1. მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, შეფასებულია ხელოვნურ განათებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობა. ხელოვნური განათების თანამედროვე ტექნოლოგიების არსებულთან შედარებითი ანალიზით განსაზღვრულია ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დადებითი შედეგები;

2. გაანალიზებულია საქართველოს ხელოვნურ განათებაში ანჟამად გამოყენებული ტექნოლოგიების ტექნიკურ-ეკეონომიკური მაჩვენებლები. კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყნის ხელოვნური განათების სისტემაში ექსპლუატაციაში მყოფი მოწყობილობების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია თანამედროვე ტექნოლოგიების მაჩვენებლებთან შედარებით და ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს;

3. პრობლემის გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომით ჩატარებული კვლევებით დადგენილია საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და გარე განათებაში, ხელოვნური განათების მაღაეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენების მიზანშეწონილობა და ნაჩვენებია ამ ტექნოლოგიების დიდი ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;

4. საქართველოში ხელოვნური განათების სისტემის ეფექტიანობის ასამაღლებლად ქვეყანაში უნდა ჩატარდეს ამ სისტემის სრული მოდერნიზაცია, საკანონმდებლო დონეზე უნდა განესაზღვროს თითოეულ ორგანიზაცას ხელოვნური განათების მაღალეფექტიანი სისტემის დანერგვის ვალდებულებები. ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ ხელოვნური განათების სისტემის სრული მოდერნიზაციის შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყანამ ყოველწლიურად მიიღოს ერთ მილიარდ კვტ/სთ-ზე მეტი ელექტროენერგიის ეკონომია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიhttp://www.geostat.ge/.

2. დ. ჯაფარიძე, ნ. გიორგიშვილი, ი.ბიჭიაშვილი. „ენერგოდაზოგვის მართვის საერთაშორისო გამოცდილება და მისი დანერგვის პერპექტივები საქართველოში “. ჟურნალი ბიზნეს ინჟინერინგი. №3 2016წ.

3. www.school639.spb.ru - Мировой опыт энергосбережения.

4. www.energosvet.ru - Опыт стран Европы и Азии в энергосбережения

5. www.svitlotek.com - Освещение для офиса. Способ снизить энергопотребление

6. www.fluitech.com - Энергосбережение - путь повышения эффективности экономики.

7. http://www.nplg.gov.ge

8. https://www.statista.com
9. http://www.lgoledlight.com
10. http://nprpss.ru/ - Анализ мирового рынка | Список диаграмм
11. https://www.osram.com - Laser light for headlights
12. http://www.railway.ge/
13. http://novostienergetiki.ru - Мониторинг энергоэффективности
14. http://www.lighting.philips.com
15. http://www.lrc.rpi.edu - Energy Efficiency and Environmental Issues - Lighting Research Center
16. http://www.lumen2b.ru - Мировой рынок освещения. Аналитика и перспективы
17. https://www.alliedmarketresearch.com/LED-light-emitting-diode-market - World Light Emitting Diodes (LED) Market - Opportunities and Forecasts, 2013 – 2020 by Allied Market Research
18. https://www.mckinsey.com/ - Lighting the way: Perspectives on the global lighting market by McKinsey&Company
19. http://www.lightingmedia.ru/reviews/reviews_101.html - Лазерное освещение и новая технология изготовления светодиодных структур
20. https://www.idtechex.com/ - OLED Lighting Opportunities 2017-2027 Forecasts, Technologies, Players
21. http://www.lightingmedia.ru - OLED-освещение
22. http://www.lightingmedia.ru/reviews/reviews_107.html - Технология Li-Fi
23. www.electrik.info - Лампы FIPEL — новая технология энергосберегающего освещения
24. http://tes73.ru/osveshchenie/osveshchenie-budushchego - Освещение будущего
25. http://electrik.info/main/lighting/536-parametry-svetodiodnyh-istochnikov-sveta.html - Параметры светодиодных источников света, характеристики светодиодных ламп
26. https://ru.wikipedia.org - Индекс цветопередачи ламп
27. http://www.lgoledlight.com
28. http://www.energo.ge
29. https://ru.wikipedia.org - Индукционная лампа
30. http://electrik.info - Преимущества индукционной лампы
31. www.nf-lights.co - Induction lighting
32. http://ru.knowledgr.com - Гибридное солнечное освещение
33. http://www.solatube.su

პიროვნების ეკონომიკური თავისუფლება მეწარმეობის განვითარების ქვაკუთხედი

ზურაბ ჩინჩალაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

დღევანდელ საქართველოში, პოლიტიკური ფილოსოფიის საკითხთა შორის, განსაკუთრებით აქტუალურია, საზოგადოებაში პიროვნების ეკონომიკური თავისუფლების პრობლემა. იქმნება ისეთი ეკონომიკური მოდელები, რომლებსაც ყველა მოქალაქე თანაბრად ვერ აცნობიერებს და შესაბამისად, **მოქალაქეებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის მყარდება ასიმეტრიულ ინფორმაციულობითი ურთიერთობები,** რომელიც შეჯერებულია გარკვეულ რისკთან. ეს იმიტომ, რომ არსებობს ადამიანის თავისუფლების ზომის შემზღუდავი ობიექტური ფაქტორები, რომლებიც ამავ დროს სახელმწიფოს არსებული იურიდიული მოდელის ფუნქციონირების აუცილებლობიდან მომდინარეობს. ეკონომიკური თავისუფლების პრობლემა მაშინ შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს, როდესაც მოცემულ კონკრეტულ პირობებში, ადამიანის თავისუფალი აქტივობები ეკონომიკის სფეროში რაციონალურად თანხმდება სახელმწიფოს ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობასთან.

RESUME

zurab chinchaladze
GTU doctorant

In present Georgia, among the political philosophy topics is particularly trending the issue regarding economic freedom of human in the society. Currently, we are observing the economic model which cannot be perceived equally by all citizens, and therefore we have the Informational asymmetry between the Government and the society, which is associated with some kind of risk. This is why, there are some objective factors that limit the freedom of a human, in order for Governmental judicial models to function properly. The problem with economic freedom can only be solved, when in the given period, the economic activities of human rationally agrees with economic efficiency of Governments functionality.

Keywords: Economic Freedom, taxation system, excise, income tax, law on economic freedom

ეკონომიკური თავისუფლების პრობლემა საქართველოში

ეკონომიკური თავისუფლების პრობლემა საქართველოში დაუკავშირდა ქვეყნის ხელისუფლებისა და პიროვნების სამეწარმეო აქტივობის თავისუფლების პრობლემას. 2007 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ („ეკონომიკური თავისუფლების ქარტია“), რომლის მიღებაც განაპირობა იმ დროისათვის ქვეყანაში კორუფციასთან ბრძოლის აუცილებლობამ და საგადასახადო სისტემაში არსებულმა სუბიექტურმა რისკებმა. არსებული საგადასახადო კანონმდებლობა და მისი აღსრულების მექანიზმი თავისი ბიუროკრატული ხასიათით და მეწარმეთა შემოქმედებით აქტივობისადმი დისტანცირებით, ქმნიდა არაკეთილსინდისიერების რისკებს, რასაც კარგად იყენებდნენ ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ მაღალი ზნეობრიობით. სახელმწიფო პოლიტიკური აქტი, რომელიც გაათავისუფლებდა ქვეყნის საგადასახადო სიტემას არსებული ნაკლოვანებებისაგან და შექმნიდა სუბიექტური რისკების მინიმალური შესაძლებლობებს იმ დროისათვის, კორუფციისგან უაღრესად დაზარალებულ ეკონომიკაში აუცილებელი იყო, და უთუოდ უნდა ჩაითვალოს პროგრესულ ნაბიჯად. ეს საკანონმდებლო ნორმა მოქმედებს დღესაც, იგი გადმოვიდა ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში და წარმოადგენს ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის აუცილებელ საკანონმდებლო აქტს.

საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ განმარტავს, რომ: *„საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით* [ეკონომიკური თავისუფლების შესახებ] *საქართველოს მოქალაქენი ადგენენ დღევანდელი და მომავალი თაობების ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიებს.“*[1] ეს დებულება ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე, შემდეგ, მომავალ თაობებს სამართავად უნდა გადაეცეს შემცირებული ფინანსური ვალდებულებების მქონე ქვეყანა. არცერთ თაობას არ აქვს უფლება ისე გამოიყენოს მის განკარგულებაში არსებული ეროვნული სიმდიდრე, რომ შემდეგ თაობებს შეუქმნას პრობლემები განვითარებაში. ასეთი მიდგომა ქვეყნის ფისკლური პოლიტიკისადმი მისაღები და გასაგებია. მაგრამ, კანონი ასევე განმარტავს, *რომ:*

1 საქართველოს საკანონდებლო მაცნე, 2011, საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ.

„ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები არის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილი, რომელთა შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში“. რაც რბილად რომ ვთქვათ, მომავალ თაობებს აქცევს დღევანდელი მართველობითი მოდელების მძევლებად. საქმე ისაა, რომ "ეკონომიკური თავისუფლების ქარტია" და მისი შესაბამისი კონსტიტუციური ნორმა, მკაცრად განსაზღვრავს, როგორც გადასახადების რაოდენობა, ასევე მათ განაკვეთის ზღვრულ ნორმას. შესაბამისად ხელისუფლებას ზღუდავს, მისი საქმიანობის იურიდიული მოდელის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, შემოიღოს ახალი გადასახადი, გააუქმოს ძველი და მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება, მოცემული მომენტისათვის შესაბამისი, საგადასახდო განაკვეთის დადგენის თვალსაზრისით. ეს კი ჩვენ არ მიგვაჩნია დღევანდელ პირობებში მისაღებ მოვლენად, როდესაც ეკონომიკური ურთიერთობები გლობალური ბაზრის ზემოქმედებით სწრაფად იცვლებიან და მიმდინარეობს ეკონომიკური სისტემების ინსტიტუციონალური აუცილებელი და სწრაფი ტრანსფორმაციები.

საქმე ისაა, რომ ადამიანის ეკონომიკური თავისუფლების პრობლემას აქვს თავისი შინაარსობრივი მახასიათებლები, როგორც ცნობილი მკვლევარები, ტერი მილერი და ენტონი კიმი აღნიშნავენ, "ეკონომიკური თავისუფლება არის ადამიანის ფუნდამენტალური უფლება აკონტროლოს და მართოს თავისი ქონება და შრომა. ეკონომიკურად თავისუფალ საზოგადოებაში, ადამიანებს აქვთ თავისუფალი არჩევანი იმუშაონ, წარმოშვან, მოიხმარონ და ინვესტირება გააკეთონ ისე, როგორც თვითონ სურთ. ამავდროულად მთავრობა საშუალებას აძლევს შრომის, კაპიტალისა და პროდუქტების თავისუფალ მოძრაობას"[2]. მაგრამ, ამავე დროს ამ ავტორების აზრით, ნებისმიერი საუბარი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, პირდაპირ არის დაკავშირებული ინდივიდის და მთავრობის კრიტიკულ ურთიერთობაზე, რაც გულისხმობს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებები, ან სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გაწეული კონტროლი, ხელს უშლის ადამიანის ავტონომიას და ზღუდავს მის ეკონომიკურ თავისუფლებას. ამგვარად, ერთი მხრივ, ადამიანის აქტივობა მეწარმეობის სფეროში და სხვა ყოველგვარი ეკონომიკური საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს ხელისუფლების მიერ დადგენილი წესებისა და პირობების ფარგლებში, ხოლო მეორე მხრივ, ხელისუფლების მარეგულირებელი და მაკონტროლებელი მექანიზმები ზღუდავს მათ შემოქმედებით აქტივობას. ასეთი დაპირისპირებულობა, რეალურ პროცესებში მოითხოვს ამ ორი ტენდენციის რაციონალურ შეთანხმებას, რადგან ეკონომიკური თავისუფლების მიზანი არის, არა სახელმწიფო ჩარევების და შეზღუდვების არარსებობა, არამედ მოქმედი სუბიექტებისათვის ორმხრივი თავისუფლების შეგრძნების შექმნა და შენარჩუნება.

სახელმწიფოს მოქმედება ეკონომიკის სფეროში, მისი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ქვეყნის ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებზე, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელიც კი არის მოქალაქეებისთვის, რათა შეიქმნას მათთვის უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო, შეიქმნას პირობები ადამიანის განვითარებისთვის. ამგვარად, როგორც ვხედავთ ადამიანების ეკონომიკური თავისუფლების საკითხი უკავშირდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მოქალაქეთა თანამშრომლობის რთულ და მრავალფეროვან პროცესს, იგი შინაარსობრივად არაა სტატიკური მოცემულობა, შესაბამისად დროისა და ადგილის მიხედვით მოითხოვს გადაწყვეტილებათა მოქნილი მექანიზმის არსებობას. ამ თვალსაზრისით, სამართლიანად მიგვაჩნია, რომ დადგა დრო, როდესაც უნდა გადაისინჯოს "ეკონომიკური თავისუფლების აქტის" ნორმატული ბაზა, რომელიც სტაბილურად, უკვე მეორე ათწლეული დაიწყო რაც მოქმედებს და ჩვენი აზრით, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე მოითხოვს ახლებურ რედაქციას.

ასეთი დამოკიდებულება საკითხისადმი გამომდინარეობს, ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე რთული ეკონომიკური დინამიზმიდან (ევოლუციიდან), რომელიც გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური მდგრადობა უკავშირდება ახალ ეკონომიკურ პარადიგმებს და არსებული საბაზრო მექანიზმების სწრაფ ტრანსფორმაციას. შესაბამისად სახელმწიფო ხელისუფლების შტოები ვალდებულნი არიან მყისიერი რეაგირება მოახდინონ მიმდინარე პროცესებზე და გააღრმავონ ცალკეულ სფეროებში მიმდინარე რეფორმები. ასეთ გარემოებაში ხელის შემშლელია, ჩვენთან არსებული ადმიანის ეკონომიკური თავისუფლების მოტივით გაჩენილი საკონსტიტუციო ჩანაწერი ფისკალური გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთის სიდიდის შესახებ. საქმე ისაა, რომ გართულებული, უკონტროლო საგადასახადო ადმინისტრირება აჩენს, ეგრეთწოდებულ "სუბიექტურ რისკებს", ჩნდება გარემო სადაც შესაძლებელი კორუფცია და არაკეთილსინდისიერების გამოვლინებები. ეს ფაქტი დადგენილია მეცნიერულ კვლევებით და უკავშირდება საგადასახადო ნორმატივების გაგებაში არსებულ ასიმეტრიულ პროპორციულობას. მოსახლეობის უმეტესობა ვერ ერკვევა არაპირდაპირი გადასახადების არსში და მათი მობილიზაციის მექანიზმში, რაც არაკეთილსინდისიერ საგადასახდო მოხელეს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედოს. მგრამ იგივე მიზეზით მოსახლეობა ვერ დაადასტურებს ხელისუფლების მოსაზრებას ამ გადასახადების განაკვეთის ოდენობის სამართლი-

2 T. Miller & A. B. Kim 2017, 2017 Index of Economic Freedom, Institute for Economic Freedom, The Heritage Foundation, Washington.

ანობაზე. შესაბამისად, რაც მეტად ვიქნებით შეზღუდულები საგადასახადო პოლიტიკის ანალიზის სფეროში, მით მეტია საშიშროება არაკეთილსინდისიერების რისკისა.

აღნიშნული საკითხი საფუძვლიანად შეისწავლეს მეცნიერებმა, მას მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნეს. ხოლო მეცნიერთა შორის ორ პიროვნებას, ჯეიმს მირრლის[3] და უილიამ ვიკრის[4] კი ნობელიც პრემიაც მიანიჭეს აღნიშნული საკითხის საფუძვლიანი კვლებისათვის. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თვით ცნება, "ასიმეტრიული ინფორმაციულობა", სწორედ ჯეიმს მირრლის ნაშრომებიდან იღებს სათავეს. მისი დასკვნები და კვლევის მეთოდოლოგია საყოველთაოდ აღიარებულია. ჯეიმს მირრლის მტკიცებით, ადამიანები ვერ ერკვევიან საგადასახადო სისტემაში, მათთვის უცნობია ცალკეული საბიუჯეტო გადასახადის შინაარსი, მათი მობილიზაციის წესი და ამიტომ მათ დააკისრო ვალდებულება მონაწილეობა მიიღონ გადასახადის შემოღებაში და მისი განაკვეთის განსაზღვრის საქმეში, არ (ვერ) იქნება სასურველი შედეგის მომტანი. ნობელიანტი მეცნიერის ამ მოსაზრებას ეთანხმება ჩვენი გამოკვლევის შედეგებიც. კერძოდ, ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ ჯგუფებში ჩატარებული გამოკვლევებით სტუდენტების დიდმა რაოდენობამ სწორად ვერ გასცა პასუხი საგადასახადო სისტემის შესახებ ჩვენს დასმულ კითხვებს. ხოლო, როგორც ჩვენს მასმედიაში ხშირად ვეცნობით მასალებს, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს გადასახადებს და გადასახდელებს.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

ეკონომიკური თავისუფლების პრობლემა გარდა მაკროეკონომიკურ ასპექტისა აქვს სხვა, ჩვენი ეკონომიკის საერთაშორისო ბაზარზე ფუნქციონირებისა და მსოფლიო თანამეგობრობაში მისადმი ნდობის მნიშვნელობაც. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო მემკვიდრეობის ფონდი ყოველწლიურად განსაზღვრას ქვეყნების მიხედვით ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს. შესაბამისად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი შედგება ეკონომიკაში გამოვლენილი 12 სხვადასხვა ფაქტორის შეწონის მეშვეობით.[5] ეს ფაქტორები ჯგუფდება შემდეგ ოთხ მთავარ მიმართულებად:

1. **კანონის უზენაესობა,** რომელიც ემყარება საკუთრების უფლების დაცვას, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და მის ეფექტიანობას, მთავრობისა და მეწარმეთა ერთსულოვნების გამოვლინებებს. დგინდება თუ რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით მოცემულ ქვეყანაში. რამდენად ეფექტურად მოქმედებს სასმართლო სისტემა, როგორ წყდება საკუთრებითი დავები და მათი რაოდენობა ხომ არ აჭარბებს კრიტიკულ ზღვარს. რამდენად მოქნილია მთავრობისა და მეწარმეებს შორის თანამშრომლობა, არის თუ არა მათ შორის პრინციპული ხასიათის უთანხმოებები. მართალია ეს ორგანიზაცია ვერ ახორციელებს ყველა ქვეყანაში საფუძვლიან და ყოვლისმომცველ ანალიზს, მაგრამ მისი სპეციალისტები ახერხებენ შესადარი გხადონ სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობები.

2. **მთავრობის ზომა,** მაჩვენებელთა ეს ჯგუფი მოიცავს, გადასახადების სიდიდეს, მთლიან შიდა პროდუქტში გადასახადების ტვირთის ოდენობას, საბიუჯეტო ხარჯების მოცულობას, პიროვნებათა ფისკალურ თავისუფლებას. მაჩვენებელთა ეს ჯგუფი მოვლენათა ზედაპირზე დევს და მისადმი დამოკიდებულება ყველასათვის ცხადია. ჩვენი აზრით, საქართველოს ამ თვალსაზრისით მეტა დ კარგი მაჩვენებელი აქვს. როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის მკვლევარები აღნიშნავენ, საქართველოში შედარებით დაბალი გადასახადების გამო, საერთო გადასახადების ტვირთი მთლიანი საშინაო შემოსავლების 25,3 პროცენტს შეადგენს.[6] ხოლო, სახელმწიფო დანახარჯები ბოლო სამი წლის განმავლობაში შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის 29,2, ბიუჯეტის დეფიციტი მერყეობდა 1,4% ფარგლებში, ხოლო სახელმწიფო ვალი მშპ-ს 42,2%-ის ეკვივალენტი გახლდათ.[7]

გარდა ამისა, საქართველოში უკვე დიდი ხანია არ შეცვლილა ძირითადი გადასახადები და მათი განაკვეთების რაოდენობა. ადამიანები შეეჩვიენ არსებულ საგადასახადო სისტემას და მიაჩნიათ, რომ მათთვის მისაღებია ის ტვირთი, რომელიც მათ დაუწესეს. ამას ადასტურებს საქართველოს მეწარმეთა ასოციაციის წლიური ანგარიშები. ამ საკითხში ნათლად ჩანს მოქალაქეთა და ხელისუფლების ერთსულოვნება, რის გამოვლინებადაც მიგვაჩნია საქართველოს ფინანასთა სამინისტროს ახალი ინციატივები. კერძოდ, ალკოჰოლიან სასმელებზე აქციზის დაწესების, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დივიდენდის დაბეგვრისა და მცირე მეწარმეებთან ანგარიშსწორებისას ნაღდი ფულის ბრუნვის რეგლამენტაციების დაზუსტების საკითხებში გატარებული ცვლილებები. ყველა ეს ინციატივა მოწმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება იწყებს ბიზნესთან პარტნიორობის ახალ, საინტერესო ეტაპს, რაც მომავალი ინიციატივების საწინდარი უნდა გახდეს..

3 A.J. Mirrlees , 1997 Information and Incentives: The Economics of Carrots and Sticks, The Economic Journal, The Royal Economic Society, Vol. 107, No. 444. (Sep., 1997), pp. 1311-1329.

4 W. Vickrey, 1998 Measuring Marginal Utility by Reactions to Risk, Econometrica, The Econometric Society, Volume 13, Issue 4 (oct., 1945) 319-333

5 ს. ქევხიშვილი, 2017, საქართველოს 2017 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში, მოპოვებულია IDFI-ს ვებგვერდიდან: https://idfi.ge/ge/georgia_in_2017_economic_independence_index (29.06.2017)

6 T. Miller & A. B. Kim 2017, 2017 Index of Economic Freedom, Institute for Economic Freedom, The Heritage Foundation, Washington. P. 235

7 T. Miller & A. B. Kim 2017, 2017 Index of Economic Freedom, Institute for Economic Freedom, The Heritage Foundation, Washington. P. 235

3. **ეკონომიკის რეგულირების ეფექტიანობა,** რომელიც სამ ძირითად მაჩვენებელს მოიცავს. ესაა ბიზნესის თავისუფლება, დასაქმების თავისუფლება და მონეტარული თავისუფლება. არც ისე დიდ ხნის წინ საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობდა ეკონომიკის სფეროში მოქმედ რეგულაციებზე. იგი თანმიმდევრულად აუქმებდა ქვეყანაში არსებულ კონტროლის სიტემას. დღეისათვის ქვეყანაში შეინიშნება სწორედ ასეთი მაკონტროლებელი და მარეგულირებელი ორგანოების ნაკლებობა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემად დასაქმებისა და შრომის თავისუფლების სფეროში. დროდადრო საზოგადოება განიცდის საწარმო ტრავმებისა და კატასტროფების გამო გამოწვეულ ტკივილებს. ქვეყნაში შეინიშნება, შეიძლება ითქვას საზოგადოებრივი დაკვეთა, შეიქმნას შრომის დაცვის მარეგულირებელი და მაკონტროლებელი სამსახურები, რომლებიც აღმოფხვრიან იმ თვითნებობას, რომელიც მეწარმეების მხრიდან შეინიშნება ცალკეულ დარგებში.

4. **ბაზრის ღიაობა.** საქართველოს ეკონომიკა ღიაა. საქართველო ეკონომიკურ თანამშრომლობას აწარმოებს რუსეთთანაც კი, რომელმაც მისი ტერიტორიების უკანონო ოკუპაცია მოახდინა. ყველა ქვეყანასთან გვაქვს სავაჭრო ურთიერთობები და თავისუფლად ხორციელდება სამუშაო ძალის მიგრაცია. ასევე თავისუფალია საზღვარი კაპიტალის მიგრაციისათვის.

შესაბამისად ასეთმა მისწრაფებებმა გამოიღო სათანადო შედეგები და საერთაშორისო მემკვიდრეობის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემებით, 2017 წელს საქართველომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებელში მიაღწია უპრეცენდენტოდ მაღალ ნიშნულს. გამოკვლეულ 180 ქვეყანას შორის დაიკავა მე-13 ადგილი,[8] რაც 2016 წლის მონაცემთან შედარებით 12 საფეხურით არის გაუმჯობესებული.[9] მკვლევარების თანახმად, საქართველოს ამგვარი წინსვლა საქართველოს მთავრობის ძალისხმევის შედეგი გახლდათ, რომლის მიზანი იყო ფისკალური დისციპლინის აღდგენა. ასევე კვლევაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ვალი და ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლი არსებულ დონეზე იქნა შენარჩუნებული და ღია ბაზრის პოლიტიკას მხარს უჭერდა შედარებით დაბალი საგადასახადო ტარიფები და რეგულირების ეფექტურობა. ამ ყველაფერმა კი გამოიწვია ინვესტიციების და ვაჭრობის მიმოქცევა ქვეყანაში. სხვა მხრივ, განვითარდა და გამარტივდა პრივატიზაციის საკითხები და კორუფციასთან ბრძოლის ძალისხმევამ გამოიღო სათანადო შედეგი. ქვეყანაში ბიზნესის თავისუფლების პრობლემა, რამდენად უკავშირდება "ეკონომიკური თავისუფლების ქარტიას" საკითხი გაურკვეველია, რადგან ის ძლიერი პოლიტიკური აქტივობები, რომელიც განახორციელა საქართველოს მთავრობამ არ გამომდინარეობს უშუალოდ ამ დოკუმენტიდან და შეიძლება ითქვას, იგი უბრალოდ მოცემულ ეტაპზე პროცესების დამუხრუჭებას უწყობს ხელს, რადგან შეზღუდულ არეალს ტოვებს აქტიური ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესების საწარმოებლად. ამ შემთხვევაში "ეკონომიკური თავისუფლების ქარტიამ" ვერ შეასრულა იდეა ინდიკატორის როლი და ხელისუფლების ინსტიტუტების ინიციატივები შეზღუდა, შესაბამისად ფისკალური ხასიათის პრობლემები ვერ გახდა ფართო მსჯელობის საგანი, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა მეწარმეებსა და მთავრობას შორის არსებული ინფორმაციული ასიმეტრია, რაც ჩვენი აზრით საშიშია დემოკრატიული განვითარების პროცესისათვის.

ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ქარტიის ეფექტიანობა

ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგება "ეკონომიკური თავისუფლების ქარტიის" გადასინჯვის საკითხი. მგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკითხის დასმისას მან ვერ მიიღო სათანადო მხარდაჭერა საზოგადოებაში. კერძოდ, ჩვენს ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ქარტიის არსებობა გარკვეულ გარანტიებს იძლევა უცხოელი, თუ ადგილობრივი ინვესტორებისთვის ბიზნესის თავისუფლად მართვაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ეს არგუმენტი საყურადღებოა, მაგრამ ამავე დროს გასარკვევია, რამდენად არის უცხოური ინვესტიციები დამოკიდებული ეკონომიკური თავისუფლების აქტის არსებობაზე და რამდენად აძლევს საშუალებას ადგილობრივ მეწარმეებს ეს აქტი მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკურ პოლიტიკურ პროცესებში.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების პიკი საქართველოში დაფიქსირდა 2008 წელს, რამაც დააგვირგვინა 3 წლიანი უპრეცენდენტო ზრდა უცხოური ინვესტიციებისა. მსოფლიო ფინანსური კრიზის შედეგად, 2009 წელს მოხდა ინვესტიციების მკვეთრი ვარდნა და მონაცემები ფაქტიურად დაუბრუნდა 2005 წლის მაჩვენებლებს.[10] 2010 წელს არსებული ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონის მიღების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდოდა 2013 წლის 31 დეკემბერს.

8 Heritage, 2017, 2017 Index of Economic Freedom, Georgia, Accessed on: http://www.heritage.org/index/country/georgia (29.06.2017)

9 Heritage, 2016, Economic Freedom Score, Georgia, Accessed on: http://www.heritage.org/index/pdf/2016/countries/georgia.pdf (29.06.2017)

10 Trading Economics 2017, Georgia Foreign Direct Investment, Accessed on: https://tradingeconomics.com/georgia/foreign-direct-investment on 25.06.2017

გრაფიკი #1

გრაფიკი #1 ასახავს უცხოური ინვესტიციების შემოდინებებს საქართველოში წლების მიხედვით 2005-დან 2017 წლამდე. 2014 წლის დასაწყისიდან, როდესაც რეალურად ძალაში შევიდა ორგანული კანონი აღინიშნება მკვეთრი ზრდა, რომელიც 2014 წლის ბოლოს მთავრდება აგრეთვე მკვეთრი ვარდნით. ამ მომენტისთვის, თუნდაც 3-4 წლის შემდეგ რთულია იმის თქმა, რომ აღნიშნული მოკლევადიანი ზრდა გამოწვეული იყო აქტის ძალაში შესვლით. ეს შეიძლება განპირობებული ყოფილიყო მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ფაქტორით, ან რუსეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციებით გამოწვეული კრიზის წინასწარი მოლოდინით, რამაც შესაძლოა გამოიწვია ფულადი სახსრების რეპატრიაცია საქართველოში. 2014 წლის ბოლოს კი დაიწყო სავალუტო კრიზისი, რამაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა და შეამცირა ფულადი სახსრების შემოდინება საქართველოში.

შედეგად, სტატისტიკური მონაცემები არ გვაძლევს იმის საშუალებას ობიექტურად და ზუსტად შევაფასოთ და გავაანალიზოთ ჰქონდა თუ არა ეკონომიკური თავისუფლების შესახებ აქტის მიღებას პირდაპირი ზეგავლენა ინვესტიციების მოზიდვაზე, თუ არა. დაბალი გადასახადები და გარანტიები იმისა, რომ გადასახადები არ გაიზრდება, შესაძლებელია არ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი უცხოელი ან ადგილობრივი ინვესტორისთვის. ფაქტიურად, არც ერთ მსოფლიოს სხვა ქვეყანაში არ მოქმედებს მსგავსი შეზღუდვა კონსტიტუციის დონეზე. პირიქით, განვითარებულ და სწრაფად განვითარებად ქვეყნებს გააჩნიათ მყარი ფისკალური პოლიტიკა, რომელის საფუძველსაც ელასტიური, სწრაფად ცვალებადი საგადასახადო ნორმატივები წარმოადგენს.

ნებისმიერი ქვეყნისთვის გადასახადების მართვის შეზღუდვით იზღუდება მთლიანად ფისკალური პოლიტიკის გატარება და მართვა. როგორც მანამდე აღვნიშნეთ, გადასახადების შემცირება ან გაზრდა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურ თუ სოციალურ გარემოზე. ორგანული კანონი მოიაზრებს გადასახადების შემცირების შესაძლებლობას და მხოლოდ გაზრდა არის შეზღუდული, რომელიც შეიძლება დაიშვას რეფერენდუმის ჩატარების შედეგად. დგება საკითხი რამდენად მიზანშეწონილი არის ასეთი შემთხვევებისთვის სპეციალურად დამოუკიდებელი რეფერენდუმის ჩატარება, თუ ეს მთავრობის ინიციატივა არ დაემთხვევა რომელიმე საარჩევნო ღონისძიებას? ერთის მხრივ, დგება სოლიდური ხარჯი რეფერენდუმის ჩატარებისა, მეორეს მხრივ, ეს არის დროში გაწელილი პროცესი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის თავდაპირველი მიზანი, რომელიც ეხება ახალი გადასახადის შემოტანას ან არსებულის გაზრდას, დიდი ალბათობით ვერ იქნება მიღწეული, რადგან ნაკლებად სავარაუდოა მოსახლეობის უმრავლესობა დასთანხმდეს მაღალი გადასახადების გადახდას.

დასკვნები

ადამიანის ეკონომიკური თავისუფლების პრობლემა პოლიტიკური ფილოსოფიის ერთერთი უმთავრესი პრობლემაა. საქართველოში 20011 წლის 1 ივლისს მიღებული კანონი "ეკონომიკური თავისუფლების შესახებ", რომელიც მოქმედებაში შევიდა 2013 წლის 1 იანვრიდან და ქვეყნის მოქმედ აღმასრულებელ ხელისუფლებას უკრძალავს[11]: (1) საბიუჯეტო ხარჯები აღემატებოდეს მშპ-ს 30%;

11 საქართველოს საკანონდებლო მაცნე, 2011, საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ.

(2) ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი არ აღემატებოდეს მშპ-ს 3%, (3) ქვეყნის ვალის ზღვრული რაოდენობა შეადგენდეს მშპ-ს 60%, ხოლო საგადასახდო სისტემაში არსებითი ცვლილებები განხორციელდეს მხოლოდ რეფერენდუმით, საჭიროებს არსებით გადასინჯვას. ამის მთავარ მიზეზებად მიგვაჩნია:

1. საზოგადოებაში მოქმედი ინფორმაციული ასიმეტრიულობის საფუძველზე შეუძლებელია რეფერენდუმის გზით დადგინდეს მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის რაციონალური სიდიდე. შესაბამისად ხელისუფლების ნებისმიერი მცდელობა მოაწესრიგოს ფისკლური პოლიტიკის პარამეტრები წააწყდება გადაულახავ ბარიერს, რაც ნებისმიერ წამოწყებას უსაგნოდ აქცევს.

2. საგადასახადო პოლიტიკის უძრავი, ნორმატული ბაზაზე დამყარებული სისტემა ქმნის "სუბიექტური რისკების" საფრთხეს, რაც მეტად არასასურველია ნებისმიერი მაკროეკონომიკური სისტემისათვის. საგადასახადო ადმინისტრირების დროს კორუფციის საშიშროების მოსალოდნელობა, ერთი მხრივ და მეორე მხრივ გადასახადების დამალვა, როგორც შედეგი სტატიკური, უძრავი ფისკალური ნორმატივების შედეგად ჩნდება. შესაბამისად აუცილებელია ხელისუფლებას ქონდეს ბერკეტები მეწარმეებსა და საგადასახადო ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობის მრავალფეროვანი ფორმების საწარმოებლად.

3. საგადასახო სისტემა და სახელმწიფოს სიდიდე არ არის სტაბილური, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი სიდიდე ვერ იქნება. ამ ეკონომიკურ პარამეტრებზე დამოკიდებულია სხვა ეკონომიკური პროცესების განვითარება. კერძოდ საბიუჯეტო პროცესების მკაცრი რეგლამენტირება ჩვენი აზრით საქართველოში გვევლინება საპენსიო სისტემის განვითრებისა და თვითმმართველი ერთეულების მართვის ეკონომიკური მექანიზმების შექმნის ხელისშემშლელ ფაქტორად

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საკანონდებლო მაცნე, 2011, *საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ.*

2. T. Miller & A. B. Kim 2017, *2017 Index of Economic Freedom,* Institute for Economic Freedom, The Heritage Foundation, Washington.

3. A.J. Mirrlees , 1997 *Information and Incentives: The Economics of Carrots and Sticks,* The Economic Journal, The Royal Economic Society, Vol. 107, No. 444. (Sep., 1997), pp. 1311-1329.

4. W. Vickrey, 1998 Measuring Marginal Utility by Reactions to Risk, Econometrica, The Econometric Society, Volume 13, Issue 4 (oct., 1945) 319-333

5. ს. ქევხიშვილი, 2017, *საქართველოს 2017 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში,* მოპოვებულია IDFI-ს ვებგვერდიდან: https://idfi.ge/ge/georgia_in_2017_economic_independence_index (29.06.2017)

6. T. Miller & A. B. Kim 2017, *2017 Index of Economic Freedom,* Institute for Economic Freedom, The Heritage Foundation, Washington. P. 235

7. T. Miller & A. B. Kim 2017, *2017 Index of Economic Freedom,* Institute for Economic Freedom, The Heritage Foundation, Washington. P. 235

8. Heritage, 2017, *2017 Index of Economic Freedom,* Georgia, Accessed on: http://www.heritage.org/index/country/georgia (29.06.2017)

9. Heritage, 2016, *Economic Freedom Score,* Georgia, Accessed on: http://www.heritage.org/index/pdf/2016/countries/georgia.pdf (29.06.2017)

10. Trading Economics 2017, *Georgia Foreign Direct Investment,* Accessed on: https://tradingeconomics.com/georgia/foreign-direct-investment on 25.06.2017

11. საქართველოს საკანონდებლო მაცნე, 2011, *საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ.*

საქართველო და მისი განახლებადი ენერგიის პოტენციალი «ენერგეტიკულ გაერთიანებაში» გაწევრიანების შედეგად

მაია ლომსაძე-კუჭავა
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
მარიამ მაჭავარიანი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია საქართველოს განახლებადი ენერგიის არსებული პოტენციალი, აღწერილია აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა, ჩამოყალიბებულია ის ვალდებულებები რომლებიც საქართველოს აქვს შესასრულებელი „ენერგეტიკულ გაერთიანებაში" გაწევრიანებიდან გამომდინარე, აღწერილია რეფორმები რომელთა გატარებაც აუცილებელია, განმარტებულია ხსენებული რეფორმების შედეგი ქვეყნის ეკონომიკაზე.

საკვანძო სიტყვები: განახლებადი ენერგია, „ენერგეტიკული გაერთიანება", პოტენციალი, რეფორმა.

GEORGIA AND ITS RENEWABLE ENERGY POTENTIAL AFTER BECOMING A MEMBER OF "ENERGY COMMUNITY"

SUMMARY

Discusses renewable energy potential, describes state policy in this direction, analysis obligations which are imposed on Georgia after becoming a member of Energy Community, outlines which reforms are necessary to carry out, explains what impact this reforms will have on country's economy.

Keywords: renewable energy, "Energy Community", potential, reform.

* * * *

დღევანდელ მსოფლიოში, თანამედროვეობის უამრავი გამოწვევის ფონზე, ეროვნული უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და სტაბილურობის მიღწევა თითქმის შეუძლებელია დანარჩენ მსოფლიოსგან განცალკევებით. ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მსოფლიო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის აქტიური ხელშეწყობა. სწორედ რომ მსოფლიოს სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის აირჩია საქართველომ ევროპული კურსი და მოინდომა თავისი წვლილი შეეტანა როგორც ქვეყნის ასევე ევროპული ოჯახის განვითარებაში. ქვეყნის სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ძლიერი ეკონომიკა და ეკონომიკური კეთილდღეობა. ქვეყნის ეკონომიკის ძირეულ რეფორმებთან ერთად საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი დარგების გარდაქმნა-განვითარებისკენ[1], მათ შორის უმნიშვნელოვანესია ენერგეტიკის სექტორი და მისი სტაბილურობა. ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა ძლიერი ენერგეტიკის სექტორის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია.

მთავრობის განხორციელებული რეფორმებისა და გადადგმული ნაბიჯების შედეგად საქართველომ და ევროკავშირმა 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ევროპული საბჭოს შეხვედრის ფარგლებში ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რითიც საქართველომ კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა თავის მისწრაფება გამხდარიყო ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი. ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი ენერგეტიკის სექტორს ეხება და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას გულისხმობს, რაც ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვან რეფორმებს საჭიროებს.

საქართველოს მთავრობის სურვილი დაუახლოვდეს ევროკავშირს და მოახდინოს მისი კანონმდებლობის ეროვნულ კანონდებლობაში გადმოტანა ნათლად დასტურდება 2015 წლის 24 ივნისის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით რომლითაც განსაზღვრულია ენერგეტიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. აღნიშნული დადგენილების თანახმად: „საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების განხორციელებას საკმარისი რაოდენობის, მაღალი ხარისხის, სხვადასხვა სახის ენერგიის უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდებით. ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის დარგში დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა მოიცავს ქვეყნის ენერგეტიკის დარგის პრიორიტეტებს და დარგის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, აგრეთვე ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითად მიმართულებებს. ენერგეტიკის დარგის განვითარების ერთიანი, გრძელვადიანი სახელმწიფოებრივი ხედვის ჩამოყალიბება დარგის განვითარების მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი სტრატეგიების,

1 სამთავრობო პროგრამა 2016-2020; 2016წ. ნოემბერი; 2.8 დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა; 2.8.1 ენერგეტიკა; http://gov.ge/program2016/#p=22

მათზე დაფუძნებული ენერგეტიკული პროგრამების შემუშავების და დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის დახვეწის საფუძველი გახდება."[2] აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, მათ შორის : ა) ენერგიის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური ათვისება და რეზერვების შექმნა, ბ) საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება, გ) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება, დ) საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის განვითარება და ენერგიით ვაჭრობის მექანიზმის გაუმჯობესება, ე) საქართველოს, როგორც რეგიონის სატრანზიტო ქვეყნის, როლის გაზრდა, ვ) საქართველო – სუფთა ენერგიის წარმოების და ამ ენერგიით ვაჭრობის რეგიონალური ცენტრი, ზ) ენერგოეფექტიანობისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება და განხორციელება, თ) ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი კომპონენტების გათვალისწინება, ი) მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებლის ინტერესების დაცვა.[3] ქვეყნის ენერგოსექტორის სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის თითოეული მიმართულება თანაბრად მნიშვნელოვანია და საჭიროა მათი კომბინირებული განვითარება, თუმცა საკანონმდებლო რეფორმებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გარეშე სტაბილური, გამჭირვალე, ლიბერალური და კონკურენტუნარიანი ენერგეტიკული ბაზრის არსებობა თითქმის წარმოუდგენელია.

ენერგეტიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ პირველი ნაბიჯი გადადგა და ბიძგი მისცა ახალ პროცესს, რომლის დაწყებაც აუცილებელია ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, კონკრეტულად კი ეროვნულ კანონმდებლობაში ე.წ. მესამე ენერგეტიკული პაკეტის დასანერგად. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, საქართველომ 2016 წელს ხელი მოაწერა ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების შესახებ ოქმს და 2017 წლის პირველი ივლისიდან საქართველო ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრია.

ენერგეტიკული გაერთიანება ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ევროკავშირს და მის მეზობელ ქვეყნებს იმისთვის, რომ შეიქმნას ერთიანი ინტეგრირებული საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზარი. ორგანიზაცია შეიქმნა ენერგეტიკული გაერთიანების დაფუძნების ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ხელი მოეწერა ათენში, საბერძნეთში 2005 წლის ოქტომბერში. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2006 წლის ივლისში. ენერგეტიკული გაერთიანების უმთავრესს მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის შიდა ენერგეტიუკული ბაზრის წესებისა და პრინციპების გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, შავი ზღვის რეგიონსა და მის ფარგლებს გარეთ ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში.[4]

2017 წლის ივლისის მდგომარეობით ენერგეტიკულ გაერთიანებას ჰყავს ათი წევრი სახელწიფო: ესენია ევროკავშირი და ცხრა ხელშემკვრელი მხარე – ალბანეთი, ბოსნია–ჰერცოგოვინა, საქართველო, კოსოვო, მაკედონია, სერბეთი და უკრაინა. რაც შეეხებათ სომხეთს, ნორვეგიასა და თურქეთს დღეის მდგომარეობით ისინი წარმოადგენენ ენერგეტიკული გაერთიანების დამკვირვებლებს.[5]

ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ხელმოწერით ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან მიიღონ იურიდიული ვალდებულებები ევროკავშირის ძირითადი ენერგეტიკული კანონმდებლობის ე.წ. „acquis communautaire" საკუთარ კანონმდებლობაში დანერგვის გზით. აღნიშნული ვალდებულების შესრულებას დათანხმდა საქართველოც.

„Aquis communautaire" აერთიანებს ისეთ დარგებს როგორებიცაა: ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, განახლებადი ენერგია, ენეგოეფექტურობა, ნავთობი, გარემო, კონკურენცია, სტატისტიკა და ინფრასტრუქტურა.

„Acquis communautaire-ს" მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს განახლებადი ენერგია და მისი წახალისება. 2009 წლის 23 აპრილის „ელექტროენერგიის განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღების ხელშეწყობის შესახებ 2009/28/EC"[6] დირექტივის იმპლემენტაციის ვალდებულება საქართველოს 2018 წლის 31 დეკემბრისთვის აქვს.

ზემოხსენებული დირექტივა ადგენს საერთო ჩარჩოს განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ, განსაზღვრავს განახლებადი ენერგიის წყაროებისთვის სავალდებულო ეროვნული მაჩვენებელის წილს 2020 წლისთვის, აყალიბებს წარმოშობის სერთიფიკატებისა და განახლებადი ენერგიის წყაროებისთვის ქსელზე დაშვების პირობებს შესახებ წესებს. გარდა ამისა, ადგენს მდგრადობის კრიტერიუმებს ბიოსაწვავისა და ბიოსითხისთვის.[7]

2 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები"; მუხლი 1; https://matsne.gov.ge/ka/document/view/2894951

3 იხ. იქვე მუხლი 2

4 https://www.energy-community.org/legal/treaty.html

5 https://www.energy-community.org/aboutus/whoweare.html

6 DIRECTIVE 2009/28/EC of 23 April 2009 on the promotion of the use of energy from renewable sources and amending and subsequently repealing Directives 2001/77/EC and 2003/30/EC; https://www.energy-community.org/legal/acquis.html

7 DIRECTIVE 2009/28/EC of 23 April 2009 on the promotion of the use of energy from renewable sources and amending

გრაფიკი N1



წყარო: https://www.energy-community.org/legal/acquis.html

ენერგეტიკული გაერთიანება აღნიშნული დირექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარე წევრ სახელმწიფოებს განუსაზღვრავს განახლებადი ენერგიის წყაროებისთვის სავალდებულო ეროვნული მაჩვენებლის წილს 2020 წლისთვის. მოცემულ გრაფიკზე კარგად ჩანს განახლებადი ენერგიის წყაროების გაზრდილი მაჩვენებელი 2009 წლიდან 2014 წლის ჩათვლით და ის მიზანი, რომელსაც ენერგეტიკული გაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიაღწიონ 2020 წლისთვის.

როგორც წარმოდგენილი გრაფიკიდან ვხედავთ 2020 წლისთვის საქართველოსთვის განახლებადი ენერგიის წილი ჯერ-ჯერობით განსაზღვრული არ არის. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველო მხოლოდ 2017 წელს გახდა ენერგეტიკული გაერთიანების წევრი. „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ„ ოქმით საქართველოსთვის განსაზღვრულია გამონაკლისი, რომლის თანახმადაც „ელექტროენერგიის განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღების ხელშეწყობის შესახებ 2009/28/EC დირექტივის“ ფარგლებში საქართველოს მიერ 2020 წლისთვის განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მისაღები ელექტროენერგიის რაოდენობის წილის დადგენა მოხდება მას შემდეგ რაც ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ დასრულდება კვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.[8] აღსანიშნავია ის, რომ განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მისაღები ელექტროენერგიის რაოდენობის წილის განსაზღვრა წაახალისებს და მნიშვნელოვნად მოიზიდავს ინვესტიციებს აღნიშნულ დარგში.

and subsequently repealing Directives 2001/77/EC and 2003/30/EC; Article 1-Subject matter and scope;

8 ოქმი „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ„ http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Energetikuli%20Gaertianebis%20Damfudznebel%20Khelshekrulebastansakartvelos%20Sheertebis%20Shesakheb%20Okmi%201454%20geo.pdf

საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებისთვის. დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან ჰიდროენერგიის რესურსის ათვისება სახელმწიფო სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებისა და ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ გაიზარდა ინტერესი განახლებადი ენერგიის სხვა წყაროების მიმართაც.

საქართველოს ენერგოსისტემა მცირე ზომისაა, რომლის მოხმარების 80%-ზე მეტი იფარება ჰესების მიერ გამომუშავებული „მწვანე" ენერგიით.[9] თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად ჯერ კიდევ საბოლოო ენერგო მოხმარების წილში განახლებადი ენერგიებიდან 27%[10] მხოლოდ ჰიდროენერგიას უკავია. განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების პოტენციალი საქართველოში დიდწილად ხელუხლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას მსოფლიოში ჰიდროენერგიის უმსხვილესი მარაგი აქვს აღნიშნული რესურსის მხოლოდ 20% ათვისებული.

ენერგეტიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თანახმად განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, აღნიშნულის განვითარება და ხელშეწყობა კი ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების საშუალებით ხორციელდება. დოკუმენტი ხაზს უსვამს სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბების მნიშვნელობას, სპეციალური კვლევების ჩატარების საჭიროებასა და საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნას. აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს სუფთა ენერგიით ვაჭრობის რეგიონულ პლატფორმად ჩამოყალიბება.[11]

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდეც კი სახელმწიფო ცდილობდა თავისი განახლებადი ენერგიის პოტენციალის ათვისებას და ინვესტიციების წახალისებას აღნიშნული მიმართულებით. ამის დამადასტურებელია საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახელმწიფო პროგრამა «განახლებადი ენერგია 2008» - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ."[12] აღნიშნული დოკუმენტი ადგენს წესებსა და პირობებს, რომლებიც გამოიყენება ქვეყანაში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების შესაქმნელად და აძლევს ინვესტორს სტიმულს ინვესტიციის განსახორციელებლად ფიქსირებული ფასისა და გარანტირებული შესყიდვის ხელსეკრულების შეთავაზებით. მოცემული დადგენილებიდან გამომდინარე განახლებადი ენერგისს წყაროების ექსპტუატაციაში გაშვებიდან ათი წლის განმავლობაში ზამთრის თვეებში (3 თვე) მათ მიერ წარმოებული ელექტროენერგია ქვეყნის შიდა ბაზარზე იყიდება. ელექტროენერგიის გაყიდვა ხდება საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე ან სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე" გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით დადგენილი ფასით, რომელიც განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მთავრობის მიერ განხორციელდა სხვა ღონისძიებებიც, რომლებიც განახლებადი ენერგიების წახალისებას ისახავდნენ მიზნად. ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა იმ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების დერეგულირება, რომლებიც ექსპლუატაციაში 2008 წლის პირველი აგვისტოს შემდეგ გაეშვნენ. 2017 წლის მაისის მდგომარეობით განახლებადი ენერგიის წყაროების მიმდინარე და პოტენციურ პროექტებს წარმოადგენდა 146 (ას ორმოცდაექვსი) ელექტროსადგური 5 358 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრით, აღნისნული პროექტები თითქმის 8.8 მილიარდი ა.შ.შ დოლარის ინვესტიციას მოითხოვს. მოცემული პროექტებიდან 47 უკვე მშენებლობის ან ლიცენზირების ეტაპზეა.[13]

ბოლო პერიოდში საქართველომ ქარის ენერგორესურსის ათვისება დაიწყო. პირველი ქარის ელექტროსადგური 2016 წელს გორში გაეშვა ექსპლუატაციაში. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს სხვა რეგიონების ქარის ენერგიის პოტენციალის შესასწავლი კვლევები, რომლებზე დაყრდნობითაც კიდევ ორი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება შიდა ქართლის და იმერეთის რეგიონებში.

სახელმწიფო ასევე დაინტერესებულია მზის ენერგიის პოტენციალის ათვისებითაც. ამისთვის 2017 წელს მთავრობამ ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა სს „ Caucasus Sun Company"-სთან. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს ქსანში, მარნეულში, კასპში, ახალციხესა და გარდაბანში მზის ენერგიის პოტენციალის შესასწავლად კვლევების განხორციელება.[14]

საქართველოსთვის, როგორც განახლებადი ენერგიის დიდი რესურსის მქონე ქვეყნისთვის საინტერესოა, რა გავლენას იქონიებს განახლებადი ენერგიის „acquis communautaire-ს" დანერგვა ეროვნულ კანონმდებლობაში, მოხდება თუ არა

9 საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2017-2027; გვ28; http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2017-2027_GEO.pdf

10 Secretariat's compliance report on Georgia, pg. 36; https://www.energycommunity.org/implementation/Georgia.html

11 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები"; მუხლი 1; https://matsne.gov.ge/ka/document/view/2894951

12 http://www.energy.gov.ge/projects/pdf/vacancy/Mtavrobis%20Dadgenileba%20N107%2018042008ts%20526%20geo.pdf

13 Secretariat's compliance report on Georgia, pg. 36-37 https://www.energycommunity.org/implementation/Georgia.html

14 Secretariat's compliance report on Georgia, pg. 38 , https://www.energycommunity.org/implementation/Georgia.html

ქვეყნის განახლებადი ენერგიის პოტენციალის უკეთ გამოყენება და საბოლოოდ როგორ აისახება აღნიშნული საკითხი ქვეყნის ეკონომიკაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ელექტროენერგიის ფასი შედარებით დაბალია გადამცემი ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარება გარდაუვალი წინაპირობაა ქვეყნის განახლებადი ენერგიის პოტენციალის განვითარებისა და გამოყენებისთვის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს ახალციხიდან თურქეთის საზღვრამდე 400 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის „მესხეთი-ს" მშენებლობა, რომელიც 2012 წლის აგვისტოშში დასრულდა. პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოსა და თურქეთის ელექტროსისტემები ერთმანეთს დაუკავშირდა სისტემათაშორისი გადადინებისთვის განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით, რაც თურქეთში 700 მგვტ სიმძლავრის გატანის შესაძლებლობას ქმნის.[15] აღნიშნულმა პროექტმა საქართველოში ჰიდროენერგიის მწარმოებლებს თურქეთის ბაზართან დაკავშირების შესაძლებლობა მისცა.

კანონმდებლობაში განხორციელდა რამოდენიმე ცვლილება, რომლებიც ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განახლებადი ენერგიით ვაჭრობის ხელშესაწყობად იყო საჭირო. „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების" თანახმად განახლებადი ენერგიის წყაროებს მინიჭებული აქვთ პრიორიტეტული წვდომა ახალ სისტემათაშორის ხაზზე. თუმცა, აღნიშნული პრიორიტეტი ვრცელდება განახლებადი ენერგიის მხოლოდ იმ წყაროებზე რომლებიც ექსპლუატაციაში 2010 წლის შემდეგ გაეშვნენ და არა ყველაზე. აღნიშნული მიდგომა დისკრიმინაციულია და არღვევს როგორც „ელექტროენერგიის განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღების ხელშეწყობის შესახებ 2009/28/EC დირექტივის" ასევე კონკურენტული ბაზრის განვითარების პირობებს.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ შემუშავებულ 2017-2027 წლების გადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმის თანახმად განვითარების მთავარ მიზანს წარმოადგენს გადამცემი ქსელის საკმარისი გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა ქსელში განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრაციისთვის.[16]

საქართველოს კანონმდებლობა ამჟამად არ იცნობს ცალკე სპეციალურ კანონს რომელიც განახლებადი ენერგიის წყაროებიდან წარმოქმნილ ურთიერთობებს დაარეგულირებს. განახლებადი ენერგის წყაროებთან დაკავშირებით სხვადასხვა ასპექტები დარეგულირებულია პირველადი და მეორადი კანონმდებლობით. ქვეყანას არ გააჩნია განახლებადი ენერგიის ისეთი წყაროებისთვის სამიზნე მაჩვენებლები, როგორებიცაა ელექტროენერგიის, გათბობის და გაგრილების, და ტრანსპორტის სექტორები. გარდა ამისა, განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული. ამ ყველა ფაქტორის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ რომ „ელექტროენერგიის განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღების ხელშეწყობის შესახებ 2009/28/EC დირექტივის" მოთხოვნები საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლობით დაკმაყოფილებული არ არის. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს ერთიანი ნორმატიული აქტი რომელიც განახლებადი ენერგიის საკითხებს დაარეგულირებდა საქართველოს არ გააჩნია სისტემური მიდგომა განახლებადი ენერგიის სფეროს მიმართ. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველო ნაკისრი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად ყველაფერს აკეთებს და განახლებადი ენერგიის კანონპროექტზე მუშაობა აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს. აღნიშნულ პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ საქართველოს ექნება ერთიანი საკანონმდებლო ბაზა რომელიც მხოლოდ განახლებადი ენერგიების სფეროს დაარეგულირებს.

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო აქტიურად ცდილობს „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ„ ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას განახლებადი ენერგიის კანონის შემუშავებით, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება „ელექტროენერგიის განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღების ხელშეწყობის შესახებ 2009/28/EC დირექტივის" მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და საქართველოს როგორც განახლებადი ენერგიის დიდი რესურსის მქონე ქვეყნის პოტენციალის გასაზრდელად. გარდა ამისა, ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა მოიზიდავს მეტ ინვესტიციებს განახლებადი ენერგიის სფეროში, რას საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად აისახება როგორც დარგზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკაზე. გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია ისიც, რომ განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება საქართველოში შეამცირებს ქვეყნის ენერგოდამოკიდებულებას მეზობელ ქვეყნებზე, გაზრდის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, წაახალისებს ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას, დადებითად აისახება ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ხელს შეუწყობს მოძველებული ინფრასტრუქტურული ობიექტების განვითარებას, წარმოშობს ენერგოეფექტურობის განვითარების წინაპირობას და ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

15 http://www.gse.com.ge/proktebi/dasrulebuli-proeqtebi/axalcixidan-TurqeTis-sazRvramde-400kv-eleqtrogadamcemi-xazis-mesxeTi-mSenebloba

16 საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2017-2027; http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2017-2027_GEO.pdf

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამთავრობო პროგრამა 2016-2020; 2016წ. ნოემბერი; 2.8 დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა; 2.8.1 ენერგეტიკა; http://gov.ge/program2016/#p=22;

2. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები"; https://matsne.gov.ge/ka/document/view/2894951;

3. Treaty establishing Energy Community ; https://www.energy-community.org/legal/treaty.html

4. DIRECTIVE 2009/28/EC of 23 April 2009 on the promotion of the use of energy from renewable sources and amending and subsequently repealing Directives 2001/77/EC and 2003/30/EC; https://www.energy-community.org/legal/acquis.html;

5. Energy Community acquis; Renewable Energy; https://www.energy-community.org/legal/acquis.html ;

6. ოქმი „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ" http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Energetikuli%20Gaertianebis%20Damfudznebel%20Khelshekrulebastansakartvelos%20Sheertebis%20Shesakheb%20Okmi%201454%20geo.pdf;

7. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2017-2027; http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2017-2027_GEO.pdf

8. Energy Governance in Georgia, Report on Compliance with the Energy Community Acquis, Energy Community Secretariat, JULY 2017; https://www.energycommunity.org/implementation/Georgia.html

დასავლეთ საქართველოს ჰიდროენერგორესურსები

მარიამ კუჭავა
სტუ-ს დოქტორანტი

WEST GEORGIA HYDROPOWER RESOURCES

Mariam Kuchava
PhD student of GTU

ANNOTATION

The article analyzes hydropower resources of western Georgia, its theoretical, technical and economic potential. In this aspect, the leading role of this region is entirely in the hydropower resources of the country. The current situation is shown in the context of regional and main rivers; the level of utilization of hydro energy resources is estimated and the proposals are formulated to improve the situation.

For further development of the energy sector of Georgia it is necessary to study the hydropower of the country as an energy-efficient resource and specify the possibilities of utilization, to determine the parameters for locating new facilities, considering the scale and expediency of the complex usage of water resources. All this will ensure improvement of the usage of energy potential of the country, and accordingly increase energy security.

საკვანძო სიტყვები: ჰიდროენერგორესურსები, ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, ეკონომიკა, უტილიზაცია.

Keywords: hydro energy, hydropower potential, economics, utilization.

* * * *

ეკონომიკისა და მთლიანად, ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების საფუძველთა საფუძველს ენერგეტიკული რესურსები წარმოადგენს. იგი განსაზღვრავს საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების დონეს.

საქართველოში ენერგეტიკა წარმოდგენილია ელექტროენერგეტიკისა და სათბობის მრეწველობის პრაქტიკულად ყველა ტრადიციული დარგით, როგორიცაა თბო და ჰიდროგენერაციის ობიექტები. გააქტიურებულია მუშაობა განახლებადი ენერგეტიკის, მათ შორის ქარის, მზის რესურსების, გეოთერმული წყლების და ბიო პოტენციალის ათვისებისა და უტილიზაციის მეთოდების ოპტიმიზაციაზე.

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს შორის პირველობა წყალსა და წყალთან დაკავშირებულ რესურსებს ეკუთვნის. ჩვენს ტერიტორიაზე დათვლილია 26010 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათასი კმ-ია. საქართველოს მტკნარი წყლის საერთო მარაგი, რომელიც შედგება მყინვარების+ ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან, შეადგენს 96,5 კმ^3-ს. მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 319 მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15 ათასი მეგავატის, ხოლო საშუალო წლიური ენერგია 50 მლრდ კვტ.საათის ექვივალენტურია.

ჰიდროენერეგტიკული რესურსებით განსაკუთრებით გამორჩეულია დასავლეთ საქართველო (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების რეგიონული განლაგება

დასახელება	განზომილება	ენერგია	%
მთელი ზედაპირული ჩამონადენის თეორიული რესურსები (319 მდინარე)	მლრდ კვტ.სთ	228,5	100,0
მათ შორის			
დასავლეთ საქართველოში	მლრდ კვტ.სთ	164,8	72,1
აღმოსავლეთ საქართველოში	მლრდ კვტ.სთ	63,7	27,9
ქვეყნის ტერიტორიის ყოველ კვადრატულ კმ-ზე მოდის:	მლნ კვტ.სთ	3,27	100,0
საქართველოში საშუალოდ			
მათ შორის			
დასავლეთ საქართველოში	მლნ კვტ.სთ	5,06	154,7
აღმოსავლეთ საქართველოში	მლნ კვტ.სთ	1,73	52,9

ცხრილი 1-დან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში განლაგებულია საქართველოს მდინარეების მთელი ზედაპირული ჩამონადენი თეორიული რესურსების ენერგიის 72,1%, ხოლო ქვეყნის ტერიტორიის ყოველ კვადრატულ კილომეტრზე მოდის 5,06 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია. ეს კი საქართველოს საშუალო მაჩვენებელს 1,5-ჯერ აღემატება. რაც შეეხება ენერგიის წარმოების შესაძლებლობას, დასავლეთ საქართველოში შეიძლება ვაწარმოოთ თითქმის 165 მლრდ კვტ.სთ ენერგია, ანუ ამჟამად (2017 წ) ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიის მთლიან ოდენობაზე დაახლოებით 15-ჯერ მეტი.

ამასთან უნდა აღინიშნოს დასავლეთ საქართველოს შვიდივე რეგიონი: აფხაზეთი, სვანეთი, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია და აჭარა მდიდარია ჰიდროენერგეტიკული რესურსებით. ამ მხრივ პირველ ადგილზეა აფხაზეთი, შემდეგ გამორჩეულია სვანეთის, იმერეთის, სამეგრელოს ჰიდროენერგეორესურსები (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. დასავლეთ საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების რეგიონული განლაგება

რეგიონი	A კატეგორიის მდინარეთა რაოდენობა	B კატეგორიის მდინარეთა რაოდენობა	მდინარეთა საერთო სიმძლავრე კვტ.	ენერგიის გამომუშავება მლნ კვტ.სთ
აფხაზეთი	40	15	3644,7	31344
სვანეთი	19	13	3216,0	26416
სამეგრელო	11	2	1736,8	15531
იმერეთი	23	12	2577,8	20580
რაჭა-ლეჩხუმი	13	6	2235,4	18220
გურია	7	-	508,8	4290
აჭარა	14	2	795,4	6490
სულ	127	50	157149	122871

ენერგეტიკული მნიშვნელობით განსაკუთრებით გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს მდინარეები: ენგური და რიონი, რომელთა აუზებში განლაგებულია ამჟამად მოქმედი ჰესების უმეტესობა და მოიაზრება პერსპექტიული ჰესების მნიშვნელოვანი ნაწილიც. მე-3 ცხრილში ნაჩვენებია ჰიდროენერგეტიკული რესურსების განაწილება დასავლეთ საქართველოს ძირითადი მდინარეების აუზების მიხედვით.

მე-3 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქვეყნის პოტენციური ჰიდროენერგეტიკული რესურსებიდან უფრო მეტი წილი აქვს რიონს (19,1%), ვიდრე ენგურს (13,2%). შედარებით მცირეა კოდორისა (8,6:) და ბზიფის (5,1%) მონაწილეობა ქვეყნის პოტენციურ ჰიდროენერგეტიკულ რესუსრებში. განსაკუთრებით მდიდარია დასავლეთ საქართველო შედარებით პატარა მდინარეებით. კერძლდ, ენერგეტიკისა და ჰიდროენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით დასავლეთ საქართველოში შეიძლება აიგოს მცირე ჰესები, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება 1,4 მლნ კვტ და ელექტროენერგიის გამომუშავება 8,4 მლნ კვტ.სთ.

ცხრილი 3. ჰიდროენერგეტიკული რესურსების განაწილება დასავლეთ საქართველოს ძირითადი მდინარეების აუზების მიხედვით

მდინარის აუზი	წყალშემკრები ფართობი, კმ²	საშუალო წლიური სიმძლავრე, ათ. კვტ	წილი ქვეყნის პოტენციური ჰიდროენერგეტიკული რესურსებიდან, %	ენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება, მლნ კვტ.სთ	ხვედრითი სიმძლავრე, ათ კვტ/კმ	ხვედრითი ენერგია, მლნ კვტსთ/კმ²
რიონი	13418	2985	19,1	26148	3,1	1,95
ენგური	4058	2063	13,2	18071	6,82	4,45
კოდორი	2036	1329	8,5	11636	7,78	5,72
ბზიფი	1502	797	5,1	6982	5,23	4,65
სულ		7174	45,5	62837	-	-

დასავლეთ საქართველოს მდინარეები უმეტესად სეზონურობით ხასიათდება. მაგ. „ჰიროპროექტის“ ინსტიტუტის მონაცემებით მისი ძირითადი მდინარეების პოტენციური ჰიდროენერგეტიკული რესურსების შიდწლიური განაწილება ასეთია: ზამთრის პერიოდზე მოდის 16%, გაზაფხულზე - 33,3%, ზაფხულზე - 32,2% და შემოდგომაზე - 18,5%.

ცალკე უნდა გამოიყოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ეკონომიკური ნაწილი. დასავლეთ საქართველოს მდინარეების ეს მხარეც გამორჩეულია ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებლებში - 29,02 მლრდ კვტ/სთ, ანუ 72,55%. ცალკეული მდინარეებიდან ყველაზე დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია ენგურს (10,7 მლრდ კვტ/სთ, ანუ დასავლეთ საქართველოს ასეთი მდინარეების 36,9%), რიონსა და ცხენისწყალს (8,3 მლრდ კვტ.სთ, ანუ 28,6%), კოდორს (5,7 და 19,6), ბზიფს (2,3 და 8,6), შაორსა და ტყიბულს (0,8 და 2,7). ამ მხრივ საგულისხმოა მცირე მდინარეების მაჩვენებლებიც. მათ შეუძლიათ გამოიმუშაონ დაახლოებით „ მლრდ კვტ.სთ ეკონომიკური ელექტროენერგია, რაც დასავლეთ საქართველოს ასეთი გამომუშავდება მდინარეების პოტენციალის 3,6% შეადგენს (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4. დასავლეთ საქართველოს ძირითადი მდინარეების ეკონომიკური პოტენციალი

მდინარე	ეკონომიკური პოტენციალი, მლრდ კვტსთ/წლიური	წილი ეკონომიკური რესურსებიდან, %
ენგური	10,7	36,9
რიონი და ცხენისწყალი	8,3	28,6
კოდორი	5,7	19,6
ბზიფი	2,5	8,6
შაორი და ტყიბული	0,8	2,7
მცირე მდინარეები	1,02	3,6
სულ	29,02	100,0

როგორც დავინახეთ, დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ჰიდროენრეგეტიკული პოტენციალი გააჩნია. მაგრამ საინტერესოა როგორ გამოიყუენბა ეს შესაძლებლობა.

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დასავლეთ საქართველოში ფუნქციონირებს 10 მსხვილი და საშუალო ზომის ჰესი, რომელთა საერთო სიმძლავრე შეადგენს 2088,7 მვტ-ის და გამომუშავება 5951,3 მლნ კვტ.სთ ენერგიას (ცხრილი 5). თუ ამ მაჩვენებლებს დავუპირისპირებთ ამ რეგიონის ანალოგიურ პარამეტრს, დავინახავთ, რომ დასავლეთ საქართველოში ამჟამად ათვისებულია მისი ეკონომიკური პოტენცღიალის 25%; კიდევ უფრო ნაკლებია თეორიული და ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოეტნციალის ათვისების დონე, რომელიც ცხადია, არადამაკმაყოფილებელია.

ცხრილი 5. დასავლეთ საქართველოს ძირითადი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული (სალტეზე გაცემა) ელექტროენერგია და სიმძლავრე 2015 წელს

№	ელექტროსადგურების დასახელება	ელექტროენერგია (მლნ.კვტ.სთ)	ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე (მვტ)
1	ენგურჰესი	3287,41	1300
2	ვარდნილჰესი	557,53	220
3	ვარციხჰესების კასკადი	763,19	184
4	რიონჰესი	307,07	48
5	გუმათჰესი	282,33	68,8
6	ლაჯანურჰესი	377,73	112,5
7	ძევრულჰესი	117,15	80
8	შაორჰესი	106,19	38,4
9	აწჰესი	58,25	16
10	ჩითახევიჰესი	94,45	21
	ჰიდროსადგურები სულ	5951,3	2088,7

საქართველოს ენერგეტიკის დარგის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყნის ჰიდროპოტენციალის, როგორც ენერგეტიკულად მნიშვნელოვანი რესურსის შესწავლა და გამოყენების შესაძლებლობების დაზუსტება, ახალი ობიექტების განთავსებისა და პარამეტრების დადგენა, წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების მასშტაბებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, ამჟამად ხორციელდება საერთაშორისო პროექტი, რომელიც ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გრანტით ფინანსდება. პროექტის მიზანია საქართველოს მდინარეების აუზების შესწავლისა და შეფასების საფუძველზე პოტენციური ჰიდროელექტროსადგურების იდენტიფიცირება.

ყოველივე ეს უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესებას, და, შესაბამისად, ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ირ. ჟორდანია, თ. ურუშაძე, ო. ფარესიშვილი, ნ. მირიანაშვილი, ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე და სხვა - საქართველოს ბუნებრივი რესურსები. ნაწილი II.თბ., 2015.
2. დ. ჩომახიძე - საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. თბ., 2008.
3. დ. ჩომახიძე, გ. კუბლაშვილი - საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსები. თბ., 2017.
4. სემეკის წლიური ანგარიშები 2000-2015 წწ.www.gnerc.org
5. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო - საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია. თბ. 2017.
6. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის წლიური ანგარიშები 2000-2015 www.esco.ge

ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერგიის წარმოების მოცულობის განსაზღვრის მათემატიკური მოდელი

მაყვალა ზარიძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს ეკონომიკისათვის ელექტროენერგიით საიმედო და უსაფრთხო მომარაგების პრობლემა განსაკუთრებით პრიორიტეტულია. შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეკონომიკის მდგომარეობისათვის.

საქართველოს ენერგეტიკის დარგის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყნის ჰიდროპოტენციალის, როგორც ენერგეტიკულად მნიშვნელოვანი რესურსის, სიღრმისეული შესწავლა და გამოყენების შესაძლებლობების დაზუსტება, ახალი ობიექტების ოპტიმალური განთავსებისა და პარამეტრების დადგენა, წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების მასშტაბებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

ნაშრომში ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევისას გამოყენებულია არამკაფიო სიმრავლეების თეორია.

ელექტროენერგიის წარმოების მრავალფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებულია ჰესების მიერ 2020-2022 წლებისთვის საწარმოებელი საპროგნოზო მაჩვენებლები.

მიღებული შედეგების ანალიზი საშუალებს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჰესების მიერ ელექტროენერგიის წარმოების გაზრდილი მაჩვენებელი სათანადოდ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას და შესაბამისად მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

RESUME

The problem of reliable and safe supply of electricity for Georgian economy is of particularly importante. Consequently, the improvement of Georgian energy potential is main for the state of the modern economy.

For the energy sector further development, country's hydro potential energy resources is essential. In-depth study, the use and capabilities of the specification, the optimal placement of new objects and parameters, the use of water resources in a complex on the scope is necessary.

The theory of fuzzy sets is used in the study of economic-mathematical research. As a result of multi-phase analysis of electricity generation, the HPPs have forecasted indicators of production for 2020-2022.

Analysis of the obtained results allows us to assume that an increase in power generation by HPPs will ensure the sustainable development of the country's economy and thus the welfare of the population.

* * * *

მათემატიკური მეთოდები და მოდელები იძლევა ამოცანათა მრავალვარიანტული გადაწყვეტის საშუალებას, საიდანაც არჩეული კრიტერიუმის საფუძველზე შესაძლებელი ხდება საუკეთესო ვარიანტის პოვნა. ასეთი მოდელების დამუშავების საშუალებას იძლევა გამოყენებითი მათემატიკის ისეთი დარგები, როგორიცაა: სტატისტიკურ გადაწყვეტილებათა თეორია, მათემატიკური პროგრამირება, თამაშების თეორია, გრაფების თეორია, ქსელური ანალიზი და სხვა.

პროდუქციაზე მოთხოვნის განსაზღვრის წინაპირობას წარმოადგენს გამოვლენილი ფაქტორების შემცველი მათემატიკური მოდელების აგება. ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში, განისაზღვროს ფაქტორთა ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს ელექტროენერგიის წარმოების რაოდენობრივ მახასიათებელზე. ელექტროენერგიის წარმოების მათემატიკური მოდელირებისა და ანალიზის დროს საჭიროა ამორჩეული ფაქტორების მოქმედების ხარისხის გამოვლენა.

მიჩნეულია, რომ ელექტროენერგიაზე მოთხოვნის განსაზღვრის პროგნოზირების ყველაზე კარგი მეთოდია მრავალფაქტორული ანალიზი, რომელიც ხორციელდება კორელაციური და რეგრესიული ანალიზის საფუძველზე. ამ დროს მოთხოვნის მოდელი წარმოადგენს ფუნქციას, რომელშიაც დამოკიდებული ცვლადი (ფუნქცია) არის მოთხოვნა, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები (არგუმენტი) – მასზე მოქმედი ყველა ფაქტორი, რომელიც ზოგადი სახით ასე გამოისახება:

$$y = f\left(x_1, x_2, ..., x_n\right), \qquad \textbf{(\#1)}$$

სადაც n არჩეული ფაქტორების რაოდენობაა. შემდეგი ეტაპი ასეთი მოდელების აგებისა არის მოთხოვნასა და მასზე მოქმედ თითოეულ ფაქტორს შორის დამოკიდებულების მათემატიკური სახის პოვნა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთი დამოკიდებულების პოვნის ყველაზე მიზანშეწონილი გზა ემპირიული მეთოდების გამოყენებაა, რომელიც ემყარება სხვადასხვა ფორმის ფუნქციებით მიღებულ გაანგარიშებათა შედეგების შედარებას ფაქტობრივ მონაცემებთან.

ნაშრომში ხსენებული ფუნქციის სახის დადგენისათვის გამოვიყენებულია მათემატიკის შედარებით ახალ მიმართულება - არამკაფიო სიმრავლეების თეორია. ჩვენი აზრით, მოცემული სტატისტიკური მონაცემების აგრეგირება არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის გამოყენებით ეფექტიან შედეგს მოგვიტანს.

არამკაფიო სიმრავლეთა თეორია (**Fuzzy Sets Theory**) ზედმიწევნით პასუხობს ჩვენს მიერ დასმულ ამოცანას. ამ თეორიის ფუძემდებლის, ლოტფი ზადეს (**Lotfi Zadeh**) პიონერულ ნაშრომში (1965), რომელიც მიეძღვნა დამუშავების ინსტრუმენტების განუზღვრელობას და კერძოდ რაიმე ობიექტის შესახებ არსებული ცოდნის დამუშავების ინსტრუმენტებს, მან პირველად შემოგვთავაზა ობიექტის სიმრავლისადმი კუთვნილი ფუნქციის ცვლილება [0;1] ინტერვალში. ქვემოთ მოყვანილია მასალის გაგებისათვის საჭირო ინფორმაცია.

$\Psi(X) = \left\{\mu \mid \mu : X \to [0;1] \subset \Re\right\}$ - X უნივერსუმზე განსაზღვრულ ყველა არამკაფიო სიმრავლეთა მესერი. ვიტყვით, რომ ფუნქცია $v: \Psi(X) \to \Re^+$ *იზოტონური შეფასება* $\Psi(X)$-ზე, თუ:

$$v(A \bigcup B) + v(A \bigcap B) = v(A) + v(B) \qquad \textbf{(\#2)}$$

და

$$A \subseteq B \Rightarrow v(A) \le v(B). \qquad \textbf{(\#3)}$$

იზოტონური შეფასება $\Psi(X)$-ზე განსაზღვრავს მეტრიკას:

$$\rho(A, B) = v(A \bigcup B) - v(A \bigcap B). \qquad \textbf{(\#4)}$$

$\Psi(X)$-ს მეტრიკასა და იზოტონურ შეფასებასთან ერთად ეწოდება არამკაფიო სიმრავლეთა მეტრიკული მესერი. აქსიომატური მიდგომის საფუძველზე პირველად შემოყვანილია მეტრიკულ მესერზე განსაზღვრული არამკაფიო სიმრავლეთა სასრული ერთობლიობის შეთანხმებულობის მაჩვენებლის ცნება. დადგენილია ამ შეთანხმებულობის მაჩვენებლის ერთადერთობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. დამტკიცებულია, რომ შემოთავაზებული აქსიომათა სისტემა არის არაწინააღმდეგობრივი.

ჩვენს მიერ დასმული ამოცანის ამოხსნისათვის გამოვიყენებთ $X = \{x_1, x_2, ..., x_N\}$, $N = 1,2,...$ სასრულ უნივერსუმზე განსაზღვრულ არამკაფიო სიმრავლეთა სასრული ერთობლიობის $\{A_j\}$, $j = \overline{1,m}$, $m = 2,3,...$, შეთანხმებულობის მაჩვენებლის დისკრეტულ მოდიფიკაციას:

$$S\{A_j\} = q(N - [(2m+1)/4]^{-1} \sum_{j=1}^{m} \sum_{i=1}^{N} |\mu_{A^*}(x_i) - \mu_{A_j}(x_i)|), \quad q > 0. \quad \textbf{(\#5)}$$

აქაც და შემდგომშიც, კვადრატული ფრჩხილები აღნიშნავს რიცხვის მთელ ნაწილს, ხოლო არამკაფიო სიმრავლე A^* არის მოცემული სასრული ერთობლიობის წარმომადგენელი, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$A'_{[m/2]} \subseteq A^* \subseteq A'_{[(m+1)/2]+1}, \quad \textbf{(\#6)}$$

სადაც, არამკაფიო სიმრავლეთა სასრული ერთობლიობა $\left\{A'_j\right\}$ წარმოადგენს არამკაფიო სიმრავლეთა $\left\{A_j\right\}$ სასრული ერთობლიობის რეგულაციას, რაც ნიშნავს იმას, რომ სასრული სიმრავლეები $\left\{\mu_{A_j}(x)\right\}$ და $\left\{\mu_{A'_j}(x)\right\}$ ერთმანეთის ტოლია და, ამავდროულად, სრულდება პირობა

$$\mu_{A'_1}(x) \le \mu_{A'_2}(x) \le \ldots \le \mu_{A'_m}(x), \; j = \overline{1,m}, \; m = 2,3,.... \qquad \textbf{(\#7)}$$

#5 ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ

$$S_{\max}\{A_j\} = qN, \; q \ge 0. \qquad \textbf{(\#8)}$$

აქ ჩვენ არამკაფიო ბუნების პარამეტრების განსაზღვრისათვის გამოვიყენებთ ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ხერხს - ექსპერტთა შეფასებისას არამკაფიო აგრეგირების მეთოდს.

ვთქვათ $\Psi(X) = \{\mu \mid \mu : X \to [0;b] \subset \Re\}$ არის მეტრიკული მესერი უწყვეტი იზოტონური შეფასებით $v(A) = \sum_{i=1}^{N} \mu_A(x_i) \Rightarrow \rho(A,B) = \sum_{i=1}^{N} |\mu_A(x_i) - \mu_B(x_i)|,.$ უნივერსუმი X არის სასრული სიმრავლე $\{x_1, x_2, ..., x_N\}$ და m ექსპერტიდან შემდგარი ჯგუფი აფასებს A კოეფიციენტის მოცემული უნივერსუმისადმი მიკუთვნების ხარისხს. შედეგად მივიღებთ არამკაფიო სიმრავლეების სასრულ ერთობლიობას $\{A_j\},\ j = \overline{1,m},\ m = 2,3,\ldots.$

ჩატარებულმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ ელექტროენერგიის წარმოების მართვის პროცესისათვის შექმნილ მოდელში მიზანშეწონილია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები: ელექტროენერგიის მოხმარება მოსახლეობის 1 სულზე, ტექნიკური რესურსების ათვისების დონე და ელექტროენერგიის მომხმარებელთა რაოდენობა. მას შემდეგ, რაც ამოვირჩევთ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც მოქმედებენ ელექტროენერგის წარმოების მოცულობაზე, შემდგომ, უნდა ვიპოვოთ თითოეული ფაქტორის წარმოების მოცულობასთან ფუნქციონალური დამოკიდებულების სახე, რომელიც გვიჩვენებს როგორ მოქმედებს ფაქტორის ერთი ერთეულით ცვლილება წარმოების მოცულობაზე (გამოსაკვლევ ერთეულზე).

ქვემოთ მოცემულია ცხრილი № 3.3, რომელშიც ასახულია ჩვენს მიერ არჩეული დომინანტი პარამეტრებისა და ელექტროენერგიის წარმოების რიცხობრივი მნიშვნელობები 2007-2016 წლების პერიოდში.

ცხრილი № 1
ჰესებში ელექტროენერგიის წარმოება და მასზე მოქმედი ფაქტორები 2007-2016 წწ.

№	წლები	ჰესებში ელენერგიის წარმოება, მლრდ.კვტ.სთ (Y)	ელენერგიის მოხმარება მოსახ-ლეობის 1 სულზე, კვტ.სთ (x_1)	ტექნიკური ჰიდრორესურსებ ის ათვისების დონე,% (x_2)	ელენერგიის მომხმარებელთა რაოდენობა, ათასი კაცი (x_3)
1	2007	6.836	1775,6	10.05	1350.238
2	2008	7.162	1840,9	10.53	1391.452
3	2009	7.412	1803,1	10.90	1426.806
4	2010	9.368	1971,1	13.78	1474.537
5	2011	7.890	2158,4	11.60	1522.268
6	2012	7.221	2175,6	10.62	1581.903
7	2013	8.271	2251,3	12.16	1623.117
8	2014	8.335	2365,0	12.26	1664.807
9	2015	8.453	2927,8	12.43	1653.553
10	2016	9.329	3089.5	13.72	1688.907

ახლა მოვახდინოთ ელექტროენერგიის წარმოების მოცულობასა და მის მოხმარებას შორის, მოსახლეობის 1 სულზე, ფუნქციონალური დამოკიდებულების დადგენა.

განვიხილოთ სვეტი „ჰესებში ელენერგიის წარმოება“, როგორც 10 ექსპერტის (წლების რაოდენობა) შეფასებება და მოვახდინოთ მათი აგრეგირება ზემოაღწერილი მეთოდით. იმის გათვალისწინებით, რომ სვეტში უდიდესი მნიშვნელობაა 9.4E+09, დავაკონკრეტოთ არამკაფიო სიმრავლეთა ზემოდ მოცემული მესერი შემდეგნაირად:

$$\Psi(X) = \{\mu \mid \mu : X \to [0;9.4\mathrm{E}+09] \subset \Re\}.$$

გვაქვს ერთ ელემენტიანი არამკაფიო სიმრავლეების სასრული ერთობლიობა: $\{A_j,\ j = \overline{1,10}\}$ = {6.8E+09, 7.2E+09, 7.4E+09, 9.4E+09, 7.9E+09, 7.2E+09, 8.3E+09, 8.3E+09, 8.5E+09, 9.3E+09}. განვსაზღვროთ მისი რეგულაცია: $\{A_j^{'},\ j = \overline{1,10}\}$ = {6.8E+09, 7.2E+09, 7.2E+09, 7.4E+09, 7.9E+09, 8.3E+09, 8.3E+09, 8.5E+09, 9.3E+09, 9.4E+09}.

ამ შემთხვევაში #2 და #3 ფორმულით განსაზღვრულ იზოტონურ შეფასებებს ექნება სახე (N=1, m =10):
$v(A) = \mu_A(x) \Rightarrow \rho(A,B) = |\mu_A(x) - \mu_B(x)|$.

ნაბიჯი 0: ინიციალიზაცია: არამკაფიო ელემენტიანი სიმრავლეების სასრული ერთობლიობა $\left\{A_j,\ j=\overline{1,10}\right\}$, მისი რეგულაცია $\left\{A_j^{'},\ j=\overline{1,10}\right\}$. $\mu(x)$-ით აღვნიშნოთ არამკაფიო აგრეგირების რეზულტატი.

ნაბიჯი 1: გამოვთვალოთ არამკაფიო ელემენტიანი სიმრავლეების სასრული ერთობლიობა $\left\{A_j\right\}$- ის

წარმომადგენელი (#11) მიიღებს შემდეგ სახეს: $\mu_{A^*} = \begin{cases} (\mu_{A_5^{'}} + \mu_{A_6^{'}})/2 \\ if \ \sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'}) = \sum_{j=6}^{10} \rho(A_j^{'}, A_6^{'}), \\ \mu_{A_5^{'}} + \dfrac{\sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'})}{\sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'}) + \sum_{j=6}^{10} \rho(A_j^{'}, A_6^{'})} (\mu_{A_6^{'}} - \mu_{A_5^{'}}) \\ otherwise. \end{cases}$

აქედან μ_{A^*} =8.12E+09.

ნაბიჯი 2: რადგან Δ = 0, აგრეგირების შემდეგი $\mu(x) = \mu_{A^*}(x) = 8.12E+09$.

ამგვარად, ელექტროენერგიის წარმოების მაჩვენებლების აგრეგირებამ 2007-2016 წლების პერიოდში მოგვცა შემდეგი $\tilde{y}$ = 8.12E+09 (კვტ.სთ).

ახლა განვიხილოთ სვეტი „ელექტრონერგიის მოხმარება მოსახლეობის 1 სულზე“. წლების სახით გვაქვს 10 ექსპერტის შეფასება ანუ 10 ერთელემენტიანი არამკაფიო სიმრავლე და მოვახდინოთ მათი აგრეგირება ზემოაღწერილი მეთოდით.

იმის გათვალისწინებით, რომ სვეტში უდიდესი მნიშვნელობაა 3089.5, დავაკონკრეტოთ არამკაფიო სიმრავლეთა ზემოდ მოცემული მესერი შემდეგნაირად:

$$\Psi(X) = \{\mu \mid \mu : X \to [0;3089.5] \subset \Re\}.$$

გვაქვს ერთელემენტიანი არამკაფიო სიმრავლეების სასრული ერთობლიობა: $\left\{A_j,\ j=\overline{1,10}\right\}$ = {1775.6, 1840.9, 1803.1, 1971.1, 2158.4, 2175.6, 2251.3, 2365.0, 2927.8, 3089.5}. განვსაზღვროთ მისი რეგულაცია: $\left\{A_j^{'},\ j=\overline{1,10}\right\}$ = {1775.6, 1803.1, 1840.9, 1971.1, 2158.4, 2175.6, 2251.3, 2365.0, 2927.8, 3089.5}.

ამ შემთხვევაშიც #2 და #3 ფორმულით განსაზღვრულ იზოტონურ შეფასებებს ექნება სახე (N=1, m =10):
$v(A) = \mu_A(x) \Rightarrow \rho(A,B) = |\mu_A(x) - \mu_B(x)|$,

მივყვეთ ჩვენს ალგორითმს.

ნაბიჯი 0: ინიციალიზაცია: არამკაფიო ერთელემენტიანი სიმრავლეების სასრული ერთობლიობა $\left\{A_j,\ j=\overline{1,10}\right\}$, მისი რეგულაცია $\left\{A_j^{'},\ j=\overline{1,10}\right\}$. $\mu(x)$-ით აღვნიშნოთ არამკაფიო აგრეგირების რეზულტატი.

ნაბიჯი 1: გამოვთვალოთ არამკაფიო ერთელემენტიანი სიმრავლეების სასრული ერთობლიობა $\left\{A_j\right\}$-ის წარმომადგენელი (#11) მიიღებს სახეს:

$$\mu_{A^*} = \begin{cases} (\mu_{A_5^{'}} + \mu_{A_6^{'}})/2 \\ if \ \sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'}) = \sum_{j=6}^{10} \rho(A_j^{'}, A_6^{'}), \\ \mu_{A_5^{'}} + \dfrac{\sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'})}{\sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'}) + \sum_{j=6}^{10} \rho(A_j^{'}, A_6^{'})} (\mu_{A_6^{'}} - \mu_{A_5^{'}}) \\ otherwise. \end{cases}$$

აქედან μ_{A^*} =2165.13

ნაბიჯი 2: რადგან Δ = 0, აგრეგირების შედეგი $\mu(x) = \mu_{A^*}(x) = 2165.13$

ამგვარად, ელექტროენერგიის მოხმარებამ მოსახლეობის 1 სულზე მაჩვენებლის აგრეგირებამ 2007-2016 წლიბის პერიოდში მოგვცა შემდეგი $x_1 = \tilde{x}_3$ =2165.13 (კვტ.სთ).

შემდგომ განვიხილოთ სვეტი „ტექნიკური ჰიდრორესურსების ათვისების დონე", როგორც 10 ექსპერტის (წლების რაოდენობა) შეფასებები. ანუ გვაქვს 10 ერთელემენტიანი არამკაფიო სიმრავლე და მოვახდინოთ მათი აგრეგირება ზემოაღწერილი მეთოდით. იმის გათვალისწინებით, რომ სვეტში უდიდესი მნიშვნელობაა 13.72, დავაკონკრეტოთ არამკაფიო სიმრავლეთა ზემოთ მოცემული მესერი შემდეგნაირად: $\Psi(X) = \{\mu \mid \mu : X \to [0;13.72] \subset \Re\}$.

გვაქვს ერთელემენტიანი არამკაფიო სიმრავლეების სასრული ერთობლიობა: $\left\{A_j,\ j = \overline{1,10}\right\}$ = {10.05, 10.53, 10.9, 13.78, 11.6, 10.62, 12.16, 12.26, 12.43, 13.72}. განვსაზღვროთ მისი რეგულაცია: $\left\{A_j^{'},\ j = \overline{1,10}\right\}$ = {10.05, 10.53, 10.62, 10.9, 11.6, 12.16, 12.26, 12.43, 13.72, 13.78}

ნაბიჯი 0: ინიციალიზაცია: არამკაფიო ერთელემენტიანი სიმრავლეების სასრული ერთობლიობა $\left\{A_j,\ j = \overline{1,10}\right\}$, მისი რეგულაცია $\left\{A_j^{'},\ j = \overline{1,10}\right\}$. $\mu(x)$-ით აღვნიშნოთ არამკაფიო აგრეგირების რეზულტატი.

ნაბიჯი 1: გამოვთვალოთ არამკაფიო ერთელემენტიანი სიმრავლეების სასრული ერთობლიობა $\left\{A_j\right\}$-ის წარმომადგენელი (#11) მიიღებს სახეს:

$$\mu_{A^*} = \begin{cases} (\mu_{A_5^{'}} + \mu_{A_6^{'}})/2 \\ if \ \sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'}) = \sum_{j=6}^{10} \rho(A_j^{'}, A_6^{'}), \\ \mu_{A_5^{'}} + \dfrac{\sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'})}{\sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'}) + \sum_{j=6}^{10} \rho(A_j^{'}, A_6^{'})} (\mu_{A_6^{'}} - \mu_{A_5^{'}}) \\ otherwise. \end{cases}$$

აქედან μ_{A^*} = 12.48

ნაბიჯი 2: რაგდან Δ = 0, აგრეგირების შედეგი $\mu(x) = \mu_{A^*}(x) = 12.48$

ამგვარად, ტექნიკური მოხმარების ათვისების დონის მაჩვენებლის აგრეგირებამ 2007-2016 წლების პერიოდში მოგვცა შემდეგი $\tilde{x}_2$ =12.48 (%).

ახლა განვიხილოთ სვეტი „ელექტრონერგიის მოხმარებელთა რაოდენობა", როგორც 10 ექსპერტის (წლების რაოდენობა) შეფასებები, ანუ გვაქვს 10 ერთელემენტიანი არამკაფიო სიმრავლე და მოვახდინოთ მათი აგრეგირება ზემოაღწერილი მეთოდით.

იმის გათვალისწინებით, რომ სვეტში უდიდესი მნიშვნელობაა 1688.907, დავაკონკრეტოთ არამკაფიო სიმრავლეთა ზემოდ მოცემული მესერი შემდეგნაირად:

$$\Psi(X) = \{\mu \mid \mu : X \to [0;1688.907] \subset \Re\}.$$

გვაქვს ერთელემენტიანი არამკაფიო სიმრავლეების სასრული ერთობლიობა: $\left\{A_j,\ j=\overline{1,10}\right\}$ ={1350.238, 1391.452, 1426.806, 1474.537, 1522.268, 1581.903, 1623.117, 1664.807, 1653.553, 1688.907}. ახლა განვსაზღვროთ მისი რეგულაცია: $\left\{A_j^{'},\ j=\overline{1,10}\right\}$ ={1350.238, 1391.452, 1426.806, 1474.537, 1522.268, 1581.903, 1623.117, 1653.553, 1664.807, 1688.907}

ნაბიჯი 0: ინიციალიზაცია: არამკაფიო ერთელემენტიანი სიმრავლეების სასრული ერთობლიობა $\left\{A_j,\ j=\overline{1,10}\right\}$, მისი რეგულაცია $\left\{A_j^{'},\ j=\overline{1,10}\right\}$. $\mu(x)$-ით აღვნიშნოთ არამკაფიო აგრეგირების რეზულტატი.

ნაბიჯი 1: გამოვთვალოთ არამკაფიო ერთელემენტიანი სიმრავლეების სასრული ერთობლიობა $\left\{A_j\right\}$-ის წარმომადგენელი (#11) მიიღებს სახეს:

$$\mu_{A^*} = \begin{cases} (\mu_{A_5^{'}} + \mu_{A_6^{'}})/2 \\ if \quad \sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'}) = \sum_{j=6}^{10} \rho(A_j^{'}, A_6^{'}), \\ \mu_{A_5^{'}} + \dfrac{\sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'})}{\sum_{j=1}^{5} \rho(A_j^{'}, A_5^{'}) + \sum_{j=6}^{10} \rho(A_j^{'}, A_6^{'})} (\mu_{A_6^{'}} - \mu_{A_5^{'}}) \\ otherwise. \end{cases}$$

აქედან μ_{A^*} =1558.029

ნაბიჯი 2: რადგან Δ = 0, აგრეგირების შედეგი $\mu(x) = \mu_{A^*}(x) = 1558.029$

ამგვარად, ელექტროენერგიის მომხმარებელთა რაოდენობის მაჩვენებლების აგრეგირებამ 2007-2016 წლების პერიოდში მოგვცა შემდეგი $\tilde{x}_3$ =1558.029 (ათასი კაცი).

ახლა განვიხილოთ არამკაფიო ფუნქცია $\tilde{y} = f(\tilde{x}_1, \tilde{x}_2, \tilde{x}_3)$. დავადგინეთ, რომ 2006-2015წწ. პერიოდში შესაბამისი პარამეტრების არამკაფიო აგრეგირების გზით ფუნქცია იღებს ასეთ მნიშვნელობებს:.

$\tilde{y}$	$\tilde{x}_1$	$\tilde{x}_2$	$\tilde{x}_3$
$8.12E=09$	2165.13	12.48	1558.029

(#12)

გამოსახულება #12-ით მიღებული მნიშვნელობები ძალზედ დიდ როლს თამაშობენ პროგნოზირების პროცესში. არამკაფიო ექსტრაპოლაციამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საპროგნოზო სფეროში, განსაკუთრებით სტატისტიკური მონაცემების გენერალური ერთობლიობის არქონის შემთხვევაში. იმისათვის, რომ არამკაფიო ექსტრაპოლაციის გამოყენებით, გამოვთვალოთ პროგნოზული მაჩვენებლები, იყენებენ გარკვეული პერიოდების მონაცემთა არამკაფიო აგრეგირების შედეგებს.

პარამეტრების არამკაფიო აგრეგირების მნიშვნელობების საპოვნელად 2020-2022 წწ. პერიოდში ვიყენებთ არამკაფიო ექსრაპოლაციას და ვიღებთ:

$\tilde{y} = 1.48E+10$.

აქედან დეფაზიკაციის გზით მივიღებთ, რომ ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერგიის წარმოება მოსალოდნელია შემდეგი სიდიდეებით (კვტ.სთ):

	2020	2021	2022
$\tilde{y}$	$13.9E+10$	$1.47E+10$	$16.8E+10$

მათემატიკური მოდელის აგებისა და გადაწყვეტის შემდეგ საჭირო მიღებული შედეგების ეკონომიკური ანალიზი, რათა მოხდეს დარგში არსებული რეზერვების გამოაშკარავება.

საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების ათწლიან პროგნოზს აკეთებს „საქართველოს სახელმწოფო ელექტროსისტემაც“, რომელიც მოცემულია ოფიციალურ დოკუმენტში „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2018-2028“. აღნიშნული საპროგნოზო გეგმა საქართველოს სახელმწოფო ელექტროსისტემაში მომზადდა 2017 წელს.

კვლევის შედეგად, ჩვენს მიერ მიღებული საპროგნოზო შედეგები საკმაოდ გაბედულად შეიძლება ჩაითვალოს, იქედან გამომდინარე, რომ 2026-2027 წლამდე არ იგეგმება დამატებითი სიძლავრეების ამოქმედება და ახალი ჰიდროელექტროსაგურების ექსპლუატაცია, რაც ცალსახად გაზრდიდა ჰესებში ელექტროენერგიის საპროგნოზო წარმოების მოცულობას.

2020 წლისათვის ჩვენს მიერ მიღებული ელექტროენერგიის წარმოების საპროგნოზო მაჩვენებელი განსხვავდება ოფიციალური მონაცემისგან. ჩვენს მიერ, 2020 წლისათვის ნავარაუდევია 1,5 მლრდ. კვტ.სთ-ით მეტი (10.7%-ით მეტი) ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია. ასეთი განსხვავების მიზეზად შესაძლოა დავასახელოთ „საქართველოს სახელმწოფო ელექტროსისტემის“ მიერ დარგში არსებული რეზერვების არასათანადოდ გათვალისწინება.

თუკი მოვახდენთ ჩვენს მიერ 2021-2022 წლისთვის მიღებულ საპროგნოზო მაჩვენებლის შედარებას „საქართველოს სახელმწოფო ელექტროსისტემის“ მიერ გაკეთებულ იგივე მაჩვენებელთან დავინახავთ, რომ 2021 წელს ნახევარი მლრდ.კვტ.სთ-მდე (2,6%-ით მეტი), ხოლო 2022 წელს 1 მლრდ. კვტ.სთ-ზე მეტი (6%-ით მეტი) ელექტროენერგიის წარმოებაა ნავარაუდევი ჩვენი პროგნოზისგან განსხვავებით. ასეთ გაზრდილი მაჩვენებლის გაჟღერებისას, მათი მხრიდან, გასათვალისწინებელია ბუნებაზე ზემოქმედების ეკოლოგიური ასპექტები, რომლების ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფილია რჩება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროცესში.

ჩვენს მიერ ჩატარებული ეკონომიკურ-მათემატიკური გათვლებით 2022 წლისათვის ჰიდროელექტროსადგურებში ნავარაუდევია 16,8 მლრდ. კვტ.სთ ელექტროენერგიის წარმოება, ხოლო ამავე წელს „საქართველოს სახელმწოფო ელექტროსისტემის“ საპროგნოზო ბალანსში მოხმარება შეადგენს 15,08 მლრდ.კვტ.სთ. აღნიშნული მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოცემული პერიოდისთვის ქვეყნის ელექტრობალანსი უდეფიციტო იქნება და შესაძლებელია მილიარდ კვტ.სთ-მდე ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანა.

მიღებული შედეგების ანალიზი საშუალებს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჰესების მიერ ელექტროენერგიის წარმოების გაზრდილი მაჩვენებელი სათანადოდ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას და შესაბამისად მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი თავაძე, დემურ ჩომახიძე. ჟ. ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირება, (2005) თბ., 2005, გვ. 59-61;
2. Томас Т. Нэгл. Стратегия и тактика ценообразования. 3-е издание, Питер, 2004;
3. T. Tsabadze, A method for fuzzy aggregation based on grouped expert evaluations, Fuzzy Sets and Systems 157 (2006) 1346-1361;
4. T. Tsabadze, A new approach to the establishment of electricity tariffs based on fuzzy sets, Georgian Engineering News, 1 (2007) 113-119;
5. http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2018-2028_GEO.PDF.

ქარის ელექტროსადგურზე სიმძლავრის გენერაციისა და ქარის ცვლილების ხასიათის ანალიზი

დავით დათაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

ანოტაცია

კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლის აქტუალობა გამოიწვია წყლისა და ჰაერის დაბინძურების ზრდამ, დაბინძურების ძირითადი გამომწვევ მიზეზია წიაღისეული საწვავის გამოყენება, ამიტომ მნიშვნელოვანი ხდება ისეთი ენერგიის წყაროს პოვნა რომელიც არ გამოყოფს CO_2-ს და ამ ენერგიის რაოდენობა ეყოფა საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მოთხოვნებს, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს სუფთა ენერგიის მისაღებად რომელიც გარემოს არ აზიანებს საყოფაცხოვრებო და სამრეწველო წარმოებაში თამაშობს ქარის ელ.სადგურები. სტატიაში მოცემულია ქარის ელ.სადგურის სიმძლავრის გენერაციისა და ქარის ცვლილების ხასიათის ანალიზი.

ANNOTATION

Analysis of wind speed deviation on power generation at wind power plant

The increased air and water pollution is the main reason leading to try solving the urgent problem of climate changes. Using fossil fuel is the cause of pollution, thus it is important to find the source of energy not producing CO_2. In addition, this source of energy should be enough for domestic and industrial demands. The solar power plant plays one of the important role in production of clean energy not polluting the environment. This article analyzes the wind speed deviation on power generation at wind power plant.

* * * *

ქარის ელ.სადგურზე სიმძლავრის გენერაციისა და ქარის სიჩქარის ცვლილების ხასიათის შესასწავლად გორში მოხდა 24 საათის განმავლობაში ქარის სიჩქარის წუთობრივი ინფორმაციის გაანალიზება ნახ.1



ნახ.1

ქარის სიჩქარის მრუდზე ჩანს რომ ქარის სიჩქარე მკვეთრად იკლებს ღამის 2 საათისათვის და ქარის სიჩქარე საკმაოდ დაბალია დილის 10 საათამდე, ქარის ელექტროსადგურზე სიმძლავრის გენერაცია იწყება 3მ/წმ ქარის სიჩქარიდან და მაქსიმალურ სიმძლავრეს აღწევს 12 მ/წმ ქარის სიჩქარეზე, დავაკვირდეთ როგორ იცვლება ქარის ელ.სადგურზე სიმძლავრის გენერაცია ქარის სიჩქარეზე დამოკიდებულების მიხედვით, ქარის სიჩქარის დამოკიდებულება გამომუშავებულ ენერგიასთან ნაჩვენებია ნახ.2-ზე.



ნახ.2 დან ჩანს რომ ღამის პირველ საათზე ქარის სიჩქარის შემცირების შემდეგ ქარის ელ.სადგურზე გამომუშავებული გენერაცია მცირდება ნულამდე და 01:31 დან 03:02 მდე ქარის გენერატორები ჩერდება, შემდგომ 03:49 დან ისევ იწყება მცირე სიმძლვარის გენრაცია და 05:48 სათვის მთლიანად ჩერდება სადგური 10:53 წუთამდე სადაც სტაბილურად მაგრამ მდორედ ხდება ქარის სიჩქარისა და შესაბამისად გამომუშავებული ენერგიის მატება 17:05 მდე სადაც ხდება ქარის სიჩქარის დღის განმავლობაში ყველაზე მკვეთრი ზრდა 18:28 მდე, ამ შუალედში ქარის სიჩქარე იზრდება 7,05 მ/წმ დან 12,65 მ/წმ მდე ვინაიდან ქარის ელ.სადგურზე გამომუშავებული ენერგია ქარის სიჩქარის მესამე ხარისხის პროპორციულია ამ შუალედში ქარის მატებასთან შედარებით გაცილებით სწრაფად იზრდება გამომუშავებული ენერგია, 17:05 ზე ქარის ელ.სადგურის მიერ გამომუშავებული სიმძლავრე იყო 5.4 მგვტ ხოლო 18:28 ზე 20,44 მგვტ.ესეიგი ქარის სიჩქარის ცვლილება ამ შუალედში იყო 12,65-7,05=5.6 მ/წმ ხოლო სიმძლავრის ცვლილება კი 20,44-5,4= 15,04 მგვტ. როგორც ვხედავთ ამ ზღვრებში ქარის სიჩქარის 1 მ/წმ სიჩქარის ცვლილება იწვევს დაახლოებით 2,6 ჯერ გამომუშავებული სიმძლავრის ცვლილებას.

დასკვნა

ქარის ელექტროსადგურზე სიმძლავრის გენერაციისა და ქარის ცვლილების ხასიათის ანალიზის შედეგად დადგინდა რომ:

1. ქარის სიჩქარის ცვლილებასთან შედარებით გაცილებით სწრაფად იცვლება გამომუშავებული ენერგია ვინაიდან ქარის ელ.სადგურზე გამომუშავებული ენერგია ქარის სიჩქარის მესამე ხარისხის პროპორციულია.
2. ქარის სიჩქარე საკმაოდ მდორედ იცვლება როგორც სიჩქარის მატების დროს ასევე მოკლების დროს რაც ამცირებს ქარის ელ.სადგურის სიმძლავრის მკვეთრი ცვლილების ალბათობას.

ლიტერატურა

1. მ.რუხვაძე, ელექტრული სისტემების მდგრადობა.
2. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა.
3. ელ.სისტემის საინჟინრო მოდელირების პროგრამა PSS/E-ის დოკუმენტაცია.
4. https://www.renewableenergyhub.co.uk/wind-turbines/types-of-wind-turbines.html
5. https://www.renewableenergyhub.co.uk/wind-turbines/types-of-wind-turbines.html
6. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2405653716300616

ბიზნეს ინჟინერინგი ინფორმატიკაში

რიგების მოდელი რთული სისტემების საიმედოობისგანსაზღვრის ამოცანაში

რევაზ კაკუბავა
ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, სტუ-ს პროფესორი
დავით წამალაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომის კვლევის ობიექტია რთული ტექნიკური სისტემა, რომელიც შედგება მრავალი არასაიმედო ელემენტისაგან. სისტემაში მოქმედებს მტყუნებული ძირითადი ელემენტების ჩანაცვლებისა და აღდგენის ორგანოები. აგებულია მათემატიკური მოდელი, რომელიც წარმოადგენს რიგების სისტემას ორი პარალელური მომსახურებით - ჩანაცვლება და აღდგენა. განხილულია სისტემის სტაციონარული მდგომარეობა. მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელია უფრო რთული სისტემების გამოსაკვლევად. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს დადგენილი იქნეს პრევენციული ღონისძიებების გატარების ვადები, სათადარიგო ნაწილების ოპტიმალური მარაგები, მოწოდებისა და დანადგარების შეცვლის ვადები. ჩამოთვლილი ღონისძიებები უზრუნველყოფენ სისტემების ეკონომიური ეფექტიანობს მნიშვნელოვან ამაღლებას.

SUMMARY

Object of a research is the difficult technical system which consists of a set of unreliable elements. In system work functions of replacements and restoration of idle basic elements. The mathematical model which represents system from two parallel rows of service - replacements and restoration is constructed. Steady state of system is discussed. The received results can be used in researches of more difficult systems. It will allow us to determine the time of carrying out preventive measures, optimum quantity of spare parts inventories, delivery dates and replacements of the equipment.These measures will allow to provide a significant increase in cost efficiency of the system.

* * * *

თანამედროვე რთული ტექნიკური სისტემების ერთ - ერთი სახეობა, ინფოკომუნიკაციური სისტემები შედგებიან ქსელური სტრუქტურის მქონე ტერიტორიულად განაწილებული დიდი რაოდენობის მაკომპლექტებელი ელემენტებისაგან. ცხადია, რომ განუწყვეტელ ექსპლოატაციაში მყოფ ასეთ სისტემებში ცალკეული ელემენტ(ებ)ის (მთლიანი ბლოკებისაც კი) მტყუნებების ალბათობა მაღალია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთლიანი სისტემის შეფერხება ან ეფექტიანობის მნიშვნელოვანი კლება.

საიმედოობის ანალიზი და სათანადო მაჩვენებლების წინასწარ განსაზღვრა აუცილებელი ამოცანა ხდება ნებისმიერი რთული სისტემის შემუშავებისას. რთული სისტემებისა და ტექნიკური მოწყობილებების საიმედოობის ანალიზისა და მათი მოსალოდნელი რიცხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის, როგორც წესი, იყენებენ მოდელირებასა და გამოცდებს. გამოცდების ჩატარება ძვირად ღირებულ საცდელ მოწყობილობებზე, ასევე გამოსაცდელ ნიმუშებზე მნიშვნელოვანი დანახარჯების გამო ამცირებს საწარმოო პროცესის ეკონომიურ ეფექტიანობას, რის გამოც ჯერ კიდევ სისტემების პროექტირების ეტაპზე ხდება აქცენტების გადატანა გამოცდებიდან მათემატიკური მოდელირების გამოყენებაზე.

სისტემის ფუნქციობის აღმწერი მოდელის აგებისას გასათვალისწინებელია, რომ ტექნიკური შეფერხებების მიმართ მდგრადობასთან ერთად ერთ- ერთი საკვანძო მოთხოვნაა მათი ცალკეული ელემენტების რეზერვირების სათანადო დონის უზრუნველყოფა, რათა ელემენტ(ების)ის მტყუნებამ არ გამოიწვიოს მთლიანი ქსელის ფუნქციობის დარღვევა ან ეფექტიანობის მკვეთრი დაქვეითება. ინფოკომუნიკაციურ სისტემებში ტექნიკური მომსახურების სტრატეგია ისეა აგებული, რომ მტყუნება და გაუმართაობა აღმოიფხვრება მტყუნებული ელემენტების ჩანაცვლებით სარეზერვო ელემენტებით. მტყუნებული ელემენტების ჩანაცვლებას ემსახურებიან ჩანაცვლების მომსახურე ორგანოები (ბრიგადები), ხოლო მათ აღდგენას (შესაძლებლობის შემთხვევაში) ასევე ემსახურებიან ცალკე სპეციალიზებული ორგანოები.

სისტემებში წარმოქმნილი მტყუნებები შემთხვევითი ხასიათისაა, ამიტომ დროისა და ადგილის მიხედვით მათი ზუსტად დადგენა და სრული პრევენ-

ცია შეუძლებელია. ამავე დროს, შესაძლებელია გარკვეული მეთოდების გამოყენებით შევამციროთ მტყუნებათა სიხშირეები.

ქვემოთ მოგვყავს მრავალკომპონენტიანი რთული ტექნიკური სისტემის ფუნქციობის აღმწერი მათემატიკური მოდელი სისტემის სხვადასხვა მოსალოდნელი მდგომარეობისათვის.

მოდელის ასაგებად დავუშვათ, რომ სისტემა შედგება **m** ძირითად და **n** სარეზერვო ელემენტებისაგან. თავისთავად ცხადია, რომ სარეზერვო ელემენტები ფუნქციურად ზუსტად იგივე დანიშნულების არიან, რაც ძირითადი ელემენტები. ძირითადი ელემენტების მტყუნებათა ინტენსივობა აღვნიშნოთ **α,** ხოლო სარეზერვო ელემენტებისა **β**.

მტყუნებული ძირითადი ელემენტი იცვლება ქმედუნარიანი თავისუფალი სარეზერვო ელემენტით. იგულისხმება, რომ სისტემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო რაოდენობის სარეზერვო ელემენტებით. თუ მტყუნების მომენტში სისტემაში არის შესაბამისი თავისუფალი სარეზერვო ელემენტი, მაშინ ჩანაცვლების ოპერაცია იწყება მტყუნების აღმოჩენისთანავე. სხვა შემთხვევაში ჩანაცვლება დაიწყება მაშინ, როცა სისტემაში იქნება თავისუფალი სარეზერვო ან აღდგენილი ელემენტი. მტყუნებული ელემენტი გადაეცემა აღსადგენად და იგი ითვლება სრულად აღდგენილად თუ ის ყველა პარამეტრით ახალი ელემენტის იდენტურია. სისტემაში ჩანაცვლების მომსახურების ორგანოს რაოდენობა იყოს **k,** ხოლო აღდგენის მომსახურების ორგანოს რაოდენობა კი **l.**

იმ შემთხვევაში, როცა მომსახურების ორგანო(ები) დაკავებულია, იქმნება რიგები ჩანაცვლების ან აღდგენის მოლოდინში. მომსახურების პრინციპი არის FCFS (First Come, First Served - პირველი მოვიდა – პირველი მომსახურდა). ამრიგად, იქმნება მასობრივი მომსახურების ჩაკეტილი სისტემა ორი ტიპის მომსახურებით – ჩანაცვლება და აღდგენა.

განვიხილოთ კერძო შემთხვევა, როცა რთული ტექნიკური სისტემა შედგება **m** უსასრულო რაოდენობის ძირითადი ელემენტისაგან, სარეზერვო ელემენტების გარეშე ე.ი. **n** = 0, ანუ განვიხილოთ სისტემის მუშაობის შემთხვევა, როცა **m= ∞ ; n = 0; β = 0; l = k = 1.** სისტემის ფუნქციობა შეიძლება აღიწეროს დიფერენციალურ განტოლებათა (კოლმოგოროვის) შემდეგი სისტემით.

სისტემაში არის თითო - თითო აღმდგენი და ჩანაცვლების ორგანო. აღდგენისა და ჩანაცვლების დროის განაწილების ფუნქციები ექსპონენციალურია μ და λ ინტენსივობებით. შემოვიტანოთ **P (i,j,t)** მახასიათებელი (ალბათობა), რომელიც გვიჩვენებს, რომ დროის t მომენტში სისტემის ძირითად ელემენტთა ჯგუფს აკლია *i* ელემენტი, *j*- ელემენტი კი მტყუნებულია. ძირითად ელემენტების მტყუნებათა ჯამური ინტენსივობა აღვნიშნოთ α_0.

სისტემაში მოსალოდნელია შემდეგი მდგომარეობები.

1) თავისუფალი მდგომარეობა.
2) სისტემაში მიმდინარეობს მხოლოდ აღდგენა.
3) სისტემაში მიმდინარეობს მხოლოდ ჩანაცვლება.
4) სისტემაში მიმდინარეობს ჩანაცვლების და აღდგენის ოპერაციები ერთდროულად.

მტყუნებული ელემენტის აღდგენის ინტენსივობა აღვნიშნოთ μ. აღდგენის შემდეგ ელემენტთა ძირითად ჯგუფში ხდება მტყუნებული ელემენტის ჩანაცვლება λ ინტენსივობით. იგულისხმება, რომ ვიდრე ელემენტი იმყოფება გადართვის რიგში, მისი მტყუნება არ ხდება.

1. სისტემა თავისუფალ მდგომარეობაშია. ამ დროს i = j = 0.

სტანდარტული ალბათური მსჯელობების საფუძველზე სისტემის მდგომარეობის აღმწერი დიფერენციალური განტოლება იქნება:

$$\frac{dP(0,0,t)}{dt} = -\alpha_0 P(0,0,t) + \lambda P(1,0,t) + \mu P(0,1,t). \qquad (1)$$

სტაციონარულ მდგომარეობაში (1)-დან მიიღება შემდეგი ალგებრული განტოლება:

$$-\alpha_0 P(0,0) + \lambda P(1,0) + \mu P(0,1) = 0. \qquad (2)$$

2. **სისტემაში მიმდინარეობს მხოლოდ აღდგენის პროცესი -** ამ შემთხვევაში $(i = j)$, ანუ ყველა ელემენტი, რომელიც აკლია ძირითად ჯგუფს მტყუნებულია, მიმდინარეობს ერთ-ერთის აღდგენა, დანარჩენები ელოდებიან აღდგენას. მდგომარეობის შესაბამის დიფერენციალურ განტოლებას ექნება სახე:

$$\frac{dP(i,i,t)}{dt} = -(\alpha_0 + \mu)\, P(i,i,t) + \alpha_0\, P(i-1,i-1,t) + \lambda\, P(i+1,i,t). \qquad (0 < i < \infty) \quad (3)$$

სტაციონარულ მდგომარეობაში მიიღება შემდეგი ალგებრული განტოლება:

$$-(\alpha_0+\mu)\,P(i,i)+\alpha_0\,P(i-1,i-1)+\lambda\,P(i+1,i)=0 \qquad (0<i<\infty) \qquad (4)$$

3.სისტემაში მიმდინარეობს მხოლოდ ჩანაცვლება - ამ შემთხვევაში სისტემაში არ არის მტყუნებული ელემენტი ანუ j= 0. ძირითად ჯგუფს აკლია ელემენტები, რომლებიც უკვე აღდგენილია და არიან ჩანაცვლების რიგში.

სისტემის მდგომარეობის აღმწერ დიფერენციალურ განტოლებას ექნება სახე:

$$\frac{dP(i,0,t)}{dt}=-(\alpha_0+\lambda)\,P(i,0,t)+\lambda\,P(i+1,0,t)+\mu\,P(i,1,t). \qquad (0<i<\infty) \qquad (5)$$

სტაციონარული მდგომარეობისათვის (5) - დან მიიღება ალგებრული განტოლება:

$$(\alpha_0+\lambda)\,P(i,0)+\lambda\,P(i+1,0)+\mu\,P(i,1)=0. \qquad (0<i<\infty) \qquad (6)$$

4.სისტემაში ერთდროულად მიმდინარეობს ჩანაცვლების და აღდგენის ოპერაციები. ამ პროცესის აღმწერი დიფერენციალური განტოლება იქნება:

$$\frac{dP(i,j,t)}{dt}=-(\alpha_0+\lambda+\mu)\,P(i,j,t)+\alpha_0\,P(i-1,j-1,t)+\lambda\,P(i+1,j,t)+\mu\,P(i,j+1,t).$$

$$0<i<\infty,\ 0<j<n+i. \qquad (7)$$

სტაციონარულ მდგომარეობაში შესაბამის ალგებრულ განტოლებას ექნება სახე:

$$-(\alpha_0+\lambda+\mu)\,P(i,j)+\alpha_0\,P(i-1,j-1)+\lambda\,P(i+1,j)+\mu\,P(i,j+1). \quad 0<i<\infty,\ 0<j<n+i. \qquad (8)$$

წარმოდგენილი განტოლებებით მიიღება წრფივ განტოლებათა სისტემა $P(i,j)$ სიდიდეების განსაზღვრისათვის. სისტემის თავსებადობისათვის მიღებულ სისტემას უნდა დაემატოს ნორმირების პირობა (ერთ- ერთი განტოლების ნაცვლად):

$$\sum_{i=0}^{\infty}\sum_{j=0}^{i}P(i,j)=1 \qquad (9)$$

დასკვნა

ინფოკომუნიკაციური სისტემების ფუნქციობის აღმწერი მათემატიკური მოდელის გამოყენება პროექტირებისა და საცდელი ნიმუშის გამოცდის ეტაპზე საშუალებას მოგვცემს:

1. სისტემების სხვადასხვა მოდელებისათვის დავადგინოთ სარეზერვო ელემენტთა შემადგენლობა და ოპტიმალური რაოდენობა.
2. დადგინდეს სისტემის სუსტი რგოლები.
3. შემუშავდეს საიმედოობის ამაღლების ღონისძიებები.
4. წინმსწრები პრევენციული ღონისძიებებით ავამაღლოთ სისტემის ეკონომიური ეფექტიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. R.E.Barlow, F. Proschan. Matematical Theory of reliability. SIAM, 1996.
2. K.A. Harras, M.P.. Wittle, K.C. Almeroth, M.E. Belding. ParaNets: A parallel Network Architecture for Challenged Networks //in Proc. of the 7th IEEEWorkshop on mobile Computing Systems and Applications (Hotmobile), Tucson, AZ, February 2007.-P
3. R.V. Kakubava. Reliability Model for Standby with Replacement Delays of Failed Elements. Automatic Control and Computer Sciences, 2013, Vol. 47,#2, pp.94 – 98. ISSN 0146 – 4116. Allerton Press, Inc., 2013
4. R. Kakubava. Multi – Line Closed Queuing System for Two Maintenance Operations. Reliability & Risk Analysis: Theory & Applications. Vol.1, # 1, 2010. http: // www. Gnedenko –forum.org./ Jornal/ 2010.
5. R. Kakubava. New Markovian and semi- Markovian closed queuing systems with two types of service as mathematical models of reliability and maintenance. VI International Conference. Extended Abstracts. MMR 2009 – Mathematical Methods in Reliability. Theory, Methods, Applications, Moscow, 2009.
6. R. Kakubava - New Markovian and semi – Markovian closed queuing systems with two types of service as mathematical models of reliability and maintenance. VI International Conference. Extended Abstracts, MMR 2009 – Mathematical Methods in Reliability. Theory, Methods, Applications. Moscow, 2009.
7. R.Kakubava, N. Svanidze – Preemptive Priority Closed Queuing System for Two Maintenance Operations. Proceedings of the 2014 International Conference on Simulation and Modeling Methodologies, Technologies and Applications (SMTA2014), Sanya, China, 2014

ბიზნეს ინჟინერინგი არქიტექტურაში

ქალაქ თბილისისა და კურორტ ბიჭვინთის დაგეგმარება და განაშენიანება XX საუკუნის მეორე ნახევარში

ლიანა ოქროპირიძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

XX საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ტემპით ხორციელდება ქალაქმშენებლობა საქართველოში. დგება ქალაქმშენებლობის გენერალური გეგმები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქ თბილისს, როგორც დედაქალაქს და, ამასთანავე, ამიერკავკასიის ცენტრს.

თუ მეოცე საუკუნის ოციან წლებში ქვეყანას არ ჰყავდა თავისი ხუროთმოძღვრები, ამ პერიოდში შემოქმედებითად მოღვაწეობენ არქიტექტორები: ა. ქურდიანი, შ. ყავლაშვილი, ა. ბაქრაძე, დ. გრძელიძე, ი. ყავლაშვილი, ი. ჩხენკელი, ნ. მიქაძე, ჯ. ჯიბლაძე, ვ. ქურთიშვილი, გ. ქარცივაძე, თ. კანდელაკი, დ. მოდებაძე და სხვები. მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგია ის, რომ რეალობაში შეიქმნა ქალაქი თბილისი.

დედაქალაქში მიზანშეწონილადაა განაშენიანებული ქალაქის ცენტრი და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი რაიონები. შესანიშნავადაა გამოყენებული მდინარე მტკვრის ორივე სანაპირო და საერთოდ ქალაქის მთელი ლანდშაფტი თავისი მთაგორიანობით.

თბილისის განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად სამოსახლო ტერიტორია ისე განლაგდა, რომ იქ არის კეთილმოქმედი მიკროკლიმატი, მოეწყო დასვენების ზონები, რაციონალურად ემსახურებოდა სატრანსპორტო საშუალებები, მიმდინარეობდა ძველი ქალაქის რეკონსტრუქცია და ქალაქი თბილისი ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქი ამიერკავკასიაში არქიტექტურული თვალსაზრისითაც.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბიჭვინთის კონცხზე კურორტის აშენებას, რაც განხორციელდა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში.

ამ ძირძველ ქართულ მიწაზე აშენდა საერთაშორისო მნიშვნელობის უნიკალური კურორტი. 16-18 სართულიანი კორპუსები, რომლებიც გადაჰყურებენ ზღვას, წარმოადგენენ ახალ სიტყვას ქართული არქიტექტურის ისტორიაში. ქართველმა არქიტექტორებმა, მოქანდაკეებმა, მხატვრებმა, ინჟინრებმა უდიდესი ძალისხმევით ააშენეს და დაამშვენეს კურორტი ბიჭვინთა. სამწუხაროა, ის, რომ, ეს დიდებული ჯანმრთელობის კერა დღეს საქართველოს იურისდიქციაში არ შედის და ოკუპირებულია. რომ რეალურად ბიჭვინთა ძირძველი ქართული ისტორიული რეგიონია თვით მისი სახელწოდება ამაზედ ღაღადებს - ფიჭვის მთა - ბიჭვინთა. ერთ-ერთ კორპუსს „ბზიფი“ ჰქვია, ეს სიტყვაც სუფთა ქართულია და მისი ძირი „ბზაა“. ბზის ტევრები მზიფის ხეობაში უამრავია.

PLANNING AND BUILDING OF THE CITY OF TBILISI AND OF THE HEALTH RESORT OF PITSUNDA IN THE 2ND HALF OF THE XX CENTURY

Liana Oqropiridze
PhD student of GTU

SUMMARY

In the 2nd half of the XX century town building was put into practice with great rates in Georgia. General plans of the urban development were passed. Special attention was payed to the city of Tbilisi as a capital of Georgia and at the same time as a centre of the Trans-Caucasia.

The country had no its own architects in the 1920th but in the mentioned period the following ones worked very successfully: A. Kurdiani, Sh. Kavlashvili, A. Bakuradze, D. Grdzelidze, I. Kavlashvili, I. Chenkeli, N. Mikeladze, J. Jibladze, V. Kurtishvili, G. Kartsivadze, T. Kandelaki, D. Modebadze and others.

The centre of the city and adjoining districts were rebuilt in the capital. At this process both bankments of the river Mtkvari and all mountainous landscape of the city were used then.

According to the general plan of the development of Tbilisi residential districts of the city have favourable microclimate, places of rest and they are rationally served by urban transport. The reconstruction of old part of the city was realized and now Tbilisi is one of the best cities of Trans-Caucasia from architectural point of view.

The construction of the health resort on the cape of Pitsunda was put into practice in the 60-70th of the last century. It was a great importance. On this old Georgian land a health resort of international importance has been built

Buildings of 16-18-storeys are a new word in the history of Georgian architecture. Georgian architects, sculptors, painters and engineers built and equiped with modern amenities the health resort of Pitsunda.

Unfortunately nowadays this seat of health is occupied and it is not under the jurisdiction of Georgia.

The name of Pitsunda tells its own tale that this region is really Georgian historical one. Pitsunda – in Georgian “Bichvinta” – means “a pine mountain”.

One of the buildings is called “Bzipi”. This is a purely Georgian word, it’s stem is “bza” (“box-tree”). There are many box-trees in the canyon of Bzipi.

* * * *

XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში განხორციელებული ინდუსტრიალიზაციის, საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებისა და მშენებლობის ტიპობრივი პროექტების ფართო მასშტაბით დანერგვის შედეგად ქალაქმშენებლობისათვის საუკეთესო პირობები შეიქმნა.

1956 წლისათვის საქართველოში 32 ქალაქი და 32 ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი იყო. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა ქალაქებში. თუ 1940 წელს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში 1,066 ათასი კაცი ცხოვრობდა, 1956 წელს ქალაქის მოსახლეობამ მილიონ 580 ათასს მიაღწია.

ქართველი არქიტექტორები ამ პერიოდში ინტენსიურად მუშაობენ ქალაქების დაგეგმარებაზე და ორმოცდაათიანი წლების მიწურულში უკვე შედგენილ იქნა ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, ცხინვალის და სხვა ქალაქების გენერალური გეგმები.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ქალაქმშენებლობა ძირითადად ქალაქ თბილისის მაგალითზე, ვინაიდან ქვეყნის სხვა ქალაქებისათვის მეტ-ნაკლებად ანალოგიურია ის ქალაქმშენებლობის ღონისძიებანი, რაც არქიტექტორებმა და მშენებლებმა დედაქალაქში განახორციელეს.

ქალაქთა სწრაფი განვითარება გენერალურ გეგმათა ხშირ კორექტირებას მოითხოვდა. მითუმეტეს, რომ ქალაქთა რეკონსტრუქციის და განვითარების გეგმები მთლიანად ვერ ითვალისწინებდა ქალაქმშენებლობის ახალ, პროგრესულ ტენდენციებს. ამ მიმართულებით მიზანდასახული მუშაობა წარმოებდა თითქმის ყველა ქალაქის რეკონსტრუქციის გეგმაზე. ამ ტენდენციების გამომხვატელ პირველ მაგალითს ფაქტობრივად წარმოადგენდა ქ. თბილისში საბურთალოს საცხოვრებელი რაიონის დაგეგმარების დეტალური გეგმა, რომლის მიხედვით მშენებლობა 1956 წელს დაიწყო. არქიტექტორები იყვნენ: შ. ყავლაშვილი, ა. ბაქრაძე, დ. გრძელიძე, ი. ყავლაშვილი.

საბურთალოს რაიონში ქალაქის თავისუფალი ტერიტორია 300 ჰექტარს მოიცავდა, სადაც გაშენდა მსხვილი საცხოვრებელი კვარტალები 45 00 კაცისათვის. ეს კვარტალები უზრუნველყოფილი იქნა მომსახურების აუცილებელი ქსელითა და ტრანსპორტით. პროექტით საცხოვრებელ კვარტალთა შემადგენლობა, გარდა საცხოვრებელი სახლებისა, მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას, სპორტულ და სათამაშო მოედნებს, საცურაო აუზებს და სხვა. საცხოვრებელ კვარტალებს შორის თავსდება სკოლა და სხვა საბავშვო დაწესებულებები, მაღაზიები, სასადილო და სხვა.

განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება გამწვანებას. 45 ჰექტარი ეთმობა რაიონული დანიშნულების პარკს, სტადიონით და საცურაო აუზით.

მშენებლობის განხორციელების დროს გამოვლინდა უმნიშვნელო უარყოფითი მხარეებიც, რომელთაგან ზოგი თვითონ პროექტისგან გამომდინარეობდა, ზოგი კი გამოწვეული იყო მისგან გადახვევით. ავტორებმა თავი ვერ დააღწიეს საბურთალოს ამ რაიონის ერთ განსაკუთრებულობას, აქ ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს ორი პარალელური მაგისტრალი. პავლოვისა და ვაჟა-ფშაველას პროსპექტებს ამ რაიონში თითქმის ერთი და იგივე ფუნქცია დააკისრეს დამპროექტებლებმა, რამაც კვარტალთა არარაციონალური დაგეგმარება გამოიწვია. რა თქმა უნდა, ურთიერთპარალელური ქუჩების მოწყობა ნუცუბიძისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩებს შორის უარყოფით ზეგავლენას ახდენს საცხოვრებელ კვარტალთა სიმყუდროვეზე. შეცდომა იყო დაშვებული იმაშიც, რომ პროექტით გათვალისწინებული ვრცელი პარკი მშენებლების მიერ თვითნებურად იქნა გაუქმებული და საცხოვრებელ რაიონს მოაკლდა უმნიშვნელოვანესი მწვანე მასივი. აღსანიშნავია, აგრეთვე, მთავარი მაგისტრალის ბოლოს საცხოვრებელი კვარტლის შეცვლა ინსტიტუტებითა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებებით, რაც ართულებს სატრანსპორტო და სხვა საკითხებს.

საბურთალოს საცხოვრებელი მასივი გაშენდა ჯერ 4-5 -სართულიანი, ხოლო შემდეგ 8 - სართულიანი საცხოვრებელი სახლებით, მაგრამ ტიპობრვ პროექტში ასარჩევი ვარიანტების არარსებობამ საცხოვრებელი კვარტალების ერთფეროვნება გამოიწვია. აქ არ არის გამოყენებული მხატვრულ-ესთეთიკური ერთიანობის შექმნის შესაძლებლობა.

თბილისში მეორე მნიშვნელოვანი საცხოვრებელი მასივი დიღომშია გაშენებული, რომლის მშენებლობაც 1960 წელს დაიწყო. მისი არქიტექტორები იყვნენ: ი. ჩხენკელი, ნ. მიქაძე და ჯ. ჯიბლაძე. ეს მასივი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც ასათვისებელი იყო 150 ჰექტარი ტერიტორია, იმის გათვალისწინებით, რომ იქ 25 ათასი მოსახლე იცხოვრებდა. ეს ტერიტორია იწყება დიდუბის ხიდთან და სამოსახლო შედგება ოთხი მიკრორაიონისაგან და ორი საცხოვრებელი კვარტალისაგან. ყოველი მათგანი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებებით გაერთიანებულ საცხოვრებელ კომპლექსს შეადგენს. მიკრორაიონის ფართობი 16-26 ჰექტარს, ხოლო კვარტალებისა - 6 ჰექტარს ითვლის. სკოლაები და საბავშვო დაწესებულებები განლაგებულია განცალკევებულ ტერიტორიაზე ისე, რომ სასკოლო ფართობი მიკრორაიონის საპარკო და სპორტულ მოედნებთან არის გაეთიანებული. სასწავლო დაწესებულებისათვის გამოყოფილი ტერიტორია იზოლირებულია და მისკენ მიმავალი გზები ტრანსპორტს არ კვეთენ. ერთ-ერთ მიკრორაიონში ტერიტორია ორგანიზებულია საცხოვრებელი სახლების ცალკეული ჯგუფებით, მოსახლეობის სრული კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

დიღმის მასივში საცხოვრებელი სახლების მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 80 ჰექტარია, განაშენიანების პროცენტი კი - 20 ჰა. საცხოვრებელი ფართობი გააანგარიშებულია 9 კვადრატული მეტრით თითო სულზე.

საბურთალოსა და დიღმის საცხოვრებელი რაიონები, ისევე როგორც ახალი საცხოვრებელი კვარტლები 26 კომისარსა და ღრმაღელეს ტერიტორიაზე, გვიჩვენებს, რომ ორმოცდაათიანი წლებიდან მთელს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, მარტო თბილისში, კომპლექსური განაშენიანების მასივების ინდუსტრიული მეთოდებით მშენებლობის შედეგად 1958-1962 წლებში 2,2-ჯერ მეტი საცხოვრებელი სახლი აშენდა ვიდე წინა პერიოდში ამდენივე წლის მანძილზე. მხოლოდ სამ საცხოვრებელ მასივში აშენდა 200 000 კვ/მეტრი საცხოვრებელი ფართობისა, რომელშიაც 25 ათასი კაცი ცხოვრობდა. [1]

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს საცხოვრებელი სახლები შენდებოდა ქალაქის ცენტრშიც და ისინი ხშირად წამყვან მნიშვნელობას იძენდნენ ქუჩების საეთო განაშენიანებაში. ამის მაგალითია საცხოვრებელი სახლი სანაპიროზე კარლ მარქსის ხიდთან, რომლის არქიტექტორები იყვნენ: შ. ყავლაშვილი და ლ. ხარაშვილი. ეს სახლი სანაპიროს ამ მონაკვეთზე განაშენიანების წამყვანი კომპონენტის როლს ასრულებს, მაგრამ მშენებლობა ცენტრალურ რაიონებში ყოველთვის როდი ითვალისწინებს კონკრეტული ადგილმდებარეობის სპეციფიკას. ხეთაგუროვის ქუჩის 8- სართულიანი საცხოვრებელი სახლებით განაშენიანება ფარავს ქალაქის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანს და შენობათა ფასადებით ამ რაიონის განაშენიანებაში თითქმის შემთხვევით მოქცეულ ერთფეროვან სიბრტყეთა რიგს წარმოადგენენ.

უკანასკნელი ხანის საბინაო მშენებლობაში, რომელიც ქალაქის მაგისტრალების, ქუჩების თუ ცალკეული უბნების განაშენიანების თვალსაზრისითაა საინტერესო, გამოირჩევა ვარაზისხევის განაშენიანება, სადაც ერთმანეთთან მიდგმული კოშკური სახლები, აივნების და ფასადთა მთელ ფრონტზე შეტეხილი სიბრტყეებით გაერთიანებული, საფეხურებად არიან განლაგებულნი და კარგად შეეფერებიან რთულ რელიეფს. ვარაზისხევის განაშენიანების პროექტი შეადგინეს აქტიტექტორებმა რ. ბაირამაშვილმა და ნ. შოშიტაიშვილმა.

დროთა განმავლობაში თანდათანობით დაიხვეწა მსხვილი საცხოვრებელი რაიონების კომპლექსების არქიტექტურული კონცეფცია, შემუშავდა საცხოვრებელი მიკრორაიონების განაშენიანების პრინციპები, რომლებიც ადგილობრივი რელიეფის, ჰიგიენური პირობების გათვალისწინებით და პირველადი საცხოვრებელი კომპლექსისა და მომსახურების რაციონალურ დაკავშირებაზეა აგებული. თბილისის გარდა, ასეთი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა მიმდინარეობდა რესპუბლიკის თითქმის ყველა დიდ ქალაქში: ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში და რუსთავში.

1958 წელს თბილისის ცენტრში, ელბაქიძის დაღმართთან გაყვანილ იქნა ახალი მაგისტრალი. ხევში 22 მეტრი სიმაღლის ესტაკადის მოწყობამ ნაწილობრივ განტვირთა რუსთაველის მოედანი ტრასპორტისაგან. ამით ფაქტობრივად მასთან მიმდინარე ტერიტორიის კონსტრუქცია დაიწყო. მეტად მნიშვნელოვან ქალაქმშენებლობით ღონისძიებას წარმოადგენს ქალაქის ორი უმთავრესი საცხოვრებელი რაიონის ვაკისა და საბურთალოს შემაერთებელი მაგისტრალის გაყვანა ვარაზისხევში 1957 წელს და ვაკის ბოლოს 1959 წელს, ეს უკანასკნელი კლდეშია ჩაჭრილი და მრავალკილომეტრიანი შემოვლის ნაცვლად, უმოკლესი გზით აკავშირებს ამ რაიონებს ერთმანეთთან და ქალაქის ცენტრალურ ნაწილთან.

ფრიად მნიშვნელოვანი იყო ამ პერიოდში სანაპიროების შენება. თუ 1940 წელს სანაპიროთა სიგრძე მხოლოდ 3 კილომეტრი იყო, 1966 წელს იგი 13,5 კილომეტრამდე ავიდა. მტკვარმა ქალაქის დიდ მონაკვეთზე მშვენიერი კალაპოტი მიიღო, ხოლო მისი ნაპირები მნიშვნელოვან სატრანსპორტო მაგისტრალებად გადაიქცა.

სანაპიროთა კეთილმოწყობამ აღადგინა თბილისის განვითარების ძველი ტენდენცია, რაც ქალაქის მტკვართან დაკავშირებისა და სანაპირო ზოლის მნიშვნელობაში იყო გამოხატული. ქალაქის ზრდის თავალსაზრისითაც მტკვრის სანაპიროს დიდი როლი ეკისრება, როგორც თბილისის ხაზოვანი კომპოზიციის გამომხატველს. მაგრამ სანაპიროთა არქიტექტურული გადაწყვეტა ყოველთვის როდი იყენებდა იმ შესაძლებლობას, რომელსაც ადგილობრივი პირობები ქმნიდა. სანაპირო არ არის გამოყენებული როგორც სუფთა ჰაერის რეზერვუარი, რომელიც მიკროკლიმატზე იმოქმედებს.

მდინარე მტკვარი დაამშვენა ბარათაშვილის ახალი ხიდის აგებამ 1965 წელს, რომლის პროექტიც შეადგინეს არქიტექტორებმა: შ. ყავლაშვილმა და ვ. ქურთიშვილმა, ხოლო კონსტრუქტორი იყო გ. ქარცივაძე. ხიდის ორიარუსიანი მშვიდი ჰორიზონტალი ორგანულად ჩაერთო ქალაქის ერთ ყველაზე ხალხმრავალი უბნის პანორამაში. ქუჩათა დონის აწევით შერბილდა ბარათაშვილის აღმართის კუთხეც.

ხიდის არქიტექტურა გადაწყვეტილია ხიდმშენებლობის ყოველგავრი ტრადიციული ატრიბუტების გარეშე, იგი მკაცრ ფუნქციურ გადაწყვეტას ემყარება. თვითონ ორიარისიანი ხიდის პრინციპი ძალზე მოხერხებულია თბილისისთვის. ზედა, ღია იარუსი უმთავრესად ტრანსპორტისთვისაა გამოყოფილი, ხოლო ქვედა, გადახურვის ქვეშ მოთავსებული - ქვეითთათვის, ზაფხულის ცხელ დღეებში იგი სასიამოვნო ჩრდილოვან გადასვლელს ქმნის. იარუსთა შორის თავისუფალ სივრცეში მოთავსებულია საგამოფენო დარბაზი და კაფე. ხიდი გარშემო განლაგებულ მაღალ წერტილებზე მოწყობილი მძლავრი ნათურებით ნათდება და ჰარმონიულადაა ჩაწერილი გარემომცველ ლანდშაფტში.

აღსანიშნავია მეტეხის ტაძრის რეკონსტრუქცია. ტაძრის წინ დაინგრა ნაგებობანი, გათავისუფლდა ტერიტორია, ქვის პარაპეტი შემოევლო კლდის ნა-

1 Н. Джаши. Архитектура социалистического Тбилиси, Тб., 1963, стр. 128.

პირს. ტაძრის წინ, კლდის კონცხზე დაიდგა ვახტანგ გორგასლის ძეგლი, რომელიც შექმნა ე. ამაშუკელმა, ხოლო ბორცვის კეთილმოწყობაზე იზრუნეს არქიტექტორებმა თ. კანდელაკმა და დ. მოდებაძემ. ქანდაკების ადგილი ისეა შერჩეული, რომ მას რაც შეიძლება ხედვის მეტი წერტილი ჰქონდეს. [2]

მოქანდაკე ე. ამაშუკელმა თავისებული შედევრი შექმნა ამ ქანდაკებით. ცხენოსანი ფიგურა გადაწყვეტილია მკაცრად და მკაფიოდ. ფიგურა თავისუფლად და ამაყად ზის ცხენზე. ზეაწეული ხელი - მტკიცე ჟესტი, ნიშანი შეურყეველი გადაწყვეტილებისა, ძლიერებას მატებს ქანდაკებას.

ქალაქ თბილისის იერსახისათვის ერთ-ერთ ახალ დამახასიათებლად იქნა მონუმენტური ქანდაკებები. იგივე ე. მაშუკელის ბრწყინვალე ქანდაკება „ქართლის დედა“, რომელიც 1958 წელს აღიმართა, ფაქტიურად ქალაქის ემბლემად იქცა. სოლოლაკის ქედზე აღმართული 20 მეტრიანი სიმბოლური ფიგურა ქალაქის მრავალი წერტილიდან კარგად მოჩანს.

1961 წელს ა. ბაქრაძის პროექტით გორგასლის რეკონსტრუირებულ ქუჩაზე აღიმართა 300 არაგველისადმი მიძღვნილი მონუმენტი. ობელისკის კომპოზიცია ვერტიკალურად აღმართული ტრაპეციული მოხაზულობის სვეტისა და რელიეფიანი კუბის ურთიერთდაკავშირებაზეა დამყარებული. ქვით მოფენილი მოედანი მარადიული ცეცხლით, გამაერთიანებელ საფუძველს უქმნის ნაგებობას. საერთო კომპოზიცია მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობასაც გუისხმობს, რითაც ქალაქის ამ კონკრეტული ადგილის კეთილმოწყობის და მონუმენტის შექმნის ერთიანი ამოცანაა გადაწყვეტილი.

უზარმაზარი ტრაპეციის მოცულობა ვიწრო მხრით ქუჩის მიმართულებას მიყვება და ამით ხაზს უსვამს მის დინამიკურობას, ხოლო მისი ღერძისადმი პერპენდიკულარულად დადგმულ კუბს სტატიკური მომენტი შეაქვს საერთო კომპოზიციაში: იგი ყურადღებას აჩერებს, პასუხს სვამს ამ ადგილას. ქვაზე ამოკვეთილი რელიეფები ლაკონურად გამოხატავენ გმირობის თემას.

ობელისკის ვიწრო მხარე მთელ სიმაღლეზე უჭირავს წარწერას - ლადო ასათიანის ლექსის სტრიქონებს. ასოები დეკორაციულია, მასშტაბიც კარგადაა მოძებნილი. მაგრამ ადგილის სივიწროვის და უზარმაზარი სიმაღლის გამო ქექსტის წაკითხვა თითქმის შეუძლებელია. ამდენად, ტექსტის შინაარსობრივი მხარე მიზანს ვერ აღწევს და წარწერა მხოლოდ მორთულობადაა გადაქცეული.

გორგასლის ქუჩის რეკონსტრუქციამ გააფართოვა მეტად მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალი და ძველი ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი - სეიდაბადი ფართო, თანამედროვე ქუჩით დააკავშირა მტკვრის ნაპირთან და ქალაქის ცენტრთან. ფაქტიურად ეს მტკვრის სანაპიროს შემდგომ გაშენებას წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობა ქალაქის ძველ უბნებში კიდევ უფრო იზრდებოდა. მეტეხის ბორცვზე და მასზე მდებარე მეტად კოლორიტული საცხოვრებელი განაშენიანების შენარჩუნებისა და მოხერხებულ სატრანსპოტრო სწრაფგამტარი მაგისტრალის შექმნას მტკვრის მარცხენა ნაპირზე ემსახურება კლდეში გაყვანილი გვირაბი. აქ სანაპირო ქუჩის გაგრძელება შეუძლებელი იყო ერთი მხრივ მტკვრის ვიწრო კალაპოტის, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული კლდის გამო. გვირაბის გაყვანა და მაგისტრალის გაგრძელება მეტეხის ბორცვის ძირში, ბუნებრივია, მთლიანად ამ რაიონის რეკონსტრუქციის საკითხსაც აგვარებს.

ფართოდ გაშლილმა სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა, ქალაქის ზრდამ და ამასთან დაკავშირებით წამოჭრილმა პრობლემებმა გადაუდებელ საკითხად დასვა თბილისის ახალი გენერალური გეგმის დამუშავება. 1960 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით თბილისის ახალი საზღვრები შემოიფარგლა, რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის უზრუნველსაყოფად ე.წ. „დიდი თბილისის“ ტერიტორია განისაზღვრა 26 070 ჰექტარით.

დაგეგმარების ახალ გენერალურ პროექტზე მუშაობა 1962 წელს დაიწყო. პროექტი გათვალისწინებულია 1968-2000 წლებისათვის.

პროექტი საანგარიშო ვადებისათვის ქალაქის მოსახლეობას მილიონ 250 ათასი კაცით საზღვრავს (1970 წლის 1 იანვრისათვის მოსახლეობის რიცხვი 889 ათასი იყო). [3]

ახალი გენერალური გეგმით ქალაქი ითვისებს დიღმის, გლდანის, ავჭალისა და ვარკეტილის ტერიტორიას და თავსდება მთებითა და ხეობებით შემოსაზღვრულ ბუნებრივ ფარგლებში. ქალაქის განაშენიანებაში შეტანილია და თბილისის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია,რითაც ქალაქი იძენს კარგი ტემპერატურული რეჟიმის, გამწვანებულ და წყლის სივრცის მქონე ნაკვეთებს.

თბილისის განვითარების ახალი გენერალური გეგმა ითვალისწინებს ქალაქის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქციას და ძეგლების რესტავრაციას.

ამგვარად, ფუნქციური ზონირება ისე, რომ ძირითადი სამოსახლო ტერიტორიის განლაგება კეთილმოქმედი მიკროკლიმატით გამორჩეულ ახალ რაიონს მოიცავდეს, საჭიროა ქალაქის ფარგლებში და მის ირგვლის 5-15 კილომეტრის რადიუსით დასვენების ზონების მოწყობა; საერთო-საქალაქო ცენტრის სისტემის ფორმირება უკვე ჩამოყალიბებული სისტემით; მოსახლეობის რაციონალირი მომსახურება სატრანსპორტო საშუალებებით; ძველი ქალაქის რეკონსტრუქციისა და ძეგლთა დაცვის საკითხების გადაწყვეტა, როგორც ერთიანი ორგანიზმისა - ახალ ნიშნებს ანიჭებდა ქალაქ თბილისის გენერალურ გეგმას.

1959 წელს სამშენებლო ტრესტმა „კოლხიდმშენმა“ დაიწყო დაბა ბიჭვინთის ტეროტორიაზე ჭაობის

2 „საბჭოთა ხელოვნება“, 1959 წ. №2, გვ. 22.

3 „კომუნისტი“, 1966 წ. 9. 1. №7; “Заря Востока“; 1966г. 9.1. №7.

ამოშრობა. აქ მთიდან დაბლობში შვიდი ხეობიდან ჩამოედინება წვიმის და თოვლის ნალექი, როლებსაც არ ჰქონდათ ზღვაში გასასვლელი, რის გამოც 70 ჰექტარი ტერიტორია ძლიერ იყო დაჭაობებული და მძვინვარებდა მალარია. „კოლხიდმშენმა“ დატბორილი წყალი ზღვაში გადააგდო, რის შედეგადაც ბიჭვინთის მიკროკლიმატი საოცრად გაჯანსაღდა და იმდროინდელმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ კონცხზე კურორტის აშენებისა.

საკურორტო კომპლექსის მშენებლობა ბიჭვინთაში 1968 წელს დამთავრდა. კურორტის პროექტის ავტორები იყვნენ არქიტექტორები მ. პოსოხინი, ა. მდოიანცი, ვ. სვირსკი, ი. პოპოვი, ხოლო კონსტრუქტორები ს. შკოლნიკოვა და ვ. ნიკოლაევა.[4] ზღვაში სამკუთხედად შეჭრილი კონცხის ნაპირზე მარადმწვანე ფიჭნარის გარემოცვაში ცად აიზიდა 7 თხუთმეტსართულიანი შენობა პანსიონატებისა. კორპუსები აშენდა ზღვის სანაპიროსა და ბიჭვინთის ზოლის შუა. სპეციალისტები წინააღმდეგი იყვნენ მაღლივი შენობების უშუალოდ ზღვის სანაპიროზე აშენებისა, იმის გათვალისწინებით, რომ ძლიერი ღელვისას ზღვის ტალღებს შეეძლოთ კორპუსების საძირკვლების დაზიანება და მოითხოვდნენ მთავრობისაგან, რომ ისინი ფიჭვნარში ან მისი ზოლის უკან, ჩრდილოეთის მხარეს აშენებულიყო, თუმცა ნიკიტა ხრუშოვის დაჟინებით პანსიონატები ზღვისპირას აიგო, რამაც წლების განმავლობაში მრავალჯერ შეუქმნა საფრთხე კორპუსებს და რის გამოც უზარმაზარი თანხა იხარჯებოდა სანაპიროს გასამაგრებელ სამუშაოებზე.

პანისიონატების კორპუსების მშენებლობის პარალელურად აგებულ იქნა დამხმარე საყოფაცხოვრებო-კულტურული დანიშნულების ნაგებობანი, რომლებიც ქმნიან ერთ მთლიან ანსამბლს. სავაჭრო ცენტრიდან მოყოლებული, საზღვაო სადგური, საცხოვრებელი კორპუსები, სასადილო ბლოკები და სხვა ნაგებობები ემორჩილებიან საკურორტო ორგანიზაციის მარტივ სქემას და საცხოვრებელი კორპუსების კოშკური მოცულობანი საერთო კომპლექსიდან ისეა გამოყოფილი, რომ ფუნქციური თუ მხატვრული თვალსაზრისით არ კარგავენ კავშირს მეზობელ ნაგებობასთან. პირიქთ, დაგეგმარების პრინციპული ჩანაფიქრი ერთიანი ანსამბლის შექმნისკენაა მიმართული.

კურორტის ტერიტორია სამ ზონად არის დაყოფილი: საკურორტო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და მომსახურე პერსონალის დასახლება. საკურორტო ზონა, როგორც ზემოთ ითქვა, მოქცეულია ზღვის ნაპირსა და ფიჭვნარს შორის (ფიჭვნარი გადაჭიმულია სამ კილომეტრზე დასავლეთიდან აღმოსავლეთით და მასში 70 ათასი უიშვიათესი სახეობის რელიქიტური ბიჭვინთის ფიჭვია). სასტუმრო-პანსიონატების შვილი კორპუსის გარდა საკურორტო ზონაშია ე.წ. აუდიტურული სივრცე, რომელშიაც განთავსებულია: სასადილო, მაყურებელთა დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბილიარო და სხვა. კორპუსებს შორის არის შესანიშნავი საზაფხულო კინოთეატრი,საზღვაო სადგური. ფიჭვნარის ზოლსა და ზღვის სანაპიროს შორის გადაჭიმულია უნივერსალურად მოწყობილი პლაჟი თავისი შეზლონგებითა და ქოლგებით.

კურორტს ჩრდილო-აღმოსავლეთით განთავსებულია საადმინისტრაციო-სამეურნეო ზონა, რომელშიაც შედის ფაბრიკა-სამზარეულო სასადილოთი, სამრეცხაო, საბოილერო, საწყობები, სახელოსნოები და სხვა.

კურორტის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულია ადმინისტრაციულ-სავაჭრო ცენტრი, ფოსტა - ტელეგრაფი, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებანი, საექსკურსიო ბიურო და ა. შ.

მომსახურე პერსონალის ძირითადი ნაწილისათვის სამოციან წლებში აშენდა, ფიჭვნარის ჩრდილოეთით, 4 - სართულიანი პანელიანი საცხოვრებელი სახლები, რომელთა შორიახლოს აგებულია საბავშვო ბაღი, ორი საშუალო სკოლა და სხვა.

აღნიშნულ ზონათა შორის კავშირი მოხერხებულად მყარდება. მთელ კონცხზე დაგებულია ფართო ტროტუარები ფეხით მოსიარულეთათვის, ხოლო მათი უსაფრთხოებისათვის სატრნსპორტო გზა სპეციალურადაა გაყვანილი დასახლების ჩრდილოეთით იმისათვის, რომ მთელ კურორტზე შენარჩუნებულ იქნას ჰაერის სისუფთავე, რომელიც იქმნება ფიჭვნარის მიერ გამოყოფილი ფიტონციდებით, ზღვის იონიზირებული ატმოსფეროთი და მთის ნიავით. მთელი ეს კომპლექსი გასათბობად და სხვა ღონისძიებებისათვის მხოლოდ ელექტროენერგიას იყენებს რათა ჰაერი არ დაბინძურდეს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არქიტექტორებმა სასტუმრო-პანსიონატების კოშკური კომპოზიციით ტერიტორიის ეკონომიური გამოყენებას მიაღწიეს, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, დიდი დანაშაული იყო კორპუსების აშენება ზღვის სანაპიროსა და ფიჭვნარს შორის. ამ შეცდომის გამო, რაც ნიკიტა ხრუშჩოვს მიეწერება, ზღვამ დროთა განმავლობაში ჩარეცხა საუკეთესო პლიაჟის 60-70% და თუ თავდაპირველად კრპუსებსა და ზღვის სანაპიროს შორის მანძილი ზოგან 50 მეტრზე მეტი იყო, ამჟამად 10-15 მატრიღა დარჩა და, ალბათ, მალე ზღვის ტალღები კორპუსების კედლამდე მიაღწევს.

არქიტექტორების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კორპუსები ერთმანეთისაგან სხვადასხვა მანძილითაა დაშორებული, რომელთა შორისაც ჩადგმულია სხვადასხვა ნაგებობანი, რაც თავისებურ მრავალფეროვნებას ქმნის.

მთელი საკურორტო ზონა წარმოდგენილია, როგორც ერთიანი სივრცობრივი ორგანიზმი, ამას დიდად უწყობს ხელს მცირე არქიტექტურული ფორმები და არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის სინთეზი.

ბიჭვინთის დაგეგმარების სტრუქტურამ დიდ, თა-

4 П. Ивацевич. Курортный комплекс «Пицунда». ნ.ჟანბერიძე, ბიჭვინთის მოზაიკა.

Архитектура СССР. 1969 г. №11, стр. 11; „ლიტერატურული საქართველო“ 1968, 9, 8. # 31.

ვისუფალ სივრცესა და მწვანე გარემოში ერთიანი სანაპირო ზოლის გასწვრივ განაშენიანებამ ახალი სივცობრივი შეფარდებანი, ახალი კომპოზიციური ხერხები წამოაყენა. პლასტიკური საშუალებანი თუ ქანდაკებები, ძველი სტელების პირები, თუ მოზაიკითა და სხვადასხვა რელიეფებით შემკული დეკორატიული კედლები, გამაერთიანებელ საშუალებას წარმოადგენენ. აქ ქანდაკება გარეთაა გამოტანილი, შენობა ინტერიერის მორთულობისათვის გამოყენებულია ჭედური რელიეფი, ხალხმრავალ სადგომებში კი - კედლის მხატვრობა.

მოხდენილადაა წარმოდგენილი ჭედურობაც. განსაკუთრებით გამოირჩევა საზღვაო ვაგზლის კედელი, ავტორები: ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი და ი. ჩიკვაიძე, რომლის სიბრტყე ექსტერიერიდან შენობის დარბაზში შედის. ჭედური რელიეფებიც,რომლებიც მას მოყვება, შესაბამისად იცვლის მასშტაბსაც და დამუშავების სიღრმესაც. გარეთა კედელზე საზღვაო ემბლემატიკა მკაცრი მოხაზულობისაა, მაშინ, როცა შიდა კედელზე შავი ზღვის სანაპიროს რუკა ინტერიერისათვის შესაფერი ზომისაა.

კინოთეატრის კედელზეა ვიტრაჟი, რომლის განცალკევებული ელემენტები ზღვის მცენარეულთა თუ ცხოველთა გამოსახულებას წააგავს, რომელიც განსაკუთრებულ ეფექტს აღწევს ხელოვნური განათების დროს. ვიტრაჟი შესრულებულია მხატვრის ვ. ქოქიაშვილის მიერ. კინოთეატრის გვერდის კედლები თითქოს ერთი ხელის მოსმითაა ამოკაწრული მხატვრის - ელგუჯა ბერძენიშვილის მიერ.

არქიტექტურისა, თუ სახვითი ხელოვნების ჰარმონიული შერწყმის მრავალფეროვნებაში განსაკუთრებით გამოირჩევა მოზაიკა, რომელიც გამოყენებულია როგორც ინტერიერში, კედლის სიბრტყეზე,ისე სანაპიროზე, ცალკე კედლების სახით. მოზაიკის მოტივები აღებულია, ძირითადად ბიჭვინთის ცნობილი მოზაიკიდან, რომელიც ქართველმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ბიჭვინთის (ძველი პიტიუსის) ნაქალაქარის გათხრებისას. საკურორტო ზონაში მოზაიკა შესრულებულია მსოფლიოში ცნობილი მხატვრის ზურაბ წერეთლის მიერ.

კორპუს „ოქროს ვერძთან“ განლაგებულ მოზაიკურ კედლებზე აშკარად გამოირჩევა სიუჟეტური ქარგა „მზე და მთვარე“ რაც თვით კედლის თავისუფალი მოხაზულობითაა ნაკარნახევი და მზეც და მთვარეც აყოლილია მის კონფიგურაციას. სხვადასხვა ფერადოვანი ნაჭრებისაგან შედგენილი ფონი გაერთიანებულია ზედ მიმოფანტულ ვარსკვლავთა ერთიან ნახატითა და ფერით, ხოლო მეორე, მის პერპენდიკულარულად მდგარ სწორკუთხა კედელზე ნახატი სიმეტრიულ კომპოზიციას ექვემდებარება. სიმეტრიულად განლაგებული თევზები გაფანტულია სხვადასხვა ფერის სეგმენტებით შედგენილ ზღვაში, რომელიც, მიუხედავად ფერთა სიმრავლისა, საერთო კოლორიტს არ არღვევს.

აღსანიშნავია, რომ კედლის იმ მხარეს, რომლის ფონად ზღვაა, მხატვარი უფრო ნაზ ტონებს იყენებს („მზე და მთვარე“), მაშინ, როცა მეორე მხარეს, რომელსაც ფონად მწვანე ნაძვნარი აქვს - მჭახე ტონებია ნახმარი, აქ გამოსახულია დიდი ზომის რვაფეხა.

„მტრედისა“ ან „სიცოცხლის ხის“ კომპოზიციებში მთელი კედელი წარმოადგენს ხაზის განუწყვეტელი მოძრაობით შექმნილ ფონს, რომლის შუაში ერთ შემთხვევაში ხეა გამოსახული, მეორეში - მტრედი.

ცალკეა აღსანიშნავი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მიერ ბიჭვინთის კონცხის სამკუთხედის წვერზე, რომელზიც ზღვაში იჭრება, გრანდიოზული ბრინჯაოს ქანდაკების „მედეა“-ს დადგმა. ქანდაკება თავის თავში მნიშვნელოვანი შინაარსის მატარებელია. ჯერ ერთი, ამ ქანდაკებით ხაზგასმულია ის ისტორიული ფაქტი, რომ „არგონავტები“ ფაზისში შესაძლოა ამ ადგილას გადმოვიდნენ თავისი ხომალდიდან, ხოლო მეორე დანიშნულება ქანდაკებისა იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ბრძენმა ტრაგიკოსმა ევრიპიდემ დაწერა „მედეა“, ბერძენ დიდებულებს არ მოეწონათ უცხოტომელი ქალის ქება-დიდიება და ავტორს 70 ტალანტი ოქრო მისცეს ქრთამად იმისათვის, რომ მედეას პიროვნება დაემცირებინა. ევრიპიდემ შეასრულა მათი თხოვნა და მედეას ცილი დასწამა იმაში, რომ თითქოს მან თავის შვილებს მერმერეოსს და ფერეტეოსს საკუთარი ხელით ყელი გამოსჭრა.

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი თავის მიერ შექმნილი ქანდაკებით „მედეა“ ილაშქრებს ევრიპიდეს ცილისწამების წინააღმდეგ და მედეა ისეა ზღვის სტიქიაში შეჭრილი, რომ ორივე ხელით ცდილობს მკვლელებისაგან დაიცვას თავისი ვაჟიშვილები.

ამრიგად, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ქართული არქიტექტურის პრაქტიკაში კურორტი ბიჭვინთა პირველი მაგალითია, როცა ხელოვნებათა სინთეზი ასე ფართო, ქალაქმშენებლობითი მასშტაბით განისაზღვრა, როცა მხატვრულ გადაწყვეტას დაემორჩილა არა მარტო ცალკეული შენობა, ან გარემომცველი სივრცის რაიმე მონაკვეთი, არამედ, საკურორტო ზონის მთელი ტერიტორია. ამიტომ მისი უდიდესი მნიშვნელობა, გარდა ფუნქციური დანიშნულებისა, ესთეტიკურ-მხატვრული ამოცანის კომპლექსური გადაწყვეტის თვალსაზრისითაც აღსანიშნავია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნოდარ ჯანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურა. გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1971.

2. Н. Джанберидзе, М. Карбелашвили, С. Кинцурашвили. Архитектура Тбилиси. Тб., 1967.

3. Н.Л. Асатиани. Грузинское советское градостроительство, Тбилиси, «Месниереба». 1989.

4. Н. Джаши. Архитектура социалистического Тбилиси, Тб., 1963.

5. П. Ивацевич. Курортный комплекс «Пицунда». Архитектура СССР, 1969.

6. «Пицунда». Автор-состовител В. Чиаурели. Издание грузинского телеграфного агенства. 1980.

განათლება, სოციოლოგია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული გეგმის შედგენის პრაქტიკა – დასავლეთის უნივერსიტეტების გამოცდილების მაგალითზე

(პირველი ნაწილი)

ოთარ ზუმბურიძე
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.
ბორის გითოლენდია
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ) სტრატეგიული გეგმის შედგენის პრაქტიკა და გამოცდილება დასავლეთის უნივერსიტეტების მაგალითზე; შესწავლილი და განხილულია ჰარვარდის, ვისკონსინ-მედისონის, სან-დიეგოს, ჯორჯთაუნისა და აშშ-ს სხვა ცნობილი უნივერსიტეტების სტრატეგიული გეგმის შედგენის პრაქტიკული მაგალითები და იმ პირთა რეკომენდაციები, რომლებიც უშუალოდ მუშაობდნენ სხვადასხვა უსდ-ების სტრატეგიული გეგმის პროექტებზე. ყურადღება გამახვილებულია აშშ-ს უნივერსიტეტებში სტრატეგიული გეგმის შედგენის არსებულ გამოცდილებაზე და წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმის შედგენის კომპონენტები, როგორიცაა: წარმატებული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ელემენტები, უსდ-ს სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა, სტრატეგიული დაგეგმვის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ლიდერის როლი სტრატეგიულ დაგეგმვაში, SWOT ანალიზი და სხვა აპრობირებული მართვის მოდელები; სტატიაში საუბარია ასევე სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის თვითშეფასების მექანიზმებზე, წარმოდგენილია უსდ-ს სტრატეგიული დაგეგმვის გრაფიკული მოდელი, რომელიც აგებულია ოთხი პირობითი ძირითადი სტრატეგიული მიზნის გათვალისწინებით.

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიის პროექტზე გაწეული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსდ), სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, მისია, მიზნები, SWOT ანალიზი.

PRACTICE OF DRAWING UP A STRATEGIC PLAN OF HIGHER EDUCATION INSTITUTION – USING THE EXAMPLE OF WESTERN UNIVERSITIES (First Part)

Otar Zumburidze
Doctor of Technical Sciences, Professor
Boris Gitolendia
Doctor of Business Administarcion,
Associated Professor

SUMMARY

The article discusses the practice and experience of creating a higher education institution (HEI) strategic plan using the example of Western universities. Practical examples of drawing up strategic plans for Harvard, Wisconsin-Madison, San Diego, Georgetown and other well-known US universities and the recommendations of those who worked directly on the projects of different HEI strategic plans. The focus is on the existing experience of drawing up strategic plans in US universities and the main issues related to the elements of the strategic plan, such as: Structure, directions and goals of the HEI Strategy Plan, evaluation elements, SWOT analysis structure, results of strategy implementation, operational plans, financial support sources, self-assessment mechanisms of strategic planning process etc.

The article concludes a graphic model of HEI Strategic Planning, which is drawn up to the four main strategic objectives and it can be used as a recommendation in the formulation of the HEI Strategic Plan. The article is prepared by the Georgian Technical University, working on a project of strategic plan methodology, taking into consideration practical activities.

Keywords: Higher Education Institutions (HEIs), Strategic Plan, Action Plan, Mission, Objectives, SWOT Analysis.

„სწორ გზაზეც რომ იდგეთ, გზას მაინც აცდებით, თუ უბრალოდ ზიხართ.“ - უილ როჯერი

შესავალი

რა არის სტრატეგიული დაგეგმვა? ჩვენს მიერ შესწავლილი მასალებიდან იკვეთება, რომ დასავლეთის უნივერსიტეტების გამოცდილებითა და საკითხზე მომუშავე ექსპერტების შეხედულებით, სტრატეგიული დაგეგმვა ნიშნავს უნივერსიტეტისთვის, ფაკულტეტის ან დეპარტამენტისთვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას. სტრატეგიული გეგმა, როგორც მართვის ერთ-ერთი აპრობირებული ინსტრუმენტი, ეხმარება ინსტიტუციებს მიზნების სწორად ჩამოყალიბებასა და ფორმულირებაში. სტრატეგიული დაგეგმვა არის სტრუქტურიზებული მიდგომა მომავლის პროგნოზირების და განვითარების ყველაზე პერსპექტიული შესაძლებლობების მიმართ. სტრატეგიული გეგმა უნდა ასახავდეს ფართო კურსს მთლიანად დაწესებულებაში მომდევნო ხუთი/შვიდი წლისთვის. ეს არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ ბიუჯეტის სახსრები შეესაბამებოდეს გეგმას და არა პირიქით. სტრატეგიული დაგეგმვა არ არის გამიზნული უბრალოდ ზრდისა და გაფართოებისთვის. სტრატეგიული გეგმა შეიძლება მიგვითითებდეს და ხშირადაც მიგვითითებს ხარჯების შემცირებისა და გადანაწილებისკენ. მიზნების განსაზღვრა (სტრატეგიული გეგმა) უსდ-ს ეხმარება, გადავიდეს მისიის საერთო ფორმირებიდან კონკრეტული გეგმის შემუშავებაზე, რომლის საშუალებითაც მიიღწევა მიზნები.[1]

დრო სწრაფად ცვალებადია, არც ერთი უნივერსიტეტი ან ფაკულტეტი ან დეპარტამენტი არ შეიძლება სტატიკური იყოს დიდი ხნის მანძილზე. ინსტიტუტი ვერ გადარჩება დიდი ხანი ცვლილებებზე რეაგირების გარეშე. სტრატეგიულმა დაგეგმვამ უნდა შეამციროს კრიზისის ალბათობა, ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების პროცედურებით.

ძირითადი ნაწილი

სტრატეგიული დაგეგმვის დადებითი და უარყოფითი მხარეები (დასავლური უნივერსიტეტების პროფესორების 30 წლიანი დაკვირვება)

დადებითი მხარეები:

• სტრატეგიული დაგეგმვის ძრითადი სარგებელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არის ის, რომ მას შეუძლია სტაბილურობა შეუნარჩუნოს ორგანიზაციას მოულოდნელი ან დაუგეგმავი ცვლილებების (როგორც შიდა ასევე გარე ფაქტორების ზემოქმედების) მიუხედავად. სტრატეგიული დაგეგმვას პირველ რიგში გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობა და უპირატესობა მოაქვს უსდ-სთვის. იგი ზრუნავს ტრადიციებზე, ხელფასებზე, პროგრამებზე და ა.შ. იგი უფრო მეტად ზრუნავს ინსტიტუციონალურ გადარჩენაზე;[2]

• პირველ რიგში, იგი ორგანიზაციას საშუალებას აძლევს იყოს პროაქტიული (სიცოცხლისუნარიანი) და თვითონვე განსაზღვროს თავისი ბედი;

• დაინტერესებული მხარეები, ისინი ვისზეც უნივერსიტეტი ახდენს გავლენას, ჩართულნი არიან დაგეგმვის პროცესში. ამრიგად, დაწესებულება ან ორგანიზაცია იღებს ღირებულ უკუკავშირს, როგორც წარმატებულ მიმართულებებზე, ისე იმ სფეროებში, სადაც საჭიროა შედეგების გაუმჯობესება;

• უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები მეტნაკლებად ჩართულნი არიან/უნდა იყვნენ პროცესში. ეს ჩართულობა მთელს პროცესში ხელს უწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ მათ ვისაც ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება განახორციელონ სტრატეგიული გეგმა მარტივად გაიგონ გეგმის აღსრულების შედეგები და მის უკან მდგარი მიზეზები;

• დაგეგმვის პროცესში თანამშრომლების ჩართვამ შეიძლება დიდი წვლილი შეიტანოს საერთო მიზნებში და ორგანიზაციული ერთიანობის არსში;

• ამის მსგავსად, დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა დაგეგმვის პროცესში ქმნის ორგანიზაციის გარე დაცულობის შესაძლებლობას. მაგალითად თანამშრომლებს თუ ფუნქცია კარგად აქვთ განსაზღვრული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, ისინი უფრო მეტად უჭერენ მხარს საგანმანათლებლო ინიციატივებს, როგორიცაა ახალი პროგრამების დანერგვა, კურიკულუმის ცვილება, რეფორმები და ა.შ.;

• გარე დაინტერესებული მხარეები ტრადიციულად ჩართული არიან საგანმანათლებლო დაწესებულების რეკომენდაციების შემუშავებაში. ჩართულობას სტრატეგიულ დაგეგმვაში უფრო სუბსტანცი-

1 მაკკონიმ (1981) განაცხადა, რომ სტრატეგიის არსი დიფერენციაციაა, რა განასხვავებს ამ უნივერსიტეტს ან ფაკულტეტს ან დეპარტამენტს სხვებისგან? საგანმანათლებლო დაწესებულებების, სხვა მომსახურე ორგანიზაციების მსგავსად, განსხვავება შესაძლებელია პროგრამების, მიწოდების სისტემების, სტუდენტის, დამატებითი სერვისების, ადგილმდებარეობის და სხვა მაჩვენებლების საფუძველზე. ამის მსგავსად, დეპარტამენტი ან ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ჩართულია სტრატეგიულ დაგეგმვაში, მოახდენს მისი უნიკალური ნიშის იდენტიფიცირებას უფრო ფართო საუნივერსიტეტო საზოგადოებაში და თავის რესურსებს შეკრებს შეზღუდული რაოდენობის სტრატეგიულ ძალისხმევაში, იმ მოქმედებების გამოტოვებით, რომლებიც შეიძლებოდა შესრულებულიყო, შესაძლებელია შესრულდეს ან უკვე სრულდება სხვების მიერ.

2 სიმონსიმ და პოლმა (1994) აღმოაჩინეს, რომ სტრატეგიული დაგეგმვა ქმნის გადაწყვეტილების მიმღებ ფართო ჯგუფს მენეჯმენტის საშუალო და ოპერაციული დონეების აქტიურად ჩართვით. გადაწყვეტილების მიღების დაქვეითებით, სტრატეგიული დაგეგმვის სისტემას შეუძლია ხელი შეუწყოს ორგანიზაციას შეინარჩუნოს ძირეული მიზანი გარე და შიდა ფაქტორებით გამოწვეული გაუთვალისწინებელი ცვლილებების დროსაც.

ური ფუნქცია აქვს ვიდრე რჩევების მიცემის.

უარყოფითი მხარეები: სტრატეგიულ დაგეგმვას ბევრი უარყოფითი მხარე არ აქვს, თუმცა აქვს გარკვეული დამახასიათებელი უარყოფითი ნიშნები.

• ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ სტრატეგიული დაგეგმვა უბრალოდ გრძელვადიანი დაგეგმვის აღმნიშვნელი „ხმამაღალი" სიტყვაა, რაც შეცდომაა. არსებობს ძირეული განსხვავებები სტრატეგიულ დაგეგმვასა და გრძელვადიანი დაგეგმვის ნაირსახეობებს შორის. პირველ რიგში, სტრატეგიული დაგეგმვა უფრო სენსიტიურია გარე სამყაროს მიმართ, ვიდრე გრძელვადიანი დაგეგმვა. ტრადიციულად, გრძელვადიანი დაგეგმვა უფრო შიდა ფაქტორებზე არის ორიენტირებული, გრძელვადიან დაგეგმვაში შედარებით ცოტა რაოდენობის ადამიანი მონაწილეობს და მიზნები და ამოცანები ფორმულირებულია უფრო დიდ ფაქტორებზე მინიმალური ყურადღებით (გარე გარემო ფაქტორები);

• ხშირად სტრატეგიული დაგეგმვის მცდელობა, როგორც წესი კლასიკური გაგებთ ვერ ხორციელდება იმიტომ, რომ ორგანიზაცია დასაწყისში სათანადოდ ვერ აფასებს პროცესს რამდენი დრო, ძალისხმევა და ფული სჭირდება. ორგანიაზციისთვის ან იქ მომუშავე ჯგუფისთვის რთულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა, როცა სტრატეგიაზე მომუშავე ადამიან(ებ)ს მოსამზადებელი სხდომების და შეხვედრ(ებ)ის შემდეგ ხშირ შემთხვევაში გეგმების შესაცვლელად ორ დღეზე ნაკლები დრო რჩებათ ხოლმე. მას შემდეგ, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება სტრატეგიული გეგმის შექმნის შესახებ, პროცესის დასაგეგმად გარკვეული დროა საჭირო. ამ დროს, როგორც წესი, ადამიანები ბევრს მუშაობენ და პროცესში ხშირი ცვლილებები უკარგავს მათ მოტივაციებს და მათი ძალისხმევა კარგავს ინერციას (პროცესი ფერხდება);

• სტრატეგიული დაგეგმვა შესაძლოა იყოს სარისკო ორგანიზაციის განვითარების ორიენტაციის განსაზღვრისას. ეს ნიშნავს, რომ მოქმედებს ქვეტექსტი „რაღაც უნდა გაკეთდეს" ან სულ მცირე „რაღაც უნდა შეიცვალოს". სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ მას ახასიათებს „ახლებური მიდგომა", რომელიც ეწინააღმდეგება არსებულ რეალობას. იდეალურ შემთხვევაში, „ახლებური მიდგომები", ასტიმულირებს ორგანიაზციის ხედვას;

• შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ფართო წარმომადგენლობითი ჯგუფი, რომელიც პროცესშია ჩართული, ხელს ვერ უწყობს ისეთი ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიღებისგან თავის არიდებას, რომელიც მომავალში შეცდომად იქნება აღქმული;

• ტრადიციული ორგანიზაციებისათვის (ამ შემთხვევაში იგულისხმება სახელმწიფო უნივერსიტეტები) ვისაც არა აქვს გამოცდილება საქმიანი პროცესების კლასიკური ბიზნეს მოდელებით მართვის, მძიმედ იღებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, რაც ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია დაუგეგმავი სირთულეების წარმოქმნის მიზეზიც გახდეს (სიახლის შიში).

წარმატებული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ელემენტები: ხუთი შემადგენელი ელემენტი არსებითია ეფექტური სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისთვის - 1. სწორად შერჩეული ადამიანები[3] 2. კარგი იდეა-მონაცემები[4] 3. მომზადება[5] 4. სტრუქ-

3 სწორად შერჩეული ადამიანები - სწორად შერჩეული ადამიანები ნიშნავს, რომ ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარე წარმოდგენილია ერთნაირი კრიტერიუმებით. როგორც წესი, ეს ხდება წარმომადგენლობის სისტემის მეშვეობით, სადაც თითოეული მონაწილე დაგეგმვის დროს წარმოადგენს კონკრეტულ დაინტერესებულ პირთა ჯგუფს - სტუდენტებს, ბიზნესს, ფაკულტეტს, აკადემიურ პერსონალს, აფილირებულ სააგენტოებს და მსგავსს. ყველა მონაწილის პასუხისმგებლობაა დაგეგმვის შედეგები უკუკავშირის მიღების მიზნით სწორი ფორმულირებით მოახსენოს იმ ჯგუფს, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. ეს უკუკავშირი, შემდეგ უკან უბრუნდება მომუშავე ჯგუფს და გამოიყენება გეგმების პროექტებში ცვლილებების შესატანად.

4 მონაცემები - სტრატეგიულ დაგეგმვასა და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას შორის ერთ-ერთი კავშირი არის მონაცემებზე დაყრდნობა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს. დაინტერესებული მხარის/მომხმარებლის მონაცემები და არსებულ სერვისებზე მათი შეფასება საჭიროა დაგეგმვის პროცესისთვის. უფრო ზუსტი მონაცემები, რომლებიც ხელმისაწვდომია არსებული სიტუაციის აღწერისთვის, უკეთესი გეგმის შექმნისთვის. სტრატეგიული დაგეგმვა საიმედო მონაცემების არარსებობის დროს შეიძლება სახიფათო იყოს. ამჟამად ადვილია ორგანიზაციების პოვნა, რომლებიც მომავალს გეგმავენ საქმიანობის რეალური მდგომარეობის შესახებ მწირი ან არასაიმედო ინფორმაციით. ზოგიერთი ორგანიზაცია ფიქრობს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დაწყებისას, მათ უნდა შექმნან დროებითი გეგმა, პარალელურად კი შეაგროვონ მნიშვნელოვანი მონაცემები, რომელზეც დააფუძნებენ მომდევნო სტრატეგიულ დაგეგმვას.

5 მომზადება * - ისინი, ვინც გეგმავენ თავიანთი დეპარტამენტის, ფაკულტეტის ან დაწესებულების მომავალს, ადეკვატურად უნდა იყვნენ მომზადებული ამ დავალებისთვის. არაგონივრულია დაგეგმვა ბევრი ალტერნატიული მიმართულების შესახებ გარკვეული შეხედულების გარეშე და იმის ცოდნის გარეშე, თუ რას მიიჩნევენ სხვები წარმატებად. საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ჩვეულია დაგეგმვის ღონისძიებამდე მოიწვიონ სპეციალისტები, რომლებიც მომავალი გეგმების შესახებ ესაუბრებიან გუნდს. ეს ადამიანებს ეხმარება იფიქრონ წარსულის საკითხებზე და მოგვიანებით ეხმარება მათ შექმნან ხედვა სასურველი მომავლის შესახებ. ცვლილების და პარადიგმის შეცვლის შესახებ არსებობს ბევრი ინფორმაცია. ამ ინფორმაციების შესწავლა ადამიანებს ეხმარება, მოემზადონ მცირე და დიდი ცვლილებებისთვის, რომლებიც გარდაუვალია სტრატეგიულ გეგმასთან ერთად ან მის გარეშე. გეგმის შემდგენი ზოგიერთი ჯგუფი პერიოდულად განიხილავს თითოეული წევრის ანგარიშის, რომელიც ასახავს ორგანიზაციის არჩევანს. ზოგიერთი ჯგუფი სხვა დაწესებულებას სტუმრობს იდეების მიღების მიზნით, რათა გაიგოს, როგორ მუშაობენ სხვაგან წარმატებით. თანამშრომელთა გადამზადება, რომელიც სიახლეა ჯგუფისთვის, ქმნის უმეტესად ინოვაციურ და დიდ გეგმებს.

ტურიზებული დაგეგმვის პროცესი[6] და 5. ადეკვატური დროის და ფინანსური რესურსები[7].

ლიდერის როლი სტრატეგიულ დაგეგმვაში: უმაღლესი სასწავლებლებისთვის საკმაოდ აქტუალური და პრობლემატური საკითხია, თუ ვინ უნდა შეიმუშაოს განვითარების სტრატეგია. საერთოდ დიდ ორგანიზაციებში, დაგეგმვა შედის მაღალი რანგის მენეჯერების პასუხისმგებლობის სფეროში, ხოლო საქმიანობის მიმართულებების გეგმის შედგენა დანაყოფების მენეჯერების საქმეა, მათ ასევე ამ პროცესში შეუძლიათ ჩართონ მათი ქვეშემრდომები. შესაბამისად ჩანს, რომ დაგეგმვის პროცესში ძირითადი პასუხისმგებლობა შეიძლება გარკვეულ დონის მენეჯერებს ეკისრება, თუმცა როგორც წესი ყველა მენეჯერის და მენეჯერის პოზიციისგან განსხვავებული მრავალი თანამდებობის პირი, პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობს დაგეგმვის პროცესში. საქართველოში ამ კუთხით შეიძლება ოდნავ სხვა გამოცდილება არსებობს წარსული პოლიტიკური ზეგავლენის ფაქტორების გათვალისწინებით, როცა გარკვეული სახელმწიფო სტრუქტურები განიხილებოდა კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლების სტრატეგიის განმსაზღვრელად, მაშინ, როდესაც თანამედროვე გაგებით სწორედ მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურები უნდა განვიხილოთ ერთ-ერთ გარე ფაქტორად.

გამომდინარე იქიდან, რომ დაგეგმვა მართვის ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული მეთოდია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტრატეგიული გეგმების შედგენაში, მაქსიმალურად ყველას სტრუქტურული ერთეული და ყველა დონის მენეჯერი უნდა იყოს ჩართული, მაგრამ მთავარი გადაწყვეტილებების მიმღებნი, რათქმაუნდა უნდა იყვნენ იყოს უმაღლესი დონის მენეჯერები. ისინი იღებენ ძირითად სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, აყალიბებენ ხედვას და აქედან გამომდინარე შეიმუშავებენ სტრატეგიის საბოლოო ვარიანტებს.

დასავლური პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზოგიერთი ლიდერი თავდაპირველად დისკომფორტს განიცდის დაგეგმვაში ყველა დონის კოლექტივის ჩართვის იდეის მიმართ. ზოგიერთი შეიძლება ყველა დონის კოლექტივის ჩართვას დაგეგმვაში ხედავდეს როგორც მათი პასუხისმგებლობის მოხსნას. თუმცა, ლიდერის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს შედგეს ჯანსაღი დაგეგმვის პროცესი და ბიუჯეტი შეესაბამებოდეს გეგმას. ამრიგად, ლიდერის როლია შექმნას სტრუქტურა დაგეგმვისთვის და მონაწილეობა მიიღოს პროცესში სრულად.

ჯანსაღი დაგეგმვის განხორციელებისას, ლიდერის პასუხისმგებლობა უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ როგორც რიგითი შემქმნელისას. ლიდერები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პროცესში უნდა მონაწილეობდნენ აქტიურად, არ უნდა წარმოადგენდნენ მენტორებს და მითითებების მიმცემებს თავიანთი ორგანიზაციების შიგნით მიმდინარე დაგეგმვის პროცესში. მათმა იდეებმა და/ან მენტორულმა სტილმა შესაძლოა შეაფერხოს ჯგუფის წევრების მონაწილეობა პროცესში. აქედან გამომდინარე სასურველია, რომ ლიდერმა პროცესში მონაწილეობა მიიღოს როგორც დამგეგმავი გუნდის რიგითმა წევრმა. კურატორის და მონაწილის ფუნქციები ზოგადად არ ეთავსება ერთმანეთს და კურატორობა თავად საჭირობს ადამიანის სრულ ყურადღებას.

ბიუჯეტის კავშირი სტრატეგიულ გეგმასთან: დაგეგმვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს რესურსების მაქსიმალურად ეფექტური განაწილება. ამისათვის, როგორც წესი, ბიუჯეტირება გამოიყენება.[8] იგი განსაზღვრულია ერთ წლიან პერიოდზე და დაკავშირებულია კომპანიის ფისკალურ წელთან. წლიური ბიუჯეტი იყოფა ყოველთვიურ და კვარტალურ ბიუჯეტებად. მოკლე პერიოდის გამოყენება საშუალებას აძლევს მენეჯერს უფრო ხშირად შეადაროს რეალური შედეგები დაგეგმილს. ამის შედეგად პრობლემებიც ადვილად შესამჩნევია და მალე ხდება მათი გადაჭრა.

როგორც წესი ბიუჯეტსა და სტრატეგიულ გეგმას შორის არის მჭიდრო კავშირი. ეს კავშირი ეხმარება მენეჯმენტს იმაში, რომ მთელი ყურადღება არ გადაიტანოს მოკლევადიან პერიოდზე. იგი აგრეთვე აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღებას, რომლის შედეგადაც მენეჯერები უფრო ფრთხილად და ყურადღებით მოქმედებენ რესურსების განაწილების დროს. ბიუჯეტით დაგეგმილი სტატიები აკონტროლებს კომპანიის რესურსების გამოყენებას და ახდენს თანამშრომლების მოტივირებას. კონტროლი

6 სტრუქტურიზებული დაგეგმვის პროცესი * - ჩვენი უმრავლესობა სულ მცირე ერთ შეხვედრაზე მაინც ყოფილა, სადაც ყველა საუბრობდა, თუმცა დასრულების შემდეგ არაფერი გაკეთებულა. ეს ზოგადი პრაქტიკა უჩვენებს სტრუქტურიზებული დაგეგმვის პროცესის საჭირობას. სტრუქტურირებული ნიშნავს დანერგილსა და თანმიმდევრულ აქტივობებს, როგორიცაა „ბრეინშტორმინგი“, პატარა ჯგუფებად მუშაობა, სიის შედგენა, მოკლე შინაარსის შედგენა, პრიორიტეტების განსაზღვრა და მსგავსი. სტრუქტურა საჭიროებს კურატორს, რომელიც პასუხისმგებელია პროცესის დაკვირვებაზე, მასში შინაარსის ჩადების გარეშე. სტრუქტურიზებული დაგეგმვის პროცესი ყველა დამსწრესთვის შესაძლებელს ხდის მონაწილეობა მიიღონ სრულყოფილად და ხელს არ უწყობს მაღალი სტატუსის, „ყბედი“ ჯგუფის წევრების დომინირებას. პრაქტიკამ აჩვენა რომ პირები, რომლებიც თავდაპირევლად ცივად უდგებოდნენ სტრუქტურიზებულ დაგეგმვის პროცესს, ხშირად გამოხატავდნენ კმაყოფილებას და ზოგჯერ აღტაცებულნი იყვნენ დაგეგმვის ღონისძიებით, როგორც ინტელექტუალური სტიმულაციის, ისე მატერიალური შედეგებით.

7 დროისა და ფინანსური რესურსები * - ჯანსაღი დაგეგმვის პროცესისათვის საჭიროა ხარჯები და დაგეგმვისთვის საჭირო ოპტიმალური დრო. პროცესისთვის გადამწყვეტია როგორც არაადეკვატური ცოტა, ისე ძალიან ბევრი დრო.

8 ბიუჯეტი — ეს არის რაოდენობრივ ფორმაში გამოხატული რესურსების განაწილების მეთოდი. ეს მეთოდი დაგეგმვის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი კომპონენტია. ძირითადად, ბიუჯეტი არის სრული ფინანსური გეგმა მთელი ორგანიზაციისთვის.

გულისხმობს არსებული შედეგების შედარებას ბიუჯეტით დაგეგმილ შედეგებთან. რეალურ და დაგეგმილ შედეგებს შორის დიდი განსხვავება ნიშნავს, რომ სისტემა არ ექვემდებარება კონტროლს. საჭიროა მიზეზის გარკვევა და სიტუაციის გამოსასწორებლად გარკვეული ქმედებების შემუშავება.

სტრატეგიულ გეგმას ხშირად შეზღუდული ღირებულება აქვს თუ იგი არ გამოიყენება ბიუჯეტის შედგენაში. როგორც წესი შეიძლება მოვიძიოთ დაწესებულებები, რომელთა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებს აქვთ ან არ აქვთ კავშირი ბიუჯეტის შედგენის პროცესებთან. ამის მიზეზი არის კომპლექსური და მოიცავს ფაქტორებს, როგორიცაა ფინანსური გადაწყვეტილების მიღების ტრადიციული მოდელი და ზუსტი ფინანსური მონაცემების ხელმისაწვდომობა ან პირიქით მიუწვდომელობა მთელს ორგანიზაციაში. ზოგიერთ შემთხვევაში, ორგანიზაციებს უბრალოდ არ აქვთ საშუალებები დაგეგმვა და ბიუჯეტის შედგენა კარგად დაუკავშირონ ერთმანეთს. ამის ერთერთ მიზეზად შეიძლება ასევე ჩაითვალოს, რომ გრძელვადიან პერსპექტივებში ორგანიზაციებს ხშირ შემთხვევაში უჭირთ ზუსტი ფინანსური გეგმების შედგენა.

უმაღლესი სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების (SWOT) ანალიზი: ასევე გასათვალისწინებელია, რომ სტრატეგიული გეგმის ჩვენს მიერ შესწავლილი მოდელები მოიცავს, მენეჯმენტის (მართვის) პროცესის თანამედროვე სტანდარტით ხელმძღვანელობას, რაც გულისხმობს, სხვა დამატებითი ბიზნესის მართვის მოდელების დანერგვას და ამოქმედებას, რომელიც კავშირშია ბიზნეს პროცესების დაგეგმვის ისეთ აპრობირებულ მეთოდთან როგორიცაა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გრძელი და მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმის შეფასებისათვის საქმიანობის „SWOT" ანალიზის (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) შედგენა[9]. „SWOT" ანალიზი წარმოადგენს დაგეგმვის განხორციელების პროცესს, რომლის დროსაც მენეჯერები საზღვრავენ ორგანიზაციის ძლიერ მხარეებს (Strengths – S), მის სუსტ მხარეებს (Weaknesses – W), გარემოში არსებულ შესაძლებლობებს (Opportunities – O) და მოსალოდნელ საშიშროებებს (Threats – T). „SWOT" ანალიზზე დაყრდნობით მენეჯერები ირჩევენ სტრატეგიებს ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე რათა ორგანიზაციას უკეთესი მდგომარეობა შეუქმნას თავისი მისიისა და მიზნების განსახორციელებლად. SWOT" ანალიზი სტრატეგიის ფორმულირების ერთ-ერთი ძირითადი ეტაპია და უსდ-ს სამოქმედო სტრატეგიის შემუშავების აუცილებელი ელემენტად მიგვაჩნია. უმჯობესია SWOT" ანალიზის შედგენის პროცესი ჩატარდეს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით სადაც მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება ყველას მოსაზრება და წინადადება. ბუნებრივია სრულყოფილი ანალიზის ჩასატარებლად მუშაობაში ჩართული უნდა იყვნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და გამოყენებული იქნას ბაზრის ანალიზის ტიპური მეთოდები;

ფუნქციური სტრატეგიები და ოპერატიული გეგმები: სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის ეფექტიანობა მთლიანად არის დამოკიდებული ოპერაციული სტრატეგიის სწორ შერჩევაზე. თუ ოპერაციულ ფუნქციას არ გააჩნია მკაფიო, მიღწევადი მიზნები, ის მოლოდინს ვერ გაამართლებს. სამწუხაროდ, ბევრი ორგანიზაცია სტრატეგიული გეგმაში დიდ ყურადღებას არ ამახვილებს ოპერაციულ ფუნქციაზე, რაც შეცდომაა. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ განვითარების სტრატეგიული გეგმა უნდა აერთიანებდეს ორგანიზაციული ერთეულების მრავალრიცხოვან გეგმებს (ფუნქციურ სტრატეგიებს და ოპერატიულ გეგმებს) სადაც დეტალიზებული იქნება საერთო სტრატეგიის მიღწევისათვის საჭირო ქმედებები. მათ შორის შეიძლება იყოს, ფინანსური, მარკეტინგული, საერთაშორისო ურთიერთობების (ინტერანციონალიზაციის პოლიტიკა), აკადემიური, ადამიანური რესურსების სტრატეგიები და სხვა. ამისათვის უნდა შეიქმნას ოპერატიული გეგმები, რომლებიც უნდა დამუშავდეს ადმინისტრაციის და ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონის წარმომადგენლების ჩართულობით.

ოპერატიული გეგმების შესრულების ეფექტურობის კონტროლის თვალსაზრისით შესაძლებელია გამოყენებული იქნას ე.წ. დემინგის ციკლი _ PDCA ფორმა რომელიც არის მართვის აპრობირებული მოდელის ერთ-ერთი მეთოდი რომელშიც საქმის კონტროლისა და განვითარებისთვის ოთხი საფეხური (დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე), გამოიყენება, ის ასევე ცნობილი დემინგის ციკლის/წრის სახელწოდებიტ[10]. მას ასევე კრიტიკული აზროვნების განვითარების სისტემას უწოდებენ;

ასევე შესაძლებლეია გამოყენებული იქნას მონიტორინგის სისტემის შიდა შეფასების მექანიზმები და მოხდეს მისი სრულყოფა, დაინერგოს თანამშრომელთა ყოველწლიური თვითშეფასებისა და მონიტორინგის ანგარიშის სისტემები და სხვა;

ჩვენ მიზნაშეწონილად მიგვაჩნია, რომ უსდ-ების სტრატეგიული გეგმის შედგენის პროცესის და მასში ჩართული ქვეგანყოფილებების და პირების საქმიანობის კონტროლის და ეფექტურობის შესაფასებლად ცალკე მექანიზმად დაინერგოს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის თვით-შეფასების სისტემა,

9 საჯარო და არა კომერციულმა ორგანიზაციებმა სტრატეგიის ფორმულირება 1980-იან წლებში უსარგებლოდ მიიჩნიეს, როდესაც წინ წამოიწია მარკეტინგის იდეამ საჯარო და არა კომერციულ ორგანიაზციებში. სტრატეგიული დაგეგმარების კარგად ცნობილი მოდელების უმეტესობა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში შეიქმნა (ბრისონი, 1988). ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძებლობების და საშიშროებების (შჭმთ) სისტემატიური ანალიზი. ჰარვარდის ეს მოდელი გამოიყენება ბევრ დასავლურ უნივერსიტეტში.

10 ედვარდ დემინგი მიიჩნევა ხარისხის კონტროლის მამად. PDCA დემინგის ციკლი კვლევით მეთოდზეა დაფუძნებული. დემინგის ციკლი საქმიანობების გაუმჯობესების მიზნით მუდმივი განმეორების სისტემაა.

რომლის დანერგვაც ამერიკული გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლებელია თუმცა როგორც ზემოთ ავღნშნეთ სხვა კატეგორიის ამოცანაა და აქ არ გვაქვს დეტალურად განხილული.

თუმცა ავღნიშნავთ, რომ სტატიაზე მუშაობის პროცესში ასევე გავეცანით ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორების, რობერტ ს. კაპლანისა და დავიდ პ. ნორტონის მიერ დამუშავებულ ორ ცნობილი ბესტსელერს „The Balanced Scorecard" („ბალანსირებული მაჩვენებლების სისტემა") და „Strategy Maps Converting Intangible Assets Into Tangible Outcomes" („არამატერიალური აქტივების მატერიალურ აქტივებად გარდაქმნის სტრატეგიული რუკა". სადაც ავტორების მიერ შემოთავაზებული ე.წ. „ბალანსირებული მაჩვენებლების გაზომვის სისტემა" („The Balanced Scorecard Measurement System") რომელიც აძლევს ორგანიზაციებს საშუალებას დათვალოს და გაზომოს კრიტიკული (უარყოფითი) არამატერიალური აქტივების ისეთების როგორიცაა, ადამიანები, ინფორმაცია და ორგანიზაციული კულტურა და ა. შ. რაოდენობა.

დღესდღეობით უამრავ ორგანიზაციას აღნიშნული სისტემა დანერგილი აქვს არა მხოლოდ კრიტიკული (უარყოფითი) არამატერიალური აქტივების საზომად არამედ მას იყენებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვან სისტემად. აღსანიშნავია, რომ კომპანიების უმეტესობა რომელიც ამ სისტემას იყენებს ბევრად წარმატებულები არიან ვიდრე სხვები. როგორ აკეთებენ ისინი ამას? კაპლანმა და ნორტონმა მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ შეიმუშავეს ინოვაციური მეთოდი რომელიც კომპანიებს აძლევს საშუალებას:

- განსაზღვრონ თავიანი სტრატეგიები და დააკავშირონ ისინი თავიანთ თანამშრომლებთან;
- იდენტიფიცირება მოახდინონ მნიშვნელოვანი შიდა პროცესების რათა მართონ სტრატეგია წარმატებით;
- განახორციელონ ინვესტირება ადამიანურ რესურსებში, ტექნოლოგიებში და ორგანიზაციული გავლენების მოპოვებისათვის საჭირო სხვა კაპიტალში;

აღნიშნული მეთოდის მთავარი თეზისი მდგომარეობს მიგნებაში რომლის შინაარსიც ჟღერს დაახლოებით ასე: „ვერ მართავ იმას რისი გაზომვა და აღწერა არ შეიძლება". ამ თეზისზე დაყრდნობით პირველ წიგნში „The Balanced Scorecard" („ბალანსირებული მაჩვენებლების სისტემა") მათ შეიმუშავეს ფორმულა:

პირველი ფორმულა:

შედეგების მიღწევა = სტრატეგიის აღწერას + სტრატეგიის გაზომვა + სტრატეგიის მართვა

ხოლო მეორე წიგნში „Strategy Maps Converting Intangible Assets Into Tangible Outcomes" შეიმუშავეს რუკა სტრატეგიულ დაგეგმარებაზე ფოკუსირებული ორგანიზაციებისათვის, რომელიც მდგომარეობს ხუთ ძირითად პრინციპში:

- გადაანაწილო სტრატეგია ოპერატიულ გეგმებში;
- მომართო ორგანიზაცია სტრატეგიულ გეგმაზე;
- სტრატეგია გახადო ყველას საქმე;
- მართო სტრატეგია როგორც განგრძობითი პროცესი;
- მოამზადო ცვლილებები აღსრულების პროცესში;

ამ პრინციპების საფუძველზე მათ შეადგინეს მეორე ფორმულა რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

მეორე ფორმულა:

შედეგების მიღწევა = სტრატეგის რუკასა + არამატერიალური აქტივების მატერიალურ აქტივებად გარდაქმნის სტრატეგიული რუკა+სტრატეგიაზე ფოკუსირებული ორგანიზაცია;

როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნული მეთოდების დანერგვა ძალზედ წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციებში. ჩვენი აზრით ვინაიდან გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს მეთოდი მეტნაკლებად ზუსტი პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა, შესაძლებელია დაინერგოს უსდ-ებში როგორც სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი კომპონენტი.

დასკვნითი ნაწილი: ჩვენს მიერ წარმოდგენილი უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მოდელის მიხედვით, შემუშავებულია ოთხი პირობითი ძირითადი სტრატეგიული მიზანი რომელიც ფორმულირებილია შემდეგნაირად:

1. **ხარისხის გაუმჯობესება ინოვაციურობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფით;**
2. **კავშირების გაფართოება — ინტერნაციონალიზაცია**;
3. **ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა - მათ შორის ფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვა;**
4. **უნივერსიტეტის მმართველობითი სისტემის (მენეჯმენტის) სრულყოფა — ოპტიმიზაცია.**

ფორმულირებული მიზნები ჩვენის აზრით უნდა მოიცავს შემდეგ პრიორიტეტებს: ა) აკადემიური მიმართულება; ბ) ადამიანური რესურსები; გ) პროცესები; დ) კომუნიკაცია; ე) ცოდნის მართვა; ვ) IT სტრატეგია; ზ) სტრატეგიული დაგეგმვა; თ) რესურსების მართვა; ი) ძირითადი ინდიკატორები (სამიზნეები, საზომები და შედეგები); კ) პარტნიორობა და ურთიერთობები; ლ) სამუშაო პირობები; მ) საზოგადოება.

• სტრატეგიული ხედვა ყველა თანამშრომლისთვის უნდა იყოს ცნობილი და ადვილად აღქმადი. მომზადების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს მაღალ დონეზე, რათა ამაღლდეს მოტივაცია და პერსონალი იქცეს ორგანიზაციის ნაწილად. სტრატეგიული გეგმა არ უნდა იყოს „რთული ენით" დაწერილი, არამედ მარტივად გასაგები დაინტერესებული პირებისათვის, რათა შეფასებისა და კონტროლის პროცესში არ შექმნას გაუგებრობები ინფორმაციის აღქმისა და გაცნობიერების თვალსაზრისით;

• სტრატეგიული მიზნები უნდა იყოს რეალური და განსაზღვრული კონკრეტული გაზომვადი მაჩვენებლებით (რიცხვები, ციფრები, სტატისტიკა, კონკრეტული ფაქტები და სხვა ადვილად აღქმადი ინდიკატორები). ასევე ეს არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს, იმას, რომ ბიუჯეტის სახსრები შეე-



საბამებოდეს გეგმას და არა პირიქით;

• უნდა გაიწეროს კონკრეტული ბიუჯეტი, შეიქმნას ერთი/სამ წლიანი ფუნქციური სტრატეგიები და ოპერატიული გეგმები და განისაზღვროს სხვა რესურსები სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისათვის;

• სტრატეგიის რეალიზაციის სავარაუდო შედეგების გაზომვისთვის შესაძლებელია დაინერგოს სტატიაში ნახსენები პროცესის თვით-შეფასების რომელიმე სისტემა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პერიოდულ შემოწმებებს (ყოველკვირეულ, ყოველთვიურ, ყოველწლიურ) სიტუაციური ანალიზს და დაგეგმვას პროცესის გაუმჯობესების სხვა მექანიზმებს;

სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის პროექტზე მუშაობის პერიოდში გავეცანით სხვადასხვა დასავლური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიულ გეგმებს და მათი შედგენის მეთოდებს. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტატიაში წარმოვადგენთ უსდ-ების სტრატეგიული დაგეგმვის ჩვენეულ მოდელს **(დანართი 1.1.)**, რომელიც შესაძლებელია დაინტერესების შემთხვევაში სარეკომენდაციო სახით გამოყენებული იქნას საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, მათი სტრატეგიული გეგმების მუშაობის პროცესში.

მოდელი მოიცავს შემდეგ კონპონენტებს: უსდ-ს მოკლე ისტორია; უსდ-ს მისია; უსდ-ს ღირებულებები; უსდ-ს სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები და მიზნები; უმაღლესი სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი (SWOT ანალიზი); უსდ-ს ხარჯები სტრატეგიული მიზნების მისაღწევად (სავარაუდო ბიუჯეტი); უსდ-ს სტრატეგიის რეალიზაციის სავარაუდო შედეგები; უსდ-ს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციური სტრატეგიები და ოპერატიული გეგმები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. John M. Bryson - Strategic planning for public and nonprofit organizations, San Francisco, CA: Jossey-Bass Publishers 1988;

2. R. Kaplan; D. Norton - „The Balanced Scorecard“ – 1996;

3. R. Kaplan; D. Norton -Strategy Maps Converting Intangible Assets Into Tangible Outcomes -2004;

4. G. Keller - Academic Strategy: The Management Revolution in American Higher Education - 1983;

5. H. Mintzberg - Rise and Fall of Strategic Planning - new york corporation macmillan - 1994;

6. Kathleen A. Paris, Ph.D. - A Collection of Planning Corner Articles - OFFICE OF QUALITY IMPROVEMENT - University of Wisconsin November/December, 1999;

7. Gareth R Jones, Jennifer M George - “Contemporary Management”- 2006;

ვებ.გვერდები: www.wisc.edu; www.hbs.edu; www.sdsu.edu

„ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის ტერორიზმის ანატომია

ოთარ კუპრაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

ანოტაცია

XXI საუკუნემ მსოფლიო საზოგადოება აიძულა ახლებურად დასმულიყო საკითხი, თუ რა შეიძლება და რა არა განვიხილებოდეს ტერორისტულ აქტად. თანამედროვე მსოფლიოში სიტყვა „ძალადობა" გულისხმობს არა მარტო ადამიანის ფიზიკურ იძულებას, არამედ ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც. შესაბამისად, პოლიტიკური მიზნით ჩადენილ ძალადობის ყველა აქტს, უფრო მეტიც, ყველა პოლიტიკურ მკვლელობას, ტერორისტულ აქტად ვერ განვიხილავთ. მაშინ ვინ არის ტერორისტული გზავნილის ადრესატი? ვისი დაშინება და დამორჩილება შედის ტერორისტების მიზნებში? მკვლევარების უმრავლესობა სოლიდარულია — ტერორისტების ადრესატია საზოგადოება, საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ზემოქმედებს ხელისუფლებაზე.

საკვანძო სიტყვები: ძალადობა; ტერორისტული აქტი; საზოგადოებრივი აზრი; ფსიქოლოგიური ზეწოლა.

SUMMARY

The 21st century forced to raise in a new way a question of what is possible and that cannot be considered as act of terrorism. In the modern world mean not only physical compulsion of the person, but also psychological pressure by the word "violence". Not any act of violence committed with political goals, and even not any political murder, thus, can be considered as the act of terrorism. Who, in that case, is an addressee of the terrorist message? Whom do terrorists want to intimidate and force to obey? In the answer to the matter most of researchers is solidary – an addressee of terrorists is the society, public opinion capable to make impact on the power. Therefore terrorism to appear when there was public opinion and means for broadcast of messages of terrorists – that is, media.

Keywords: Violence; Act of terrorism; Public opinion; Psychological pressure; Influence.

* * * *

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ საერთაშორისო უსაფრთხოების მთავარ პრობლემას XXI საუკუნის „შავი ჭირი“ - ტერორიზმი წარმოადგენს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემუშავებას აზრი ეკარგება, თუ არ გავეცნობით მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, ზოგადად არ გავიაზრებთ ტერორიზმის ცნებას.

სამეცნიერო საზოგადოებამ 1984 და 1988 წლებში ჩატარებული ანკეტური გამოკითხვების საფუძველზე სცადა „პოლიტიკური ტერორიზმის“ კვლევითი ცნობარისათვის ტერორიზმის ყველასთვის მისაღები ცნების შემუშავება. 1984 წლის გამოკითხვის შედეგად ტერორიზმი განსაზღვრა როგორც: „...ბრძოლის მეთოდი, რომლის შემთხვევითი ან სიმბოლური მსხვერპლი არის ძალადობის მიზნის მისაღწევი ინსტრუმენტი''. ბრძოლის ეს არაპირდაპირი მეთოდი იქითაა მიმართული, რომ ან ტერორის სამიზნე გააუვნებელყოს, გამოიწვიოს მისი დეზორიენტაცია ან დამთმობლობა, ან მიიქციოს მეორადი სამიზნის (მაგალითად, მთავრობის) ყურადღება, ანდა თავის სასარგებლოდ შეცვალოს სამიზნეები (მაგალითად, საზოგადოებრივი აზრი) [1,61]. ეს განსაზღვრება 1988 წლის გამოცემაში ცოტა უფრო მოკლედ იქნა ფორმულირებული: „ტერორიზმი - ეს არის განმეორებადი ძალადობრივი მოქმედებით შიშის დათესვის მეთოდი". შესაბამისად. ტერორიზმის პირდაპირი ძალადობრივი სამიზნეები მთავარ მსხვერპლად არ მოიაზრება - მათ გამოიყენებენ ინფორმაციის გადასაცემად. მუქარასა და ძალადობაზე აგებული კომუნიკაციური პროცესი ტერორისტსა (ორგანიზაციას) და მსხვეპლთა (საფრთხეში მყოფთა) შორის ემსახურება მთავარი სამიზნის (აუდიტორიით (ებით) მანიპულირებას, გადააქცევს მას მოთხოვნის თუ ყურადღების სამიზნედ და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის მთავარი ორიენტირი - დამცირება, იძულება, თუ პროპაგანდა [2,61].

ტერორიზმი - პირველ რიგში ძალადობის სპეციფიკური სახეობაა. ობიექტურობის მისაღწევად უმჯობესია ტერორიზმი განვსაზღვროთ როგორც არა მოვლენა, არამედ როგორც მიზანი. როგორც ჩვენ წარმოგვიდგება, სამუშაო განსაზღვრება მდგომარეობს არა მის იდეალურ და დამთავრებულ ფორმულირებაში, არამედ იმ შტრიხების მინიშნებაში, რაც მხოლოდ ტერორისტული აქტისთვისაა ნიშანდობლივი და საშუალებას გვაძლევს გავმიჯნოთ ის ძალადობრივი ქმედებების სხვა გამოვლინებებისგან. აუცილებელია პასუხის მიღება რამდენიმე საკვანძო კითხვაზე:

- რაში მდგომარეობს ტერორისტული აქტი?
- როგორია ტერორისტული აქტის მიზანი?
- ვინ არის ტერორისტული აქტის სუბიექტი?
- ვინ არის ტერორისტული აქტის ობიექტი?

ტერორისტული აქტი - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში „ტერაქტად" შეიძლება დასახელდეს ყველაფერი, - კონკურენტების მიერ ბიზნესმენის ავტომანქანის აფეთქებიდან დაწყებული, სატან-

კო კოლონაზე თავდასხმის ჩათვლით. XXI-ე საკუნის მოვლენებმა იძულებული გაგვხადა ახლებურად დაისვას კითხვა იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება და რა არ შეიძლება განიხილებოდეს ტერორისტულ აქტად. თანამედროვე მსოფლიოში, სიტყვა „ძალადობა“ გულისხმობს არა მხოლოდ ადამიანის მიმართ ფიზიკურ ძალდატანებას, არამედ ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც. კლასიკური ტერორისტული აქტის ერთ-ერთ ნიშანი მოსახლეობაზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობაა (მოტაცება, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, მუქარა). ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ტერორისტული აქტის მსხვერპლნი გახდნენ მის ხასიათს არ ცვლის. ტერორისტულ აქტებადაა ცნობილი როგორც ერთი კაცის, ასევე დიდი რაოდენობით დაზარალებულთა წინააღმდეგ მიმართული ქმედებები.

ტერორისტული აქტის მიზანი - ტერორისტული აქტის მიზანი არის მთავარი, რაც განასხვავებს ტერორისტულ აქტს ანგარებით ან აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მსგავსი მოქმედებებისაგან. როგორც წესი, ანგარებით ჩადენილი მოქმედებები მიეკუთვნებიან პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ სისხლის სამართლის დანაშაულებებს, მაშინაც კი თუ ისინი გარეგნული ნიშნებით ტერორიზმს (მოსახლეობის ან სახელმწიფო ორგანოების დაშინება) ემსგავსებიან [3,258]. თავისი შინაარსით, ტერორისტული აქტის მიზანი შეიძლება ნებისმიერი იყოს - პოლიტიკური ან რელიგიური, კონკრეტული (თანამოაზრეთა განთავისუფლება ციხიდან) ან აბსტრაქტული (შიშისა და პანიკის გამოწვევა), მაგრამ ეს მიზანი ყოველთვის წარმოადგენს ტერაქტის, როგორც მოვლენის საშუალებას. ანუ, ტერორისტების მიერ ადამიანის მოკვლა ან გატაცება არ არის მათი უშუალო მიზანი. ჩვეულებრივი დამნაშავეებისგან განსხვავებით, ტერორისტები დანაშაულის ადგილიდან მიმალვას, როგორც წესი, არ ცდილობენ - არ გაურბიან საჯაროობას. პირიქით, ისინი ესწრაფვიან საჯაროობას. თუ ტერორისტული აქტის ჩადენას ვერავინ გაიგებს, მაშინ მისი ჩადენაც აზრს კარგავს.

შეიძლება დავეთანხმოთ ა. შმიდის და ჯ. დე გრააფის აზრებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ,,ტერორისტი კლავს არა იმისთვის, რომ ვიღაცას წაართვას სიცოცხლე, არამედ იმისთვის, რომ გარკვეული ზემოქმედება მოახდონოს მათზე ვინც უშუალოდ არ წარმოადგენს მის სამიზნეს. ტერაქტის შედეგად მსხვერპლი გვევლინება საშუალებად და არა მიზნად” [4,59]. ჯერ კიდევ 1982 წელს, შმიდი და დე გრააფი მიანიშნებდნენ, რომ ტერორისტებისთვის „უშუალო მსხვერპლი გვევლინება სუფთა ინსტრუმენტად, დაირად, რომელსაც ურტყამენ, რათა მიაღწიონ წინასწარ ჩაფიქრებულ ზემოქმედებას უფრო ფართო აუდიტორიაზე. ამგვარად, ტერორიზმის აქტი რეალურად გვევლინება საკომუნიკაციო აქტად. ტერორისტისთვის მნიშვნელოვანია შეტყობინება და არა მსხვერპლი“ [5,14].

ასეთ შემთხვევაში ვინ გვევლინება ტერორისტული აქტების ადრესატად? ვისი შეშინება სურთ ტერორისტებს და ვის აიძულებენ, რომ დამორჩილდნენ? აღნიშნულ კითხვების პასუხზე მკვლევართა დიდი ნაწილი სოლიდარულია - ტერორისტების ადრესატად გვევლინება საზოგადობა, საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ხელისუფლებაზე. ამიტომ, ტერორიზმად ჩაითვლება ის ქმედებები, რომლის მიზანია საზოგადოებრივი აზრის შექმნა, ან ტერორისტების მიერ გამოიყენება შეტყობინების გადასაცემ საშუალებად, ანუ მასობრივი ინფორმაციის წყაროდ.

ტერორისტული აქტის სუბიექტი - თეორიულად, ნებისმიერი ძალადობის აქტი შეიძლება ჩადენილი იქნას სახელმწიფოს, არასახელმწიფო ორგანიზაციის (მოძრაობის, ჯგუფის) ან ცალკეული ინდივიდის მიერ. ტერორისტული აქტი ჰგავს სხვადასხვა სახის ძალადობრივ დანაშაულებებს. მაგალითად, ცალკეული ინდივიდის მიერ ჩადენილ მკვლელობას. რამდენადაც ასეთი მკვლელობები კაცობრიობას უხსოვარი დროიდან თან სდევს, ჩამოყალიბდა და ზოგიერთ სახელმძღვანელოში მოხვდა კიდეც წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ტერორიზმი „ ...ცნობილია ძველი საბერძნეთის და ძველი რომის დროიდან“ [6,32]. მიუხედავად ამისა, ვინაიდან ტერორისტების ადრესატად ითვლება საზოგადოებრივი აზრი, ტერორიზმი ვერანაირად ვერ წარმოიშვებოდა საბერძნეთსა და რომში - ის შეიძლება მე-VIII საუკუნის ბოლოს მოგვლინებოდა, მაშინ, როცა შეიქმნა თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატია და თანამედროვე მასმედია. მანამდე, პოლიტიკურ მკვლელობებს არავითარი სხვა მიზანი გარდა იმისა, რომ კონკრეტულ პირებს გასწორებოდნენ, არ შეეძლო ჰქონოდა.

პოლიტიკური მოღვაწეების მკვლელობების საკმაოდ დიდი ნაწილი საერთო ჯამში ჩადენილია ინდივიდების მიერ, პირადი მოტივების საფუძველზე, აფექტურ მდგომარეობაში. ცალკეულ შემთხვევებში დაფიქსირდა ინდივიდუალური ტერაქტებიც, მაგრამ ამ შემთხვევებში, საყოველთაო აზრით, უბრალოდ გაუხსნელი რჩებოდა დამნაშავის კავშირები რომელიმე ორგანიზაციასთან, რაც ტოვებდა „მარტოხელა ტერორისტის“ შთაბეჭდილებას (მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ა. ბრეივიკი).

ჩვენი აზრით, ტერმინი „მარტოხელა ტერორისტი“ ურთიერთგამომრიცხავ ტერმინებს შეიცავს. თუ ტერორისტი გამოდის სამართლებრივი ჩარჩოებიდან და ისახავს მიზანს, ესე იგი მას გარკვეული იდეოლოგია აქვს და ესე იგი ის ან რომელიმე ორგანიზებულ სოციალურ ჯგუფს, ან რომელიმე იდეოლოგიურ მიმდინარეობას თუ რელიგიას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია ასევე „სახელმწიფო ტერორიზმის“ აღიარება - არაღიარების საკითხი, რომელზე პასუხიც მნიშვნელოვნად აკონკრეტებს ტერორიზმის ცნებას.

ა. შმიდი და ჯ. დე გრააფი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ,,...ტერორიზმი წარმოიშვა როგორც სახელმწიფო ინსტრუმენტი”. დასაწყისში გაჩნდა ტერმი-

ნი „ტერორი“, შემდეგ „ტერორიზმი“ და 1970 - იანი წლების შემდგომ - „საერთაშორისო ტერორიზმი“ [7].

პირველი მაგალითი ტერორისა იყო იაკობინური ტერორი ფრანგული რევოლუციის დროს. იაკობინელების მიერ სიკვდილით მასიურად დასჯის ფაქტები რეალურად ტერორიზმი კი არა ტერორი იყო, მაგრამ, იაკობინურ ტერორსა და თანამედროვე პოლიტიკურ ტერორიზმს შორის, იყო საოცარი მსგავსებაც - სწრაფვა საჯაროობისკენ, სავსებით არადამახასიათებელი სახელმწიფო ორგანოების ქმედებისათვის. იაკობინური ტერორი მიმართული იყო მოსახლეობის აუცილებელ ინფორმირებაზე და იგი შეწყდა მაშინ, როცა რობესპიერს და სენ - ჟიუსტს აეკრძალათ კონვენტისთვის მიმართვა.

ფრანგული რევოლუციის ტერორი ანტიმონარქიულ და ანტირელიგიურ ხასიათს ატარებდა, ამიტომ ძველი წესრიგის ლიკვიდაციისკენ მიმართული XIX საუკუნის სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობები ხშირად ასოცირდებოდნენ იმ დროის მოვლენებთან. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტერმინ „ტერორიზმის“ ქვეშ უკვე გულისხმობენ პოლიტიკურად მოტივირებულ ძალადობის აქტებს, ჩადენილს არასახელმწიფოებრივი მოთამაშეების მიერ. XX საუკუნეში ტერორიზმი განვითარდა როგორც ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის იარაღი (პალესტინა, ირლანდია), ამიტომ, ბუნებრივია, ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს ატარებდა და მკაფიოდ განსხვავდებოდა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტერორისგან.

არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომელიც ტერორიზმის ტერორთან ფაქტიურ გაიგივებაში მდგომარეობს. კერძოდ, 1970-იანი წლების ცნობილი მკვლევარი პოლ უილკისონი "რეპრესიულ ტერორიზმს“ ახასიათებდა როგორც პოლიტიკური ტერორიზმის განსაკუთრებულ სახესხვაობას, გულისხმობდა რა დესპოტური სახელმწიფოს ქმედებას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ [8,32-44]. პეტერ სედერბერგი გამოყოფდა „დაწესებულების ტერორიზმს“ (მაგალითად, პროტესტანტი ტერორისტები ოლსტერში, ებრაელების გენოციდი ფაშისტურ გერმანიაში და ა.შ) და „დისიდენტურ ტერორიზმს'' [9,44-67]. ჩვენი აზრით, ამგვარი ტერმინოლოგიის შემოღებას ტერორიზმისა და ტერორის ცნებების აღრევისკენ და ტერორიზმის ფენომენის, თუნდაც მისი მიახლოებითი საზღვრების, განსაზღვრის შეუძლებლობისკენ მივყავართ.

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შესაძლო „ტერორი“, თავისი შინაარსით განსხვავებულია ტერმინისაგან „ტერორიზმი“. ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპაში წარმოიშვა თეორია „ტერორისტული სახელმწიფოების“ შესახებ. ამ ტერმინში იგულისხმებოდა სუსტი სახელმწიფოები, რომელთაც არ შესწევთ ძალა დასავლეთის ქვეყნებთან მაშტაბური ომის საწარმოებლად და ამის გამო მიმართავენ ტერორიზმს, როგორც ასიმეტრიულ იარაღს. მეორე მხრივ, მემარცხენე შეხედულების დასავლეთის მკვლევარები (მაგალითად, ხომსკი) ისწრაფვოდნენ სახელმწიფოებრივ ტერორიზმთან ბრძოლის ლოგიკა მიემართათ იმავე დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ. მათ განაცხადეს, რომ ტერორიზმი - ეს არის დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედება მესამე სამყაროს მათთვის არასასურველი რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლაში. მთავარ ტერორისტად კი გვევლინება ამერიკის შეერთებული შტატები. ჩვენი შეხედულებით, არც ერთი პოზიცია, მემარჯვენე ან მემარცხენე, არ წარმოადგენს მეცნიერულად ზუსტს, პოლიტიკურად ანგაჟირებულნი არიან და ხელს არ უწყობენ ტერორიზმის ბუნების გახსნას.

ტერორისტული აქტის ობიექტი. ტერორისტული აქტის ობიექტის კვლევა საშუალებას იძლევა განვასხვავოთ ტერორიზმი პოლიტიკური ძალადობის კიდევ ერთი ნაირსახეობისგან - პარტიზანული ომისგან (ამბოხებისგან, აჯანყებისგან).

ტერორიზმის უმეტესი განსაზღვრებები ხსნიან, რომ ტერორისტული აქტი მიმართულია არასამთავრობო სტრუქტურების წინააღმდეგ. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს და მარტივი ცნება დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, 2005 წელს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი გამოვიდა ახსნა-განმარტებით, რომ არასამთავრობო მებრძოლები არა მარტო სამოქალაქო პირები არიან, არამედ „სამხედრო პერსონალიც (როგორც შეიარაღებულნი, ისე არაშეიარაღებულნი, როგორც მორიგეობაზე, ისე არამორიგეობაზე მყოფნი), რომლებიც საბრძოლო მოქმედებებისა და კონფლიქტის ზონაში არ არიან განლაგებული". ამგვარად, შეიარაღებული სამხედრო მოსამსახურეები, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, განიხილებიან როგორც არასამთავრობო მებრძოლეები. უფრო რთული სიტუაციაა სახელმწიფო მოსამსახურეებთან და პოლიციელებთან, ასევე სხვადასხვა სამოქალაქო შეიარაღებული ფორმირებების (ნაციონალური გვარდიის ტიპის) წევრებთან მიმართებით. მათ უწოდებენ „სამოქალაქო პირებს“, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ალექს შმიდი, რომელიც მყარად დგას იმ აზრზე, რომ ტერორიზმის ცნებიდან პოლიტიკური მკვლელობა გამოირიცხოს, გამოყოფს განსაკუთრებულ შემთხვევებს ადამიანთა მკვლელობებისას, რომელთაც ის უწოდებს „უნიკალურ პიროვნებებს“ (ასე ვთქვათ ქარიზმატულ ლიდერებს). მაგალითად ჯონ კენედის ან მარტინ ლუთერ კინგს. მისი აზრით „ასეთ იზოლირებულ პოლიტიკურ მკვლელობებში მსხვერპლი და მიზანი თანხვდომაშია“ და ასეთ შემთხვევებს ტერაქტად არ თვლის. მეორეს მხრივ, ა. შმიდი (გაუგებარია მისი კონცეფციიდან გამომდინარე), აღიარებს რომ პოლიტიკური მკვლელობის ზოგიერთ მსხვერპლს, საზოგადოებისთვის სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და, ამიტომ ასეთი პიროვნებების მკვლელობებს მიზნად აქვს არა იმდენად მათი ფიზიკური ლიკვიდაცია, რამდენადაც საზოგადოების დაშინება, ანუ ის შეიძლება ჩაითვალოს ტერორიზმად [10,46].

ბოლო თეზისს ძნელია არ დაეთანხმო. „ინდი-

ვიდუალური ტერორის“ (როგორც XIX საუკუნეში უწოდებენ ტერორიზმს) მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი მკვლევარი ზეევ ივიანსკი წერდა, რომ სულაც არ არის აუცილებელი ტერორისტის მოტივაცია პირადული იყოს, ის ხშირად იდეოლოგიური და სტრატეგიულია. მისი აზრით, ტერაქტი პოლიტიკური შეხედულების შედეგად ჩადენილი ტრადიციული მკვლელობისაგან იმით განსხვავდება, რომ ის მიმართულია განსაზღვრული პირების წინააღმდეგ არა იმიტომ, რომ ისინი განიხილებიან როგორც დაბრკოლება ხელისუფლების ხელში ჩაგდების გზაზე ან როგორც ორგანიზაციის დაუძინებელი მტრები, არამედ, როგორც სჩანს, იმიტომ რომ ისინი უცხო სახელმწიფოების საზოგადოებრივი წესრიგის ხორცის შემსხმელები არიან. პიროვნებაზე ვნების მიყენება, თვლიდა ზ. ივიანსკი, მიმართულია რეჟიმის დასუსტებისკენ ან ნგრევისკენ, მაგრამ პარადოქსული სახით, რადგან „ინდივიდუალური ტერორის“ ერთ-ერთ მკაფიო თვისებად გვევლინება მისი არაპერსონალიზირებული ხასიათი.

ამავე დროს, არ იქნებოდა მართალი გვეთქვა, რომ ა. შმიდი ჯონ კენედის და მარტინ ლუთერ კინგს არ თვლიდეს სიმბოლურ ფიგურებად. ამ შემთხვევაში, სიმბოლურმა და ქარიზმატულმა ფიგურებმა ერთ ადამიანში მოიყარა თავი, ამიტომ, სრულიად შესაძლებელია მოცემულ მაგალითებს ტერორისტული აქტები ვუწოდოთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტერაქტი შეიძლება მიმართული იყოს სამთავრობო მებრძოლეებზეც, თუ ისინი გვევლინებიან სიმბოლურ და არა უშუალო სამიზნედ და, რომლებზეც თავდასხმა ხდება არა საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, არამედ საბრძოლო მოქმედებების ეპიზოდისას, თუ ეს განიხილება როგორც პარტიზანული ომის ნაწილი. ამგვარად, პარტიზანები (აჯანყებულები) ტერორისტებისგან განსხვავდებიან არა მოტივაციით, არამედ მიზნის ხასიათით.

დასკვნის სახით, შეიძლება დავასახელოთ ტერორისტული აქტების შემდეგი მახასიათებელი შტრიხები, რომლებიც საშუალებას გვაძლევეს გავმიჯნოთ ,,ტერაქტი” პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური ძალადობის სხვა სახეობებისგან:

- ტერორისტული აქტი მდგომარეობს პოლიტიკურ ძალადობაში, რომელსაც ზიანი მოაქვს ადამიანებისთვის (მოტაცება, მკვლელობა, დაჭრა, ფსიქოლოგიური ზემოქმედება ადამიანებზე);
- ტერორისტული აქტი, ტერორისგან განსხვავებით, სრულდება არასახელმწიფოებრივი მოთამაშეების მიერ;
- ტერორისტულ აქტის მთავარი მიზნია საზოგადოებაზე ზემოქმედება, რომელსაც თავის მხრივ უნარი შესწევს ზეგავლენა მოახდინოს ხელისუფლების ქმედებაზე;
- ტერორისტული აქტი სრულდება არა ამსრულებლის ექსცესის შემთხვევაში, არამედ იმ პირის (ან პირების) მიერ, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციას ან პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მიმდინარეობას;
- ტერორისტული აქტის ობიექტი დეპერსონიფიცირებულია და სიმბოლურად გვევლინება.

ჩვენი წარმოდგენით, პოლიტიკური ტერორიზმი თავის ქმედებას ტერორისტული აქტების განხორციელებაში ხედავს სწორედ პოლიტიკური მიზნების გამო, როგორც მუდმივად, ისე პერიოდულად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Schmid A. P. The Definition of Terrorism // The Routledge Handbook of Terrorism Research. Edited by Alex P. Schmid. N.Y.: Routledge, 2011. P. 61.
2. Schmid A. P. The Definition of Terrorism // The Routledge Handbook of Terrorism Research. Edited by Alex P. Schmid. N.Y.: Routledge, 2011. P. 61
3. Weimann G., Winn C. The Theater of Terror. Mass Media and International Terrorism. N.Y., L.: Longman, 1994. P. 258.
4. Schmid A.P., De Graaf J. Violence as Communication: Insurgent Terrorism and the Western News Media, Beverly Hills, Calif: Sage, 1982. P. 14 [69]Там же. P.59.
5. Schmid A.P., De Graaf J. Violence as Communication… P. 14
6. Лебедева М.М. Мировая политика. Учебник. М.: Аспект-пресс, 2007. С.
7. Death Squad. The Anthropology of State Terror. Sluka, J.A., ed. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2000.
8. Wilkinson P. Political Terrorism. L.: Macmillan, 1974. P. 32-44.
9. Sederberg P.C. Terrorist Myths. Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1989. P. 44-67.
10. Schmid A. P. The Definition of Terrorism… P. 46.

ბიზნესმენის პროფესიონალიზმი და მორალურ-ფსიქიკური თვისებები

როზა გაფრინდაშვილი
საინჟინრო ეკონომიკის, ბიზნეს ინჟინერინგისა და მედია ტექნოლოგიების ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

პროფესიონალიზმი - ამა თუ იმ საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციის ცოდნას და ამ ცოდნის მიხედვით მუშაობის უნარ-ჩვევას გულისხმობს, რასაც ადამიანი სწავლისა და პროფესიული პრაქტიკის პროცესში იძენს.

ინდუსტრიულ ქვეყნებში, პროფესიონალიზმის დაუფლებას, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა უზრუნველყოფს.

რაც შეეხება ბიზნესმენის მორალურ-ფსიქიკურ თვისებებს, ესაა მისი შინაგანი კულტურის მახასიათებლები - ტაქტიანობა, სამართლიანობა, მოთმინებისა და პატიების უნარი, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, სხვების ღირსების გაფრთხილება, ნოვაციებისადმი მზაობა, დაპირების შესრულება და კულტურულ ბიზნესში არსებული დევიზის ერთგულება **- „უპირველეს ყოვლისა მოგება, მაგრამ ღრსება - სარგებელზე უფრო მაღლა დგას!“.**

PROFESSIONALISM AND MORAL AND PSYCHOLOGICAL PROPERTIES OF BUSINESSMAN

Roza Gaprindashvili
Associate professor of the Department of Social Sciences of the Faculty of Engineering Economy, Business Engineering and Media Technologies

SUMMARY

Professionalism implies knowledge of information necessary for one or another activity and operating skills according to this knowledge that are acquired by the human in the process of training and professional practice.

In industrial countries the mastering in professionalism is secured by vocational and technical education.

As to moral and psychological properties of the businessman, among them are the features of his/her inherent culture – tacticity, sense of justice, skills of patience and forgiveness, responsibility, collaboration, cautious attitude to others dignity, readiness for novations, fulfillment of obligations and adherence to the motto of cultural business – "**Profit is the foremost, but dignity is ranked above the profit!**"

პროფესიონალიზმი - ამა თუ იმ საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციის ცოდნას და ამ ცოდნის მიხედვით მუშაობის უნარ-ჩვევას გულისხმობს, რასაც ადამიანი სწავლისა და პროფესიული პრაქტიკის პროცესში იძენს.

პროფესიონალიზმის დაუფლების პირველი საფეხური კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ინფორმაციის ძირფესვიანად შესწავლაა, რასაც ინდუსტრიულ ქვეყნებში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა უზრუნველყოფს. ესაა კულტურულად და ტექნიკურად განათლებული, კვალიფიციური კადრების ორგანიზებული მომზადება სხვა და სხვა მიმართულების პროფტექნიკურ სასწავლებლებში. ევროპის ქვეყნებში პროფესიული სწავლებები XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო აშშ-ში პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან შემოიღეს.

საქართველოში, პროფესიული სწავლება ჯერ კიდევ XII საუკუნეში დასტურდება;

- ანტონ ჭყონდიდელს, თამარ მეფისთვის გლეხების შეწირვა უთხოვია, რათა მათთვის, შემდგომ კი მათი შვილებისთვის „ქუქანკობა“ (წყალსადენის გაყვანა-შეკეთების ხელობა) ესწავლებინა. უფრო მოგვიანებით ამქრული ორგანიზაციები განვითარებულა (ვახტანგ მეოთხის კანონთა კრებულში საუბარი ყოფილა - ამქრის შეგირდად აყვანის პირობებზე); იმავე პერიოდში სტამბის მუშაკთა აღზრდაზეც ზრუნავდნენ; ერეკლე მეორის დროს სამთამადნო მრეწველობის მუშაკებს ამზადებდნენ; 1878 წელს თბილისის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი გახსნილა და აშ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, საქართველოში, ამ სახის სასწავლებლების რიცხვი წლითიწლობით იზრდებოდა: 1983 წლისთვის, 70-ზე მეტი ინდუსტრიულ-პედაგოგიური ინსტიტუტი არსებობდა; მათთვის, სპეციალურ დისციპლინათა მასწავლებლებს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 13 საინჟინრო ფაკულტეტი ამზადებდა; სანარმოს ოსტატები ხუთ წელიწადში ერთხელ, სწავლებას წარმოებაში გადიოდნენ; მუშაობდა საინჟინრო პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი და მისი ოცი ფილიალი; დიდი ყურადღება ექცეოდა სპორტს და თვითშემოქმედებასო - წერენ სპეციალისტები.

პროფესიული განათლების სისტემას დღესაც

დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, რამდენადაც, თანამედროვე წარმოებას პროფესიული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პროფესიონალი უფრო სჭირდება, ვიდრე უმაღლეს განათლება მიღებული, მაგრამ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს მოკლებული თანამშრომელი.

„პროფესიული ჩვევა" არის ვარჯიშის შედეგად ჩამოყალიბებული, გარკვეული მოქმედების წარმატებით განხორციელების სუბიექტური პირობა, რაც საჭირო მოქმედების საშუალებებისა და ხერხების სისწრაფესა და სიზუსტეში ვლინდება. „პროფესიული უნარი" - ინდივიდის ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ფსიქიკური თავისებურებების თანდაყოლილი წანამძღვრების ერთობლიობაა, რაც ვარჯიშის შედეგად ვითარდება და ჩვევაში გადადის და ავტომატურად, ცნობიერების გარეშე სრულდება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი შრომის (მუშაობის) პროცესში, ზოგჯერ ის, მაინც შეიძლება ხელისშემშლელ ფაქტორად მოგვევლინოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვისას, რაკი მისგან კონსერვატიზმის საფრთხეა მოსალოდნელი - ზოგ ადამიანს უჭირს ძველი ჩვევის დარღვევა და მისი ჩანაცვლება ახლით, რაც განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს; ამიტომ, თანამედროვე პროფესიონალს მოეთხოვება, რომ ფსიქიკურად მუდამ მზად იყოს ძველი ჩვევის ახლით ჩანაცვლებისთვის, რაკი თანამედროვე შრომის ერთერთი თავისებურება მუდმივი განახლება-გაუმჯობესებაა (ნოვაციები).

რაც შეეხება ბიზნესმენის საქმიანობას, მისი წარმატების „ფორმულა" მარტივია, ესაა **პროფესიონალიზმს დამატებული წესიერება!** ის ისეთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს ემყარება, როგორიცაა **ღირსება და თავისუფლება!** ეს ნიშნავს, რომ ადამიანი-პიროვნება არა მარტო საკუთარ ღირსება-თავისუფლებას უნდა უფრთხილდებოდეს, არამედ პატივს უნდა სცემდეს თავისი პარტნიორებისა და თვით კონკურენტების ღირსებებსა და თავისუფლებებსაც!

შემდეგია - **მოთმინებისა და პატიების უნარი,** როცა მოთმინება აგრესიის შეკავება კი არაა, არამედ, როცა ესაა პარტნიორის სულიერი და მატერიალური შესაძლებლობების გათვალისწინების შედეგი, როცა შემწყნარებლობა დიდსულოვნებაში გადაიზრდება, რაც მაღალ სათნოებად ითვლება. ეს ის სათნოებაა, რომელიც თავიდან გვაშორებს ყოველგვარ კონფლიქტებს, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა რგოლში. მაგრამ როცა აგრესია შეკავებულია (საკუთარ თავზე ძალადობაა), მაშინ ადამიანი დაპირისპირებული მხარისადმი მტრულად განწყობილი, შინაგანად გაღიზიანებულია, რაც მომავალში მშვიდობიანი ურთიერთობების გარანტია არაა და ჯანმრთელობისთვისაც ზანის მომტანია.

შემდეგია - პარტნიორთან ურთიერთობისას, ნებისმიერ სიტუაციაში **ტაქტიანობა!** ის შეიძლება იყოს ოჯახის წევრი, მეზობელი, ამხანაგი, ქვეშევრდომი, რიგითი მთხოვნენლი, ახლადგაცნობილი და ა.შ.

ადამიანთა შორის, განსაკუთრებით საქმიან ურთიერთობებში, ხშირად ჩნდება კონფლიქტის მიზეზი; მაგრამ თუ პარტნიორები ტაქტიანები არიან, შესაძლებელია მისი თავიდან აცილება.

ტაქტიანობა არის პარტნიორისადმი (დაპირისპირებული მხარისადმი) გამოვლენილი პატივისცემა; ესაა ზომიერების გრძნობა, რომელიც პიროვნებას უკარნახებს ყველაზე უფრო სწორ, თავაზიან მიდგომას ვინმეს ან რაიმეს მიმართ, რაც მაღალკულტურული ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. შეომითი ურთიერთობებისას ეს თვისებები იმდენად აუცილებელი ყოფილა, რომ „შრომის იარაღადაც" კი არის მიჩნეული.

განსხვავებული ტრადიციებისა და აღმსარებლობის ადამიანებთან ურთიერთობისას ტაქტის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რათა ერთი შეხედვით ჩვენთვის გაუგებარი და ზგჯერ მიუღებლი მათი ტრადიცია არ შევრაცხვყოთ.

ურთიერთობებში ტაქტიანობა ბვრადაა დამოკიდებული ზომიერების გრძნობაზე; უტაქტობად ითვლება არა მარტო უყურადღებობა, არამედ პარტნიორით ზედმეტი დაინტერესება ან მლიქვნელობა.

ურთიერთობების ეთიკა და ფსიქოლოგია ისეთ ზოგადსაკაცობრიო ცნებებზეა ორიენტირებული, როგორიც **სამართლიანობაა;** იგი ადამიანთა ინდივიდუალობის აღიარებას, პიროვნულ-საქმიანი უნარ-ჩვევების ობიექტურ შეფასებასა და პარტნიორთა ინტერესებზე ზრუნვას გულისხმობს. ამ სათნოებაზე ბევრადაა დამოკიდებული ადამიანთა წარმატებული მოღვაწეობა, განსაკუთრებით ბიზნეს-ურთიერთობებში.

- ცნობილი ფაქტია: ამერიკულმა „ჯენერალ მოტორსმა" 3.5 მილიონი დოლრი მარტო საფოსტო ხარჯებისათვის გაიღო, რათა თავისი 6.5 მილიონი კლიენტი დროულად გაეფრთხილებინა მათ მიერ შექმნილ ავტომანქანაში აღმოჩენილი ტექნიკური დეფექტის შესახებ. მართალია ამ ფირმამ მაშინ ეკონომიურად იზარალა, მაგრამ სამაგიეროდ საიმედო პარტნიორის სახელი შეიძინა, რის შედეგადაც მისი კლიენტურა მნიშვნელოვნად გაიზარდა და ეკონომიკური ზარალი ერთიორად აუნაზღაურდა.

ურთიერთობების ეთიკა და ფსიქოლოგია აუცილებლობით გულისხმობს

პასუხისმგებლობის გრძნობას, რაც მჭიდროდ უკავშირდება სამართლიანობის გრძნობას; ესაა მიცემული დაპირების ან ნაკისრი ვალდებულების აუცილებლად შესრულება. ის ერთნაირად აუცილებელია როგორც ოჯახურ, ისე მეგობრულ, განსაკუთრებით კი საქმიან ურთიერთობებში; ცნობილი გამოთქმაა - „სიტყვის კაცი", რაც პიროვნების ერთერთ ყველაზე გამორჩეულ თვისებადაა მიჩნეული, „უპირო კაცი" კი - სალანძღავ ეპითეტად ით-

ვლება და საქმიან ურთიერთობებში მათთან საქმის დაჭერა - არავის სურს.

საქმიან ურთიერთობებში დიდ როლს ასრულებს **პარტნიორის რეპუტაცია,** (ფრანგ.) რაც ვისიმე ღირსებათა და ნაკლოვანებათა შესახებ შექმნილ საერთო აზრს, შეხედულებას გამოხატავს და ის „შინაგანი კულტურის" შემადგენელი ნაწილია. კარგი რეპუტაციის შექმნა - ძნელია, მას წლები სჭირდება, მაგრამ დაკარგვა - ძალზე ადვილია უყურადღებობის, უტაქტობის, უპასუხისმგებლობის და ა. შ. გამოვლენით.

რეპუტაციის შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეტყველების კულტურას, ჩაცმულობას, მანერებს, ოფისის ინტერიერს და ა. შ., ანუ ყოველივე იმას, რასაც „გარეგან კულტურას" უწოდებენ. მაგრამ საქმიან ურთიერთობებში, პრიორიტეტი „შინაგან კულტურას" ეკუთვნის; რაც უნდა გემოვნებით ეცვას საქმიან ადამიანს, კარგად მეტყველებდეს, ან დახვეწილი მანერები ჰქონდეს, თუ „შინაგანი კულტურა" „ღალატობს", სულ მალე მას, „საქმიან ურთიერთობებში მარტო დარჩენა ემუქრება!" - წერენ სპეციალისტები.

კულტურულ ბიზნესში ასეთი დევიზი არსებობს - „უპირველეს ყოვლისა მოგება, მაგრამ ღრსება - სარგებელზე უფრო მაღლა დგას!"

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამოყენებითი ფსიქოლოგია (ავტორთა კოლექტივი), „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2012.
2. შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია, კეჩხუაშვილი გ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 1982.
3. წარმატებული ბიზნესმენის პიროვნული თვისებები, www.google.ge
4. პროფესიონალიზმი, www.google.ge.

პროფესიული ეთიკის კოდექსები და მათი გამოყენების მნიშვნელობა

შალვა ლაზარიაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების ყოველდღიური ფუნქციონირება დამოკიდებულია სხვადასხვა პროფესიის მატარებელ ადამიანთა მიერ ამ პროფესიით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების რეალიზების პროცესზე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს პროფესიული საქმიანობის შესრულების ხარისხობრივ მაჩვენებელსაც და იმ მორალურ-ეთიკურ ფარგლებს, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი პროფესიის მატარებელი ამა თუ იმ ინდივიდის საქმიანობა. რიგი პროფესიების, განსაკუთრებით კი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე გავლენის მქონე საქმიანობის მიმართ, არსებობს განსაკუთრებული ინტერესი და საზოგადოებრივი მოთხოვნა, რომ ამგვარი პროფესიების მატარებელ ინდივიდთა ქცევა იყოს გამოკვეთილად რეგლამენტირებული და არსებობდეს საზოგადოებრივი ქცევის განმსაზღვრელი ის გარკვეული ნორმები, რომელთა შესაბამისად უნდა მოქმედებდეს ამა თუ იმ პროფესიის მატარებელი. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პროფესიული ეთიკის კოდექსები, რომელთა მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს დააწესოს ცალკეულ პროფესიის მატარებელ ადამიანთა ჯგუფის საქმიანობის ის ეთიკური ფარგლები, რომელთა შესაბამისად, მაგრამ არა იმპერატიული ვალდებულებით, უნდა წარმართოს შესაბამის პროფესიონალთა საქმიანობა.

საკვანძო სიტყვები: ეთიკა, კოდექსი, პროფესიული ეთიკის კოდექსი.

PROFESSIONAL CODES OF ETHICS AND THEIR APPLICATION

Shalva Lazariashvili
PhD student of GTU

SUMMARY

Daily life of every civilized society depends upon the process of execution of specific rights and obligations being carried out by particular professionals. Quality of such performance is of decisive value, likewise the importance of their adherence to the ethical framework which determines the overall efficiency of performance of certain professionals. There is special interest and public demand that those professions that have a direct impact and effect on lives of individuals or over welfare of a broader society, need to be more delimited and put in some moral framework serving as a guidance for performance of such professionals. The professional ethic codes serve to the very purpose to determine the moral outlines, not an imperative obligation, according to which, all related professionals should perform.

key-words: ethics, Code, Professional Code of Ethics.

* * * *

ყველა ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უკავია სხვადასხვა საზოგადოებრივი სამსახურების სწორ და გამართულ ფუნქციონირებას, ისევე როგორც ამ სამსახურებში დასაქმებულ ადამიანთა პროფესიული საქმიანობის მართლზომიერების დონეს. თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს და საზოგადოების კულტურულ-ეთიკური განვითარების პირობებში არ არსებობს საპატივსაცემო ან პრივილეგირებული პროფესიები - საზოგადოებრივი კეთილდღეობისკენ მიმართული ყველა სამსახური წარმოადგენს თანაბარი ღირებულების და მნიშვნელობის შრომას, როგორც სოციალური, ისე სამართლებრივი სტატუსით. თუმცა ამასთანავე ცნობილია, რომ ყველა პროფესიის მიმართ არ მოქმედებს და არ არის სავალდებულო ისეთი მექანიზმის არსებობა როგორიცაა პროფესიული ეთიკის კოდექსები. პროფესიული ეთიკის სტანდარტების არსებობა უპირველეს ყოვლისა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გარკვეულ პროფესიებთან დაკავშირებით არსებობს შედარებით დიდი მოთხოვნები და ტრადიციულად, სავალდებულო ეთიკური სტანდარტების არსებობა დამახასიათებელია სწორედ იმგვარი კატეგორიის პროფესიებისათვის, რომლებსაც ყველაზე მეტი შეხება აქვთ და შეუძლიათ გავლენა იქონიონ ცალკეუული ინდივიდის ან ადამიანთა ჯგუფის ბედზე, ისევე როგორც ფართო საზოგადოების კეთილდღეობაზე. შესაბამისად, ისეთი საქმიანობა, როგორიცაა მედიცინა, განათლების, სამხედრო და სასამართლო სისტემა, პოლიცია, ჟურნალისტიკა და ა.შ, წამოადგენენ პროფესიული ეთიკის კოდექსების არსებობის ტრადიციულ სფეროებს.

პროფესიული ეთიკის კოდექსების არსებობას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი აწესებენ ეთიკის იმ ზოგად, საერთო სტანდარტებს, რომლთაც უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული პროფესიის მქონე ყველა ადამიანის ქცევა. „პროფესიული ეთიკის კოდექსები წარმოადგენს პრინციპებისა და წესების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული სოციალური ინსტიტუტის დამოკიდებულებას საზოგადოების მიმართ, ისევე როგორც ამავე ორგანიზაციის მუშაკთა დამოკიდე-

ბულებას თავად ინსტიტუტის და ერთმანეთის მიმართ"[1]. ისევე როგორც ყველა საზოგადოებრივ ინსტიტუტში, საჯარო უწყებებში დასაქმებული ინდივიდი ყოველდღიურ საქმიანობისას ხშირად დგება არასტანდარტული, არაორდინალური სიტუაციის წინაშე, როდესაც პროფესიის მქონე ადამიანს უხდება გააკეთოს არჩევანი სწორ ან არასწორ ქცევას შორის და სწორედ ეთიკის კოდექსები წარმოადგენს ინდივიდის შთაგონებისა და მორალური წახალისების იმ ეფექტურ საშუალებას, რომელიც პიროვნებას ეხმარება აწარმოოს თავისი საქმიანობა დარგში მოღვაწე სხვა ადამიანების ან ფართო საზოგადებრივი მოლოდინის შესაბამისად.

ეჭვგარეშეა, პროფესიული ეთიკის კოდექსი ვერ იქნება და არ შეიძლება ჩაითვალოს მკაცრად რეგლამენტირებული ქცევის წესების ერთობლიობად, მაგრამ იგი არის იგივე პროფესიის ადამიანთა დეკლარირებული განაცხადი და ქცევის წესების ის ორიენტირი, რომელიც გარშემოც უნდა აიგოს იგივე პროფესიის მქონე სხვა ინდივიდების გადაწყვეტილებათა მიღება და სავარაუდო ქმედება ანალოგიური სიტუაციის შექმნის შემთხვევაში. პროფესიული კოდექსის ამოცანაა პროფესიული ეთიკის ნორმებისადმი ერთგულებისა და მაღალზნეობრივი ღირებულებების განმტკიცება, სამსახურებრივი მოვალეობების მიმართ პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავება. ეთიკის კოდექსის არსებობა ეხმარება პროფესიის მქონე ინდივიდს განსაზღვროს სწორი და მორალურად მართებული ქმედება, ამ პროფესიის რეალიზების პროცესში წარმოქმნილ კონკრეტულ გარემოებების ან მორალურ დილემებთან დაკავშირებით. პროფესიული ეთიკის კოდექსების არსებობა არის იმის დემონსტრაცია, რომ პროფესიასთან დაკავშირებული ეთიკურ ფასეულობებს ენიჭება პრიორიტეტული მდგომარეობა პიროვნულ ინტერესებთან მიმართებაში.

ფართო გაგებით, ნებისმიერ ქვეყანაში საჯარო სამსახურის ეთიკის კოდექსის არსებობა წამოადგენს სახელმწიფო მხრიდან კულტურული, სოციალური და პროფესიული ფასეულობების დემონსტრირებას და აწესებს ქცევის მორალურ სტანდარტებს ინდივიდუალურ საჯარო მოხელის დონეზე. ეთიკის კოდექსის არსებობა ეხმარება თავად საჯარო ინსტიტუტის ფუნქციონირებას და საზოგადოების ნდობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებას, რამდენადაც სამსახურებრივი ეთიკის დარღვევის ცალკეული გამოვლინების შემთხვევაში, ორგანიზაციას გააჩნია რეაგირების ქმედითი ბერკეტი, რომელიც ემსახურება ერთი მხრივ კონკრეტული დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებებს, ისევე მსგავსი გადაცდომების სამომავლო პრევენციას. ეთიკის კოდექსი, განსაკუთრებით კი წერილობითი ფორმით არსებული დოკუმენტი, იმ გარემოების მიუხედავად, რომ ის არ წარმოადგენს არამართლზომიერი ქცევის პრევენციის აბსოლუტურ გარანტიას, იგი მაინც ახდენს გარკვეულ ზემოქმედებას მოხელეთა საქმიანობაზე, აწესებს რა საჯარო სექტორში საქმიანობასთან დაკავშირებულ მორალურ სტანდარტებს და ეთიკურ ჩარჩოებს.

მსოფლიო პრაქტიკაში საჯარო სამსახურის ეთიკის კოდექსები არ არის შეზღუდული ეთიკის სტანდარტების განსაზღვრის მასშტაბით - იგი შესაძლოა შეიცავდეს როგორც ეთიკური სტანდარტების მხოლოდ ზოგად დეკლარაციას, ისევე ითვალისწინებდეს მეტად დეტალიზებულ, ქცევის ინდივიდუალურ დონეზე სახელმძღვანელო ნორმებს. საჯარო სამსახურის ეთიკის კოდექსის „მასშტაბი", ისევე როგორც მისი პრაქტიკული რეალიზების დონე განისაზღვრება ინდივიდუალურად - კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკური ნების ან საზოგადოების დაინტერესების დონის შესაბამისად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ან რეგიონის მიხედვით ეთიკური სტანდარტების მიმართ ინდივიდუალური დამოკიდებულების გათვალისწინებით, საჯარო სამსახურის ერთიანი კოდექსის შემუშავების დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას საჯარო მართვის სისტემების ეთიკის საერთაშორისო სტანდარტები.

ამასთანავე, ეთიკის კოდექსის შინაარსთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი გამოყენების საკითხი საჯარო მოხელის ყოველდღიურ საქმიანობაში - საჯარო სამსახურის ეთიკის ერთიანი კოდექსი შეიძლება განიხილებოდეს როგორც უბრალო ადმინისტრაციული ფორმალობა, რომელიც შესრულება წარმოადგენს მხოლოდ ეფემერულ ადმინისტრაციულ ვალდებულებას, ან შესაძლოა იგი გახდეს პრაქტიკული, დინამიური და ეფექტური სახელმძღვანელო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. არსებობს მოსაზრება, რომ საჯარო ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს ეთიკის კოდექსი იმ გარემოების მიუხედავად - აქვს თუ არა ამ კონკრეტულ ინსტიტუტს ანალოგიური კოდექსის ქონის იურიდიული ვალდებულება (S. Gilman, J. Ladd). ეთიკის კოდექსის არსობობა თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც შიდა პროცედურების რეგულირებისთვის, ისე წარმოადგენს კორპორატიულ ფასეულობათა დეკლარირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას. საჯარო სამსახურის ეთიკის კოდექსი შესაძლოა გახდეს სწორედ ის ძირითადი ორიენტირი, რომლიც მიხედვით შესაძლებელი გახდება ინდივიდუალური ან ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტურობის შეფასება.

თანამედროვე ფილოსოფოს-თეორიტიკოსთა ნაწილი არც თუ ისე იშვიათად სვამს კითხვას, თუ რამდენად საჭიროა ეთიკის კოდექსების არსებობა საერთოდ და რა გავლენას ახდენს ამგვარი დოკუმენტის არსებობა საჯარო მოხელის ან საზოგადოებრივი პროფესიის მქონე ინდივიდის ქცევაზე პრაქტიკაში. აღსანიშნავია, რომ ეთიკის კოდექსის

1 A. Scott Carson, M. Baetz, S. McGill.,`Codes of Conduct in the Private Sector`, p.3, 2008.

ფენომენის მიმართ მეცნიერთა შორის არ არსებობს საერთო პოზიცია და გამოკვეთილად პოზიტიური ან ნეგატიური დამოკიდებულება.

მეცნიერთა ნაწილი (და ეს ნაწილი წარმოადგენს მნიშვნელოვან უმრავლეობას) (Michael Davis, Charles Harris. Jr., Michael S. Pritchard, Michael J. Rabins) თვლის, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსი არის პროფესიის მქონე ადამიანთა ქმედების მორალური მხარის მარეგულირებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი. პროფესიული ეთიკის კოდექსების არსებობას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი აწესებენ ეთიკის იმ ზოგად, საერთო სტანდარტებს, რომლთაც უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული პროფესიის მქონე ყველა ადამიანის ქცევა.

ინდივიდუალურ დონეზე მოქმედ მორალურ სახელმძღვანელოს ფუნქციასთან ერთად, პროფესიული ეთიკის კოდექსები განიხილება ინსტიტუციონალურ ჭრილში, როგორც კონკრეტული პროფესიის მქონე ადამიანთა კოლექტიური განაცხადი და იმის პირობა, თუ რა სტანდარტით უნდა ემსახურონ ისინი საზოგადოების კეთილდღეობას. სოციალური ეთიკის ამერიკელი ფილოსოფოსი მაიკლ დევისი (Michael Davis) წერს: „ეთიკის კოდექსი წარმოადგენს თითოეული პროფესიის მქონე ადამიანის ცალკეული ზეწოლებისგან დაცვის საშუალებას... კოდექსი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი კონვენცია პროფესიონალთა შორის და იგი არის კოორდინაციის პრობლემების გადაჭრის ამოსავალი წერტილი“[2].

პროფესიული ეთიკის კიდევ ერთმა თანამედროვე მკვლევარმა, აშშ-ს ნეშვილის უნივერსიტეტის პროფესორმა ჩარლს ჰარისმა (Charles Harris) შემოგვთავაზა პროფესიული ეთიკის კოდექსების მნიშვნელობის ერთგვარი შემაჯამებელი შეფასება რომელიც მოიცავს ექვს ძირითად მიმართულებას: „პირველი, ეს არის ერთი პროფესიის მქონე ადამიანების კოლექტიური პასუხიმგებლობის გამოხატულება. მეორე, კოდექსი ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ეთიკური ქცევა არის ნორმა. მესამე, ცალკეულ შემთხვევებში ეს იგი შეიძლება გახდეს შეხსენების საშუალება ან სახელმძღვანელო. მეოთხე, ეთიკის კოდექსის შემუშავება და მისი მოდიფიცირება შესაძლებელია აღმოჩნდეს მეტად სასარგებლო პროფესიისათვის. მეხუთე, კოდექსი შესაძლოა გახდეს საგანმანათლებლო მექანიზმი და იქცეს ამოსავალ წერტილად პროფესიულ შეხვედრებსა და დისკუსიებში. და ბოლოს, იგი შეიძლება გახდეს იმ გარემოების ხაზგასმის საშუალება სხვა ჯგუფებისთვის, რომ ეს კონკრეტული პროფესია არის ღირსეული და პროფესიული საქმიანობა“[3] .

2 D.Michael, "The Place of a Code of Ethics in the Practice of a Profession". Philosophy and Public Affairs 20.2. p 150-167.1991.

3 Harris, Charles E., Jr., Michael S. Pritchard and Michael J. Rabins. `Engineering Ethics: Concepts and Cases`, Belmont, Wadsworth Publishing, USA, 1995, p. 35

აღნიშნულ დამოკიდებულებას არ იზიარებს მეცნიერთა სხვა ჯგუფი (D. Rhode, D. Luhan, John Ladd, Heinz Luegenbiehl) რომელიც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ეთიკის კოდექსის არსებობას ადამიანის გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თვლის, რომ „ყველა კანონმორჩილმა ადამიანმა იცის თუ როგორც მოიქცეს ეთიკურად ყოველგვარი სახელმძღვანელოს გარეშე“[4]. ამერიკელი ფილოსოფოსის და ეთიკის მკვლევარის ჯონ ლედის (John Ladd, 1918-2011 წწ.) აზრით, გადაწყვეტილების მიღებისას და ამ გადაწყვეტილების მართლზომიერების ეთიკის კოდექსზე დაყრდნობით შეფასების დროს „ხდება ეთიკის აღრევა სამართალთან“[5]. მისი აზრით, მცდარია აგრეთვე ის დამოკიდებულება, რომ საზოგადოებრივი პროფესიის მქონე ადამიანთა ეთიკა რაიმეთი გამოირჩევა „მორალურ საზოგადოებაში მცხოვრები ჩვეულებრივი ინდივიდის ეთიკისაგან“ (იქვე, J.Ladd). პროფესიის მქონე ადამიანებს, მისი აზრით, „არ გააჩნიათ რაიმე განსაკუთრებული უფლებები ან მოვალეობები, იმ უფლებებისა ან მოვალეობებისგან განსხვავებით, რაც მათ აქვთ როგორც მორალურ არსებებს. შესაბამისად, ეთიკის კოდექსები არის უმიზნო და შესაძლებელია დესტრუქციულიც“[6] .

აღიარებს რა პროფესიული ეთიკის კოდექსების გარკვეულ სოციალურ მნიშვნელობას, ეთიკის კოდექსების არსებობას კრიტიკულად ეკიდება კიდევ ერთი თანამედროვე მეცნიერი - Heinz Luegenbiehl-ი. მისი შეფასებით, „საბოლოო ჯამში, ეთიკის კოდექსები ქმნიან უფრო მეტ პრობლემას, ვიდრე გვეხმარებიან მათ გადაჭრაში“[7]. მეცნიერის აზრით, პრაქტიკოსი პროფესიონალები ძალიან იშვიათ შემთხვევაში მიმართავენ ეთიკის კოდექსს გადაწყვეტილების მიღების დროს, რამდენადაც ამ კოდექსებში დაცული პრინციპები ხშირად შეუთავსებელია რეალობასთან. იგი ეთანხმება John Ladd-ის პოზიციასაც და აცხადებს, რომ „ეთიკის კოდექსის შესრულება შეიძლება კონფლიქტში მოვიდეს იმ მორალურ ავტონომისათან, რომელსაც ჩვენ ველოდებით ინდივიდებისაგან“[8].

ეთიკის კოდექსების არსებობის თაობაზე გან-

4 D. Rhode, D. Luhan, “The Quest for a Code of Professional Ethics: An Intellectual and Moral Confusion,” Legal Ethics, St. Paul Foundation Press, 1992, pp. 121-127).

5 Ladd, John. "The Quest for a Code of Professional Ethics: An Intellectual and Moral Confusion". Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall, 1991. გვ 130-136.

6 J.Ladd, “Why Ethics Codes?“, Center for the Study of Ethics in the Professions, Illinois Institute of Technology, http://ethics.iit.edu/ecodes/introduction, ბმული ნანახია 27.04.2018). (Luegenbiehl, Heinz C. "Codes of Ethics and the Moral Education of Engineers", Business and Professional Ethics Journal 2“, Philosophy Documentation Center, p. 41-61, 1983)

7 Luegenbiehl, Heinz C. "Codes of Ethics and the Moral Education of Engineers", Business and Professional Ethics Journal 2“, Philosophy Documentation Center, p. 41-61.

8 (იქვე, H. C. Luegenbiehl, 1983)

სხვავებული მეცნიერული პოზიციების არსებობის მიუხედავად, უდაოა, რომ საჯარო სამსახურის ეთიკის კოდექსი და არსებული სტანდარტები არ შეიძლება იყოს სტატიკურ მდგომარეობაში. ისინი უნდა იყოს პერმანენტული განახლების, გადახედვის და ინოვაციის დანერგვის პროცესში. აქვე უნდა აღინიშნოს პროფესიული ეთიკის კოდექსის არსებობის მნიშვნელობასთან და მოქმედების აუცილებლობასთან დაკავშირებული რამდენიმე ფუნდამეტური ასპექტი:

- პროფესიული ეთიკის კოდექსები განიხილება როგორც კონკრეტული პროფესიის მქონე ადამიანთა კოლექტიური განაცხადი და იმის დეკლარირება, თუ რა სტანდარტით უნდა ემსახურონ ისინი საზოგადოების კეთილდღეობას.
- პროფესიული ეთიკის კოდექსი არის ის ინდიკატორი, რომლიც მიხედვით საზოგადოებას გააჩნია საშუალება შეაფასოს თუ რამდენად შეესაბამება ცალკეულ მოხელეთა საქმიანობა, ისე მთელი პროფესიული სისტემის ფუნქციონირება საზოგადეობრივ დაკვთას და ინტერესებს.
- პროფესიული ეთიკის კოდექსი შესაძლებელია გახდეს ორგანიზაციული გავლენის ან ზემდგომი მოხელის მხრიდან ძალაუფლების უკანონო გამოყენების და ზეწოლის პრევენციის ერთ-ერთი საშუალება.
- ცნობილია, რომ ცალკეული პროფესიის მქონე ადამიანს გააჩნია გარკვეული ინფორმაციული და ხშირ შემთხვევაში ფუნქციონალური პრივილეგია იმ ადამიანებთან მიმართებაში, ვის მიმართაც ახორციელებს ინდივიდი თავის საქმიანობას. შესაბამისად, არსებობს იმის აუცილებლობა, რომ იგი თავად მოქმედებდეს პროფესიული პასუხილსმგებლობის მორალურ ფარგლებში, რომელიც ვალდებულს ხდის პროფესიის მქონე ინდივიდს იმოქმედოს მისი საქმიანობის ობიექტის ინტერესების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, სწორედ პროფესიული ეთიკის კოდექსი უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ აუცილებელი ქმედების მორალური ფარგლების დადგენას.
- ეთიკის კოდექსის არსებობა ეხმარება ყოველ ახალ პროფესიონალს მიიღოს ინფორმაცია მის საქმიანობასთან დაკავშირებული მორალური სტანდარტების და უკვე არსებული გამოცდილების შესახებ (რომლის ერთგვარ კომპილაციასაც თავად კოდექსი წარმოადგენს) და უადვილებს მას მიიღოს მართლზომიერი გადაწყვეტილება ეთიკური დილემის დადგომის შემთხვევაში.
- პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან, ეთიკის კოდექსი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ერთ-ერთი დამხმარე დოკუმენტი არასათანადო ქცევის ცალკეული შემთხვევაზე რეაგირების და სამომავლო პრევენციის მიზნით.

სტრუქტურულად, პროფესიული ეთიკის კოდექსები, როგორც წესი შედგება ორი ძირითადი კომპონენტით. პირველი, ეს არის ზოგადი ნაწილი, სადაც თავმოყრილია ეთიკური ქცევის საყოველთაოდ მიღებული პრინციპები, როგორიცაა პატივისა და პროფესიული ღირსების ცნება, პროფესიული სოლიდარობა და პასუხიმგებლობა და ა.შ. მეორე, კერძო ნაწილი მოიცავს იმ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ იმ მორალურ ფარგლებს, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ამ კონკრეტული პროფესიის ადამიანების საქმიანობის განხორციელებასთან.

საქართველოში მოქმედებს პროფესიული ეთიკის კოდექსების საკმაოდ ფართო სპექტრი. საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი პროფესიული ეთიკის ისეთი კოდექსების არსებობა, როგორიცაა ექიმის, ჟურნალისტის, პოლიციელის, მასწავლებლის და ა.შ. რა თქმა უნდა, ეთიკის კოდექსის ცნობადობის დონე დამოკიდებულია ისეთი პროფესიულ საქმიანობასთან, რომლებიც ყველაზე მასშტაბურად არან ჩართული მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების და ინტერესების რეალიზების პროცესში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო მდიდარია პროფესიული ეთიკის კოდექსებით და პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ პროფესიულ კოდექსებს, რომელთა არსებობა და ფუნქციონირება საზოგადოების მხოლოდ ვიწრო წრისთვის არის ცნობილი. ამგვარ კატეგორიად შეიძლება მივიჩნიოთ „სამუზეუმო ეთიკის კოდექსი“, „საბიბლიოთეკო პროფესიული ეთიკის კოდექსი“, „საქართველოს რეალტორთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი“, „საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციის ეთიკის კოდექსი“, „საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის ეთიკის კოდექსი“, „სამშენებლო კომპანიათა ეთიკის კოდექსი“, „კონსულტანტის საქმიანი ეთიკის კოდექსი“ და ა.შ.

პროფესიის მქონე ადამიანთა მიერ ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში უშუალო გამოყენებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა წარმოადგენდეს გარკვეულ ვალდებულებას ყოველი პროფესიის წარმომადგენლის მომზადების საწყის ეტაპებზე. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ ეთიკური დილემის პრობლემა საზოგადოებრივი პროფესიის მქონე ადამიანისთვის შეიძლება დადგეს მისი პროფესიული საქმიანობის დაწყების პირველივე მომენტიდან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ცალკეული პროფესიული სამსახურის ყოველ დამწყებ ინდივიდს გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა და ინფორმაცია მის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ეთიკურ-მორალური ფარგლების შესახებ. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ყოველ განვითარებადი საჯარო მართვის სისტემის მქონე ქვეყანაში, აღნიშნული პროცესი განიხილებოდეს როგორც უკლებლივ ყველა პროფესიის დაუფლების საწყისი კომპონენტი და ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა.

პროფესიული ეთიკის დანიშნულების და როლის გათვალისწინებით, საყურადღებოა ის გარემოება,

რომ ეთიკის კოდექსის არსი და ფუნქცია არ იქნეს გაიგივებული პროფესიული საქმიანობის სტანდარტებთან. ეთიკის კოდექსი არ აწესებს პროფესიონალის საქმიანობის განხორციელების პრაქტიკულ მეთოდებს. იგი არის იმ ფასეულობათა აღწერა, რომელთა გათვალიწინებითაც უნდა აწარმოოს საქმიანობა პროფესიის მქონე ინდივიდმა საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე.

ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს იმ ძირითად ღირებულებებს, ქცევის ნორმებს და ეთიკის პრინციპებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს თითოეულმა მოსამსახურემ ყოველდღიური ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას. პროფესიული ეთიკის კოდექსების არსებობა მხოლოდ აუმჯობესებს და მაღალ რანგში აყავს პროფესიის მატარებელ ადამიანთა, ისევე როგორც ფართო საზოგადოების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობის მიმართ. ეთიკის კოდექსი უზრუნველყოფს ეთიკის ნორმებისადმი პატივისცემის განმტკიცებას და სამსახურებრივი მოვალეობების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას. შესაბამისად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში პროფესიული საქმიანობის როლის გათვალისწინებით, პროფესიული ეთიკის კოდექსების არსებობა და მათი პრაქტიკული რეალიზება მხოლოდ ხელს შეუწყობს ქართული საჯარო მართვის სისტემის შემდგომ პროგრესს. ეთიკური კოდექსების არსებობა სახელმწიფო მართვის ინსტიტუტებში მხოლოდ ხელს უწყობს ეთიკური ქცევის მაღალ სატანდარტებს და მათ სავალდებულო ხასიათს. იგი ხაზს უსვამს და აძლიერებს იმ იდეას, რომ საჯარო მოხელეთა ქცევა უნდა შეესაბამებოდეს და აკმაყოფილებდეს გაცილებით მაღალ მორალურ სტანდარტებს, ვიდრე ჩვეულებრივი სამოქალაქო პირი ყოველდღიურ ცხოვრებაში. ზოგადი ან დარგობრივი ეთიკის კოდექსების არსებობა მიანიშნებს, აგრეთვე, სახელმწიფოს მზადყოფნას და ისევე როგორც საზოგადოების დაინტერესებას, რათა კიდევ უფრო ნათლად და დეტალურად განისაზღვროს საჯარო მართვასთან დაკავშირებული ქცევის ეთიკური კრიტერიუმები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Scott Carson, M. Baetz, S. McGill.,`Codes of Conduct in the Private Sector`, 2008.
2. D.Michael, "The Place of a Code of Ethics in the Practice of a Profession". Philosophy and Public Affairs 20.2. ,1991;
3. Harris, Charles E., Jr., Michael S. Pritchard and Michael J. Rabins. `Engineering Ethics: Concepts and Cases`, Belmont, Wadsworth Publishing, USA, 1995;
4. D. Rhode, D. Luhan, "The Quest for a Code of Professional Ethics: An Intellectual and Moral Confusion," Legal Ethics, St. Paul Foundation Press, 1992;
5. Ladd, John. "The Quest for a Code of Professional Ethics: An Intellectual and Moral Confusion". Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall, 1991;
6. J.Ladd, "Why Ethics Codes?", Center for the Study of Ethics in the Professions, Illinois Institute of Technology, http://ethics.iit.edu/ecodes/introduction,
7. Luegenbiehl, Heinz C. "Codes of Ethics and the Moral Education of Engineers", Business and Professional Ethics Journal 2", Philosophy Documentation Center, 1983

ლუდომანია - ადამიანის ფსიქოლოგიური ნარკოტიკი

ლია მეტრეველი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
მაგდა ფერაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია-ლუდომანია, აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება დღევანდელ რეალობაში, როგორც ყველაზე მწვავე და აქტუალური პრობლემა.

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია, რომ ესაა გასართობი მოსახლეობის ნაწილისათვის. „გართობა“, რომელიც ხშირად პათოლოგიაში გადადის. პიროვნება ხდება უმართავი და საშიში სუბიექტი ხვდება საკუთარი სურვილის, ამ მოთხოვნილების ანტისაზოგადოებრივ მნიშვნელობას, მაგრამ მისი მოთხოვნილების იმპულსი თრგუნავს კრიტიკის ყველა არგუმენტს და აიძულებს შეასრულოს იმპულსურად აღძრული სურვილი, თუნდაც თავიდან ვერ აიცილოს, ადამიანის ქცევისადმი განკუთვნილი სასჯელი.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ლუდომანია არის დაავადება, დაავადება საკუთარი არჩევანით, ამიტომაც ამ მდგომარეობიდან გამოსავალიც, პაციენტის მოტივაციის გარეშე შეუძლებელია.

* * * *

აზარტული თამაშები ოფიციალურად 1520 წელს საფრანგეთში მეფე ფრანცისკ პირველის ბრძანების მიხედვით დაკანონდა. პირველი კაზინოები კი პარიზში 1765 წელს გაიხსნა. აზარტული თამაშების სახლები გართობასთან ერთად, უამრავ უკანონო საქმიანობის, მათ შორის შავი ფულის გათეთრების ყველაზე კარგი საშუალება იყო,

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას-ნარკომანის გამოვლინებები ახასიათებს,ეს არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება,რაც აზარტული თამაშების მიმართ ავადმყოფურ ლტოლვას იწვევს.მათი მახასიათებლებია; კრიტიკული დამოკიდებულება ოხაჯის წევრთა მიმართ,ვალები და რწმენა,რომ თამაშით ისინი ვალებსაც გაისტუმრებენ და მოგებულებიც დარჩებიან. მაგრამ ძალიან ხშირად სურვილი და სინამდვილე შორი-შორს არიან ერთმანეთთან ხშირ შმთხვევაში მოთამაშე უძრავ და მოძრავ ქონებას კარგავს,მთელ თანხას კაზინოში აგებს,და სიცოცხლეს სუიციდით ამთავრებს.

ლუდომანია-აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება დღევანდელ რეალობაში ყველაზე მწვავე და აქტუალური პრობლემაა. ლუდომანია განეკუთვნება ადიქტურ ქცევას. არსებობს მრავალი ტიპის ადიქცია: დამოკიდებულება მავნე ნივთიერებებზე, ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე, სააფთიაქო ნარკომანიაზე, კლუბურ ნარკოტიკებზე, ჰალუცინოგენებზე, მარიხუანაზე, თამბაქოსა და ყავაზე. ლუდომანია სწორედ ერთ-ერთი ტიპის ძალიან რთულად დაძლევადი დამოკიდებულებაა.ემპირიული დაკვირვების ნიადაგზე ცნობილი გახდა რომ ადამიანი თამაშის პროცესში განიცდის ანალოგიურ განცდას რასაც ნებისმიერი ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების დროს. იგივე დოზით გამოყოფს ადრენალინს და იმყოფება ეიფორიულ აჟიტირებულ მდგომარეობაში. სწორედ ამიტომ ლუდომანიას - ეს არის პიროვნების მუდმივი ლტოლვის მდგომარეობა აზარტული თამაშების მიმართ. ასევე-პიროვნების დამოკიდებულებითი აშლილობა და დესტრუქციული ქცევა, ადიქცია-ანუ დამოკიდებულება ადამიანს აძლევს საშუალებას გარკვეული დროით მოწყდეს რეალობას და იმოგზაუროს,მცდარ სამყაროში,სადაც თავისუფალი იქნება ყოველგავრი პიროვნული პასუხისმგებლობისგან.აზარტული თამაშებისადმი ლტოლვა პროცენტულად მამაკაცებში უფრო ხშირია ვიდრე ქალებში, მაგრამ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს.

BEER ADDICT - PSYCHOLOGICAL DRUGS FOR HUMAN

Lia metreveli, GTU, associate professor
Magda Feradze, GTU, PhD student

RESUME

The work deals with the concept of Beer Addict, the attitude of gambling in today's reality as the most acute and actual problem. It is a sad reality, but the fact is that it is part of the entertainment for community.

''Entertainment'', which often goes into pathology. The person becomes unmanageable and dangerous. The subject falls to its own will, orientation of this requirement, but the impulse of its demand suppresses all the criticisms and forces the impulsive desire to avoid the inevitable penalty for human behavior.

It is a well-known fact that beer addict is a disease, disease with its own choice, so the way out of this condition is impossible without the patient's motivation.

მამაკაცებისგან განსხვავებით მკურნლალობას ამ შემთხვევაში ფსიქოთერაპიას და მედიკამენტებს გაცილებით ძნელად ემორჩილებიან. ხშირ შემთხვევაში ფსიქიატრის ჩარევა ხდება საჭირო.ქალებში ლუდომანიას ძირითადად შემთხვევებში ახლავს დეპრესია,შფოთვა,პიროვნული აშლილობა და ალკოჰოლიზმი.

კაზინოში ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი დადის ქალები, მოხუცები, ფეხმძიმეებიც კი. კაზინოსათვის სასურველი კლიენტები, ისინი არიან ვინც კაზინოში 400-500 დოლარით შედიან. ე. წ. „სუფთა იგროკები", რომლებიც სულ მალე ხდებიან დამიკიდებულებები თამაშზე.

საინტერესოა განვიხილოთ ზოგიერთი თვისება რაც ახასიათებს ლუდომანს;

1 იცვლება ინტერესთა სფერო,თამაში ადამიანის სფეროდან თანდათან დევნის სხვადასხვა ინტერესებს იგი მხოლოდ თამაშზე ფიქრობს.

2 კარგავს თვითკონტროლს და საკუთარი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ ახერხებს თამაშისათვის თავის დანებებას არ აქვს მნიშვნელობა იგებს თუ გამუდმებით აგებს.კვლევებმა ცხადყო რომ მოგებაც და წაგებაც ერთნაირი სტრესია ორგანიზმისათვის.

3 ფსოქოლოგიური დისკომფორტი გაღიზიანება,შფოთვა,უძილობა ზოგ შემთხვევაში კი გადამეტებული ძილიანობა.თავის ტკივილი სუნთქვის უკმარისობა.ანჰედონია,ემოციური ცვეთა:გემოს,ყნოსვის და ფიზიკური შეგრძნებების დაქვეითება.

4 თამაშის გახშირება მომატებული რისკის ხარჯზე

5 ტყუილები უპასუხისმგებლობა ოჯახის წევრების დადანაშაულება

6 გადაწყვეტილების შემდეგ აღარ გაეკაროს სათამაშო ადგილს მაგრამ საკმარისია უმნიშვნელო პროვოკაცია და თამაშზე დამოკიდებულება ახლდება.

7 უნებისყოფობა,ბრძოლის უნარის დაქვეითება,დაბალი თვითშეფასება

8 საკუთარი თავის დაკარგვა

9 მართავს ინსტიქტები,რაციოგათიშულია

10 სუიციდის მცდელობა როდესაც ექცევა ჩიხში ვერ პოულობს გზასა და გამოსავალს.....

განვიხილოთ თამაშზე დამოკიდებული 3 სტადია,რომელიც ასე ვითარდება:

1. მოგებათა სტადია;
2. წაგებათა სტადია
3. განხიბლის სტადია

მოგებათა სტადიაში თმაში შემთხვევითია, მოგება ხშირი ფსონები თანდათან იზრდება და მოთამაშეც ჰყვება ფანტაზიას,რომელიც უსაფუძვლო ოპტიმიზმში გამოიხატება.

წაგებათა სტადიაზე მოთამაშე უკვე მიზან მიმართულად თამაშობს გონებით მხოლოთ თამაშს უტრიალებს და ადრე თუ გვიან ხვდება რომ აღარ შესწევს შეჩერების ძალა.იწყება სიცრუის ნაკადი. ლუდომანი პრობლემებს უმალავს მეგობრებს ოჯახი მეორე ხარისხოვანი ხდება მისთვის სამსახურში სიარულს გაურბის მისი იდეაფიქსია იშოვოს ფული როგორც კანონიერი, ასევე უკანონო გზით.თითქოს ცდილობს თამაშისათვის თავის დანებებას მაგრამ ვერ ახერხებს.

განხბლის სტადიაზე ადამიანი კარგავს როგორც პიროვნულ ისე პროფესიულ რეპუტაციას,თავს არიდებს ახლობლებს,იტანჯება სირცხვილის გრძნობით,ეუფლება სრული პანიკა,ხდება უმართავი,სჩადის უკანონო ქმედებებს,სასოწარკვეთილებაშია,ირიყება სოციუმიდან,იწყებს ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მოხმარებას,უვითარდება ემოციური აშლილობა.

ისმის კითხვა როგორ ვუმკურნალოთ ლუდომანს? ეს საკმაოდ რთული პროცესია,რომელსაც დიდი ძალისხმევა და ახლობლების თანადგომა სჭირდება.

1 ნაბიჯი ეს არის საკუთარ თავთან ფაქტების აღიარება,როგორიცაა მე ვარ თამაშზე დამოკიდებული და გაცნობიერება იმის თუ რამდენად დამანგრეველ და მტანჯველ ხაფანგში გააბა საკუთარი თავი.

2 ნაბიჯი ოჯახის წევრების თანადგომა და მეგობრების მხარდაჭერა.ამ მდგომარეობას ოჯახში მუდმივი დაპირისპირება და სკანდალი მოაქვს მაგრამ როდესაც ლუდომანი ითხოვს შველას სჭირდება ოჯახის სითბო და მოტივაციის გაღვივება. წარსული შეცდომების პატიება და არა ზურგის შექცევა.ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გარემოს შეცვლა,სიმშვიდე ფიზიკური აქტივობა. ერთი სიტყვით ცხოვრების ჯანსაღი წესი.ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია პაციენტის გენეტიკა,ასაკი,გარემო და კითხვაზე პასუხი რა უფრო იზიდავს ლუდომანს მოგება თუ თამაშის პროცესი რა დროს განიცდის მეტად სიამოვნებას

3 ნაბიჯი ლუდომანს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული,რომ დამოუკიდებლად ამ დგომარეობიდან თავის დაღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. მკურნალობის დაწყებამდე როგორც პაციენტის ოჯახმა და ახლობლებმა ასევე თვით პაციენტმაც უნდა ირწმუნოს საკუთარი თავის მას სჭირდება ფსიქოთერაპევტის და ფსიქიატრის დახმარება. სპეციალისტების დახმარება სწორედ მაშინ არის საჭირო როდესაც ადამიანი ხდება უმართავი იგი ვერ ხვდება როგორ ვარდება ტრანსში ებინდება გონება,არც ახსოვს რა თანხა ჰქონდა და რა თანხა წააგო.ფიზიოლოგების აზრით ეს არის თავდაცვის ერთ-ერთი მექანიზმი მოთამაშე მეხსიერებიდან შლის უსიამოვნო მოგონებებს,მაგრამ სამწუხაროდ განდევნილი და ჩახშული ემოციები არსად არ ქრება არა ცნობიერში ილექება,რომელიც სრულიად უწყინარ სიტუაციაში შესაძლებელია არაადეკვატურად გამჟღავნდეს.

4 ნაბიჯი ეს გახლავთ მიზეზის პოვნა სავალდებულოდ და უცილებელია სპეციალისტმა და პაციენტმა ერთად მიაგნონ თამაშზე დამოკიდებულების თავდაპირველ მიზეზს.რადგან მხოლოდ შედეგთან

ბრძოლა მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანს.მისი აღმოფხვრის გარეშე ადამიანს შეიძლება განუვითარდეს სხვა არა ნაკლებ საშიში დამოკიდებულება. როგორიცაა ნარკომანია,ალკოჰოლიზმი და სხვა. ანუ მოხდეს დამოკიდებულების ჩანაცვლება სხვა დამოკიდებულებით.არასწორი აზრი,რომ ასეთი პრობლემები სუსტ ადამიანებს ემართებათ ლუდომანია არის დაავადება საკუთარი არჩევანით. ასეთივე არჩევანია ამ მდგომარეობიდან გამოსავალიც მაგრამ პაციენტის მოტივაციის გარეშე ნებისმიერი დამოკიდებულების დაძლევა შეუძლებელია. ლუდომანის მკურნალობის ერთ-ერთი აუცილებელი რგოლია ფსიქოთერაპია. მედიკამენტების ჩართვით ფსიქოთერაპევტის და ფსიქიატრის მუშაობით (ანუ კომპლექსურად), ლუდომანია ეს არის დაავადება,რომელიც ანადგურებს არა მხოლოდ პიროვნებას არამედ მთლიანად მის გარემოცვას.

ლუდომანია ეს არის არა ქიმიური პათოლოგიური დამოკიდებულებების გამომწვევი იმპულსური აზარტული თამაშები,როგორც ადამიანისათვის ერთ-ერთი უმძიმესი და ურთულესი სამკურნალო დაავადება.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ აზარტული თამაშები წარმოადგენენ თავისუფალ დროს ადამიანის გასართობ საშუალებას საწყის ეტაპზე, ეს მანამ ხდება სანამ დამოკიდებულება განვითარდება. გარკვეული ნაწილი მოსახლეობის,ამგვარ"გართობაშია " ჩამბული. შემდექ კი ხდებიან თაამაშზე დამოკიდებულები.ამ დროს კი პიროვნება ფაქტიურად უმართავი ხდება. იგი მზადაა, გააღატაკოს ოჯახი, ყველაფერს კადრულობს, რათა იშოვნოს სათამაშო ფული. ხშირად მიმართავს კანონ საწინააღმდეგო ქმედებას. ეს გახლავთ ტიპიური აკვიატებული აშლილობა. , რაც არ არის დამახასიათებელი აზარტული თამაშებებისათვის ლტილვის ასახსნელად. აზარტული მოთამაშე არ ეწინააღმდეგება თამაშისადმი ლტოლვას. ამის მიუხედავად ამ შემთხვევაშიც მოთამაშის ლტოლვა აკვიატებული ხასიათისაა. მოგების სურვილი იმდანად ძლიერი იმპულსია, რომ თრგუნავს და აუფასურებს ყოველგვარ კრიტიკულ არგუმენტს.. ამრიგად განსაზღვრა „აკვიატებული აზარტული თამაში" ეხება ამგვარი ქცევის განხილვას, როგორც დაავადების განმსაზღვრელ სინდრომს. იგი აუცილებლად უნდა შეფასდეს, როგორც ავადმყოფური ანუ პათოლოგიური ქცევა. პათოლოგიური დამოკიდებულებების მქონე პირები ჩვეულებრივად მუდმივი წაგების გამო მზად არის გააღატაკოს საკუთარი ოჯახი. აზარტომანიით შეპყრობილი ასეთი პიროვნება განცხვავდება ჩვეულებრივი აზარტული თამაშების მოყვარული პირისაგან. ვისაც შესწევს უნარი გონივრულად გამოყოს საკუთარი შემოსავლის ნაწილი აზარტული თამაშების გართობისათვის და დროულად შეიკაოს თავი აზარტული თამაშებსი მონაწილეობისგან. თუმცა საყურადღებო, რომ აუცილებლად ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ ყოველგვარი დამიკიდებულება სწორედ ამ სახით იწყება., რასაც საბოლოოდ სავალალო შედეგებამდე მივყევართ პრაქტიკულად აკვიატებული აზარტული თამაშები უნდა შეფასდეს, როგორც პროგრესირებადი ბუნების დაავადება, რომელიც ძალიან ძნელად მოსარჩენია. თუმცა, როგორც გამოცდილება ადასტურებს, მკურნალობის ფონზე შესაძლებელია მისი შემდგომი განვითარების შეჩერება და დაძლევაც კი.

პათოლოგიურ აზარტული მოთამაშეებისათვის გარკვეულად დამახასიათებელია კლინიკური ნიშანი, უდიდესი ოპტიმიზმი, „შანსი დიდი თანხის მოგების" და თამაშის დროს ავიწყდება „გაკვეთილი", რომელიც წარსულში ძალიან მრავალჯელ წაგებას უკავშირდება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ძალიან დიდი თანხის წაგების შემდეგ მოთამაშეს უფრო უჭირს თავის დანებება, ვიდერე იმას ვინც მოიგო სოლიდური თანხა.როგორც ირკვრვა მოტივაცია ადიქტიური ქცევისადმი, საკუთრივ ფულის მოგების გარდა, ძლიერდება გარკვეული ეიფორიული შეგრძნებებით, რომელსაც მოთამაშე განიცდის თამაშის პროცესში.მოთმაშე ყველაფრის მიუხედავად აგრძელებს თამაშს. მიუხედავად იმისა შეურაცხყოფილია თუ არა თავისი ქმედებით აზიანებს თუ არღვევს არამარტო მის პირად და საოჯახო, არამედ საზოგადოებრივ ინტერესებს. პათოლოგიური გემბლინგი წარმოადგენს ზე ღირებულოვან გატაცებას,რომელიც უკარგავს პიროვნებას საკუთარი ქცევის ობიექტური შეფასების უნარს და იქცევა მსგავსი გატაცების ობიექტად.ფსიქოლოგიური გატაცების არსებით ნიშნებს წარმოადგენენ:

1. გასართობი ობიექტების მიმართ,ყურადღების ხანგრძლივი გამახვილება
2. იმავე ობიექტების მიმართ განსაკუთრებული ემოცურად გაჯერებული დამოკიდებულება
3. გატაცების საქმიანოზე დახარჯული დროის კონტროლის გრძნობის დაკარგვა
4. ნებისმიერი სხვა სახის მოქმედების და მათ რიცხვში სხვა სახის გასართობის მოქმედების სრული იგნორირება.

მოგეხსენებათ, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი სენია, რომელიც თავისი მასშტაბითა და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების დონით, ნარკომანიას არაფრით არ ჩამოუარდება. აზარტომანიას ნარკომანის კლასიკური გამოვლინება ახასიათებს-კერძოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამიკიდებულება, რაც აზარტული თამაშის მიმართ ავადმყოფურ ლტოლვას იწვევს.პრაქტიკულად აკვიატებული აზარტული თამაშები უნდა შეფასდეს როგორც პროგრესირებადი ბუნების დაავადება,რომელიც მეტად ძნელად მოსარჩენია,თუმცა როგორც გამოცდილება და კვლევები გვიდასტურებს, მკურნალობის ფონზე შესაძლებელია მისი პროგრესირებადობის შეჩერება.

განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო ისეთ შემთხვევაზე, როდესაც პაციენტი ოჯახის

დეინებული მოთხოვნით იწყებს მკურნალობას, მას არ აქვს გააზრებული მდგომარეობის სიმწვავე, რის შედეგადაც ის მიკლე ხანში დაუბრუნდება თამაშს. მაგრამ, როდესაც ის საკუთარი ნებით მიმართავს ,კლინიკას მას აქვს მოტივაცია, ებრძოლოს ამ მტანჯველ სენს.ფსიქოთერაპევტის დახმარებით მან გააცნობიერა საკუთარი მდგომარეობა, ხოლო მედაკამენტებმა შეუნარჩუნა ბალანსი და დაახმარა დეპრესიის დაძლევაში. მთავარი პასუხისმგებლობა პიროვნებას ეკისრება საკუთარ არჩევანში, სხვა დანარჩენი დამხმარე რესურსია.

როგორც ზემორ აღვნიშნეთ, აზარტომანია და აზარტი დღეისათვის ნარკომანიის ცნებასთან ასოცირდება, შესაბამისად ეს საკითხი, ძალიან საჭირბოროტო და აქტუალურია. საზოგადოების ნებისმიერი ფენისათვის.

ცალსახა და ძალიან საინტერესოა, ეკლესიის პოზიცია, აზარტი წმინდა რელიგიური კუთხით ცოდვად მოიაზრება, რადგან: „აზარტში შესული ადამიანს ავიწყდება ყველაფერი, აღარც ღმერთი არსებობს, აღარც ოჯახი, ფიქრობს მხოლოდ მოგაბაზე და თამაშზე. აზარტს შეუძლია, ადამიანის, როგორც ფიზიკური, ისე, ისე მორალური განადგურება, ფიქრობს არა იმაზე, რომ ვიშრომებ, ვიზრუნებ, არამედ კამათელის გაგორებაზე. ხდება აბსოლუტურად მასზე დამიკიდებული, რაც გახლავთ ძალიან დიდი ცოდვა და ვნება.''-აცხადებს დეკანოზი ალექსი ადამაშვილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო, აზარტული თამაშები საქართველოში, მეორე ანგარიში, 2015 წ. ივლისი;
2. ქეთი ორაშვილი, ინტერნეტმედია აზარტული თამაშები თანამედროვე სოციალური პრობლემების ჭრილში;
3. ნინო ევგენიძე, აზარტული თამაშების ორი მხარე (სტატია), 2015წ 02.09
4. მ. ლომანაშვილი, აზარტული თამაშები - აზარტომანია, ლუდომანია, გემბლინგი (სტატია);
5. ცისია ცერცვაძე, აზარტული თამაშები - რა საფრთხის ქვეშ არიან ახალგაზრდები, 2015.

თამაზ ნუცუბიძე იუბილარია

საქართველოს პედაგოგიკისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსს, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თამაზ ნუცუბიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

თამაზ ნუცუბიძე დაიბადა ქ. თბილისში, პროფესორ ქეთევან კლიმიაშვილი-ნუცუბიძისა და აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის სახელოვან ოჯახში.

პროფესორ თამაზ ნუცუბიძეს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ეკონომიკის ფაკულტეტები. მუშაობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად.

1993 წელს აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია პედაგოგიკაში.

თამაზ ნუცუბიძე მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის აკადემიური თანამდებობაზე. იგი სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს სხვადასხვა ჟურნალებში.

პროფესორი თამაზ ნუცუბიძე ავტორია ორმოცდაათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მონოგრაფიების, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდური საშუალებების.

პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლითა და საპატიო სიგელით.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის დაჯილდოებულია საპატიო დიპლომით.

პროფესორ თამაზ ნუცუბიძის შინაარსიან განვლილ ცხოვრების გზაზე სიხარულიც ბევრი განუცდია და დაბრკოლებაც გადაულახავს, რომელსაც ყოველთვის გვერდში უდგას თანამოაზრე მეუღლე – დამსახურებული პედაგოგი ცირა მამალაძე-ნუცუბიძე.

პროფესორ თამაზ ნუცუბიძეს ვულოცავთ იუბილეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს სამეცნიერო სასწავლო მუშაობაში.

მილოცვა იუბილარს

ცნობილ მეცნიერ ეკონომისტს, პროფესორ **გიორგი (გოგი) ნანუაშვილს** დაბადებიდან 70 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობიდა 45 წელი შეუსრულდა.

გიორგი ნანუაშვილი დაიბადა 1948 წლის 7 მაისს საგარეჯოს რაიონის სოფ. კაკაბეთში.

1966 წელს დაამთავრა თბილისის 77-ე საშუალო სკოლა ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლებით და იმავე წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ბუღალტრული აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანომის ანალიზის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1971 წელს და როგორც პერსპექტიულმა ახალგაზრდამ კათედრაზევე გააგრძელა მუშაობა ლაბორანტად, შემდეგ მასწავლებლად არამატერიალური სფეროს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანალიზის კათედრაზე, სადაც მუშაობდა 1983 წლის ჩათვლით. 1976 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა თსუ-ს ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1981 წელს. 1979 წელს გაგზავნილ იქნა ქ. მოსკოვის საფინანსო ინსტიტუტში კვალი- ფიკაციის ასამაღლებელ 6 თვიან კურსებზე, სადაც პარალელურად მუშაობდა დისერტაციაზე, რომელიც დაიცვა 1991 წელს თსუ-ს სამეცნიერო საბჭოზე, რომლის თავჯდომარე იყო აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე.

1983 წლიდან მთელი 34 წლის განმავლობაში მუშაობდა გორის ჯერ სააღრიცხვო-ეკონომიკურ ინსტიტუტში, ხოლო მისი უნივერსიტეტად გარდაქმნის შემდეგ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც განვლო გზა მასწავლებლიდან სრულ პროფესორამდე. 2000 წლიდან 2007 წლის ჩათვლით იყო ამ უნივერსიტეტში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის გამგე.

ბ-ნი გიორგი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც 1999 წელს მიიღო საერთაშორისო სერთიფიკატი მმართველობით აღრიცხვაში.

გიორგი ნანუაშვილის სამეცნიერო კვლევების სფეროს მიეკუთვნება, როგორც ზოგადი ეკონომიკის საკითხები, ისე ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის ფინანსური და მმართვე- ლობიტი აღრიცხვის, რევიზიისა და კონტროლის, აუდიტის და სამეურნეო ანალიზის აქტუა- ლური საკითხები, რომლებიც მას განხილული აქვს მის მიერ გამოქვეყნებულ 130 სამეცნიერო ნაშრომში.

ბ-ნი გიორგის კალამს ეკუთვნის 10 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმზღვანელო, 4 მონოგრაფია. ამჟამად დამთავრებული და მზად აქვს გამოსაცემად ორი მონოგრაფია; 1. მმართველობითი აღრიცხვა: პეაქტიკაში დანერგვის გზები და პრობლემები; 2. ვალდებულება, როგორც ეკონომიკური კატეგორია და მის აღრიცხვასთან დაკავშირებული პრობლემები.

ბ-ნი გიორგი არის ორი რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალის, „სოციალური ეკონო მიკა" და „ბუღალტრული აღრიცხვა," სარედაქციო კოლეგიის წევრი.

იუბილარს ათეულობით ასპირანტი და მაგისტრანტი ჰყავს აღზრდილი, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა უნივერსიტეტებში მოღვაწეობენ აკადემიურ პერსონალის შემადგენლობაში, ასოცირებულ პროფესორებად, პროფესორებად.

ბატონი გიორგი ხშირადაა მოწვეული სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვისას ოფიციალურ შემფასებლად, რეცენზენტად, ოპონენტად. მისი თეორიული მოსაზრებანი და პრაქტული მნიშვნელობის მქონე წინადადებები ხშირად გამოიყენება რეალურ საქმიანობაში. თუნდაც ის რად ღირს, რომ 1975 წელს მის მიერ წამოყენებული და დასაბუთებული წინადადება ბიუჯეტურ დაწესებულებაში ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის შესახებ, დღესაც უცვლელად გამოიყენება.

და ბოლოს, ვულოცავთ ბატონ გიორგი ნანუაშვილს იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს მის მეუღლესთან, ხუთ შვილთან და ექვს შვილისვილთან ერთად.

პროფესორები:

ევგენი ბარათაშვილი,
ანზორ აბრალავა,
ალექსანდრე სიჭინავა,
გიორგი სახოკია,
გიორგი ცაავა,
ვახტანგ დათაშვილი,
აკაკი გვარუციძე,
ლოიდ ქარავა,
შოთა ვეშაპიძე.

კონსტანტინე კამკამიძე – 90



ერთობ სასახელო ცხოვრების გზა განვლო პროფესორმა კოტე კამკამიძემ. მან დაუღალავი შრომისა და არჩეული პროფესიის უდიდესი ერთგულების ფასად მიაღწია თვალსაჩინო სამეცნიერო და საზოგადოებრივ აღიარებას.

დაიბადა 1928 წლის 12 თებერვალს, თბილისში, ცნობილი ინჟინრის ნიკოლოზ კამკამიძის ოჯახში. ბავშვობისა და სიჭაბუკის წლების უმძიმესი წლების მიუხედავად, მან შეინარჩუნა მაღალი ადამიანური ღირებულებანი, ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლა და სწავლა მამის სპეციალობით განაგრძო. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკის ფაკულტეტზე სტუდენტობის წლებშივე შეუდგა სპეციალობით შრომით საქმიანობას, 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მუშაობა ჩითახევჰესის ელექტროტექნიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელად დაიწყო, ხოლო შემდეგ _ ელექტროსაამქროს უფროსად. 1955 წელს ნიჭიერი ახალგაზრდა ინჟინერი "საქენერგოს" ცენტრალურ ლაბორატორიაში გადმოიყვანეს, სადაც სათავეში ჩაუდგა ელექტროტექნიკური დანადგარების გამოცდისა და გაშვების მეტად საპასუხისმგებლო უბანს.

1955 წლიდან თავისი საქმიანობა სამეცნიერო მოღვაწეობას დაუკავშირა. გახდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმოების პროცესების ავტომატიზაციის კათედრის ასპირანტი, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოში ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგის ფუძემდებელი, პროფესორი ნიკოლოზ გაბაშვილი. სწორედ ამ თვალსაჩინო მეცნიერისა და პიროვნების გვერდით იღვაწა, მასთან ერთად დაუდო საფუძველი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე საქართველოში პირველ სასწავლო_სამეცნიერო კვლევით საპრობლემო ლაბორატორიას ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგში, სადაც უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაოები სრულდებოდა და ამასთან ერთად ყალიბდებოდა ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერთა ავტორიტეტული სკოლა, რომელმაც შემდგომ საყოველთაო აღიარება მოიპოვა არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. წლების განმავლობაში იგი ამ ლაბორატორიის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე მუშაობდა.

1965 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1990 წელს _ სადოქტორო დისერტაციები. 1975 წელს მან ღირსეულად შეცვალა თავისი მასწავლებელი, პროფესორი ნიკოლოზ გაბაშვილი, ამ წლიდან ჩაუდგა სათავეში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრას. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ კოტე კამკამიძის დამსახურება კათედრის სასწავლო-ლაბორატორიული ბაზის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

ფასდაუდებელია მისი მოღვაწეობა საქართველოში ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შესრულდა ფუნდამენტური სამეცნიერო სამუშაოები მრავალპროცესორიანი გამოთვლითი სისტემების მოდელირებისა და მათი პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით. აღსანიშნავია ქვეყნის ენერგოგაერთიანებაში მის მიერ დამუშავებული ახალი მრავალპროცესორიანი სისტემების დანერგვა. თვალსაჩინოა მისი მიღწევები რთული საწარმოო პროცესების მართვისათვის ახალი პარალელური მოქმედების კომპიუტერების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევის საქმეშიც.

პროფესორი კოტე კამკამიძე 130–ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 10 გამოგონების ავტორია. მის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა ინფორმატიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის დარგის სპეციალისტთა მრავალი თაობა. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი გამოკვლევა და დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდის საქმეში გაწეულმა ღვაწლმა პროფესორ კოტე კამკამიძეს დამსახურებული ავტორიტეტი და აღიარება მოუპოვა. იგი არჩეულია საქართველოს საინჟინრო და ენერგეტიკული აკადემიების წევრად, აგრეთვე საერთაშორისო კომპიუტერული მეცნიერებისა და სისტემების აკადემიის წევრ_კორესპონდენტად.

პროფესორი კოტე კამკამიძე ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის ჭეშმარიტად ღირსეული წარმომადგენელია. იგი შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა გახლავთ და დღესაც ჩვეული ენერგიითა და შემართებით ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მკვლევარებს ემერეტუს–პროფესორის რანგში.

ღირსეულ მეცნიერს, ახალგაზრდობის აღმზრდელსა და ღვაწლმოსილ მამულიშვილს, ჩვენი კოლექტივის სახელოვან მეცნიერს ვულოცავთ ღირშესანიშნავ თარიღს, მხნეობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

იუმორესკა
პარმენ ლემონჯავა

პარმენი აფიქრებულა,
წინ გზა უძევს წრფელი, დიდი,
საქმისათვის თავდადებულს
არ აქვს უსაქმურთა რიდი.
სურს მომავალს ანათებდეს,
მიმოჰფანტოს ირგვლივ ბინდი.
ასახელოს მისი გალი,
ბედია და ჭუბურხინჯი.
მორჭმით მჯდარსა მაგიდასთან
გვერდით უზის ლექსო ბიჭი,
აკაკისაც სიტყვას ეტყვის,
მოწაფეა იგი მისი,
ყურადღებად ქცეულ გურამს
გააგონა გასაგისი,
ჩვენი ცოტა ვიკმაროთო,
არად გვინდა ბევრი სხვისი.

პატივისცემით
დავით იაკობიძე

ბიზნეს ინჟინერინგი მედიცინაში

იდუმალმცოდნეობა და მედიცინა

თამაზ ბაციკაძე,
სრული პროფესორი, საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის
პერსპექტიული განვითარების სამსახურის უფროსი,
საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტის უფროსი.

რეზიუმე

სტატიაში განვითარებულია ეზოთერული თვალსაზრისი ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ. ნაჩვენების, რომ ადამიანი მხოლოდ ფიზიკური სხეულისაგან არ შედგება და სხვადასხვა სახის დაავადება ხშირად შეიძლება ასტრალურ და ეთერულ სხეულებში დაიბადოს და შემდეგ გადავიდეს ფიზიკურ სხეულზე. ადამიანის ორგანიზმზე დაკვირვებისას, ყოველ ცალკეულ ორგანოში ერთის მხრივ ქმნადობისა და განვითარების პროცესებს ვხედავთ, მეორე მხრივ კი ნგრევისა და დაშლის. ამ პროცესების წონასწორობა განაპირობებს ჯანმრთელობის მდგომარეობას. აღნიშნული თეორიიდან გამომდინარე ნაჩვენებია მკურნალობის მიმართულებები.

საძიებო სიტყვები: იდუმალთმცოდნეობა, მედიტაცია, ეზოთერიკა, ასტრალური, ეთერული სხეული, ფიზიკური სხეული, ნერვული სისტემა, მედიცინა, ენერგია.

საკვანძო სიტყვები: იდუმალთმცოდნეობა, მედიტაცია, ეზოთერიკა, ასტრალური სხეული, ეთერული სხეული, ფიზიკური სხეული, ნერვული სისტემა, მედიცინა, ენერგია.

РЕЗЮМЕ

Тамаз Бацикадзе,
Профессор, начальник службы перспективного развития Грузинского Политехнического Университета, начальник департамента инженерной механики.

В статье развита эзотерическая точка зрения о здоровье человека. Показано, что человек состоит не только из физического тела и разного вида заболевания часто могут зародиться в астральном и эфирном телах и только после перейти на физическое тело. При наблюдении на организм человека в каждом отдельном органе мы видим с одной стороны процессы создания и развития, с другой стороны процессы разрушения и дезинтеграции (разложения). Равновесие этих процессов определяет состояние здоровья человека. Показаны пути лечения соответствующие изложенной теории

Ключевые слова: Тайноведение, медитация, эзотерика, астральное тело, эфирное тело, физическое тело, нервная система, медицина, энергия.

* * * *

ჩვეულებრივი ადამიანის სულს ახასიათებს სამი უნარი, რომელთა განვითარება მეტ–ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს სიცოცხლის მანძილზე. ეს უნარებია – აზროვნება, გრძნობა და ნებისყოფა.

დავიწყოთ აზროვნებით. მისი განვითარებისათვის საუკეთესო საშუალება არის „მედიტაცია“. მედიტაცია მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ყურადღება მოვაშოროთ ყველა გარე და შიდა განცდებს (გაღიზიანებებს). არ უნდა ვიფიქროთ არაფერზე გარდა ერთი არჩეული აზრისა, რომელსაც ცხოვრების ცენტრში დავაყენებთ. როცა სულიერი ძალები ამ ერთი აზრის გარეშე იკრიბება ხდება ამ ძალების იმგვარადვე გავარჯიშება, როგორც კუნთებისა ფიზიკური დატვირთვის დროს. ამგვარი ვარჯიშების შედეგად (დღეში 15-20 წთ.) ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ შევიგრძნობთ შემდეგს: გარე მოვლენების მიმართ შეიცვლება ჩვენი დამოკიდებულება. ვიგრძნობთ ჩვენში ახალ სულიერ გაწონასწორებულ ძალას, რომელიც აზროვნების პროცესებს უფრო ინტენსიურს ხდის. ამგვარი აზროვნების პროცესში ჩვენში საკუთარი ცხოვრების რეალობის აღთქმა ხდება ფიზიკური სხეულის გარეშე, ცარიელ ცნობიერებაში, რაც ტკივილს იწვევს, მაგრამ ამ ტკივილის განცდის გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტი ადამიანური ყოფიერების აღთქმა. შემდეგ ეტაპზე ჩვენ ვიგებთ, რომ ადამიანი სულიერი არსებაა და ამასთან ერთად სწორი წარმოდგენაც გვექმნება ე.წ. „სიკვდილზე“, როგორც მოვლენაზე, რომლის დროსაც ადამიანი იშორებს ფიზიკურ სხეულს. ამავე დროს ვაცნობიერებთ სულიერ – მშვინვიერ არსებობასაც „სიკვდილის“ მიღმა, როგორც უსასრულობიდან დაბადებამდე ასევე „სიკვდილიდან“ უსასრულობამდე.

რელიგია ლაპარაკობს უკვდავებაზე. მაგრამ უკვდავება ხატოვნად, რომ ვთქვათ მარადიულობის მხოლოდ ნახევარია, რადგან, რამდენადაც ადამიანი უკვდავია ასევე დაბადემდეც არსებობდა, ანუ ის სულიერი სამყაროდან გადადის ფიზიკურ სამყაროში, ხოლო შემდეგ „სიკვდილის“ გავლით ბრუნდება თავის სამშობლოში – სულიერ სამყაროში. ვსწავლობთ რა ადამიანის სულიერ–მშვინვიერ არსს, რომელიც გაივლის დაბადებასა და „სიკვდილს“ ჩვენ ვსწავლობთ მარადიულ ადამიანს.

სიცოცხლის მდინარე ორი ნაკადისგან შედგება. ქმნადობისა და ნგრევის ნაკადებისაგან. სიცოცხლე

ვითარდება და ფართოვდება, მაგრამ მასშივე ინერგება ნგრევისა და დაშლის პროგრესირებადი პროცესი. ეს დაშლა უწყვეტად მიმდინარეობს. სინამდვილეში, ჩვენ ყოველ წამიერად ვკვდებით. რაღაც ირღვევა ჩვენში და ამავე დროს ხდება ახლის აღმოცენება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ის, რომ, იმ დროს როცა ჩვენში რაღაც მატერიალური იშლება, თავისუფლდება ადგილი სულიერ–მშვინვიერი არსებობისათვის.

ყველა ორგანოში, სადაც მიმდინარეობს შექმნის პროცესი, ადგილი აქვს დაშლის პროცესებსაც. გული, ღვიძლი, თირკმელი – მუდმივ შექმნისა და ნგრევის პროცესების ერთობლიობას განიცდიან.

ნებისმიერ ჯანმრთელ ადამიანის ორგანიზმში არსებობს წონასწორობა ამ პროცესებს შორის. თუ ქმნადობის პროცესი უფრო აქტიური გახდა, მაშინ განვითარება სწრაფად მიმდინარეობს და გარკვეულ ავადმყოფობებს წარმოშობს, პირიქით შემთხვევაში ორგანო ჭკნება, შრება და საწინააღმდეგო სახის პათოლოგიები წარმოიშვება.

წონასწორობის აღდგენაში მცენარეული სამყარო გვეხმარება. ვიდრე ამ საკითხზე გადავიდოდეთ კიდევ ერთხელ განვმარტოთ, რომ ადამიანი პირველ რიგში შესდგება ფიზიკური სხეულისაგან, რომელსაც ჩვენი გრძნობის ორგანოებით აღვიქვავთ და გონებით შევიმეცნებთ.

შემდეგ მოდის პირველი რიგის ზეგრძნობდი სხეული, რომელსაც ეთერული ანუ სასიცოცხლო სხეული ეწოდება. ეს ორი სხეული ადამიანის ქმნადობას ემსახურება. ფიზიკური სხეული მუდმივად ახლდება, გარემოდან ღებულობა საჭირო ნივთიერებებს, გადაამუშავებს მას და უსარგებლოს გამოყოფს. ეთერული სხეული შედგება ზრდისა და ქმნადობის ძალებისაგან.

ამის გარდა, ადამიანი როგორც გრძნობადი არსება ატარებს ასტრალურ სხეულსაც. იგი შეიცავს არა მხოლოდ ქმნადობის ძალებს, არამედ ნგრევის ძალებსაც. ე.ი. ეთერული ძალების გავლენით ადამიანის ფიზიკური სხეული იზრდება და ვითარდება, ასტრალური სხეულის საშუალებით ნადგურდება. ფიზიკურ–ეთერული სხეულის უწყვეტი განადგურების პროცესის საშუალებით არსებობს ადამიანში სულიერ–მშვინვიერი მოღვაწეობა. ასე მაგალითად, ქმნადობის პროცესი ნერვულ სისტემაში საჭიროა ნერვების არსებობისათვის, ხოლო თვითონ ნერვული პროცესი მდგომარეობს სისტემის მუდმივ მდორედ მიმდინარე დაშლაში.

ზემოთქმული უფრო მეტად ეხება „მე“–ს ორგანიზმს. „მე“ არის ის სხეული, რომლის არსებობის გამოც ადამიანი ყველა არსებაზე მაღლა დგას. იგი არსებითად ყველა დაშლის პროცესში ღებულობს მონაწილეობას.

მაშასადამე ადამიანის ორგანიზმზე დაკვირვებისას, ყოველ ცალკეულ ორგანოში ერთის მხრივ ქმნადობისა და განვითარების პროცესებს ვხედავთ, მეორე მხრივ კი ნგრევისა და დაშლის.

წონასწორობის მდგომარეობაში ადამიანი ჯამრთელია. ხოლო თუ ერთმა პროცესმა გადაწონა (როგორც ქმნადობის ასევე ნგრევის მხარეს) მაშინ სახეზეა ავადმყოფობა.

ადამიანის ორგანიზმი „ყვავის“ ფიზიკური და ეთერული სხეულების აქტივობის შედეგად. „მე“ და ასტრალური სხეულები კი მის ნგრევაზე მუშაობენ. მხოლოდ პირველი ორი, რომ აქტიურობდეს ადამიანში ცნობიერების ძალები არ განვითარდებოდნენ. ადამიანი არა ცნობიერი იქნებოდა ასტრალური და „მე“ სხეულების ძალებს რომ არ ფლობდეს. ესენი ქმნიან ადამიანში „შემოდგომის“ განწყობას მაშინ, როცა ეთერული და ფიზიკური სხეულები „გაზაფხულის“ განწყობაზე მუშაობენ. ამ განწყობათა ცვლა ქმნის ადამიანის ორგანიზმის რითმს. როცა ჩვენ ვიძინებთ, ჩვენი სხეულისათვის გაზაფხული დგება, რადგან „მე“ და ასტრალური სხეული ტოვებენ ფიზიკურ სხეულს; როცა ვიღვიძებთ დგება „შემოდგომა“. ადამიანის ნერვული სისტემა მთლიანად მოიცავს ფიზიკურ სხეულს, მის ყოველ უჯრედს, თვით ნერვული სისტემა კი გამსჭვალულია ეთერული სხეულით და „მე“–თი.

ნივთიერებათა ცვლის სისტემა ასევე გამსჭვალულია ამ წევრებით. მაგრამ სხვა სახით, ანუ იმგვარად, რომ „მე“–ს ნებალობა განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებს. ყველაფერი, რაც ადამიანის აქტიურობაში, მოძრაობაში ვლინდება ნივთიერებათა ცვლის სისტემიდან მოდის.

ყველაფერი, რაც ადამიანს იდეებით, აზრებით და შინაგანი განცდებით ავსებს ნერვული სისტემიდან მოდის (გრძნობადი აღქმის ორგანოებიდან). ამგვარად გამოდის, რომ ნივთიერებათა ცვლის სისტემისათვის ფიზიკური და ეთერული სხეულებია მთავარი, ხოლო ნერვული სისტემისათვის ასტრალური სხეული და „მე“.

როცა ასტრალური სხეული და „მე“ ზედმეტი ინტენსივობით მოქმედებენ ნერვულ სისტემაში, მაშინ ეს სისტემა თავად არღვევს წონასწორობას ნივთიერებათა ცვლის სისტემასთან, რის შედეგადაც სიმსივნეები წარმოიშვება. ზუსტად ასევე როცა ფიზიკური და ეთერული სხეულები ზედმეტად აქტიურობენ ნივთიერებათა ცვლის სისტემაში შედეგები ანთებითი პროცესების სახით ვლინდება.

მაშასადამე სიმსივნეები და ანთებითი პროცესები პოლარული მდგომარეობებია. ნერვული სისტემის წრეგადასული პრივალირება ნივთიერებათა ცვლის სისტემაზე იწვევს კიბოს. ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში ხდება შემდეგი: ნივთიერებათა ცვლის სისტემების საზღვრებში უადგილოდ წარმოიშვება ნერვული სისტემის რომელიმე ორგანოს ნაყოფი ემბრიონალურ სტადიაში.

ამგვარად, ადამიანური ორგანიზაცია შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას შემდეგნაირად: 1) ნერვული სისტემა, 2) რიტმული სისტემა, 3) ნივთიერებათა ცვლის სისტემა (აქვე შედის ფიზიკური სხეულის ორგანოები).

ნერვული სისტემა და ნივთიერებათა ცვლის სისტემა, ერთმანეთის ანტაგონისტები არიან, რითმული სისტემა კი აკავშირებს მათ ერთმანეთთან.

ამ სქემის სამივე წევრი გარემოცულია ადამიანური არსების ოთხი წევრით: ფიზიკური და ეთერული სხეულები, ასტრალური სხეული და „მე“.

მცენარეული საკვების დანიშნულებაა ფიზიკური და ეთერული სხეულების განვითარება. მავნე შხამიანი მცენარეების გამოყენება კი ასტრალური სხეულისა და „მე“-სათვის არის მიზანშეწონილი, ამიტომ ფიზიკური და ეთერული სხეულები პირველი სახის მცენარეებით იკურნება, ხოლო ასტრალური სხეული და „მე“ მეორე სახის მცენარეებით.

ზრდისა და განვითარების პროცესს ადამიანში მუდმივად ეწინააღმდეგება ნგრევისა და დაშლის პროცესები, ასე რომ არ იყოს ადამიანი როგორც სულიერ-მშვინვიერი არსება არ ჩამოყალიბდებოდა. ავადმყოფობის მოვლენა უნდა არსებობდეს ნორმალურ ორგანიზმშიც, რათა იგი განვითარდეს მოაზროვნე არსებამდე. ადამიანები რომ არ ავადმყოფობდნენ ისინი სულიერნი ვერ იქნებოდნენ. ის რასაც ადგილი აქვს აზროვნებაში, გრძნობაში და მღელვარებაში, ანომალური ფორმით ავადმყოფობაში გამოიხატება.

ჩვენი ღვიძლი და ჩვენი თირკმელები იმეორებენ იმავეს რასაც ჩვენ გავდივართ აზროვნების პროცესში. მაგრამ ეს პროცესები ნორმალურ ზღვარს თუ გადაცდება წარმოიშვება ავადმყოფობები.

რაც შეეხება ავადმყოფობების გამომწვევ მიზეზებს ისინი შემდეგია:

1. ფსიქოლოგიური მიზეზები, გამომდინარე ადამიანის ემოციური ბუნებიდან; რაღაცის ფლობის სურვილი, ეჭვიანობა, სიძულვილი, სტრესი, შიში და სხვა.

2. ეთერული სხეულის არაბალანსირებული ენერგია (ზედმეტად აგზნებული ან უმოქმედო ჩაკრები).

3. მავნე ჩვევები; ალკოჰოლი, თამბაქო, ნარკოტიკები, რომლებიც ანგრევენ ფიზიკურ სხეულს.

ადამიანის სული სულიერი სამყაროს კანონებს ემორჩილება, სხეული კი როგორც წესი ქვეცნობიერის მდაბალი სურვილების ბინაა და სურს ნერვული სისტემის მართვა. იწყება ბრძოლა სულსა და სხეულს შორის, რის შედეგადაც ფიზიკური სხეული ავადდება.

მკურნალობა მიზეზის აღმოფხვრით უნდა დაიწყოს, ძალზე ეფექტურია რწმენით მკურნალობა. მედიტაციისა და ლოცვის დახმარებით პაციენტს ქიმიური წამლების გარეშე შეუძლია საკუთარ ფსიქიკაში მკურნალი სასიცოცხლო ენერგიის შეყვანა, რომელიც ეთერულ სხეულს გაწმენდს შლაკებისაგან, აღადგენს ჰარმონიას გაწმენდილი სასიცოცხლო ძალის - პრანის ვიბრაციების გაძლიერებით. აქ მთავარი საკუთარი თავის რწმენაა იმის რწმენასთან ერთად, რომ არსებობს სასიცოცხლო ძალების ამოუწურავი რეზერვები, საიდანაც სარგებლობა შეიძლება.

სასიცოცხლო ენერგია - სანსკრიტულ ენაზე „პრანა“ არის სიცოცხლის სუნთქვა. მთელი სამყარო ღმერთიდან ქვიშის მარცვლამდე ერთი სუბსტანციის გამოვლინებაა. ჰერმეტიული ფილოსოფოსები მას კვინტესენციას უწოდებენ (კვინტესენცია ნიშნავს მეხუთე ელემენტს) ფიზიკურ სხეულში მას სმენადობა შეესაბამება. იგი სამყაროს შემავსებელი პირველადი მატერიაა, რისგანაც ყოველივე არსებული წარმოიშვება. იგია კავშირი არსებულსა და არარსებულს შორის, გამოუვლენსა და გამოვლენილს შორის, მისი საშუალებით ხორციელდება კავშირი ფორმებსა და მათ შემქმნელ პრინციპს შორის. ჩვენ პრანის დანახვა მხოლო მისი მოქმედების შედეგებით შეგვიძლია. იგია შექმნილისაგან გამოსხივებული ყველაფრის გამსჭვალავი სასიცოცხლო ძალა. პრანა ადამიანის აზროვნებას ექვემდებარება და ვლინდება, როგორც შემქმნელი ასევე დამანგრეველი ენერგიების სახით. ადამიანის სხეული პრანას ასხივეს დიდი რადიალური ნერვების საშუალებით, რომლებიც სათავეს გულის ჩაკრიდან იღებენ, გადიან ხელებში და მთავრდებიან ცერა და საჩვენებელ თითებს შორის, უარყოფითი (-) მუხტის შესაბამისი პრანა გადის მარცხენა ხელზე დადებითი (+) კი მარჯვენა ხელზე. იოგები პრანის ამ ნაკადებს სამკურნალოდ იყენებენ. პრანა ემორჩილება მენთალურ, აზრობრივ პროცესებს რის გამოც ადამიანს შეუძლია შეავსოს სხეული პრანის ახალი ნაკადით.

ქიმიური ელემენტები, რომლებსაც ადამიანი საკვებთან ერთად ღებულობს განპირობებულია ნეგატიური პოლარობის (-) პრანით. ეს ელემენტებია მყარი, თხევადი და გაზობრივი ნივთიერებები, რომლებიც ბუნებრივ მატერიას წარმოადგენენ. დედამიწა ნეგატიური პოლარობის უდიდესი რეზერვია. ნეგატიური ელემენტები და ქიმიური ნაერთები შეიწოვება სისხლში და მიდის გულში, გული აგზავნის მათ ფილტვებში, სადაც ისინი უერთდებიან დადებითი პოლარობის (+) სასიცოცხლო მზის ენერგიას (პრანას). შემდეგ ეს დადებით-უარყოფითი ძალები კვლავ შეიწოვება სისხლში. ისინი ეთერულ პლანს ეკუთვნიან, „ჟანგბადი“ ფიზიკური პლანს ეკთვნის. ამგვარად პოზიტიურ - ნეგატიური ძალა შედის ორგანიზმში და სხეულის ყოველ უჯრედს მუხტავს სასიცოცხლო ენერგიით.

როცა ადამიანს სძინავს პოზიტიურ-ნეგატიური ძალები აღადგენენ დაზიანებულ უჯრედებს. ეს ეთერული სხეულის ქმედებაა, მისი მოვალეობაა აგრეთვე საკვების ენერგიის სასიცოცხლო ენერგიად გარდაქმნა, სისხლის უჯრედების განახლება ძვლის ტვინში, გულის პულსის რეგულირება, სუნთქვის პროცესის მართვა და სხვა.

ადამიანის სხეული შეიძლება განვიხილოთ, როგორც მანქანა, რომელიც ფუჭდება მაშინ, როცა პოზიტიურ-ნეგატიური ძალები დისბალანსირდება.

პოზიტიურ-ნეგატიული ნაკადების თანაბარი მდინარება ნერვული სისტემის დამამშვიდებელ ეფექტს იწვევს. პრანის ჰარმონიზებულ ნაკადებს ნერვული სისტემის სითხე მშვიდ მდგომარეობაში გადაჰყავთ. ყოველდღიური დაძაბულობა და პრობლემათა წყება, ნერვულ სისტემას სტრესულ

მდგომარეობაში ამყოფებს, რასაც მოყვება ნერვული სისტემის სრული გამოფიტვა, ამგვარი სპონტანური იმპულსების შედეგად, ფიზიკური სხეულის უჯრედები გადაგვარდება, დროზე ადრე ბერდება და კვდება. პრანის პოზიტიურ-ნეგატიული ნაკადების თანაბარი მდინარება და ფიზიკური და ეთერული სხეულების არასაკმარისი კავშირის კომპენსაცია მიიღწევა ადამიანის მიერ სულიერი ენერგიით გაჯერებული ვარჯიშების საფუძველზე.

დაჯექით სკამზე, მთლიანად მოეშვით, მხრებში გასწორდით წარმოიდგინეთ ზეციდან მომავალი ღვთიური სინათლე, რომელიც შემოდის თავის ზედა ნაწილში და იღვრება მთელი სხეულში. ავადმყოფობის მძლეველი თეთრი სინათლე ავსებს დაზიანებულ ორგანოს, შლის ავადმყოფობის შხამებს უმცირეს ნაწილაკებად და ფეხების ტერფების გავლით გადევნის ეთერში. „ენერგია მიჰყვება აზრს". რამდენიმე დღის შემდეგ სამკურნალო ვარჯიში იცვლება შემდეგნაირად: დაჯექით ან დაწექით მოხერხებულად, მთლიანად მოეშვით. ისუნთქეთ ღრმად ერთი წუთის განმავლობაში. ჩასუნქთვასა და ამოსუთნქვას შორის გააკეთეთ პაუზა. შემდეგ დაიდეთ მარჯვენა ხელის გული დაავადებულ ადგილას. გაკეთეთ ღრმა ჩასუნთქვა თან აზრობრივად წარმოიდგინეთ, რომ ღვთაებრივი ენერგიის სხივი შედის თავში და ენერგიის სახით გროვდება მარჯვენა ხელში. პაუზის შემდეგ ნელა ამოისუნთქეთ, ამოსუნთქვასთან ერთად გაეცით ბრძანება, რომ ენერგია მარჯვენა ხელის გულის საშუალებით გადაეცეს დაავადებულ ორგანოს. ამგვარი პროცედურა უნდა გაგრძელდეს არა ნაკლებ ნახევარი საათი. პროცედურის დამთავრების შემდეგ მარჯვენა ხელისგული რჩება დაავადებულ ორგანოზე 10-15 წუთის განმავლობაში.

მედიცინამ ადამიანი უნდა განიხილოს, როგორც სხეულის სამშვინველისა და სულის ერთობლიობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი ადამიანის ჯანმრთელი და ავადმყოფური მდგომარეობების ღრმა გაგება. უნდა გვესმოდეს, რომ ადამიანის სხეულში მუდმივად მიმდინარეობს ორი ურთიერთდაპირისპირებული პროცესი: ნგრევისა და მშენებლობის პროცესი. დავიწყოთ იმით, რომ ერთმანეთისგან განვასხვავოთ გარე ფიზიკური ორგანიზმი, რომელსაც გრძნობების ხუთი ორგანოს საშუალებით აღიქვავს და შეიმეცნებს ცნობიერება და ადამიანის პირველი ზეგრძნობადი სხეული – ეთერული ანუ ენერგეტიკული (სასიცოცხლო) სხეული. ადამიანის ეს ორი სხეული ქმნადობას (მშენებლობას) ემსახურება; ფიზიკური სხეული მუდმივად განახლებას განიცდის გამოდევნის რა სხეულიდან სასიცოცხლოდ უვარგის ნივთიერებებს. ეთერული სხეული კი კვებავს და ზრდის ფიზიკურ სხეულს. გავიხსენოთ რომ ფიზიკური სხეული ახასიათებს მინერალურ სამყაროს. ფიზიკური და ეთერული სხეულები მცენარეულ სამყაროს. ცხოველს დამატებით ასტრალური სხეულიც აქვს (იგივე გრძნობებით სხეული).

ადამიანს გარდა ამისა, როგორც მგრძნობიარე და მოაზროვნე არსებას კიდევ ერთი სხეული გააჩნია: ე სარის "მე"-სული.

ასტრალური სხეული ფლობს, როგორც ქმნადობის ასევე განადგურების ძალებს. ეთერული სხეულის საშუალებით ადამიანის ორგანიზმი იზრდება და ვითარდება ხოლო ასტრალური სხეულის საშუალებით განუწყვეტლივ ნადგურდება. თუ ასტრალური სხეული ნაწილობრივ მაინც შეიცავს ქმნადობის ძალებს, "მე"- ორგანიზმი მთლიანად რღვევისა და განადგურების ძალებს ფლობს. თუ ადამიანს ამგვარად განვიხილავთ, დავინახავთ ქმნადობისა და განადგურების ურთულეს პროცესს ადამიანის ყოველ ორგანოში. ადამიანი ჯანმრთელია მაშინ როცა ეს ორი პროცესი გაწონასწორებულია. თუ ქმნადობის პროცესმა იმძლავრა მივიღებთ გარკვეული დაავადებების სიმპტომებს, ხოლო თუ განადგურების პროცესმა იძალა მივიღებთ სხვა სახის დაავადებებს. ჯანმრთელ ადამიანში ეს ორი პროცესი დაბალანსირებულია.

ახლა ვნახოთ როგორ კავშირშია ადამიანი მის გარემომცველ მინერალურ, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროსთან, რომელთა საშუალებითაც ღებულობს იგი კვებისა და განვითარების ძალებს. ბუნების ყოველი მოვლენა რომელსაც ადამიანი შინაგანად აღიქვავს მეტამორფოზას განიცდის – იცვლის სახეს. ჩვენ მუდმივად გარდავქმნით იმას რაც გარს გვარტყია. თუ ადამიანის უნარი გარდაქმნას გარეგანი პროცესი (მაგ. კვება) დაქვეითებულია მაშინ ეს პროცესები (ნივთიერებები) მავნე გავლენას მოახდენენ ორგანიზმზე. მივიღებთ უცხო ნივთიერებების სიჭარბეს. და საწინააღმდეგოდ, თუ ასტრალური სხეული და "მე" ზედმეტად გააქტიურებულია, მაშინ გაძლიერდებიან შიგა პროცესების დამაჩქარებელი ძალები იმაზე მეტად ვიდრე საჭიროა, რაც კვლავ დაავადებამდე მიგვიყვანს.

ვნახოთ, როგორ შეიძლება აიხსნას ზემოთთქმული ადამიანის ანატომია ფიზიოლოგიის თვალსაზრისით. ადამიანის ძირითადი ფუნქციებია:

1) ნერვიული ფუნქციები,
2) რითმული ფუნქციები,
3) ნივთიერებათა ცვლის (მეტაბოლიზმის) და მოძრაობის ფუნქციები.

მათ შორის პრივალირებს ნერვიული ფუნქციები (აღქმისა და წარმოდგენის). უფრო ჩაკეტილია თავის თავში რითმული ფუნქციები: სუნთქვის რითმი, სისხლის მიმოქცევის რითმი, ძილისა და ღვიძლის რითმი და სხვა.

რითმული პროცესები. ჩვენი რითმული სისტემა უშუალო კავშირშია გრძნობებთან, ნერვიული სისტემა კი ირიბად – როგორც აზროვნების მატარებელი. გრძნობების მატარებელი იგი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი გრძნობადობა ხდება ცნობიერი ჩვენს აზროვნებაში. მაშინ ეს აზრები ეყრდნობა ნერვიულ სისტემას.

ყველაფერი მოძრავი, ყველაფერი რაც კავშირშია კიდურებთან აისახება ნივთიერებათა ცვლაზე.

ნივთიერებათა ცვლისა და მოძრაობის ორგანოები ქმნიან ერთ მთლიან სისტემას.

გრძნობების ორგანოები, მაგ. თვალი და ყური, ისე არიან მოწყობილი, რომ უფრო ინტენსიურად ნერვიულ ფუნქციებს შეიცავენ ვიდრე რითმულს და კიდევ უფრო ნაკლებად ნივთიერებათა ცვლის ფუნქციებს.

ისეთი ორგანო, როგორც თირკმელია იმ ხარისხში არ შეიცავს რთულ ნერვიულ ფუნქციებს, როგორც თვალი და ყური, მაგრამ უმეტესად ფლობს რითმული და ნივთიერებათა ცვლის ფუნქციებს. თუმცა მაინც უნდა ითქვას, რომ თირკმელი სამივე ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანური ფუნქციის მატარებელია. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ აქ გრძნობების ორგანოებია, იქ კი ნივთიერებათა ცვლის. სწორი იქნება ვთქვათ, რომ ისეთი ორგანოები როგორიცაა თირკმელი და ვთქვათ ღვიძლი, ელენთა და ა.შ. მხოლოდ ძირითადი დანიშნულებით არიან რითმული და ნივთიერებათა ცვლის ფუნქციის მატარებელი.

ამრიგად, როცა ვიხილავთ ადამიანის ჯანმრთელ ორგანიზმში ფუნქციონირებად ნერვიულ სისტმას, ვხედავთ, რომ ის დამოკიდებულია სხეულში არსებულ ნივთიერებებზე და ამ ნივთიერებებში მიმდინარე პროცესებზე. ყოველი ნივთიერება, რომელიც გარედან შედის სხეულში უნდა გადამუშავებული და ათვისებული იყოს ორგანიზმის მიერ. განვიხილოთ ერთი შეხედვით უმარტივესი პროცესი – სუნთქვა. როგორც ცნობილია შევისუნთქავთ ჟანგბადს და ამოვისუნთქავთ ნახშირორჟანგს. ჩასუნთქული ჟანგბადი ფიზიოლოგიური პროცესების შედეგად უერთდება სისხლში არსებულ ნახშირბადს და ამოისუნთქება. სინამდვილეში ეს ჟანგბად-ნახშირბადოვანი პროცესი უკავშირდება კიდევ სხვა პროცესს. ჟანგბადის ის ნაწილი, რომელიც თავისკენ მიემართება და კვებავს ნერვიულ სისტემასაც უერთდება კაჟს, ანუ იმ ნივთიერებებს, რომელსაც კაჟი შეიცავს და ქმნის კაჟმჟავას. რამდენადაც ნივთიერებათა ცვლისათვის ნახშირმჟავაა საჭირო იმდენად ნერვიული სისტემისათვის კაჟმჟავაა მნიშვნელოვანი.

ამრიგად სუნთქვა შესდგება ორი პროცესისაგან 1) შესუნთქული ჟანგბადი ორგანიზმში არსებულ ნახშირბადს უერთდება და ამოისუნთქება ნახშირორჟანგის სახით, 2) შესუნთქული ჟანგბადი უერთდება ორგანიზმში არსებულ კაჟს, ქმნის კაჟმჟავას და ამ სახით ნაწილდება ორგანიზმის ნერვიულ სისტემებში, რის შედეგადაც მთელი სხეული –პერიფირიებზე მეტად, ხოლო ცალკეულ ორგანოებში ნაკლებად ფლობს გრძნობადი აღქმის ფუნქციას.

თუ ადამიანის ორგანიზმს ამგვარად დავაკვირდებით დავინახავთ, რომ ყოველ ორგანოში კაჟმჟავას წარმოქმნის მსგავსი უამრავი პროცესი მიმდინარეობს. ჯანმრთელობისა და ავადობის არსისი დადგენისათვის უნდა შევისწავლოთ როგორ მიმდინარეობენ ეს პროცესები მოცემულ ადამიანში.

ვთქვათ ავადმყოფზე სამედიცინო დაკვირვებისა და ანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ავადობის წყარო არის თირკმელი. ეზოთერული თვალსაზრისით საქმე შემდეგშია: თირკმელში შეზღუდულია გრძნობადი აღქმის ფუნქცია, საჭმლის მომნელებელი და გამომყოფ ფუნქციებთან შედარებით და ზედმეტად ინტენსიურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლის პროცესი. ამრიგად წონასწორობა დარღვეულია. მაშასადამე უნდა ვიზრუნოთ წონასწორობის აღდგენაძე, ანუ უნდა გავზარდოთ გრძნობადი აღქმის ფუნქცია. ამ ფუნქციის მატარებელი კი როგორც ზემოთ აღინიშნა კაჟმჟავაა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, როგორ მივაწოდოთ იგი თირკმელს. ზოგადად წამლის მიღების სამი გზა არსებობს: პერორალურად, როგორც საჭმელი ან სასმელი, ინექციი სახით და გარედან მალამოს სახით. პირველ შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს საჭმლის მომნელებელი სისტემის მდგომარეობა და უნარი, მიიტანოს წამალი დანიშნულების ადგილამდე. ამასთან, რადგან ასეთ შემთხვევაში წამალი მთელ ორგანიზმში ნაწილდება, დადგენილი უნდა იქნეს მისი გავლენა ყველა სასიცოცხლო ორგანიზე.

ინექციის შემთხვევაში წამალი უშუალოდ რითმულ სისტემაში მოხვდება. იწყება პროცესი ინექცირებული ნივთიერების თვისებების გადასვლისა რითმულ ქმედებებზე, ანუ ზემოქმედება პირდაპირ რითმულ სისტემაზე წარმოებს.

მესამე მეთოდი წამლის გარეგანი ზემოქმედებისა მალამოს შეზელვაში მდგომარეობს და მის მოქმედებას აქ არ ჩავუღრმავდებით.

დავუბრუნდეთ თირკმელს. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს მასში კაჟმჟავას წარმოშობასა და რაოდენობის გაზრდაზე. ცხადია, რომ სუნთქვის შედეგად წარმოქმნილი კაჟმჟავა, რომელიც მთელს ორგანიზმში ნაწილდება თირკმელისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

საჭიროა მოიძებნოს ისეთი პრეპარატი, რომელიც კაჟმჟავას უშუალოდ თირკმელამდე მიიტანს. ასეთი მცენარეა Equisetum arves-ი, ანუ "თაგვის კუდი". მასში დიდი რაოდენობით კაჟმჟავაა. ამასთან იგი შეიცავს გოგირდმჟავა მარილებს. ცალკე გოგირდმჟავა მარილების გამოყენება მოქმედებს რითმულ სისტემაზე, გამოყოფის ორგანოებზე და განსაკუთრებულად თირკმელზე. ხოლო როცა იგი კაჟმჟავასთან ერთად მოეწოდება, როგორც ეს "თაგვის კუდს" ახასიათებს იგი უშუალოდ თირკმელში გამოიყოფა და კაჟმჟავას დეფიციტს ფარავს. ასეთია ხიდი პათოლოგიასა და თერაპიას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. შტაინერის ნარკვევები.
2. თ.ბაციკაძე მონოგრაფია „რაც ვაკეთებთ სიკვდილის შემდეგ". სტუ-ს გამომცემლობა 2011 წ.
3. თ.ბაციკაძე „ჰერმესის კოსმოლოგია". თბილისი 2006 წ.
4. თ.ბაციკაძე „ვინ ვართ და სად ვიმყოფებით გარდაცვალების შემდეგ". თბილისი 2016 წ. მონოგრაფია.
5. თ.ბაციკაძე „როგორ დავრწმუნდეთ სულის უკვდავებაში". თბილისი 2013 წ. მონოგრაფია.

ლეო ჩიქავა - 90

შესრულდა 90-ე წლისთავი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, თვალსაჩინო მეცნიერ-ეკონომისტის, დემოგრაფის, საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებლისა და პირველი პრეზიდენტის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ეგრისისა და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერის - ლეო ჩიქავას დაბადებიდან.

ბატონი ლეო ჩიქავა დაიბადა 1928 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ასევე წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და ასპირანტურა პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით. 1954 წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს - სადოქტორო დისერტაცია. 40 წლის ასაკში მოპოვებული ჰქონდა პროფესორის სამეცნიერო წოდება. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უფროს-მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, ილია ჭავჭავაძის სახ. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორად, პაატა გუგუშვილის სახ. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორად, სახელმწიფო სამსახურის მართვის, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელად.

პროფესორი ლეო ჩიქავა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევა-ძიებას. იყო 200-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის ცალკე წიგნადაა გამოცემული 40-მდე მონოგრაფიული გამოკვლევა, სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და ბროშურა. მისი მეცნიერული ინტერესების სფერო იყო: ეკონომიკური თეორიის, დემოგრაფიული მდგომარეობის, სასურსათო პროდუქტების წარმოების, ინოვაციური ეკონომიკის აქტუალური პრობლემების სისტემური კვლევა. მის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

მისი მრავალმხრივი სამეცნიერო კვლევის შედეგები ფართოდაა ასახული არა მარტო ქართულ, არამედ - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. მათ შორის აღსანიშნავია გამოკვლევები: „საქართველოს კვების მრეწველობის ადგილი და როლი საერთო-საკავშირო დანაწილებაში", „საქართველო ერთიან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსში", „კრიტიკული დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში: არსი, მიზეზები, დაძლევის გზები" და ა. შ.

პროფესორ ლეო ჩიქავას ნაშრომებმა მრავალგზის დაიმსახურეს პრესტიჟული სახელობითი პრემიები. მათგან აღსანიშნავია მონოგრაფია: „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა", რომელსაც 2012 წელს მიენიჭა ფილიპე გოგიჩაიშვილის აკადემიური სახელობითი პრემია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონი ლეოს მიერ ტერმინოლოგიური ლექსიკონის დასრულება, რომლის შედგენა დაიწყეს, მაგრამ ვერ დაამთავრეს, აკადემიკოსებმა პაატა გუგუშვილმა და ვასილ ჩანტლაძემ და რომელიც ეკონომისტების სამაგიდო წიგნია.

იგი საინტერესო და მწვავე მეცნიერული პრობლემების შემცველი მოხსენებებით წარსდგა საერთაშორისო კონფერენციებზე იტალიაში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და რუსეთში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო მრავალი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და წევრი.

პროფესორი ლეო ჩიქავა იყო სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმების) ორგანიზატორი, კონცეფციებსა და აქტუალურ პრობლემებზე მნიშვნელოვანი პროექტების ავტორი, თანაავტორი და მონაწილე, ქართულ ენაზე გამოცემული ეკონომიკური პროფილის მრავალი საერთაშორისო ჟურნალის, აგრეთვე უცხოური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების აქტიური წევრი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების ჟურნალის მთავარი რედაქტორი, მისი რედაქტორობით გამოიცა აგრეთვე ათეულობით ნაშრომი. იგი ასევე იყო სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკის დარგობრივი სექციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს თავმჯდომარე, მთიანეთის შემსწავლელი და ჰუმანიტარულ მეცნეირებათა კომისიის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი. ბატონი ლეო ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო სხვადასხვა სამთავრობო კომისიის, სამეცნიერო ასოციაციისა და საზოგადოების წევრი, არჩეული იყო ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დემოგრაფიისა და მიგრაციის პალატის თავმჯდომარედ. მთავრობას წარედგინა მისი არაერთი მოხსენებითი ბარათი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე.

ბატონი ლეო უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ინტენსიურად იკლევდა ქვეყნის უმწვავესი პრობლემების - დემოგრაფიული სიტუაციის კანონზომიერებებს. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფცია. იგი თავისი მასწავლებლის - აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ღირსეული მოწაფე იყო, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოში დემოგრაფიულ მეცნიერებას. პროფესორმა ლეო ჩიქავამ შემდგომ განავითარა მამულიშვილური საქმე – მისი ინიციატივითა და ძალისხმევით დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, იყო მისი პირველი დირექტორი. სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა მისივე ინიციატივით დაარსებულ ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიას, როგორც პრეზიდენტი.

პროფესორ ლეო ჩიქავას ნაღვაწი მრავალმხრივი და თვალსაჩინოა. იგი არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. მისი ხელმოწერა ამშვენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1991 წლის 9 აპრილი). იყო მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი. 2009 წელს 18 მარტს ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ დასახელებულ იქნა "წლის ადამიანად საქართველოდან 2009" ("Man of The Year representing Georgia 2009").

საქართველოს პრეზიდენტის №167 ბრძანებულებით 1998 წლის 20 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა დაჯილდოვდა ღირსების ორდენით ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის ბატონ ლეო ჩიქავას საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებაში მოიხსენიებენ, როგორც ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქს.

მიმდინარე წლის 23 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიამ ჩაატარა ღონისძიება ამავე აკადემიის დამფუძნებლისა და პირველი პრეზიდენტის - აკადემიკოს ლეო ჩიქავას დაბადებიდან 90 წლისთავისა და მისი ხსოვნის აღსანიშნავად. 23 მაისს კი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტის - ლეო ჩიქავას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. მოხსენება – „ლეო ჩიქავას ცხოვრება და მოღვაწეობა" წაიკითხა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ. შემდეგ დრო დაეთმო გამოსვლებსა და მოგონებებს.

ბედნიერია ჩვენი თაობა, რომ იყო აკადემიკოს ლეო ჩიქავას თანამედროვე. მისი, როგორც ღირსეული მამულიშვილისა და დიდი მეცნიერის, ხსოვნა თაობიდან თაობას გადაეცემა!

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორ-
მასწავლებლები

პიროვნება რომელიც ყველას უყვარდა და აფასებდა

ადამიანი, რომელსაც ყველა უყვარს და ყველას აფასებს, ეს უპირველეს ყოვლისა, დიდი ადამიანური ღირსების მქონე პიროვნებაა. სწორედ, ასეთი ღვთაებრივი სიყვარულისა და ბუნებრივად ბოძებული კეთილი ნების და ადამიანური ღირსების იყო ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი **ვალერი შოთას ძე ქირია**. პროფესორი ვალერი ქირია, დაიბადა 1937 წელს, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს რაიონში წალენჯიხა, სოფლის მეურნეობის ცნობილი სპეციალისტის ოჯახში. მას 2017 წელს 81 წელი შეუსრულდებოდა.

პროფესორმა ვალერი ქირიამ საშუალო განათლება თავის მშობლიურ წალენ ჯიხის რაიონში მიიღო. ოჯახის სურვილი იყო, რომ ბატონ ვალერის, სწავლა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაეგრძელებინა, მაგრამ მან სწავლა ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე გააგრძელა, რომელიც წარმა ტებით დაამთავრა 1961 წელს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ოჯახის და რაიონის საზოგადოების სურვილი იყო, რომ ბატონი ვალერი დაბრუნებულიყო და მიღებული ცოდნა გამოეყენებინა რაიონის განვითარებისა და კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მიუხედავად ასეთი თხოვნისა, სწავლისადმი დიდმა სიყვარულმა სძლია მას და სწავლის გაღრმავება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში გადაწყვიტა, რომლის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია და ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და დოცენტის წოდება მიენიჭა. შემდეგ კი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის გათვა- ლისწინებით, მას ეკონომიკის აკადემიური დოქტორისა და პროფესორის წოდება მიენიჭა.

პროფესორი ვალერი ქირია თავიდანვე მუშაობდა საქართველოს პოლიტექნი-კურ ინსტიტუტში. კითხულობდა ლექციებს რამოდენიმე სასწავლო კურსში მეტად კვალიფიციურად, საინტერესოდ და მაღალ პრაქტიკულ- თეორიულ დონეზე. პროფესორი ვ. ქირია ხანგრძლივი დროის განმავლობაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის კათედრის სწავლული მდივანი იყო.

პროფესორი ვალერი ქირია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გარდა, ლექციებს კითხულობდა საქართველოს რიგ მოწინავე სახელმწიფო და კომერციულ უმაღლეს სასწავლებელში.

პროფესორი ვალერი ქირია სხვადასხვა დროს, რამოდენიმე კომერციულ უნივერსიტეტში იყო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, ერთ-ერთ მათგანში, კერძოდ, თბილისის საერო უნივერსიტეტის „გაენათის“ პრორექტორი.

პროფესორ ვალერი ქირიას კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვან პრობლემებზე დაწერილი 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

პროფესორი ვალერი ქირია მონაწილე იყო მრავალისაერთაშორისო კონფერენციისა, რომელიც ეძღვნება საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, იმყოფე ბოდა სანკტ-პეტერბურგში სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.

ეკონომიკის აკადემიური დოქტორის, პროფესორ ვალერი ქირიას პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა ჯეროვნად იყო დაფასებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, პედაგოგიური და სამეცნიერო სფეროში წარ მატებული მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა რამოდენიმე ქების სიგელი და გამოცხადებული რე ქტორის რამოდენიმე მადლობა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტში ხანგრძლივი, ნაყოფიერი, პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მინიჭებული ჰქონდა აკადემიური წოდება - ემერიტუსი და მისი გვარი ამოტვიფრულია საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტში გახსნილი ექვსქიმიანი ვარსკვლავის ერთ-ერთ ქიმზე.

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი ვალერი ქირია იყო ბრწყინვალე მეოჯახე და პიროვნება. მას ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

დიდად ვწუხვართ, რომ პროფესორ ვალერი ქირიაზე, რომელიც ყველას ასე უყვარდა და აფასებდა, წარსულ დროში გვიწევს საუბარი.

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის რექტორატი, საინჟინრო
ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი